



ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

Iv. Javakhishvili Tbilisi State University



შოთა რუსთაველის სახელობის ქართული
ლიტერატურის ინსტიტუტი

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature



კომპარატივისტული ლიტერატურის ქართული
ასოციაცია (GCLA)

ლიტერატურათმცოდნეობის
თანამედროვე პრობლემები

Contemporary Issues of Literary Criticism

XII

სახელმწიფოებრივი სუვერენობის
იდეა და XX საუკუნის მწერლობა
(ეძღვნება საქართველოს სახელმწიფოებრივი
დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან 100 წლისთავს)
საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები

**Contemporary Issues of Literary Criticism
The Idea of State Sovereignty and XX Century
Literature**

**(Dedicated to the 100th Anniversary of the Declaration of
Georgia's State Independence)**

Proceedings of International Symposium

**ნაწილი I
Part I**



უნივერსიტეტის
გამომცემლობა

TSU Press

სამეცნიერო კომიტეტი:

რახილია გაიბულაევა (აზერბაიჯანი)
რიჰარდ ზაიაჩკოსკი (პოლონეთი)
მანანა კვაჭანტირაძე (საქართველო)
იურატე ლანდსბერგიტე-ბეხერი (ლიტვა)
მარია ლიტოვსკაია (რუსეთი)
გაგა ლომიძე (საქართველო)
არნე მერლანი (ესტონეთი)
მიცუოში ნუმანო (იაპონია)
ირმა რატიანი (საქართველო)
ალექსანდრე სტროევი (საფრანგეთი)
კაზბეკ სულთანოვი (რუსეთი)
ოლგა ჩერვინსკაია (უკრაინა)
როსტომ ჩხეიძე (საქართველო)
ბელა ნიფურია (საქართველო)
დოდო ქუმბურიძე (საქართველო)
გიორგი შარვაშიძე (საქართველო)

საორგანიზაციო კომიტეტი:

კონსტანტინე ბრეგაძე (საქართველო)
მაკა ელბაქიძე (საქართველო)
მანანა კვატაია (საქართველო)
თათია ობოლაძე (საქართველო)
მანანა შამილიშვილი (საქართველო)
მაია ჯალიაშვილი (საქართველო)

რედაქტორი: პროფ. ირმა რატიანი (საქართველო)

სარედაქციო კოლეგია:

ირინე მოდებაძე (საქართველო)
მედეა მუსხელიშვილი (საქართველო)
მირანდა ტყეშელაშვილი (საქართველო)

მხატვარი

რევაზ მირიანაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა

თინათინ დუგლაძე

Scientific Committee:

Olga Chervinskaya (Ukraine)
Rostom Chkheidze (Georgia)
Dodo Chumburidze (Georgia)
Rahilya Geybullayeva (Azerbaijan)
Manana Kvachantiradze (Georgia)
Jūratė Landsbergytė-Becher (Lithuania)
Maria Litovskaya (Russia)
Gaga Lomidze (Georgia)
Arne Merilai (Estonia)
Mitsuyoshi Numano (Japan)
Irma Ratiani (Georgia)
Alexandre Stroev (France)
Kazbeg Sultanov (Russia)
Bela Tsipuria (Georgia)
Giorgi Sharvashidze (Georgia)
Ryszard Zajączkowski (Poland)

Organizing Committee:

Konstantine Bregadze (Georgia)
Maka Elbakidze (Georgia)
Maia Jaliashvili (Georgia)
Manana Kvataia (Georgia)
Tatia Oboladze (Georgia)
Manana Shamilishvili (Georgia)

Editor: Prof. **Irma Ratiani** (Georgia)

Editorial Board:

Irine Modebadze (Georgia)
Medea Muskhelishvili (Georgia)
Miranda Tkeshelashvili (Georgia)

Cover Design by

Revaz Mirianashvili

Computer Software

Tinatin Dugladze

UDC(უაკ) 821.353.1.09(475.22)(063)
ლ-681

კრებულში შესულმა სტატიებმა გაიარა ანონიმური რეცენზირება.
კრებულში დაბეჭდილი სტატიების შინაარსსა და სტილზე პასუხისმგებ-
ლები არიან ავტორები.

The articles included in the collection underwent an anonymous review.
The authors are responsible for the contents and the style of the articles printed in the
collection.

Материалы проходят анонимное рецензирование.
Доклады печатаются в авторской редакции.

კრებულში გამოქვეყნებული სტატიები განთავსებული იქნება Google
Scholars-ის ბაზაში.

The articles of this collection will be found on Google Scholars database.

Сборник размещается на платформе Google Scholars.

წიგნი მომზადდა, აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა *GCLA Press*-ის
მიერ.

The book was prepared for publishing in *GCLA Press*.

© თსუ შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, 2018

© კომპარატივისტული ლიტერატურის ქართული ასოციაცია, 2018

© TSU Shota Rustaveli Institute of Georgian Literature, 2018

© Georgian Comparative Literature Association (GCLA), 2018

0179 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14

14 Ilia Tchavchavadze Avenue, Tbilisi 0179

Tel. 995 (32) 225 14 32

www.press.tsu.edu.ge

ISBN 978-9941-13-804-1 (ნაწილი I და II)

ISBN 978-9941-13-805-8 (ნაწილი I)

ISSN 1987-5363

შინაარსი

პოლიტიკური ილუზიები და კულტურული რეალობა Political Illusions and Cultural Reality

ZAZA ABZIANIDZE

Georgia, Tbilisi

A Fateful Illusion of the Great Realist

**(Niko Nikoladze’s “The Downfall
of Russia and the Fate of Georgia”)**.....17

ზაზა აბზიანიძე

საქართველო, თბილისი

დიდი რეალისტის საბედისწერო ილუზია

**(ნიკო ნიკოლაძის „რუსეთის დამხობა
და საქართველოს ბედი“)**.....17

NINO BALANCHIVADZE

Georgia, Tbilisi

The Illusions Crashed

by the Oral Histories.....30

ნინო ბალანჩივაძე

საქართველო, თბილისი

ზეპირი ისტორიებით

დამსხვრეული ილუზიები.....30

ANASTASIA GERMANOVICH

Russia, Moscow

Narodnik Critics as the Opponents of

**“Legal Marxists” in Discussions about
the Special Path of Russia**.....37

A. A. ГЕРМАНОВИЧ

Россия, Москва,

Критики-народники как о

ппоненты «легальных марксистов»

в дискуссиях об особом пути России.....37

KONRAD GUNESCH

United Arab Emirates, Dubai

Comparing Scientific Writing and

Suspenseful Reading for Manifestations

of Multilingualism and Concretizations

of Cosmopolitanism: Research Insights Walk,

Fiction Protagonists Run, while Real Life

Flies and Young Students Soar High.....49

MAKA ELBAKIDZE

Georgia, Tbilisi

Political Illusions of Georgian Emigration

During the Second World War.....78

მაკა ელბაკიძე

საქართველო, თბილისი

ქართული ემიგრაციის პოლიტიკური

ილუზიები მეორე მსოფლიო ომის წლებში.....78

YANINA YUKHYMUK

Ukraine, Kiev

National Peculiarities of a

Writer’s Artistic Image Creation

(based on works by C. Funke,

G. Petrović, Y. Izdryk).....93

AVTANDIL NIKOLEISHVILI

Georgia Kutaisi

National and Political

Belief of Nikolo Mitsishvili.....105

ავთანდილ ნიკოლეიშვილი

საქართველო, ქუთაისი

ნიკოლო მინიშვილის

ეროვნულ-პოლიტიკური მრწამსი.....105

GUZEL STRELKOVA

Russia Moscow

Idea of State Sovereignty and

Ways of Reaching it as Presented

in Contemporary Hindi Prose.....121

Г.В. СТРЕЛКОВА

Россия, Москва,

Отражение в современной

индийской прозе идеи государственного

суверенитета и путей его достижения.....121

MARINE TURASHVILI

Georgia, Tbilisi

Soviet Trauma and the Discourse Analysis

of the Narratives in Oral Histories.....131

მარინე ტურაშვილი

საქართველო, თბილისი

საბჭოთა ტრავმა და თხრობის დისკურსული

ანალიზი ზეპირ ისტორიებში.....131

JERRY WHITE

Halifax, Nova Scotia, Canada

Republican Difficulties: Noè Jordania's

Difficultés socialistes, Antoni Rovirii Virgili's

L'Estat català, and the Vagaries

of Exile Writers in France.....141

SHORENA SHAMANADZE

NATELA CHITAUARI

Georgia, Tbilisi

Dynamics of Change in Political Illusions

in Georgian Texts Created Abroad.....151

შორენა შამანაძე

ნათელა ჩიტაური

საქართველო, თბილისი

პოლიტიკური ილუზიების

ცვლილებათა დინამიკა საზღვარგარეთ

შექმნილ ქართულ ტექსტებში.....151

EKA CHIKVAIDZE

Georgia, Tbilisi

Georgian Theological Writings of the

10th-20th Years of the 20th Century

(Basic trends).....167

ეკა ჩიკვაიძე

საქართველო, თბილისი

მე-20 საუკუნის 10-20-იანი წლების

ქართული სასულიერო მწერლობა

(ძირითადი ტენდენციები).....167

RUSUDAN CHOLOKASHVILI

Georgia, Tbilisi

Georgian Folk Poetry and

Folkloristics of the Soviet Period.....177

რუსუდან ჩოლოყაშვილი

საქართველო, თბილისი

საბჭოური პერიოდის ქართული

ხალხური პოეზია და ფოლკლორისტიკა.....177

ZOIA TSKHADAIA

Georgia, Tbilisi

The Illusory and Realistic in

Georgian Poetic Narrative

(1918-1921).....190

ზოია ცხადაია

საქართველო, თბილისი

ილუზორული და რეალისტური

1918-1921 წლების ქართულ პოეზიაში.....190

**ნაციონალური თვითგამორკვევის იდეა და
მისი ასახვის მხატვრული ფორმები**

**The Idea of National Self-identification and
Artistic Forms of its Depiction**

TAMAR BARBAKADZE

Georgia, Tbilisi

The Sonnet Form as a

Sense of Georgia's Freedom.....206

თამარ ბარბაკაძე

საქართველო, თბილისი

სონეტის ფორმა, როგორც

საქართველოს თავისუფლების საზრისი.....206

I.L. BAGRATION-MOUKHRANELI

Rossia, Moscow

On One Educational Institution of

the Georgian Democratic Republic.....218

И.Л. БАГРАТИОН-МУХРАНЕЛИ

Россия, Москва

Об одном учреждении образования

Демократической Республики Грузии.....218

LEVAN BEBURISHVILI

Georgia, Tbilisi

The Concept of Homeland in

Galaktion Tabidze's Lyrics in the

Period of Independence of Georgia.....232

ლევან ბებურიშვილი

საქართველო, თბილისი

სამშობლოს კონცეპტი გალაკტიონ ტაბიძის

საქართველოს დამოუკიდებლობის

პერიოდის ლირიკაში.....232

LEVAN BREGADZE

Georgia, Tbilisi

The idea of State Independence in the

Post Second World War Georgian Poetry.....245

ლევან ბრეგაძე

საქართველო, თბილისი

სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის

იდეა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ

ქართულ პოეზიაში.....245

RŪTA BRŪZGIENĖ

Lithuania, Vilnius

Nostalgic Poetry by Salomėja Nėris

of the Second World War Years:

Musicality of the Form.....262

TAMAR GELASHVILI

Georgia, Tbilisi

From Easter Rising to “Oyster Monday”

(Easter Rising in James Joyce's *Ulysses*

and *Finnegans Wake*).....286

თამარ ბელაშვილი

საქართველო, თბილისი

აღდგომის აჯანყებიდან „ხამანკების ორშაბათამდე“
(აღდგომის აჯანყება ჯეიმზ ჯოისის რომანებში
„ულისე“ და „ლამისთევა ფინეგანისათვის“).....286

NANA GONJILASHVILI

Georgia, Tbilisi

Grigol Megrelishvili –
Sense of Life and Death, Georgia.....297

ნანა გონჯილაშვილი

საქართველო, თბილისი

გრიგოლ მეგრელიშვილი –
სიკვდილ-სიცოცხლის საზრისი,
საქართველო.....297

ANDREW GOODSPEED

Macedonia, Tetovo

‘I am not alone’: Pinter, State
Torture, and *One for the Road*.....318

TEIMURAZ DOIASHVILI

Georgia, Tbilisi

The Formula of National
Sovereignty by Ilia Chavchavadze
and Galaktion Tabidze.....328

თეიმურაზ დოიაშვილი

საქართველო, თბილისი

ეროვნული სუვერენიტეტის ილიასეული
ფორმულა და გალაკტიონ ტაბიძე.....328

KETEVAN ELASHVILI

Georgia, Tbilisi

Past in the Present
(“Data Tutashkhia” by Chabua Amirejibi).....347

ქეთევან ელაშვილი

საქართველო, თბილისი

წარსული აწმყოში

(ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხია“)...347

SALOMEJA JASTRUMSKYTE

Lithuania, Vilnius

Visuality of Memory as a

Feature of Lithuanian Subculture.....357

VIKTORIJA IVANENKO

Ukraine, Chabany

A Never-ending Trip: Specters of

Scotland in James Robertson’s Novel

And the Land Lay Still.....373

LIA KARICHASHVILI

Georgia, Tbilisi

“New Rustaveli” – Symbol of the Revived

Country in Galaktion’s Poetry.....389

ლია კარიჭაშვილი

საქართველო, თბილისი

„ახალი რუსთაველი“ –

აღორძინებული ქვეყნის სიმბოლო

გალაკტიონის შემოქმედებაში.....389

ZEINAB KIKVIDZE

Georgia, Kutaisi

Caucasian Imbalance in the

Contemporary Palimpsest.....399

ზეინაბ კიკვიძე

საქართველო, ქუთაისი

კავკასიური დისბალანსი

თანამედროვე პალიმფსესტში.....399

GALINA MORIEVA

Ukraine, Mariupol

Linguistic Rhetorics of

Political Discourse.....407

ГАЛИНА МОРЕВА

Украина, Мариуполь

Лингвистическая риторика

политического дискурса.....407

NATIA SIKHARULIDZE

Georgia, Tbilisi

Native Ephemera –

Elegy about the Lost Independence.....418

ნათია სიხარულიძე

საქართველო, თბილისი

„მშობლიური ეფემერა“ –

ელეგია დაკარგულ დამოუკიდებლობაზე.....418

MARY KHUKHUNAISHVILI –TSIKLAURI

Georgia, Tbilisi

Amirani as a Symbol of

Indomitable Georgia.....426

MAIA JALIASHVILI

Georgia, Tbilisi

Symbolic-mythical Paradigms of State Freedom

(Grigol Robakidze ‘s „Guards of Grail“).....432

მაია ჯალიაშვილი

საქართველო, თბილისი

სახელმწიფოებრივი თავისუფლების

სიმბოლურ-მითოსური პარადიგმები

(გრიგოლ რობაქიძის

„მცველნი გრალისა“ მიხედვით).....432

სახელმწიფოებრივი სუვერენობის იდეა
მოდერნისტულ მწერლობაში

**The Idea of State Sovereignty in the
Modernist Literature**

IVANE AMIRKHANASHVILI

Georgia, Tbilisi

Problem of Free Space in

Givi Maghularia’s Novel “The Return”444

ივანე ამირხანაშვილი

საქართველო, თბილისი

თავისუფალი სივრცის

პრობლემა გივი მაღულარიას

რომანში „უკუქცევა“444

GIA ARGANASHVILI

Georgia, Tbilisi

Motif of Maintaining of the

National Consciousness in the

Works of Basil Melikishvili.....451

გია არგანაშვილი

საქართველო, თბილისი

„სახის შერჩენის“ მოტივი

ბასილ მელიქიშვილის შემოქმედებაში.....451

DALILA BEDIANIDZE

Georgia, Tbilisi

The Idea of National Self-determination in

Poetry of Murman Lebanidze and

Mukhran Machavariani.....461

დალილა ბედიანიძე

საქართველო, თბილისი

ნაციონალური თვითგამორკვევის

იდეა მურმან ლებანიძისა და

მუხრან მაჭავარიანის პოეზიაში.....461

KONSTANTINE BREGADZE

Georgia, Tbilisi

The Issue of Political Orientation and

Anti-colonial (anti-Russian, anti-Bolshevik)

Discourse in *Dionysus Smile*

by Konstantine Gamsakhurdia.....470

კონსტანტინე ბრეგაძე

საქართველო, თბილისი

პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი და

ანტიკოლონიური (ანტირუსულ-ანტიბოლშევიკური)

დისკურსი კონსტანტინე გამსახურდიას

რომანში „დიონისოს ღიმილი“470

SHARLOTA KVANTALIANI

Georgia, Tbilisi

Absurd as a Soviet Lifestyle in

Rezo Cheishvili's Stories.....480

შარლოტა კვანტალიანი

საქართველო, თბილისი

აბსურდი, როგორც საბჭოთა ცხოვრების წესი,

რეზო ქეიშვილის მოთხრობებში.....480

MANANA KVATAIA

Georgia, Tbilisi

A Concept of the State in the

Context of Literary Discourse.....486

მანანა კვატია

საქართველო, თბილისი

სახელმწიფოს კონცეფცია

ლიტერატურული დისკურსის კონტექსტი.....486

NONA KUPREISHVILI

Georgia, Tbilisi

Georgian Modernistic Press in 1918-1921s.....494

ნონა კუპრეიშვილი

საქართველო, თბილისი

ქართული მოდერნისტული

პრესა 1918-1921 წლებში.....494

GOCHA KUCHUKHIDZE

Georgia, Tbilisi

Anti-Soviet Spirit in

Lado Asatiani's Works.....504

გოჩა კუჭუხიძე

საქართველო, თბილისი

ანტისაბჭოთა სულისკვეთება

ლადო ასათიანის პოეზიაში.....504

პოლიტიკური ილუზიები და კულტურული რეალობა Political Illusions and Cultural Reality

ZAZA ABZIANIDZE

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

A Fateful Illusion of the Great Realist

(Niko Nikoladze's "The Downfall of Russia and the Fate of Georgia")

Today, exactly a century after the initial publication, we go back to the major Georgian public figure and activist Niko Nikoladze's (1843-1928) one of the harshest publications, "The Downfall of Russia and the Fate of Georgia", which appeared in the magazine Sakartvelo, in the March issue of 1918.

Niko Nikoladze had been struggling for the genuine autonomy of Georgia inside the boundaries of Russian empire, while in 1918, already aged, he contributed to the restitution of the independence of the Georgian state. The same illusion seems to have been at the base of certain risky decisions of Georgian government.

Key words: Niko Nikoladze. Magazine Sakartvelo. May 26th. Anarchy in Russia.

ზაზა აბზიანიძე

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

დიდი რეალისტის საბედისწერო ილუზია

(ნიკო ნიკოლაძის „რუსეთის დამხობა და საქართველოს ბედი“)

დღეს, ერთი საუკუნის შემდეგ პირველი პუბლიკაციიდან, ჩვენ ვუბრუნდებით ნიკო ნიკოლაძის ერთ-ერთ ყველაზე მძაფრ პუბლიცისტურ წერილს „რუსეთის დამხობა და საქართველოს ბედი“, რომელიც გაზეთ „საქართველოს“ 1918 წლის მარტის ნომრებში

გამოქვეყნდა. ჩვენს ბიბლიოთეკებში, როგორც წესი, ამ გაზეთის 1918 წლის კომპლექტებიდან ამოღებულია ან მთლიანად 22, 24 და 27 მარტის ნომრები, ან სტატიის ყველაზე „ანტირუსული“ ნაწილი. თუ გავითვალისწინებთ, რა საშიშ სამხილად აღიქმებოდა სტატიის ტექსტი დიდი ქართველი სამოციანელისათვის, არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ მისი გულშემატკივარნი ყველანაირად ეცადნენ მალულად გაექროთ გაზეთის ფურცლებში „შეფუთული“ ეს დამოკლეს მახვილი.

ბოლო ათეული წლების განმავლობაში „რუსეთის დამხობა და საქართველოს ბედი“ პირველად ოთარ ჯანელიძემ გაიხსენა (იხ. მისი წიგნი „ნიკო ნიკოლაძე – ბიოგრაფიიდან ამოხეული ფურცლები“, თბ., 1998 წ.) და ხაზგასმით აღნიშნა ნიკო ნიკოლაძის მწვავე რეაქცია ქართველი სოციალ-დემოკრატების იმჟამინდელ კოსმოპოლიტიზმზე. არც ის არის გამორიცხული, რომ მათ გამოფხიზლებაში „უკანასკნელი თერგდალეულის“ პოლემიკურმა პათოსმა თავისი წვლილი შეიტანა.¹

2010 წელს, ჩვენ მიერ კომენტირებული ნიკო ნიკოლაძის ზემოხსენებული სტატია სრული სახით გამოქვეყნდა ჟურნალ „ქართული მწერლობაში“ (№1). და სწორედ ამ კომენტარებში გაჟღერდა პირველად უკანასკნელი თერგდალეულის „საბედისწერო ილუზიის“ ის ექო, რომელსაც აქ წარმოდგენილი გამოკვლევა ეძღვნება.

გაზეთი „საქართველო“ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ბეჭდვითი ორგანო გახლდათ და ნიკო ნიკოლაძის (როგორც ამ პარტიის ერთ-ერთი იდეოლოგის) იმჟამინდელი პუბლიცისტიკის უმეტესი ნაწილი სწორედ ამ გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნდა. საქართველოს სახელმწიფოებრიობის ყოფნა-არყოფნის გადამწყვეტ წლებში, არ იყო გასაკვირი, რომ უკანასკნელი თერგდალეულის საგაზეთო წერილების თემატიკა ყველაზე მტკიცენულ იმჟამინდელ პრობლემებს ეხებოდა – ქვეყნის შიდა პოლიტიკა იქნებოდა ეს თუ მეზობელ მტერ-მოყვარეთა სტრატეგიული გეგმები.

„საქართველოს“ რედაქციაში ნიკო ნიკოლაძის ვიზიტების შემსწრე გერონტი ქიქოძე იგონებდა, რომ: „ეს მხრებში ოდნავ მოხრილი მოხუცი ქარიშხალივით იჭრებოდა გაზეთ „საქართველოს“ რედაქციის ოთახში, რუკას მივარდებოდა და ხელის ფართო მოძრაობით საერთაშორისო პოლიტიკის პერსპექტივებზე იწყებდა

მღელვარე საუბარს. ეტყობოდა, რომ ის შეჩვეული იყო მსოფლიო მასშტაბით აზროვნებას“ (მაღლაფერიძე 1991: 11).

გაზეთის რედაქციის თანამშრომლები, თავის მხრივ, ეთაყვანებოდნენ საამაყო ავტორს, რაც ესოდენ მაღალფარდოვნად გაცხადდა დიდი პუბლიცისტიკისადმი მათ კოლექტიურ მიმართვაში: „თქვენი წერილებისათვის, საფასოს კი ვერაფერს შეგპირდებით, მაგრამ ჩვენც და ჩვენი მომავალი თაობაც თქვენს ღვაწლს დავაფასებთ და არ დავივინყებთ იმ ღვთაებრივ ნიჭს, რომელიც სამშობლოდს სამსახურში მუდამ ჩვენთვის საამაყო იქნება“.

ოთარ ჯანელიძის მონოგრაფიაში „უკანასკნელი თერგდალეული“ აღწერილია ის დრამატული გარეპოლიტიკური ვითარება, რომლის ნიაღშიც საქართველოს დღემოკლე დემოკრატიული რესპუბლიკა იშვა: „1917-1918 წლები უაღრესად რთული და სწრაფცვალებადი მოვლენებით აღინიშნა საქართველოს ცხოვრებაში. ვითარება განსაკუთრებით მას შემდეგ დაიძაბა, რაც ბრესტის ზავით საბჭოთა რუსეთი პირველ მსოფლიო ომს გამოეთიშა და გერმანიის მოკავშირე ოსმალეთს ბათუმის, ყარსისა და არტაანის ოლქები დაუთმო. ამიერკავკასიის კომისარიატმა ეს გადაწყვეტილება უკანონოდ მიიჩნია, ხსენებული მინა-წყლის დაცვა ჯერ სამხედრო ძალებით სცადა, მაგრამ როცა ვერას გახდა, თურქთა ექსპანსიის შეჩერება დიპლომატიური გზით დააპირა. მოლაპარაკება თავდაპირველად ტრაპიზონში, ხოლო 1918 წლის მაისში ბათუმში წარმოებდა. ქვეყნის მომავალი ახლა ბათუმში წყდებოდა და ნიკო ნიკოლაძეს აკაკი ჩხენკელთან ერთად ამიერკავკასიის სეიმის დელეგაციაში ვხედავთ, როგორც ქართველი ერის ოფიციალურ წარმომადგენელს“ (ჯანელიძე 2010: 42-43).

ნიკო ნიკოლაძის წვლილი ბათუმის მოლაპარაკებათა პროცესში ხატოვნად აღწერა ზურაბ ავალიშვილმა: „...მეორე ქართველი დელეგატი ნ. ი. ნიკოლაძე მეტად ადვილათ ატარებდა თავის 75 წლის სიმძიმეს. რამდენმა წყალმა ჩაიარა მას მერმე, რაც იგი ჭაბუკურათ თათბირობდა ჰერცენთან, თუ როგორ გაერტყმია სილა მაშინდელ რუსეთის ჟანდარმთა შეფისათვის! ანდა რამდენმა დრომ განვლო მას შემდეგ, რაც მან, როგორც თფილისის გაზეთ „ობზორის“ რედაქტორმა, ისეთი განგაში ასტეხა რუსეთში თავისი ლიტერატურული პროცესით, რომ თვით ანატოლ ლერუაბოლიე დაწვრილებით მოიხსენიებს ამ ამბავს... უღევი მეხსიერება,

ცოდნა ოსმალეთ-კავკასიის დამოკიდებულებებისა, მუსაიფის მჩქეფარე ნიჭი, თვალეებში ცეცხლის ნაპერწკლები თეთრ წვერთან და წარმოსადევ შეხედულებასთან ერთად, ყველაფერი ეს ძლიერ სასარგებლოდ ჰქმნიდა მის ყოფნას ბათუმში“ (ავალიშვილი 1926: 62).

საქართველოს უახლესი ისტორიის მკვლევარნი ერთსულოვანი არიან ბათუმის მოლაპარაკებათა განსაკუთრებული მნიშვნელობის შეფასებაში: სწორედ აქ, გერმანულმა მხარემ (რომელიც დასაწყისში სულაც არ იყო მომხრე ამიერკავკასიის ფედერაციის დაშლის – იხ. გრიგოლ ლორთქიფანიძის „ფიქრები საქართველო-ზე“, თბ., 1995 წ.) კატეგორიულად განუცხადა ქართულ დელეგაციას, რომ ოსმალეთთან ტერიტორიულ დავაში საქართველოს (გერმანიის დახმარებით) გამარჯვების შანსი აქვს მხოლოდ და მხოლოდ, როგორც სუვერენულ სახელმწიფოს და არა როგორც ამიერკავკასიური ფედერაციის ნაწილს. ამ „ულტიმატუმმა“ დიდად დააჩქარა ეროვნული საბჭოს მიერ 1918 წლის 26 მაისს საქართველოს სუვერენულ, დემოკრატიულ რესპუბლიკად გამოცხადება. ისიც ყურადსაღებია, რომ ნიკო ნიკოლაძემ მყისვე შეადგინა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის თავისი პროექტი, რომელიც გადასცა ბათუმში ჩამოსულ როე ჟოდანიას.

დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე ყველასათვის ნათელი გახდა, რომ ან ძირითად საშიშროებას საქართველოს სახელმწიფოებრიობისათვის არა ოსმალეთი, არამედ რუსეთი წარმოადგენდა. იმ საზოგადო მოღვაწეთათვის, რომელნიც ფხიზლად ადევნებდნენ თვალს რუსული გეოპოლიტიკის ტენდენციებსა და კონსტანტებს, ეს ქეშმარიტება გაცილებით უფრო ადრე გამოიკვეთა. წესით და რიგით, ერთ-ერთი ამათგანი ნიკო ნიკოლაძე უნდა ყოფილიყო, ვინც შესანიშნავად იცნობდა არა მხოლოდ რუსულ კულტურას, არამედ პოლიტიკურ ისტორიასაც და პოლიტიკურ ელიტასაც და ვინც რუსეთსა და რუსულენოვან პრესაში მრავალწლიანი მოღვაწეობის მიუხედავად, სწორედ ევროპული ღირებულებებისადმი ერთგულებით გამოირჩეოდა.

დიდი სამოციანელის „ევროპეიზმს“, როგორც ჩანს, ყველა მისი თანამედროვე მოღვაწე როდი იზიარებდა. ერთი ციტატა 1913 წელს გაზეთ „კლდეში“ (ეს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის

ორგანო გახლდათ) გამოქვეყნებული სტატიიდან, რომელიც ნიკო ნიკოლაძეს მომრავლებული მტრების გამოხდომებისაგან იცავდა, კარგად ასურათებს ამ დაპირისპირებას: „ნიკოლაძე და რუსეთში ნასწავლი ინტელიგენცია, სულ სხვადასხვა ტიპები, ორი ანტიპო-დია. ნიკოლაძე სულით და გულით ევროპელია, ევროპაში ნასწავლი, ევროპის იდეებით გამსჭვალული, ევროპის ტექნიკა-ინდუსტრიის მცოდნე, ინიციატივის კაცი, პრაქტიკი და საქმიანი. ჩვენი ინტელი-გენცია კი უმთავრესად აღზრდილია რუსეთის სკოლაში, ამ სკოლის მონური სულით, ჩინოვნიკური რუტინით და სხოლასტიკით გაჟ-ღენთილი... აშკარაა, რომ ნიკოლაძე და ჩვენი ინტელიგენცია, სულ სხვადასხვა პოლუსზე დგანან, ცხოვრებას სხვადასხვა პრიზმით უცქერენ და ერთმანეთის პოლიტიკას გამობენ. ამან გამოიწვია ან-ტაგონიზმი ნიკოლაძისადმი, მისი დევნა და ქირდვა“ (როგორ არ გაახსენდება აქ კაცს ჯავაჰარლალ ნერუს ისტორიული ფრაზა: „არ არსებობს უფრო დიდი მტერი საკუთარი ხალხისა, ვიდრე კოლონი-ზატორის მიერ აღზრდილი ინტელიგენცია“).

რუსეთში მრავალწლიანი მოღვაწეობისას ნიკო ნიკოლაძეს კარ-გად ჰქონდა შესწავლილი „იმპერიული მენტალობა“. ამ ფენომენის მწარე გემო არაერთხელ ეწვინა და მისი ამოძიკვა შეუძლებლად მიაჩნდა მისივე წარმომშობი იმპერიის გაქრობის გარეშე.

ამგვარი მენტალობის ერთი მეტყველი ნიმუში, რომელიც რუს ლინგვისტს, ფილოსოფოსსა და პუბლიცისტს ნიკოლოზ ტრუ-ბეცკოის (1890-1938) ეკუთვნის, დამატების სახით ერთვის გრი-გოლ (გია) ჯოხაძის მონოგრაფიას – „ევრაზიური საცდური“ და დღეს ჩვენთვის განსაკუთრებით მრავლისმეტყველია: იმითაც, რომ ამ „იმპერიალისტური კონცეპტის“ მანიფესტაცია ეკუთვნის არა იმპერიის დიდმოხელეს, არამედ გამოჩენილ მეცნიერსა და მოღვაწეს; იმითაც, რომ სწორედ საქართველოს მაგალითია მოშ-ველიებული და იმითაც, რომ ტრუბეცკოის ყურადღების ცენტრშია რუსეთ-საქართველოს ინტერესთა ანტაგონიზმის პიკი გასული საუკუნის 20-იან წლებში:

„თებერვლის რევოლუციის დროიდან ქართველებმა ავტონომი-ის უფლება მოიპოვეს, და ამაზე მათთან შედავება შეუძლებელია, – ნერს ნ. ტრუბეცკოი, – მაგრამ ვინაიდან ეს ვითარება ქართული სეპარატიზმის წარმოქმნის საბაბს იძლევა, მასთან ბრძოლა რუ-სეთის ნებისმიერი მთავრობის ვალდებულებაა. თუ რუსეთს ბაქოს

ნავთობის შენარჩუნება სურს (ურომლისოდაც, ალბათ, არა თუ ამიერკავკასიის, არამედ ჩრდილო კავკასიის ფლობაც კი შეუძლებელია), მან არ უნდა დაუშვას საქართველოს დამოუკიდებლობა. საქართველოს პრობლემა რთული იმიტომია, რომ საქართველოს გარკვეული დამოუკიდებლობის უღიარებლობა ან, უკვე პრაქტიკულად შეუძლებელია, ხოლო მისი სრული პოლიტიკური დამოუკიდებლობის ცნობა – დაუშვებელი“ (ჯოხაძე 2015: 217).

კიდევ ერთხელ შევახსენებ მკითხველს, რომ ყოველივე ამას ნერს კომუნისტური რეჟიმის დაუძინებელი მტერი, რომელიც რუსეთს განრიდებული, ემიგრაციაში, ვენაში, ავსტრიის გერმანულ რაიხთან მიერთების შემდეგ, ახლა უკვე ფაშისტურ რეჟიმს დაუპირისპირდა და, ფაქტობრივ, ემსხვერპლა კიდევც.

ნიკოლოზ ტრუბეცკოის ესეე „კავკასიელ ხალხთა შესახებ“ 1925 წლითაა დათარიღებული და ცხადია, 1918 წელს ნიკო ნიკოლაძე ვერ ნაიკითხავდა ამ ოპუსს. მაგრამ მთელი ის იმპერიულ-ფსიქოლოგიური პლასტი, რომელზეც აღმოცენდა ტრუბეცკოის პოლიტიკური კონცეფცია, ნიკოლაძისათვის ნაცნობზე-ნაცნობი იყო. ამიტომაც საქართველოს სახელმწიფოებრივი არსებობის ერთადერთ და უმთავრეს წინაპირობად მას რუსეთის იმპერიის დამხობა მიაჩნდა. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის დაწყებას პეტროგრადში იგი თავად შეესწრო და ღია ბარათზე პირველ შთაბეჭდილებებს თავის დას, ეკატერინეს უზიარებდა. ბარათზე ზამთრის სასახლის წინ მომიტინგეების უკიდევანო მასა იყო აღბეჭდილი: „გიგზავნი პეტროგრადოს სახეს ამ დღეებში. ამ კვირას აქ ყოველდღე ასეთი სახე აქვს ჩვენს სატახტო ქალაქს. ხალხით სავსეა ქუჩები და მოედნები: დავობენ, ჩხუბობენ, შფოთავენ. მაინც ყველას იმედი გვაქვს, რომ იქნება ღმერთმა ქნას და მორიგდეს ეს აღშფოთებული ზღვა...“ (ბაქრაძე 1989: 255).

ძნელია თქმა, იმ წამს, ამბოხებულ პეტროგრადში ცოლ-შვილიანად მომწყვდეული ნიკო ნიკოლაძე მართლაც ნატრობდა „აღშფოთებული ზღვის“ დაცხრომას, თუ მაინც იფრთხილა და ღია ბარათს არ ანდო ის უნებლიე სიხარული და იმედი, რაც იმპერიის განაპირა გუბერნიის ქართველ მკვიდრს ქაოსით მოცული დედაქალაქის ცქერამ აღუძრა.

ასე იყო თუ ისე, მაგრამ, ერთი წლის შემდეგ, 1918 წლის მარტში, თბილისში მას სანერ მაგიდაზე გაშლილი აქვს იმპერიის რუკა, რა-

თა უფრო თვალსაჩინოდ წარმოისახოს იმპერიის ნგრევის სურათი: ბოლშევიკური მთავრობა რუსეთის 3/4-ს ვერ აკონტროლებს, ლენინი მოსკოვშია გადმოსული, რადგან პეტროგრადის აღარ ეიმედება – იქითკენ ესტონეთში ფორმირებული „ჩრდილო-დასავლური კორპუსით“ გენერალი იუდენიჩი იწევს; ჩრდილოეთიდან გენერალი მილერი აქტიურობს; ურალსა და ციმბირში – ადმირალი კოლჩაკი; სამხრეთში – გენერლები ალექსეევი და დენიკინი თავიანთი „მოხალისეთა არმიით“; მათ ზურგში – დონის კაზაკობა ატამან კრასნოვის მეთაურობით. 1918 წლის 3 მარტს ხელმოწერილი სამშვიდობო ხელშეკრულება გერმანიასთან ითვალისწინებდა პოლონეთის, უკრაინის, ბელორუსიის, ბალტიისპირეთისა და ფინეთის ტერიტორიებიდან რუსული ჯარის გაყვანას, რაც ამ ქვეყნების დამოუკიდებლობის წინაპირობა უნდა გამხდარიყო.

300-წლოვანი იმპერიის ნგრევის ქაოსში და ბულში ნიკო ნიკოლაძეს იმპერიის კედლები საბოლოოდ დანგრეული მოეჩვენა და სანუკვარი იმედით ატაცებული დასწვდა კალამს. ასეთი განწყობით დაიწერა 1918 წლის მარტში მისი „რუსეთის დამხობა და საქართველოს ბედი“.

„დაემხო ოდესღაც უზარმაზარი რუსეთი, დაიმსხვრა, დაიგლიჯა, დანაწილდა... დაიქცა და დაიღენა ისე, რომ მისი კვლავ აღდგენა და გამთელება შეუძლებელია, – წერდა ნიკო ნიკოლაძე, – გუშინდელი ლალი ბატონი ველიკორუსი, გუშინდელი მტანჯველი მრავალ განათლებულ ეროვნებათა დღეს უგზო-უკვლოდ დატანტალებს რუსეთის ტიალ მინდვრებზე და ცახცახით გაურბის კაიზერის ძლევამოსილ დროშას.

უკულტურო რუსეთის დამსხვრევით გაჰქრა სამუდამოდ ევროპის საფრთხე და ამაში დიდი ღვაწლი მიუძღვის გერმანიას. უზენაესმა ტექნიკამ და მაღალმა კულტურამ დაღენა სიბნელე და უმეცრება; პატარა ფალავანმა დასცა დიდი თიხის ფეხებზე მდგარი უზარმაზარი გოლიათი. აღიგავა ქვეყნის პირიდან ევროპის ჟანდარმი; მოისპო საუკუნოთ ულმობელი მტარვალი – აბსოლუტიზმი. ასი წლობით გვემუღმა და დამონებულმა ერებმა ამოისუნთქეს თავისუფლათ...

მერე და რამ დასცა რუსეთი? რამ დაამხო უზარმაზარი იმპერია. იგი დასცეს და დაამხეს უმთავრესად შინაურმა და გარეგანმა

მტრებმა. ეს მტრებია: თვითმპყრობელობა, რუსის ხალხის უკულ-ტურობა და მონური სული“ (გაზ. „საქართველო“, 1918 წ. 22 მარტი).

მოულოდნელი სიხარულით ატაცებულ დიდ რეალისტს უმცყუნა რუსეთშივე მიღებულმა ცხოვრებისეულმა გამოცდილებამ და პოლიტიკოსის ალლომ. მის თანამებრძოლებს გაზეთ „საქართველოს“ მარტის ნომრების კითხვისას, ისეთი შთაბეჭდილება ექმნებოდათ, რომ რუსეთი „ალიგავა პირიდან მიწისა“. ანუ, რეალურად შესაძლებელი იყო ისეთი აქციის განხორციელება, რაზედაც ადრე ოცნება თუ შეიძლებოდა. ვგონებ, სწორედ ამგვარი ნიშანდობლივი აქცია იყო 1918 წლის ზაფხულში სოჭი-ტუაფსეს დასალაშქრად სამხედრო ექსპედიციის წარგზავნა გენერალ გიორგი მაზნიაშვილის სარდლობით.

ამ ექსპედიციის მსვლელობის ძირითადი ეტაპების ჩამოთვლისას, იმავ გიორგი მაზნიაშვილის მემუარებს მოვიშველიებ: „18 ივნისს სამხედრო მინისტრისაგან მივიღე დეპეშა, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ მე ვინიშნები აფხაზეთის გენერალ-გუბერნატორად და შავი ზღვის ნაპირების ჯარის უფროსად“ (მაზნიაშვილი 1927: 59). აქვე დასახელებულია გენერლის სოხუმში მივლინების ძირითადი მიზეზიც: „...გამოირკვა, რომ ბოლშევიკებმა აფხაზი ლაკობას მეთაურობით კვლავ დაიჭირეს გუდაუთი, ამოხოცეს გვარდიის მონინავე რაზმი და მოინევენ სოხუმისაკენ. ...რადგანაც ლეჩხუმში, ოსეთში და დუშეთში აჯანყებები უკვე დაიწყო, ტფილისიდან დახმარების იმედი აღარ მქონდა“ (იქვე, გვ. 62). გიორგი მაზნიაშვილმა მაინც შექმნა ბრძოლისუნარიანი საჯარისო შენაერთი და მონინაალმდევე აიძულა „დაეტოვებინა გაგრა და გადასულიყო სოჭაში და შემდეგ ტუაფსეში“ (იქვე, გვ. 63). „უნდა შევჩერდე ერთ საკითხზე, – განაგრძობს გენერალი მაზნიაშვილი, – რომელიც მკითხველისათვის შეიძლება გაუგებარი იყვეს: ქართული ჯარები რომ მივიდნენ სოფელ პილენკოვოსა და მახადირთან, რად წაინიეს წინ და რად შევიდნენ შავიზღვის გუბერნიაში, რომლის ტერიტორია არას დროს არ ეკუთვნოდა არამც თუ საქართველოს, აფხაზეთსაც კი? ეს აიხსნება შემდეგით: ...სოფ. პილენკოვოს დაკავების შემდეგ ჩემი მისია დამთავრებული მეგონა, რაც ვაცნობე სამხედრო მინისტრს და აფხაზეთის ეროვნულ საბჭოს.

როგორც ტფილისიდან, ისე აფხაზეთის ეროვნულ საბჭოდან მივიღე ანალოგიური ბრძანებანი: წამენია წინ და დამეჭირა სოჭა.

მიზეზი, როგორც გადმომცეს პირდაპირი მავთულით, ვითომ და თხოვნა-მუდარა იყო სოჭაში მცხოვრებ ქართველებისა, ხოლო აფხაზეთის ეროვნულ საბჭოს ზოგიერთი წევრი მარწმუნებდა, რომ აფხაზეთს ეკუთვნოდა არამც თუ სოჭა, არამედ აფხაზეთის სამზღვრები უძველეს დროში ანაპამდეც მოდიოდა“ (იქვე, გვ. 64).

ისტორიკოსების თქმით, უძველეს დროში მართალაც ასე იყო. ხოლო XIII ს-ში „ნიკოფსია“ (ნიკოპოლისი), რომელსაც დღეს Новоалексеевка ჰქვია და სოჭსა და ტუაფსეს (დვაბზუ) შორის მდებარეობს, საქართველოს ზღვისპირეთის სასაზღვრო ქალაქი გახლდათ (მეტი თვალსაჩინოებისათვის იხ. შესატყვისი რუკა ქართველ ისტორიკოსთა კოლექტიურ მონოგრაფიაში – „ყოველი საქართველო“ [ქართული სახელმწიფოს ისტორიული საზღვრები უძველესი დროიდან დღემდე] თბ., 2014).

რალა თქმა უნდა, თუ პოლიტიკური რომანტიზმი გამოძრავებს და დარწმუნებული ხარ, რომ რუსული სამოქალაქო ომის ქაოსში შენტვის ვერ მოიცლიან ვერც „წითლები“ და ვერც „თეთრები“ – ერთმანეთს რომ უღეტენ, ვერც დანარჩენნი – „უგზო-უკვლოდ რომ დატანტალებენ რუსეთის ტიალ მინდვრებზე“, – კი ისურვებ, რომ ისტორიულად შენს „ნიკოფსიაში“ (ქართული ყურთასმენის ესოდენ დამატკობელი: „ნიკოფსიიდან – დარუბანდამდე“) ქართული დროშა ფრიალებდეს.

ვაი, რომ მოიცაღეს: ჯერ „თეთრებმა“ და მერე „წითლებმა“! ხელისუფალთა „პოლიტიკური რომანტიზმი“ კი მწარე სინამდვილედ შემოუბრუნდა დემოკრატიულ საქართველოს: „სოხუმიდან მივიღეთ დეპეშა, რომ სოჭის მიმართულებით ჩვენი საქმე ცუდათაა, – ტელეფონით ატყობინებს მაზნიაშვილის სამხედრო მინისტრის მოადგილე („ამხანაგი“, როგორც მაშინ წერდნენ) გედევანიშვილი, – დენიკინის ჯარები თავს დაესხა სოჭაში ჩვენს გარნიზონს, იარაღი აპყარა და ტყვედ წაიყვანა იგი, გენერალ კონიაშვილთან ერთად. შემდეგ წინ წამოიწიეს, გაგრა დაიკავეს და სოხუმის აღებას აპირებენ“ (მაზნიაშვილი 1927: 136-137).

სიტუაციას კიდევ უფრო ართულებდა ახალციხის მაზრის მოსახლეობის აჯანყება, სადაც, გენერალ მაყაშვილის თქმით: „მთავრობის დაბალმა ადმინისტრაციულმა აპარატმა, ჯერ-ერთი, თავის მოუმზადებლობით და, მეორე, თავისი ტლანქი და მოურიდებელი ქცევით და ადგილობრივი ადათებისა და ჩვეულებების

ბების შელახვით ისე გააბოროტა მთელი მცხოვრებნი, რომ ისინი მზად არიან მიეკედლონ ყველას, ვინც კი დაიფარავს მათ ამ „მხეცებისაგან“, როგორც უნოდებდნენ ადგილობრივი მცხოვრებნი მთავრობის კომისრებს...“ (იქვე, გვ. 134).

„თეთრ“ გენერლებთან (ჯერ ალექსეევთან, შემდგომ კი – დენიკინთან) დამოუკიდებელი საქართველოს ურთიერთობის კანონზომიერებასთან დაკავშირებით, საინტერესოა ინგლისელი ისტორიკოსის – ერიკ ლის მოსაზრება: „დენიკინი არანაირ გარანტიას არ აძლევდა ქართველებს, რომ მათ თვითგამორკვევის უფლებას სცნობდა. ჩანდა, მისი მიზანი მხოლოდ ბოლშევიზმის დამარცხება და მოსკოვის ხელში ჩაგდება არ იყო და ძველი ცარისტული იმპერიის განაპირა რეგიონების ამბოხებული ნაციონალური ჯგუფების დამორჩილებაც ჰქონდა განზრახული. ნითლებზე გამარჯვებაში დარწმუნებული დენიკინი არ აპირებდა, მათგან ტერიტორიებდაკარგული რუსეთი მიეღო მემკვიდრეობად. მას იმპერიის აღდგენა სურდა – ერთიანი იმპერიის. მისი ძალები ბოლოს ქართველებს შეეჯახნენ. ეს გარდაუვალი იყო“ (ლი 2018: 129).

აქ ერთი დაზუსტებაა საჭირო: დენიკინის არმიას ბოლშევიკებთან რომ გაემარჯვა, საქართველოსთან მისი შემდგომი ურთიერთობა, უთუოდ, ერიკ ლის სცენარით წარმართებოდა. მაგრამ, 1918-1919 წლებში, ნითელ არმიასთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩართულ „თეთრებს“ ნამდვილად არ აწყობდათ ნეიტრალური საქართველოს მტრად გადაკიდება (ეს „ნეიტრალურობაც“ უფრო დიპლომატიური იყო, ვინემ რეალური, რადგან ქართული მხარე, დროდადრო, იარაღით ამარაგებდა დენიკინელებს). ზემოთქმულს ადასტურებს გენერალ მაზნიაშვილის მოგონებებში ჩართული სტენოგრაფა 1919 წლის 25-26 სექტემბერს ეკატერინოგრადში (შემდგომში „კრასნოდარი“ დაერქვა) გამართული მოლაპარაკებებისა, რომლებშიც „ყუბანის მთავრობასა“ და „დობრარმიას“ (ანუ – „მოხალისეთა არმიას“) წარმოადგენდნენ გენერლები ალექსეევი და დენიკინი, ხოლო ქართულ მხარეს – საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი გეგეჭკორი და გენერალი გიორგი მაზნიაშვილი (იხ. გიორგი მაზნიაშვილი, „მოგონებანი“ (1917-1925), ტფილისი, 1925 წ. გვ. 80-112). ამ მოლაპარაკებათა მიმდინარეობაზე და შედეგებზე საგანგებოდ

ამახვილებს ყურადღებას იელის უნივერსიტეტის პროფესორი, ფირუზ ქაზემზადე თავის კაპიტალურ მონოგრაფიაში – „ბრძოლა ამიერკავკასიისათვის (1917-1921)“. მოლაპარაკებათა უშედეგო ფინალს იგი ასე აღწერს: „...ალექსეევმა ათნუთიანი შესვენება გამოაცხადა, რის შემდეგაც იკითხა, თანახმანი იყვნენ თუ არა ქართველები სოჭის დათმობაზე. გეგეჭკორი მტკიცედ იდგა. სოჭი ქართველებს უნდა დარჩენოდა, განაცხადა მან. რაკი შეთანხმება შეუძლებელი იყო, ალექსეევმა კონფერენცია დასრულებულად გამოაცხადა. მისი გამოსვლა საქართველოს მიმართ შეფარულ მუქარასა და თან ერთგვარ დაპირებასაც შეიცავდა, როცა ამბობდა, გერმანელები ვერ შეძლებენ თქვენი ქვეყნის პურით მომარაგებას, მოხალისეთა არმია კი შეძლებს“ (ქაზემზადე 2016: 293).

1918 წლის 26 სექტემბრის ბოლოს ევგენი გეგეჭკორმა, ჩრდილოეთში/ეკატერინოგრადში ორი გააფთრებული რუსი გენერალი რომ დატოვა, ორ კვირაში შემაშფოთებელი ცნობები მოვიდა სამხრეთიდან/სომხეთიდან: „უთანხმოება ორ მთავრობას შორის დაიწყო 18 ოქტომბრიდან, – იგონებდა გენერალი მაზნისაშვილი, რაც დამთავრდა იმით, რომ – 13 დეკემბერს სომხებმა დაიწყეს საომარი მოქმედება ჩვენს მარჯვენა ფრთაზე, სოფ. ვორონცოვკასთან, კამენკასთან და პრივოლნოესთან“ (მაზნისაშვილი 1927: 118-119).

და მაინც, დღევანდელი გადასახედიდან ძნელია გავიზიაროთ ფრანგი სამხედრო და საზოგადო მოღვაწის რემონ დიუგეს აზრი, რომ რუსეთის მიერ საქართველოს ხელმეორედ დაპყრობა დიდწილად ქართველივე პოლიტიკოსებისა და გენერალიტეტის შეცდომებმა განაპირობა. დიუგე, რომელიც 1919-1924 წლებში ცხოვრობდა საქართველოში და 1927 წელს პარიზში გამოსცა ქართველობისადმი გულწრფელი თანაგრძნობით გამსჭვალული წიგნი – „მოსკოვი და წამებული საქართველო“, როგორც ჩანს, მაინც ცდებოდა და ევროპისაგან ზურგშექცეული საქართველოს ბედი გადაწყვეტილი იყო. ნოე ჟორდანის მთავრობა, საუკეთესო შემთხვევაში, რამდენიმე თვით თუ გადაავადებდა რუსულ ანექსიას.

საქართველოს „გასახტოებისა“ და ევროპიდან სამშობლოში დაბრუნების შემდეგ (1924 წლის მარტში) თავისი ოთხწლიანი ნებაყოფლობითი „შინაპატიმრობისას“, ნიკო ნიკოლაძე, რა-

ლა თქმა უნდა, ხშირად ფიქრობდა ყოველივე ამაზე. მწარედ გამოემშვიდობა იგი იმ ილუზიასაც, რომ ოდესმე იარსებებს ქვეყანა, რომელსაც „გონიერი მწერლობა წინამძღვრობს“ და იმ მითსაც „ქართველთა უმარცხებლობის“ თაობაზე, რომლის სასწაულმოქმედ ძალაშიც ესოდენი პათოსით არწმუნებდა თავის თავსაც და თავის თანამემამულეებსაც. რაღა თქმა უნდა, ფიქრობდა მის მიერ უკვე „დამარხული“ ბოლშევიზმის გამარჯვების საიდუმლოზე და ვგონებ, უამრავ ვერსიათაგან, ყველაზე დამაჯერებლად ნიკოლოზ ბერდიავის დაკვირვება მიაჩნდა: „ბოლშევიზმმა არაფერი დაიშურა თავისი ზეობისათვის. ისარგებლა ლიბერალურ-დემოკრატიული ხელისუფლების უძლეურებით, მისი სიმბოლიკის უსარგებლობით ამბოხებული მასის დასაოკებლად. მან ისარგებლა იმით, რომ ობიექტური მიზეზებით შეუძლებელი გახდა გავრცელება ომისა, რომლის პათოსიც უიმედოდ განილია, ისარგებლა ჯარისკაცების გაბეზრებით და მათ მშვიდობის ამბავი ამცნო. მან ისარგებლა გლეხობის სიდუხჭირითა და უკმაყოფილებით და ფეოდალიზმის ნარჩენებისა და თავად-აზნაურობის ბატონობის დამხობით, მთელი მინა მათ გადასცა. მან ისარგებლა ზემოდან დესპოტური მმართველობის რუსული ტრადიციებით და იმ უჩვეულო დემოკრატიის ნაცვლად, რომლის არანაირი ჩვევები არ არსებობდა, იმ თვისებებით, სეკულარიზებულ ბურჟუაზიულ საზოგადოებას ყველაფერში რომ ეწინააღმდეგებოდა, ისარგებლა მისი რელიგიოზურობით, მისი დოგმატიზმითა და მაქსიმალიზმით, მისი ძიებებით – სოციალური სამართლიანობისა და მინაზე ღვთის სასუფეველისა, მსხვერპლშენირვისა და ჭირთათმენის მისი უნარით, მაგრამ ისარგებლა აგრეთვე მისი უხეშობისა და სისასტიკის გამოვლინებებითაც, ისარგებლა რუსული მესიანიზმით, ყოველთვის რომ რჩება, თუნდაც გაუცნობიერებელი სახით რუსის რწმენაში რუსეთის განსაკუთრებული გეზის შესახებ“ (ბერდიაევი 1990: 115).

ასეთი ფიქრებს აღძრავს ნიკო ნიკოლაძის – „რუსეთის დამხობა და საქართველოს ბედი“. ცოტა მეგულება ერთი საუკუნის წინ დაწერილი პუბლიცისტური წერილი, დღეს ასეთი ინტერესით რომ იკითხებოდეს და თან ასეთი ჭკუის სასწავლებელი იყოს – ისტორიზმის თავისი განცდითაც, ეროვნული ღირსების მამკვიდრებელი სულითაც, თავისი ღრმა წვდომებითაც და თავისი „უკვდავი“ ილუზიებითაც...

შენიშვნები:

1. ამავე თემაზე არანაკლები პათოსით ლაპარაკობდა პავლე ინგოროყვა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების 1918 წლის 7 თებერვლის სხდომაზე წაკითხულ მოხსენებაში: „კავკასიის“ ქვეყნების ტერიტორიული გამიჯვნის გამო: „ჩვენ სრულიად უქმად ჩავატაეთ წარსული საბედისწერო წელი, წელი – რომელსაც ინტენსივი შემოქმედების ნიშნის ქვეშ უნდა გაველო. ჩვენ გადავადგეთ ჩვენი ეროვნული ენერჯია ჯერ რუსეთუმეს, თუმცა უკვე ადრევე ნათელი გახდა ამისი უმიზნობა; ჩვენ აგრეთვე გაკრეტილებულის სიმტკიცით შევრჩით იორელიგატი ამიერკავკასიის მთლიანობის იდეას, მაშინ როდესაც „ამიერკავკასიის“ ხაზის გვერდით ჩვენ გვმართებდა ეროვნული ხზის ალებაც, გვმართებდა არდაყოვნება ეროვნული თვითორგანიზაციით, მით უფრო, რომ ღმერთმა გვარგუნა საბედისწერო გეოგრაფიულ მიჯნაზე ყოფნა და მცირეოდენი ცვალება საერთაშორისო განწყობილებაში ამ კატაკლიზმების დროს, ჩვენ გვიქადა და სრულს განადგურებას, ან ველური ურდოების წინ ქედისმოხრას. და ჩვენ დავიგვიანეთ კიდეც“ (იხ. <http://ai-ia/info/online-arqivi/pavle-ingorokva-kavkasiis-qveknebis-meritoriis-gamijvnis-gamo.htm>).

ღამონათქანი:

ავალიშვილი 1926: ავალიშვილი ზ. *საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში*. ტფილისი: გამომცემლობა „ზაკკნიგა“, 1925.

ბაქრაძე 1989: ბაქრაძე ა. *ნიკო ნიკოლაძე*. თბილისი: გამომცემლობა „ნაკადული“, 1989.

ბერდიაევი 1990: Бердяев Н.А. *Истоки и смысл русского коммунизма*. М.: 1990 (თარგმანი – სტატიის ავტორის).

ლი 2018: ლი ე. *ექსპერიმენტი – საქართველოს მივიწყებული რევოლუცია*. თბილისი: გამომცემლობა „პოეზია“, 2018 (თარგმანი – ქეთი ქანთარია).

მალაფერიძე 1991: მალაფერიძე თ. *ძალადობა, შიში, სიცრუე*. აღმ. „კრიტიკა“. № 2. თბილისი: 1991.

მაზნიაშვილი 1927: მაზნიაშვილი გ. *მოგონებანი (1917-1925)*. ტფილისი: სახ. გამომცემლობა, 1927.

ტრუბეცკოი 1999: Трубецкой Н.С., О Народах Кавказа. Трубецкой Н.С., *Наследие Чингисхана*. М.: «Аграф», 1999, с.105-107 (ქართული თარგმანი გია ჯოხაძის ნიგში: „ვეროპული საცდური. პოლიტიკურ-ისტორიული და ფილოსოფიური ასპექტები“. თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“, 2015. გვ.217-222).

ქაზემზადე 2016: ქაზემზადე ფ. *ბრძოლა ამიერკავკასიისათვის*. თბილისი: გამომცემლობა „პოეზია“, 2016 (თარგმანი – ქეთი ქანთარია).

ჯანელიძე 2010: ჯანელიძე ო. *უკანასკნელი თერგდალეული*. თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“, 2010.

ჯანელიძე 1998: ჯანელიძე ო. *ნიკო ნიკოლაძე (ბიოგრაფიიდან ამოხეული ფურცლები)*. თბილისი: თსუ-ს გამომცემლობა, 1998

NINO BALANCHIVADZE

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

The Illusions Crashed by the Oral Histories

It is acknowledged that people (Homo Sapiens) are intelligent and is in constant conflict between the values of individualism and socialism. The essence of this confrontation along with variety of material is preserved in the oral histories as well, in which the freedom of the individual in a different forms is infringed by the regime pursued by the states.

Various documentary materials, though, preserved the reality of the time, but unlike them, the oral histories are protected from fraud. This is important for the future generation – to properly assess the past and draw the correct conclusions in order to break all the illusions that embellish his emotions.

Key words: The Illusions Crashed by the Oral Histories.

ნინო ბალანჩივაძე

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ზეპირი ისტორიებით დამსხვრეული ილუზიები

აღიარებულია, რომ ადამიანი (Homo Sapiens) გონიერია და ინდივიდუალობისა თუ სოციალურად დამორჩილების ღირებულებებს შორის მუდმივ კონფლიქტში ცხოვრობს. ამ დაპირისპირების არსი კი ყველაზე მეტად შემოინახა ზეპირმა ისტორიებმა, რომლებშიც ნათლად არის წარმოდგენილი ამა თუ იმ სახელმწიფოში გამეფე-

ბული რეჟიმის მიერ სხვადასხვა ფორმით ხელყოფილი ერისა ან// და პიროვნების თავისუფლება.

ამ მხრივ საინტერესოა საბჭოთა ეპოქის ბატონობის პერიოდში ქართული ისტორიის კუთვნილებად ქცეული რეალურად არსებული გმირების თავგადასავალი, რაც ნათელ წარმოდგენას ქმნის, ერთი მხრივ, თუ როგორ ხდება ტოტალიტარული რეჟიმით გამოწვეული ტრაგედიის მსხვერპლი ხელისუფლების მარიონეტი ისე, რომ თავადაც ვერ ხვდება ამას და, მეორე მხრივ, ადამიანის გონებით მხილებული ილუზიები როგორ აცოცხლებს ჩვენი ქვეყნის უახლოეს ისტორიას, რომელიც ყველაზე მეტად სანდოა და გაყალბებისაგან დაცული.

აჭარაში მცხოვრები ერთ-ერთი რესპოდენტი იხსენებს სტალინის გარდაცვალების დღეს და ზეპირად, უშეცდომოდ კითხულობს მთელ ნეკროლოგს, თუმცა ვერ ხსნის, რატომ ახსოვს ზეპირად ეს ტექსტი, ან რატომ ანგრევენ, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „თხრიან“ სტალინის ძეგლებს დღეს (ზეპირი ისტორიები, გადმოცემები 2010, ფილმი №3).

სხვა რესპოდენტი კი იხსენებს ბებუის მიერ ჩუმად ნათქვამ სიტყვებს: „ძალიც მიაკვდა სულშიო“ (ზეპირი ისტორიები, გადმოცემები 2010, ფილმი №3), თან ღიმილით იტყვის: „ძალიან სძულდა კომუნისტები!“

ნებისმიერი მოვლენა ახალგაზრდა ადამიანის ცნობიერებაში „წარსულ დროდ“ აღიქმება, უფროსი თაობის წარმომადგენლისათვის კი „ანწყო დროის“ ცნებაა არა იმიტომ, რომ პირადი მოგონებები აკავშირებს, არამედ იმიტომ, რომ თავისი კულტურით მასთან არის წილნაყარი, თუმცა ეს დამოკიდებულია არა მხოლოდ იმაზე, რომელ თაობას ეკუთვნის კაცი, არამედ იმაზე, რა იცის მან. ამიტომ აუცილებელია ზეპირი ისტორიების შესწავლა და ანალიზი, რათა ადამიანს ანწყოს განჭვრეტა არ გაუჭირდეს და ილუზიების ტყვეობაში არ აღმოჩნდეს.

ერთ-ერთი რეპრესირებული ყვება, რომ ბელადის გარდაცვალების დღეს, ყველა ქართველი შეკრიბეს, ფეხბურთის ერთ დიდ მოედანზე გაიყვანეს და მოასმენინეს სტალინის გარდაცვალების ამბავი. თან ცინიკურად უთხრეს: „თქვენი მამა-მარჩენალი გარდაიცვალა, ვერავინ გიპატრონებთო . ჩვენ კი ვტიროდით“. რატომ დღესაც ვერ ხსნიდა – სტალინის ხელისუფლების წყალობით იყვ-

ნენ ტუსალები და მაინც რომ გულით ტიროდნენ. აქვე დასძენს, რომ დიდი ზენოლა იყო ქართველ პატიმრებზე, რადგან სტალინი ქართველი იყო და თითქოს ეს რაიმე შეღავათს აძლევდა ქართველებს და საქართველო გადასახსლების მონაწილე იყო, თუმცა ყველაზე მეტი ტუსალი ქართველი იყო (ზეპირი ისტორიები, გადმოცემები 2010: 9) უფრო მეტი ცინიზმი ჩანს, როცა გადასახლებაში გარდაცვლილი ტუსალის შვილს გათავისუფლებული და შეწყალებული მამის სახლში დასაბრუნებლად მგზავრობისათვის 300 მანეთს სთხოვენ და ცოცხალი მამის ნაცვლად გარდაცვლილი მამის სამოსს აგზავნიან ამანათით (ზეპირი ისტორიები, გადმოცემები 2010: 318). ყოველგვარ საზღვარს სცდება ხრუშჩოვის მიერ ძველი ჩეკისტების საჩვენებელ სასამართლოზე ერთ-ერთი გამომძიებლის მიერ 13-14 წლის ბავშვის სადისტური წამების აღიარება, რომ მას ყური ბრიტვით აათალა (თითქოს მამამისსა და მის ამხანაგებს სტალინის მოკვლა უნდოდათ) შენობის არა მესამე სართულზე, არამედ მეოთხეზე (ზეპირი ისტორიები, გადმოცემები 2010: 247).

ამ შემთხვევაში, ერთი მხრივ, თუ ცინიზმი ჩანს, მეორე მხრივ, – რწმენა იმისა, რომ სწორად იქცეოდა. რატომ? ამ შემთხვევაში, გამომძიებელი ისევე როგორც ტოტალიტარული რეჟიმის დამცველი, იზიარებს ყელასათვის ცნობილ გამონათქვამს „სახელმწიფო ეს მე ვარ!“, რაც სახელმწიფოსა და ხელისუფლებას ერთმანეთთან აიგივებს, როცა დემოკრატიულ ქვეყნებში ეს ორი რამ მკვეთრადაა ერთმანეთისაგან გამიჯნული. სახელმწიფო ინსტიტუტები (ჯარი, სახელმწიფო ფინანსები, განათლების სისტემა და ა.შ.) გამიჯნულია ხელისუფლებისგან, ანუ იმ პირთაგან, რომლებიც ხალხის ნებით მართავენ ამ ინსტიტუტებს. ამას ემსახურება საჯარო მოხელეთა ინსტიტუტი, რომელიც უცვლელი რჩება ხელისუფლების ნებისმიერი ცვლილების შემთხვევაში. იცვლება რამდენიმე ზედა რგოლის წარმომადგენელი, მაგრამ სხვა მოხელეები ადგილზე რჩებიან.

საპირისპირო ვითარებაა ტოტალიტარული სისტემის დროს. იქ სახელმწიფო და ხელისუფლება (და ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლები) ერთმანეთს უტოლდება. ამ დროს ხელისუფლების წარმომადგენლებს სახელმწიფო პრივატიზებული აქვთ და, ვინც სახელმწიფო ინტერესების დაცვას შეეცდება, უნდა თუ არა, წინააღმდეგობაში მოვა ხელისუფალთა ვინრო ინტერესებთან.

ტოტალიტარიზმის მიზანია ადამიანის სრული გარდაქმნა იდეოლოგიური წყობის შესაბამისად. პიროვნების შეცვლა ხდება მის აზროვნებაზე მკაცრი კონტროლის დაწესებით და, აქედან გამომდინარე, მის ქმედებაზეც. ტოტალიტარიზმი კარნახობს ყველას, როგორ უნდა იფიქრონ და ითხოვს მათგან უსიტყვო მორჩილებას, რაც ნიშნავს ინდივიდუალობის, პიროვნული საწყისის გაქრობას. ამ მოვლენამ საკმაოდ ღრმა კვალი დატოვა საზოგადოებაში თითოელის, ე.წ. მსხვერპლის, შინაგან სამყაროზე. ზოგი თუ შიშითა და მორჩილებით ეგუებოდა არსებულ ვითარებას, ზოგი უმჯობეს სამყაროში ყოფნას-სიკვდილს ამჯობინებდა, ამიტომ ამ რეპრესირებული ოჯახის წევრები თვლიდნენ, რომ უდანაშაულო ვერ იქნებოდნენ, რადგან საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ აზროვნებდნენ. ერთ-ერთი რესპოდენტი აღნიშნავს, რომ მისი ბაბუა შეძლებული გლეხი იყო, ვერ იტანდა ზარმაცებს. ახალი ხელისუფლება კი ზარმაცებს მფარველობდა და მშრომელ ხალხს, რომელიც თავისი შრომით უკეთ ცხოვრობდა,აკულაკებდა (ზეპირი ისტორიები, გადმოცემები 2010, ფილმი №3).

რეჟიმის მოწინააღმდეგეები მუდმივ შიშში ცხოვრობდნენ: ეშინოდათ რაიმე შეცდომის დაშვებისა, რომლის გამოც ცხადი გახდებოდა მათი ნამდვილი შეხედულებები და საფრთხის ქვეშ დადგებოდა მათი და მათი ოჯახის წევრების სიცოცხლე. უდანაშაულოდ დაპატიმრებული ერთ-ერთი ოჯახის მამა, სთხოვს მეუღლეს, რომ არაფერი თქვას, მეზობლებმა არ გაიგონ, ხმა არ ამოიღოს, ისიც რომ არ დაიჭირონ. იცოდა ეს ყოველივე ხელისუფლებამ და ამიტომაც ერთ-ერთი მილიციელი მკაცრად აფრთხილებდა რეპრესირებული ოჯახის წევრებს, ხმა არ ამოეღოთ, თუ არა და მათაც დაიჭერდნენ (ზეპირი ისტორიები, გადმოცემები 2010: 189). თუმცა იყო ჩუმი პროტესტიც, რომლის მოსპობაც ტოტალიტარულმა რეჟიმმა ვერ მოახერხა. ერთ-ერთმა რესპოდენტმა აღნიშნა, რომ მისმა ბებია პროტესტის ნიშნად პენსია არ დაინიშნა: „მე ამ ქვეყნის არაფერი მინდაო“. ამასთანავე, ისეთ ადგილას არის დასაფლავებული, რომ არ დაფიქსირებულიყო; რომ ვინმეს სცოდნოდა (ზეპირი ისტორიები, გადმოცემები 2010: 154). კომუნისტები თუ თვლიდნენ, რომ თებერვალი საბჭოთა საქართველოს დიადი განთიადი იყო, ქართველი მანაც უბედირების მომტანად მიიჩნევდა: „უბედურების

ორი მწვერვალი, კრწანისის ველი და თებერვალი“ (ზეპირი ისტორიები, გადმოემები 2010: 48).

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ყველა გაურბოდა რეპრესირებული ოჯახის წევრებს, რათა თვითონაც არ გამხდარიყვნენ რეჟიმის მსხვერპლი. ეს შიში ექსპედიციის დროსაც შეინიშნებოდა, ზოგჯერ საკუთარ გვარსა და სახელსაც არ ამბობდნენ, რათა კვლავ არ დაეჭირათ. დაწვრილებით გვეკითხებოდნენ, სად დაიბეჭდებოდა მათი ნაამბობი, როდის, რატომ გვანტერესებდა მათი ისტორიები და მხოლოდ ქართული სტუმარმასპინძლობით თუ აიხსნებოდა მათი კეთილგამწყობა და სანდომიანი მორიდებული საუბარი.

იყო შემთხვევები, როცა რეპრესირებული ვერც კი ხვდებოდა ბრალდების არსს. ერთი რეპრესირებულის შვილი იხსენებს, რომ დედამისთან ერთად იჯდა ძალიან მოხუცებული ქალი, რომელიც კითხვაზე, რატომ იყო დაპატიმრებული, პასუხობდა: „ტროსტიო, შვილო, ტროსტიო, ჩემს სიცოცხლეში ტროსტი ხელშიც არა მჭერიო და ხელი კი მომანერინესო“. ე,ი, ტროცკისტი ხარო, მაგრამ არც კი იცოდა, ვინ იყო ტროცკიო (ზეპირი ისტორიები, გადმოცემები 2010: 67).

რეპრესირებული ადამიანების სხვადასხვა ისტორიის მოსმენით ნათელი ხდება, რამდენად განიცდიდა თითოეული მათგანი საკუთარ თავგადასავალს, ამასთანავე, გული წყდებოდათ, რომ უსამართლოდ ექცეოდნენ, თუმცა იყო შემთხვევები, როცა აღიარებდნენ, რომ „დიახაც, დამნაშავეები ვიყავით, იმიტომ რომ ეს ხელისუფლება იყო ზარმაცების, არაფრისმქონე ადამიანების წახალისების ხელისუფლება!“ ვინც მშრომელები იყვნენ და ვისაც საკუთარი გარჯით ჰქონდათ მოპოვებული ქონება, მათ ართმევდნენ და ზარმაც არაფრისმქონე ადამიანს აძლევდნენ. ამიტომაც უმეტეს შემთხვევაში თავად რეპრესირებულებსა და მათი ოჯახის წევრებს სწამდთ, რომ დასმენისა და ამა თუ იმ ადამიანების პირადი ინტერესის მსხვერპლნი იყვნენ.

ცნობილია, რომ გადასახლებაში მყოფი ოჯახების საკუთრებას (სახლი იქნებოდა თუ სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ნივთი) გადასცემდნენ პარტიის ერთგულ, პარტიისათვის მისაღებ ან// და ამა თუ იმ თანამდებობაზე მყოფ ადამიანების ოჯახებს. ზოგი თვლიდა, რომ დამსახურებულად იღებდა ამ პრივილეგიას, ზოგი კი უარს აცხადებდა და საკუთარი გარჯით აგრძელებდა ცხოვრობას

(აღნიშნული „დამსახურება“ დღევანდელი ე. წ. ინტელიგენციის ნა-წილისათვისაც მისაღებია და თვლის, რომ სახელმწიფო ვალდებულია ეს პრივილეგია მიაკუთვნოს).

ერთ-ერთი მთქმელი იხსენებს, როგორ გაჰყვა მეგობარს მიჯნურთან სახლში და იქ მისულმა როგორ ნახა თავისი ოჯახისა და ნათესავების ნივთები. მან თავი ვერ შეიკავა და ემოციურად ხმამაღლა განაცხადა, რომ სახლიც, როიალიცა და ნივთებიც მისი და მისი ნათესავის იყო და რომ მათ აქ არაფერი ეკუთვნოდათ. მისივე თქმით, რა თქმა უნდა, მათ ხმა ვერ ამოიღეს და მიჯნურებიც დაშორდნენ ერთმანეთს (ზეპირი ისტორიები, გადმოცემები, 2010, ფილმი №3), არანაკლებ საინტერესოა სხვა ისტორიაც, როცა ცხრა სულიან ოჯახს მაშინდელ ენგელსის ქუჩაზე მიაკუთვნეს სამ-ოთახიანი საცხოვრებელი ბინა, მაგრამ ბინის სანახავად მისულს ჯერ კიდევ ცხელი ჩაიდანნი უნახავს და დაღონებული უკან გამობრუნებულია: „ვერ შევძელი, ჩაიდანნი ჯერ კიდევ ცხელი იყო“ – განუცხადა მეუღლეს.

მოსახლეობაში ამგვარი გამონათქვამიც ყოფილა გავრცელებული: „კარგი ბინა ცუდია, ცუდი ბინა კარგია!“ – და ამ გამოთქმას ამგვარი ახსნა ჰქონდა: ვისაც კარგი ბინა ჰქონდა, ამ ბინის მისაკუთრების მსურველიც ბევრი იყო და ყველაფერს აკეთებდა, რომ ხელში ჩაეგდო იგი. ვისაც ცუდი ბინა ჰქონდა, კარგის ნიშანი იყო, რადგან ბინის გამო არავინ დაასმენდა. თუმცა თუ ლამაზი ცოლი ჰყავდა ან სასურველი სამსახური ჰქონდა, მასაც არ ელოდებოდა კარგი დღე (ზეპირი ისტორიები, გადმოცემები 2010: 57).

ერთ-ერთმა რეპრესირებული ოჯახის წევრმა გაიხსენა, გადასახლებიდან დაბრუნებულმა მამამისმა როგორ მოძებნა ის გამომძიებელი, რომელმაც დაადანაშაულა მავმნებლობაში: კითხვაზე, მართლა სჯეროდა თუ არა, რომ ჭებს წამლავდა, შეშინებულმა და ატირებულმა გამომძიებელმა უპასუხა: „რა მექნაო, მოდიოდა სია, ხონის რაიონმა უნდა გადაასახლოს 100 კაცი. რეპრესირებულის შვილი აღნიშნავს, რომ იყო ბიზნეს პროექტი, როგორ ემუშავა უფასოდ ხალხს და სახელმწიფო როგორ გაძლიერებულიყო. კერძოდ, მოსახლეობის გარკვეული პროცენტი უნდა ყოფილიყო ციხეში, მხოლოდ დააპურებდნენ და ფულს არ გადაუხდიდნენ, ისე ამუშავებდნენ (ზეპირი ისტორიები, გადმოცემები 2010:158). ამ პოლიტიკის შედეგად, ერთი მხრივ, შიში ექნებოდა მოსახლეობას,

არ დაეპატიმრებინათ და, მეორე მხრივ, უსაფრთხოების გრძნობა გაუჩნდებოდათ. ამგვარად, ქვეყანაც გაძლიერდებოდა და სასურველი სიმშვიდეც გამეფდებოდა. ტოტალიტარულ სახელმწიფოებში გამეფებული სიმშვიდის ფასი არის სულის დაღუპვა, რადგან ეს მშვიდობა მიიღწევა მხოლოდ პიროვნული დამოუკიდებლობის, საკუთარი თავის პატივისცემისა და ადამიანური ღირსების დაკარგვით.

მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ბევრმა ვერ შეინარჩუნა ღირსება, კეთილშობილებისა და თანადგომის არაერთი ამბავი მოვისმინეთ – სიცოცხლის ფასად, მართალია, ჩუმად, მაგრამ მაინც ერთმანეთს ეხმარებოდნენ. ერთ-ერთი ისტორიის თანახმად პაპამ ქალიშვილისაგან მიიღო ღამის პერანგზე აჭრილი ნაჭერი, რომელზეც ეწერა, რომ გადაასახლეს, არ იცოდა, სად აგზავნიდნენ და, თუ შეეძლო, თანხით დახმარებოდა.

Stroińska 2003: Stroińska, Magda. "The Role of Language in the Re-Construction of Identity in Exile". *Exile, Language and Identity*. Eds. Magda Stroińska and Vittorina Cecchetto. Frankfurt am Main: Peter Lang, 2003: 95-109.

Tomlinson 1991: Tomlinson, John. *Cultural Imperialism: A Critical Introduction*. London: Pinter, 1991.

Trepanier 2011: Trepanier, Lee, and Khalil M. Habib. "Introduction". *Cosmopolitanism in the Age of Globalization: Citizens Without States*. Eds. Lee Trepanier and Khalil M. Habib. Lexington: The University Press of Kentucky, 2011: 1-10.

Werbner 2008: Werbner, Pnina. "Introduction: Towards a New Cosmopolitan Anthropology". *Anthropology and the New Cosmopolitanism: Rooted, Feminist, and Vernacular Perspectives*. Ed. Pnina Werbner. Oxford and New York: Berg, 2008: 1-32.

West 1974: West, Morris Langlo. *Harlequin*. New York: William Morrow, 1974.

West 1979: West, Morris Langlo. *Proteus*. New York: William Morrow, 1979.

West 1991: West, Morris Langlo. *The Ringmaster*. London and Melbourne: William Heinemann, 1991.

MAKA ELBAKIDZE

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Political Illusions of Georgian Emigration During the Second World War

The outbreak of World War II caused nonuniform response in Georgian emigration. One part dominated by Social Democrats, regarded Great Britain and France as their allies while the other part considered the defeat of the Soviet Union with Nazi Germany as the only means of restoring the independence of Georgia.

Among the Georgian émigrés living in Germany there were individuals who enjoyed the special trust, political influence and authority of high-rank-

ing officials of the Nazi government. Among them was a leader of the Georgian emigration, Mikheil Kedia who believed that the liberation of Georgia from Bolshevik annexation was possible only with the support of the Nazi Germany.

On the basis of the documents found in the archives of Italy, it is shown in the paper how the roads of Mikhail Kedia and another Georgian emigrant, the famous theologian and Kartvelologist Mikheil Tarkhishvili were intersected during the World War II. The cherished dream of both was the restoration of the independence of Georgia, but they choose different ways to achieve the goal, although the efforts of both proved futile.

Key words: World War II, Mikheil Tarkhishvili, Micheil Kedia, Georgian emigrant's struggle against the Bolsheviks, Gestapo, Vatican.

მაკა ელბაქიძე

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ქართული ემიგრაციის პოლიტიკური ილუზიები მეორე მსოფლიო ომის წლებში

II მსოფლიო ომის დაწყებამ ქართულ ემიგრაციაში არაერთ-გვაროვანი რეაქცია გამოიწვია. ევროპაში იძულებით გადასახლებულ ქართველთა ერთი ნაწილი, რომელთა შორისაც სოციალ-დემოკრატები სჭარბობდნენ, გერმანიას უნდობლად უყურებდა და თავის მოკავშირედ დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთს მიიჩნევდა, მეორე ნაწილს კი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ერთადერთ საშუალებად საბჭოთა კავშირის ნაცისტურ გერმანიასთან დამარცხება მიაჩნდა. „ქართველები იმედოვნებდნენ, საჭიროების შემთხვევაში გერმანელებზე სასიკეთო ზეგავლენა მოეხდინათ. იმ ხანებში გავრცელებული აზრის მიხედვით, გერმანია კავკასიის მიმართ I მსოფლიო ომის დროინდელ პოლიტიკას გააგრძელებდა. დამოუკიდებლობის იმედი კიდევ უფრო გაძლიერდა, როდესაც გერმანელებმა II მსოფლიო ომის დროს დაიკავეს ჩრდილო კავკასია. აქ გერმანია განსხვავებულ პოლიტიკას ატარებდა, ვიდრე მის მიერ ოკუპირებულ აღმოსავლეთ ტერიტორიებზე, სადაც მკვიდრი მოსახლეობა ჰიტლერის ანტიჰუმანური კანონების გამო სამინელ ტანჯვას განიცდიდა“ (გაბლიანი 1998: 9).

თავის მხრივ, გერმანიამაც თავის სასარგებლოდ გამოიყენა საბჭოთა კავშირის ფარგლებში მცხოვრები კავკასიისა და აზიის ხალხების ნაციონალისტური და ანტიბოლშევიკური განწყობა. გერმანიის არმიის რიგებში შედიოდა რამდენიმე ეროვნული ლეგიონი. 1941 წელს ვერმახტის უმაღლესმა მთავარსარდლობამ სომხური და ქართული ლეგიონის შექმნის განკარგულება გასცა. ამ სამხედრო შენაერთში შედიოდნენ, ძირითადად, ემიგრანტები და ნითელი არმიის რიგებში მებრძოლი, ტყვედ ჩავარდნილი ჯარისკაცები. სულ „ჩამოყალიბებულ იქნა 13 აზერბაიჯანული, 12 სომხური, 12 ქართული და 8 ჩრდილოკავკასიური ბატალიონი. საერთო ჯამში, გერმანიის შეიარაღებულ ძალებში მომსახურე კავკასიელთა რიცხვი 100.000 ადამიანს აღემატებოდა“ (ჯავახიშვილი 2015: 102-105).

გერმანიაში მოღვაწე ქართველ ემიგრანტთა შორის იყვნენ პიროვნებები, რომლებიც ნაციისტური მთავრობის მაღალჩინოსანთა განსაკუთრებული ნდობით, პოლიტიკური გავლენითა და ავტორიტეტით სარგებლობდნენ, სახელდობრ: მიხეილ ახმეტელი – აღმოსავლეთის („ვანზეეს“) სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, ცნობილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე; ალექსანდრე ნიკურაძე – ევროპის კონტინენტური კვლევის ინსტიტუტის დირექტორი, გამოჩენილი ფიზიკოსი და გეოპოლიტიკოსი; ექიმი გიორგი მაღალაშვილი; ვერმახტის გენერალ-მაიორი შალვა მაღლაკელიძე; ქართული ქვედანაყოფის „ქართული ცხენოსანი SS“-ის ხელმძღვანელი, შტანდარტენფიურერი ფრიდონ ნულუკიძე; გერმანული შეიარაღებული ძალების ოფიცრები: დიმიტრი შალიკაშვილი, გივი გაბლიანი, მიხეილ ალშიბაია, მიხეილ ქავთარაძე; „კავკასიის საგანგებო შტაბის“ თანამშრომელი ალექსანდრე ცომაია; საქართველოს ყოფილი ელჩი გერმანიაში ვლადიმერ ახმეტელი; ქართული ნაციონალური კომიტეტის თავმჯდომარე მიხეილ წერეთელი; ენათმეცნიერი კიტა ჩხენკელი; პოეტი და პოლიტიკური მოღვაწე შალვა ამირეჯიბი, ასევე „აბვერისა“ და „გესტაპოს“ თანამშრომელი მიხეილ კედია (ჯავახიშვილი 2011: 42-43). ეს უკანასკნელი ჯერ კიდევ გასული საუკუნის 10-იან წლებში მთავრობის ხელშეწყობით გაემგზავრა ევროპაში უმაღლესი განათლების მისაღებად. სწავლობდა ჯერ ბერლინის, შემდეგ ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. თუმცა მასაც,

ბევრი ქართველი ახალგაზრდის მსგავსად, არ დასცალდა, რომ საზღვარგარეთ მიღებული ცოდნა და გამოცდილება დამოუკიდებელი საქართველოს წინსვლისა და განვითარების სამსახურში ჩაეყენებინა. მასაც, როგორც ათასობით მის თანამემამულეს, ემიგრანტის მძიმე ხვედრი არგუნა ბედმა, თუმცა არც ევროპაში გადასახლების შემდეგ დაუშურებია ძალისხმევა სამშობლოს დამოუკიდებლობის აღსადგენად. სხვადასხვა დროს იყო სოციალ-ფედერალისტთა და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიების წევრი, ორგანიზაცია „ეთერი გიორგის“ ერთ-ერთი დამაარსებელი, მონაწილეობდა „კავკასიის კონფედერაციის“ საქმიანობაში, თანამშრომლობდა ჰაიდარ ბამატის ჟურნალ „კავკასიასთან“. 1940 წლის შემოდგომაზე, როდესაც გერმანიის საგანგებო წარმომადგენელმა პარიზში მოქმედი ქართული წარმომადგენლობა გააუქმა, აუცილებელი გახდა ისეთი ავტორიტეტული პიროვნების მოძიება, რომელიც გერმანიის ხელისუფლების წინაშე ქართული ემიგრაციის დაცვას შეძლებდა. ეს მისია მიხეილ კედიას დაეკისრა. მან, მოგვიანებით ქართველ შინდლერად წოდებულმა, დეპორტაციისაგან იხსნა ქართველი მაჰმადიანები, გერმანელებს დაუმტკიცა, რომ ისინი ისლამის მიმდევარი ქართველები იყვნენ, ხოლო როცა ნაცისტებმა ქართველი ებრაელების დაპატიმრებებიც დაიწყეს (რეპრესირებულთა შორის მოხვდა საქართველოს ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის ყოფილი მოადგილე იოსებ ელიგულაშვილი, ეროვნული საგანძურის საფრანგეთში გატანის ერთ-ერთი ორგანიზატორი), მათი გათავისუფლება მხოლოდ ქართველი ემიგრანტების ჩარევითა და მიხეილ კედიას ძალისხმევის წყალობით გახდა შესაძლებელი. მიხეილ კედიამ შექმნა მითი, რომ ქართველ მაჰმადიანთა მსგავსად, ქართველი ებრაელებიც ეთნიკურად ქართველები იყვნენ, ხოლო რწმენით მოსეს რჯულის მიმდევარნი. ნოე ჟორდანიას, ალექსანდრე ქორქიას, კონსტანტინე კანდელაკის, ევგენი გეგეჭკორისა და მიხეილ კედიას მიერ გაყალბებული საბუთებით ათასზე მეტი ქართველი და ევროპელი ებრაელი გადაურჩა სიკვდილს. ამ თავგანწირვის გამო მიხეილ კედიამ პარიზის დიდი რაბინის, ვაისის, და ებრაული კულტურის ასოციაციის ხელმძღვანელის, მოსერის, მადლობა დაიმსახურა. შესაბამისად, როდესაც მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ ის გერმანელებთან თანამშრომლობის გამო სამხედრო დამნაშავედ გამოაცხადეს, თავისი უდანაშაულობის დასამტ-

კიციებლად მან ფიცის ქვეშ მისცა წერილობითი ჩვენება, რომელიც გამყარებული იყო შესაბამისი დოკუმენტებითა და იმ ადამიანთა მტკიცებულებებით, რომლებიც მან უეჭველი სიკვდილისგან იხსნა.

ქართული ემიგრაციის ერთი ნაწილის მსგავსად, მიხეილ კედიაც ფიქრობდა, რომ საქართველოს ბოლშევიკური ანექსიისგან განთავისუფლება ნაცისტური გერმანიის მხარდაჭერით შეიძლებოდა. მით უფრო, რომ ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირზე თავდასხმამდე, ანუ 1941 წლის ივნისამდე, ბერლინში შემუშავებული იყო საბჭოთა კავშირში შემავალი არარუსი ხალხების გადაბირების სპეციალური გეგმა, რომელსაც თავად ადოლფ ჰიტლერი კურირებდა. ნაცისტები იმედოვნებდნენ, რომ ამ ხალხების, მათ შორის ქართველების ეროვნულ გრძნობებზე თამაშით კრემლს მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებდნენ. მიხეილ კედიასაც, არაერთი მისი თანამოაზრე ემიგრანტის მსგავსად, სწორედ ამ თვალსაზრისით აძლევდა ხელს ნაცისტებთან თანამშრომლობა. რეიჰის უშიშროების მთავარი სამმართველოს საზღვარგარეთული დაზვერვის დივიზიონის რუსული ბიურო მჭიდროდ თანამშრომლობდა მის გარშემო თავმოყრილ ნაციონალისტებთან, რომლებმაც ბერლინში ერთგვარი „კვლევითი ინსტიტუტიც“ ჩამოაყალიბეს და რეიხის სამსახურში ჩააყენეს ქართულ დიასპორაში „ჩანერგილი“ საკონტაქტო პირები და იატაკქვეშა მოკავშირეები. რუსული ბიურო, რომელიც უალრესად მოსურნე იყო საბჭოთა კავშირიდან უტყუარი ინფორმაციის მიღებისა, მალე იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ამ ინფორმაციის მოპოვების საუკეთესო წყაროს ქართველები წარმოადგენდნენ. ამ მიზით და კედიას უშუალო შუამდგომლობით მომზადდა საქართველოში გადმოსახმელი პარაშუტისტთა ჯგუფი „თამარ პირველი“ და „თამარ მეორე“. 1943 წლის ოქტომბერში მისივე ხელმძღვანელობით დაარსდა „სამეკავშირეო შტაბი“, რომელსაც წესრიგში უნდა მოეყვანა ის სამხედრო ერთეულები, რომლებშიც ირიცხებოდნენ გერმანელთა ინიციატივით ბანაკებიდან გამოყვანილი ქართველები. მიუხედავად გერმანიის მთავრობასთან აქტიური თანამშრომლობისა, ქართული ემიგრანტული მოძრაობის ლიდერი არ ეთანხმებოდა „ნაცისტების მხეცურ პოლიტიკას“ და მეგობრობდა ჰიტლერთან დაპირისპირებულ გავლენიან გერმანელებთან. სწორედ მისი მრავალრიცხოვანი კონტაქტების იმედით, რომლებიც ისევ და ისევ ქართულ საქმეს უნდა მოხმარებოდა, დაუკავშირდა მიხეილ კედიას ცნობილი სა-

სულიერო პირი და თეოლოგი, მიხეილ (მიქელ) თარხნიშვილი. მას სასწრაფოდ ესაჭიროებოდა ბელგიის ვიზა ბრიუსელში გარდაცვლილი ქართველი ქალბატონის, სოფიო გოკიელის ანდერძთან დაკავშირებული ფორმალობების მოსაგვარებლად, გერმანიის მთავრობა კი მის მოთხოვნას უპასუხოდ ტოვებდა. კედია იოლად მოახერხა მამა მიქელის სამოგზაურო საბუთებით უზრუნველყოფა და სრული მზადყოფნა გამოთქვა, დახმარებოდა მღვდელს დიდი ხნის ოცნების ასრულებაში – ქალბატონი გოკიელის ნაანდერძევი თანხით რომში ქართული კათოლიკური კოლეგიუმის დაარსებაში. ეს იქნებოდა ერთგვარი რელიგიური კომუნა, რომლის კედლებშიც ქართველ ახალგაზრდებს მიეცემოდათ შესაძლებლობა, კათოლიკური სამყაროს წიაღში ეროვნული ფესვებისგან მოუნწყვეტლად მოეხდინათ თავიანთი კულტურული და ნაციონალური იდენტობის დემონსტრირება. სამწუხაროდ, ნაანდერძევი თანხა არ აღმოჩნდა საკმარისი ამ ჩანაფიქრის განსახორციელებლად, მაგრამ კედია დაარწმუნა მღვდელი, რომ სხვა წყაროებიდან შეძლებდა დამატებითი დაფინანსების შოვნას. ამ მიზნით კედია დაუკავშირდა გერმანიის საელჩოს რომში და რეკომენდაცია გაუწია მამა მიქელს პოლიციის ატაშესთან, სს-ის ობერშტურბანფიურერ ჰერბერტ კაპლერთან. ამავედროულად, მიხეილ კედია ესაუბრა თავის მეგობრებს Amt VI –იდან (რეიჰის უშიშროების ადმინისტრაციის ერთ-ერთი განყოფილება) თარხნიშვილის გეგმების შესახებ. ქართველ ნაციონალისტთა ლიდერი ხვდებოდა, რომ მისი „პროექტი“ ერთნაირად დააკმაყოფილებდა ორივე მხარის ინტერესებს: ერთი მხრივ, რეიჰის უშიშროების მთავარი სამმართველოს მიერ გაღებული თანხებით მიქელ თარხნიშვილი შეიძენდა შენობას ქართული კოლეგიუმისთვის და ასრულებდა თავისი დიდი ხნის ოცნებას, მეორე მხრივ, გერმანელებს მიეცემოდათ შესაძლებლობა, გამოეყენებინათ კოლეგიუმი სადაზვერვო და პროპაგანდისტული მიზნებისთვის. საბოლოო ჯამში, ეს ყველაფერი სასიკეთოდ წაადგებოდა ქართულ ნაციონალიზმს. გულმხურვალე კათოლიკესა და პატრიოტის, მიქელ თარხნიშვილის ძალისხმევით კოლეგიუმი მალევე გახდებოდა ქართული ეროვნული იდენტობის ერთგვარი სიმბოლო და ნაციონალური მისწრაფებების გავრცელების ძლიერი ცენტრი.

თავდაპირველად Amt VI გულგრილად მოეკიდა კედიას შეთავაზებას. მისი შეფი, უოლტერ შელენბერგი, სკეპტიკურად იყო

განწყობილი ამ წამოწყების მიმართ, ამიტომ უარი განაცხადა არაპრაქტიკული სქემის განხილვაზე, თუმცა მოგვიანებით რეიჰის უშიშროების მთავარი სამმართველოს შეფს, ერნსტ კალტენბრუნერს, გული მოუბრუნდა ამ იდეის მიმართ. კალტენბრუნერმა გაიხსენა, რომ მისი წინამორბედი, რაინჰარდ ჰაიდრიხი, ძალისხმევას არ იშურებდა კათოლიკური ეკლესიის კულუარებში შესაღწევად და ამ მიზნით გავლენიანი სასულიერო პირების გამოყენება სურდა. გერმანიის დაზვერვა დიდი ხანია ეჭვობდა, რომ რომის მონასტრებში და რელიგიური დანიშნულების სხვა შენობებში ასობით ებრაელი, ანტიფაშისტი და გაქცეული სამხედრო ტყვე პოულობდა თავშესაფარს. ე.წ. „რომის სამაშველო ხაზის“ ცენტრი ვატიკანის გალავნის შიგნით იყო მოქცეული და გაქცეულთა ერთი ნაწილი ჩრდილო ამერიკული კოლეგიუმის შენობის მახლობლად იმალებოდა. ასეთ ვითარებაში კედიას გეგმა შესაძლებლობას მისცემდა გერმანულ დაზვერვას, მოკავშირეთა ჯარებისა და პოლიციის ზურგში საკუთარი „უსაფრთხოების კუნძული“ შეექმნა. სწორედ ამ გარემოების გამო რეიჰის უშიშროების მთავარმა სამმართველომ ქართველებთან თანამშრომლობაზე თანხმობა განაცხადა.

მიხეილ კედიას რეკომენდაციით მამა მიქელ თარხნიშვილი რომში ჩავიდა და მას შემდეგ, რაც ვატიკანს მიანოდა ოფიციალური ინფორმაცია ქართული კოლეგიუმის გახსნის მცდელობის შესახებ, პოლიციის ატაშეს ოფისში გამოცხადდა, სადაც ის მიიღო კაპლერის ასისტენტმა, კურტ ჰასმა. მართალია, საელჩოს ჯერ არ მიელო ბერლინიდან არავითარი თანხა, მაგრამ ჰასმა დაარწმუნა მღვდელი, რომ აუცილებლად დაუკავშირდებოდა დედაქალაქში შესაბამის უწყებებს და რამდენიმე კვირის შემდეგ პასუხს აცნობებდა.

იმავედროულად, ბერლინში Amt VI –ის ოფიცრები ხვეწდნენ თავიანთ გეგმებს ქართულ კოლეგიუმთან დაკავშირებით. ისინი აპირებდნენ ამ დანესებულების საჯამუშო ბაზად გამოყენებას. ბერლინთან მუდმივი კავშირის მიზნით იგეგმებოდა შენობის სარდაფში რადიოსადგურის განთავსება. კოლეგიუმში „ჩანერგავდნენ“ რამდენიმე აგენტსაც, რომლებსაც შეარჩევდნენ ე.წ. „ქართული ლეგიონის რიგებიდან“. ისინი საგანგებო მომზადებას გაივლიდნენ და როგორც სასულიერო სასწავლებლის სტუდენტებს, რომში თავისუფლად გადაადგილების შესაძლებლობა და სხვა-

დასხვა სასულიერო ინსტიტუციაში თავისუფლად შეღწევის საშუალება ექნებოდათ. რამდენადაც მამა მიქაელი რომსა და ვატიკანში ერუდირებული და უალრესად პატიოსანი პიროვნების რეპუტაციით სარგებლობდა, გადანყდა, რომ კოლეგიუმის რექტორად მას დანიშნავდნენ.

1943 წლის ოქტომბერში მამა მიქაელი ხელახლა გამოცხადდა გერმანიის პოლიციის ატაშეს ოფისში. კურტ ჰასმა ამჯერად საიმედო ინფორმაცია დაახვედრა: ბერლინიდან უკვე მოსულიყო დიდი ხნის ნანატრი დაფინანსება. პოლიციის მაღალჩინოსანმა დაარწმუნა მღვდელი, რომ თანხა ანონიმმა დამფინანსებელმა გაიღო, რამაც საბოლოო ჯამში ქალბატონი გოკიელის ანდერძთან ერთად 1 200 000 ლირა შეადგინა, ეს კი სავსებით საკმარისი იყო კოლეგიუმის დასაარსებლად. მას შემდეგ, რაც ჩანაფიქრის წარმატებით განხორციელება მიულოცა, ჰასმა ყოველგვარი მიკიბზ-მოკიბვის გარეშე შესთავაზა მღვდელს, შეეკრიბა ვატიკანში გერმანიისთვის საჭირო ინფორმაცია და ახლად დაარსებულ ქართულ კოლეგიუმში რადიოსადგურის გამართვის ნებართვა მიეცა. ამ შეთავაზებით გაოგნებულმა მამა მიქელმა უხეშად უპასუხა კაპლერის თანამემნეს, რომ ამგვარი ქმედება რადიკალურად ეწინააღმდეგებოდა მისი, როგორც სასულიერო პირის, სტატუსს და რომ ის არასოდეს მიიღებდა მონაწილეობას ჯაშუშურ საქმიანობაში, განსაკუთრებით კი ვატიკანის წინააღმდეგ. მღვდლის პასუხით უკმაყოფილო ჰასმა კარისკენ მიუთითა სტუმარს და ყოველგვარი თანხის გადმორიცხვაზე უარი განუცხადა.

პოლიციის ატაშეს ოფისში უშედეგო ვიზიტის შედეგად შემოფოთებულმა მიქელ თარხნიშვილმა დახმარებისთვის თავის ძველ მეგობარს, ვასილ (ბასილუს) სადათიერაშვილს მიმართა. ოდესღაც ისინი ერთ ოთახს იყოფდნენ კონსტანტინოპოლის სემინარიაში. 1917 წლის 18 კი თებერვალს ერთად შეაღეს სოფელ ეტალის ბენედიქტელთა სააბატოს კარი (პაპუაშვილი 2016). სადათიერაშვილი 1920 წელს დაბრუნდა სამშობლოში. საქართველოს გასაბჭოების შემდგომ მისი ადგილსამყოფელი უცნობია, მაგრამ 1937 წლიდან ის ჩანს იტალიაში, როგორც რამდენიმე სკანდინავიური გაზეთის კორესპონდენტი. გერმანიის საბჭოთა კავშირზე თავდასხმიდან ცოტა ხნის შემდეგ ქართული ფაშისტური მოძრაობის, „თეთრი გიორგის“ აქტიური წევრი ვასილ (ბასილუს) სადათიერაშვილი

ქართულ დელეგაციასთან ერთად ბერლინში გაემგზავრა, რათა გერმანიის მთავრობის წინაშე ეშუამდგომლა ქართული მონარქიის აღსადგენად. 1943 წლის სექტემბერში უკიდურეს გაჭირვებაში მყოფი ბასილუსი რომში ცხოვრობდა, ყიდდა გაურკვეველი წარმომავლობის ნახატებს, თარჯიმნად მუშაობდა გერმანიის სამხედრო სარდლობის ოფისში და, იმავდროულად, თანამშრომლობდა გესტაპოსთან, როგორც ინფორმატორი.

სადათიერაშვილმა თანაგრძნობით მოუსმინა თანამემამულეს და აღუთქვა, რომ დაუყოვნებლივ მიიღებდა ზომებს – გაემგზავრებოდა ბერლინში, პირადად დაელაპარაკებოდა მიხეილ კედიას და აღმოფხვრიდა ამ გაუგებრობას. დღემდე გაურკვეველია, რა თვალსაზრისით იყო ჩართული ბასილუსი ამ ოპერაციაში, თუმცა ის კი ფაქტია, რომ მამა მიქელთან საუბრის შემდეგ მან მიაშურა კაპლერის ოფისს და დახმარება შესთავაზა. კაპლერმა ბასილუსს 50 000 ლირა გადაუხადა და რამდენიმე დღით ბერლინში გაგზავნა, რათა ეწარმოებინა მოლაპარაკებები კედიასთან, კაპიტან რეიმანთან (Amt VI-ის ვატიკანის ბიუროს უფროსთან), და Amt VI-ის რუსული სექციის წარმომადგენლებთან. გერმანელ მაღალჩინოსნებს არ სურდათ ხელი აეღოთ პროექტზე, რომლის ფარგლებშიც სოლიდური თანხა იყო გათვალისწინებული სადაზვერვო ოპერაციებისთვის, არადა ამ ჩანაფიქრის განხორციელებაში მათ მიქელ თარხნიშვილი უშლიდათ ხელს. კედია ამტკიცებდა, რომ მღვდლისთვის კიდევ ერთხელ უნდა მიემართათ თანამშრომლობის წინადადებით. იგი დარწმუნებული იყო, რომ მიქელ თარხნიშვილი პატრიოტი ქართველი იყო, მთელი გულით სურდა სამშობლოს დამოუკიდებლობა და ნამდვილად ოპოზიციაში ედგა ათეისტ ბოლშევიკებს, რომლებმაც დაიპყრეს მისი სამშობლო. თუკი რომელიმე ახალგაზრდა თანამემამულე ჯეროვნად განუმარტავდა მას სიტუაციას და აუხსნიდა, რომ გერმანელებთან თანამშრომლობით ის სამშობლოს იხსნიდა, მღვდელი აუცილებლად გვერდით გადადებდა თავის ეჭვებს და ქართული ნაციონალიზმის სასარგებლოდ იმოქმედებდა. Amt VI-ის პროფესიონალებმა იმთავითვე უარყვეს ეს შეთავაზება. მათი თვალსაზრისით, მამა მიქელი ნამდვილად არ იყო ისეთი გულუბრყვილო, რომ პატრიოტული სულისკვეთებით აღტკინებულს სს-სთან თანამშრომლობის პერსპექტივა არად ჩაეგდო. ეს ფაქტი უფრო გააძლიერებდა, ვიდრე შეამცირებდა მის წინააღმდეგობას.

უფრო მეტიც. გერმანული მხარე დარწმუნებული იყო, რომ არამინიერი ფასეულობებისკენ მიდრეკილ მღვდელს არ ეყოფოდა გაქა-ნება და ენერგია არალეგალური სადაზვერვო ცენტრის გასაძლელად.

პროფესიონალ ჯაშუშებს სურდათ მამა მიქელის თამაშიდან გა-მოყვანა და საბოლოოდ მათმა თვალსაზრისმა გაიმარჯვა. გადანყ-და, რომ საელჩოში შემოსული ფული გამოეყოთ მიქელ თარხნიშ-ვილისთვის ქართული კოლეგიუმის დასაარსებლად. სადაზვერვო სამმართველო არ ჩაერეოდა კოლეგიუმის არც ადმინისტრაციულ საქმიანობაში და არც სასწავლო პროცესში. მამა მიქელთან „არა-ოფიციალური ადმინისტრატორის“ სტატუსით ითანამშრომლებდა ბასილუსი, რომელსაც დაევალებოდა დაწესებულების ფინანსური და სამეურნეო საქმიანობის წარმართვა, ასევე კოლეგიუმისთვის განკუთვნილი შენობის სარეკონსტრუქციო სამუშაოების ხელმძ-ღვანელობა. ფართობის განახლება გულისხმობდა საკუთრივ სა-დათიერაშვილისთვის განკუთვნილი ორი ოთახის მონყობას, რო-მელთაგან ერთ-ერთში განლაგდებოდა რადიოგადამცემი, მეორეში კი აგენტთა თავშესაფრად იქნებოდა გამოყენებული. ბასილუსს გადანყვებილი ჰქონდა, რომ ეს გეგმა რომში დაბრუნებისთანავე განეხორციელებინა. მამა მიქელმა სიხარულით მიიღო სემინარიის-დროინდელი მეგობრის შეთავაზება და მას კოლეგიუმის ადმინის-ტრატორის პოსტი ჩააბარა.

მამა მიქელმა და ბასილუსმა შეადგინეს ოფიციალური განა-ცხადი რომის პაპის პიუს მე-12-ისადმი, რომელშიც შეახსენეს პონტიფექსს იმ ისტორიული კავშირების შესახებ, რომლებიც ქართველ კათოლიკეებს წმინდა საყდართან აკავშირებდათ და გამოთქვეს უდიდესი მადლიერება მათი დიდი ხნის ოცნების რე-ალობად ქცევისთვის. მათ თხოვნით მიმართეს პიუს მე-12-ს, გამოეყენებინა ანონიმი ქველმოქმედის მიერ გაღებული თანხები, რათა წმინდა ეპარქიის სახელით კოლეგიუმისთვის შესაბამისი შენობა შეეძინათ. პიუს მე-12-მ თანხმობის წერილში აღნიშნა, რომ ვატიკანი ყოველთვის მოხარული იყო რომში ეროვნული სასულიერო ცენტრების დაარსებით, განსაკუთრებით კი იმ ქვეყნებისა, რომლებშიც კათოლიკეები რელიგიურ უმცირესობას შეადგენდნენ.

28 დეკემბრისათვის ალესანდრო ბრისეს ქუჩაზე მდებარე შენობის შესყიდვის ყველა ფორმლობა უკვე მოგვარებული იყო,

საბუთებს ორმხრივად მოეწერა ხელი და დამონჭდა ვატიკანის ადმინისტრაციაში მონსენიორ ჯულიო გუადეტიისა და ვატიკანის ნოტარიუსის სავერიო ურმანის მიერ. საჭირო იყო მხოლოდ სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარება, რათა ოჯახური ვილა – კოლეგიუმად, შესაბამისად კი, ჯაშუშთა ბაზად ექციათ. მამა მიქელთან შეთანხმების შესაბამისად, სარემონტო სამუშაოებს მონასტრის ადმინისტრატორი, ბასილუსი ხელმძღვანელობდა. ჯაშუშთა თავშესაფრად განკუთვნილი ორ ოთახის მოსაწყობად იგი კონსულტაციებს გადიოდა ლეიტენანტ უნტევენგერთან, საელჩოში მომუშავე სს-ის კავშირგაბმულობის გენერალთან. უნდა აღინიშნოს, რომ ლეიტენანტის მონაწილეობა ამ საქმეში არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ ტექნიკური ექსპერტის ფუნქციით. გადანყვიტეს რა ბასილუსის გამოყენება თავიანთი მიზნებისთვის, გერმანელები ბოლომდე არ ენდობოდნენ ქართველ აგენტს, რადგან იგი კორუმპირებული და უპრინციპო პიროვნების რეპუტაციით სარგებლობდა. ოფიციალურმა პირებმა ბერლინიდან გააფრთხილეს ჰერბერტ კაპლერი, რომ ბასილუსისთვის თვალი კარგად ედევნებინა. მას შემდეგ, რაც სარეკონსტრუქციო სამუშაოები დასრულდა და საიდუმლო ოთახებიც მზად იყო რადიოგადამცემის დასამონტაჟებლად, გადანყვიტეს ბასილუსი ბერლინში გაეგზავნათ, მის ადგილას რომში კი უფრო საიმედო აგენტი გაემწესებინათ.

რაც შეეხება მამა მიქელ თარხნიშვილს, კურტ ჰასთან საუბარმა იგი დაარწმუნა, რომ თანხები, რომლებსაც მისი ოცნება რეალობად უნდა ექციათ, ნაცისტებისა (და არა ანონიმი ქართველი შემომწირველისა) იყო, მაგრამ გადანყვიტა, დადუმებულიყო. ის რაციონალურად მიუდგა შექმნილ სიტუაციას: ქრისტიანობის ხანგრძლივი ისტორიის განმავლობაში არაერთ მთავრობას დაეფინანსებინა ეკლესიის საგანმანათლებლო და კულტურული პროგრამები და ამჯერადაც ისეთი მნიშვნელოვანი პროექტი, როგორც ქართული კოლეგიუმის დაარსება იყო, აიტანდა ამგვარ მორალურ ფლექსიურობას. მამა მიქელი არწმუნებდა საკუთარ თავს, რომ ქართველების მიმართ კეთილი ნების გამომჟღავნებით ბერლინი იმედოვნებდა ბოლშევიკების დამარცხების საქმეში მათ გამოყენებას. კოლეგიუმის სარემონტო სამუშაოები წარმატებით მიიწვედა წინ, ამ ფაქტით ფრთაშესხმულ მიქელ თარხნიშვილს კი წარმოდგენაც არ ჰქონდა, რომ იმ ორ ოთახში, რომელთა ბასილუსისთვის მიკუთ-

ვნებაზე თავად გასცა განკარგულება, რადიოგადამცემს ამონტაჟებდნენ და რომ ბერლინის გეგმები ქართულ კოლეგიუმთან დაკავშირებით მხოლოდ რადიოგადამცემით არ შემოიფარგლებოდა.

თებერვლის შუა რიცხვებში ბასილუსი მოკლე ვიზიტად ეწვია რეიხის დედაქალაქს და რომში ექვს ახალგაზრდა ქართველთან ერთად დაბრუნდა, რომლებიც სასტუმრო „კონტინენტალში“ დააბინავა. მამა მიქელის წინაშე მან ეს ახალგაზრდები გულმხურვალე ქართველ კათოლიკეებად წარადგინა, რომლებსაც ვითომდა სურდათ თეოლოგიისა და ფილოსოფიის შესწავლა სასულიერო მოღვაწეობისთვის მოსამზადებლად. მამა მიქელი სწრაფად გაეშურა სასტუმრო „კონტინენტალისკენ“ თავისი პოტენციური სემინარისტების გასაცნობად, თუმცა სახტად დარჩა უხეში და არაკომუნიკაბელური ახალგაზრდების ხილვით, რომლებმაც იგი საკმაოდ ცივად მიიღეს. მათთან ხანმოკლე გასაუბრების შედეგად მამა მიქელმა აღმოაჩინა, რომ სასულიერო ცხოვრებისთვის არც ერთი მათგანი არ გამოდგებოდა. ისინიც გაენდვნენ მღვდელს, რომ მხოლოდ იმ მოტივით დათანხმდნენ ბასილუსის წინადადებას, რომ ვატიკანში უზრუნველად იცხოვრებდნენ და არ მოაკლდებოდათ არც კარგი საკვები და არც ტანსაცმელი. ცხადია, რომ ექვსივე სემინარისტი თვითმარქვია იყო. ისინი შეარჩიეს ქართველთა ლეგიონიდან, განვრთნეს და რომში საჯაშუშოდ გაგზავნეს. ერთ-ერთ მათგანს ადმინისტრატორის პოსტზე არაკეთილსაიმედო ბასილუსი უნდა შეეცვალა. მამა მიქელი არ იყო ამ გეგმის ნაწილი და მისმა გაუთვალისწინებელმა უარმა ნაცისტებთან თანამშრომლობაზე რეიჰის უშიშროების მთავარი სამმართველოს გეგმები ჩაშალა. ოპერაციის განხორციელება საფრთხის წინაშე აღმოჩნდა.

ალესანდრო ბრისეს ქუჩაზე მდებარე შენობის რეკონსტრუქცია გვიანდებოდა, შესაბამისად, იძაბებოდა ურთიერთობა მამა მიქელ-სა და ბასილუსს შორის. ერთი მხრივ, იმიტომ, რომ სადათიერაშვილმა მიზანმიმართულად ჩამოაშორა მღვდელი ყოველგვარ ადმინისტრაციულ თუ ფინანსურ საქმეებს, არადა მამა მიქელისთვის ცნობილი გახდა, რომ ეზოში გამავალ ორ ოთახში ბასილუსს რადიომიმღების დამონტაჟება ჰქონდა განზრახული. მღვდელი გაოგნებული დარჩა, როცა მეგობრებმა აცნობეს, რომ რომში ბასილუსს გერმანიის ჯაშუშად მიიჩნევდნენ, ასე რომ, ცნობამ რადიოგადამცემის შესახებ იგი შოკში ჩააგდო. მან კატეგორიული

უარი განაცხადა თავისი კოლეგიუმის ტერიტორიაზე რადიოგადამცემის დამონტაჟებაზე. ყოველივე ზემოთქმულმა გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა Amt VI-ის გეგმებს. მით უფრო, რომ 1944 წლის გაზაფხული იდგა და მოკავშირეთა ძალები უკვე რომის მისადგომებთან იყვნენ დაბანაკებულნი.

როდესაც მოკავშირეებმა იენისის დასაწყისში რომი დაიკავეს, კონტრდაზვერვის მთავარი სამიზნე ბასილუს სადათიერაშვილი იყო, მაგრამ მოხერხებული ქართველი მაისის ბოლოს რომიდან გაქრა და მის კვალს ველარასდროს მიაგნეს. პოლიციამ უგულვებლყო ის ფაქტი, რომ ქართული კოლეგიუმისთვის განკუთვნილი შენობა ნმიდა ეპარქიის კუთვნილება იყო და 18 იენისის იქ რეიდი ჩაატარა. შენობის ერთადერთი ბინადარი, იტალიელი დარაჯი, დაკითხვაზე ნაიყვანეს, შენობაში კი ჩხრეკა ჩაატარეს. იმ ოთახებში შესასვლელი, რომლებიც ბასილუსს თავისთვის ჰქონდა შეგულებული, ძველი გარდერობის უკან აღმოჩნდა. ოთახები ცარიელი იყო, მაგრამ პოლიციამ სახურავზე რადიომონწყობილობის ანტენა აღმოაჩინა. ფიქრობდნენ, რომ მამა მიქელმა, როგორც ნაცისტთა მოკავშირემ, გაქცევით უშველა თავს და სადმე იმალებოდა, თუმცა, როგორც გაირკვა, მას არც კი უცდია დამალვა – თავის სამეცნიერო ნაშრომებში ჩაფლული ის ჩენტროპრეტიში, ლარიბი პილიგრიმი მღვდლების თავშესაფარში აღმოაჩინეს, სადაც მას შემდეგ გადაბარებულიყო, რაც მისი კოლეგიუმი გაკოტრდა. ვინაიდან საბრალო მღვდელი ერთადერთი იყო ავადსახსენებელი პროექტის მონაწილეთაგან, რომელიც მოკავშირეების ხელში ჩავარდა, იგი დააპატიმრეს და როგორც გამოძიების ცენტრალური ფიგურა, რეგინა კოელის ციხეში დაამწყვდიეს. მიქელ თარხნიშვილს, როგორც გულმხურვალე კათოლიკეს, არ უნდოდა ვატიკანიც გაეხვია ამ საჩოთირო საქმეში, ამიტომ თავდაპირველად ძალზე სიტყვაძუნწი იყო და შეკითხვებს თავს არიდებდა, მაგრამ მოგვიანებით, დაკითხვებისას, პოლიციასთან თანამშრომლობის სურვილი გამოამჟღავნა. გამოძიებიდან ორი თვის შემდეგ კონტრდაზვერვის ოფიცრები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ „არ არსებობს საკმარისი მტკიცებულებები ბრალდებულის სასამართლოზე გადასაცემად ჯაშუშობის ბრალდებით. რთული იქნება მისი დაკავება გერმანიასთან კოლაბორაციის ბრალდებითაც, ვინაიდან ყველა დეპეშა ცხადყოფს, რომ ბრალდებულმა აღნიშნული საქმის შესახებ არაფერი

იცოდა“. გამომძიებლების რეკომენდაციით, მეკავშირეებმა გაათავისუფლეს მღვდელი, ოღონდ გარკვეული შეზღუდვით: ომის დასრულებამდე ის რომელიმე რელიგიურ დაწესებულებაში უნდა დარჩენილიყო.

პატიმრობიდან გაათავისუფლების შემდეგ მიქელ თარხნიშვილმა დარჩენილი ცხოვრება ქართული ლიტერატურისა და კულტურის კვლევას მოახმარა. მისი მეცნიერული კვლევის მიმართულება იყო ქართველოლოგია, ქრისტიანული აღმოსავლეთი და ბიზანტიანისტიკა. 1948 წელს მან გამოსცა იაკობის ჟამისწირვის ქართული ნუს-ხის გერმანული თარგმანი გამოკვლევითურთ, რასაც მალე მოჰყვა ქართული ჟამისწირვის ტექსტების გამოცემა ლათინური თარგმანით. აღსანიშნავია ის დიდი მუშაობა, რომელიც მან გასწია იერუ-სალიმური ლექციონარის ვრცელი ქართული ვერსიის ტექსტის დასადგენად, რომლის გამოქვეყნებას მეცნიერი ვერ მოესწრო (მის მიერ მომზადებული ძეგლი 1959 წელს გამოსცეს რ. დრაგემ და ჟ. გარიტმა ქართულ და ლათინურ ენებზე). მიხეილ თარხნიშვილმა იულიუს ასფალგთან ერთად გერმანულ ენაზე გადაამუშავა და გამოაქვეყნა „ქართული ლიტერატურის ისტორია“, შედგენილი კორნელი კეკელიძის „ძველი ქართული მწერლობის ისტორიის“ I ტომის საფუძველზე; პირველმა სწორედ მან გაშიფრა და მეცნიერულად გააანალიზა ოთხი ქართული ასომთავრული წარწერა, რომლებიც იტალიელმა არქეოლოგმა ვირჯილიო კორბომ პალესტინაში, ბეთლემის მახლობლად გათხრილ წმიდა თეოდორეს სახელობის ქართული მონასტრის მოზაიკურ ფილებზე აღმოაჩინა. მეცნიერის ეს გამოკვლევა შევიდა 1955 წელს იერუსალიმში იტალიურ ენაზე გამოცემულ ვირჯილიო კორბოს წიგნის „მწყემსთა მინდვრის გათხრები და შემოგარენის მონასტრები“ VIII თავში.

საგანგებო აღნიშვნის ღირსია მეცნიერის პირადი ურთიერთობა და თანამშრომლობა ევროპაში მოღვაწე ქართველოლოგებთან. როდესაც 1949 წელს პარიზში კალისტრატე სალიას ინიციატივითა და რედაქტორობით დაიწყო ქართველოლოგიური ჟურნალის „ბედი ქართლისას“ გამოცემა, მიხეილ თარხნიშვილი ერთ-ერთი პირველი გამოენმაურა ამ ფაქტს და ჟურნალის აქტიური თანამშრომელი გახდა. სწორედ „ბედი ქართლისაში“ დაიბეჭდა გაგრძელებებით მისი ნაშრომი „ქართული ხელნაწერები და ძველი წიგნები რომის წიგნსაცავებში“. მისი გამოკვლევები იბეჭდებოდა აღმოსავ-

ლეთმცოდნეობის დარგის ისეთ ავტორიტეტულ ორგანოებში, როგორებიცაა *Byzantische Zeitschrift*, *Le Muséon*, *Oriens Christianus*, *Archiv für Liturgiewissenschaft* და სხვა. მიხეილ თარხნიშვილი აწვდიდა ცნობებს საქართველოს შესახებ ევროპულ ჟურნალებსა და ენციკლოპედიებს (*Enciclopedia Cattolica*, *der Christliche Orient in Vergangenheit und Gegenwart*).

მიხეილ თარხნიშვილი გარდაიცვალა რომში 1958 წლის 15 ოქტომბერს. დაკრძალეს ვატიკანში მოღვაწე უცხოელ მამათა საერთო აკლდამაში. მისმა მონაწილემ და კოლეგამ გერმანელმა ქართველოლოგმა, იულიუს ასფალგმა მეცნიერის გარდაცვალების შემდეგ შეკრიბა ბიოგრაფიული ცნობები და გამოაქვეყნა ვრცელი ნეკროლოგი ჟურნალ „ბედი ქართლისას“ ფურცლებზე. მანვე შეადგინა მიხეილ თარხნიშვილის შრომების ბიბლიოგრაფიაც.

ე.წ. „რომაული პროექტის“ მეორე ქართველი მონაწილე, მიხეილ კედია, ღრმად იყო დარწმუნებული, რომ მის მიერ გადადგმული ყოველი ნაბიჯი, ყოველი ქმედება „ბოლშევიკების საზიანოდ“ და თავისი სამშობლოსა და ხალხის სასიკეთოდ იყო მიმართული. სიცოცხლის ბოლო წლები მან შვეიცარიაში გაატარა, თავისი მთავარი მიზნის აღუსრულებლობით იმედგაცრუებულმა: დიდი სამამულო ომი საბჭოთა კავშირის გამარჯვებით დასრულდა; „ერთიანი ძმური ოჯახის“ წევრი საბჭოთა საქართველო აქტიურად ჩაება სოციალისტური აღმშენებლობის ფერხულში; ქართულ ემიგრაციას საბოლოოდ გადაეწურა სამშობლოში დაბრუნების იმედი. საქართველოს მონატრებას ზოგი სამეცნიერო მოღვაწეობით იქარვებდა, ზოგი – პუბლიცისტობით, ზოგი კი სამუდამოდ ჩაიძირა უიმედობის მორევში. ამ უკანასკნელთა რიცხვს მიეკუთვნებოდა მიხეილ კედიაც, რომელმაც 1953 წელს სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

დამონეპანი:

ალვარესი ... 1997: Alvarez, D & Graham, R, A, Sj. *Nothing Sacred. Nazi Espionage Against the Vatican, 1939-1945*. Franc Cass. London. Portland, OR. 1997. pp.92-113.

გაბლიანი 1998: გაბლიანი, გ. *ჩემი მოგონებანი (მეორე მსოფლიო ომი)*. ტ. I. ქუთაისი: ს/ს „სტამბის“ საგამომცემლო ცენტრი, 1998.

დალინი 1981: Dallin, A. *German Rule in Russia, 1941-1945: A Study of Occupation Policies*. 2nd edition. Boulder: Westview, 1981.

პაპუაშვილი 2016: პაპუაშვილი, ნ. *ბიზანტიური წესის კათოლიკეები სტამბოლსა და ეტალში*. ქართველოლოგია (სამეცნიერო ჟურნალი). თბილისი, 2016, № 4, გვ. 59-68.

ჯავახიშვილი 2011: ჯავახიშვილი, ნ. *ქართველი შინდლერი*. ისტორიანი: ისტორიულ-შემეცნებითი ჟურნალი. თბილისი, 2011, მარტი. № 3, გვ. 42-49.

ჯავახიშვილი 2015: ჯავახიშვილი, ნ. *ქართულ-ებრაული მეგობრობის ისტორიის ბრწყინვალე ფურცელი*. გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ გამოცემული სამეცნიერო შრომათა კრებული „ელდარ მამისთვალისძევილი – 75“. გორი, 2015, გვ. 421-440.

YANINA YUKHYMUK

Ukraine, Kyiv

National Academy of Science of Ukraine

National Peculiarities of a Writer's Artistic Image Creation (based on works by C. Funke, G. Petrović, Y. Izdryk)

Early XXI century`fiction continued the traditions which have started by the writers of the postmodern era. It is characterised by the unique games with the reader, unusual forms of meaning rendition, frequent use of metaphors and allegories which have generated and created new meanings of the text depending on the reader's experience and imagination. The particular interest of this work have become the exceptional samples of the national culture in the postmodern works of Cornelia Funke ("Ink Trilogy"), Goran Petrović ("The Little shop "From the Easy Hand") and Yuriy Izdryk ("USB Flash Drive 2GB"), who represented different local cultures, different surroundings and circumstances. The author analysed postmodern prose through theories of philosophers-esthetists: Henri Bergson, Benedetto Croce and Herbert Read and creatively used that theories to highlight interactions between literature and other kinds of culture while demonstrating realization of ideas and mindsets of the writers. Used Hans-Georg Gadamer's formula, which is based on Friedrich Schleiermacher's theses, helped to make hermeneutic analysis clear. In addition, through own aesthetic theory researcher described how writers from three different national literatures ciphered in verbal texts the special symbols and information. Those symbolic games turned readers to

the history of their states and governments. This article is a unique analytical combination of history, philosophy and literature that reflected the state of open-minded authors who managed to open the existing realities of their heroes in mysterious ways to readers.

Key words: art, artist, hermeneutics, image of creator, image of writer, phenomenon, postmodern, prose, writer's artistic image creation, Germany, Serbia, Ukraine

Creation is not only a way of transmitting information through aesthetic embodiment. For the artist, it is an opportunity to substitute the history, philosophy, and the most important theses of the community that he represents as he sees it. Formation of the personality of the artist – an extremely complex process, based on, first of all, national traditions and traditions of art of a certain country or ethnic group, time and historical conditions. Depending on the environment that influenced the aesthetic views of the artist, the product of creation can be realized through the creation of certain artistic images. Such images might be the symbols or appear as a code that can understand the views of the author or representatives of the culture to which he belongs to.

As Ekaterina Strukovanotet [Струкова 2016:20]: “understanding the “creative” can rightly be considered a topical issue of modern science”. In her study on the image of a creative person, she stated that “despite the fact that most questions have already found their answers, this topic is not exhausted, because there is too much contradictory of diverse theories, concepts and models that tend to this or that interpretation of nature creativity and prefer one kind of creativity. In particular, one can note the significant attraction to the dominance of visual arts in antiquity, reflected in the wings of the words significantly influenced the formation of terms”¹²³.

1 “Picture’s worth a thousand words” is the most popular, but there are many aphorisms which makes relationships between verbal and visual arts have been created by writers: Emile Zola, F. Schiller, Denis Diderot, Stefan Zweig and others.

2 Albert Camus named himself a writer not philosopher because he thought with words but not with ideas.

3 The term “art” for a long time have been interpreting only in case of visual kinds’ relationships. That’s why appeared term “artistic image” and other derivatives.

Since the creativity of the artist was sacralized, readers always wanted to know more about the process of creating future masterpieces. Of course, the act of creation of painting or sculpture was easier to describe, therefore, again, fiction is dominated by works of artists (books by A. Dumas, I. Stone, E. Hemingway), but there are many books about composers (Stendal, D. Weiss, R. Murakami, L. Deresh). Perhaps, the reason for such disproportion lies in the desire to gain commercial success, and the complexity of terminology and the process of writing music can tire a reader who does not have the appropriate education and experience. Another thing – the work of writers, as each person at least once in his life fulfilled the task of writing a work or essay. Many of us have tried to write a poem, music or novel, draw a picture or sing a song at least once. All literate people at all times wrote letters and some of those that were preserved and published were recognized as works of art.

The theme of creating a text under the influence of a particular event or inspiration derived from music is practically Mother Lode for writers, because it simultaneously brings readers to the character and, at the same time, reveals the mystery of how true works of art are created under a certain life circumstances. That is why considering the image of the artist, the master of the word, will be most effective in correlation with national traditions and historical context.

After all, in different periods of human development, the main criterion for the recognition of the work of the artist as a work of art was the compliance with the aesthetic norms of society, to which the work was presented.

Herbert Read¹, a well-known English theoretician of art, thought about the topic of aesthetic education of the new generation. In basics he was in agreement with Karl Marx's ideas about the decisive role of labor in human development, however believed that only creative work had encouraged humanity to develop. The best example, according to the scientist, is the first person who has rejected care of his welfare, devoting time to drawing a picture on a rock. In his research, Read went further than other prominent representatives of the aesthetics of intuitionism – Henri Bergson² and Benedetto Croce³.

1 Sir Herbert Edward Read (1893-1968) – English philosopher, historian, poet and literary critic, anarchist.

2 Henri-Louis Bergson (1859-1941) – French philosopher and writer, intuitivist.

3 Benedetto Croce (1866-1952) – Italian philosopher, politician and historian, neo-intuitivist.

H. Bergson considers irrationalism and mysticism to be the cause of the emergence of human myth-making ability[Bergson1935:110-114]. A person subconsciously creates insights that helped her explain some of their impulsive actions. Is not that why writers from time to time introduce the character «writer» in the narrative to free excess emotions in the process of creating their own text or explain some social processes in allegorical form?

B. Croce believed that knowledge is divided into two independent forms: intuitive (individual comprehension and production of images) and logical (comprehension and production concepts). He regards them as dialectical unity (like theory and practice) and calls it «double degree», explaining that «the first can stand without the first». In the literature it has the expression «there is poetry without prose, but not prose without poetry»[Malshe 2003:62]. This is the way that suggested that the expression is the first affirmation of human activity and it probably means all the ideas in the fiction are products of subconsciousness which are full of images and symbols. That are, intuition is expression and expression – art, and the science of expression – aesthetics (intellectually identical linguistics). In this case, the philosopher considers the expression as a solid indivisible act, in which it is impossible to separate the purpose and means.

H. Read, as a neo-intuitionist, under the influence of works by Karl Marx and Erich Fromm, dwells on the problem of disintegration. In his opinion, the reason for this – in the absence of interaction between sociology and aesthetics. Therefore, the problem of representing sensory experience in art is always relevant. After all, this experience is fixed in persistent semantic units, of which the foundation of human culture. The neo-positivist believed that contemporary art is deified because it remains a mystery to man. While the artist only expresses in his works the state of his own soul. Consequently, the objective can only be expressed by chance.

The heredity of the tradition of intuition can be traced back within the very direction, which absolutizes intuition as a moment of direct comprehension of the world in the activity of creative fantasy, in the act of its aesthetic perception and evaluation. Bergson, in fact, became the teacher of Croce, Read gave a direct new development, Sigmund Freud transformed the ideas of predecessors into the psychoanalysis of aesthetics, and existentialists (N. Berdyaev, M. Heidegger, C. Jaspers, Jean-Paul Sartre and A. Camus) positioned and studied the uniqueness of a person who could have different

states of consciousness. The following stages of the development of aesthetics – phenomenological (the product must cause admiration in the recipient) and structuralist (the division of material into parts and segments for their in-depth analysis) prepared a powerful base for the Hermeneutic. Hans-Georg Gadamer in his work «Truth and Method: The History of Hermeneutics» have used main Friedrich Schleiermacher's ideas [Gadamer 2004:184-191] and shown the formula of reading texts with describing of creation act [Gadamer 2004:191]:

**The subconscious artist + consciousness of the interpreter =
knowledge of the design of the work.**

The meaning and understanding of hermeneutics is a journey into in historical consciousness, time consciousness, self-consciousness, inner consciousness. These and many more conceptualisations of consciousness are explored by Gadamer, and for a good reason. For within consciousness we discover wholeness, but it is not an object and our notions of consciousness are very likely to be both expanded and turned upside down [Robinson 2013].

Postmodernism, in turn, declared the text as a closed structure in which only quotation is possible, since everything has already been created and said. That's why nobody can "reinvent the wheel".

In my opinion, are works by Cornelia Funke, Yuriy Izdryk and Goran Petrovich could be considered as representative ones. «Ink trilogy», «Flash 2GB» and «The Little shop «From the Easy Hand» seemed to have little in common in the conceptual sense, but they combined in one study because they are the *poioumenon*¹. This Greek term denotes the process of describing creativity, which makes it possible to feel the boundaries of reality and fabrication through the process of creativity. It is no less known than «pastiche», «metaprose», «fabulation» and «ekphrasis», but has not yet received needed attention from Ukrainian researchers. Even at the level of article searches on the Internet, there is not enough open information about the *poioumenon* study. As well as precise information on the writing and pronunciation of this term.

Given the well-known principles of the twentieth century's aesthetics, it is worth noting the increase in the number of fiction, which protagonists were

¹ *Poioumenon* – term which have been created by Sheldon Fisher.

the artist. Not depending on the idea of the writer, the reader wants to see and often sees in the main character the author of the novel and transforms the features of heroes to its writers. Is not that why the vast majority of artists' images are closely linked to the national tradition of the genre in which the writer works?

According to the chronology of the publication «The Ink Trilogy» (2003, 2005, 2008), Cornelia Funke is not the first of such works. But let's start the analysis of the novels from it, because the genre of fantasy is genetically closest to the traditions of the magic-fantastic tale, which in German fiction are very powerful in. The father of the genre is John Ronald Reuel Tolkien and the most commercially successful are English-language works. But it must be noted that the German representatives of the genre of fantasy could only be considered as successful if a new universe is created in the peace of work, which has not duplicated and/or continued the tradition of English-speaking and was nourished by national folklore. At one time, such conditions were the keys to the success of the works of romantics Novalis and Ernest Theodore Amadeus Hoffman, as well as the famous storytellers The Brothers Grimm and present representatives such as Sturm und Drang.

Cornelia Funke has created a new fairy-tale universe in which a special gift enables a person from the real world to not only materialize, but also let his still unknown creatures enter into his world without controlling the process of penetrating the narrative of creatures from his own. Focusing on the mechanism of substituting ordinary people for thieves and street artists who live solely on their own interests makes the ancient Greek myth of Orpheus and Eurydice unattractive. Of course, the single parent Mortimer suffers from the disappearance of his beloved wife in the kingdom of other people's words, but what is his personal misfortune if Capricorn's gang plans to capture the real world?

Deep symbolism penetrates in all levels of the plot. The more complex the character is, the more intriguing the writer becomes. Dustfinger is the fire-eater, Capricorn – arrant villain, Mortola – Capricorn's mother who always participates in his crimes. A character with a unique gift – Mortimer Folhart for an English-speaking reader immediately appears to be a complete antipode, because at the hearing his name is perceived as «folk hearth», and the shortened version of the name Mo is closer to «more.» Armed only with the ability to «figure out» unpredictable things, with the wise counselor

Fenoglio, the author of the book «Inkhearth,» Mortimer becomes the creator of a new history in which evil and dictatorship are not won by aggression, but by word. And this anti-Faust, who, instead of concluding a deal with dark power for his own interests, runs the risk of the most expensive in order to win good over evil. This is both the allusion to the Holy Bible and the rejection of the probability of repeating the part of the history of Germany, for which the Germans have been paying for more than a decade, demonstrating tolerance towards national minorities.

An interesting fact that the poioumenon is regulated by Mortimer – he is the main character and creator, and not the author of the book – Fenoglio. Probably, this is a symbol of the fact that the creators of history are not in control of the further development of events, and everything can change people with a special gift and the ability to sacrifice themselves. In the second part of the trilogy, the writer contrasts the protagonist with another version of man with the same gift. In a surprising coincidence, his name is Orpheus and he can control his gift, however, his role in history is purely decorative, he is fixed on himself and the act of creation, like any postmodernist. Perhaps this is a hint of gifted people with a weak a civic position, the critical mass of which can passively lead to the dictator's power.

Roman Goran Petrovich «The Little shop»From the Easy Hand»¹ (2000) is the original combination of postmodernism and magical realism. It is difficult to find a starting point for analysis in the swirled multi-level text cloth, since there is an echo of a constant struggle for the right to be free from oppressors and tyrants (as it is known, by the middle of the nineteenth century the Serbs were defending themselves from the Turks, for a long time were dependent on the Austrians and Hungarians, resistance to Western European influence), theatricality of the gestures of most characters as evidence of the decisive role of the theater in the development of Serbian literature and the tendency to use folklore. The best will start with the name of the novel.

Slavs need «The easy hand» for the undertaking to succeed, and often the beginning proceeds from the ruins. And this is not just postcolonialism, but also – post-traumatic syndrome. The bombing of Belgrade by NATO troops divided the lives of Serbs into «before» and «after», leaving a deep mark, first of all, in the works of Milorad Pavich and Goran Petrovich, as well as many other artists. Interweaving the lines of life of two couples – Anastas

¹ In English translate – “Smalltalk Place at “Lucky Shot”.

Branica and Natalie Uvil with Adam Lozanic and Elena, the author of the novel parallels the tragedy of the people during the Second World War and the Yugoslav Wars. The homeland of Stohony (related to the word «moan» or one hundred of expelled persons), which is hiding from a threatening shadow, is rather an image that unites all minorities who at various times escaped from the persecution and aggression of the dominant community. A small store in which trifles are sold, as the author of the translation Alla Tatarenko notes, does not exist either and does not exist at the same time [Татаренко 2017]. These are memories. A place where you can instantaneously find peace of mind, let alone escape from the objective reality of the created writer.

Described by Petrovich's method of deep reading makes all readers of the book Anastass Branica co-authors of history. Here poioumenen is determined by the desire of the actors to «read» in history. So, we see a concept different from that which Cornelia Funke created. The reality is already ruined, life is scarred, the future is not defined. Lonely Adam (the first man, if referring to the Holy Bible) seeks only one thing – to survive between the millstones' desire for arbitrary leadership and lack of money. Surprisingly, he is not Eve, but a beautiful Elena. The author of the appletree substitutes the grapes (the name Lozanic most likely comes from the word «grape brunch»), so instead of fall to the hell, they go into their little paradise.

The ability to create an alternative reality – a protective reaction of the human brain, so it is not surprising that even the little Anastas was able to dip into the fairytale world of his father's books. Although in fact they and their stepfather had the opportunity to become really enthusiastic (in the translation from the Serbian «branca» – a lawyer, like Slavolyub Velichkovich – one who loves glory and majesty). The psychological trauma, received as a result of careless penetration into the narrative, only reinforces the boy's desire to escape from the real world in the memories created by his father. Having dared to create his own book for deep reading, Anastas is experiencing deep disappointment: he did not understand, calling the talentless author and book. The writer enters the same water again for the second time, refuting the famous expression, being left for the objective reality of a suicide bomber, and in his world – an ordinary living citizen.

Adam Lozanic able to change the world that opens in the book My Legacy. But he discontinues making corrections because he understands that the enormity of disgruntled customers, which by their actions resembles

dictators-customers, is worth someone else's lives. In the world of peaceful Serbia, a lover does not need to apply for a visa to emigrate and teach a foreign language. Dismissed from problems, history allows everyone to find peace, as it is found by Master and Margarita in Mikhail Bulgakov.

Post-colonial studios, dedicated to a large number of Tamara Hundorova's works, are on time for Ukraine. After all, the issue of separation of its own cultural heritage from the imposed by the Empire remains relevant. Despite the fact that Ukrainians have been living in an independent state for 27 years, a certain percentage of citizens aspire to return to the USSR while forgetting about that time horror. There are such people in every former USSR republic, usually being only the percentage of those who do not want to take responsibility, playing with the law in Russian roulette, is different: whether or not they will be caught abusing their official position, whether they will notice petty theft. The corruption that, according to Sergei Platonov, to the territory of the principality of Moscow brought the Golden Horde, has spread to all former republics, provoking the formation of double morality among those who managed to survive in a rigid system of control of all spheres of life.

Mykola Ryabchuk, quoting Vissarion Belinsky, emphasizes the importance of using the Ukrainian language. After all, by satisfying their aesthetic tastes already prepared by the Russian-speaking product, the intelligentsia of the Dnieper refused to create its own. Thus, the national traditions of fiction, which were laid down by Ivan Kotlyarevsky, Ivan Nechuyi-Levytsky and Hrygoriy Kvitka-Osnovyanenko, were abandoned. Humor, self-irony, empathy, depiction of everyday life and detailed descriptions of the elements of national culture were compulsory for Ukrainian fiction, giving way to sarcastic refinement, ridicule of otherness and attachment to the traditions of the genus.

In order not to become marginalized, Ukrainian Soviet writers who were not attracted by the prospect of punishment for nationalistic views initially mimicked the style of their Russian colleagues and then became part of a «big Soviet family.» In particular, the talk of Pavlo Tychyna, Volodymyr Sosiura, well-known in Georgia, Mykola Bazhan, who translated Shota Rustaveli's poem «The Knight in the Panther's Skin» into Ukrainian, Davitiani, David Guramishvili.

Therefore, it is not surprising that the creative force of Bu-Ba-Bu (Bufonada-Balagan-Burlesque), created by Yuri Andrukhovych (Patriarch), Victor Neborak (Prosecutor) and Alexander Irvanets (Treasurer), became the driving force behind Ukrainian postmodernism. This literary group is the embodiment of the carnival Neo-Archetyan thought inherent in the meta-historical carnival history of mankind. The bubabists call their work a situational-conceptual artistic response to social reflection. Also, modern Ukrainian literature can not be imagined without the representatives of the «Stanislavsky phenomenon» – artists from Ivano-Frankivsk¹, in which the works of the most refined were presented the values of Ukrainian postmodern discourse, in particular, it is an aggressive condemnation of violent dehumanization, assimilation of man by the outside world, faith in the spirituality of the people (which is not the case in Western postmodernists), carnivalism and humor are directed against negative phenomena in Ukrainian culture and politics.

One of the brightest «Stanislaviv» is Yuriy Izdryk. Since the writing of the post-colonial novel «Wozzeck & Wozzokurgi», he asserts the right to juggling facts about unnamed individuals who can be easily identified in narrow circles. Within the limits of my research I want to emphasize the fact that the protagonists Izdryk's novels are almost always artists. In view of this, it's worth taking the collection of the essay «Flash drive 2 Gb» as a self-irony, since the personality of the artist Izdryk, whose changes can be observed in all his novels, are finally divided into small parts. He has an outright surzhik, inherent in a resident of the central part of Ukraine, and this is honest. Also, frank confessions have stories about attempts to stand out among other clothes, behavior, habits, knowledge of the intricacies of bohemian life. In parallel, the writer reveals the creation of pseudo-arts, in which the parody of the jokes of Salvador Dali (when he arranged performances for those who want to know the secret of the success of his paintings) and the beginning of the «Divine Comedy» by Dante Alighieri guess: «At the thirtieth (somewhere) the year of my life I suddenly realized, which I absolutely do not understand in the literature. As every Ukrainian has to be, from time to time in the narrative there appears the figure of Kobzar – Taras Shevchenko.

¹ The old name of the city – Stanislaviv.

«Poet L.» is the code name of the main actor. Izdryk confessed that he wanted to call the artist «Mr. X / H¹», but «given the deadline and his own indecisiveness (this letter from a Slavic reader can cause too many ideas and associations, therefore, it is likely that the writer did not come to dive so deeply in the collective unconscious) stopped at the middle variant. «L.»— a typical postmodernist, he mixes everything that was created and said to him, so in the stories we see collages and sketches with a mandatory taste of theatricality.

The main feature of the work is that the narrator (that is, the poet L.) not only refers directly to the reader, creating a common space for one-way communication, but creates the image of the author, inserting phrases like «The time itself seems to stop and try to analyze, what the author has spoken about here. «In fact, there is such a connection: the author does not create the text, but the text makes it the author, like child's birth turns ordinary human into parent. Confirmation of the presence of poioumenon in the «Flash drive 2 Gb» is found at Sheldon Fisher's work[Fisher 1997].Hetoldthatunfinished-charactersare the instruments for writers who in one hand extend themselves out, as it were, into the world through their characters, but on the other hand they use those character as a means of distilling or clarifying their own experience.

Summing up the above, we can mention the importance of using poioumenon, through which you can look into the creative workshop of the writer, and even feel part of the act of creation. Of course, not only the author's belonging to a particular culture, but also the reader plays an important role, since the literature of postmodernism is full of cultural codes that can be read only by readers who are knowledgeable with this culture. On the other hand, postmodern literature leaves the reader the right to create his own meanings, finding in his culture counterparts or associations, and this makes fiction in the XXI century without boundaries and barriers.

Aesthetic of one nation becomes understand for the other so fastbecause, as Croce says, in XX century writer's technique is his art concept and we can say that this trend is continuing. Whilethe artistfeels and observes those things whichhave been seeing by him however distantly feltby othershe has the capability to embody it in image or character. It's the way how heraises

1 The letter "x" in Ukrainian pronounces [h]. It hints to the same name character from operette by Imre Calman or to the obscene word.

an issue of irrational art in irrational society. As Read said, an art and society have common source – human's perception to the world around. So, all processes in society and government are reflecting on each other's destiny. Maybe that's why novels about creators who have extra power and can change reality in different ways will always be bestsellers, especially in countries with the history of totalitarian regime.

REFERENCE:

Bergson 1935: Bergson, Henri. *The Two Sources of Morality And Religion*. Toronto: Macmillan And Company Limited, 1935.

Fisher 1997: Sheldon, Fisher. *Poiooumenon and Performative Storytelling in Canadian Fiction*. [book on-line]. Fledderus, Bill. 1997, accessed 10 October 2018; available from <https://journals.lib.unb.ca/index.php/SCL/article/view/8268>, Internet.

Gadamer 2004: Gadamer, Hans G. *Truth and Method: The History of Hermeneutics*. London: Continuum, 2004.

Malshe 2003: Malshe, Millind S. *Aesthetics of Literary Classification*. [book on-line]. Mumbai: Popular Prakashan, 2003, accessed 10 October 2018; available from <https://books.google.com.ua/books?id=d2HkN11TOWYC&printsec=frontcover&hl=ru#v=onepage&q&f=false>; Internet.

Robinson 2013: Robinson, Simon. *Exploring Gadamer's Truth and Method The History Of Hermeneutics*. [book on-line]. Wordpress, 2013, accessed 10 October 2018; available from <https://transitionconsciousness.wordpress.com/2013/03/25/exploring-gadamers-truth-and-method-the-history-of-hermeneutics/>; Internet.

Коник 2017: Коник, Марта. Перекладачка Алла Татаренко: У книжках людей, які пережили війну, дуже багато краси. [book on-line]. Українська правда, accessed 10 October 2018; available from <https://life.pravda.com.ua/culture/2017/08/21/225995/>; Internet.

Струкова 2016: Струкова, Екатерина А. Образ творческой личности в произведениях англоязычных постколониальных писателей Дж. М. Кутзее и С. Рушди. Диссертация на соискание степени кандидата филологических наук, Московский государственный педагогический университет, 2016.

AVTANDIL NIKOLEISHVILI

Georgia Kutaisi

Akaki Tsereteli State University Akaki Tsereteli State University

National and Political Belief of Nikolo Mitsishvili

Among those writers, who created a various literary works in XX century, should also be mentioned Nikolo Mitsishvili (1896 – 1937). Despite the obstacles, related to his view, writer's opinions are definitely important not only for understanding the past, but also for realizing future perspectives of our country. Although, in his public speeches and writings Nikolo Mitsishvili was expressing the negative attitude towards the Soviet Union, his position was different. In particular, those words that he had heard after two – three years from appearing a new power, made him think that the government will fulfill promises. That's why he decided to serve a new political power. He considered that it was his duty. The writer also thought about visiting Georgian emigrants in Europe in order to promote the Soviet propaganda. This fact, of course, made emigrants think that he was an agent of the government. The most important thing for revealing Nikolo Mitsishvili's national and political belief is to become closely acquainted with his documentary prose and publications. For example, in the polemic letter "Thoughts about Georgia," country's history and future perspectives are shown in such a nihilistic way, that it still remains as an issue of discussion. Since 1928 the writer strictly criticized the national politics of the Soviet Union in his letters and public speeches. Unfortunately, as the result, Nikolo Mitsishvili, like other Georgian patriots, became a victim of 1937 year repressions.

Key words: Nikolo Mitsishvili, Georgian writer, national and political belief.

ავთანდილ ნიკოლეიშვილი

საქართველო, ქუთაისი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნიკოლო მინიშვილის ეროვნულ-პოლიტიკური მრწამსი

მეოცე საუკუნეში მოღვაწე იმ ქართველ მწერალთა შორის, რომელთაც თავიანთი შემოქმედებით საგულისხმო წვლილი შეიტანეს ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში, უსათუოდ უნდა მოვიხსენიოთ ნიკოლო მინიშვილიც (1896-1937 წწ.). ამკარად გამოვლენილ იმ

შინაგან წინააღმდეგობათა მიუხედავად, რითაც მისი მსოფლმხედველობრივი მრწამსი ხასიათდება, თავისი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თვალთახედვით ნ. მინიშვილის ნააზრევი არა მარტო შესაბამისი პერიოდის ქართული სინამდვილის საფუძვლიანად შესაცნობადაა საინტერესო, არამედ ჩვენი ქვეყნის განვითარების სამომავლო პერსპექტივებზე დასაფიქრებლადაც წარმოადგენს იმპულსის მომცემ სულიერ ფასეულობას. მიუხედავად იმისა, რომ თავის ნაწერებშიცა და საჯარო გამოსვლებშიც ნ. მინიშვილი საბჭოთა ხელისუფლებისადმი დროდადრო მეტად კრიტიკულ დამოკიდებულებასაც გამოხატავდა ხოლმე, თავისი პოლიტიკურ-იდეოლოგიური თვალთახედვით იგი ამ ხელისუფლებისადმი ბოლომდე ნეგატიურად განწყობილი მაინც არ ყოფილა და მისი მსოფლმხედველობა ამ თვალსაზრისით აშკარად წინააღმდეგობრივია და გაორებული.

კერძოდ, საბჭოთა ხელისუფლების მესვეურთა მიერ სიტყვიერად დეკლარირებულმა დაპირებებმა ნ. მინიშვილს ამ მოვლენის მოხდენიდან ორი-სამი წლის შემდეგ იმის იმედი გაუჩინა, რომ ისინი აღნიშნულ დაპირებებს აუცილებლად შეასრულებდნენ. სწორედ აქედან გამომდინარე ჩათვალა მან თავის მოქალაქეობრივ მოვალეობად, აქტიურად ჩამდგარიყო ახალი ხელისუფლების მსახურთა რიგებში და გარკვეული პერიოდის განმავლობაში ევროპაშიც წასულიყო იქაურ ქართველ ემიგრანტებში პროსაბჭოური პროპაგანდის გასაწევად. ყოველივე ზემოთქმულის დამადასტურებელ არგუმენტებს საკმაოდ მრავლად გვანვდის თავად მწერალიც. კერძოდ:

1. ნ. მინიშვილისავე ინფორმაციით, ემიგრაციაში წასვლის ნებაბართვა მისთვის საქართველოს მთავრობის მაშინდელ თავმჯდომარეს სერგო ქავთარაძეს მიუცია (მინიშვილი 2006: 53). ეს ამბავი ევროპაში მცხოვრებ ქართველებში მაშინ იმდენად ფართოდ გახმაურდა, რომ ბევრმა მათგანმა იგი საბჭოთა ხელისუფლების მიერ უცხოეთში მიზანმიმართულად გაგზავნილ აგენტადაც კი მიიჩნია.

2. სწორედ იმის გამო, რომ საქართველოს ყოფილი მთავრობის წევრთა უდიდესი ნაწილიცა და ქართველი ემიგრანტებიც ნ. მინიშვილს ბოლშევიკად მიიჩნევდნენ და არა საბჭოთა ხელისუფლებისგან დევნილ პიროვნებად, საფრანგეთის საკონსულომ მას ამ ქვეყანაში შესასვლელი ვიზის მიღება საკმაოდ გაუართულა. ამ გარემოებას თავად მწერალიც არაერთგზის უსვამს ხაზს „ქართულ ქრონიკაში.“

3. საფრანგეთში ჩასული ნ. მიწიშვილი 1924-25 წლებში აქტიურ მონაწილეობას იღებდა საბჭოთა კავშირის იქაური საელჩოს დაფინანსებითა და გრიგოლ ვეშაპელის (ვეშაპიძის) რედაქტორობით 1924 წელს დაარსებულ პრობოლშევიკურ გაზეთ „ახალი საქართველოს“ გამოცემაში. აღნიშნულ გარემოებასთან ერთად, აქვე არც ის ფაქტი უნდა დავტოვოთ უყურადღებოდ, რომ ხსენებული გაზეთი მაშინ საქართველოშიც იყიდებოდა შეუზღუდველად.

4. საბჭოთა ხელისუფლებისადმი ნ. მიწიშვილს იმჟამად მართლაც ლოიალური დამოკიდებულება რომ ჰქონდა, ამას, ჩემის აზრით, ხსენებული გაზეთის პირველ ნომერში გამოქვეყნებული მისი საპროგრამო წერილის თუნდაც ეს ფრაგმენტიც ადასტურებს: „ოქტომბერმა საბოლოოდ და რადიკალურად გადაჭრა ეროვნული საკითხი და არა მარტო საქართველოს მასშტაბით... ამიტომ ჩვენ მთელის პოლიტიკური შეგნებით ვღებულობთ საბჭოთა ფედერაციაში მყოფ საქართველოს რესპუბლიკას, როგორც უდავო ფორმას ქართველი ხალხის ეროვნულ მისწრაფებათა განხორციელებისათვის. ჩვენი მიზანია – ვემსახუროთ ამ აზრის პოლიტიკურად განმტკიცებას, მის გატანას და გაშლას ქართველი ხალხისა და ინტელიგენციის ფართო წრეებში... საბჭოთა ფედერაციაში მყოფი საქართველოს რესპუბლიკა იმ უფლებებით და მოვალეობით, როგორც მას აქვს დღეს, – ჩვენ მიგვაჩნია თანამედროვე ეპოქის უდიდეს პოლიტიკურ მიღწევად და ამ მხრივ – საბჭოთა საქართველოს მთავრობა, რომელიც ზრუნავს ამ უფლებების განმტკიცებისათვის – ქართველი მშრომელი ხალხის ინტერესების დამცველ მთავრობად.“ ნ. მიწიშვილის ამგვარ პროპაგანდისტულ წერილებსა და ქართველ ემიგრანტებში აქტიურად გაჩაღებულ პროსაბჭოურ აგიტაციას საბოლოოდ ის შედეგი მოჰყვა, რომ საფრანგეთის სასამართლომ მას ქვეყნიდან გასახლება მიუსაჯა.

5. ქართველ ემიგრანტებში (და არა მარტო მათში) იმ შეხედულებების დამკვიდრება, ნ. მიწიშვილი ქართულ ემიგრაციაში საბჭოთა სპეცსამსახურის მიერ შეგზავნილ აგენტს რომ წარმოადგენდა, შემდეგმა გარემოებამაც შეუწყო ხელი: მწერალს 1925 წელს არა მარტო სამშობლოში დაბრუნების უფლება მისცეს, არამედ იგი ჩამოსვლისთანავე ჯერ სახელმწიფო გამომცემლობის მხატვრული ლიტე-

რატურის განყოფილების გამგედ დანიშნეს, 1926 წელს კი ჟურნალ „ქართული მწერლობის“ მთავარი რედაქტორობა დააკისრეს.

ნ. მიწიშვილის ეროვნულ-პოლიტიკური მრწამსის გასააზრებლად აქ ერთი პოეტური პაექრობაც მინდა გავიხსენო. მხედველობაში მაქვს – ილამაზ მიწიშვილის მიერ გამოქვეყნებული ანონიმი ავტორისა და ნ. მიწიშვილის პოეტური გაპაექრება ერთმანეთთან. კერძოდ, მწერლისთვის გაგზავნილ პოეტურ ბარათში ანონიმი ავტორი გულისტკივილით საუბრობს საბჭოთა ხელისუფლების სამსახურში ჩამდგარ ადამიანთა მიერ საკუთარი სამშობლოს წინაშე ჩადენილ დანაშაულობებზე და მწერალს ბრალს დებს იმაში, რომ მან და მისმა კოლეგებმა თავიანთი „კალამი, სიტყვა და საქმე ჩრდილოეთის ქარს შესწირეს.“ ამის გამო იგი მათ „პარტიის მონებს“ უწოდებს და პირდაპირ ეუბნება, რომ ორ სხვადასხვა ბანაკში მოქცეულები, ისინი ერთმანეთის მტრები იყვნენ (მიწიშვილი 2011ა: 392):

ნ. მიწიშვილს არ დაუყოვნებია და 1931 წლის 5 მაისს უცნობი ავტორის საპასუხოდ დაწერილ ლექსში ცადა სათანადო განმარტებები გაეკეთებინა მის მიმართ წაყენებულ ბრალდებებთან დაკავშირებით. კერძოდ, იგი მეტად საინტერესოდ განმარტავდა იმ სირთულეთა არსს, რაც ქვეყნისათვის მსახურების მისთვის მისაღები გზის მიგნებასთან აღმოჩნდა დაკავშირებული.

ნ. მიწიშვილის ეს ლექსი ამ თვალსაზრისით სიღრმისეულად წარმოაჩენს იმ პიროვნების ტრაგედიას, რომელიც ამ გზის აქტიურმა ძიებამ მსოფლმხედველობაგაორებულ კაცად აქცია. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ხსენებული „პასუხი“ ფაქტობრივად იმავე სათქმელის წიაღიდან აღმოცენებული ლექსია, რაც პოეტმა მოგვიანებით მის პოეტურ შედეგში – „ჭაჯი მურატის მოჭრილი თავი“ გამოხატა.

ნ. მიწიშვილის „პასუხისადმი“ ინტერესს არსებითად განსაზღვრავს ის ფაქტი, რომ პოეტი მასში იმჟამინდელი პარტიული დეოლოგიური სწორხაზოვნებით იმას კი არ ამტკიცებდა, საბჭოთა ხელისუფლების სამსახურში უღალატო ერთგულებით დგომა ქვეყნის მსახურების ერთადერთი გზა რომ იყო. პირიქით, ავტორის ხაზგასმით, რადგანაც იმხანად არსებული ორი გზიდან მისთვის ბოლომდე მისაღები ქვეყნის მსახურების არც ზემოთ ნახსენები გზა იყო და არც მისი ანონიმი ოპონენტისა, მან თავისი ცხოვრების

საბჭოურ პერიოდში მათგან განსხვავებულ, მესამე, გზას დაუწყო აქტიურად ძიება. მაგრამ რადგანაც იგი ვერ იპოვა, თავის მოქალაქეობრივ მოვალეობად ჩათვალა, საბჭოთა ხელისუფლების სამსახურში ჩამდგარიყო.

ძიების ეს ურთულესი და შინაგანად წინააღმდეგობრივი პროცესი ლექსში იმდენად მძაფრად და ყოველგვარი შენიღბვის გარეშეა წარმოჩენილი, რომ ანონიმი ავტორისადმი გაცემული პოეტური პასუხი თავის მართლებად და სხვა არჩევანის არარსებობის გამო მიღებულ იძულებით გადაწყვეტილებად უფრო აღიქმება, ვიდრე საკუთარ არჩევანში ღრმად და დაუეჭვებლად დარწმუნებული კაცის იდეურ-პოლიტიკური მრწამსის გამოხატვად.

ნიკოლო მინიშვილის ეროვნულ-პოლიტიკური მრწამსის წარმოჩენის მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა მისი დოკუმენტური პროზა და პუბლიცისტიკა. ამ ნაწარმოებებზე საუბარს დავიწყებ 1923 წელს, პარიზში ცხოვრების დროს, დაწერილი მხატვრული ქრონიკით „თებერვალი,“ რომელშიც 1921 წლის 17-18 მარტს, საქართველოდან მენშევიკური მთავრობის გადახვეწისა და ხელისუფლების სათავეში ბოლშევიკების მოსვლის დღეებში, ბათუმში არსებული მდგომარეობაა აღწერილი. ნაწარმოებისადმი ინტერესს არსებითად განსაზღვრავს ის ფაქტი, რომ იგი ხსენებულ მოვლენათა მოხდენიდან ორიოდე წლის შემდეგ იმ პიროვნების მიერ დაწერილ მხატვრულ-დოკუმენტურ ნაწარმოებს წარმოადგენს, რომელიც თავად იყო მათი უშუალოდ თვითმხილველი. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ქვეყნის სათავეში ამ მოვლენათა შედეგად მოქცეული ახალი ხელისუფლებისადმი გარკვეული სიმპატიები ნ. მინიშვილს იმხანად უკვე ჰქონდა გაჩენილი, ნაწარმოების ცალკეულ ეპიზოდებში მაინც აშკარად ვლინდება ახალი რეალობისადმი მისი აშკარად კრიტიკული და გაორებული დამოკიდებულება.

მაგალითად, აი, როგორ აღწერს მწერალი პეტერბურგიდან ოქტომბრის რევოლუციის სახით გადმოვარდნილ და ჩვენს ქვეყანაში „ატეხილ სტიქიონად“ მოხეტეებულ იმ მოვლენას, რომელმაც „კანონები უკუღმა შეატრიალა:“ „ასკდებოდა წყალი ნაპირს... შეტრიალდა კანონები უკუღმა. ესე იგი: – აღელდა ეხლა ხმელეთი, პირველი ტალღა გაქანდა მინაზე ოქტომბერში პეტერბურგიდან, როდესაც დაიწყო რევოლუცია რუსეთის. ოქტომბერში ტალღა გაიშალა. ატორტმანდა რუსული მინდორი. მოაწყდა ეს ტალღა კავკა-

სიონს და შეჩერდა (მაღალია კავკასიონი), შეინძრა, კიდევ ერთხელ აზვირთდა. აქაფდა, გადმოსახა მთებზე ღვრია წყალი და გაიბნა“ (მინიშვილი 2006ბ: 16).

მწერლის შეფასებით, სწორედ კავკასიონის მთებზე „გადმოსხმული ამ ღვრია და აზვირთებული წყლის ტალღებში,“ შემდეგ „ოკეანედ რომ გადაიქცა,“ ჯერ თბილისი ჩაიძირა, მერე – ქუთაისი, ბოლოს კი – ბათუმიც. ასეთ მდგომარეობაში მოქცეული ქვეყნის მოქალაქეებს თავის გადასარჩენად, ნ. მინიშვილის აზრით, იმხანად მხოლოდ ორი გზა დარჩენოდათ – „გზა ზღვისაკენ – ეს იყო სიკვდილი. დახრჩობა. გადაშენება. ამოძირკვა და მეორე გზა: გაჩერება ზღვასთან, მიწაზე (მიწაზე მაინც). შეიძლება გზა სიკვდილის, მაგრამ სიკვდილის მიწის სიყვარულით გამართლებულის. ორივე გზა კი საშიში. ორივე გზა – უფსკრულებზე. სიარული დანის პირზე“ (მინიშვილი 2006ბ: 16).

ნ. მინიშვილის შემოქმედებიდან ასევე განსაკუთრებული ყურადღება მინდა მივაქციო „ეპოპეიას,“ რომელიც მწერალმა ემიგრაციიდან სამშობლოში დაბრუნებიდან ორი წლის შემდეგ, 1928 წელს, დაწერა და რომელშიც „თებერვალში“ აღწერილ მოვლენათა შემდგომდროინდელი ვითარება წარმოსახა დოკუმენტური სიმართლით. როგორც ცნობილია, ემიგრაციაში მიმავალი ნ. მინიშვილი საფრანგეთის ვიზის მოლოდინში 1922 წლის ივნისიდან 6 დეკემბრამდე სტამბოლში იმყოფებოდა. ამ ხნის მანძილზე სტამბოლში მისი ყოფნა არსებითად აღმოჩნდა განპირობებული საფრანგეთში წასასვლელი ვიზის მიღებასთან დაკავშირებით წარმოქმნილი სირთულით. აქედან გამომდინარე, ნაწარმოებში საკმაოდ ვრცლადაა მოთხრობილი ჩვენი ქვეყნის სათავეში ბოლშევიკური ხელისუფლების მოქცევის გამო სტამბოლს თავშეფარებული ჩვენი თანამემამულეების ცხოვრების ამბავი.

როგორც ცნობილია, ნ. მინიშვილის მხატვრულ-დოკუმენტური პროზის ყველა ნიმუში, გარდა „თებერვლისა,“ მწერლის ცხოვრების ემიგრანტულ პერიოდის აღწერას ეძღვნება. თუ გავითვალისწინებთ წარმოუდგენლად რთულ იმ სიძნელეებს, რაც ნ. მინიშვილს უცხოეთში მისი ხანმოკლე ყოფნის დროს შეხვდა, ბუნებრივია, გაგვიჩნდება კითხვა: რა მიზანი ამოძრავებდა მწერალს, როცა მან ემიგრაციაში წასვლა გადაწყვიტა?

სამწუხაროდ, თავისი ამ მიზანდასახულობის შესახებ თავად ნ. მინიშვილი არც ერთ ნაწარმოებში დაზუსტებით არაფერს გვეუბნება. ერთადერთი ყველაზე მეტად მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რასაც იგი „ქართულ ქრონიკაში“ ამასთან დაკავშირებით გვაუწყებს, ისაა, რომ უცხოეთში წასასვლელი ნებართვა მისთვის მთავრობის თავმჯდომარეს – სერგო ქავთარაძეს მიუცია (მინიშვილი 2006ა: 53).

ემიგრანტ ქართველებში გახმაურებულმა ამ ფაქტმა და მათთან საუბრების დროს ბოლშევიკებისადმი გამოხატულმა მხარდამჭერმა დამოკიდებულებამ პოლიტიკურ ნიადაგზე უცხოეთში გადახვენილ ჩვენს თანამემამულეებს სავსებით ლოგიკურად გაუჩინა ეჭვი იმასთან დაკავშირებით, ნ. მინიშვილი უცხოეთში საბჭოთა ხელისუფლების მიერ გაგზავნილ აგენტს ხომ არ წარმოადგენდა. ისინი მასთან შეხვედრების დროს თავიანთ ამ ეჭვს არც მალავდნენ და მწერალს პირდაპირაც კი ეუბნებოდნენ ამის შესახებ.

„ქართული ქრონიკა“ უაღრესად საინტერესო ნაწარმოები იმ თვალსაზრისითაცაა, რომ მასში ნ. მინიშვილის შემოქმედების ერთ-ერთ მთავარ თემად ქცეული მსოფლმხედველობაგაორებული ადამიანის ტრაგედიაც გამოვლინდა საკმაოდ ნათლად. თავისი შემოქმედების ერთ-ერთ უმთავრეს თემად ქცეული ეს პრობლემა მწერალს განსაკუთრებული სიმძაფრით რომ აწუხებდა, ამას საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე მისეული ადგილის ვერმიგნებით განპირობებული წუხილის თუნდაც ამგვარი ფორმით გამოხატვაც ადასტურებს: „ბოლოს და ბოლოს რას დავეძებ მე. რა დამარბენინებს ქვეყნიდან ქვეყნად, რა მამწარებს, რომ ასე ვეთამაშები სიკვდილს და რისი იმედით შევდივარ ლომის გალიაში, ეს ლომი თუ გამგლეჯს მე“ (მინიშვილი 2006ა: 166).

ვფიქრობ, საოცარი გულწრფელობით აღბეჭდილი ამ აღმსარებლური ფრაგმენტებით ნიკოლო მინიშვილმა თუმცა რამდენადმე შენიღბული, მაგრამ მაინც ადვილად შესაცნობი სახით, კიდევ ერთხელ გამოხატა როგორც ორ ბანაკად გახლეჩილი მისი დროის საზოგადოების ერთმანეთთან შემაკავშირებელ გზათა აქტიური ძიების დიდი სურვილი, ისე ურთულეს ეპოქალურ მოვლენათა მსხვერპლად ქცეული და მსოფლმხედველობაგაორებული მამულიშვილის სულიერი ტრაგედია.

1922 წელს, სტამბოლში ყოფნის პერიოდში, ნიკოლო მიწიშვილმა დღემდე მძაფრი პოლემიკის საგნად ქცეული წერილიც დაწერა – „ფიქრები საქართველოზე“, რომლის ხელნაწერიც მან გამოქვეყნებამდე, 1922 წლის 30 აგვისტოს, წინასწარ სამსჯელოდ თავის „ცისფერყანწელ“ მეგობრებს გამოუგზავნა თბილისში. იმის გამო, რომ საქართველოს ისტორიასთან და სამომავლო პერსპექტივასთან დაკავშირებული ბევრი საკითხი ხსენებულ წერილში ავტორს მეტად ნიჰილისტური თვალთახედვით ჰქონდა განსჯილ-გააზრებული, წერილი საქართველოში ჯერ კიდევ გამოქვეყნებამდე იქცა ცხოველი ინტერესისა და პოლემიკის საგნად.

კიდევ უფრო დიდი ვნებათა ლეღვა მოჰყვა „ფიქრების“ გამოქვეყნებას. თუმცა ჩვენი ქვეყნის ისტორიული ყოფისა და სამომავლო განვითარებასთან დაკავშირებულ პრობლემათა არაორდინალური თვალთახედვით გააზრების გამო ნ. მიწიშვილის ხსენებულ პუბლიკაციასთან დაკავშირებული პოლემიკა ამით არ დამთავრებულა და მწერლის შემოქმედებითი მემკვიდრეობიდან აღნიშნული წერილი და მასში გამოთქმულ მოსაზრებათა მოწინააღმდეგე ავტორებისთვის საპასუხოდ დაწერილი განმარტება – „ჩემი პასუხიც“ (1927 წ.) დღემდე რჩება განსაკუთრებული ინტერესისა და ცხოველი მსჯელობის საგნად.

მწერლის დროინდელმა ქართულმა ინტელექტუალურმა საზოგადოებამ ნ. მიწიშვილის „ფიქრები“ ერთმნიშვნელოვნად შეაფასა ავტორის სრულიად უსაფუძვლო ნიჰილისტურ დამოკიდებულებად ჩვენი ქვეყნის წარსულის, აწმყოსა და მომავლისადმი. ნ. მიწიშვილის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან მისი თვალსაზრისისგან მკვეთრად განსხვავებულ მოსაზრებათა გამომხატველი ეს წერილები თავადვე გამოაქვეყნა მისივე რედაქტორობით სამომავალ ყურნალ „ქართულ მწერლობაში.“ ამით მან არა მარტო პიროვნული დიდსულოვნება და ობიექტურობა გამოავლინა, არამედ ჩვენი ქვეყნის წინაშე უმწვავესი ფორმით მდგარ პრობლემათა არსში სიღრმისეულად გარკვევის დიდი სურვილიც.

ხსენებული პოლემიკის არსსა და კამათის საგნად ქცეულ საკითხებზე უფრო ნათელი წარმოდგენის შესაქმნელად, დავიმოწმებ რამდენიმე ამონარიდს ნ. მიწიშვილის ოპონენტთა ოპუსებიდან:

მ. ჯავასიშვილი: ნ. მიწიშვილი „თავგანწირულებით ვარდება ეჭვიანობისა და ნილილიზმის მორევში... რომელ ცოცხალ ქართველს

არ უზის გულში ეჭვის ჭია?! ვის არ აწუხებს, ან ვინ არ უწვალდება მწვავე შიშსა და მომავალის „ვაი თუს?!“ ჩვენი ლიტერატურა სავსეა ასეთი შიშის იდუმალი ლელვით. მაგრამ შიშიც არის და შიშიც. მ.-ს ბუნებრივი ეჭვიანობა ჯერ შიშად გადაიქცა, მერე კი ფხრენაში და ფეთებაში გადავიდა. და ამ დაფეთიანებას ჩვენი ძველი ნაცნობი ნიჰილიზმი ამოფარებია. იგი ქიმუნჯით ერეკება პოეტს შავი უფსკრულისკენ, არარაობისკენ, უარყოფისკენ... არ ვიცი, იქნება ამან სხვა ვინმე დააფრთხო. მე კი წერილი ჩავიკითხე და მივანერე: „რამ შეგაშინა მაგრე რიგად, ძმობილო? შენი არ მეშინია და არ მჯერა“ (ფიქრები საქართველოზე 2006: 105).

გ. რობაქიძე: „მინიშვილი საქართველოში „ღვთის ხელს ვერ ნახულობს...“ რა არის მას „ქართლის ცხოვრება?.. ნუ თუ „ქართლის ცხოვრების“ აწნალები გენიის ცეცხლის ნატეხები არ არიან?.. ნუ თუ ავტორს ჰგონია, რომ რუსთაველით ამოიწურება ქართული გენია?.. რუსთაველამდე კიდევ იყვნენ სხვებიც, რომელთაც ქართულ სიტყვაში გენია გააღვიძეს“ (ფიქრები საქართველოზე 2006: 23-28).

ს. დედვარიანმა ნ. მინიშვილის „ფიქრებს“ „სხვის ტანზე გამოჭრილი და შეკერილი იმედდაკარგულობის მოსასხამი“ უწოდა და მას ასეთი განმარტებადებული შეფასება მისცა: „ამ ფიქრებში არის დიდი ოცნება, დიდი წარმოდგენა საქართველოზე და სულ პატარა, რწყილის ოდენა მოლოდინი საქართველოსაგან. ერთ უღელში შებმული „ლომი და რწყილი“ მოაგორებენ ამ ურემს, რომელზედაც მინიშვილს დაულაგებლად შეუწყვია „ფიქრები საქართველოზე“ (ფიქრები საქართველოზე 2006: 33).

ბ. გორდენიანის შეფასებით კი, თავისი „ფიქრებით, ნ. მინიშვილი „საქართველოს ხედავს მრუდე სარკეში“, სიმონ ჩიქოვანი მტკიცებით კი ხსენებულ წერილს „უსათუოდ აზის სკეპტიკური დალი.“

მიუხედავად მკვეთრად უარყოფითი ამგვარი შეფასებებისა, ნ. მინიშვილმა ამ პოლემიკის შედეგად თვალსაზრისი არათუ არ შეიცვალა, არამედ კამათის საგნად ქცეული საკითხებისადმი თავისი კრიტიკული დამოკიდებულება კიდევ უფრო მეტი სიმკვეთრით გამოხატა ოპონენტების მიერ გამოთქმულ მოსაზრებათა საპასუხოდ ჟურნალ „ქართული მწერლობის“ 1927 წლის იანვრის ნომერში გამოქვეყნებულ ვრცელ წერილში – „ჩემი პასუხიც.“

ნ. მინიშვილის ზემოთ ხსენებული წერილები განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში გასული საუკუნის 80-90-იან წლებშიც

მოექცა და მათში დასმულ საჭირობოროტო საკითხებთან დაკავშირებით განახლებული დისკუსია გამართეს ქართული მწერლობისა და მეცნიერების თვალსაჩინო წარმომადგენლებმა (მხედველობაში მაქვს ჟურნალ „ცისკრის“ 1988 წლის IX და გაზეთ „კავკასიონის“ 1993-1994 ნომრებში გამოქვეყნებული წერილები).

ჩემეული თვალთახედვით, ნ. მინიშვილის „ფიქრებისადმი“ ინტერესს არსებითად განსაზღვრავს ის ფაქტი, რომ ქართველი ერის მიერ მთელი მისი არსებობის განმავლობაში შექმნილი სულიერ-ინტელექტუალური მემკვიდრეობა მწერალს ევროპული კულტურის კონტექსტში აქვს შეფასებული. განსხვავებით იმ ავტორებისაგან, რომლებიც მსგავსი ხასიათის თავიანთ ნაშრომებში ევროპული კულტურის საგანძურში ჩვენი ერის დიდ შემოქმედთა მიერ შეტანილ წვლილს საკმაოდ მაღალ შეფასებას აძლევდნენ, ნ. მინიშვილი ყოველგვარი დაეჭვების გარეშე აცხადებდა, რომ ქართული მემკვიდრეობის ამგვარი შეფასება აშკარა შეცდომა იყო და სინამდვილეს არ შეესაბამებოდა.

თავად ნ. მინიშვილისავე სიტყვებით რომ ვთქვათ, ევროპულთან შედარებით, „ჩვენი შემოქმედება შეკვეცილი, ფრთაშეჭრილი, დამცირებული და გაუშლელია“ (მინიშვილი 1926: 13). მისი მტკიცებით, ამ მოვლენის განმაპირობებელ უმთავრეს ფაქტორს უპირველეს ყოვლისა ჩვენი ყოფა წარმოადგენდა, იმ რეალობის არარსებობა, რომელიც „დიდი შემოქმედების“ წარმოქმნელ „ენერჯიად, სტიქიად, ატმოსფეროდ და ნოყიერებად“ უნდა ქცეულიყო.

ჩვენი სულიერი მემკვიდრეობისადმი მწერლის ნიჰილისტური დამოკიდებულება წერილის ბოლოს იმდენად დიდ მასშტაბებსაც კი იძენს, რომ იგი არა მარტო ქართველი ხალხის წარსულში ვერ პოულობს რაიმე ფასეულსა და მნიშვნელოვანს, არამედ მის მომავალშიც ვერ ხედავს იმედისმომცემ პერსპექტივას. ჩემის აზრით, ერთადერთი მართებული მოსაზრება, რომელსაც ნ. მინიშვილი ხსენებულ პუბლიკაციაში გამოთქვამს, მხოლოდ იმის ხაზგასმანია, რომ მის მიერ ესოდენ თალხი ფერებით წარმოსახულ არასასურველ რეალობას ქართველი ხალხი მომავალში მხოლოდ და მხოლოდ მაშინ დააღწევს თავს, „თუ ჩვენც, როგორც ეროვნული მოვლენა, ისე გავშლით ფრთებს“ და „გავალთ ევროპაში როგორც ქართველები და მარტო ქართველები, რომელნიც გავიტანთ და გამოვაჩინთ საქართველოს სახებას“ (მინიშვილი 1926: 20).

თუმცა ჩვენი ერის სამომავლო განვითარებასთან დაკავშირებით ავტორის მიერ მხოლოდ ერთგან და ისიც დაეჭვებით გამოთქმულ ამ სურვილს აშკარად თრგუნავს ქართული ფენომენისადმი მისი დამოკიდებულების არსებითად განმსაზღვრელ საფუძვლად ქცეული ნიჰილიზმი და სრული უიმედობა. მაგალითად, საქართველოს წარსულიც, აწმყოცა და მომავალიც მწერალს ისეთი სასონარმკვეთი სკეპტიციზმით აქვს გააზრებულ-შეფასებული, რომ ჩვენი ქვეყნის რეალურად არსებობაშიც კი ეპარება ეჭვი და მას მხოლოდღა „გადაგვარებაში გადასულ ეთნოგრაფიულ მოვლენად“ მიიჩნევს.

ასე რომ, ნ. მინიშვილის მტკიცებით, „ჩვენი არსებობა დაცინვაა განგებისა ჩვენს თავზე. ჩვენშია ჩამჯდარი ლომი და რწყილი, ეშმაკი და ანგელოზი, ნიჭი და ყიყვი.“ დასკვნა, რომელიც მწერალს ნიჰილიზმით გაუღენთილი ამ მსჯელობის შედეგად გამოაქვს, ასეთია: „ხერხემალს ქართულის იდეისა მე ვერ ვპოულობ და ვერც აზრს საქართველოს წარსულში“ (მინიშვილი 1926: 20).

საქართველოს ისტორიისა და ჩვენი სულიერი მემკვიდრეობისადმი ამგვარმა სკეპტიკურმა დამოკიდებულებამ ნ. მინიშვილი ისეთი კურიოზული თვალსაზრისის გამოთქმამდეც კი მიიყვანა, რომ მან მის მიერ კაცობრიობის საგანძურში ქართველი ერისაგან შეტანილ ერთადერთ ფასეულობად მიჩნეული „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ქართველობაშიც კი შეიტანა ეჭვი და ასეთი კურიოზული განცხადება გააკეთა: „თუ ის ჩვენი ცხოვრებისაგანაა – უსათუოდ გაუგებრობაა ის; თუ არადა – რუსთაველი არაა ქართველი, ანდა მისი პოემა ადვილად ნაშოვნია სადმე.“

საბოლოოდ, უკიდურესი ეროვნული ნიჰილიზმით სავსე ეს პესი-მისტური მსჯელობა ნ. მინიშვილმა ამგვარი რეზიუმეთი შეაჯამა: „საქართველო პასიური მოვლენაა.“

მისი ენერგია გამონვეული იყო სხვა, მის გარეშე მყოფი მოვლენისაგან (ენერგია ჭიის, როცა მას ფეხს აჭირებენ).

საკუთარ შინაგან აქტივობას მოკლებული იყო საქართველო და მოკლებული იყო, მაშასადამე, შემოქმედების გენიასაც.

მოკლებულია აქედან გამართლებას, მსოფლიო გამართლებას, საკუთარ რელიგიას, მონოდებას, აზრს, შინაარსს.

ამითაა, რომ მშრალია და ფუყე საქართველო. აქედანაა მისი „უშვილოსნობა“, თუ ბერნობა.

ამის შედეგია, ჩემის ფიქრით, სიმჩატე ქართველი არსებისა, ქართული ჭკუისა, განწირვა ქართული ხელოვნებისა, პოეზიის.

მე მგონია ესაა მიზეზი იმისა, რომ ყველაფერი ქართული უდღეოა, რომ ქართული ბედი სწყდება და ტყდება ყოველთვის შუა გზაზე, დაუმთავრებელი, მიულწვეელი“ (მინიშვილი 1926: 22).

საბოლოოდ, ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე, ჩემის მხრივ, კიდევ ერთხელ ვაფუსვამ ხაზს იმ გარემოებას, რომ ჰიპერბოლურ შეფასებებსა და რეალურ საფუძველს მოკლებულ ფსევდოარგუმენტებზე დაფუძნებული თავისი წერილით ნიკოლო მინიშვილმა არა მარტო საქართველოს ისტორია და ქართველი ერის მიერ საუკუნეთა განმავლობაში შექმნილი უმდიდრესი სულიერი მემკვიდრეობა წარმოაჩინა და შეაფასა გაყალბებული სახით, არამედ ჩვენი ქვეყნის როლიცა და ადგილიც ვერ განსაზღვრა მართებულად ევროპაზიური კულტურის კონტექსტში და მისი სამომავლო განვითარების პერსპექტივა სრულიად არარეალისტურად გაიაზრა.

როგორც ნ. მინიშვილის წერილობითი ნააზრევიდან ნათლად ჩანს, მისი ანტიევროპული თვალთახედვის არსებითად განმაპირობებელ ფაქტორს საბჭოთა კავშირის სახელმწიფოებრივ და კულტურულ არეალში საქართველოს მოქცევა წარმოადგენდა. კერძოდ, ჩვენი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების ყველაზე მეტად მისაღებ გზად მან დასავლურ სამყაროსთან ურთიერთობაზე უარის თქმა და საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში მყარად დამკვიდრება მიიჩნია.

მწერლის თვალთახედვის ამდაგვარ შეფასებაში გადაჭარბებული რომ არაფერია, ამას ჟურნალ „ქართული მწერლობის“ 1926 წლის პირველ ნომერში გამოქვეყნებული წერილიც – „ქართული კულტურის ახალი გზები“ ადასტურებს. ნ. მინიშვილის მტკიცებით, საქართველოს ორი ათასწლოვანი ბრძოლა „ჩინური კედლის შესანგრევად ევროპაში“ საბოლოოდ იმით დამთავრდა, რომ „აღმოსავლეთიდან მოქნეული – ვახეთქებდით ამ კედელზე თავს. და ეს კედელი ვერ შევანგრეთ...“

ჩვენ წავაგეთ რაინდობა, ჯვარი, ქრისტე, სისხლი. დასავლეთმა არ გაანაღდა არც ერთი ეს მსხვერპლი... ორბელიანი დაბრუნდა ევროპიდან გულგატეხილი, მაგრამ უკვე მონამლული ევროპული ცინიზმით: ევროპის შემოთრევა კათოლიკური საქართველოს იდებით – ეს იყო უკანასკნელი ცდა და ამავე დროს დეკადანსი ქართული

პოლიტიკური რომანტიზმისა“ (მინიშვილი 2011: 112-113).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ნ. მინიშვილს მი-
აჩნია, რომ მისი დროის ადამიანთა კვლავინდებური მცდელობა
„საქართველოში ევროპის შემოთრევისა არის უნიჭო და უპათოსო
განმეორება ძველისა.“

ხსენებულ წერილში ესოდენი სიმკვეთრით გამოხატული ანტიევ-
როპული პოზიცია ნ. მინიშვილის ეროვნულ-პოლიტიკური თვალ-
თახედვის ერთ-ერთ უმთავრეს საფუძველს რომ წარმოადგენდა,
ამას მისი სხვა წერილებიც თვალნათლივ ადასტურებს. მაგალი-
თად, „ობოლ ოცნებაში“, რომელიც მწერალს 1924 წელს, პარიზში
ყოფნის დროს, აქვს დაწერილი და 1927 წელს თბილისში გამოქ-
ვეყნებული, იგი გარკვევით აღნიშნავს, რომ ევროპისკენ მიმავალი
„პოლიტიკური გზები დამლუპველია და უფსკრულებით სავსე.“ აქე-
დან გამომდინარე, ნ. მინიშვილი ღრმად იყო დარწმუნებული იმაში,
რომ „გადარევაზე მეტი ხიფათი მოგველის ჩვენ, თუ საბოლოოდ არ
ამოიძირკვა საქართველოში ეს გაუმართლებელი ოცნება და სავსე-
ბით არ გადაშენდა ხალხი, ვისაც ევროპისკენ უჭირავს თვალი და
„ევროპისკენ ორიენტაცია“ ეროვნულ საქმედ მიაჩნია“ (მინიშვილი
2011: 127).

ნ. მინიშვილის ეროვნულ-პოლიტიკური მრწამსის გასააზრებ-
ლად მეტად მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ თავისი ანტიევრო-
პული პოზიციის ასეთი კატეგორიული ფორმით გამოხატვასთან
ერთად, იგი იქვე იმ გარემოებასაც აღნიშნავდა დაბეჯითებით, რომ
„საქართველოს აღორძინება და მისი კულტურულ-ეკონომიკური
განვითარება სავსებით შესაძლებელი და მოსახერხებელი იყო სა-
ბჭოთა სისტემის საშუალებით, საბჭოთა რესპუბლიკების რუსეთ-
თან ფედერაციის გზით.

ბევრს შეიძლება არ მოეწონოს ეს აზრი. შეიძლება „შელახუ-
ლი ეროვნული თავმოყვარეობა“ ხელს უშლიდეს ამ დასკვნამდე
მისვლას, მაგრამ ასეთებმა უნდა შეიგნონ, რომ მეოცე საუკუნეში
ორბელნიანების გრძნობებით ვერ ვიცხოვრებთ და ყოველგვარი
განუხორციელებელი პრეტენზიების დაწერგვა ხალხში – ვინც არ
უნდა ცდილობდეს ამას – დღეს უნდა იქნეს მიჩნეული ხალხის ლა-
ლატად“ (მინიშვილი 2011: 128).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ნ. მინიშვილი თავის
მოქალაქეობრივ მოვალეობად თვლიდა იმდროინდელი ქართველი

საზოგადოების იმაში დარწმუნებას, რომ სწორედ „აქედან იშლებოდა ბრწყინვალე პერსპექტივა ჩვენი მომავლისა და სრული უფლება გვქონდა გვეთქვა, რომ „ისტორია ურახუნებდა ჩვენს კარებზე“ (მინიშვილი 2011: 117). ნ. მინიშვილის მტკიცებით, „მომავალი კულტურის ნიადაგად“ ქცეული „რუსეთის დიდი კულტურული საბინადრო,“ „ერთი იდეითა და ახალი ისტორიული ინერციით შეერთებული, პერსპექტივაში გვიხატავდა წარმოდგენელ შემოქმედებით შესაძლებლობას.“ ასე რომ, „ჩვენ, კავკასიის ერებს, კერძოდ კი ქართველებს, ამ ნიადაგზე გვეშლებოდა განუსაზღვრელი ასპარეზი მოქმედებისა“ (მინიშვილი 2011: 118).

სამწუხაროდ, მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა პერიოდის ქართულმა სულიერმა კულტურამ ეროვნული აღმავლობისა და განვითარების დიდმნიშვნელოვან წარმატებებს მართლაც მიაღწია, ჩვენი საზოგადოების უდიდესი ნაწილი სავსებით მართებულად ფიქრობს იმას, რომ ევროპული სამყაროსაგან იზოლირებულმა და საბჭოთა იმპერიის სახელმწიფოებრივ დაქვემდებარებაში მცხოვრებმა ქართველმა ერმა იმ პერიოდში მაინც ვერ შეძლო, მთელი ძალით გამოევიწყინებინა საკუთარი შესაძლებლობები.

პირველი სერიოზული ბზარი ნ. მინიშვილის პროსაბჭოურ იდეოლოგიურ თვალთახედვას 1928 წლის მარტში გაუჩნდა. მწერლის შვილის – ილამაზ მინიშვილის მართებული აღნიშვნით, სრულიად საქართველოს მწერალთა მეორე ყრილობის მიერ იმხანად შექმნილ „საბჭოთა მწერლების ფედერაციაში“ გაერთიანებულმა პროლეტარულმა მწერლებმა რიცხობრივ უპირატესობასთან ერთად მაშინ „ზოგადად სამწერლო საქმიანობაზე ზენოლის შესაძლებლობაც მოიპოვეს, მ. შ. – ხელმძღვანელი თანამდებობების დაკავებითაც. არ გვეჩვენება შემთხვევითად, რომ სწორედ ამ პერიოდში მოუხდა თავად ნ. მინიშვილს მის მიერ დაარსებული ჟურნალ „ქართული მწერლობის“ მთავარ რედაქტორობაზე უარის თქმა“ (მინიშვილი 2011: 414).

1931 წლის მაისში მწერალთა კავშირში ჩატარებული „წმენდის“ დასაგმობად და მსგავს ღონისძიებათა აღსაკვეთად ნ. მინიშვილმა მაშინ წერილობითი თხოვნით მიმართა ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის მდივანს ლ. ქართველიშვილს, სასწრაფოდ ჩარეულიყო ამ საქმეში. იმის ნათელსაყოფად, მისი ეს მიმართვა, რომლის ფრაგმენტებიც ნ. მინიშვილმა საქართველოს მწერალთა კავშირის

პრეზიდენტიმის გაფართოებულ სხდომაზე 1937 წლის 7 მაისს მოხსენებით გამოსვლის დროსაც დაიმონმა, ფაქტობრივად მეტად გაბედული მხილება იყო იმ დიქტატორული იდეოლოგიური პოლიტიკისა, რომელსაც იმჟამინდელი პარტიული ხელისუფლება და მის მიერ განუზომელი ძალაუფლებით აღჭურვილი მწერალთა კავშირის მესვეურები ატარებდნენ ხალხის მტრებად და მოღალატეებად შერაცხულ მწერალთა მიმართ.

წარსულში დაშვებულ დანაშაულებრივ ქმედებათა ამგვარ მხილებასთან ერთად, პრეზიდენტიმის ხსენებულ სხდომაზე გამოსვლისას ნ. მიწიშვილმა იმხანად არსებული მდგომარეობაც შეაფასა და გულისტკივილით აღნიშნა ის გარემოება, რომ ზემოთ აღნიშნული თვალსაზრისით ვითარება არც ხუთი წლის წინათ წარდგენილი მისი მამხილებელი მოხსენების შემდეგ იყო შეცვლილი სასიკეთოდ. მიუხედავად იმისა, რომ ნ. მიწიშვილმა მის მიერ მხილებულ მანკიერებათა დამკვიდრების საქმეში კონკრეტულ პიროვნებებს დასდო ბრალი, მისი გამოსვლის პათოსი იმაზეც ნათლად მეტყველებს, რომ მწერალი ამით ფაქტობრივად მთელ მმართველობით სისტემასაც უცხადებდა უნდობლობას.

1937 წლის სისხლიანი რეპრესიების აღზევების ჟამს ნ. მიწიშვილის მიერ ხელისუფლების ამგვარი მხილება მეტად სარისკო საქმე წარმოადგენდა და უსათუოდ უნდა შეფასდეს მწერლის ნამდვილ მოქალაქეობრივ გამირობად.

დამონმებული გამოსვლა გამონაკლისი არ ყოფილა და საბჭოთა ხელისუფლების მმართველობითი პოლიტიკა სხვა დროსაც არაერთგზის ქცეულა ნ. მიწიშვილის კრიტიკულ-ოპოზიციური განსჯის საგნად. მაგალითად, 1933 წელს გამოქვეყნებულ წერილში – „საკავშირო ყრილობა და ნაციონალური მწერლობის საკითხები“ იგი ყოველგვარი შენიღბვის გარეშე საუბრობდა იმაზე, რომ მწერალთა საკავშირო ყრილობის ორგკომიტეტის ხელმძღვანელები მხოლოდ რუსული ლიტერატურის წინაშე მდგარ პრობლემათა განხილვით იყვნენ დაკავებულნი და არაფერს „ამბობდნენ რაიმე გარკვეულს ნაციონალურ რესპუბლიკებში“ ამ თვალსაზრისით არსებულ მდგომარეობაზე.

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, მაინც ვფიქრობ, რომ არსებული სახელისუფლებო რეჟიმისადმი ნ. მიწიშვილის ამგვარი კრიტიკული დამოკიდებულება საბჭოთა რეჟიმისაგან მის სრულ

განდგომას კი არ გულისხმობდა, არამედ ამ რეჟიმის გამოსწორებისა და მისთვის დამახასიათებელ მანკიერებათა დაძლევის კეთილშობილური სურვილით იყო განპირობებული. ეს რომ ნამდვილად ასეა, ამას 1937 წლის 27 მაისს გამართულ საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის გაფართოებულ სხდომაზე მის მიერ წარმოტყმული სიტყვის თუნდაც ეს ფრაგმენტიც ადასტურებს:

„ვიხსენებ რა ჩემს შეცდომებს, მთელი გულახდილობით უნდა განვაცხადო, რომ იმ თხუთმეტი წლის განმავლობაში, რაც მე თქვენს წრეში ვიმყოფები, ცხადია, მქონდა სხვადასხვა სახის შეცდომები,... მაგრამ თუ მე ჩამიდენია შეცდომები, მე არ ჩამიდენია არც ერთი შეგნებული დანაშაული პარტიისა და ხელისუფლების წინაშე. მე ვიყავი საბჭოთა ხელისუფლების ერთგული, რიგითი მუშაკი და როგორც შემეძლო, ვიბრძოდი ჩემი ქვეყნის კულტურული აღორძინებისათვის, რომელიც მე საბჭოთა სინამდვილის გარეშე არ მაქვს წარმოდგენილი“ (მინიშვილი 2011: 389).

ნ. მინიშვილმა თავისი მოღვაწეობის შესაფასებლად ნათქვამი ეს სიტყვები მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის იმ სხდომაზე წარმოთქვა, რომელიც საქართველოს კომუნისტური პარტიის X ყრილობაზე ლ. ბერიას მიერ გაკეთებულ მოხსენებაში ქართველ მწერალთა „იდეური გადახრების“ მხილებასა და კრიტიკას მიეძღვნა.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ სხდომაზე გამოსვლისას, შექმნილი უმძიმესი მდგომარეობიდან გამომდინარე, ნ. მინიშვილიც, მსგავსად მისი კოლეგებისა, იძულებული იყო, თავზე ნაცარი დაეყარა და ქვეყნისა და ხალხის წინაშე ვითომცდა დაშვებული შეცდომები მოენანიებია, მისი ცხოვრება და მოღვაწეობა, ვფიქრობ, მაინც გვაძლევს საფუძველს იმის სათქმელად, მწერლის კრიტიკულ-მამხილებლური პოზიცია ბოლომდე ანტისაბჭოურ თვალთახედვად რომ არ გარდაქმნილა და მისი ამგვარი ოპოზიციური გამოსვლების უმთავრესი მიზანი არსებული სახელმწიფოებრივი რეჟიმის გაუმჯობესების მცდელობა უფრო იყო, ვიდრე ამ რეჟიმის მთლიანად მოსასპობად ბრძოლა.

დამონეგანი:

მინიშვილი 1926: მინიშვილი ნ. *ფიქრები საქართველოზე*. ჟურნ. „ქართული მწერლობა“, სექტემბერ-ოქტომბერი. თბილისი: 1926.

მინიშვილი 2006ა: მინიშვილი ნ. *ქართული ქრონიკა რევოლუციის დროიდან*. თბილისი: 2006.

მინიშვილი 2006ბ: მინიშვილი ნ. *თებერვალი*. თბილისი: 2006.

მინიშვილი 2011: მინიშვილი ნ. *პუბლიცისტიკა*. თბილისი: 2011.

ფიქრები საქართველოზე 2006: იხ: *ფიქრები საქართველოზე (კრებული)*. თბილისი: 2006.

GUZEL STRELKOVA

Russia Moscow

Moscow State University

Idea of State Sovereignty and ways of Reaching it as Presented in Contemporary Hindi Prose

Multinational India, whose peoples differ in languages, culture, profess different religions, has not been a single state over the centuries. In 1947, as a result of the victory of the national movement for freedom and the formation of an independent state, British India was divided into the Republic of India and the Islamic State of Pakistan. Hindi literature demonstrates variants of statehood, from Ram Rajyaa to the creation of a socialist state. In 1947, the idea of a democratic state has won. The ways of achieving statehood differed: from the Non-Cooperation Movement to terror. The crisis of statehood during the reign of Indira Gandhi also became an important topic of Hindi prose.

Key words: Multinational India, statehood, Hindi prose

Г.В. СТРЕЛКОВА

Россия, Москва,

ИСАА МГУ

Отражение в современной индийской прозе идеи государственного суверенитета и путей его достижения

Великое многонациональное государство Индия, народы которой отличаются не только национальностями, языками, культурой, но и исповедуют разные религии и часто находятся на разных уровнях общественного развития, в течение веков не была единым государством. Большую часть Индии – от Севера до Юга – в определённые периоды истории объединяли Могольская империя или Британская империя, чьей колонией была Индия. В 1947 году она стала независимым государством, но вместо Британской Индии на политической карте мира появились Республика Индия и Исламское Государство Пакистан. При этом некоторые независимые индийские княжества, сюзеренитет над которыми, тем не менее, принадлежал Британской империи, должны были выбрать, в какое из двух государств они войдут – в состав Республики Индия или Пакистана или же останутся номинально независимыми. Таких княжеств было более 550, не считая небольших владений, управляемых *заминдарами, тхакурами, ханами, талукдарами* и тому подобными мелкими правителями – землевладельцами. Большая часть подобных небольших территорий оставалась до определённой степени полуфеодальными княжествами. В 1947 году т.н. “princely states” (княжества) занимали 48 процентов территории Индии, и проживало там 28% её населения. И хотя немногие из правителей этих княжеств воспользовались возможностью, пусть и иллюзорной, независимости, к 1949 году все княжества – так или иначе – сделали выбор в пользу Индии или Пакистана (см. Кашин 2004).

Однако выражение «Англичане ушли из Индии, громко хлопнув дверью», к сожалению, актуально и сегодня. Речь идёт, прежде всего, о Дхамму и Кашмире – княжестве, захваченном англичанами у сикхов. Впоследствии правителем княжества был раджа – индус из династии раджпутов, но большая часть населения оставалась мусульманской. И хотя при разделе Британской Индии на Индию и Пакистан предпола-

галось, что при выборе страны, к которой то или иное княжество будет присоединяться, обязательно будет учитываться численность населения, исповедующего индуизм или ислам, в данном случае Махараджа Хари Сингх сделал выбор в пользу Индии. Спор, иногда и вооруженный, между Индией и Пакистаном (Исламской республикой Пакистан) по вопросу Кашмира продолжается до сих пор. Но и в целом за долгожданную независимость обеим странам пришлось заплатить страшную цену, т.к. раздел был осуществлён именно по религиозному признаку: на светскую Индию, население которой исповедует преимущественно индуизм, и Пакистан, где официальной религией объявлен ислам. В результате раздела единой страны миллионы индусов и мусульман должны были покинуть родные места и бежать туда, где они могли бы жить, не испытывая притеснений по религиозному признаку. При этом совершались страшные преступления, миллионы людей – с обеих сторон – погибли. Но оба государства были созданы и продолжают развиваться.

Данная статья основывается на произведениях индийских писателей, преимущественно хинди, в которых, так или иначе, обсуждается идея государственности и независимости именно Индии. При этом гораздо большее место в подобных произведениях занимает описание и характеристика национально-освободительного движения, которое в результате и привело к независимости этих двух государств. В этом движении принимали участие представители не только обеих религий (индуизма и ислама), но и многих других – от сикхов и христиан до представителей местных, даже архаичных, вероисповеданий. Естественно, целью этого движения было достижение свободы от колониальной зависимости и образование независимого государства.

Варианты выбора государственности Индии были разными, от «Рам раджья» (идеального правления по образу мифологического праведного правителя Рамы, воплощения бога Вишну) до создания государства социалистического образца или же современного буржуазно-демократического государства с элементами социалистической экономики. В результате, победила идея современного демократического государства, живущего в соответствии с Конституцией республики Индия. Пути достижения государственности также были разными: от Движения не сотрудничества, возглавляемого Махатмой Ганди, который руководствовался идеей ненасилия, до террора. Кризис государственности в годы

правления Премьер-министра Индиры Ганди, дочери Джахарлала Неру, первого Премьер министра Независимой Индии, которая ввела режим Чрезвычайного положения в 1975 году, также стал значимым этапом на пути становления индийской государственности. Именно эти пути достижения независимости, а также собственной государственности отражаются или анализируются во многих произведениях индийской литературы.

Еще с начала XX века идея свободной родины, независимой от любого стороннего владычества, волновала индийских писателей. Великий писатель Премчанд, писавший на двух самых распространённых языках Индии – хинди и урду, создал несколько романов и множество рассказов, посвященных любви к Родине, борьбе индийцев за её освобождение от англичан. Некоторые его рассказы посвящены тому, как даже простые домохозяйки становятся участницами компаний гражданского неповиновения, а герои готовы отдать свою жизнь за независимую Родину. Премчанд еще в своём первом сборнике рассказов, озаглавленном «Любовь к Родине» (*Saaz-e-watan*), пропагандировал эту идею, избрав в качестве жанровой формы традиционную дастанную, полусказочную. Позже один из своих сборников рассказов он назвал «Ратный путь» – *Raath yaatraa* (Премчанд 1969) – и главная тема этого сборника, как и одноимённого рассказа – участие индийцев в демонстрациях и других акциях протеста индийцев против колонизаторов. В самом начале 1920-х годов, побывав на митинге, где выступал Махатма Ганди, Премчанд был настолько потрясён его речью, что ушел в отставку и сам попытался пропагандировать идеи Махатмы Ганди. Он даже начал продавать *чаркхи* – ручные прялки, которые стали символом движения *свадешти* – букв. «отечественное, местное производство». Премчанд и сам пробовал прясть, чтобы потом из спрядённых нитей производили дмотканую одежду. Именно таким образом индийцы противостояли засилью дорогих английских товаров, которые лишали самих индийцев работы. Правда, в этом деле писатель не очень преуспел, однако продолжал с почтением относиться к прялке как символу ненасилия. Объясняется это и тем, что *чаркха* связана не только с движением *свадешти* (т.е. самодостаточностью), но и отсылает к *дхарма чакре* – «колесу закона». Тем самым подчеркивается, что все, кто пользуется прялкой и носит дмотканую одежду, преданны борбье за достойные законы и свободу, а кроме

того – следуют индуистской традиции. Однако многие герои Премчанда – носители не только индуистской, но и исламской традиции, то есть, писатель таким образом ратовал за бесконфликтное сосуществование представителей обеих религий.

A few lines down he qualifies all this by saying that “No hi ha cap imperialisme ni cap irredemptisme en el sentit ampli del nom Catalunya. No hi ha més que l’afirmació d’una unitat lingüística, cultural i espiritual. La terra de les nacions pertany als homes que l’habiten” (Rovira i Virgili 2006: 53) [There is no imperialism nor any irredentism in the broad sense of the name « Catalonia ». There is no more than the affirmation of a linguistic, cultural and spiritual unity. Nations’ lands belong to those who live on them]. What Rovira i Virgili is holding in balance here are the imperatives of unity and diversity, and resolutely refusing to give up on unity. That is, not to put too fine a point on it, a very French way of seeing the matter of national identity. French republicanism is famously heavy on the first and not so friendly to the second, that is to say that it is widely understood as being heavily centralising on the basis of language. The centrality of the French language in all aspects of the national life, especially in education, is widely seen as being hostile to difference. This is, in essence, the vision that Rovira i Virgili has for Catalan identity, that is, that it forms “una sola nació,” and one that is marked by “una unitat lingüística.” But the key to his analysis is itself derived from the highest idealism of republicanism, which is to say that “La terra de les nacions pertany als homes que l’habiten.” I cannot think of a more pithy summary of the basic assumptions of civic nationalism. And what that approach to civic nationalism inevitably leads to is a respect for pluralism, which is the inevitable bi-product of defining an identity by the proverbial facts on the ground, that is to say by virtue of the people who occupy the territory in question, regardless of their ethnic or linguistic identity.

This kind of republican difficulty would have been front of mind for someone like Jordania. Indeed, federalism was something of a sticking point for him. Georgia is of course a multi-ethnic state; “[e]ls homes que l’habiten” include ethnic Georgians as well as their Kartelian cousins the Svans and Mingrelians, as well as Armenians, Azeris, Greeks, Ossetians, Abkhaz, and substantial Jewish and Muslim communities. Some sort of decentralisation was obviously going to be necessary for an independent Georgia, and the experience of the autonomy granted to Adjara during this period seemed to provide shades of things to come. But although Jordania was strongly influenced by European models such as Belgium’s or Switzerland’s, he would not have adopted the kind of federalist idealism that we see in the work of Ro-

viraiVirgili so easily. MalkhazMatsaberidze writes that “Federalism was... associated with Georgia’s history of fragmentation.” He goes on to say that:

The unitary system, however, presented the Social Democrats with a conundrum. The constitution, in Chapter Eleven, “Autonomous Governance” (Articles 107; 108), stipulated that that Batumi district, along with Abkhazia and Zakatala, should be granted autonomy.... PavleSaqvaridze argued that like the Belgian Constitution of 1831, the principle of a unitary democratic republic was compatible with autonomy, as long as autonomy did not mean state autonomy (Matsaberidze 2014: 153).

“State autonomy” is exactly what L’Estatcatalà is arguing for, even if the meaning of the term “state” is, as with so much Catalanist discourse of this era, kept deliberately ambiguous and may very well mean something that stops short of full political independence. But the predominance of the state is something that Jordaniahad clearly become suspicious of, something that he makes very clear in the chapter of Difficultéssocialistestitled “Étatisme.” He writestherethat “Le culte de l’individu cède sa place à celui de l’État” (Jordania 1933: 8) [The cult of the individual has given way to the cult of the state]. He sees the bureaucratic spirit that this inevitably leads to as contrary to what he sees as a just society, and just as contrary to the French socialism that has inspired him. It is Jules Guesde who he invokes when he most vividly explains the ravages of this experience of the state, writing that state-ism:

...tient les travailleurs, pour employer l’expression de Guesde, par le ventre ainsi que par le collet. Cette nouvelle classe, c’est la bureaucratie, les fonctionnaires. Le fonctionnarisme est le pilier de l’étatisme. C’est pourquoi aussi l’on met les intérêts des fonctionnaires à côté des intérêts du prolétariat et l’on proclame leur défense pour une œuvre socialiste. Ce problème a tellement remué le parti socialiste français... qu’un congrès a été convoqué à Avignon pour le régler (Jordania 1933: 24).

[...takes the workersby the stomach as well as by the collar, to use Guesde’s expression. This new class is the bureaucracy, the civil servants. Civilservantism is the pillar of statism. It is also why the interests of the civil servants are put side by side with the interests of the proletariat and their defense of socialism is so proclaimed. This problem has so shaken the French socialist party... that a conference has been organised in Avignon in order to deal with it.]

The rise of the state is something, though, that wasn’t really new in Jordania’s thought. Brisku has pointed out that “Envisaging the making of the

modern nation in terms of economic unification and cultural autonomy, Jordania would argue, controversially with respect to contemporary Georgian historiography, nearly 20 years after ‘Economic Development and Nationality,’ that Georgians had no need for their nation-state” (Brisku 2016: 310). Brisku is referring there to Jordania’s essay “Our National Question,” part of his Georgian-language book *The National Question*, published in Tbilisi in 1922. This hostility to state formations is clearly connected to the forces that were pulling apart the nascent Democratic Republic, that is to say competing claims not only for recognition and legitimisation, to which Jordania was basically sympathetic, but also competing claims to sovereignty and the institutions that make sovereignty possible, to which he just as obviously was not.

This, really, is the key difference that he has with a minority exile like Rovirai Virgili. Both were strongly Europhilic, wanting their “small nations” to be able to take their rightful place at the table alongside other “small countries” like Belgium or Lithuania or Poland. And both did so from a place on the left that we would now clearly identify as a distinctly European social democracy, one that was open to the role that the bourgeoisie plays in building a fully functioning society (Stephen Jones’ book *Socialism in Georgian Colors* argues that what we now know as European social democracy can be seen in its earliest form in 19th century and early 20th century Georgia). But Rovirai Virgili was adamant that this was about Catalans building a state of their own, even if not fully independent, and gradually making a bureaucracy that was defined by its Catalan-speaking quality. That is very French; a highly bureaucratised society joined together most strongly by language. For Jordania, it was independence as such that was key; the state, and the bureaucracy that would follow it, was never more than a necessary evil. As time wore on, he saw it more and more just as an evil.

Despite these differences, though, what we can see through this comparison of *L’Estat català* and *Difficultés socialistes* is the ways in which exile writers in 1930s and 1940s France rethought and revitalised the republican tradition of the country that took them in. Sometimes this was explicit, as in the case of Jordania, writing in French about the really fine points of socialism within the Hexagon. Sometimes it is implicit and almost unwitting, as we see with Rovirai Virgili, writing in Catalan and focussing more intensely than ever on Catalonia itself, but doing so in ways that would be unthinkable

outside of France. Writing in 1987, Alain Finkielkraut summarised the basic concept of French national identity in a way that brings out the common republican heritage that both Jordania and RoviraiVirgili seemed to be discovering in their exile of the 1930s and 40s. In his book *La défaite de la pensée*, he quoted Witold Gombrowicz as he wrote the following:

« Un Français qui ne prend rien en considération en dehors de la France est-il plus français ? Ou moins français ? En fait, être français, c'est justement prendre en considération autre chose que la France. » Phrase admirable et qui explique l'attrait que la France a longtemps exercé sur les étrangers chassés de chez eux par la bêtise haineuse du Volksgeist (138–39).

[“Is a Frenchman more French or less French if he sees nothing but France? To be really French means to see something beyond France.” An admirable observation and one that explains why France for many years has attracted foreigners chased from their homes by the hateful stupidity of the Volkgeist] (Friedlander 102; translation modified slightly)

Neither Jordania nor RoviraiVirgili were fleeing the Volksgeist, that is to say ethnic nationalism, as such. But they were certainly “étrangers chassés de chez eux,” finding themselves to be Georgians and Catalans who were being forced to think less and less about Georgia and Catalonia. And in so doing both became, in their own ways, very French indeed.

BIBLIOGRAPHY:

Brisku, Adrian. “Renegotiating the empire, forging the nation-state: the Georgian case through the political economic thought of Niko Nikoladze and Noe Zhordania, c. 1870–1920.” *Nationalities Papers* 44, no. 2 (March) 2016.

Finkielkraut, Alain. *La défaite de la pensée*. Paris: Gallimard, 1987.

—. *The Defeat of the Mind*. Judith Friedlander, trans. New York: Columbia University Press, 1995.

Jones, Stephen. *Socialism in Georgia Colors*. Cambridge: Harvard University Press, 2005.

Jordania, Noè. *Difficultés socialistes*. Paris: Éditeur D. Khéladzé, 1933.

Matsaberidze, Malkhaz. “The Democratic Republic of Georgia (1918–21) and the Search for the Georgian model of democracy.” In Stephen Jones, ed., *The Making of Modern Georgia 1918–2012: The First Georgian Republic and its Successors*. London: Routledge, 2014. 141–160.

Rovira i Virgili, Antoni. *L'Estat català: Estudi de dret públic*. Xavier Ferré Trill, ed. Tarragona: Publicacions URV, 2016.

SHORENA SHAMANADZE

NATELA CHITOURI

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Dynamics of Change in Political Illusions in Georgian Texts Created Abroad

The émigré literature in the 20th century and modern intercultural-migrant literature differ from one another by reasons of emigration, mental spaces, national and intercultural identities, and the quality of literature. The representation of the idea of state sovereignty is also different.

The dynamics of change in political illusions regarding state sovereignty will be considered on the basis of such of the creative works of such writers as Akaki Papava and Nino Kharatishvili.

Key words: migration, interculturality, politization, mental-literary space.

შორენა შამანაძე

ნატელა ჩიტაური

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

პოლიტიკური ილუზიების ცვლილებათა დინამიკა საზღვარგარეთ შექმნილ ქართულ ტექსტებში

ემიგრაციული პროცესებით გაჯერებულმა სამყარომ ადამიანებს მისცა საშუალება, შეიძლება თქვას, აიძულა ფართო გეოგრაფიულ-თვისობრივ პრიზმაში, დისტანციიდან გაიაზრონ პრობლემები. ამიტომაც დღეს უცილებელი ხდება იმ ფენომენების აქტიური შესწავლა, რომლებშიც დისტანციური, იმაგოლოგიური შეფასებებია წარმოჩენილი. ამგვარი სიღრმისეული სფერო საზღვარგარეთ შექმნილი მწერლობაა. უახლეს გამოკვლევებს თუ დავყვარდნობით, ეს მწერლობა დღეს ყოველი ერისათვის იქცევა მასშტაბური განსჯის ობიექტად. ამ მწერლობის თვისობრიობას განაპირობებს: ემიგრაციის მიზეზები, მიზნები, ემიგ-

რაციის მენტალური სივრცე, კულტურათა ტრანსფორმაცია, კულტურული ჰიბრიდულობა, ტრანსკულტურალობის ზონები, ფსიქოსოციალური იდენტობები, იმაგოლოგიის, მეხსიერების პრობლემები, განსაკუთრებით კი იდენტობათა მიგრაციული პარადიგმები (შუალედური სივრცეებით შექმნილი ორმაგი, გარდამავალი, ჰიბრიდული, დეფისური იდენტობები, იდენტობის ცენტრალური და პერიფერიული სახეობები).

ამ მახასიათებლების გამო საზღვარგარეთ შექმნილ მწერლობაში ნებისმიერი საკითხი განიხილება იმაგოლოგიის კონტექსტის, მეხსიერებების, ფსიქოსოციალურ იდენტობათა გათვალისწინებით.

ამ სადისკუსიო ფორმატში მნიშვნელოვანია პოლიტიკური შეხედულებების ცვლილებათა გააზრება, რადგან: როგორი თავისუფალი ეპოქა ან ქვეყანაც არ უნდა იყოს, პოლიტიკა მაინც პოლიტიკაა, მოაზროვნე, თავისუფალი ადამიანისათვის „გარეთ გასვლისშემთხვევაში“ არა მხოლოდ თავისუფლების შეგრძნება ძლიერდება (მით უმეტეს, თუ ეს „გასვლა“ პოლიტიკური მოტივაციით აიხსნება), არამედ „იქ“ მეტად მჟღავნება ნაციონალური იდენტობა, ხასიათი, მისი დადებითი და განსაკუთრებით უარყოფითი მხარეები. აქტიურდება პოლიტიკური შეხედულებების იმაგოლოგიური კონტექსტი. ერთი მხრივ, ერთმანეთს უპირისპირდება ნაციონალური და უცხო სააზროვნო მოდელები, მეორე მხრივ, უცხოეთის გამოცდილების საფუძველზე იქმნება შედარების, შეთანხმების შესაძლებლობანი. საზღვარგარეთ მოღვაწე მწერალი სახელმწიფოებრივ სუვერენობას, პოლიტიკურ პროცესებს აღიქვამს არა ლოკალურ, არამედ გარდამავალ, ჰიბრიდულ, გლობალურ, ინტერკულტურულ კონტექსტში, რაც მნიშვნელოვანია კონკრეტულ გარემოსთან, ნაციონალურ მენტალობასთან მორგებული პოლიტიკური პროცესების განვითარებისათვის.

მიგრაციის, კულტუროლოგიისა და ნაციონალური იდენტობის თანამედროვე თეორიებთან ქართული რეალობის პრაქტიკული ადაპტაცია საშუალებას გვაძლევს ერთმანეთისაგან გავმიჯნოთ ქართული ემიგრაციული და დიასპორული მენტალურ-ლიტერატურული სივრცეები: მე-20 საუკუნის ქართული ემიგრანტული მწერლობა (მე-20 საუკუნის 20-იანი წლებიდან 80-იანი წლებამ-

დე – „იძულებითი“ ემიგრაცია) და ქართველი მოღვაწეების მიერ საზღვარგარეთ შექმნილი თანამედროვე ტექსტები (მე-20 საუკუნის ბოლოდან დღემდე – „ნებაყოფლობითი“ მიგრაცია).

ემიგრაციული მენტალურ-ლიტერატურული სივრცე

ცნობილია ამ ემიგრაციის მიზეზები: 1921 წელს საქართველოში ბოლშევიკური რეჟიმის დამყარება და შემდგომი მოვლენები. XX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული ემიგრაცია პოლიტიკური ემიგრაციის ტიპს განეკუთვნება. ამ ემიგრაციამ XX საუკუნის 20-იანი წლების საქართველოდან გამოიყოლა მრავალპარტიულობის მსოფლხედვა, „ანტისაბჭოთა იდენტობა“. ორივე კონტექსტი ახალი ძალებით ამუშავდა ემიგრაციაში.

ამ ემიგრაციის მიზანი იყო ერთიანობა, ზეპარტიულობა, „საქართველო უნინარეს ყოვლისა“, მაგრამ ხშირად იყო უთანხმოება პოლიტიკურ შეხედულებათა გამო. ამას ადასტურებს პარტიათა და, შესაბამისად, ჟურნალ-გაზეთების სიმრავლე, მაგრამ, მიუხედავად დაქსაქსულობისა, ემიგრანტებს ერთი რამ აერთიანებდათ: სიძულვილი ბოლშევიკური დიქტატურის მიმართ, ანუ „ანტისაბჭოთა იდენტობა“.

ზოგადად ეს ემიგრაცია ახასიათებოდა „სივრცული ჩაკეტილობით“ (ემიგრაციას არ ჰქონდა სამშობლოსთან კავშირისა და მიმოსვლის საშუალება, კომუნიკაციის დღეს არსებული მექანიზმები). „ანტისაბჭოთა იდენტობის“ გამო იყო მოლოდინი ევროპულ სივრცესთან კონტაქტის აქტიური მცდელობისა: უცხოეთიდან და უცხოეთთან კონტაქტით უკეთ შეძლებდნენ საბჭოთა საქართველოზე პოლიტიკურ ზეწოლას, მაგრამ მივიღეთ პარადოქსი:

„ანტისაბჭოთა იდენტობით“ დალდასმული „პოლიტიზებული აზროვნება“ „პოლიტიკური ჩაკეტილობის“ საფუძველი გახდა. „ანტისაბჭოთა იდენტობა“ იქცა არა ევროპასთან დიალოგის, არამედ უფრო მეტად უცხოეთში ეროვნული იდენტობის შენარჩუნების მთავარ მოტივაციად, ემიგრანტი მოღვაწეები მთელი ძალებით შეეცადნენ სწორედ უცხოეთში, „ანტისაბჭოთა“ კონტექსტში, დაეცვათ ქართული ნაციონალური იდენტობა, შეენარჩუნებინათ კულტურის ეროვნული კოდი. ეს მცდელობა გამოიხატებოდა სწორედ ქართული კულტურის განვითარების, ევროპისათვის მისი გაცნობის აქტიური მცდელობით (ქართული ჟურნალ-გაზეთების,

ქართული სათვისტომოების, ორგანიზაციების შექმნა, მშობლიური ენის შენარჩუნება...). კულტურული მემკვიდრეობა აქტიური აღმორჩნდა იმდენად, რომ კომუნიკაციური მემკვიდრეობა „დაიჩაგრა“ (სამშობლოში რომ დარჩენილიყვნენ, სიახლეებს ალბათ უფრო გაბედულად შეითვისებდნენ). **იდენტობის ჩაკეტილობამ, თუნდაც „ანტისაბჭოთა კონტექსტში“, მოიტანა „პოლიტიკური ჩაკეტილობა“ თავისი მკაცრი „ანტისაბჭოთა იდენტობით“.** სწორედ ამიტომაც ამ ემიგრაციის მენტალური სივრცის სპეციფიკა, შესაბამისად, მწერლობის თვისობრიობა ეყრდნობა სწორედ „პოლიტიზების კონცეპტს“, იმგვარ „პოლიტიზებულ აზროვნებას“, რომლის ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებელია „პოლიტიკური ჩაკეტილობა“. „იდენტობის ჩაკეტილობა“.

ემიგრაციის მიზეზებმა, ტიპმა, ზემოთ აღნიშნულმა „**პოლიტიკურმა ველმა**“ ჩამოაყალიბა ფსიქოსოციალური იდენტობათა (ტრავმა, ნოსტალგია, გაუცხოება, რესენტიმენტი, ნიჰილიზმი, სივრცის იდენტიფიკაცია, სულიერი დისტანცია, თვითიდენტიფიკაცია...). პოლიტიკური პათადიგმები, რამაც განსაზღვრა ემიგრანტული მწერლობის თემატიკა, მსოფლმხედველობრივი, ესთეტიკური მიმართულებები და სტილი, შესაბამისად, ამ მწერლობაში ჩამოაყალიბა რამდენიმე ნიშანდობლივი კონტექსტი:

1. პოლიტიზების კონცეპტი და „ემიგრანტული კონიუნქტურა“

XX საუკუნის ემიგრანტული მწერლობის იმაგოლოგიური ასპექტი უპირველესად „ანტისაბჭოთა იდენტობით“ წარმორჩნდება, საბჭოთა კონიუნქტურისაგან თავისუფალმა „**პოლიტიზებულმა აზროვნებამ**“ საბჭოთა იდეოლოგიასთან დაპირისპირებულ ევროპულ კონტექსტში შექმნა საკუთარი სავალდებულო „**ემიგრანტული კონიუნქტურა**“, „**ემიგრანტული იდენტობა**“: ერთი მხრივ, კრიტიკული პოზიცია საბჭოთა რეჟიმის, „ტოტალიტარული ტექსტების“ მიმართ, მეორე მხრივ, პრობლემების შედარებით თავისუფალი, საბჭოეთისაგან განსხვავებული კრიტიკულ-ოპოზიციური ხედვა, განსაკუთრებით პუბლიცისტიკაში. ადრეულ ემიგრანტულ კრიტიკულ აზროვნებაში უკვე დასტურდება ზოგიერთი შეხედულება, რომლებიც საბჭოთა ლიტერატურულ კრიტიკაში მხოლოდ XX საუკუნის 70-იანი წლებიდან შეინიშნება.

2. „პოლიტიკური რომანტიზმი“

ერთი მხრივ, შეიქმნა „პოლიტიკური რომანტიზმის“ გამოკვეთილი მიმართულება: ბევრს ეგონა, რომ თუ ევროპა და ამერიკა საქართველოს მდგომარეობას დაინახავდა, მყისვე მის დასახმარებლად დაიძვრებოდა. ამ კონტექსტის ხანგრძლივმა აქტივიზაციამ მოადუნა ამ ემიგრაციის პოლიტიკური სიფხიზლე, ხელი შეუშალა რეალობასთან ადაპტირებული, ჯანსაღი პოლიტიკური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას.

მეორე მხრივ, „პოლიტიკური ჩაკეტილობის“, ამ „პოლიტიკური ველის“, ნაციონალური იდენტობის დაცვის ხანგრძლივი მცდელობის გამო მხატვრულ შემოქმედებაში (განსაკუთრებით ემიგრაციის პირველ ტალღაში) ნაკლებად შეინიშნება ევროპულ ლიტერატურულ გარემოსთან, უცხოეთში უკვე მყარად დამკვიდრებული მოდერნისტულ ტენდენციებთან ადაპტაციის სურვილი. ემიგრანტულმა მწერლობამ უფრო მეტად მიიღო იმდროიდელი ევროპული კონტექსტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი, კერძოდ, გერმანული ნაციონალური რომანტიკული იდეა „ხალხის“ შესახებ. რაც გულისხმობს, რომ საზოგადოების ერთიანობა ეფუძნება არა იმდენად პოლიტიკურ იდენტურობას, რამდენადაც ისტორიას, ტრადიციასა და კულტურას.

ვფიქრობთ, ამ ერთი შეხედვით საპირისპირო კონტექსტებმა ემიგრანტულ მხატვრულ შემოქმედებაში მყარი ნიადაგი შექმნა რომანტიკული განწყობებისა და თემების, ზოგადად, რომანტიზმის რეფლექსიისათვის. გამოვლინდა რომანტიზმის როგორც საყოველთაო, ზიარი კულტურულ-ესთეტიკური პარადიგმები (სულიერი ობლობის, ტრავმის, ნოსტალგიის, სევდის თემატიკა, სუბიექტური „მე“-ს ფასეულობანი, რეალობის საპირისპირო იდეალების, ოცნებების, სიზმრისეული სამყარო, წარსულის იდეალიზაციის, ინდივიდუალური, კულტურული მეხსიერებების კონცეპტები და სხვა), ასევე კონკრეტულ-ნაციონალური მოდელი: ანმყოს ორმაგი უარყოფა: ერთი მხრივ, უცხოეთი – ნოსტალგიური, ტრავმული მდგომარეობა, ხოლო, მეორე მხრივ, დატოვებული, თავისუფლებადაკარგული სამშობლო; ორივე რეალობა მიუღებელია, ხოლო პოლიტიკების ზემოაღნიშნულმა კონცეპტმა რომანტიკული რეფლექსიების ნარატივი ჩამოაყალიბა **რომანტიზმის ნაციონალურ-ემიგრანტულ მოდელად, პოლიტიკურად მარკირებული ვარიანტებით:** ა. მი-

ზანი – ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვება. ბ. ევროპის დახმარების იმედი საბჭოთა რუსეთთან ბრძოლაში. გ. ნაციონალური თვითშემეცნების გამყარება. ეს მწერლობა პოლიტიზების კონცეპტით მარკირებული თემატიკის უპირობო რეპრეზენტაციაა.

3. „პოლიტიზების კონცეპტი“ და შემოქმედებითი პოტენციალი

ამგვარმა პოლიტიკურმა ვარიაციებმა, მსოფლმხედველობამ შექმნა შემოქმედებითი პოტენციალის სერიოზული პრობლემა:

სამამულო მწერლობა საბჭოთა სივრცეში შედარებით უფრო წარმატებით განვითარდა, ვიდრე XX საუკუნის ქართული ემიგრანტული მწერლობა, უფრო კონკრეტულად, მხატვრული შემოქმედება. მიუხედავად საბჭოთა იდეოლოგიის, სოცრეალიზმის პრინციპების უპირობო დიქტატისა, რეპრესიებისა (და ეს ზენოლა, შესაძლოა, განვითარების დიდ მოტივაციადაც იქცა), 20-30-იანი წლების საბჭოთა საქართველოში ქართული მწერლობა მოდერნისტული მსოფლმხედველობის, ესთეტიკის, სახელოვნებო ოსტატობის საფუძველზე გაცილებით აქტიურად, ვიდრე ემიგრანტული მწერლობა, განაგრძობდა და შეძლებისდაგვარად ცდილობდა ტრადიციული, ნაციონალური კულტურული პარადიგმების „ევროპული რადიუსით გამართვას“, ქმნიდა ანტიკოლონიურ, ამიტომაც უფრო ძლიერ და სიღრმისეულ ანტისაბჭოთა დისკურსს.

რა თქმა უნდა, მხედველობაშია მისაღები 1921 წლის შემდეგ საქართველოდან გასულ ინტელექტუალთა შესაძლებლობანი; როგორც აკაკი პაპავა ამბობდა, „სუსტია ჩვენი ძალები, ხელოვნებისა და პოეზიის დიდოსტატები იქ დარჩნენ“, (პაპავა 1960:85), მაგრამ უახლესი კვლევები ადასტურებს, რომ საზღვარგარეთ შემნილი მწერლობის შემოქმედებითი პოტენციალის ძალა დამოკიდებულია ბევრ ობიექტურ ფაქტორზე, მათ შორის, ემიგრაციის „პოლიტიკური ველის“ სპეციფიკაზე.

სივრცითი, იდენტობის, პოლიტიკური, ნოსტალგიური ჩაკეტილობის გამო XX საუკუნის ქართველ მწერალ-ემიგრანტთა შემოქმედება რჩება ჩაკეტილ პოლიტიკურ-ნოსტალგიურ სივრცეში. XX საუკუნის ემიგრანტისათვის მთავარი ორიენტირი წარსული და სამშობლოში დაბრუნება იყო. თანადროულობასთან ადაპტაციის ნაცვლად ძლიერდება სამშობლოდან გამოყოფილი პოლი-

ტიკური დევნილობის ტრაგიზმი, ტრავმული ცნობიერება, რაც ცუდად აისახა შემოქმედებითი პოტენციალის ისეთ სფეროებზე, როგორებიცაა თემატური სიღრმე, მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებანი. ზოგადად ირგვლივ გამეფებულმა ტრავმულმა, ნოსტალგიურმა ცნობიერებამ ჩამოაყალიბა ერთფეროვანი თემატიკა, ერთმანეთის მსგავსი სათქმელი. ეს სათქმელი, მართალია, მონოდებულია პირდაპირ, შეუნიღბავად, ქვეტექსტების გარეშე, თავისუფალია ბუნდოვანებისაგან, მაგრამ „პირდაპირ თქმის“ ეს ტენდენცია ზოგჯერ აზრს აუბრალოებს, აზრის პრიმიტიულად გამოხატვის შთაბეჭდილებას ახდენს.

4. პოლიტიკური ილუზიების მსხვერვა. რეალისტური ტენდენციები. ემიგრაციის მეორე ტალღა

პოლიტიკური ილუზიების ცვლილებათა დინამიკა განსაკუთრებით ემიგრაციის მეორე ტალღაში წარმოჩინდა. (ემიგრაციის პირველ ტალღა – 1921, 1924 წლების ემიგრაცია. მეორე ტალღა – 1945 წლიდან).

პირველი და მეორე ტალღის ემიგრაცია ერთმანეთისაგან თვისობრივად განსხვავდება. ამ განსხვავების მიზეზი, ვფიქრობთ, ემიგრანტთა ფსიქოსოციალური იდენტობის შეცვლაა, რისი საფუძველიც არის სივრცის იდენტიფიკაცია. თუ XX საუკუნის პირველი ტალღის ემიგრაციას უჭირს ადაპტაცია გარემოსთან. იგი არც ცდილობს კულტურულ დიალოგში ჩართვას. მეორე ტალღის ემიგრაციაში ინტერკულტურული კომუნიკაციები ვითარდება ნელა, თავიდან მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში. თანდათან სულ უფრო მეტმა ემიგრანტმა დაკარგა სამშობლოში დაბრუნების იმედი და გარემოსთან შეგუების აუცილებლობას რეალობად მიიღო. ამიტომაც გაძლიერდა განსხვავებულ კულტურასთან დიალოგის სურვილიც.

ნიშანდობლივია: „პოლიტიკური ილუზიების“ მსხვერვამ ბევრი ვნება გაანელა, ემიგრანტები აიძულა რეალობა სწორედ ემიგრანტულ კონტექსტში შეეფასებინათ, თავად დაჰკვირვებოდნენ ემიგრანტული მყოფობის ფსიქოლოგიას, სწორად აღექვათ სამშობლოში მიმდინარე მოვლენები.

ცნობილი ფაქტია: ე. წ. ფაშისტი ემიგრანტების პოლიტიკური ილუზიები მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდგომ გაიფან-

ტა: სხვა ქვეყნის დახმარების იმედი არც საბჭოთა ტოტალიტარიზმთან, არც სამშობლოს გასათავისუფლებლად ბრძოლაში არ უნდა ჰქონოდათ. „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“ – ეს დევიზი დამკვიდრდა მრავალი ემიგრანტის ცნობიერებაში.

მეორე ტალღის ემიგრანტულ მწერლობაში „რომანტიკულ ოცნებებს“ თანდათან ჩაენაცვლა კონცეპტუალური რეალისტური ტენდენციები: მოვლენების საღად და კრიტიკულად შეფასება, რეალური გზების ძიება ეროვნული თავისუფლების მოსაპოვებლად. ამ რეალისტური ხედვის მთავარი შედეგი **შეცდომების („ცოდვათა“) მხილება, გაანალიზება და „პოლიტიკური რომანტიზმის“ უარყოფა იყო.**

„კარგად ვიცი, წმინდანები არა ვართ, წინააღმდეგ – ცოდვილნი, ამ ცოდვების სათავე იქედან მოდის, რომ ქვეყანა დავტოვეთ, ... ქართულ ემიგრაციას არა აქვს დაღლის დრო, აქვს დიდი მოვალეობა ერის წინაშე: ქართველმა მოღვაწეებმა სამშობლო პოლიტიკური მოტივით დატოვეს, მაგრამ ეს არ ნიშნავს გაუცხოებას ან მხოლოდ ევროპის იმედად ყოფნას, ცოდვა – ესაა გულუბრყვილობა, „პოლიტიკური რომანტიკა“, სხვის იმედად ყოფნა, რაც ქართველებს ძველთაგანვე მოსდგამდათ“ (პაპავა 196: 5-9)

ამ ემიგრაციის „პოლიტიკური ველი“ ერთმნიშვნელოვან პოზიციასაც აფიქსირებს: მიუხედავად პოლიტიკური ორიენტაციებით მოტივირებული შეხედულებებისა („ანტისაბჭოთა იდენტობა“, „ემიგრანტული კონიუნქტურა“), ჩვენ მიერ შესწავლილი მასალა, განსაკუთრებით ეპისტოლური მემკვიდრეობა სხადყოფს: მათი შეფასებანი არ არის წინასწარ შემუშავებულ სქემებზე მორგებული (ანუ ნეგატიური პოზიცია საბჭოთა ხელოვნების მიმართ), მათ ახარებდათ აქ, საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში, შექმნილი ყოველი კარგი ნიგნის ნაკითხვა, თუკი შეამჩნევდა მათი კრიტიკულად დადარაჯებული თვალი. ეს განსაკუთრებით ემიგრაციის მეორე ტალღაში შეინიშნება. ამ კონტექსტში იკვეთება ემიგრანტთა ნაციონალური იდენტობის მნიშვნელოვანი კონცეპტი: **საბჭოთა საქართველოში ეროვნულ მწერლობას არ დაეკარგა განვითარების ბუნებრივი ხაზი, საბჭოთა ეპოქა არ ქცეულიყო გადაულახავ ბარიერად ეროვნული ლიტერატურისათვის.**

აკაკი პაპავას აზრით, ქართულმა მწერლობამ, ცენზურის სიმკაცრის მიუხედავად, „შემოინახა ეროვნული ენერჯია...“ (პაპავა 1960: 85). ემიგრაციის **მეორე ტალღაში უკვე აშკარაა ემიგრანტთა კოლევიალური დამოკიდებულება საბჭოეთში დარჩენილი მწერლების მიმართ.** „მე მათ, ამ ბორკილდადებულ პოეტებს, ქვას ვერ ვესვრი, მათში მრავალი ღირსეულია და დაისრული, რა მათი ბრალია, რომ მტერი მოერია და მერე რა მტერი? ... კარგად გვესმის, რომ ბევრი ამას ვერ უძლებს, ეს არის ბედი დაპყრობილ სამშობლოს წამებულ შვილთა...“ ა. პაპავას აქვე მოჰყავს ტიცციანის სტრიქონები: „მხოლოდ ჩვენ სხვა დრო წამოგვეწია, ჩვენც მალე სადმე ჩაგვაძალღებენ“ და განაგრძობს: „მძიმე პირობებში იბრძოდა და იცავდა თავს მრავალი მათგანი, ბევრმა გმირულად გადაიტანა და იტანს დღემდე ამ უსწორო ბრძოლას და ქართულ სახელოვან მწერლობის ტრადიციებს მკერდით იფარავს. ... ყველა ამგვარი „ჩავარდნები“ შეგვიძლიან ვაპატიოთ წამებულ, ჯაჭვით შეკრულ მწერალს“ (პაპავა 1960: 87,92).

დიასპორული მენტალურ-ლიტერატურული სივრცე

მე-20 საუკუნის ბოლოდან დაწყებულმა შეუქცევადმა, ინტენსიურმა მიგრაციულმა პროცესებმა შექმნა ახალი ფსიქოსოციალური თუ კულტურული გამოცდილება. მსოფლიო ლიტერატურა ამოძრავდა: 60-იანი წლების დეკოლონიზაციისა, 90-იანების დესოვიეტაზიციის და ბოლო 30 წლის გლობალიზაციის შედეგად იქმნება სრულიად ახალი არადასავლური ლიტერატურა, რომელიც იწერება ძირითადად მიგრანტების, ყოფილი კოლონიებიდან და კრიზისული რეგიონებიდან წასული ადამიანების მიერ. ამ ადამიანებმა, უმეტეს შემთხვევაში, სამწერლობო ენა შეიცვალეს. ნომადი/მომთაბარე ავტორები წერენ ისტორიებს შერეულ წარმომავლობებსა და ჰიბრიდულ იდენტობებზე, ტრანსნაციონალურ ხეტიალსა და რთულ ინტეგრაციაზე. წერენ ფერადოვნად და მსუყედ, გაანალიზების და გაგების სურვილით.

ეს ლიტერატურა ძნელად ეწერება ტრადიციულ ნაციონალურ მწერლობაში, ტრანსნაციონალურია და უაღრესად ინოვაციურ ტექსტებს გვთავაზობს. აზადე სეიჰანი ასე აღწერს ამ სიტუაციას: „ტრანსნაციონალური ლიტერატურა, როგორც ლიტერატურის

უანრი, ოპერირებს ნაციონალური კანონის გარეთ, ნამოჭრის დეტერიტორიარიზირებული კულტურის პრობლემებს და ლაპარაკობს მათ შესახებ, როგორც მე ვუნოდებ – „პარანაციონალურ“ საზოგადოებებსა და ალიანსებში“ (სეიჰანი 2001: 8).

თანამედროვე კვლევების დასკვნა ასეთია: დღეს გოეთეს „Weltliteratur“-ის ცნება გაფართოვდა. მწერლობამ გადალახა ნაციონალური მოდელები, შექმნა გეოგრაფიული და თვისობრივი (მენტალური, თემატური და ენობრივი პრაქტიკები) თვალსაზრისით შეცვლილი ლიტერატურული სივრცე – ახალი „Weltliteratur“, რომლის უმთავრეს მახასიათებლად იქცა კულტურათაშორისი ანუ „მესამე სივრცის“ (Third Space) არსებობა. აღსანიშნავია ამ სახის ლიტერატურის დეფინაციათა სიმრავლე (ინტერ/ტრანსკულტურული, მიგრაციული, პოსტმიგრაციული, მოძრაობის, ტრანსარეალური და სხვ.).

თანამედროვე ქართული მენტალურ-ლიტერატურული სივრცე აღარ კმაყოფილდება მხოლოდ პოსტსაბჭოური სინამდვილისა და 90-იანი წლების ტრავმის აღწერით. მისი განვითარების დინამიკა მიმართულია თანადროულ დასავლურ სივრცეში ჩანერისაკენ, რაშიც გადამწყვეტ როლს თამაშობს საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველ ავტორთა შემოქმედება. ამ მწერლობას ჩვენ ვუნოდეთ **ქართული ინტერკულტურულ-მიგრაციული მწერლობა**. მისი „მესამე სივრცე“ – როგორც ახალი „Weltliteratur“-ის ნაციონალური გამოვლინება – ყოველდღიურად ქმნის ახალ რეალობას, რომლის მრავალმხრივი კვლევა აუცილებელია. მით უმეტეს, რომ ბევრმა ავტორმა უკვე მიაღწია წარმატებას, დაიმსახურა ლიტერატურული პრემიები, მათ ეძღვნება გადაცემები, რეცენზიები (ნინო ხარატიშვილი, ბელა ჩეკურიშვილი, იუნონა გურული, რუსკა ჟორჟოლიანი, ნანა ექვთიმოშვილი, ლევან მუსხელიშვილი, ლევან ბერიძე, იუნონა გურული, გაბრიელ ტანიე (სოსო გაჩავა), ზაზა ბურჭულაძე და სხვა).

თანამედროვე ქართულ ინტერკულტურულ-მიგრაციულ მწერლობაში გამოიყოფა ასპექტები, რომლებიც:

- განასხვავებს მას ნაციონალური ლიტერატურისაგან და განაპირობებს მის განთავსებას ახალი „Weltliteratur“-ის სივრცეში: კულტურათა ტრანსფორმაცია და ჰიბრიდულობა, იდენტობათა რეკონსტრუქციები (ორმაგი, გარდამავალი, ჰიბრიდული...), იდენტობათა არასტაბილურობა და სოციალიზაცია, მუდმივი და შექც-

ნილი, ფსიქოსოციალური იდენტობები, მეხსიერებები, იმაგოლოგია, მიგრაციულ-სოციალური თემატიკა, ენობრივი ჰიბრიდულობა, მრავალენოვანება, ენათა შერევა, უნესრიგობა, ლიტერატურული ჟანრების პერმანენტული გააქტიურება.

- ნარმოაჩენს ამ მწერლობის, როგორც ახალი „Weltliteratur“-ის, ნაციონალურ სპეციფიკას, იდენტობათა პოსტსაბჭოთა ქაოსი, ტრადიციულ და თანამედროვე ფასეულობათა, ნაციონალურ და ინტერკულტურულ იდენტობათა ოპოზიციები, გააქტიურებული იმაგოლოგიური ასპექტები, ემიგრაციული, სოციალური, ინდივიდუალისტური, ყოფითი თემები, ეთნოკონფლიქტების, გენდერის, რელიგიის, ტრავის თემები. მასში აისახება პარდოქსული ასპექტი: გლობალურ, მიგრაციულ პროცესებში სწრაფვა ისტორიული, ეთნიკური ფესვების მოძიებისაკენ.

ამ მახასიათებელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია იმაგოლოგიური კონტექსტი – თანამედროვე ქართული ინტერკულტურულ-მიგრაციული მწერლობის „იქიდან“ დანახული პოსტსაბჭოთა საქართველოს რეალობა, პოლიტიკური ილუზიებისა და პოსტსაბჭოთა ქვეყნის კულტურული რეალობის შეუსაბამობა, ის უარყოფითი ფაქტორები, რომლებიც ბარიერებს ქმნის ჯანსაღი პატრიოტიზმისა და სახელმწიფოებრივი სუვერენობის განვითარების პროცესში. განვიხილავთ რამდენიმე კონტექსტს.

1. ილუზიების მსხვრევა. იდენტობის კრიზისი

XX საუკუნის ბნელი და რთული 90-იანები, ყველაზე მძიმე, სულიერებას-თან და ესთეტიკასთან შეუთავსებელი პერიოდი: უკანონობა, გაჭირვება, შიმშილი, დევნილობა, იმედგაცრუება, უმუშევრობა, უპერსპექტივობა, ნარკოტიკები, „ძველი ბიჭები“ და „კანონიერი ქურდები“, სიყვარულის ნაკლებობა. ტრავმა, ნიჰილიზმი.

„იმ დღეებში ყველაფერი უსაზღვრო იყო – სიხარულიც, მღელვარებაც, სიცოცხლის ხალისიც და მძიმე ნალველიც. თავად ქვეყანა იყო ასეთი, დაუფიქრებლად ფლანგავდა სიყვარულს, ფულს, რომელიც არავის გააჩნდა, სითბოს, ყველაფერს, რაც აკლდა და როგორც კი უჩნდებოდა, მაშინვე გასცემდა, საჩუქრად არიგებდა, ხარჯავდა. იქ არაფერი უჩერდებოდათ დიდხანს.“ (ხარატიშვილი 2015: 264).

საბჭოთა კავშირის დაშლასთან ერთად დავინწყებას მიეცა საბჭოთა ხალხის კულტურული იდენტობის ხელოვნურად შექმნილი ცნება. მიგრაციულმა, ეპოქალურმა, სოციალურ-პოლიტიკურმა, ლოკალურმა ცვლილებებმა ადამიანებს დაუკარგა სტაბილურობის შეგრძნება. პიროვნება, რომელიც ადრე იდენტობას იმკვიდრებდა თავისი ეროვნულობის, ფასეულობების, უნიკალურობის გამოხატვის გზით, მიგრაციულ გარემოში იძულებულია დაექვემდებაროს გარემოს აქტუალურ მოთხოვნებს, სოციუმს. იდენტობათა და ფასეულობათა სოციალიზაციას მოსდევს „იდენტობისკრიზისი“, ნიჰილიზმი, იმდგაცრეება. ეჭვქვეშ დადგა ყველაფერი: ისტორიაც, კულტურაც, მიღწევებიც, თვისებებიც, ღირსებებიც:

„...იმავე ზაალადაც არსად ვფიგურირებ, პასპორტის გარდა... გვართაც დარწმუნებით ვერ ვიტყვი, რომ ნაღდად მამაჩემის შვილი ვარ... ქართველობაც როგორ დავიჩემო, ისე მაქვს ნონიალი ძვალსა და რბილში გამჯდარი, ბომა უფრო გამოვდივარ... ოჯახსაც არასდროს ვთვლი კონსტანრად – მუდმივ სიდიდედ... დაოჯახებისა და გაყრის ციკლურობა დიდი ხანია ჩემს თვითდისციპლინად და ნორმად ვაქციე... ვერც იმაზე დავდებ თავს, რომ მხოლოდ სამი შვილის მამა ვარ და აქა-იქ კიდევ არ იზრდებიან ჩემი ნაშვირნი. ჩემი პროფესიაც ერთობ მათემატიკურია... რატომ გინდა იყო მწერალი მაშინ, როცა იცი, რომ, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ეს სრულიად დაუფასებელი ხელობაა. ... თან მე მუდამ რეპორტაჟები უფრო მიზიდავდა“ (ბურჭულაძე 2015: 9).

2. ნაციონალიზმისა და პატრიოტიზმის ახალი პარადიგმა. მსხვერპლის როლი.საბჭოური მენტალობა

21-ე საუკუნის ქართულ ინტერკულტურულ-მიგრაციულ მწერლობაში ნაკლებია სამშობლოს იდეალიზაცია, პირდაპირი მოწოდებები სამშობლოს დაცვისაკენ, სიყვარულისაკენ. სამშობლო უფრო გლობალურ, ინტერკულტურულ კონტექსტში მოიაზრება. საზღვარგარეთ მყოფი ადამიანი, რომელსაც მეტად აქვს შედარების საშუალება, ხედავს პოლიტიკური ილუზიების შეუსაბამობას დღევანდელ გლობალურ, ინტერკულტურულ რეალობასთან: მსხვერპლის, დათრგუნულის როლი, თვითგვემა ყველაზე დიდი შემაფერხებელია ჯანსაღი პოლიტიკური მსოფლმხედველობის განვითარებისათვის..

1989 წლის 9 აპრილის შემდეგ ნაციონალიზმის ახალი პარადიგმები ჩამოყალიბდა. მხედველობაში გვაქვს ისეთი კონცეფციები, როგორცაა „ობოლი ერი“, „უპატრონო ერი“, „ერი-მსხვერპლი“. ეს დისკურსი დღემდე გრძელდება, რაც ხელს უშლის სამოქალაქო ნაციონალიზმის დამკვიდრებას.

„საბჭოთა კავშირი კი დაინგრა და ბევრი რამ ქვეშაც მოიყოლა, მაგრამ საძირკველი დარჩა, რომელზეც თითქოს ახალი ცხოვრების შენება დავიწყეთ. საბჭოურობამ... ჩვენს თითქოსდა ახალ ეპოქაში სახეშეცვლილი არსებობა განაგრძო. ჩვენს საზოგადოებას კოლექტიურად არაფერი გადაუფასებია, შეცდომები არ გვიღიარებია, მაშინვე მსხვერპლის როლი მოვირგეთ. ეს კი, უპირველესად, იმაში გამოჩნდა, რომ, ბოლო 25 წელია, ვერ მოვახერხეთ, ერთობლივად ჩამოგვეყალიბებინა, როგორ ქვეყანაში გვსურს ცხოვრება, რას ნიშნავს თავისუფლება, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა, ამდენი ხანია, ჩვენი აზროვნებიდან მესიანიზმი ვერ აღმოვფხვართ...“ (დარჩიაშვილი: 2014).

„აქ, ანუ საქართველოში შეუძლებელია განცხრომა და კარგად ყოფნა, სადაც დამცირებული და შეურაცხყოფილი თუ არა ხარ, რაღაცნაირად დაურწმუნებლად გრძნობ თავს. მაგრამ ასევე სათქმელია, რომ დამცირებულნი და შეურაცხყოფილნი ჩვენ უძლეველნი ვართ. სწორედ ესაა ჩვენი ძალა. ჩვენი ნიჭურტიც. დროულად ნახმარი ნიჭურტი იგივე ხმალიაო, ვილაცას უთქვამს... ჩვენ დაუმარცხებელნი ვართ, სანამ ნიჭურტი გვაქვს... სანამ დამცირებულად და შეურაცხყოფილად ვგრძნობთ თავს. განცხრობას და კარგად ყოფნას ჩვენ სიკვდილი გვირჩევნია“ (ბურჭულაძე 2015: 112-113). „ვიტანჯები, მაშასადამე, ვარსებობ“ (ბურჭულაძე 2015: 78). „თუ არ ვიტანჯები, მაშინ ჩემთვის სიცოცხლე ფუჭი, არადაამაჯერებელი ხდება. მე ვარ საბჭოთა კავშირში დაბადებული ადამიანი, მე ვიცი, რას ნიშნავს გამოიგინო პრობლემები და მერე გმირულად გაუძლო მათ. მე მიყვარს ბუზიდან სპილოს შექმნა“ (ბურჭულაძე 2015: 82). „რა ხანია ბერლინში ვცხოვრობ ჩემს საყვარელ ადამიანებთან ერთად, ვემსახურები ჩემს საყვარელ საქმეს.... გემო ვერაფრისთვის ჩამიტანებია. თან რაც დრო გადის, მით უფრო მიმძაფრდება დანაშაულის გრძნობაც. თითქოს ჩემი მუდამ დამცირებული და შეურაცხოფილი სამშობლო მახსენდება, არა ვარ განცხრომებისა და ცხოვრებით ტკობის კაცი. მე მარადი სევდა მიანდერძეს წინაპრებმა“ (ბურჭულაძე 2015: 83).

3. რომანტიზმიდან რაციონალიზმამდე. თვითკრიტიკა

ძალიან მნიშვნელოვანია საზღვარგარეთ მოღვაწე მწერალთა ხედვა იმაგოლოგიის შედარებით კონტექსტში. ისინი აცნობიერებენ ქართული მენტალობის რომანტიკულ ასპექტებს, რომლებიც მჟღავნდება სწორედ ევროპული რაციონალიზმთან დაპირისპირებაში. ეს დაპირისპირება გასააზრებელი და ყურადსაღებია სწორედ პოლიტიკური შეხედულებების პრიზმაში. ინტერკულტურულ-მიგრაციული მწერლობა ცდილობს თვითკრიტიკულად გაანალიზოს ისტორია დამოუკიდებელი საქართველოს ისტორია 90-იანებიდან დღემდე და უკმაყოფილოა, იმით რომ სამშობლოში სათანადოდ არ არ მიმდინარეობს ეს პროცესი. რეალურად არ იგრძნობა თვითკრიტიკულობა და მოვლენების ობიექტურად შეფასების უნარი.

„ბევრი რამ შეიძლება, გაცილებით უკეთ ყოფილიყო, ერთხელ მაინც საფუძვლიანად რომ გადაგვეფასებინა ჩვენი წარსული, გვეღიარებინა შეცდომები, ბოლო მოღებოდა დაუსრულებელ ნუნუნს, მორიგი მესიის გამოჩენის მოლოდინს, პოლიტიკისადმი ჩვენს ინფანტილურ დამოკიდებულებას. ჩვენ კარგი მაგალითი შეგვიძლია ავიღოთ გერმანელებისგან საკუთარი შეცდომების, ისტორიის, პრობლემების აღიარების, გადაფასებისა და კრიტიკულობის თვალსაზრისით“ (დარჩიაშვილი 2014:).

„ჩემი თვალთ მინახავს, საპირველმაისო დემონსტრაციაზე მიმავალმა დემონსტრატმა მეტროს აპარატიდან როგორ თვინიერად შეიძინა ბილეთი.... არადა ეს სწორედ ისაა, ვინც აქციის მსვლელობისას პოლიციას მუშტი-კრივს უმართავს, ბანკის ვიტრინას ამსხვრევს და აყირავებულ მანქანებს ცეცხლს უკიდებს. ასევე მინახავს თბილისში ხალხი, გარაჟში პირველი კლასის მერსედესი რომ ედგა, საკუთარი ბინის მრიცხველი კი ფოტოფირის ნაგლეჯით გაეჩერებინა, ელექტროენერჯის საფასური რომ არ გადაეხადა.“ (ბურჭულაძე 2015:19)

„ეს ჩემი ცხოვრების თემაა. ძალიან მარტივად რომ ვთქვა და ერთ წინადადებაში ჩავტეო – ეს არის გერმანია-საქართველოს ბაღანსი. აქ რაც გვაკლია, რაციონალური მიდგომა, განსაკუთრებით სოციოპოლიტიკურ სტრუქტურებში – იქ, გერმანიაში, ზედმეტად ჭარბად არის. სამაგიეროდ, ემოციური გახსნილობის და უშუალო ურთიერთობების დეფიციტია. ამიტომ, მე ვცდილობ, რომ ის

ქართული, რაც ჩემშია, ყოველთვის ჩანდეს. გერმანიაში, მათი ისტორიიდან გამომდინარე, ყველანაირი მკვეთრი ემოცია, პათოსურობა აშინებთ. მაშინვე თავის ისტორიასთან და ნაციზმთან დადიან – აი, მაშინ რა დამართა ქვეყანას ჭარბმა ემოციამ. ცოტა მეცინება ამაზე, ვერ ვხვდები, ყველაფერი ნაციზმთან რატომ უნდა დადიოდეს”(ანთაძე 2018:)

საზღვარგარეთ, როგორც ჩანს, ადამიანი თავს აღწევს „საკუთარ ნვენში ხარშვას“. ინფორმაციის, უცხო მენტალობის გააზრების, უცხოეთთან უშუალო კომუნიკაციის შედეგად ქრება შენი ქვეყნის გამორჩეულების, უნიკალურობისა და აღმატებულობის განცდა (ყველაზე კარგი ლეინო ქართულია). „თომას მანსლა შეუძლია თქვას, სადაც მე ვარ, იქ არის მთელი გერმანული კულტურაო. მე კი, როგორც პატარა ქართველი, კავკასიის მთების შვილი, ვიტყვოდი, სადაც მე ვარ, იქ არის მთელი ქართული უკულტურობა“ (ბურჭულაძე 2015: 85).

4. რელიგიური იდენტობის მეტამორფოზა

ზოგადად ინტერკულტურულ-მიგრაციულ მწერლობაში, მათ შორის ქართულშიც, აქტუალურია რელიგიური ასპექტების გააზრება. ამ შემთხვევაშიც „იქიდან“ უკეთ ჩანს, რა იყო და რა შეიცვალა ან არ შეიცვალა დღეს:

„ერთხელ „ილუზიონმა კაზუჰიკო იამაგუჩის „ლედი კარატე“ აჩვენა. ასეთი ფილმები საქართველოში ეკლესიური დღესასწაულებისას გადიოდა, მოქალაქე ტელევიზორს რომ მიბმოდა და შინ დარჩენილიყო“ (ბურჭულაძე 2015: 46) „...ინყება ყველაფრის ტოტალური ევანგელიზაცია, რაც თავისთავად გულისხმობს ერთი ტოტემის მეორით ჩანაცვლებას. ჰოდა ამხანაგ ლენინსაც მაშინვე ასე კოხტად ცვლის წმინდა გიორგი უმოკლეს დროში. ქართველი განსხვავების დანახვას წესიერად ვერც კი ასწრებს“ (ბურჭულაძე 2015: 59).

დღეს კიდევ უფრო აქტუალურია თეზა: კაცი, რომელიც სამშობლოში არ ფიქრობდა მწერლობაზე, საზღვარგარეთ იწყებს წერას. იქმნება არალირებულცი და ლირებული, ის, რასაც აქ“ ვერ ვამჩნევთ, შესაძლებელია მწერქალმა შეამჩნიოს და დაინახოს „იქი-

დან“ ...სწორედ დღესაა მნიშვნელოვანი პოლიტიკური ასპექტების სწორად და რაციონალურად შეფასება. იმის გააზრება, რას ენიჭება ყველაზე დიდი მნიშვნელობა ქვეყნის სუვერენიტეტისა და ცნობადობის გაზრდის თვალსაზრისით.

აქვე გვინდა გავიხსენოთ, რომ წელს რუსთაველის თეატრის სცენაზე წარმოდგენილი იყო ნინო ხარატიშვილის რომანის „მერვე სიცოცხლე ბრილკასათვის“ სცენური ვერსია ჰამბურგის თალიას თეატრის შესრულებით. სპექტაკლის შემდეგ სოციალურ ქსელებში გამოითქვა მოსაზრება, რომ ნინო ხარატიშვილმა მოახერხა ის, რაც მთელი დამოუკიდებელი საქართველოს ბოლო 30 წლის ისტორიის მანძილზე ვერ შესძლეს პოლიტიკოსებმა: გააცნო ევროპას საქართველოს ისტორია, მისი მრავალსაუკუნოვანი ლტოლვა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისკენ. იქნებ ეს არის კიდევ ქართული ინტერკულტურულ-მიგრაციული მწერლობის ყველაზე დიდი მისიაც...

აღნიშნული პრობლემის განხილვამ კიდევ ერთხელ დაადასტურა: საზღვარგარეთ შექმნილი მწერლობის ნებისმიერი საკითხის განსჯისას აუცილებელია კვლევის ინტერდისციპლინური ფორმატი; აუცილებელია გავიაზროთ ამ ემიგრაციის მიზეზები, მიზნები, მისი მენტალური სივრცე, ნაციონალური იდენტობის პარადიგმები, ფსიქოსოციალური ასპექტები, სპეციფიკური იმაგოლოგიური ხედვები.

დამონემაანი:

ანთაძე 2018: ანთაძე, ი. *მოტივაციას ვაძლევს ცხოვრება*. <http://sainteresoamdamiანიebi.1tv.ge/?id=59>.

ბურჭულაძე 2015: ბურჭულაძე ზ. *ტურისტის საუზმე*. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2015.

დარჩიაშვილი 2014: დარჩიაშვილი, რუსუდან. *ნინო ხარატიშვილი საუკუნეზე „რომელმაც ყველას უღალატა“*. <http://24blog.ge/weekend/story/43997-nino-kharatishvili-saukuneze-romelmats-yvelas-ughalata>.

ნოზაძე 1950-70: ვიკტორ ნოზაძის ეპისტოლური მემკვიდრეობა, მისი და მისადმი მიწერილი წერილები. ხელნაწერი – ავტოგრაფები. ტ. III. თსუ ქართული ემიგრაციის მუზეუმი. 1950-70.

პაპავა 1960: პაპავა აკი. *კრებული 1500-წლოვან თბილისს. ლექსები და წერილები: წინასიტყვაობა (გვ.7-15). წერილი თბილისზე და მის მწერლობაზე*

(გვ.77-93). *წერილი ძველ და ახალ ქართულ კრიტიკაზე* (გვ. 107-119). სანტიაგო დე ჩილე: თსუ ქართული ემიგრაციის მუზეუმი. 1960.

პაპავა 1962: პაპავა აკ. „მონამეთობის გამო“. კრებულში: *მონამეთობა*. გვ. 5-11. ნიუ-იორკი: თსუ ქართული ემიგრაციის მუზეუმი, 1962.

სეიჰანი 2001:სეიჰანი, აზადე. Seyhan, Azade. *Writing Outside the Nation*: <http://catdir.loc.gov/catdir/samples/prin031/00032639.pdf>.

ხარატიშვილი 2015: ხარატიშვილი ნ. *ჩემი ტკბილი ორეული*. თბილისი: გამომცემლობა „ინტელექტი“, 2015.

EKA CHIKVAIDZE

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Georgian Theological Writings of the 10th-20th Years of the 20th Century (Basic trends)

10-20 years of the 20th century is characterized by a literary atmosphere of political situation. The Georgian theological writings of this period create a spiritual thesis, Catholicos Patriarchs of Georgia, bishops, clergy, many of which have been merited by the Georgian Church as saints (Kalistrate Tsintsadze, Kirion Second (Sadzaglishvili), Ambrosi Khelasia, Nikita Talakvadze, Timothy Sakhokia, David Kachakhidze and others).

Their activities can be divided into two terms and conditions (although both is connected to serve Georgia and Georgian people and their lifestyle): Public and literary activities. And in turn, literary contributions are spread in two directions: Science, Analytics, Homology, Historiography, and Epistolary Heritage, a large part of which is personal letters.

Key words: Georgian theological writings, literary contributions.

ეკა ჩიკვაძე

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

მე-20 საუკუნის 10-20-იანი წლების ქართული სასულიერო მწერლობა (ძირითადი ტენდენციები)

კაცობრიობის ისტორიაში XIX-XX საუკუნეთა მიჯნა იდეურ-იდეოლოგიური სიახლეებით გამორჩეული ხანა იყო. ტრადიციული და მსოფლიოს „წვეულებისამებრი“ სვლა ისტორიას ჩაბარდა, დაიბადა ახალი და მებრძოლი სულითა და მატერიალისტური ხედვით შეპყრობილი რეაქციული სამყარო, რომელსაც კანტის, ჰეგელის, ნიცშეს, მარქსის, ენგელსის, დარვინის იდეები თანაზომიერ რიტმს აკარგვინებდა, „კომუნიზმის აჩრდილი“ კი ევროპის ხვალისდელ დღეს განსაზღვრავდა. ამ რთულ ვითარებაში უნდა გაეკვლია გზა ტრადიციულ აზროვნებას. ტრადიციულის დაცვაში საგანგებო და განსაკუთრებული როლი, ცხადია, ეკლესიას ენიჭებოდა. სწორედ ეკლესიას უნდა გაეცა პასუხები ეპოქალურ კითხვებზე, რომელთაც განსაკუთრებული სიმწვავეთ სვამდნენ მესამედასელნი. დაეძლია მაცდური თეზა – „ღმერთი მოკვდა“ და მატერიალიზმის ქადაგების ფონზე ექადაგა იდეალიზმი, ინტერნაციონალისტური იდეების ფონზე შეენარჩუნებინა ეროვნული, კოსმოპოლიტიზმის გვერდით – პატრიოტიზმი... თუმცა იმისთვის, რომ ეკლესიას ექადაგა სწორი და მართალი სიტყვა, მთელი რიგი კითხვისთვის თავად უნდა გაეცა პასუხი. ეპოქის სირთულემ სწორედ ამ პასუხების ძიების პროცესში სასულიერო ფენაშიც შეაღწია. ერთი ნაწილისთვის პოლიტიკურ თუ სასულიერო სივრცეში რუსეთის როლი ცალსახა და უპირობოდ მისაღები იყო, ხოლო, მეორე მხრივ, ქვეყანა ემზადებოდა პოლიტიკური დამოუკიდებლობისა თუ ავტოკეფალიის აღდგენისათვის. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სასულიერო ფენა არ იყო ერთიანი და სხვადასხვა დროს სხვადასხვა მიზეზით იხლიჩებოდა – იყოფოდა ავტოკეფალისტებად და მონინაალმდეგეებად, რეფორმატორებად და ტრადიციონალისტებად, ბოლშევიკური მთავრობის მიმართ კომპრომისულად და შეურიგებლად განწყობილებად და ა.შ. ცხადია, დაპირისპირებათა სპექტ-

რი, სულ მცირე, მათ ქადაგებებში თუ ისტორიულ-ლიტერატურულ თხზულებებში აისახებოდა ეპოქალურ სირთულეებთან ერთად, რომლებიც დაინახეს, განიცადეს, გადასაჭრელად დასახეს სასულიერო პირებმა.

ერთმანეთისგან ამთავითვე უნდა გავმიჯნოთ ორი რამ: სასულიერო მწერლობა და სასულიერო პირთა მწერლობა. პირველში სასულიერო თემატიკაზე შექმნილი თხზულებები იგულისხმება, მეორე კი სასულიერო ავტორთა ხელიდან გამოსულ ძეგლებს მოიაზრებს. ზემოხსენებული ტენდენციები, ცხადია, განაპირობებდა სასულიერო სივრცეში შექმნილი ლიტერატურის რაგვარობას. სასულიერო პირთა ლიტერატურული ნააზრევნი რამდენიმე მიმართულებით გაიშალა: 1. თეოლოგიური, 2. კულტურული, 3. სამეცნიერო, 4. პოლიტიკური, არანაკლებ ღირებულება სასულიერო პირთა, 5. მემუარები და დღიურები. ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ სასულიერო მწერლობის ზოგიერთი დარგი მეოცე საუკუნის დასაწყისში სრულებით წყვეტს არსებობას (ალარ იქმნება აგიოგრაფიული თხზულებანი, ნაკლებად იწერება ეგზეგეტიკური კომენტარები და ჰიმნოგრაფიაც კი). სასულიერო სივრცეში შექმნილი თხზულებები პოლიტიკური მუხბითაა გაჯერებული. სწორედ ამიტომ მათი შესწავლა ქვეყანაში მიმდინარე პროცესების შემეცნების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია.

კარგად ნაცნობია მიდგომა, რომ ლიტერატურა ასახავს ცხოვრებას. უნდა ითქვას, რომ ეს მოსაზრება საუცხოოდ და ყველაზე მკაფიოდ მიესადაგება როგორც სასულიერო მწერლობას, ისე სასულიერო სივრცეში შექმნილ თხზულებებს, რომელთაც მნიშვნელოვანწილად კვებავს და ფერს უცვლის იმ ქვეყნის ისტორიულ-პოლიტიკური კონტექსტი, რომელშიც იქმნება. მეოცე საუკუნის პირველი ოცნლეულის სასულიერო მწერლობასაც სწორედ პოლიტიკური პროცესები განაპირობებს.

კიდევ ერთხელ გადავავლოთ თვალი კარგად ნაცნობ მოვლენებს:

1918 წელს საქართველოში სახელმწიფო მმართველობა თავის ხელში აიღო იმდროისათვის ხალხში პოპულარულმა სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ, მისმა „მენშევიკურმა“ ფრთამ, რომელიც იქამდე მუდამ იბრძოდა საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, თავგამოდებით იცავდა „ერთიანი, განუყოფელი რუსეთის“ იდეას, შემთხვევის წყალობით, მენშევიკური პარტია

მოექცა იმ სახელმწიფოს სათავეში, რომლის წარმოშობის წინააღმდეგაც იბრძოდა ათწლეულების განმავლობაში. ამან ასახვა პოვა მის დამოკიდებულებაში ქართული ეკლესიისადმი. ცხადია, მათ ვერ შეაფასეს ქართული ეკლესიის მნიშვნელობა.

„1918 წელს სოციალ-დემოკრატიულმა მთავრობამ გააუქმა სასულიერო სასწავლებლები, რითაც ეკლესიას მოუსპო საშუალება სასულიერო კადრები მოემზადებინა. პარლამენტის 1918 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილებით სასწავლებლებში აიკრძალა საღვთო რჯულის სწავლება. 1918 წლის 3 დეკემბრის მთავრობის განკარგულებით ეკლესიას ჩამოერთვა სამოქალაქო რეგისტრაციის უფლება. ეკლესიის წინააღმდეგ იყო მიმართული დამფუძნებელი კრების მიერ 1919 წლის 17 ივლისს ზოგიერთი საეკლესიო უქმე დღის გაუქმება.

აგრარული საკითხის გადაწყვეტის დროს სოციალ-დემოკრატიულ მამთავრობამ ეკლესიას არა თუ დაუბრუნა ის საეკლესიო მიწები და ქონება, რომელიც მან ავტოკეფალიის გაუქმების დროს დაკარგა, არამედ სახელმწიფოს მფლობელობაში გადავიდა ის მცირე საეკლესიო მიწებიც, რომლებიც მას ეგზარქოსობის დროს ჰქონდა. ეკლესია სახელმწიფოსაგან მცირე სუბსიდიებს და ნატურალურ ულუფას იღებდა, მაგრამ 1920 წლის მთავრობის განკარგულებით 21 მაისის დეკრეტით საეკლესიო ქონება სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადდა. შექმნილ კომისიას დაევალა მათი მუზეუმებში თავმოყრა. ეს გახლავთ ის სამი ძირითადი მოვლენა, რომელთა გამოძახილიც მეტ-ნაკლებად იყო მეოცე საუკუნის დასაწყისის სასულიერო მწერლობა.

მეოცე საუკუნის დასაწყისის ზოგადად აქტიური სასულიერო დასის წევრთა შორის განსაკუთრებით უნდა გამოვარჩიოთ კათალიკოსები კირიონ მეორე და ამბროსი ხელაია.

კირიონ მეორის სულიერი მრწამსი კარგად ჩანს გადასახლებაში ყოფნისას წარმოთქმული სიტყვებიდან: „კაცის სიცოცხლეში სამი შესანიშნავი ხანაა: დაბადება, ცხოვრება და სიკვდილი. პირველს უნებლიეთ ორივე მოსდევს, ვერა ხორციელი კაცი ამ კანონს ვერ ასცდება. როგორც კაცს ნება არა აქვს, დაჰგმოს თავისი დაბადების დღე, აგრეთვე არ უნდა დაემდუროს ცხოვრების ჩარხისაგან მისთვის მინიჭებულ ბედს... ჩემთვის მარად საღმრთო იქნება ის ლტოლვილება, რომელსაც მივესწრაფებოდი. ჩემ სიცოცხლეში

ჩემი წარმატებისათვის არ მიზრუნია: არც ოქრო იზიდავდა ჩემს გულს და არც ჯილდო. პირადი ჩემი ინტერესები დიდი ხანია უარყვავ. ბევრი უსამართლობა გამომივლია, მაგრამ თანაგრძნობისათვის არავისთვის თავი არ შემინყევინებია. მტრებისათვის სამაგიერო არ გადამიხდია, თუმცა შემძლო და გარემოებაც ხელს მინცობდა. დეე, დროებით იპარპაშონ ცბიერებამ, ორპირობამ და დამბეზლებლობამ, დადგება დრო, უსამართლობა დაითრგუნება, მოისპობა პირისაგან ქვეყნისა და ჭეშმარიტება გამეფდება. მხოლოდ მოთმინება უნდა, მოთმინება, – თუმცა საქმე თავად მაინც არ გაკეთდება, ქადები ციდან არ ჩაცვივა. უფალმა ბრძანა: ეძიებდით და ჰპოულობდითო. ძიება არის შრომა ხანგრძლივი და თავდადებული“ (აბრამიშვილი 1917: 17).

XIX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედსა და XX საუკუნის დასაწყისში სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსული კირიონისა და მისი თანამოაზრე ქართველი სასულიერო პირების: კალისტრატე ცინცაძის, ამბროსი ხელაიას და სხვათა მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში დიდი როლი შეასრულა წმინდა ილია მართლის (ილია ჭავჭავაძე) შეხედულებებმა. ისინი თავიანთი პრაქტიკული საქმიანობით თერგდალეულთა იდეების პოპულარიზაციას ეწეოდნენ და ავტოკეფალიადაკარგულ საქართველოს ეკლესიას ეროვნულ სულს უნარჩუნებდნენ. კირიონმა კარგად იცოდა თავისი ქვეყნის სატკივარი და მისი განკურნების საქმეში ერის ისტორიის აღდგენას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. ამ მიმართებით მან დიდი ამაგი დასდო მშობლიური ერის ისტორიას.

მრავალფეროვანი იყო კირიონ II-ის შემოქმედებითი მოღვაწეობაც. მან საინტერესო გამოკვლევები გამოაქვეყნა ფილოლოგიური მეცნიერების დარგში. მის პუბლიკაციებში მდიდარი ეთნოგრაფიული ცნობებია დაცული ქართველი ხალხის მატერიალური და ყოფითი ცხოვრების შესახებ. ყოველივე ამის მიუხედავად, კირიონ II უპირველესად საეკლესიო ისტორიის მკვლევარი იყო. ჯერ კიდევ კიევის სასულიერო აკადემიაში სწავლის დროს ამ კუთხით მოხდა მისი, როგორც სპეციალისტის ჩამოყალიბება. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ კი მიღებული ცოდნა თავისი ქვეყნის წინსვლას მოახმარა.

XIX საუკუნის 80-90-იან წლების პერიოდულ პრესაში ქართულ და რუსულ ენებზე კირიონ II სხვადასხვა ფსევდონიმით ხშირად

აქვეყნებდა წერილებს ეგზარქოსობის პერიოდში გაპარტახებული ქართული ეკლესია-მონასტრების შესახებ. კირიონს ეკუთვნის „საქართველოს საეგზარქოსოს ისტორია“, „ივერიის კულტურული როლი რუსეთის ისტორიაში“, „მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“, მეტად საინტერესოა მისი პოლემიკური წერილები ივ.ვოსტორგოვის და მისი მსგავსი ანტიქართველების წინააღმდეგ. განსაკუთრებით აღსანიშნავია 1906 წელს სინოდის სპეციალურ სხდომებზე საქართველოს ევტოკეფალიის საკითხზე კირიონის მიერ წაკითხული ოთხი მოხსენება: „Грузинский церковный вопрос (историко-канонические основания)“, „Что вынуждает Грузию добиваться восстановления автокефалии своей церкви“, „Какой Иверии дарована автокефалия в XI веке?“, „Национальный вопрос в церкви“. აღნიშნულ სხდომებზე კირიონ II-ის გამოსვლას მოწინააღმდეგეებზეც კი დიდი გავლენა მოუხდენია. მოსახლეობისაგან ჩაინერა საინტერესო გადმოცემები. მანვე დალუპვას გადაარჩინა მრავალი ეპიგრაფიკული ძეგლი. მოგზაურობის დროს იგი იწერდა ეკლესია-მონასტრებსა და ციხე-კოშკებზე შემორჩენილ წარწერებს, მათ აქვეყნებდა და საინტერესო კომენტარებს ურთავდა. დოგმატურ-პოლემიკური შინაარსისაა მისი სადისერტაციო ნაშრომიც: „მკვლევარი ელ. ბუბულაშვილი აღნიშნავს, რომ „კირიონის გამოუქვეყნებელ შრომებიდან დიდ ყურადღებას იმსახურებს გაიოზ რექტორისადმი მიძღვნილი მონოგრაფია, რომელიც ასტრახანის, რუსეთისა და სხვა არქივებში დაცულ წყაროებს ეყრდნობა. აგრეთვე საინტერესოა ვალეს ღვთისმშობლის ტაძრისადმი მიძღვნილი გამოკვლევა უამრავი ეპიგრაფიული მასალით“.

კირიონ II-ს გულს უკლავდა ის გარემოება, რომ ჟამთა სიავის გარდა, ეკლესია-მონასტრები ნადგურდებოდა ადგილობრივი მოსახლეობის ხელშეწყობით. უძველესი ნაშთების ქვებს ისინი სამშენებლო მასალად იყენებდნენ. 1891 წელს სასულიერო ხასიათის ჟურნალ „მწყემსში“ კირიონ II-მ გამოაქვეყნა მიმართვა ქართული სიძველეების გადარჩენის შესახებ, სადაც აღნიშნავდა: „ჩვენი დაუდევრობა ძველი ნაშთების შესახებ იმიტომ ხდება, რომ ჯერეთ ვერ შევიგნეთ მათი მნიშვნელობა, ახლის გაკეთება არ შეგვიძლია და ძველებსაც არ ვუფრთხილდებით. გულხელდაკრეფილი შეეცქერით მათ, თითქოს ეს შესანიშნავი ნაშთები ჩვენ არ გვეკუთვნოდეს, თითქოს სტუმრები ვიყოთ ჩვენსავე სამშობლოში! ჩვენი

წინაპრე-ბი დიდის თავგანწირვით იცავდნენ ჩვენს სამშობლოში მამაპაპურ ნაშთებს, რომ პირნათლად გადმოეცათ ისინი შთამომავლობისათვის. ნეტარება იმით, რომ აღისრულეს თავისი წმინდა მოვალეობა. ჩვენ კი ამ მშვიდობიანობის დროს არამც თუ არ ვუფრთხილდებით ამ დიდებულ ნაშთებს, არამედ თავად ვზედავთ მათ გაძარცვას, შევიწროვებას და შებილწვას“ (<http://www.orthodoxy.ge/biografiebi/kirion2/kirion2.htm>). კირიონ II-ს მიაჩნია, რომ ქართული სიძველეები არამარტო ქრისტიანობის სიმტკიცის გამოხატულებაა, არამედ „როგორც ისტორიული მონუმენტები, იგინი წარმოგვიდგენენ სარკეს, რომელშიაც ცხადად ვხედავთ წარსულ დროს“ (კვიციანი 1996: 18). ამიტომ მას მოფრთხილება და მოვლა სჭირდება. კირიონმა თვითონ ითავა ზოგიერთი ისტორიული ძეგლის განახლება. მისი მონაწილეობით შეკეთდა ალავერდის ტაძარი, შუამთისა და ქვათახევის მონასტერი, მცხეთის სვეტიცხოველი და შიდა ქართლის ზოგიერთი ეკლესია-მონასტერი. კირიონ II, როგორც მკვლევარ-ისტორიკოსი, დიდად აფასებდა მატერიალური და სულიერი ნაშთების როლს ქვეყნის ისტორიის შესწავლაში. ხერსონის მუზეუმის დამაარსებელს, ვიქტორ გომპევიჩისადმი გაგზავნილ წერილში იგი სამართლიანად წერდა: „ვინც სათანადოდ ვერ შეიგნებს თავისი წინაპრების კულტურულ მემკვიდრეობას, ის მათი არაღირსეული მემკვიდრეა, – შემთხვევითი რგოლია ცოცხალ არსებათა ჯაჭვში, ცუდი მეგზურია“ (კვიციანი 1996: 18). კირიონ II-ს სავსებით მართებულად მიაჩნდა, რომ უძველესი ნაშთები არამარტო წარსულის გაცოცხლებაა, არამედ ეროვნული სიამაყის დასტურიცაა. „ისევე, როგორც, – წერდა იგი ხერსონის მუზეუმის დირექტორს – შეუძლებელია, ანბანის გარეშე ისწავლო კითხვა, ასევე მშობლიური სიძველის ცოდნისა და წინაპრების ანდერძის გარეშე შეუძლებელია ჩანვდე წარსულს, გაიგო ანმყო და შეგნებულად იმუშაო მომავალი ნაციონალურ-კულტურული საქმიანობისათვის“ (ლომინაძე 1975:). გარდა ზემოხსენებულისა, კირიონ პატრიარქს ხელახლა გადაუმუშავებია ანტონ დიდის, აბო თბილელის, დავით მესამე კურაპალატის, სტეფანე ხირსელის ცხოვრებანი, ხოლო წმინდა აბო თბილელისთვის საგანგებოდ შეუქმნია პარაკლისი. ეს პარაკლისი, ძირითადად, რუსული ეკლესიის წიაღში დამკვიდრებული პარაკლისების მსგავსად არის შეთხზული და, ცხადია, ძალი-

ან ახლოს დგას იოანე საბანისძის ძეგლთან, თუმცა დამოუკიდებელ კვლევას საჭიროებს.

კირიონის თანამოაზრე და მხარდამჭერი გახლდათ ამბროსი ხელაიაც. რთული და განსაცდელებით აღსავსე გზა, ცრუბრალდებით გადასახლება თუ ლიბერალურ-კომპრომისულად განწყობილი საეკლესიო რეფორმატორების ქიშპობა ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე შექმნილ თხზულებებში აისახა. პატრიარქმა ცხოვრების მძიმე გზა განვლო.

1897 წელს, 36 წლის ასაკში, მამა ამბროსი ყაზანის სასულიერო აკადემიაში ჩაირიცხა. სწავლის დროს ბერად აღიკვეცა. დაწერა დისერტაცია თემაზე: „ქრისტიანობის ბრძოლა ისლამთან საქართველოში“. 1904 წელს არქიმანდრიტი ამბროსი თბილისში სინოდური კანტორის წევრად და ფერისცვალების მონასტრის წინამღვრად დაინიშნა. იგი იბრძოდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის. ამისთვის 1905 წელს რუსეთში გადასახლეს, 1908 წელს – ახალი ბრალდება წაუყენეს, თითქოს ეგზარქოს ნიკონის სიკვდილში მიეღოს მონაწილეობა. 1911 წელს გაამართლეს, მაგრამ საქართველოში ჩამოსვლის უფლება მაინც არ მისცეს. გადის წლები და ყოველი მისი თხოვნა დაბრუნებაზე უპასუხოდ რჩება. ამასობაში საქართველოში ვრცელდება ხმები, რომ ამბროსი ხელაია მატერიალურად კარგად არის უზრუნველყოფილი და უბრალოდ არ უნდა დაბრუნება. ამაზე გულისტკივილით წერს თავის წერილში: „ჩემი ექსორიანი“: **„ზოგიერთნი მთვლიან მე ბედნიერად, რომ მოვმორდი საქართველოს და ვითომ მატერიალურად კარგად მოვეწყვე. ამ წერილის დამწერთ ალბათ ჯერ არ გამოუცდიათ მარტოობა სულისა, – არ გამოუცდიათ ის სიმწვავე, რასაც განიცდის სამშობლოდან გადახვენილი, თუ კი გადაგვარების გზაზე არ არის დამდგარი და გული შესტკივა სამშობლოს მდგომარეობაზე“** (http://kotealibegashvili.blogspot.com/2015/01/blog-post_46.html).

1917 წელს წმიდანის საქართველოში ბრუნდება. მას ჯერ ჭყონდიდის, შემდეგ კი ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტად აკურთხებენ. 1921 წლის 14 ოქტომბერს მიტროპოლიტი ამბროსი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად აირჩიეს. პატრიარქი თავდაუზოგავად ცდილობდა გასაბჭოებულის საქართველოს მესვეურთაგან ეკლესიის დევნის, ქართული ენის უფლებების შეზღუდვისა და ისტორიული მინების სხვათა განკარგულებაში გადაცემის პრო-

ცესის შენინააღმდეგებას, ამ მიზნით აგზავნის დოკუმენტებს ხელისუფლების სხვადასხვა ინსტანციაში, თუმცა უშედეგოდ. ცნობილია მისი ქმედითი ნაბიჯები საერთაშორისო ასპარეზზე, 1922 წელს აგზავნის მოწოდებას გენუის საერთაშორისო კონფერენციაზე. „ერს უგმობენ და ართმევენ მშობლიურ ენას, უბილწავენ ეროვნულ კულტურას, დასასრულს, მას უბლაღავენ წმიდათაწმიდას, სარწმუნოებრივ გრძნობას“, – ამბობს კათოლიკოსი მემორანდუმში და ქართველი ერის სახელით საქართველოდან ნითელი ჯარის გაყვანასა და რეფერენდუმის მოწყობას ითხოვს (http://kotealibegashvili.blogspot.com/2015/01/blog-post_46.html). გენუის კონფერენციაზე გაგზავნილ მიმართვას თავად პატრიარქისთვის მძიმე შედეგები მოუტანია, თუმცა გარკვეული ნაწილი არც ამართლებდა კათალიკოსის ნაბიჯს. კონფერენციის ძირითადი მიზანი იყო ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ეკონომიკური აღდგენის საშუალების გამოძებნა. სინამდვილეში ის მიზნად ისახავდა, დაებრუნებინა ნედლეულით მდიდარი რუსეთი საერთაშორისო ბაზარზე, ასევე საბჭოთა რუსეთის მთავრობისთვის მოეთხოვა მეფის რუსეთის ვალები. ამიტომ საქართველოს გამო ისინი რუსეთს არ დაუპირისპირდნენ. პატრიარქის მიმართვა პოლიტიკური რეაგირების გარეშე დარჩა, თუმცა გაძლიერდა მისი დევნა.

კათალიკოს-პატრიარქსა და საკათალიკოსო საბჭოს 9 წევრს აპატიმრებენ. ბრალდება ოთხია: კონფერენციისადმი მემორანდუმის გაგზავნა, ეკლესია-მონასტრებში დაცული საგანძურის გადამალვა, საეკლესიო ქონების სააღრიცხვო წიგნების არასწორი წარმოება და სამხედრო ტაძრის (რომელიც დღევანდელი მთავრობის სასახლის ტერიტორიაზე იყო) კომკავშირისადმი გადაცემის პროცედურაში საპატრიარქოს წამომადგენლის გამოუცხადებლობა.

ამბროსი ხელაიას თხზულებათაგან მრავალმხრივ საინტერესოა „მოგზაურობა“. მნიშვნელოვანია, რომ ამბროსი ხელაია მხოლოდ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ დაკვირვებებს არ აწარმოებს, მას აინტერესებს არა მხოლოდ სიძველენი, რამედ საქართველოს ეკლესიის ისტორიის თეორიული განხილვა. ის ხედავს ეკლესიის როლს საზოგადოებრივ ცხოვრებაში და აფასებს ეკლესიის ფუნქციას განსაკუთრებით მაჰმადიანთა შემოსევათა ფონზე. და მუსლიმი აგრესორებზე საუბრისასაც კი არ ივიწყებს ერთმორწმუნე რუსეთის დამანგრეველ პოლიტიკას: „საქართველოს ეკლესია არ

წარმოადგენდა ლეშს, რომელიც იხრწნებოდა, არ წააგავდა ავაზა-კთაგან დაწყლულეზულს, რომელსაც ვითომ მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს გამოუჩნდა მონყალე სამარიტელი“... (http://kotealibegashvili.blogspot.com/2015/01/blog-post_46.html) ფასდაუდებელია ჭელიშური ოთხთავისა და მოქცევის ჭელიშური რედაქციის ამბროსისეული აღწერა და კვლევა. რაც შეეხება საკანდიდატო ნაშრომს „ქრისტიანობის ბრძოლა საქართველოში“ ეს სადისერტაციო თემა ერთგვარი შეჯამებაა თანადროული რუსული, ქართული, ევროპული სამეცნიერო ლიტერატურისა და ისტორიულ-აგიოგრაფიული ძეგლების საუცხოო გამოყენება კვლევაში. ამავე დროს, კათალიკოსი მწყობრად მიმოიხილავს ქართულ ენაზე დაცულ ანტიმაჰმადიანურ პოლემიკას და მასშტაბურ სურათსაც ცდებს.

1922 წელს ამბროსი დააპატიმრეა „ჩეკა“-მ და 1924 წლის დამლევამდე იმყოფებოდა მეტეხის ციხეში. მას ეკუთვნის პატიმრობის დროს წარმოთქმული ცნობილი სიტყვები: „ჩემი სული ღმერთს ეკუთვნის, ჩემი გული სამშობლოს, ჩემი გვამი კი თქვენთვის დამითმია, მტარვალეზო!“ (http://kotealibegashvili.blogspot.com/2015/01/blog-post_46.html).

ღამონამუხანი:

აბარამიშვილი 1917: აბარამიშვილი ე. კირიონის პირადი საარქივო ფონდი. მრავალთავი, ტ.1. თბილისი: 1917.

კვიციანი 1996: კვიციანი ნ. *ეპისკოპოსკირიონ II წვლილიქართულიკულტურისდაცვა-აღორძინების საქმეში [კირიონ II-ის (გიორგი საძაგლიშვილი) მოკლებიოგრაფია. მისი ღვაწლი ქართული კულტურის დაცვა-აღორძინებისათვის ბრძოლაში].* კულტურის ისტორიის საკითხები, № II. 1996.

კიკნაძე 2002: კიკნაძე ვ. *კათალიკოს-პატრიარქ კირიონ II-ის ურთიერთობა დასავლეთ ევროპის საერო და საეკლესიო მოღვაწეებთან [მისი ეპისტოლარული მემკვიდრეობის მიხედვით].* საისტორიო შტუდიები, № III, 2002.

კიკნაძე 2002: კიკნაძე ვ. *საკაცობრიო და ფილოსოფიური პრობლემატიკა კირიონ II-ის შემოქმედებაში: საეკლესიო მოღვაწის რამდენიმე ნაკლებად ცნობილი სამეცნიერო ნაშრომის მიხედვით.* გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული. № 2. გორი: 2002.

კიკნაძე 2005: კიკნაძე ვ. *კირიონ II-სა და ვასილ როზანოვის ურთიერთობის ისტორიიდან [მოყვანილია ფრაგმენტები რუსი ფილოსოფოსის წერილებიდან კირიონისადმი].* კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები. № XXI. 2005.

ლომინაძე 1975: ლომინაძე ბ. *ქართული საბჭოთა ენციკლოპედია.* ტ. 1. თბილისი: 1975.

მაჭარაშვილი 2004: მაჭარაშვილი გ. კირიონის კრიტიკული შენიშვნები თამარაშვილის პირველ მონოგრაფიაზე. გაანალიზებულია ცსს-ში კირიონის პირად საარქივო ფონდში დაცული საბუთები, რომელშიც გაკრიტიკებულია 1902 წელს გამოცემული „ისტორია კათოლიკობისა...“. ლიტერატურა და ხელოვნება, №VI. 2004.

მეტრეველი 2000: საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები (რ. მეტრეველის რედაქციით). თბილისი: „ნეკერი“, 2000.

პავლიაშვილი 2005: პავლიაშვილი ქ. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი კირიონ II: ცხოვრება და ღვანლი ეროვნული ეკლესიის განთავისუფლების საქმეში. კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები, №XXI. 2005.

მეცნიერულ-კულტურული საქმიანობა გადასახლების წლებში. მისი პოლემიკური ნაშრომის „ივერიის კულტურული როლი რუსეთი სისტორიაში“ (1910 წ.) – მოკლე მიმოხილვა]. პრომეთე, № XI-XII. 2002.

სანიკიძე 2001: სანიკიძე ლ. ეპისკოპოსი კირიონი და საქართველოს სიძველენი (პრესის მასალის მიხედვით) [საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კირიონ II-ის (1855-1918) კულტურული საქმიანობა და ლიტერატურულ-ისტორიული კვლევა-ძიება გაზეთ „ივერიის“ ფურცლებზე]. თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის შრომები. თბილისი: 2001, №10.

საპატრიარქოს უწყებანი 2000: სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი კირიონ II. საპატრიარქოს უწყებანი, №22 (73). 2000.

<http://www.orthodoxy.ge/biografiebi/kirion2/kirion2.htm>

http://kotealibegashvili.blogspot.com/2015/01/blog-post_46.html

RUSUDAN CHOLOKASHVILI

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Georgian Folk Poetry and Folkloristics of the Soviet Period

People's predisposition and difficulties caused by the system should be reflected in the folklore, but on the background of universal fear, it did not happen. For today only the samples worshipping the Soviet System and the leaders of the system are preserved. Mainly the press papers preserved the weak but full of pathetic inspiration poetry written by the narrative authors.

These systems were not spread in public and in newspapers it was systematically printed for propaganda. This position of folklorists had some justification, since the authorities were demanding from the representatives of all spheres to establish loyalty and support for maintaining power.

Key words: soviet period, georgia's folk poetry, folkloristics.

რუსუდან ჩოლოყაშვილი

საქართველო, თბილისი

მოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

საბჭოური პერიოდის ქართული ხალხური პოეზია და ფოლკლორისტიკა

რევოლუციონერებმა მას შემდეგ, რაც რუსეთში ხელმწიფე დაამხეს (1917 წ.), მის მთელ იმპერიაში კომუნისტებმა ფრთები გაშალეს – თავადაზნაურობა აანიოკეს და მათი ქონება დაიტაცეს. ამით გახარებულ ქვეყნის გაჭირვებულ ფენას იმედი ჩაესახა, რადგან არწმუნებდნენ, რომ ეს დიდი ძვრები ხალხის სასიკეთოდ ხდებოდა და ლატაკთა სიდუხჭირეს ნაადგებოდა. სინამდვილეში კი დაირღვა ქვეყნის განვითარების ისტორიულად კანონზომიერი მიმართულება – მეურნეობის წარმოება მოექცა ხელოვნურად შექმნილ არტახებში და საზოგადოების წევრებს შორის დაინგრა ურთიერთობის ტრადიციული წესი. საბოლოო ჯამში ყოველივე ამან მიიღო ძალადობრივი სახე, რაც საყოველთაო რეპრესიებში (დაჭერები, გადასახლებები, დახვრეტები) გადაიზარდა რუსეთის იმპერიის ყველა ქვეყანაში. ე.ი. ძალადობით მოსულმა ხელისუფლებამ ძალადობითვე გააგრძელა ქვეყნის მართვა.

მაღე ყველამ გაიაზრა, ქვეყანა არასწორი კურსით რომ მიექანებოდა, ამას ისინიც კი მიხვდნენ, ვინც თავიდან იმედით შესცქეროდა მომავალს. ეს უიმედობა და კრიტიკული აზრი უკვე სახიფათო გახდა ხელისუფლებისათვის და აგიტაცია-პროპაგანდის გზით შეეცადა მის გადაფარვას. ამისათვის მხოლოდ ლოზუნგები და დირექტივები არ იყო საკმარისი და სავალდებულო გახდა, ხელოვნების ყველა სფეროს წარმომადგენლნი ჩართულიყვნენ ამ საქმეში. ე.ი. ყოველი შემოქმედი, მიუხედავად იმისა, გულის სიღრმეში რას ფიქრობდა, ვალდებული გახდა ხალხისათვის თვალეში

ნაცარი შეეყარა და ქება-დიდების კორიანტელში გაეხვია ყველა და ყველაფერი, რაც ქვეყანაში ხდებოდა და ვინც იყვნენ ამ „სიკეთის“ შემოქმედნი. ურჩები და ურჩობაში ეჭვმიტანილნი კი სასტიკად ისჯებოდნენ. ეს ეხებოდა არა მხოლოდ ხელოვანთ, არამედ ყველა სფეროში დასაქმებულ ადამიანებს.

საქართველოსათვის ეს პერიოდი ორმაგად მტკივნეული იყო და, შესაბამისად, ორმაგად უარყოფითი დატვირთვის მატარებელი, რადგანაც ყოველივე ზემოთ ნათქვამს დაერთო მთავარი – რუსეთის საუკუნოვანი ბატონობისაგან სამი წლის წინ თავდახსნილმა ქვეყანამ 1921 წ. 25 თებერვალს კვლავ დაკარგა დამოუკიდებლობა, დამარცხდა რა კომუნისტური რუსეთის მე-11 არიასთან უთანას-ნორო ბრძოლაში.

ხალხის მაჯისცემის ამსახველ ზეპირსიტყვიერებაში ეს სირთულეები უნდა ასახულიყო, მაგრამ საყოველთაო შიშისაგან ფონზე, ასე არ მომხდარა. დღეისათვის ამ პერიოდის მხოლოდ ის ნიმუშები გვაქვს, რომლებიც ხოტბას ასხამს სოციალისტურ სისტემას, საბჭოთა კავშირს, მის ბელადებს, წარმატებებსა და ნათელ მომავალს. ფოლკლორულმა ნაწარმოებმა, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა, ასი წელი მაინც უნდა გაძლოს ზეპირ ბრუნვაში, ჩვენ კი მხოლოდ პრესის ფურცლებმა შემოგვინახა ავტორმთქმელების დანერილი მხატვრული თვალსაზრისით არცთუ ღირებული ლექსები. ე.ი. საბჭოთა კავშირის მთელი არსებობის მანძილზე ხალხური პოეზიაც, ხელოვნების ყველა სხვა სფეროსთან ერთად, პოლიტიკური კონიუნქტურის გათვალისწინებით იქმნებოდა და ერთპარტიული იდეოლოგიის მატარებელი იყო. ამდენად ამ ეპოქაში მთელ მრავალფეროვან ქვეყანას, მის ყოველ მოქალაქეს კომუნისტური მრწამსით უნდა ეცხოვრა. ამ სასურველი შედეგის მისაღწევად საბჭოთა მთავრობისა და კომუნისტური პარტიის მიერ შემოქმედებითი ორგანიზაციებისათვის სამოქმედო დირექტივები უკვე ოციანი წლებიდან მოყოლებული გაიცემოდა. 1925 წ. მიღებულ რეზოლუციაში მითითებული იყო, რომ მასობრივი კულტურული ზრდის ნაწილს წარმოადგენდა ლიტერატურული შემოქმედების ისეთი ჩანასახოვანი ფორმების ჩამოყალიბება, როგორცაა: მუშკომები, გლეხკომები, კედლის გაზეთები და სხვა. ამას კი უშუალო კავშირი ჰქონდა ფოლკლორულ შემოქმედებასთან მასში ფართო

მასების ჩაბმის გამო (ჩიქოვანი 1973: 8). შედეგმაც არ დააყოვნა – ხელისუფლების, კომუნისტური პარტიის ყრილობებმა, ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებმა, 1934 წ. მოსკოვში ჩატარებულმა მწერალთა I საკავშირო ყრილობამ ხელი შეუწყო და სტიმული მისცა მეტნაკლებად ნიჭიერი ადამიანების გააქტიურებას. ამგვარმა რეალობამ კი ხალხური ლექსი აქცია პოლიტიკის ნაწილად (ცხადაია 2014: 237).

საქართველოში ამ საქმიანობის ავანგარდს წარმოადგენდა საქართველოს მწერალთა კავშირი, რომელიც ხელმძღვანელობდა ამ კავშირის პარტიული ორგანიზაციის (შეიქმნა 1937 წ.) დადგენილებით. შესაბამისად ამ ქვეყანაში ხალხური პოეზიის, როგორც მთლიანად ხელოვნების ყველა სფეროს უმთავრესი დანიშნულება უნდა ყოფილიყო აგიტაცია და პროპაგანდა იმ სიკეთისა, რასაც ხელისუფლება ჰპირდებოდა ხალხს, ე.ი. მისთვის უნდა ჩაენერგა უკეთესი მომავლის იმედი. ამ მიზნის მისაღწევად ხალხური პოეზიის მნიშვნელობა განსაკუთრებული იყო. მიუხედავად იმისა, რომ ეს ტექსტები საზოგადოებაში ვერ იკიდებდა ფეხს, სამაგიეროდ ხალხში პრესის საშუალებით ვრცელდებოდა და ამგვარად იყო მისანვდომი მასებისათვის.

სახელდახელოდ და ერთპიროვნულად შექმნილი ე.წ. ხალხური ლექსები მხატვრული თვალსაზრისით იყო საკმაოდ სუსტი, თუმცა – პათეტიკით გაჟღენთილი. მაგალითად, ომის პერიოდის ხალხურ პოეზიასთან დაკავშირებით ელ. ვირსალაძე აღნიშნავდა, რომ ზოგჯერ მათ არ აქვთ „ჯერ გამომუშავებული ჭეშმარიტი ხალხური ლექსის სისადავე, დახვეწილობა და ლაკონურობა“ (ვირსალაძე 1973:133). უფროსი თაობის კოლეგების გადმოცემით ცნობილია, რომ ხალხურ მელექსეებს პროფესიონალი პოეტები ეშველებოდნენ და ხალხური პოეტიკის გათვალისწინებით ისინიც წერდნენ „ხალხურ“ ლექსებს.

საბჭოეთის პირველი ათწლეულისა და სამამულო ომის პერიოდში შექმნილ ლექსებში გულწრფელობა მეტი იყო, შემდგომში კი მელექსეებმა, ეძლეოდათ რა დიდი სტიმული მათი ლექსების პრესაში გამოქვეყნებით, ხელობად იქციეს სახობტო ხასიათის ლექსების წერა. ყოველივე ეს განაპირობებდა ფოლკლორში ინდივიდუალური შემოქმედების როლის ზრდას, რაც ამ ნაწარმოებთა ხალხურობას სათუოს ხდიდა. მიუხედავად ამისა, პარტია და ხელისუფლება

ითხოვდა რა მათ მოღვაწეობას, ხოტბა შესხმოდა, ფოლკლორ-ისტებსაც უხდებოდათ დათმობაზე წასვლა და პოეზიის ამ ნიმუშებს ხალხურად მოიხსენიებდნენ. XX საუკუნის 80-იან წლებში კი უკვე ქართველებთან ერთად რუსი ფოლკლორისტიებიც მიუთითებდნენ, რომ 30-40-იან წლებში ყალბი და მხატვრულად უსუსური ცრუხალხური ნაწარმოებები ფოლკლორად სალდებოდა (ანიკინი ... 1983: 353).

ქვეყანაში, სადაც პირველი ათწლეულების მანძილზე ხალხს შიშიანობის განცდის ქვეშ უხდებოდა ცხოვრება, შემდგომ კი ეკონომიკის გაუმართლებელი პოლიტიკის გამო შეიქმნა პირველადი მოთხოვნილების საგნებზეც კი დეფიციტი და უპერსპექტივობის განცდა, აღმაფრენის გამომხატველი ეპითეტებით შემკული ლექსების სიყალბეს ყველა გრძნობდა, თუმცა არ იმჩნევდა. ამ ლექსებში მთქმელები ცდილობდნენ, რომ გადმოეცათ საზეიმო განწყობა, მშრომელთა აღმაფრენა, სოციალისტური სამშობლოს სიყვარული, ერთაძმობა, შრომაში თავდადების, მიწის რეფორმის, ინდუსტრიალიზაციის, მექანიზაციის, კოლექტივიზაციის, მუშათა და გლეხთა ერთობის სიკეთე. ეს ლექსები უმღეროდა შრომისა და II სამამულო ომის გმირებს, საბჭოთა არმიას, რაც მთავარია სოციალისტური სამშობლოს ბელადებს: ლენინსა და სტალინს,¹ სსრკ-ის დედაქალაქს – მოსკოვს, ქვეყნის კონსტიტუციას, კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა ადამიანის მაღალ მორალს და საერთოდ, წარმატებულ და აყვავებულ ქვეყანას.

ამ ტიპის ლექსების ორიოდ მაგალითს აქ მოვიტან:

კომუნისტების ხელშიო
ქე გავიმართე წელშიო:
სიმინდს რევეკომში მაძლევენ,
შეშას – ასლანის ტყეშიო.
(ჩიქოვანი 1973: 27)

ქვეყნის კონსტიტუციაზე კი ნათქვამია:

ნიგნი კი არა, ოქრო ხარ,
მზის შუქით განათებული;

¹ სტალინის სიცოცხლეში მხოლოდ საქართველოში მისი ხოტბის შემსხმელი ლექსების რამდენიმე კრებული გამოვიდა (1939, 1940, 1944, 1949 წწ.), სადაც სოლიდური ადგილი ხალხურ ლექსებსაც ეკუთვნის (ცხადაძე 2014:239-245).

კრემლში გაზრდილი ვარდი ხარ
ათასად აყვავებული.
(სიხარულიძე 1973: 116)

ხალხურ ლექსებში ქვეყნის ბელადი სტალინი მოიხსენიებოდა, როგორც დიდი სამშობლოს დიდი მზე, მზეთა მზე, მსოფლიოს მანათობელი...

პარტიისა და ხელისუფლების მიერ მხატვრული სიტყვის ოსტატებისათვის, როგორც ლიტერატურაში, ასევე ფოლკლორში დასახული ამოცანების შესაბამისად იქმნებოდა სრულქმნილი სახე მისაბაძი საბჭოთა ადამიანისა (სიხარულიძე 1973: 165).

ყოველივე აქ ჩამოთვლილთა სიდიადის გამოსახატავად გამოიყენებოდა საგანგებოდ შერჩეული ჰიპერბოლები, მეტაფორები, ეპითეტები, შედარებები, რიტორიკული გამოთქმები, რომელნიც არც თუ იშვიათად ლექსიდან ლექსში გადადიოდა. თ. ოქროშიძე ზუსტად განსაზღვრავს ამ პერიოდის ხალხური შემოქმედების დანიშნულებას: მისი „ძირითადი თავისებურება, ისევე როგორც საერთოდ საბჭოთა ხელოვნებისა, არსებული სინამდვილის განმტკიცებისათვის აქტიურ ბრძოლაში გამოიხატება – აჩვენებს სოციალისტური წყობის უპირატესობას... საბჭოთა მასობრივი სიმღერა ხდება სოციალისტური იდეოლოგიის მქადაგებელი მასებში“ (ოქროშიძე 1973: 80-81). ამ ტიპის ლექსების შესაქმნელად პოეტური ნიჭით დაჯილდოებულ ადამიანებს მივლინებებით გზავნიდნენ შუა აზიაში, კავკასიაში ახალ მშენებლობებზე, რათა შეექმნათ ახალი ნაწარმოებები სოციალისტურ გარდაქმნებზე (ბარდაველიძე 1986: 260). ე.ი. საბჭოთა სახელმწიფოს მთელი არსებობის მანძილზე ხალხური პოეზიის ნიმუშები ქვეყანაში განვითარებული მოვლენების თანადროულად იქმნებოდა იმაზე ხაზგასმით, რომ წარსული იყო ბნელი და დრომოჭმული, ანმყო კი ნათელი და ბედნიერი.

რასაკვირველია, იმ პერიოდის ხალხურ პოეზიაში, რომელიც აგიტაციის მიზნით არ იყო შექმნილი, ქვეყანაში არსებული რეალობის ამსახველი უარყოფითი ნოტებიც გაისმოდა, რომელთა დაფიქსირებაც მაშინ წარმოუდგენელი იყო. დღეისათვის შემოგვრჩა მათი მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი და ისინი მხოლოდ 21-ე საუკუნეში გახდა ცნობილი, შემოგვინახეს რა განსაკუთრებუ-

ლი მახსოვრობის მქონე ადამიანებმა. მაგალითად, ვლადიმერ ჯაფარიძის მოგონებაში ვკითხულობთ:

თვითგამორკვევა ერების
ლოზუნგად ჰქონდათ ქცეული,
საქმით კი ყველა გასრისეს,
ვინც ნახეს გამორკვეული.
(ჩოლოყაშვილი ... 2010: 28)

ეს ლექსი საქართველოს თავისუფლების დაკარგვასთან დაკავშირებით იყო ნათქვამი. ქვეყნის გასაბჭოების წინააღმდეგ მებრძოლ გმირებზე კი ნათქვამია:

ველად გაჭრილა ქაქუცა
ჩოლოყაშვილის გვარისა.
გვერდში ჰყავთ ბევრი ვაჟკაცი
მტრის დამყენები თვალისა.
არ ეშინიათ სიკვდილის,
თავი აქვთ გადადებული,
სურთ საქართველო დაიხსნან
ურდოთგან აოხრებული.
(ჩოლოყაშვილი ... 2010: 68)

ლიტერატორი ლევან ბრეგაძე კი სხვა ხალხურ ლექსებთან ერთად იხსენებს სტალინის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ნათქვამ ორაზროვან სტრიქონებს:

დედამ ჩაი დამისხა ლიმონიანი,
ძია სტალინს მიენიოს მიქოიანი.
(ჩოლოყაშვილი ... 2010: 254)

ფაქტია, რომ ამ ლექსში სტალინი თუ არა, მისი თანამებრძოლი უარყოფით კონტექსტში მოხსენიებული. მაშინ, როდესაც სტალინის გარდაცვალებით გამოწვეული გლოვა იყო მთელი საბჭოეთის ქვეყნებში, ხალხში ამ ტიპის ლექსის არსებობა საზოგადოების საღ აზროვნებაზე მიუთითებს. საყოველთაო შიშინანობის გამო, ამ ტიპის ლექსების არათუ ჩანერა, გამეორებაც კი მაშინ სარისკო იყო.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საბჭოთა პერიოდშიც გამოქვეყნებულია თითო-ოროლა ჭეშმარიტად ხალხური ნაწარმოები, მაგრამ იდეურად შეცვლილი და დამახინჯებული, რადგანაც საბჭოეთის ქვეყნებში დანესდა სასტიკი ცენზურა, რაც კომუნისტების მმართველობის მთელ პერიოდში გრძელდებოდა. ის შეეხო ხელოვნების ყველა სფეროს. ფოლკლორული ნაწარმოების ცენზურის ქარცეცხლში გატარების ფაქტის დასტურად გამოდგება მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ბ. რაჭველიშვილის ერთი მოგონება: მამამისი – ქრისტეფორე რაჭველიშვილი, ცნობილი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე (დახვრიტეს 1937 წ.) მუშაობდა გამოცემლობაში „საუნჯე ხალხური სიტყვიერებისა“. ერთხელ მან დასაბუქდად ვიზა მისცა ხევსური ხევისბერის ნათქვამ არაჩვეულებრივ ლექსს, რომელიც საქართველოს ისტორიას მოგვითხრობდა, და სადაც შექებულნი იყვნენ: დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, ერეკლე II... ბოლოს კი კომუნისტების წინააღმდეგ 1924 წ. მებრძოლ გმირ ქაქუცა ჩოლოყაშვილზე ნათქვამი იყო:

შემდეგჩი ჩოლოყაშვილი – კომუნისტების მტერიო,
ის საზღვარგარეთ გაიქცა, ის გაძვრა როგორც გველიო.

ე.ი. გასრიალდა და მოხერხებულად დაუძვრა მდევარსო. მერე კი შექებული იყო ჩოლოყაშვილის რაზმელი დათვია და ა.შ. ბოლოს ჩეკისტ კერვალიშვილზე ეწერა:

მოსტყუედი, კერვალიშვილო, ჩექმას ვერ გვარობს კლდენიო,
ცხელ რკინას როგორ დაიჭერს, არ ეკარება ხელიო (აქ ჩექმაში რუსული ჩექმა იგულისხმება).

ცენზურამ კი ეს ლექსი ასე გადააკეთა:

შემდეგში ჩოლოყაშვილი – ქართველი ხალხის მტერიო.
ის საზღვარგარეთ წავიდა, გაიქცა როგორც გველიო.
(ჩოლოყაშვილი ... 2010: 54)

კერვალიშვილთან დაკავშირებულ სიტყვებს, რასაკვირველია, საერთოდ ამოიღებდნენ. ასეთი იყო კომუნისტური ცენზურა.

აგიტაცია – პროპაგანდაში მხოლოდ სიახლისა და საუკეთესო მომავლის ხობტა არ იგულისხმებოდა, ის რევოლუციური იდეოლო-

გის მქადაგებელიც უნდა ყოფილიყო და ყოველივე ადრინდელი უნდა გაეკრიტიკებინა, ხალხის მახსოვრობიდან საბოლოოდ, რომ ამოშლილიყო. ეს ეხებოდათ: მენშევიკებს, კულაკებს და, რა თქმა უნდა, სასულიერო პირებს.¹ ე.ი. სოციალისტურ სისტემის, კომუნისტური პარტიისა და მისი ბელადების ხოტბის პარალელურად საბჭოეთის ქვეყნებში ფართოდ გაიშალა ყველა აქ ჩამოთვლილთა გამარჯება და გაკიცხვა.

მენშევიკებთან დაკავშირებით ამბობდნენ:

ჟორდანია რომ გაიქცა,
თავი მისცა გემშიო:
– თუ მიკითხონ, მე ვიქნები
– საფრანგეთის თემშიო.
(ჩიქოვანი 1982: 6)

კულაკებზე ნათქვამია:

მალლიდანა მოვდიოდი,
ფეხი დავკარ სინაზე,
კოლექტივი არ იშლება
კულაკების ჯინაზე.
(ღლონტი 1941: 157)

II სამამულო ომის პერიოდთან კი დაკავშირებულია ეს ლექსი:

ჰიტლერი წევს და ოცნებობს:
თავი მოსკოვში ჰგონია,
ლაფში ჩაფლული ტანკები
გამარჯვებული ჰგონია.
(ჩიქოვანი 1982: 7)

მოგვიანებით უკვე თანამედროვე ყოფის მიმართაც გაისმა აქა-იქ კრიტიკული მოტივები, ასე ვთქვათ, თავისუფალი ნების გამოხატვის საშუალებაც გაჩნდა, თუმცა, რასაკვირველია, ნორმის ფარგლებში. მაგალითად:

¹ მეფისა და თავად-აზნაურთა დამცირების ფაქტები ქართულმა სიტყვიერებამ არ იცის, პირიქით აქ მათ განადიდებდნენ. ისინი ხომ საერთო მტრის წინააღმდეგ მუდამ გლეხების მხარისხარ იბრძოდნენ.

ჩვენი სოფლის მაღაზია
ლამაზია, მაღალზეა,
შიგ არაფერი არ არის,
მაღაზია რაღაზეა?!

(ჩიქოვანი 1982: 9)

კოლმეურნეობის თავმჯდომარეც კი არის გაკრიტიკებული:
მე ვემდური ხელმძღვანელსა,
ჩემი ცოდვითაც გავსილსა.

(ჩიქოვანი 1982: 14)

ლიტერატორ ლ. ბრეგაძის მახსოვრობას შემორჩენილმა ორი-
ოდე ლექსმა კი დღის სინათლე მხოლოდ ბოლო წლებში იხილა.
თურმე ირონიით სავსე ამ ლექსს 20-იან წლებში ბეზიამისი
მღეროდა:

ჩემი შვილი მემწვანოილედ მინდოდა,
„ტაჩკის“ გვერდით გავიდ-გამოვიდოდა,
შევცდი, შევიყვანე სკოლაში,
ჩაწერილა თურმე კამსამოლაში.

(ჩოლოყაშვილი 2010: 253)

ბავშვობიდან ახსოვს, აგრეთვე, 50-იან წლებში გაგონილი:

გაუმარჯოს ხრუშოვს,
ახალ კანონს უშობს.

(ჩოლოყაშვილი 2010: 253)

აქაც ხალხის ირონიულ დამოკიდებულებას ხედავს ლ. ბრეგაძე
ხრუშჩოვის რაღაც რეფორმატორული „მოღვაწეობის“ მიმართ.

ამ პერიოდში ყველაზე მძლავრად ანტირელიგიური კამპანია
გაიშალა. მას უნდა ჩანაცვლებოდა მარქსიზმ-ლენინიზმი, ღმერთს
კი – ბელადები. ჩვენს ქვეყანაში უდიდესი მუშაობა ჩატარდა რე-
ლიგიურ იდეოლოგიის სალიკვიდაციოდ, ცრურწმენებისა და ცრუ-
წარმოდგენების აღმოსაფხვრელად. სკკპ ცენტრალური კომიტეტის
დადგენილებათა საფუძველზე მიმდინარეობდა მუშაობა მო-
სახლეობაში მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდის გაძლიერების
თაობაზე“ (შამანაძე 1980: 3). რასაკვირველია, საქართველოს კპ

ცენტრალური კომიტეტიც ჩართული იყო ამ საქმიანობაში. ანტი-რელიგიური ლექსებიც ამ დადგენილების გამოძახილი იყო. ამავე მიზნით შეიქმნა უღმერთოთა საზოგადოება ყოველგვარი სარწმუნოებრივი მრწამსის აღმოსაფხვრელად; ანგრევდნენ და არბევდნენ ეკლესიებს, იყენებდნენ მათ არადანიშნულების მიხედვით; კრეჭდნენ, ატუსაღებდნენ სასულიერო პირებს. პროპაგანდისტულმა ზეპირსიტყვიერებამ, რასაკვირველია, ამ მოძრაობასაც აუბამხარი. შესაბამისად, სსრკ-ის არსებობის პირველ ათწლეულებში ღვთისმსახურთა ცხოვრება და მოღვაწეობა ხალხურ პოეზიაში სატირისა და იუმორის ობიექტს წარმოადგენდა. მაგალითად:

სულ სხვანაირ ხმაზე გალობს
დასაქცევი ჩვენი მღვდელი,
ეხლა წვერი შეუმოკლდა,
ნიკალას¹ დროს ჰქონდა გრძელი.
(ოქროპირიძე 1973: 87)

მის მსუნაგობაზე ნათქვამია:

ჩვენი მღვდელი – სულის მტერი
სასუსნავი ტაბლის მტერი,
სანამ კორკოტს აკურთხებდა,
მანამ მოისვარა წვერი.
(შამანაძე 1975: 89)

ის უზნეოდაც არის გამოყვანილი:

ჩვენ რომ საყდარში გვეგონა,
ქალებში დაიარება.
(შამანაძე 1975: 70)

ყოველივე ამის მიუხედავად კომუნისტებმა ეკლესიისა და ღვთისმსახურთა მიმართ რიდი და თაყვანისცემა ხალხში ვერ აღმოფხვრეს.

რელიგიური იდეოლოგიის სალიკვიდაციო, ცრურწმენებისა და ცრუნარმოდგენების წინააღმდეგ გაჩაღებულ საყოველთაო

1 იგულისხმება რუსეთის უკანასკნელი მეფე – ნიკოლოზ II.

ბრძოლასთან ერთად 70-იან წლებში წარსულის სხვა „გადმონაშთებსაც“ დაუპირისპირდა ხელისუფლება პარტიულ დონეზე – აქ უკვე ყოფაში დამკვიდრებული ადათ-წესები იგულისხმებოდა. ამ საკითხთან დაკავშირებით სკკპ XXIV ყრილობის მასალებში იყო მითითება, რომ საბჭოთა ადამიანის სახე, მისი მორალი და მსოფლმხედველობა ყალიბდება წარსულის გადმონაშთებთან უკომპრომისო ბრძოლაში (გოგოჭური 1978: 5). ამ მხრივაც ჩატარდა დიდი პროპაგანდისტული მუშაობა, თუმცა ვერც ამ ფრონტზე მიანჩიეს სასურველ შედეგს. ეროვნული ტრადიციის არც ერთბაშად შექმნა შეიძლება და არც ერთბაშად მოსპობა. მას დრო ქმნის და დრო სპობს. (გოგოჭური 1978: 7).

როგორც უკვე აღინიშნა, ამ ეპოქის ლექსების ხალხურობის საკითხი ფოლკლორისტიკისათვის მუდამ იყო საკამათო, მაგრამ ძირითადად მაინც მას დადებითი შეფასება ეძლეოდა. ასე თვლიდა საჭიროდ კომუნისტური პარტია და იმიტომ. არადა ამგვარად ნახალისება ხდებოდა საბჭოეთის მეხოტბე ავტორმთქმელებისა. ფოლკლორისტიკის ამ პოზიციას გარკვეული გამართლება ჰქონდა, რამდენადაც ხელისუფლება ყველა სფეროს მოღვაწეთაგან მოითხოვდა ერთგულების დასტურსა და თანადგომას ძალაუფლების შესანარჩუნებლად. ამ მოთხოვნებისადმი ურჩობა საბჭოეთის სახელმწიფოს დამყარების პირველ ათწლეულებში სიცოცხლისათვის სარისკო იყო. ამას ემსხვერპლა კიდევ 1937 წ. ქართული საბჭოთა ფოლკლორისტიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი ვ. კოტეტიშვილი; პროფ. ელ. ვირსალაძემ კი 1937-1942 წწ. გადასახლებაში გაატარა. მოგვიანებით უკვე ხელისუფალთა საჭიროებების გათვალისწინება სამეცნიერო დარგის განვითარების ხელშეწყობისათვის გახდა აუცილებელი – ყველაფერს ხომ ფინანსები სჭირდება.

ხალხური სიტყვიერების მოძიებისა და შესწავლისათვის ხელისუფლების მხარდაჭერას ქართველი ფოლკლორისტიკი კარგად იყენებდნენ: ქვეყნის მასშტაბით ეწყობოდა ექსპედიციები თანამედროვე თუ ტრადიციული ფოლკლორული ნიმუშების მოსაძიებლად, ტარდებოდა სამეცნიერო კონფერენციები, გამოიცემოდა ხალხური სიტყვიერების ნიმუშების კრებულები, სამეცნიერო სტატიათა პერიოდული გამოცემები, მონოგრაფიები და შეიქმნა ქართველ ფოლკლორისტთა სერიოზული სამეცნიერო კერა.

დამონებიანი:

ანიკინი ... 1983: Аникин В.П., Круглов Н.Г. *Русское народное поэтическое творчество*. Ленинград: 1983.

ბარდაველიძე 1986: ბარდაველიძე ჯ. „ინდივიდუალური და კოლექტიური შემოქმედების ურთიერთობის საკითხი ფოლკლორში“. *ლიტერატურული ძიებანი*. XV. თბილისი: 1986.

გოგოჭური 1978: გოგოჭური დ. *ხალხური სიტყვიერება მავნე, წესჩვეულებათა წინააღმდეგ*. თბილისი: საზოგადოება „ცოდნა“, 1978.

ვირსალაძე 1973: ვირსალაძე ელ. „დიდი სამამულო ომის პერიოდის ხალხური შემოქმედება“. *ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება*. III. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1973.

ოქროშიძე 1973: ოქროშიძე თ. „სახალხო მეურნეობის აღდგენის, ინდუსტრიალიზაციისა და მეურნეობის კოლექტივიზაციის პერიოდის ხალხური სიტყვიერი შემოქმედება“. *ქართული ხალხური შემოქმედება*. III. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1973.

სიხარულიძე 1973: სიხარულიძე ქს. „ომის შემდგომი მშენებლობის პერიოდის ხალხური პოეზია“. *ქართული ხალხური შემოქმედება*. III. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1973.

ლლონტი 1941: ლლონტი აღ. *ქართული შაირები*, თბილისი: 1941.

შამანაძე 1975: შამანაძე ნ. *ხალხური პროზის ზოგიერთი საკითხი*. თბილისი: საქ. კპ-ის გამომცემლობა, 1975.

შამანაძე 1980: შამანაძე ნ. *ცრურწმენასთან და მასთან დაკავშირებულ წესჩვეულებათა კრიტიკა ფოლკლორში*. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1980.

ჩიქოვანი 1973: ჩიქოვანი მ. „თანამედროვე ქართული ხალხური სიტყვიერების განვითარების გზები“. *ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება*. III. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1973.

ჩიქოვანი 1982: ჩიქოვანი მ. „თანამედროვე ხალხური პოეზიის ჟანრები“. *ქართული ფოლკლორი*. XVII. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1982.

ZOIA TSKHADAIA

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

The Illusory and Realistic in Georgian Poetic Narrative (1918-1921)

The announcement of Georgia's independence on May 26, 1918 aroused national joy in Georgians as well as substantial concern of a certain part of the nation who were in euphoria from gaining the independence. They were afraid that against the background of a clash of the world political forces, Georgia would again face the challenge and appealed to the Georgian society to preserve the gained freedom. Georgian writers also joined the current general situation. The poets instantly responded to the events.

Generally, for the most part, the right sense of reality was manifested in Georgian poetic narrative of these years.

Key words: Georgia's independence, May 26, Georgian poetic.

ზოია ცხადაია

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ილუზორული და რეალისტური ქართულ პოეტურ ნარატივში (1918-1921)

„ისტორიას არ ახსოვს ისეთი კურიოზი, რომ ერი მონობის ბორკილს ამსხვრევდეს, დამოუკიდებლობას აცხადებდეს და ამავე დროს ჰღალატებდეს – იძულებული ვარ, დამოუკიდებლობა გამოვაცხადო, ეს ჩემი გამარჯვება კი არა, დამარცხებაა“, – წერდა კრიტიკოსი ივანე გომართელი 1922 წელს ჟურნალ „ხომალდში“. ეს რომ მართლაც ასე იყო, ამის საფუძველს იძლევა 1918 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე არსებული პოლიტიკური რეალობა. საქართველოსთვის წართმეული მიწების დაკანონებასთან ერთად, ოსმალეთს მშვიდობიანი განვითარები-

სათვის რუსეთის მოსაზღვრეობიდან დისტანცირება სჭირდებოდა, ამიტომ მისთვის ხელსაყრელი იყო ოსმალეთსა და რუსეთს შორის დამოუკიდებელი საქართველოს შენარჩუნება. „შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, რომ ამიერკავკასიას და, კერძოდ, საქართველოს ორი მხრიდან მოელოდა საფრთხე: ერთი საფრთხე იყო ოსმალეთი, რომლის ჯარები უკან დახეულ ჩვენს ჯარებს ფეხდაფეხ მოსდევდნენ... მაგრამ ვიდრე ოსმალეები ჩვენამდე მოაღწევდნენ, რუსეთის ჯარები გვანკებოდნენ. უკან დახეულ რუსეთის ჯარებს გზა თბილისზე ჰქონდათ. მიაღწევდნენ თბილისამდე და გვიდგენდნენ სხვადასხვა მოთხოვნებს (მაზნიაშვილი 1990: 11-12)... ცნობილია ისიც, რომ თურქები ყარსისა და ბათუმის ოლქზე პრეტენზიის გამოცხადებას არ სჯერდებოდნენ და 1918 წლის 15 აპრილს (ძვ. სტილით) ბათუმი, ახალციხე, ახალქალაქი დაიკავეს. მალე ოზურგეთსაც მიადგნენ. ამ ქალაქების განთავისუფლებამ მრავალი ქართველი შეინირა. სოციალ-დემოკრატიული პარტიის ე.წ. ინტერნაციონალისტი ხელმძღვანელობა დამოუკიდებლობის გამოცხადებას აგვიანებდა. ყოყმანობდა... საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების მესამე დღეს გაზ. „ერთობა“ (28.V.1918) მოწინავე წერილში ასე გამოეხმაურა ამ ფაქტს: „საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადება საგარეო ურთიერთობის ძალდატანებით წარმოიშვა და ჩვენ ახლა მოვალენი ვართ, იგი დავიცვათ“ მსოფლიოს პოლიტიკურ ძალთა შეჯახების ფონზე გონივრული იყო ეჭვი, რომ საქართველო კვლავ განსაცდელის წინაშე აღმოჩენილიყო.

ზოგადად, 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამ საერთო სახალხო სიხარული გამოიწვია, რასაც ქართული მწერლობაც შეუერთდა. მრავალთა შორის სიხარულით შეხვდა საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებას სოციალ-ფედერალისტური პარტიის ლიდერი, პუბლიცისტი სამსონ ფირცხალავა. მისი აზრით, ქართველებმა ეროვნული თავისუფლების სახით უდიდესი განძი მოიპოვეს და მას გაფრთხილება სჭირდებოდა: „გათავისუფლებული და აღდგენილი ქართველი ერის არსებობა წარმოუდგენელია გარეშე დამოუკიდებელ საქართველოსი და მისი მოპოვებული თავისუფლების დაკარგვა უფრო დიდი დანაშაული და შეცოდებაა, ვიდრე თავისუფლების განუხორციელებლობა“ (ფირცხალავა 1918: 64). ასეთივე სიხარულით შეხვდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას ცნობილი ფილოლოგი

და ისტორიკოსი, სოციალ-ფედერალისტური პარტიის მეორე თაობის წარმომადგენელი, ოდესის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის კურსდამთავრებული ქრისტეფორე რაჭველიშვილი (იყო საქართველოს დამოუკიდებლობის აქტზე ხელმომწერი): 1918 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნასთან დაკავშირებით საგანგებოდ დაარსებულ გაზეთში „ქართველი სტუდენტი“ ქრისტეფორე რაჭველიშვილი აღფრთოვანებული წერდა: „...ქართველი ახალგაზრდობა თავის სტუდენტობას სამშობლის გარეთ ატარებდა. ეხლა მდგომარეობა შეიცვალა. ქართველ ახალგაზრდობას საკუთარი მეცნიერების ტაძარი აქვს და მანაც იგი უნდა დააფასოს. თავისუფალ საქართველოში ქართველმა სტუდენტმა მალე უნდა ასწიოს განათლების ჩირაღდანი და ცოდნის სხივებით გაანათოს სამშობლო ისევე, როგორც აქამდე პოლიტიკური შეგნებით ანათებდა. ქართველი ინტელიგენციის სულს რუსის უნივერსიტეტის ცხოვრების დაღი აზის. იმ ცხოვრებას ბევრი ნაკლი ჰქონდა, მაგ-რამ ბევრი ღირსებაც. თავისუფალ საქართველოს ახალგაზრდობას, მის ინტელიგენციას, როდესაც თავის სიყრმის კარგ მხარეებს მოიგონებს, უკეთესი მომავლის მოლოდინში, ღიმილით მხოლოდ მწერლის სიტყვები შეუძლიან გაიმეოროს: „Хороша старина да и чортъ съ ней“ (რაჭველიშვილი 1920: 5).

საქართველოს დამოუკიდებლობას ყველაზე მყისიერად პოეტები რეაგირებდნენ. ამ წლების (1918-1921) ლირიკულ ტექსტებში იგრძნობა, ერთი მხრივ, ამ ისტორიული ფაქტით გამოწვეული საზეიმო განწყობა და, მეორე მხრივ, ძალიან მალე – რეალობის გააზრებით აღძრული შიში და წუხილი. პირველი ხანის ეიფორიებს მოჰყვა ეს არც თუ უსაფუძვლო შიში საქართველოს უახლეს მომავალთან დაკავშირებით. აქ უკვე (1920-1921) აღარ ჩანდა იმედი და პირველი აღფრთოვანება მოპოვებული თავისუფლების გამო. დამოუკიდებელ საქართველოს საზღვრებს მიღმა ხედავენ ჩასაფრებულ მტერს, რაც ძალიან მალე იქცა რეალობად. ქართველმა პოეტებმა ეს ყოველივე – ნანატრი თავისუფლების სამწლიანი გაელვებაც და შემდგომი ტრაგიკული მოვლენებიც, შეიძლება ითქვას, საუკეთესოდ წარმოსახეს; მათი ლირიკული ტექსტები მოვლენების კვალდაკვალ შექმნილი პოეტური ისტორიებია, საზოგადოების სულისკვეთების გამომხატველი – ზემოთ დანყებულ და ტრაგიკულად დასრულებული.

1918 წლის 26 მაისის თარიღს უძღვნის ლექსს „საქართველოს ზადიკი“, სიყვარულის პოეტად აღიარებული იოსებ გრიშაშვილი (გაზ. „სახალხო საქმე“, 1918, № 248). იგი მზად არის, უარი თქვას „ვარდის ბაგეზე“, სატროფოს სილამაზეზე.

მიყვარდა ტუჩი და შევიძაგე,
თვით ალერსსაც კი ვეტყვი უარსა,
რად მინდა ვარდი! რად მინდა ბაგე!
დღეს საქართველო ჯვარს იწერს... ჯვარსა...

და მეც დამკოცნის სხვა ანგელოსი,
და მეც დღეიდან დამეუფლება
თავისუფლება საქართველოსი
და ჩემი ლექსის თავისუფლება!

შემდგომ კი ქვეყნის პოლიტიკური ვითარების დაძაბულობასთან ერთად მისი პოეტურ-მოქალაქეობრივი პოზიცია მკვეთრად იცვლება... 1919 წელს პოეტმა ლიტერატურულ საღამოზე ნაიკითხა ლექსი „ბათუმისათვის“, უიმედო განწყობით, რადგან „საქართველო – ეს პატარა ნატურისთვალის სურთ გახადონ სხვისი მონა“...

გაივლის კიდევ ერთი წელი და იოსებ გრიშაშვილი უფრო მეტი სიმწვავეით გამოხატავს იმედგაცრუებას, გულგატეხილობის განცდას არსებული რეალობისადმი (1920 წლის ჟურნალი „ცისარტყელა“, № 21).

დღეს კი ქართველი გულში მუდამ წყევლას აჩაღებს,
და სწყევლის იმას, ვინც ჩრდილოელ წყეულ ყაჩაღებს
გაულო კარი თერგდალეულ დარიალისა“...

ჯერ კიდევ 1921 წლის 25 თებერვლამდეა დაწერილი იოსებ გრიშაშვილის ორი ლექსი: „საქართველოს მტრებს“ და „რა გიჭირთ“. საქართველოს მტრებში იგი მოიაზრებს არა მხოლოდ ჩრდილოეთიდან ცეცხლით მომავალ ბნელ ძალას, არამედ ქვეყნის შიგნით დარაზმულ „ყველა ჯურის მოღალატეს, ვერაგსა და ჰარამზადას“, რომელთაც სურთ საქართველო „კვლავ გახადონ სხვისი მონა“. როგორც პოეტი და მოქალაქე, იგი პასუხს სცემს „გველაძუათა“ „გველურ მიზნებს“, რომ „ვიდრე ერთი ქართველიც კი სამშობლოსთვის ასე ზრუნავს, არ მოკვდება საქართველო, მაინც ბრუნავს, მაინც

ბრუნავს“. „მაინც ბრუნავს“ – ეს ცნობილი და უკვდავი ფრაზა, განმეორებით აქცენტირებული, ემოციურად გამოკვეთს მთავარ სათქმელს – საქართველოს უძლეველობისა და დაუმორჩილებლობის შესახებ. 1920 წლითაა დათარიღებული ლექსი „რა გიჭირთ“ (წაკითხულია გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის საღამოზე) – ისევ ირონიული მიმართვა მოძალადეებისა და მათგან მოტყუებულებისადმი – ილიას ციტირებით. პოეტს არ სჯერა იმ მომავლისა, რომელსაც მთელ იმპერიას და, მათ შორის, საქართველოსაც ჰპირდებიან.

გლებო, ამბობენ, რომ უკეთ სთესო,
მუშავ! რომ უკეთ დაარტყა გრდემლზე,
დადგაო ხანი საუკეთესო –
გამარჯვებული სისხლსა და ცრემლზე.
მაგრამ არ ვაქებ ხანას სასტიკსა,
ვიტყვი ილიას ამ სიტყვებს მეცა,
რაც კარგი სურდეს რუსისა შტიკსა,
ღმერთმა იმ რუსსა მისცეს ასკეცად.

როგორც ვნახეთ, მხოლოდ ერთხელ, თავისუფალ საქართველოს ცხელ კვალზე გაიღვა პოეტის სიხარულმა და საქართველოს მომავლის რწმენამ. იგი მალე ჩანვდა სინამდვილეს და ყოველივე ეს დაედო საფუძვლად „დეუბეჭდავი ლექსების“ სახით ცნობილ მის ლირიკულ ტექსტებს, რომელთა წიგნად გამოცემა მოხერხდა მხოლოდ 1991 წელს. ძალზე საინტერესოა იოსებ გრიშაშვილის ის ლექსები, რომლებიც 1921 წლის 25 თებერვლიდან იღებს სათავეს და თითქმის ერთი ათეული წელი იწერებოდა, მაგრამ არ იბეჭდებოდა, თუმცა პოეტი მართავდა პოეზიის საღამოებს და იქ კითხულობდა ახალ ლექსებს. გრიშაშვილის კიდევ ერთი ანტირუსული განწყობით დანერილი ლექსი (1925 წლის 25 თებერვალს), როცა უკვე ყველასთვის გარკვეულია სიმართლე, როცა ილუზიები დამსხვრეულია და სახეზეა მწარე რეალობა. ეს ლექსია დღეს უკვე ყველასათვის ცნობილი „ახალ ხელისუფლებას“.

... თქვენ ამბობდით: საქართველომ
რაც გინდ ბევრი გაიბრძოლოს,
დიდ რუსეთის პროვინციად
გადიქცევა მაინც ბოლოს.

ჰა, აღსრულდა! თქვენ მოხვედით,
ჩვენც მიგიღეთ ცრემლით ცხელით,
მაგრამ ხალხი არ შეგინდობთ,
რომ სხვის ხიშტით შემოხვედით!

.....

ო, ჩვენ ისე შევეჩვიეთ
ჩვენს მიწა-წყალს, ჩვენს ფერს, ჩვენს ხმას,
რომ ვერასდროს ვერ ავიტანთ,
გამარჯვებულ რუსულ ჩექმას.

საგულისხმოა ფრაზა „სხვის ხიშტით შემოხვედით“. აქ პოეტი იმ ვაი-ქართველ ბოლშევიკებს გულისხმობს, გულანთებული რენეგატების სახით რომ მოუძლოდნენ „რუსულ ჩექმას“ თავიანთი მიწა-წლისაკენ (1922 წლის დეკემბერში გრიშაშვილი, როგორც არასანდო პიროვნება, დააპატიმრეს კიდეც, თუმცა, არც ისე დიდი ხნით); იოსებ გრიშაშვილთან დაკავშირებით აკაკი ბაქრაძემ თავის წიგნში „მწერლობის მოთვინიერება“ ნათლად ჩამოაყალიბა ის აზრი, რაც, ზოგადად, შეიძლება ითქვას იმ ქართველ მწერლებზე, რომლებმაც გამოიარეს 1920-1930-იანი წლების უმწვავესი ხანა (ქართველ პოეტთაგან ძნელად თუ გადაურჩა ვინმე ეპოქის წნეხსა და მოთხოვნებს): „ცდილობენ ი. გრიშაშვილი წარმოადგინონ მხოლოდ როგორც საბჭოთა ხელისუფლების მომღერალი. მისი ასე ცალსახად დახატვა აიოლებს ლიტერატურათმცოდნეობის საქმიანობას. აადვილებს იმიტომ, რომ, თუ ვაჩვენებთ, როგორი მსოფლმხედველობრივი წინააღმდეგობა გადალახა პოეტმა, მაშინ ისიც უნდა აიხსნას – როგორ გახდა ი. გრიშაშვილი ეროვნული თავისუფლების ქადაგიდან საბჭოთა ხელისუფლების მეხოტბე. ეს არ მომხდარა ნებაყოფლობით. იგი მოხდა შიშით, ძალდატანებით, მათრახით. თუ ყველაფერი აშკარად ითქმის, მაშინ საზოგადოება მკაფიოდ დაინახავს, როგორი ჯოჯოხეთური წამების დარჯაკში გაიარა ყოველმა ქართველმა მწერალმა, რომ ცოცხალი გადარჩენილიყო“ (ბაქრაძე 1990: 23).

„თავისუფლების განცდით აღძრული პირველი აღტაცება და ილუზიები მალე გადადიოდა მწარე სინამდვილეში, ეს იგრნობა ერთ-ერთი სოციალ-დემოკრატი პოეტის, ვასო ტუქსიშვილის (ჩოხელაშვილი) ლექსებში. 1918 წელს იგი ამაღლებული განწყობით

შეხვდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების ფაქტს, „ცეცხლის ჰუნეებს“ და „შევარდენთა კრებულებს“ ადარებდა საქართველოში თავისუფლებისა და ქვეყნის კეთილდღეობისთვის შემოჭრილ არმიას.

... მოაქვთ გვირგვინი და მოსჩანს ოდენ,
მაღალ ჯილაზე წითლად სწერია:
„თავისუფლებაჲ, შენ გიხაროდენ,
ვითარმედ იშვებს დღეს ივერია!“

რუსეთიდან საქართველოსკენ დაძრული „შევარდენთა კრებული“ (მეტაფორულად თავისუფლების სიმბოლო) მალე სისხლისმღვრელ „წითელ ყორნად“ გადაიქცა პოეტის წარმოსახვაში. გაფრთხილების ხმად გაისმა ვასო ტუქსიშვილის „წითელი ყორანი“, რომელიც გაზეთ „ერთობაში“ დაიბეჭდა 1920 წლის 8 მაისს.

თავზე დაგვიჩხავლა შავმა ყორანმა,
დღეს იმას წითლად უცვლია ფერი,
მოსწყურებია შენი გულიდან
ადინოს წმინდა სისხლის ჩანჩქერი!

როცა 1921 წლის თებერვლის დასაწყისში პოეტმა და ქვეყანამ აშკარად იგრძნეს სისხლის გრიგალის „სუნთქვა ქუჩებში“, როცა კარზე მომდგარი მტერი წარღვნით ემუქრებოდა თბილისს, ლექსის დინამიკაც უფრო შეიცვალა და ადრინდელი განწყობაც:

სისხლის გრიგალი სუნთქავს შენს ქუჩებს,
დედა თბილისო! ღრიალებს მტკვარი,
რკინა მუქართ შორს დაწვავს ტუჩებს,
ბობოქრობს მტერი, კარზე მომდგარი.

ეს ლექსი გამოქვეყნდა 1921 წლის 21 თებერვალს, გაზეთ „ერთობაში“, თბილისში საბჭოთა რუსეთის მე-11 არმიის შემოსვლამდე ოთხი დღით ადრე.

1917 წლის 5 დეკემბერიდან დათარიღებული აკაკი შანიძის, შემდეგში დიდი ენათმეცნიერის, პოეზიის თავყვანისმცემლის, „ქართული ეროვნული ჰიმნი“, რომელიც ჯანსაღი პატრიოტული გრძნობით გამოხატავდა თავის რეალისტურ, საფუძვლიან შიშს

და სიფრთხილისკენ მოუწოდებდა ქართველებს (ლექსი დაიბეჭდა 1918 წელს, ჟურნალ „პრომეთეში“).

აბა ფხიზლად, ქართველებო! მივყვეთ მამა-პაპათ კვალსა!
წარსულს გრძნობით ვიგონებდეთ,
ჩაუფიქრდეთ მომავალსა!
ცალი თვალი პონტოსაკენ, ნუ ვაშორებთ
გურგანს ცალსა!
ყური ვუგდოთ გურჯი ბოლახს და ნუ ვაღებთ დარიალსა!

1918 წელს 18 წლის გიორგი ლეონიძესაც უბედურების მომასწავებელი წინათგრძნობა დააწერიანებს ჰიმნს „თამარ“, რომელშიც მომავალ საფრთხისგან დამცველად, საშველად უხმობს დიდ წინაპარს: „და გიხმობთ შველად: თამარ, ჰოი, თამარ! ივერია იავარ იქმნა!“ 1918 წლის გაზეთ „საქართველოში“ იგი წინასწარმეტყველურ ჩანახატს გამოაქვეყნებს, რომელშიც კიდევ უფრო კონკრეტულ სახეს იღებს ახალგაზრდა პოეტის სათქმელი: **„არაგვიელს არ უყვარდა არაბული ტფილისი, იგი გოგირდს აყრიდა სპარსულ საქართველოს, მანვე აუბრიალა საკირე რუსებს... როგორც ხმები დადის, ახლა არაგვზე ჯანყი ისევ იკრიფება, რადგანაც წვიმების დროა და ეს წვიმები სისხლისა იქნება. ტერორი დადის წითელი ჩოხით... ქსოვენ კარვებს ბანაკის დასაცემად და ფხას უსინჯავენ ხანჯლებს** (ციტირებულია ნიგნიდან: კვიტაიშვილი 2003: 28-29).

1920 წელს უკვე ბევრისთვის აშკარა იყო, რომ საქართველოს კარგს არაფერს უქადდა მომავალი, მაგრამ მაინც აღმოჩნდნენ ნეტარი მორწმუნენი, რომლებმაც გულწრფელად ინამეს ქვეყნის მომავალი წითელი დროშის ფონზე. ვარლამ რუხაძე ლექსში „სალამი ბათუმს“ (1920, გაზ. „ერთობა“, 1.VII) წერდა: **„მოვდივართ, მოგვაქვს დროშა წითელი... ქალაქს ამშვენებს თეთრი იები, წითელდროშება ტვერი – სასახლეს!..“** დავით მეჩონგურე (ქარცივაძე) ამავე გაზეთში (28.V) აქვეყნებს ე.წ. თავისუფალ საქართველოსადმი მიძღვნილ ლექსს: **„დღეს აქ ლალად დაფრიალებს ძმობის დროშა წითელფერი“... გაორებულ საქართველოში პოეზია მაინც საღ აზროვნებას უფრო ავლენდა. როგორც ვასო ტუქსიშვილი აფრთხილებდა თავის ხალხს მოსალოდნელ განსაცდელზე, ასევე ხალხის**

საერთო სულისკვეთებას გამოხატავდა გიორგი ქუჩიშვილის „ჩემი ვედრება“, ღვთის წინაშე ლოცვად აღვლენილი პოეტური სიტყვით:

ღმერთო, მაღალო! მხურვალე ლოცვით
შემოგავედრებ სამშობლოს ჩემსა:
შენ უწინამძღვრე ამ პატარა ნავს
და ნუ შეახლი დამღუპველ გემსა.

ღმერთო, ისმინე ვედრება ჩემი:
გადაარჩინე ქართველი ერი,
რომ განახლებულ სხვა ერთა შორის
სცხოვრობდეს იგიც, სვებედნიერი.

1920 წელს, სახალხო გვარდიის შექმნის სამი წლისთავზე გაზეთ „ერთობაში“ დაიბეჭდა გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „გვარდია“. ქვეყნის გადარჩენის იმედად მაშინ ბევრს ჯარი, გვარდია ესახებოდა და სწორედ ამის გამოძახილი უნდა იყოს პოეტის ეს ლექსიც.

სული გვექონდეს უსპეტაკეს თოვლისა!
პირადათ მე სიკვდილამდე მექნება –
მხოლოდ ერთი სიხარულის შეგნება:
პოეზია უპირველეს ყოვლისა.
პოეზია უპირველეს ყოვლისა!
და გვარდია გვიყვარს მასთან ნახევარ
გზად დაღლილი არვის არ ვუნახივარ.
ერთი გვანთებს შუქი სვეტიცხოვლისა:
საქართველო უპირველეს ყოვლისა!
საქართველო უპირველეს ყოვლისა!
დაგამცირონ, მაგრამ ვერსად დაგტიონ,
მაინც დაფნით გელის შენ, გალაკტიონ,
ამღერება რეზონანსით მოვლისა,
პოეზია უპირველეს ყოვლისა!
პოეზია უპირველეს ყოვლისა!
დღეს ჰყვავის ბზა, ალუბლები, ატამი,
ისევ დღეა შენი, მაშასადამე –
შორი სული დოვინ – დოვენ დოვლისა...
საქართველო უპირველეს ყოვლისა!
საქართველო უპირველეს ყოვლისა!

„საქართველოში ბოლშევიკების შემოსვლის შემდეგ გალაკტიონმა შექმნა ეროვნული დამოუკიდებლობის სულისკვეთებით გამსჭვალული ამ ტექსტის ახალი რედაქცია, რომელშიც „საქართველო“ ჩაანაცვლა „პოეზიამ“. არსებობს გადმოცემა, რომ პოეტების მეფის გამოსავლენად გალაკტიონმა ეს ლექსი წაიკითხა (ტაბიძე 2016: 186).

1921 წლის თებერვლის ტრაგიკულ მოვლენებს გამოეხმაურა პოეტი იოსებ მჭედლიშვილი. 25 თებერვალს რუსულმა ჯარმა წითელი დროშა ააფრიალა თბილისის თავზე. ქალაქი კი მოფენილი იყო თავისუფალ საქართველოსათვის თავდადებულ ქართველთა ცხვრდებით. ამ შემადრწუნებელი ფაქტით გამოწვეულ გულისტკივილს გამოხატავს მჭედლიშვილის სიტყვები: **„ჩემთა საყვარელ ძმათა საფლავზე ჰოტენტონივით დავეხეტები“** (შალვა მჭედლიშვილი დააპატიმრეს, როგორც ცნობილია, იგი შალვა ნუცუბიძემ გამოაშვებინა ციხიდან).

1921 წლის 17 მაისს გამოსულ საქართველოს მწერალთა კავშირის ერთდროულ გაზეთ „პოეზიის დღეში“ ქართველი პოეტების მრავალი ლექსი გამოქვეყნდა, რომელთა უმრავლესობა და-მოუკიდებლობის დაკარგვით გამოწვეულ განცდებს გამოხატავდა. ცისფერყანწელი პოეტი შალვა აფხაიძე „გამოსათხოვარ მონო-ლოგში“ ჯვარზე გაკრულ საქართველოს დასტიროდა თითქოს: **„მანვალებს სიტყვა უანდამატო და საქართველო გაკრული ჯვარზე“**... დუტუ მეგრელის „სიკვდილის აჩრდილი“ მეტაფორულად მიანიშნებს ქვეყნის ტრაგიკულ მდგომარეობაზე, ხარიტონ ვარდოშვილის „უცნაური აგონია“ სასიკვდილო განცდით შეძრული ადამიანის სულიერ მდგომარეობას გადმოსცემს: **„ასეთი იყო უეცარი საშიშროება, სტიროდა მწარედ საქართველო და სასოება“**.

რაჟდენ გვეტაძე 1921 წელს „მეოცნებე ნიამორებში“ ბეჭდავს სონეტს „საქართველოსთვის თავგანწირულ ქალს“. მინიშნება ტაბახმელა-კოჯრის ბრძოლებში დაღუპულ გოგონაზე, მოწყალების და **მარო მაცაშვილზეა**, მაგრამ მისი სახელის ხსენება არამცთუ მაშინ, არამედ არ არის 1982 წელს გამოცემულ „ქართული პოეზიის“ ბიბლიოთეკის მე-14 ტომშიც, რომელშიც ეს ლექსია შეტანილი. დიდხანს, საბჭოთა კავშირის სრულ დაშლამდე ტაბუ ედო მის სახელს ისევე, როგორც იმ დროს დაღუპულთა სხვა გვარ-

სახელებს. მარო მაცაშვილის მამამ, საქართველოს მწერალთა კავშირის პირველმა თავმჯდომარემ, პოეტმა კოტე მაცაშვილმა 1922 წელს გაზეთ „პოეზიის დღეში“ გამოაქვეყნა ლექსი „ჩემს მაროს“, რომელშიც უმძიმესი ტრაგიკულობის განცდითაა გადმოცემული პირადული უბედურებით და საქვეყნო სატკივრით შეძრული ადამიანის, შეიძლება ვთქვათ – გოდება.

არც სიცოცხლის, არც სიკვდილის აღარა მაქვს ხალისი,
თებერვალმა დამიზამთრა სამუდამოდ მაისი!
გულზე სევდა შემომანვა თავის მძიმე ლოდებით,
საქართველო გაიჟღინთა მაცაშვილთა გოდებით...
დავილაღე... დავიჩაგრე... და შენი ვარ მხმობელი,
ჩემო გმირო და წმინდანო, გამამხნევე მშობელი!
სამშობლო თუ შენ – რომელი, ახ, ვიტყვი რომელი?!
დავდნი ცრემლად ორივესთვის, სხვათა ცრემლის მშრობელი!..

საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვის წლისთავზე „ლომისში“ (1922, 8.1) დაიბეჭდა ობოლი მუშის (სოლომონ თავაძის) ლექსი „1921 წლის გარდაცვალებაზე“, შემდეგ კი იმავე გაზეთში (ოქტომბერი) აქვეყნებს მეორე ლექსს „ღამე ლანდებით“. ერთი და მეორეც გამოხატავს იმ გულწრფელ მდგომარეობას, რომელიც შეიძლება დაეუფლოს თავისუფლებანართმეულ ქვეყნის შვილს, ადამიანს, პოეტს... არც კოლაუ ნადირაძეა ვალში ამ დროებასთან. 1922 წელს სამშობლოს ბედზე წუხილს ისიც მძაფრი სიტყვებით და განცდებით გამოიტანს პოეტურ ტექსტში: **„მე საქართველო მაგონდება ისევ ტკივილით, მისი წარსული უიმედო და მომავალი“**... მაგრამ, შეიძლება ითქვას, რომ კოლაუ ნადირაძის 60-იან წლებში დაწერილი და „უკანონოდ“ გამოქვეყნებული ლექსი „25 თებერვალი“ (რომლის გამოც მისი წიგნის მთელმა გამოცემამ სასტიკი ცენზურა გაიარა, რედაქტორ-გამომცემელი კი სამსახურიდან გაათავისუფლეს) არის კიდევ ერთი შთამბეჭდავი პოეტური სურათი იმ ტრაგიკული მოვლენებისა, რომელიც საქართველომ გადაიტანა რუსეთის მე-11 არმიასთან შეტაკებისას, კონკრეტულად კი – კოჯორ-ტაბახმელაზე.

საქართველოს თებერვლის ტრაგედიას განსაკუთრებულად ეხმიანება ალექსანდრე აბაშელის ლირიკა. მის ლექსებში: „ფარშე-

ვანგი“ (1918), „არწივი ჰაერში“ (1918), „ცეცხლის გალობა“ (1919), „წითელი ფრინველები“ (1919), „ტრიოლეტები“ (1919) იკითხება ქვეყნის უიმედო მდგომარეობით გამოწვეული დეპრესიული გულგატეხილობა.

განსაკუთრებით პოპულარული იყო იმ წლებში აბაშელის „ტრიოლეტები“, რომელშიც შეშფოთებული, განზილებული პოეტი მთელ სამყაროს სიკვდილის საუფლოდ მოიაზრებს, სადაც არ არის სამართალი, სადაც „ძაძა ჰფარავს ფარჩეულს“ (სიკვდილ-სიცოცხლის, კეთილისა და ბოროტის მეტაფორული სახე):

მსოფლიო ციხეა საზარი,
ტყვე არის არსება ყოველი,
და სასჯელს არა აქვს საზღვარი,
მსოფლიო ციხეა საზარი.
დარაჯად სიკვდილი მზად არი,
მის ძახილს ყოველ წამს მოველი,
მსოფლიო ციხეა საზარი
და ტყვეა არსება ყოველი.

1921 წლის დეკემბერში ჟურნალ „ხომალდის“ პირველ ნომერში გამოქვეყნდა ალექსანდრე აბაშელის ლირიკული ციკლი „შორეული ნაპირი“ (შედგება 8 ნაწილისაგან), რომელშიც ყველაზე მკაფიოდ გამოჩნდა პოეტის მსოფლხედვა; „საშიში ეპოქის“ შეფასება; ლექსების ეს ციკლი გამორჩეულია როგორც კონცეპტუალურად, ასევე – მხატვრული ეფექტებით. თავის განწყობას და აფორიაქებულ სამყაროს სურათს პოეტი სიურეალისტური სახეებით გადმოგვცემს, რომლებშიც მკვეთრად ჩანს კონკრეტული ეპოქა და ამ ეპოქით შეძრწუნებული ლირიკული პერსონაჟის სულიერი დრამატიზმი, ტრაგიზმის წინათგრძნობა: **„ციდან დაეშვა ცეცხლის ზენარი“**; **„მოვარდა ქარი ცეცხლის ფაფარით“**; **„გარდაიცვალა ძველი ზღაპარი“** და **„გაფრინდნენ სერაფიტები“**; **„სივრცე დაეთმო შავფრთიან გველებს“** და სხვ. **„საზღვარწაშლილ ვნების ქაოსში“** იძირება სამყარო. ჩამქრალ მთვარეზე წითელ დროშებად ჰკიდია მზის ნაფლეთები, იმსხვრევა ძველი ორბიტის რგოლი და სხვ.

და ერის ტანჯვის გამომხატველი
იზრდება გულში ორი მწვერვალი;
ერთი ნაღველის ორი სახელი:
კრწანისის ველი და თებერვალი.

ეს ლექსის ბოლო სტროფია, რომელიც მხოლოდ ერთხელ დაიბეჭდა, აღნიშნულ ჟურნალში, სხვა გამოცემებში არასოდეს განმეორებულა. გასაგებია, რომ ცენზურის გამო, მაგრამ არც პოსტსაბჭოთა პერიოდში გამოცემულ პოეტის „100 ლექსში“, არც – ქართულ, პოეზიის შედეგების კრებულში არ არის შეტანილი. გამორჩენილია ყველგან. მხოლოდ ლიტერატურის ინსტიტუტის მიერ გამოცემულ, XX საუკუნის ქართული ლიტერატურის „ნიგნში“ შესულია პირვანდელი სახით.

საქართველოს გასაბჭოებიდან რამდენიმე თვის შემდეგ, 1921 წლის 7 მაისს, კონსტანტინე გამსახურდიამ რევოლუციის ბელადს წერილი გაუგზავნა – „ღია წერილი ულიანოვ-ლენინისადმი“. გამსახურდია მისთვის ჩვეული პირდაპირობით და, ამასთან, საკმაოდ კორექტულად აცნობს ადრესატს ქართველი ხალხის სატყვივარს, რომელიც გამოიწვია თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაკარგვამ, სისხლიანმა ტრაგედიამ: „დღეს სულ ირიოდე თვეც არ გასულა და წითელმა რუსეთმა მოსპო ჩვენში ისეთი მთავარი ატრიბუტები სახემწიფოებრიობისა, როგორიცაა საზღვრები, რკინის გზა, და ვინ იცის, რომ ქართული ენა საქართველოში პრაქტიკული სახელმწიფო ენა აღარ არის.

ერთადერთი გარანტია ჩვენი დამოუკიდებლობისა ეს იყო, არის და იქნება თვით ქართველი ხალხის შეგნებაში, რადგან ყოველივე განთავისუფლების დედაბოძი თავისუფლების შეგნებაა. ეს შეგნება არ აკლია ქართელ ხალხს, უთხარით და მოსწერეთ პოლიტიკოსებს, რომელნიც ტფილისში ცუდ მეგობრობას უწევენ კომუნისტურ რუსეთს“... შედეგი ის იყო, რომ ეს გაბედული წერილი მნიშვნელოვან ფაქტადლა შერჩა ისტორიას.

მეტ-ნაკლებად რეალობას მონყვეტილი აღმოჩნდნენ ქართველი ემიგრანტი პოლიტიკოსები, რედაქტორ-გამომცემლები და სხვები. საქართველოს გასაბჭოებიდან ოთხი წლის შემდეგ ნოე ჟორდანიას გაზეთ „დამოუკიდებელ საქართველოში“ (თებერვალი, №14, გვ.1) წერილში „ეროვნებათა კითხვა ს.ს.რ.კავშირში“ იმედს არ კარგავ-

და, რომ შიში ვერ შექმნიდა სიყვარულს, არ დაიღლებოდა საქართველოს ტანჯული სული. შეიძლება ითქვას, იგი ილუზიებშია და სწამს, რომ საბჭოთა რუსეთის მზე მალე ჩავა: „დღეს, როცა მისი გლოვის ზარი ირეკება, და დაშლილი, დასენიანებული, უფსკრულისაკენ ეშვება, ქართველი ერი გაჯანსაღებული, განმენდილი, გამონვრთნილი და ხელიხელჩაკიდებული უჭვრეტს ამ სანახაობას და იმედიანათ გაყურებს განთიადის მოახლოებას. სიკვდილითა სიკვდილი ითრგუნება...“ უფრო რეალურად ჭვრეტს საქართველოს ანმოსა და მომავალს გიორგი გვაზავა გაზეთ „დამოუკიდებელ საქართველოს“ ამავ ენომერში“ (გვ. 2): „არასოდეს არ ყოფილა საქართველო მოწყვეტილი განათლებულ კაცობრიობას პოლიტიკურად, ეკონომიკურად და კულტურულად, როგორც ეხლა. იგი მართლა ცხრაკლიტულშია. არასოდეს გენიალური ოცნება რუსთაველისა არ დაახლოებია ისე სინამდვილეს და ნესტან-დარეჯანის სახე არ გამხდარა სიმბოლო საქართველოსი“...

საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვით გამონვეული ტკივილების გულწრფელი გამოძახილი იყო საზღვრებს მიღმა მყოფი ქართველი პოეტების ლექსები „ჰიმნი“ და „სიმღერა“. გაზეთში „თეთრი გიორგი“ „თეთრი გიორგის ჰიმნს“ (1928, 13) ხელს აწერს „კ. დ.“ (შარაძე 2001: 408):

ჩვენს გზას დანათებს წარსულის შუქი,
ის გმირთა ძვლებით მოფენილია.
გრიანებს მხოლოდ იქ ბრძოლის ბუქი,
სხვა ყველაფერი განდევნილია...

„კ. დ.“ უნდა იყოს ემიგრაციაში მყოფი და იქ გარდაცვლილი კოკი დადიანი (ცნობილი ქალბატონის, რეპრესირებული ბაბო დადიანის, მამა), რომლის საფლავის ქვაზე მისივე, საგანგებოდ ეპითაპიად შექმნილი, ანდერძად დანატოვარი ლექსია წარწერილი:

მითხარ შენდობა და ჩემს მხარესა
ოდეს უამბობ ამ ლექსს მწარესა,
თქვი, რომ წარწერა იხილე ლოდზე:
ძვლებიც კი ფიქრობს სქართველოზე.

„თეთრი გიორგის სიმღერა“ კი ეკუთვნის ცნობილ ემიგრანტ პოეტს, სიმონიკო ბერეჟიანს (1897-1947):

ჩვენ მოვევლინეთ საქართველოს განწირულ დროში,
მიგვილო ზეცამ. მაგრამ მინა გვეძახის გერებს.
მივდივართ მწყობრივ ბნელ ღამეში გიორგის დროშით,
დავგმეთ წითელი და ვადიდებთ წარსულის ფერებს.

ჩვენ შეგვიყვარდა სიტყვა „კონა“ და გლეხის კალო,
მაგრამ თხრილებში ვეგებებით ვარდისფერ აისს.
და ერის ზამთარს გარიჟრაჟზე ისე ვუგალობთ,
როგორც ოდესღაც ვუგალობდით 26 მაისს...

არ შეიძლება დაგვაგინყდეს სიმონ ბერეჟიანის დღეს უკვე პო-
პულარული ლირიკული ტექსტი, რომელშიც უკიდურესი სიმწვა-
ვით და ტკივილით გამოითქვა ქართველი ემიგრანტული პოეზიის,
ქართველ ემიგრანტთა ზოგადი სულისკვეთება:

ვარ ჩემი ქვეყნის გულდამწვარი ჭირისუფალი,
ერის ბრწყინვალე მომავალით მსურს გავიხარო,
თუ საქართველო არ მენახოს თავისუფალი,
დე, მტვრადქცეული დამენახოს მთელი სამყარო.

თუ გამარჯვება არ არსებობს სისხლის გარეშე,
მხოლოდ სისხლისთვის გიხმობთ ჩემი ბუკი – ნაღარა,
ისე არ ჩავალ, ცით მოსული, ბნელ სამარეში,
თუ არ შევღებე მტრების სისხლით ჩემი ჭაღარა.

ასეთივე სევდისა და ნოსტალგიის გამომხატველი მისი მეორე
ლექსიც:

შენი ალვის ხე იზრდება,
გურიის ცენტრში მცინარი,
აბჯარასხმული ვაჟკაცი –
განთიადისკენ მზირალი.

ისე გიმსხვერპლა სანუთრომ,
დრო ვერ იხილე მზიანი,
სიკვდილს სამშობლო არა აქვს,
სამშობლო სიკვდილი არი.

შეიძლება ითქვას, ამ წლების ქართულ პოეტურ ნარატივში (შინ და გარეთ), მეტწილად, რეალობის სწორი შეგრძნება და შეფასება გამოვლინდა. მასში დამაჯერებლად წარმოისახა და შეფასდა ქვეყნის ტრაგიკული პოლიტიკური მოვლენები და ის ტკივილები, რომლებმაც სამუდამო კვალი დააჩნია ერის სულს.

დამონეშებიანი:

ბაქრაძე 1990: ბაქრაძე ა. „ეროვნული ტრადიცია და პარტიულობის პრინციპი“. *მწერლობის მოთვინიერება*. თბილისი: რუსთაველის საზოგადოების გამომცემლობა „სარანგი“, 1990.

კვიციანი 2003: კვიციანი ე. *ქართული სიტყვის ბაზიერი*. თავი XIII. თბილისი: 2003.

მაზნიაშვილი 1990: მაზნიაშვილი გ. *მოგონებანი*. ბათუმი: 1990.

რაჭველიშვილი 1920: რაჭველიშვილი ქრ. „სტუდენტობა“. გაზ. „ქართველი სტუდენტი“, № 1. ტფილისი: 1920.

ტაბიძე 2016: ტაბიძე გ. *თხზულებანი თხუთმეტ ტომად. ლექსები*. ტ. II. თბილისი: 2016.

ფირცხალავა 1918: ფირცხალავა ს. *ეროვნება და ეროვნული თავისუფლება*. თფილისი: მთავრობის სტამბა, 1918.

შარაძე 2001: შარაძე გ. *ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია*. ტ. I. თბილისი: სააქციო საზოგადოება „ბექდვითი სიტყვა“, 2001.

ნაციონალური თვითგამორკვევის იდეა და მისი
ასახვის მხატვრული ფორმები
**The Idea of National Self-identification and Artistic
Forms of its Depiction**

TAMAR BARBAKADZE

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

The Sonnet Form as a Sense of Georgia's Freedom

The history of the sonnet, which begins from the 30s of the 19th century in Georgia, is closely linked with the 1832 conspiracy and the Polish sonnet.

The intrusion of Bolshevik Russia into Georgia was protested by Ioseb Grishashvili with several sonnets expressing rebellious spirit (“Avlabari”, “*** Sang Glory”, “The sonnet of the tram in the old town”, etc.).

In the last twenty years of the 20th century the sonnet again took on the function of a poetic form expressing the content of Georgia's freedom.

Key words: Sonnet Form, Sense of Georgia's Freedom.

თამარ ბარბაკაძე

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

**სონეტის ფორმა, როგორც საქართველოს
თავისუფლების საზრისი**

სონეტი – ევროპული მყარი სალექსო ფორმა – თამამად შეიძლება ითქვას, საუკუნეების განმავლობაში უნივერსალურ პოეტურ სტრუქტურად იქცა თითქმის ყველა ქვეყნის პოეზიაში, სადაც ის გავრცელდა. იგი სამყაროს ფილოსოფიური ჭვრეტისა და ემოციური მეხსიერების კლასიკურ ფორმაში შერწყმის სინონიმად მოგ-

ვევლინა. ფორმას, კლასიკურსა თუ მოდერნისტულს, ყოველთვის უსადაგებდნენ გამორჩეულ შინაარსს. სონეტის თოთხმეტი სტრიქონი, სახარებისეულ-ალეგორიული ახსნით, გამორჩეული ჟღერადობით, მისი მკაცრად დადგენილი მეტრულ-რიტმული ნწყობით, რითმათა სისტემით, ერთნაირ სიტყვათა განმეორების აკრძალვით, კომპოზიციური ქარგის აუცილებლობით – სონეტს მსოფლიო პოეზიის უმაღლეს სალექსო ფორმად აქცევს, რომელსაც ეროვნული იდეები ნაკლებად უნდა შეეფერებოდეს: პატრიოტული სულისკვეთება, სახელმწიფოებრივი თავისუფლებისათვის ბრძოლა, სადაგი დღეების სპლინი შეუთავსებელი უნდა ჩანდეს ამ განონასწორებულ, მშვიდი, საზეიმო და ამაღლებული სტრუქტურისათვის.

როდესაც გიომ აპოლინერი „ახალი ცნობიერების“ დამკვიდრების თაობაზე საუბრობდა და პოეტების მიერ უნივერსალური თავისუფლებისაკენ სწრაფვის პრობლემას ეხებოდა, საგანგებოდ აღნიშნავდა: „არა მგონია, სოციალურმა ცვლილებებმა იქამდე მიგვიყვანოს, ეროვნულ ლიტერატურაზე ლაპარაკი ვერ შევძლოთ... ნებისმიერი ცვალებადობის მიუხედავად, სამშობლოსა და ხელოვნებას შორის კავშირი უფრო და უფრო განმტკიცდება“ (აპოლინერი 1986: 295). „კოსმოპოლიტური ლირიკა მხოლოდ უინტონაციო, უფაქტურო და ბუნდოვანი ნაწარმოებებით ვერაფერს შესძენს მსოფლიო ცნობიერებას, თუკი იგი მხოლოდ იმიტაციურ ჰარმონიას დაეყრდნობა“ (აპოლინერი 1986: 296).

„ახალი ცნობიერების“ სწრაფვას სინამდვილისაკენ მიჰყავს პოეტი ცხოვრებისა და წარმოსახვის ღვთაებრივი თამაშისა და უნაპირო, უსაზღვრო თავისუფლებისაკენ. აპოლინერის აზრით, „პოეტი ერთადერთია, რომელიც ცხოვრებას მოკვდავთათვის საჭირო ჭეშმარიტებებით ავსებს“ (აპოლინერი 1986: 297); აქვე ვკითხულობთ: „პოეზია უპირატესად იმ ხალხისგანაა დავალებული, რომლის ენითაც მეტყველებს“. ... სონეტის ფორმის გაცნობა და მისი შემოტანა ქართული პოეზიის წიაღში XIX ს. 30-იანი წლებიდან იწყება, როდესაც 1832 წლის შეთქმულების მონაწილენი და თანამგრძობელნი კითხულობენ, თარგმნიან თავისუფლებისათვის მებრძოლი პოლონელი ხალხის პოეტურ შედევრებს. პოლონეთში გადასახლებული გიორგი ერისთავი თარგმნის ადამ მიცკევიჩის ცნობილ სონეტებს, ხოლო გრიგოლ ორბელიანი, პოლონეთში სამ-

სახურებრივი მივლინებისას, დაინტერესდა პოლონური სონეტით და დაწერა თოთხმეტტაეპიანი, არაკანონიკური ლექსი „***ჰე, ივე-რიავ!“ (4+2+4+4). თავისუფლებადაკარგული ქვეყნის მძაფრი პროტესტი იკითხება სტრიქონებში:

შორით მოსული ჩემს მამულში მყვედრის ცხოვრებას,
მოყვრულად გვმტერობს, გვტაცებს ყოველს, გვიქმს ალერსობას...

წინაპართ სისხლი ან ჩვენ შორის არლა მდინარებს,
თავისუფლება განქრა ჩვენთვის, რალა გვახარებს?!

(ორბელიანი 1989: 97)

რომანტიკოსთათვის თავისუფლების გამოსახატავად სონეტის სტრუქტურა ხელსაყრელი აღმოჩნდა. სტროფის შიდა ინტეგრაციულმა კავშირებმა გარკვეული სემანტიკა შეიძინა: ე.წ. რთულმა სტროფებმა – ოქტავებმა, სექსტინებმა, სონეტმა და ა.შ. განაპირობა ინტონაციის გარკვეული ინერცია, რაც, ერთი შეხედვით, „ამცირებს აზრობრივი სანწყისის ხვედრით წონას და ზრდის მუსიკალური ფაქტორის როლს“ (ლოტმანი 2015: 350). ძველი, ტრადიციული საზრისისა და კლასიკური სალექსო ფორმის იშვიათი ხელოვნებით შერწყმის ახლებური ნიმუში იყო სწორედ რომანტიკოსების სონეტი, რომელმაც თავისუფლების იდეას რეფრენულობა, განმეორებადობა შესძინა და ახალ ეპოქაში, „სმენითი რიტმების“ (პოლ ვალერი) მეშვეობით, ახალი მიზნის მისაღწევად მომართა: „პოეზიის თავისებურებად სწორედ მისი ტენდენცია გვევლინება – ხელახლა იშვას უცვლელი ფორმის შიგნით: ის ჩვენ აღგვძრავს საიმისოდ, რომ ხელახლა აღვადგინოთ იგი ერთი და იმავე სახით“ (ვალერი 2010: 58).

ეროვნული თავისუფლების იდეა მსოფლიო პოეზიაში ახალი ტალღით აბობოქრდა | მსოფლიო ომის დროს: სამაგალითოდ შეგვიძლია მოვიხმოთ ნიმუშები სლოვაკი პოეტის პაველ-ორტაგ ჰვიეზდოსლავის კრებულიდან „სისხლიანი სონეტები“ (1914 წ., აგვისტო-სექტემბერი):

* * *

ალექსანდრ ჰუშკინს – პოეტს და რაინდს
მიკვირს, ვით დასცდა, არ მესმის მხოლოდ
„ყველა სლავური მდინარე ბოლოს
შეუერთდება რუსულ ზღვას მაინც!“

ო, მაპატიოს, თუ ოდნავ ვლეღავ,
მაგრამ ერთურთი არ უნდა ვქოლოთ,
ყველა მდინარე ასრულებს სოლოს
და თავის სიღრმით ამაცობს ყველა.

თვით სულიწმინდა, როგორც მდინარე
წვიმად ჩნდება თუ შუქად იღვრება,
ბოლომდე მღერის თავის სიმღერას.

არ ღირს ამ ამბის ან გამუქება,
მდინარეებო, მშვიდად იარეთ,
ზღვაში გათქვეფა არ გემუქრებათ.
(ჰვიეზდოსლავი 1994: 17)

200 წლის მერე, სლოვაკეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარების შემდეგ, ამ სონეტის თავისუფლების იდეით გამსჭვალულ საზრისს განსაკუთრებული ძალა და ღირებულება ენიჭება; მორის ფოცხიშვილის მიერ თარგმნილი სლოვაკი პატრიოტი პოეტის „სისხლიანი სონეტები“ ქართველი მკითხველის ეროვნული სატკივრის გამოხატულებადაც ჟღერს:

სლოვაკო ხალხო, როგორც შევარდენს,
გაშლილ დროშებად აფრენილს გხედავ!
გტკივა ჭრილობა? მე მინდა მეტად
მტკიოდეს იგი... კვლავაც გხედავდე

ცეცხლად შემართულს გახელებამდე,
მართალს ყოველთვის... იმედად შენდა
შენივე ენა სრულყოფით ჩნდება, –
ვის რა საქმე აქვს ან შენს ენამდე?

ვიცი, სამშობლო – მშობელი დედა,
რომ ყველა ბაღში თავის შვილს ხედავს,
მაგრამ ვილაცას, რატომღაც უნდა,
რომ დედინაცვლად გასახავდნენ მუდამ!
შენ ნუ მიიტან ასეთ „მადლს“ გულთან
თავზე გვირგვინი დაგადგან თუნდაც!

1918 წელს დაწერილი, გრიგოლ მეგრელიშვილის (მთის ნიავის) „სონეტი გამგზავრების წინ“ სუვერენული საქართველოს მცველს წარმოგვიდგენს:

ამამჩქეფარებს, როცა ბრძოლად გავემგზავრები
აღერსი თოფის მოელვარის და ჩახმახ-მალის
დამიმორჩილებს სიალმასე მე პირ-ლალ ხმალის
ანთრაკის ფერად გაშუქდება თვალთა მავრები.

და სულ ერთია – ვის ვუყვარვარ, ვის ვეჯავრები,
სიკვდილის ჩრდილქვეშ დავინახავ ყოვლის მძლე ხალისს!
შარავანდედი ვერ შემამკობს ბრწყინვალე ხვალის,
გამასვენებენ მჭმუნვარებით ომის მთავრები.

ნეტავ იმ ჭაბუკს, ვინც მტრის მკერდში ხმალს აამგოსნებს
სატრფოს მაგიერ ვნებით ჰკოცნის ტყვიებს ჯადოსნებს
ლაჟვარდ ძარღვებში უჩქევს სისხლი ლალ-მენამული...

მაშ... ბედაური!.. მსურს ავენთო ამაყი ჟინით,
მტრის რჩეულ რაინდთ თავს ვესხმოდე მშხამავ ყიჟინით,
რომ ვერვინ მკადროს: „საყვარელი მომეც მამული!“
(მეგრელიშვილი 2009: 68)

ამ, კლასიკური გარიტმვის სქემით შესრულებულ, სონეტში (abba abba ccd eed) განსაკუთრებით იქცევას ყურადღებას კატრენების რითმების სემანტიკა. პირველ კატრენში თოფისა (ჩახმახ – მალის) და ხმლის (პირ – ლალ ხმალის) დანყვილება, ხოლო მეორე კატრენში ოპტიმიზმით აღსავსე, მომავლის რწმენით განმსჭვალული პოეტ-წინასწარმეტყველის პორტრეტი (სიკვდილის ჩრდილქვეშ დავინახავ ყოვლის მძლე ხალისს: შარავანდედი ვერ შემამკობს ბრწყინვალე ხვალის). ამ სონეტმა, მართლაც, დოკუმენტურად აირეკლა საქართველოს განთავისუფლებისათვის ბრძოლაში დაღუპული ჭაბუკი პოეტი – მეომრის ბედი.

ბოლშევიკური რუსეთის შემოჭრა საქართველოში იოსებ გრიშაშვილმა რამდენიმე, მემბოხე პოეტის სულისკვეთების გამომხატველი, სონეტით გააპროტესტა („ავლაბარი“, „***იმღერეს

დიდება“, „სონეტი შუაბაზრის ტრამვაის“ და სხვა). მათ შორის გამორჩეულია 1922 წლის 9 სექტემბერს, მეტეხის საპატიმროში დაწერილი, თორმეტმარცვლიანი (33/33) სონეტი „იმღერეს დიდება“:

იმღერეს „დიდება“! ლალები, ფარჩები,
დარკინულ სარკმელზე იმღერეს სამფერად,
რა ვუყოთ, თუ ჩრდილოს ხორშაკმა დამბერა?
ო, ჩემო ქვეყანავ, ასე არ დარჩები!..

(გრიშაშვილი 1994: 18)

პოეტმა ამ სონეტში დამოუკიდებელი საქართველოს უმთავრესი სიმბოლოები ჰიმნი და სამფეროვანი დროშა დაუკავშირა ერთმანეთს და დაუპირისპირა ჩრდილოელ დამპყრობელს.

ბესიკური თოთხმეტმარცვლედისაგან (5/4/5) განსხვავებით, თორმეტმარცვლიანი ტეტრამეტრითა და ინგლისური სონეტის მსგავსად, სონეტის გასაღებით – ორტაეპედით დასრულებული, ეს სონეტი, შეიძლება ითქვას, ერთადერთია ქართულ პოეზიაში.

არაკანონიკური სონეტების მეშვეობით გამოხატა გიორგი ლეონიძემ საქართველოს თავისუფლების დაკარგვით გამოწვეული თავისი შინაგანი ტრაგიაში („ბიბლიური ჩვენება“, „თბილისის ოსტატები“) 1927-1928 წლებში. უფრო ადრე, 1924 წელს, დაწერილ სონეტში „საქართველო“ პოეტი ასე წარმოგვიდგენს სამშობლოს დატყვევების სურათს:

მოდის შამქორი – სოღანლული, დროშების მტვერი.
ზურნით ფალანგებს მოუძღვება კონდოტიერი
და შენი სისხლი გაჭედილი შიშით ზანზარებს.

(ლეონიძე 1980: 95)

ათმარცვლიანი სონეტი „ბიბლიური ჩვენება“ არაკანონიკურია.

ვისმენდი სიტყვას პირველად უსმენს,
დნებოდა ხორცი, ვით ცეცხლზე ცვილი,
აჰა, დამღურსმნეს
და „კვართსა ზედა იყარეს წილი!“

(ლეონიძე 1980: 107)

გ. ლეონიძეს გულს უკლავს საბჭოთა საქართველოს „ახალი თემატიკა“, „ახალი ადამიანის“ აღზრდის პრინციპები:

აქ ივინყებენ ფიროსმანის მზიურ მუშამბას,
ბექა ოპიზარს, ოსტატობის წმინდა ანდერძსა
აქ ივინყებენ ძველ პოეტებს ოქროსყელიანს.
(„თბილისის ოსტატები“. ლეონიძე 1980: 95)

ცნობილი ლექსმცოდნე მიხეილ გასპაროვი შეგვახსენებს: „ყოველი სალექსო ფორმა შეიცავს აზრობრივი ასოციაციების მრავალმრიან პლასტს, დაუნჯებულს გარდასული ჟამის პოეტთა თხზულებებში, წლებისა და საუკუნეების წინათ შეთხზულს... რამდენადაც მკაფიოდ წარმოვიდგენთ ლექსის ისტორიას, მით უფრო ღრმად ჩავწვდებით ჩვენ მიერ წაკითხული ნებისმიერი ლექსის აზრს“ (გასპაროვი 2003: 3). ქართველი პოეტებისათვის სონეტის ფორმა ძიების, განსჯისა და მწვავე პოლემიკის საგნად არაერთხელ ქცეულა (XX ს. 10-20-იან თუ XX ს. 70-80-იანი წლებში), თუმცა უეჭველია, რომ „ქართველ პოეტებს სწამთ სონეტი, როგორც უნივერსალური ფორმა შემოქმედებისა“ (გაფრინდაშვილი 1919: 11), რამაც განაპირობა მის მიმართ დღემდე შეუწელებელი ინტერესი ეროვნულ მწერლობაში.

1940 წელს იოსებ ნონეშვილმა დაბეჭდა „უკულმა სონეტი შაჰ-აბასს“. მასზე დაწერილ შალვა რადიანის მოკლე რეცენზიაში „ლიტერატურულ გაზეთში“ (1941 წ.) ეს სონეტი დაგმობილია, როგორც ფორმალისტური ლექსი. ასევე დაგმეს 40-იან წლებში გრიგოლ აბაშიძის პოემაში „ამირანის დაბადება“ ჩართული ორი სონეტი („დალის სიკვდილი“, „ამირანი“). 1942 წლით არის დათარიღებული მირიან აბულაძის სონეტი „სოლომონ ლეონიძე“, რომლის ეპიგრაფად წამძღვარებული სიტყვები უადრესად ზუსტი ანარეკლია „დიდი მსაჯულის“ მსგავსი პატრიოტების სულისკვეთებისა: „ხელმწიფე მფლობელო, საზოგადოვ მამავ, მეფე ერეკლე! ვის დროშას ვემსახურო? ვინ შევიყვარო? ვისთვის მოვჰკვდე? ვისთვის ვიცოცხლო? შენს უკან სიცოცხლე საზრახავად გამწარებულმან!“

სოლომონ ლეონიძის მსგავს პატრიოტებს შეჰყურებს საქართველო მირის აბულაძის სონეტში „იმედით, თრთოლვით“:

... მაგრამ, ამოდ თბილისიდან ბედითი თვალი
უკვე კვრსავდა მისი გზების უდაბურებას...

ტაგუ მებურიშვილის „სამი სონეტი საქართველოს თავისუფლებას“ გაზ. „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნდა (1992) და მკაფიოდ გამოხატა ჩვენი სამშობლოს თავისუფლების მოპოვებით აღძრული სიხარული:

სამშობლოვ ჩემო, ხნით ამ ცის და მზის თანატოლო,
თავისუფლებამ, წამებულო, ხელი ჩაგბლუჯა
ამიერიდან ვერ აგიგდებს ვერვინ აბურჩად,
ამიერიდან ვერვინ გაგცემს ხმას უბატონოდ...
(მებურიშვილი 1992: 14)

ბევრი თანამედროვე ცნობილი ქართველი პოეტი წერს სონეტებს (ლია სტურუა, ოთარ მიქაძე, შოთა ზოიძე, რატი ამალლობელი, ბათუ დანელია, ზვიად რატიანი, სოსო მემველიანი, ლელა სამნიაშვილი, ბექა ახალაია და სხვ.), როგორც კლასიკურს, ისე მის ნაირსახეობებს. სამაგალითოდ შეიძლება მოვიხმოთ შოთა ზოიძის „უსანქციო სონეტების“ კრებული (1996), რომელიც 70 სონეტს აერთიანებს. „უსანქციო სონეტების“ თემატიკას ასე განსაზღვრავს პოეტი უკანასკნელ, 70-ე სონეტში:

პოეტის ბედი ყველა დროში ხიდია ბენვის,
მეც უსანქციო სონეტების შევკარი ტივად,
თუ მტკივა, ჩემი უბედური სამშობლო მტკივა
თუ მენვის, ჩემი მკერდდამწვარი მამული მენვის!
(ზოიძე 1996: 79)

ეროვნული სატკივარი, ქვეყნის დამოუკიდებლობის შენარჩუნების მარადიული პრობლემა ევროპული ლექსის ფორმით – სონეტით – არის გამოხატული XX ს. 90-იან წლებში შოთა ზოიძის მიერ; ოთარ ჭელიძის „დღემდე მოღწეულნი“ კი არაკანონიკურია: 14+1 (კლასიკური სონეტის 14 ტაეპს პოეტი კიდევ ერთს უმატებს, ამიტომაც არქმევს მას „კენტსონეტს“):

ჩემი უბედური თაობიდან
დღემდე მოღწეული ყავარჯნებით
როცა სამსჯავროში გამოდიან
ხელი გაუნოდეთ გადარჩენილთ.

თუ რამ შეაშინებთ სიბერისას,
უნდა წარსულისთვის აპატიოთ,
რადგან ბოროტების იმპერია,
ჯერ მათ გადაექცათ საპატიმროდ.

ყველა – შიმშილისგან, სიცივისგან,
მტრისგან დაღუპულთა მგლოველია.
ზოგი სოლოვკიდან, ციმბირიდან,
ზოგიც ლეგენდიდან მოგვევლინა.

და სულმოუთქმელად მოელიან,
სისხლით გალოთებულ იმპერიას
როდის გამოვტაცებთ იბერიას.
(ჭელიძე 1992: 8)

XX ს. 90-იან წლებში დაწერილი ოთარ ჭელიძის სონეტები ერთ-გვარი აღსარებაა ტოტალიტარული რეჟიმის მსხვერპლი ქართველი ინტელიგენციისა. პროფესორ ვასილ ვარაზაშვილის ხსოვნას მიუძღვნა ო. ჭელიძემ ათმარცვლიანი საზომის ორიგინალური მეტრული სქემით (3/3/4) შესრულებული სონეტი „ნობელის პრემია“:

მსოფლიოს ყველაზე საპატიო
ჯილდოთი გელოდა გაბრწყინება,
ბოლოს კი – საბჭოთა საპატიმრო,
ან ტვინში ტყვიების ჩანყვილება...

გახსოვდა – რა ხალხი გაფრენილა
ნავთლულის ხრამისკენ, ელიასკენ
შავბნელი მანქანით, გამთენია...

და ჩემთვის დღესავით ნათელია –
წილხვდომილ ნობელის პრემიაზე
უარი რა დარდმაც გათქმევინა.
(ჭელიძე 1992: 8)

XX ს. 90-იანი წლების დამდეგს სონეტის ფორმა, როგორც გამომხატველი თავისუფალი საქართველოს იდეის საზრისისა, განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში მოექცა, ალბათ, იმიტომაც, რომ სონეტებს წერდნენ ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა – თანამედროვე საქართველოს დამოუკიდებლობის, თავისუფლების მომპოვებლნი.

მერაბ კოსტავას არაკანონიკური სონეტი „კოხტაგორა“ თავისუფლების მაძიებელ ქართველთა ერთობას ეძღვნება:

... ნისლთ საბუდარო, ზეაღმტაცო ჭვრეტის საგანო,
მოგეახლები, ვით შეთქმული იმათთაგანი,
რათა შემიტკბო მარტოსული, მიუსაფარი

და განმიმართლო გარდასული დროის ზღაპარი
დავლახნოთ უამნი, ტაიჭების გავხედნოთ რემა,
მზეგადასული შეთქმულების გავიყოთ გვემა.

(კოსტავა 1990: 166)

საულისხმოა, რომ 2008 წლამდე უცნობი იყო მირზა გელოვანის სონეტი „ტიციანს“.

მანანა ზარიძის რედაქტორობით გამოცემული „ივრისპირელი მზეჭაბუკის“ წყალობით, ქართველი მკითხველი გაეცნო 1938 წელს დანერილ ამ ლირიკულ შედევრს; სონეტში პოეტი საქართველოსათვის წამებული ტიციან ტაბიძის სახეს გვიხატავს:

ღვთისმშობლის ხატთან დაეცემი, გინდა პასუხი,
თუ შენი ტანჯვა ზეციერმა რისთვის ინება
რისთვის დაჰკიდა თმის ღერებზე ამდენი სუსხი!

(გელოვანი 2008: 110)

XX ს. უკანასკნელ ოცნლეულში სონეტმა კვლავ იტვირთა საქართველოს თავისუფლების იდეის გამოხატვის ფორმის ფუნქცია: აფხაზეთიდან დევნილთა ტრაგედია აისახა გენოკალანდიას სონეტებში.

ნუ მკითხავ, რისთვის დაიღვარა ამდენი სისხლი
რა ნაღველს მალავს გულმჭმუნვართა თვალი და ფიქრი,

რა იყო გუმი, რა იქნება ამ უფსკრულის იქით,
რით აგაშორო ტყვიას და სიკვდილს.
(„ჯვარი და გვირგვინი“. კალანდია 2015: 382)

ოთარ მიქაძის სონეტი „ბუნდოვანი კონტურები“ კი საუკუნის
უღელტეხილის ავადსახსოვრად შემონახულა:

არ მოაკითხეს ძველ ბუდეებს წელს აქ მერცხლებმა...
კრთება ცისკარი, ბრმა ტყვიებმა რომ არ დაცხრილონ.
მთვარის სავარცხლით, ზღვაო, ტალღებგადავარცხნილო,
თვეთაგან რისხვა დაგვატეხა რიგით მეცხრემან.

მოქრის ზღვაური... თითებშუა ქვიშა მეცრება, –
აჰ, ღვინობისთვე! მაგრამ რთველი?! ღვინო?! – არც ღვინო,
პარტახი ყველგან – სავალალოდ და სამარცხვინოდ –
ამ სამზეოში და მზაკვრობა და უმეცრება.

ულმობელია მაინც ომი, სხვაა ფატუმი, –
ბედისწერისგან ახლა მხოლოდ ზღვა და ბათუმი
მიხსნის დროებით, ვაი, რომ ცხუმი მომმდურებია!

უსიერ ლანდებს თვალს ვადევნებ საკენისაკენ, –
სად უკვე თოვს და ველარ არჩევს საგანი საგანს,
უღელტეხილის ბუნდოვანი კონტურებია.
(მიქაძე 1993: 12)

განსაკუთრებული ღირებულება შეიძინა 1989 წლის 9 აპრილის
ტრაგედიის გამოხატვის დროს „სონეტების გვირგვინმა“: დავით
მჭედლურის, ჯემალ ინჯიას, ჯენეტი ვეკუას „სონეტების გვირ-
გვინები“ გააზრებულია ავტორთა მიერ, როგორც რეკვიემი საბჭო-
თა იმპერიის ბოროტებას მსხვერპლად შეწირული გმირებისა.

დამონეგანი:

აბულაძე 1997: აბულაძე მ. *მტკვარი კიდევ ჩაატარებს ტივებს...* თბილისი: 1997.

აპოლინერი 1986: აპოლინერი გ. „ახალი ცნობიერების“ პოეტები. ჟურნ.
საუნჯე, №11. 1986.

გასპაროვი 2003: Гаспаров М. Л. *Очерк истории европейского стиха*. М.-П.: “Формула лимитед”, 2003.

გაფრინდაშვილი 1919: გაფრინდაშვილი ვ. *სონეტის პრობლემა*. ჟურნ. მეოცნებე ნიამორები, № 11. თებერვალი. 1919.

გელოვანი 2008: გელოვანი მ. *ივრისპირელი მზეჭაბუკი*. თბილისი: გამომცემლობა „აბული –7“, 2008.

გრიშაშვილი 1994: გრიშაშვილი ი. *დაუბეჭდავი ლექსები*. თბილისი” გამომცემლობა „ლომისი“, 1994.

ვალერი 2010: ვალერი პ. „პოეზია და აბსტრაქტული აზრი“. *ლიტერატურის თეორია. ქრესტომათია*. II. თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2010.

ზოიძე 1996: ზოიძე შ. *უსანქციო სონეტები*. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 1996.

კალანდია 2015: კალანდია გ. *ორტომეული*. ტ. I. თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“, 2015.

კოსტავა 1990: კოსტავა მ. *ლექსები*. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 1990.

ლეონიძე 1980: ლეონიძე გ. *ერთომეული. ლექსები. პოემები*. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 1980.

ლოტმანი 2015: ლოტმანი ი. „პოეტური ქმნილების ლექსიკური დონე“. *ლიტერატურის თეორია. ქრესტომათია*. III. თბილისი: გამომცემლობა “GECLA Press”, 2015.

მეზურიშვილი 1992: მეზურიშვილი ტ. „სამი სონეტი საქართველოს თავისუფლებას“. გაზ. *„ლიტერატურული საქართველო“*, 16 ივნისი. 1993.

მეგრელიშვილი 2009: მეგრელიშვილი გ. (მთის ნიავი). *ბედის მდინარე. პოეზია, ღვაწლი*. თბილისი: გამომცემლობა „ნიგნის სახელოსნო“, 2009.

მიქაძე 1993: მიქაძე ო. *სონეტები*. გაზ. *„ლიტერატურული საქართველო“*, №32. 1993.

ორბელიანი 1989: ორბელიანი გ. *სალამო გამოსალმებისა*. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 1989.

ჭელიძე 1992: ჭელიძე ო. „სონეტები“. გაზ. *„ლიტერატურული საქართველო“*, 18 მაისი. 1992.

ჰვიეზდოსლავი 1994: ჰვიეზდოსლავი ხ. ო. *სისხლიანი სონეტები*. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 1994.

I.L. BAGRATION-MOUKHRANELI

Rossia, Moscow

PSTBU

On One Educational Institution of the Georgian Democratic Republic

The independent government of Georgia implemented a large-scale program of educational institutions. Tiflis was an important center of education in different fields – ecclesiastic (seminary of different confessions), secular (gymnasium, lyceum, commercial schools), military ones (Noble school, cadet corps), women’s educations (St. Nino’s institute), private education. All this institutions continued their activities after revolution under the time of new Georgian government. At the same time, other equally effective institutions have emerged, albeit on a smaller scale.

The French Lyceum opened in 1918 and existed before the arrival of Soviet power, left a significant mark on Georgia’s culture of the twentieth century. Its graduates, who studied only 4 years in this institution, continued to meet for many years and celebrate the memory of the Lyceum, designed to carry out real European integration for the younger generation of Georgians. However, these plans weren’t fated to come true. The Soviet government ceased the activities of The French Lyceum.

Key words: Georgia, education, gymnasium, seminary, military school, women’s education, private institution, French Lyceum.

И.Л. БАГРАТИОН-МУХРАНЕЛИ

Россия, Москва

ПСТГУ

Об одном учреждении образования Демократической Республики Грузии

Правительство Независимой Грузии, несмотря на социалистический характер, продолжало лучшие дореволюционные традиции, которыми отличался Тифлис в качестве культурной столицы Кавказа. В 1918 году здесь был открыт Французский лицей. Его выпускники, проучившиеся

лишь 4 года в этом заведении, продолжали многие годы встречаться и отмечать память Лицея, призванного осуществлять для молодого поколения грузин реальную европейскую интеграцию. В Лицее учились представители лучших грузинских фамилий — кн. Леонида Георгиевна Багратион-Мухранская, впоследствии супруга Владимира Кирилловича Романова, наследника Российского престола. Кн. Кетеван Николаевна Чолокашвили (в замужестве кн. Микеладзе), кн. Леонид Давидович Багратион-Мухранский, ветеран ВОВ, заслуженный инженер республики, Георгий Захарьевич Джишкариани, Георгий Гедеванишвили, Лили Гварамадзе – народная артистка республики, солистка Тбилисского театра оперы и балета, кн. Елизавета и Мария Багратион-Мухранские и др. Программа была рассчитана на широкое знакомство учеников с экономикой, историей, географией и литературой Франции и Европы. Ученики могли бы поступать для продолжения обучения в Сорбонну. Более того, по словам современника, французское правительство в знак поддержания связей с Грузией готово было дать приют этому учреждению в Париже (Дюге Раймонд 1992: 196).

Однако всем этим планам не суждено было сбыться. Советская власть прекратила деятельность Французского Лицея, как и многих других образовательных учреждений Грузии. Между тем, образовательные учреждения только дореволюционного Тифлиса были многочисленными и разнообразными. Они делились на духовные, светские (в том числе коммерческие) и военные.

Начиная с 70 годов XIX века, вопрос образования стоял в центре споров о будущем Грузии. Репрессивная политика РПЦ, запрещавшая грузинский язык в качестве богослужебного – началась еще в 20-е годы 19 века, когда экзарх Феофилакт Русанов ввел службу на церковнославянском языке в грузинских храмах, не только по воскресеньям и праздникам, но также по вторникам, четвергам, пятницам и субботам. Такой, далеко не либеральный человек, как А.П.Ермолов, осуждал его за излишнюю резкость в области церковной политики. В дальнейшем, грузинский язык оказался и вовсе под запретом.

Это было тем более необъяснимо, если вспомним, что несколькими веками ранее, например, в Житии афонского монаха Эптимэ, выдающегося переводчика и деятеля православия, написанное Гиорги Афонским, есть рассказ о том, как Эптимэ в юности болел и исцелился в

результате посещения Богородицы «Ныне предстала предо мной некая славная царица и сказала грузинским языком: “Что это, что болит у тебя Эптвимэ?” А я сказал “Умираю, царица”. И как это сказал я, приблизилась, взяла за руку и сказала мне: “Нет никакой страсти в тебе, встань, не бойся, и по-грузински говори свободно”. И вот, как видишь меня, во все у меня ничего не болит». И говаривал блаженный Иованэ: «До того времени с трудом говорил по-грузински, и я весьма печален был из-за этого, а с тех пор безостановочно, как источник, изливается <грузинская речь> его чище, чем у всякого грузина» (Григорий Афонский 1995: 369). Грузинская церковь всегда в полной мере осознавала значение грузинского языка.

В XII веке, тогда же монах Иоанэ-Зосимэ, подвизавшийся на Синайской Горе, не менее удивительно выразил суть отношения к грузинскому языку: «Хранится язык грузинский до дня Второго Пришествия... дабы всякий язык Бог обличил этим языком.... И язык этот спит до сего дня... И язык этот, украшенный и благословенный именем Господним, смиренный и презираемый, ожидает дня Второго Пришествия Господня» (Иоанэ-Зосимэ 2018: 31).

В XIX веке эти традиции, особенно в семидесятых годах и конце XIX века грубо попирались.

С 1864 года начал издаваться на русском и грузинском языке «Духовный вестник Грузии», печатавший документацию Священного Синода, материалы по истории Грузинской Церкви и культуре, жития святых. Журнал был закрыт в 1868 году экзархом Евсевием (Ильинским) под предлогом недостатка средств.

В 1877 году Михаил Сабинин опубликовал на русском языке «Историю Грузинской церкви с древнейших времен до VI века», а затем жития грузинских святых на русском и грузинском языке.

Император Александр писал в 1867 году наместнику Кавказа Вел. кн. Михаилу Николаевичу, что «Кавказ надо покорить вторично, и на этот раз – совершенно другим оружием. Без этого не будет прочного физического покорения. Такой победой должна стать духовная, религиозная победа» (Павлиашвили 1995: 33).

Среди грузинских общественных деятелей, несмотря на неправильную, а порой прямо вредоносную российскую политику в отношении грузинской церкви, а особенно церковных учебных заведений, шла

большая позитивная работа. На средства приходов открывались бесплатные церковно-приходские школы. В Духовную семинарию принимались не только дети священнослужителей, но и всех сословий, не зависимо от национальной принадлежности. Здесь учились грузины, осетины, русские, татары (тюркское население Кавказа). Выдающийся педагог Якоб Гогебашвили написал учебник грузинского языка «Дэда эна» – «Матерь-язык»), где большое внимание было уделено православию. «Холодная молитва, произнесенная на чужом языке, не имеет цены у Господа и не греет сердце молящегося <...> Недаром наделил Господь Своих апостолов знанием родных языков. Каждому народу они должны были проповедовать Евангелие на родном языке, на родном же языке учить людей молитве» (Гогебашвили 1962: 132) Однако проверяющие из Петербурга неоднократно обвиняли Гогебашвили в национализме, равнодушии к вере и других грехах. В Духовной семинарии возникали тайные кружки среди учащихся, занимавшихся чтением запрещенной литературы. В результате доноса часть преподавателей и Якоб Гогебашвили в том числе, была уволена.

Реакцией на подобную политику было выступление студентов Духовной семинарии в народнические и марксистские кружки и революционные организации.

В 1886 году исключенный из семинарии студент И.Лагиашвили смертельно ранил ректора Духовной семинарии П. Чудетского. В надгробном слове экзарх Павел (Лебедев) предал проклятию Грузию, что вызвало дополнительные волнения в Грузии. Предводитель Кутаисского дворянства Дмитрий Кипиани обратился с посланием к Павлу и предложил ему немедленно покинуть проклятую им страну. Вместо этого Дм. Кипиани был выслан в Ставропольскую губернию, где через год был убит при загадочных обстоятельствах.

Кроме этого Грузинская церковь во второй половине XIX века подвергалась и прямому разграблению. В период управления Грузинским Экзархатом Евсевия (Ильинского) из Метехского храма исчезала икона в золотых окладах – чудотворная икона Божьей Матери X века, из Сионского собора чудотворная икона Св.Нины. Генерал-губернатор граф В.В.Левашов приказал изъять из Гелатского монастыря, расколоть и продать европейским коллекционерам драгоценные перегородчатые эмали оклада Хахульской Богоматери. Художнику В.А.Васильеву был

заказан эскиз иконы, с которого художник Сазиков сделал копию иконы, которую вернули в монастырь. Обман оказался раскрытым и вызвал возмущение общественности. Некто фотограф Сабин-Гус под видом реставрации похищал грузинские иконы. Существовало прямое давление чиновников на грузинских священнослужителей и паству, в Священный Синод регулярно поступали доносы на Грузинскую церковь.

Тем не менее, грузинские архиереи, с детства владевшие грузинским и русским языком, принадлежавшие к обеим культурам, занимались укреплением православия. Святитель Гавриил (Кикодзе), ныне причисленный к лику святых, по своей инициативе и на собственные деньги, открыл более 100 приходских школ и библиотек, основал в Кутаиси женское епархиальное училище. Он был избран почетным членом Общества по распространению грамотности среди грузин (1879), благодаря ему 18 тысяч абхазов приняли православие. На его средства были отреставрированы десятки церквей и монастырей. Не менее яркой была и деятельность свт. Александра (Окропиридзе). Особенно много внимания святитель уделял возрождению грузинского духовного пения. На его деньги директор Тифлисской музыкальной школы композитор М.М. Ипполитов-Иванов, вместе со священником Василием Карбелашвили и педагогом В.И. Дановским собрали, записали и напечатали древние грузинские (кахетинско-карталинские) духовные песнопения, чем спасли их от забвения.

Эти события происходили одновременно с политическим противостоянием церковным властям. Непосредственный предшественник священномученика Владимира, экзарх архиепископ Палладий (Раев) пытался проводить более либеральную политику. Студенты Духовной семинарии устроили забастовку и выдвинули Экзарху требование уволить антигрузински настроенных преподавателей. Экзарх распустил Духовную семинарию на год, зачинщики были исключены и отданы под надзор полиции, и когда занятия возобновились, они проходили при помощи специально приглашенных на занятия полицейских.

Примерно такова была обстановка на «гибельном Кавказе», когда сюда был назначен священномученик Владимир (Богоявленский).

Он относился с большим уважением к грузинской культуре и традициям грузинской церкви. В 1894 году он направил в Святейший Синод доклад, посвященный необходимости реорганизации и отмены Грузин-

ско-Имеретинской синодальной конторы, поскольку она попустительствовала притеснению грузинского духовенства, личному обогащению за счет церкви. В докладе говорилось о необходимости назначения во главе церковной жизни священника из грузин, увеличения количества епархий, коренном изменении управления грузинской церковной жизнью. Доклад остался без внимания.

В бытность архиепископа Кахетинского и Карталинского Владимира в Грузии на Кавказе разразилась эпидемия холеры. Многие отмечали достойное поведение Экзарха. Были открыты столовые для населения, владыка мужественно нес пастырские обязанности, не боясь заразиться.

Несмотря на трудности, по инициативе Владимира был образован возглавленный им Комитет по восстановлению кафедрального собора Светицховели, до этого реставрированный личной инициативой художника кн. Г.Гагарина, служившего в армии на Кавказе. По всей Грузии в 90-х годах XIX века было отреставрировано свыше 100 храмов. В Кутаиси были созданы Духовная семинария и Миссионерское епархиальное духовно-просветительское братство. Было открыто свыше 300 церковно-приходских школ, учреждены пенсии педагогам Общества.

В конце XIX века в русской православной церкви встал вопрос о возможности восстановления патриаршества в РПЦ. В Грузии эти проблемы нашли горячий отклик. К общецерковным вопросам прибавлялся вопрос о независимости Грузии, связанный с церковной автокефалией.

В 1895 году один из приверженцев идеи автокефалии некто Калмахелидзе убил архиерея Николая Симонова. На будущего священномученика Владимира, убитого в Киеве в первые месяцы революции, в Тифлисе также готовилось покушение его псаломщиком, обнаруженным в кустах, прятавшимся возле дома архиепископа с кинжалом. К счастью, покушение удалось предотвратить.

В XX веке вопросы церковной политики все теснее переплетались с политикой. Будущее Грузии теснейшим образом было связано с вопросами просвещения и образования. Организация Тбилисского университета и целый ряд акций в этой области демонстрировал политику молодой Грузинской республики. Ориентация на европейские страны, преодоление национальной замкнутости проявились в существовании Французского лицея в Тбилиси.

Вопрос автокефалии, поднимавшийся на Предсоборном собрании не был разрешен положительно. Голосование было против, победила точка зрения прот. Восторгова и К.Победоносцева. Хотя будущий патриарх Тихон (Белавин) голосовал за предоставление автокефалии грузинской церкви. Однако будучи избран патриархом русской церкви он не принял самостоятельности церкви грузинской.

Что касается светского образования, старейшее общеобразовательное училище для мальчиков появилось в Тифлисе сразу после присоединения Грузии к России. 24 января 1803 года Александр I утвердил «предарительные правила народного просвещения» и 5 ноября 1804 года вышел «Устав учебных заведений» подведомственных университету и попечителям округов. Новые учебные заведения были рассчитаны на 4 годичных курса. Цель их в Уставе определялась так: «1) подготовить к слушанию университетских наук; 2) преподавать сведения, необходимые для благовоспитанного человека и 3) подготовить желающих к учительскому званию в уездных, приходских и других низших училищ». Этот устав отражал новую систему образования в духе наполеоновской Франции и имел целью упорядочить работу вновь открывающихся гимназий и лицеев. Наполеон считал, что образование должно строиться по военному образцу. Во главе – Академия наук (аналог Генерального штаба во главе с фельдмаршалом – президентом Академии), затем – более низшая, подчиненная ступень – университеты. Затем лицеи и гимназии, ниже которых – образование для народа – церковно-приходские школы. Проект Царскосельского Лицея в столице стал результатом этой модели.

В Тифлисе благодаря усилиям Цицианова 21 мая 1804 года было открыто Благородное училище для обучения российскому и грузинскому языкам. Оно должно было иметь вид корпуса или заведения, где воспитанники жили бы под надзором учебных чиновников. Но грузинское дворянство решительно воспротивилось этому, отказавшись разлучаться с детьми и отдавать их под надзор российских чиновников. Тогда пришлось изменить условия его существования. Деньги, выделенные на содержание учеников были обращены в жалованье ученикам в виде некоторой награды родителям за позволение детей своих обучаться. Но выделенная из казны сумма в 10.000 рублей оказалась недостаточной из-за того, что приходилось платить ученикам, чтобы стимулировать по-

сещение ими школы. В 1807 году, кроме установленных наук, было введено изучение немецкого и латинского языков. Кроме того, окончившие курс получали право поступать на казенное содержание в благородный пансион при Московском университете для продолжения образования.

Несмотря на все эти нововведения, посетивший училище в 1818 году А.С.Грибоедов отмечал: «... при обозрении моем я не нашел в нем ни библиотеки, ни достаточного количества пособий и не заметил ни малейших успехов со стороны учащихся; училище сие было в жалком положении; учеников считалось от 50 до 60. Из них большая часть получала денежное пособие, проживало в домах у своих родителей или по деревням, вовсе не посещая Училище...» (Грибоедов 1954: 95).

Такое положение вещей не могло удовлетворять создателей училища и в 1819 году последовала реформа, в результате которой больше внимания было уделено созданию школьной библиотеки, закуплены новые учебные пособия, отдельные предметы были заменены, а некоторые учащиеся лишены денежных пособий. В разное время здесь учились Соломон Додашвили, Дмитрий Кипиани, Георгий Эристави. Здесь начал свое образование Николоз Бараташвили.

Одновременно с Благородным училищем, вскоре преобразованным в Первую Мужскую гимназию, в 1824 году в Тифлисе было открыто первое общеобразовательное среднее учебное заведение – армянская школа. Она была основана патриархом-каталикосом Нерсесом V-м Аштарекаци и была направлена на получение не только духовных, но и светских знаний. Учебная программа содержала широкий круг предметов и в дальнейшем стала образцовой для армянских школ Закавказья. Но в 1837 году по требованию царских чиновников школа была преобразована в епархиальную духовную семинарию, которая по имени основателя стала называться Нерсесянцевской. Она оставалась важным просветительским центром. В 1858 году во дворе школы стала работать типография, впервые напечатавшая на новоармянском языке (ахшарабаре) произведения Хачатура Абовяна. Школа продолжала существовать до революции, расширяясь и совершенствуя преподавание. Ее окончили свыше 2 тысяч учащихся, многие из которых стали выдающимися учеными, общественными деятелями, врачами, литераторами, художниками.

С началом царствования Николая I произошли перемены и в области образования. Николай считал, что виной восстания декабристов, в чис-

ле прочего, было не контролируемое домашнее обучение юношей, приведшее к отсутствию моральных основ и некритическому отношению к Франции, свергнувшей монархический строй. В 1826 году «Комитет устройства учебных заведений» выработал новый устав для Гимназий, утвержденный 8 декабря 1828 года. Грибоедов составлял сведения относительно Тифлисского Благородного училища, в 1829 году преобразованного в гимназию.

К гимназии был присоединен пансион и помимо директора гимназии было введено звание почетного попечителя, для общего с директором надзора за гимназией и пансионом, впоследствии создано «Общество для оказания пособий ученикам 1-й тифлисской мужской гимназии; созданы педагогические советы, в которых обсуждались состояние учебного заведения и меры по его улучшению. В гимназии имелся свой врач, школьными врачами были лучшие специалисты-медики, иногда даже доктора наук.

Изменилось соотношение предметов. Главными были признаны древние языки и математика. Первые – как «надежнейшее основание учености и как лучший способ к возвышению и укреплению душевных сил юношей; последняя – как служащая в особенности к изощрению ясности в мыслях, их образованию, проницательности и силе размышления» (Бабаджанова 2010: 3) Увеличивалось количество часов по закону Божьему и уроков по отечественному языку. В гимназии служили православный и армяно-григорианский священники, римско-католический и лютеранский пасторы, иудейский и магометанский законоучители.

Кроме общеобразовательных предметов в гимназии были уроки музыки и танцев, а также гимнастики и фехтования, которые проходили в специально оборудованном зале. Из учеников старших классов был сформирован свой оркестр.

В 1837 году была введена система экзаменов и аттестатов. С 1846 года успехи учеников оценивались по пятибалльной системе. Сведения о состоянии учебных заведений регулярно публиковались в «Кавказском календаре». Из них можно составить представление о составе учащихся на 1901 год. Из них: русские – 358, грузины – 178, армяне – 239, татары – 37, горцы, евреи – 38, другие национальности – 40. В 1906 году учеников было 918, в 1913 – 890.

Среди выпускников 1-й Тифлисской гимназии значатся выдающиеся деятели самых разных областей, без преувеличения, цвет нации – Илья

Чавчавадзе, Иванэ Джавахишвили, Давид Абашидзе (схиархиепископ Антоний), Сергей Витте, Владимир Немирович-Данченко, Александр Сумбаташвили, – этот блистательный список можно продолжать.

И это было не единственное место получения светского образования в Тифлисе XIX века.

В 1878 году была открыта 2-я гимназия, также оставившая большой след в культурной жизни. Во второй гимназии усилиями преподавателя истории Г.Н.Гехтмана (уроженца Кутаиси) была создана удивительная атмосфера, о которой вспоминали многие выпускники. Историко-философский кружок, который посещали многие воспитанники, будил способность к самостоятельным размышлениям, укреплял особые отношения дружества между учениками. Гехтманом были созданы особые отношения шефства между старшими и младшими учениками, которые можно назвать «кружковством». Среди окончивших вторую гимназию (золотой выпуск 1900 года) были такие выдающиеся деятели русского религиозного ренессанса, как о.Павел Флоренский, А.Ельчанинов, В.Эрн, психиатр М.М.Асатиани, впоследствии среди выпускников были художник Д.Бурлюк, политики И.Церетели, Л.Розенфельд (Каменев), поэт Н.Гумилев и его брат. Связь между старшими и младшими учениками сохранялась многие годы. Мальчики, которых, например, опекал А.Ельчанинов, «ельчаниновцы», десятилетиями сохраняли с ним связь, в том числе и в эмиграции, став прихожанами о. А.Ельчанинова. А М.М.Карпович сделался в эмиграции деканом славянского факультета в Гарварде и редактором «Нового журнала» и также поддерживал тесную связь с бывшим соучеником.

Всего мужских гимназий в Тифлисе было шесть и, кроме того, Грузинская дворянская гимназия, построенная на пожертвования частных лиц. Благотворителем и меценатом выступал также бывший наместник Кавказа граф М.С.Воронцов, который учредил 9 стипендий для учебы одаренных грузинских мальчиков в Петербургском университете. Среди таких стипендиантов был и Нико Николаде.

Наряду с гимназиями были основаны военные учебные заведения – в 1871 году открыта военная прогимназия, в 1875 году преобразованная в Тифлисскую военную гимназию, а в 1882 году на базе их был создан Тифлисский кадетский корпус. Вскоре это заведение стало входить в десятку лучших военных школ Российской империи. На его содер-

жание выделялось 32 850 рублей, дополнительно было предусмотрено вознаграждение священнослужителям православной, римско-католической, армяно-григорианской церквей и учитель магометанского закона. Дополнительно выделялись деньги на наем органиста во время лютеранской службы. В 1909 году кадетский корпус получил название Тифлиссский Великого Князя Михаила Николаевича Кадетский корпус. Заведение это было весьма престижным, выпускники его имели право поступать в любое высшее учебное заведение без экзаменов, но они не всегда выбирали военную карьеру.

Еще одним выдающимся учебным заведением было Тифлиское юнкерское пехотное училище. С окончанием Кавказской войны в 1864 году Императором был издан указ (от 8 июля 1864 года) о новом положении подготовки кадров для российской армии. Юнкерские училища ставили себе цель готовить нижние чины пехоты и кавалерии к получению офицерского звания. Курс обучения был рассчитан на два года (с 1901 – на три года). Он состоял из двух классов – младшего (общего) и старшего (специального). В младшем преподавали закон Божий, русский язык, немецкий и французский языки, математику, физику и химию (начальные сведения), черчение, географию и историю.

В старшем, специальном классе проходили предметы, необходимые для командования батальоном – тактику, воинские уставы, военную топографию, полевую фортификацию, сведения об оружии, о военной администрации, о военном судопроизводстве, военную географию, военную гигиену, иппологию (науку о лошадях).

В училище принимали окончивших военные прогимназии или соответствующие гражданские учебные заведения, а также вольноопределяющихся. Предпочтение отдавали выходцам из дворянских семей. По окончании курса, юнкеры производились в подпоручики армейской пехоты. Каждое юнкерское училище имело свои знаки отличия, знамя и девиз. Были они и у Тифлиского юнкерского пехотного училища: голубые погоны с вышитой золотом буквой «М.», в честь основателя училища, Великого Князя Михаила Николаевича, знамя с изображением Спаса Нерукотворного и девиз: «Жизнь – Царю, Сердце – Даме, Честь – Самому себе!».

В 1917 году был издан указ о прекращении производства в офицеры, отменены все звания и награды. Тифлиское юнкерское пехотное учи-

лише этому приказу не подчинилось и верность новой Грузии сохраняли до конца, обороняя Тифлис. В 1921 году юнкера приняли решительное участие в сопротивлении наступающим частям Красной Армии. Трагическая гибель большинства из них предшествовала уничтожению выросшего их военного заведения. В том же году Тифлисское юнкерское училище прекратило свое существование. В советское время на его базе были открыты военные курсы, а в 1929 году был создан артиллерийский дивизион, который начал готовить офицеров артиллерии.

Большим подспорьем в деле просвещения были частные учебные заведения, обеспечивавшие кадрами потребности торговли. Создавались они усилиями меценатов и благотворителей купеческого звания. Торговые школы, такие как Торговая школа Тифлисского купеческого общества имени А.И.Манташева, Тифлисская частная торговая школа Ивана Захаровича Тер-Степанова, Торговые классы общества распространения коммерческого образования в Тифлисе Г.К.Тер-Давидяна, Состоящие в ведении Министерства Торговли и Промышленности курсы коммерческих знаний Т.М.Филояна, многочисленные Бухгалтерские курсы, Частные торговые школы и многие другие обеспечивали потребности в развитии практического образования.

Попечители, такие как Манташев, Мелик-Азарянц и другие, не жалели денег на строительство школ, оплачивали обучение за рубежом наиболее талантливых учеников, поддерживали учащихся из малообеспеченных семей. Просвещенное купечество понимало необходимость этого. Характерно, что например, Александр Манташев, обладавший несомненным предпринимательским талантом, не имел высшего образования. Но это не помешало ему получить за свою просветительскую и благотворительскую деятельность такие звания, как кавалер Ордена Почетного Легиона, Члена Совета кавказского попечительства императрицы Марии Александровны о слепых, Почетный попечитель Тифлисской гимназии, Член попечительского совета тифлисского коммерческого училища, Член дирекции губернского попечительского комитета о тюрьмах, Почетный блюститель тифлисской Манташевской торговой школы. Последняя – любимое детище А.Манташева, оборудованная первоклассными лабораториями и кабинетами, сильным педагогическим составом, оказалась успешным начинанием, пережила несколько политических режимов. После установления Советской власти, в 1922

году из помещения школы убрали бюст ее основателя и табличку на стенах школы, переименовав в 43-ю общеобразовательную школу. Она пережила падение Советской власти, перестройку, возникновение независимой Республики Грузия, существует и поныне и продолжает нести высокие традиции, заложенные ее основателем, будучи одной из сильных тбилисских школ.

Карта тифлиских учебных заведений дополняется также гимназиями «для воспитания и образования молодого женского поколения». Первое в Тифлисе женское учебное заведение по положению об учреждениях императрицы Марии открылось 23 марта 1840 года. В 1846 году супругой Наместника графа М.С. Воронцова Елизаветой Ксаверьевной (Браницкой) было утверждено Женское благотворительное общество во имя Святой Равноапостольной просветительницы Нино, которое оставалось лучшим заведением как для представительниц дворянских семей, так и для девочек из семей малого достатка.

Вскоре стали появляться женские гимназии министерства народного просвещения, рассчитанные на приходящих учениц всех сословий и вероисповеданий. Они были семиклассными, восьмой педагогический и девятый приготовительный. После окончания 7 классов ученицы получали аттестат на звание учительницы начальных школ, после 8 – домашней учительницы, а после 9-го и и получившие медаль – на звание домашней наставницы.

Обязательными предметами в прогимназиях были: закон Божий, русский язык, русская история и география, арифметика, чистописание и рукоделие. В гимназиях к ним прибавлялись всеобщая география и история, естественная история, физика и гимнастика. Необязательными считались изучение немецкого, французского, рисования, музыки, пения и танцев. Со временем программы женских гимназий по некоторым предметам приближались к программам гимназий мужских. Однако некоторые женские учебные заведения, например учебное Заведение Святой Нины, по сведениям «Кавказского календаря» за 1901 год, имело в штате лазаретную даму, кастеляншу, письмоводительницу, закройщицу, швею, гардеробную даму, чулочницу и пепиньерку. Всего женских гимназий в Тифлисе было 5, существовал также Закавказский девичий институт императора Николая I, Тифлиские высшие женские курсы, Тифлисская частная грузинская дворянская гимназия, Прогимназия и

Частное учебное заведение Левандовских (после советской власти – 42 средняя школа, где училась моя мама, затем 49 средняя школа, которую оканчивала автор этих строк), Школа-пансион и детский сад княгини С.В.Аргутинской-Долгоруковой (продолжал существовать и в 60-е годы XX века, пока были живы представительницы фамилии, основавшей его).

В Тифлисе были созданы и специализированные учебные заведения. Музыкальная школа при тифлисском грузинском филормоническом обществе, Школа грузинского общества «Образование» (Ганатлеба). Существовал также ряд заведений типа Тифлисская школа-пансион для глухонемых, Училище слепых детей с ремесленным отделением при Кавказском отделении попечительства Императрицы Марии Александровны о слепых, Приют общества попечения о детях, частные учебные заведения.

Среди них выделяются Тифлисское мусульманское училище Алиева учения и Мусульманское училище Омарова учения. Два Молоканских двухклассных училища, Еврейское, Польско-католическое, Лютеранское, Немецко-католическое, Евангелическое немецкое, Армяно-Базарное женское благотворительное Общество, Авлабарское женское, Авлабарское послебыденное, Навтлугские мужское и женское двухклассные училища и другие.

На фоне этого многообразия традиций просвещения, конфессиональной и национальной терпимости, было совершенно естественным открытие в Тифлисе Французского Лицея, оставившего короткий, но яркий след в истории просвещения Грузии.

ЛИТЕРАТУРА:

Бабаджанова 2010: Бабаджанова Аида. *Возвращение в Тифлис. Учебные заведения*. Тбилисцы. 2010, № 20, с. 3.4.

Багратион-Мухранели И.Л.: *Архив автора*.

Георгий Афонский 1995: Григорий Афонский. *Житие Иованэ и Эптимэ Святгорцев*. «Символ», 1995, № 34, с.369.

Грибоедов 1954: Грибоедов А.С. *«Сведения относительно Тифлисского Благородного училища»*. // Цит. по И.К.Ениколопов. *Грибоедов в Грузии*. Тбилиси: «Заря Востока», 1954.

Гогобашвили 1962: Гогобашвили Я. *Сочинения*. Т.2, Тбилиси, 1962, С. 132 (на груз. яз.).

Дюге 1992: Дюге Раймонд. *Москва и страстотерпчество Грузии*. Тбилиси: «Самшобло», 1992.

Иоанэ-Зосимэ 2018: Иоанэ-Зосимэ. *Хвала и слава грузинского языка*. // Цит. по *Жития Иованэ, Эптвимэ и Гиорги Афонских*. Пер. С древнегрузинского прот. И.Зетеишвили. Москва: CRITERIUM, 2018, с.31.

Павлиашвили 1995: Павлиашвили К. *Грузинский Экзархат. 1900-1917*. Тбилиси, 1995, с. 33 (на груз. яз.).

LEVAN BEBURISHVILI

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

The Concept of Homeland in Galaktion Tabidze's Lyrics in the Period of Independence of Georgia

„Homeland“ or „Fatherland“ is the central concept of the Georgian literature. The theme of homeland was developed in didactic-moral terms in the Georgian literature of the XIX century. Even at the outset Galaktion Tabidze rejected the realistic manner of writing from the standpoint of artistic embodiment of the aforesaid concept. Despite the fact, that in Galaktion's symbolistic poetry the contact is made with his country, the poet averts from the declarative-pathetic manner established in the Georgian literature and emphasizes the emotional-psychological aspects of proximity with the homeland. After the declaration of the independence of Georgia the patriotic pathos is becoming stronger and stronger and the poet offers a number of shining examples of civil lyrics.

Key words: Galaktion Tabidze, The concept of homeland.

ლევან გეგურიძე

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

სამშობლოს კონცეპტი გალაკტიონ ტაბიძის საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდის ლირიკაში

სამშობლო, მამული ქართული ლიტერატურის ცენტრალური კონცეპტებია. სამშობლოს თემამ ახალ და უახლეს ქართულ მწერლობაში განვითარების საინტერესო გზა განვლო. ქართველ რომანტიკოსთა პოეზიაში პატრიოტული მოტივი უშუალო, გრძნობადი ფორმით გამოვლინდა. ჩვენი რომანტიკოსებისათვის სამშობლოსთან სიახლოვის უპირველესი წყარო მშობლიური ქვეყნის ბუნებაა. მათ შემოქმედებაში პატრიოტული განცდა ხშირად იჭრება ბუნების გრძნობაში და მას განუყოფლად უკავშირდება. რომანტიკულ ლიტერატურაში აგრეთვე თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ნოსტალგიის თემას. პატრიოტული გრძნობის გამოვლენის კიდევ ერთი ფორმა რომანტიკოსთა პოეზიაში არის წარსულის იდეალიზაცია, რაც არაიშვიათად უიმედობის, პესიმიზმის ნიადაგზეა აღმოცენებული. გრიგოლ და ვახტანგ ორბელიანების შემოქმედებაში დიდებული ისტორიული წარსულის გახსენებას ენიჭება თანამედროვეობით იმედგაცრუებული ლირიკული გმირის სულიერ ტკივილთა დაცხრობის, დაამების ფუნქცია.

XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში მამულის კონცეპტის საგანგებო აქტუალიზაცია სამოციანელთა სახელებთანაა დაკავშირებული. ილია ჭავჭავაძე 60-იანი წლების მთავარ დამსახურებად იმას მიიჩნევდა, რომ ამ პერიოდში „ყველაზე უწინარეს გამობრწყინდა სიტყვა „მამული“ მთელის თავის გულთ მიმზიდველ და დიდებულ მნიშვნელობითა... ამ სიტყვამ... სამოციან წლების მოღვაწეთა მეოხებით და ღვანლით კვლავ დაიჭირა ჩვენში კუთვნილი ადგილი, ვითარცა მზემ და თავისი სხივოსანი შუქი მოჰფინა მთელს სივრცეს ჩვენის ცხოვრებისას“ (ჭავჭავაძე 1991: 549).

მრავალფეროვანია პატრიოტული გრძნობის განსახიერების თავისებურებები ქართველ რეალისტთა პოეზიაში. ერთი მხრივ, ისინი აგრძელებენ რომანტიკოსთა ტრადიციებს (ბუნებაში განც-

დილი სამშობლო, წარსულის იდეალიზაცია), მაგრამ, მეორე მხრივ, პატრიოტული გრძნობა მათ შემოქმედებაში უკვე განვითარების ახალ საფეხურს აღწევს. იგი რელიგიური შარავანდედით იმოსება („...ქვეყნად ცასა ღვთად მოუცია მარტო მამული“). ის, რაც რომანტიკოსებთან ჯერ კიდევ ემოციურ სფეროში რჩება, რეალისტებთან უკვე რაციონალიზაციას განიცდის, – პატრიოტული განცდა უშუალო შეგრძნების საფეხურიდან მალღდება ეროვნული პროგრამის დონემდე.

მამულის კონცეპტი სამოციანელთა შემოქმედებაში განუყოფლად დაუკავშირდა დიდაქტიკურ, მორალისტურ პლანს. ილია ჭავჭავაძის პოეზიაში პატრიოტიზმი მკვეთრად ინტელექტუალიზებულია. ილიასთან ლამის უკვე პუნქტობრივი სახითაა მოცემული და ჩამოყალიბებული ქართველის მოვალეობანი სამშობლოს წინაშე.

აკაკი წერეთლის შემოქმედებაში მამულის თემის განსახიერებისას კიდევ უფრო მეტ სიმძაფრეს იძენს მორალისტური, მამხილებელი პათოსი. აკაკის პოეზიაში ჩნდება დიდაქტიკურ საფუძველზე აღმოცენებული, მუდმივად განმეორებადი პოეტური ხატები სამშობლოსი – ჩონგური, სატრფო, ხატი, მიჯაჭვული ამირანი, ავადმყოფი და სხვ. ერთი სიტყვით, ჩვენი რეალისტების შემოქმედებაში პატრიოტული გრძნობა მჭევრმეტყველური ფორმითაა მონოდედებული და იგი მთლიანად იქვემდებარებს სხვა მოტივებს.¹

ილიასა და აკაკის ეპიგონების, ე. წ. დემოკრატიული პოეზიის წარმომადგენელთა შემოქმედებაში სამოქალაქო-სოციალურმა პრობლემატიკამ ერთგვარი ვულგარიზება განიცადა და იგი შიშველი პუბლიცისტიკის, მშრალი პათეტიზმის სფეროში დარჩა.

სწორედ ასეთ ვითარებაში გამოჩნდა პოეტურ ასპარეზზე გალაკტიონ ტაბიძე.

როგორც ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაშია აღნიშნული, გალაკტიონმა სიჭაბუკეშივე დაისახა მიზნად ქართულ მწერლობაში განყვეტილი რომანტიკული ტრადიციის აღდგენა. ახალგაზრდა პოეტის შემოქმედებაში რომანტიკული უნივერსალიზმის ფონზე

¹ რამდენადმე განსხვავებულია პატრიოტული გრძნობის გამოვლენის თავისებურება ვაჟა-ფშაველას პოეზიაში. ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში ვაჟას მიდგომა შეფასებულია, როგორც საკითხის პოლითემამატური განსახიერების გზა. იხ. (კიკნაძე 2005: 84-116).

სამოქალაქო და სოციალურმა პრობლემატიკამ უკანა პლანზე გადაინაცვლა. მართალია, გალაკტიონის ადრეულ პოეზიაში მოგვეპოვება სამოქალაქო ლირიკის ცალკეული ნიმუშები, თუმცა, მთლიანობაში, ისინი არ ქმნიან მისი შემოქმედების მნიშვნელოვან, არსებით შენაკადს.

უფრო მეტიც, როგორც მიუთითებენ, რომანტიკული ინდივიდუალიზმი გალაკტიონის ადრეულ შემოქმედებაში განვითარების უკიდურეს წერტილს აღწევს და მის ლირიკაში „იბადება სამშობლოსგან გაუცხოების მოტივი, რომელსაც გალაკტიონამდე ქართული პოეზია არ იცნობდა... პოეტის ჭეშმარიტ სამშობლოდ ოცნება იქცევა. ოცნების შვილისათვის უცხო და მიუღებელია რეალური სინამდვილე და რეალური ქვეყანა – იბადება სამშობლოში უსამშობლობის განცდა“ (დოიაშვილი 2004: 327).

პოეტის შემოქმედებაში ეს გრძნობა განუყოფლადაა დაკავშირებული სულიერი ობლობის მოტივთან. გალაკტიონის პირველი პოეტური კრებულის ლირიკული გმირი გაუცხოებულია საზოგადოებასთან, სულიერი ნავთსაყუდელი ვერსად უპოვია:

სიყმანვილეში მე ვჭკნებოდი, როგორც ფოთოლი,
ობოლი ვიყავ მე მაშინაც, სულით ობოლი...
მოგვედე და გული ვის დავწყვიტო, ვინ დავაობლო?
ჩემთვის მარტოდენ უდაბნოა ჩემი სამშობლო.
(ტაბიძე 2016ა: 92)

ამ ლექსში („უდაბნო“) გალაკტიონი აერთიანებს ბარათაშვილის შემოქმედების ორ მნიშვნელოვან კონცეპტს – სულით ობლობას და უდაბნოს. სულიერი ობლობის განცდა გალაკტიონთან მიდის განვითარების იმ წერტილამდე, სადამდეც ლოგიკურად უნდა მისულიყო – სამშობლოში უსამშობლობის განცდამდე. როგორც თ. დოიაშვილი მიუთითებს, „უდაბნოში“ გაცხადებული სულის კრიზისი გალაკტიონის ადრეულ ლირიკაში სამყაროსადმი სრული გაუცხოებით მთავრდება. „როცა უცხო ხარ მთელი სოფლისთვის და უცხო არის შენთვის სოფელი“ („იმედთა ნაცვლად“). გაუცხოების განცდა ასე ფორმულირდება: „მე ვდგავარ, როგორც ტყვე უცხოეთში, როგორც სიზმარში უცხო სიზმარი“ („მთვარე მთებს ამოეფარა“). ორი შედარებით გამოსახულ ამ ფორმაში მთელი კონცეფცია აკუმუ-

ლირებული. პოეტი „სხვა მხარეთა“ შვილია, სხვისი ნებით მოსული მინიერ სინამდვილეში, ამიტომ იგი უცხოეთის ტყვეა. მეორე შედარებას ამოსავალ წერტილად აქვს კალდერონისეული ცნობილი მეტაფორა – „ცხოვრება სიზმარია“. თუ ცხოვრება საერთოდ სიზმარია, მაშინ პოეტის ყოფნა ამ სიზმარეთში „უცხო სიზმრის“ არსებობას ჰგავს. მაშასადამე სიზმრად განიცდება არა მარტო ცხოვრება, არამედ პიროვნების არსებობაც“ (დოიაშვილი 2004: 328).

ჩვენი ამჟამინდელი ინტერესის სფეროში მოქცეულია საკითხი, თუ როგორია სამშობლოს კონცეპტის განსახიერების თავისებურებები გალაკტიონ ტაბიძის საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდის (1918-1921) ლირიკაში. ა ღნიშნულის ნათელსაყოფად, პირველ ყოვლისა, გასაანალიზებელია, როგორ ხორციელდება საუკუნის პოეტური კრებულის – „არტისტული ყვავილების“ (1919) – ლირიკული გმირის კონტაქტი სამშობლოს თემასთან.

„არტისტულ ყვავილებში“ კიდევ უფრო მეტ სიმძაფრეს იძენს გალაკტიონის ადრეულ ლირიკაში თავჩენილი განცდა სამშობლოსთან გაუცხოებისა, – სამშობლოში უსამშობლობის მოტივი („ჩემს სამშობლოში მე მოვვლე მხოლოდ უდაბნო ლურჯად ნახავერდები“, – „თოვლი“). სამშობლოსთან გაუცხოების გრძნობის გამოვლენის თვალსაზრისით ქართულ მწერლობაში გალაკტიონს, ვფიქრობთ, გარკვეულწილად მაინც ჰყავდა წინამორბედი აკაკი წერეთლის სახით, რომლის პოეზიაშიც არაერთგზის ვლინდება სამშობლოსთან „განხეთქილების“ თემა. ამის ერთი დასტურია თუნდაც პოეტის ცნობილი ლექსი „სასონარკვეთილება“:

ჰეი, სამშობლოვ, სხვებისთვის დედავ,
ჩემთვის კი ავო დედინაცვალო!
ვიცი, დაიბან პილატებრ ხელსა
და იტყვი, რომ ხარ დღეს შენ უბრალო...
(წერეთელი 2011: 26)

თუმცა თუ აკაკისთან ამ გაუცხოების საფუძველი მაინც რეალურ, ცხოვრებისეულ სფეროშია საძიებელი (რამდენადაც პოეტის სასონარკვეთის მიზეზია სამშობლოსაგან მისი, როგორც ზნეობრივი წინამძღოლის, „ქვეყნის მუშის“ ღვანლის დაუფასებლობა), გალაკტიონთან ამავე განცდას უკვე ფილოსოფიური საფუძველი აქვს მოპოვებული. ახალი ცნობიერების მქონე სიმბოლისტი ხე-

ლოვანისათვის „ჭეშმარიტი სამშობლო არის პოეზია, რომელიც ერთდროულად აბსოლუტთან ზიარების საშუალებაა და სინამდვილესთან „შერიგების“ მიზეზიც“ (დოიაშვილი 2004: 327). სწორედ აქაა საძიებელი პოეტის მიწიერ სინამდვილესთან და მათ შორის – მიწიერ სამშობლოსთან გაუცხოების მთავარი მოტივი. თუმცა გალაკტიონის პოეზიაში ამ განცდის წარმომშობი არც რეალური, ცხოვრებისეული ფაქტორებია დასავიწყებელი. გალაკტიონს, მთელი სიცოცხლის განმავლობაში, აკაკიზე ბევრად უფრო მძაფრად სდევდა თან სამშობლოსაგან დაუფასებლობის შეგრძნება („თუ სამშობლო მაინც არ მომეფეროს, მე მოკვდები, როგორც პოეტს შეფჰერის“ – „პოეზია უპირველეს ყოვლისა“). ეს საყვედური სამშობლოსადმი გაისმის „არტისტულ ყვავილებში“:

საქართველო!
შენ მოვალე ხარ, რომ ნატრობდე
ჩემს მეგობრობას
უფრო მხურვალედ –
ვინემ მე შენსას!
(„ღრუბლები ოქროს ამურებით“)
(ტაბიძე 2016ბ: 83)

სამშობლოს თემის განსახიერებისას გალაკტიონის სიახლოვე აკაკისთან ვლინდება სხვა ასპექტითაც. აკაკის პოეზიაში სამშობლო ზოგჯერ წარმოდგენილია ბოროტი ძალების საუფლოდ, სადაც უსამართლობა და ფარისევლობა გამეფებულა, „სადაც ერთი უბედურია მხოლოდ მეორის ბედნიერებით“. აკაკისერთ ლექსში სამშობლო ამგვარი მეტაფორებითაა დახასიათებული:

დავაგდე მხარე ფარისევლების
და მზაკვარების უნივერსტეტი,
სადაც სატანა წვრილ-წვრილ ეშმაკებს
ჰგზავნის, რომ ხერხი ისწავლონ მეტი.
(წერეთელი 2011: 25)

არც გალაკტიონისთვისაა უცხო სამშობლოს წარმოსახვა ბოროტების სავანედ, რომელიც სულს უხუთავს შემოქმედს. საქართველოს დედაქალაქი პოეტისათვის „არის მაღალი გილიოტინა

და ეშაფოტი“ („ტფილისი“). ლექსში „მგლოვიარე სერაფიმები“ კი ვკითხულობთ:

ცხოვრება შენი იყო მწველი ალერსი ქალის,
თვით ბოროტება საქართველოდ ნაანდაზები.
(ტაბიძე 2016ბ: 104)

ამ განწყობილებათა ფონზე „არტისტულ ყვავილებში“ თავს იჩენს რომანტიკული ლიტერატურის ერთ-ერთი ძირეული მოტივი – სამშობლოდან გაქცევის, სამშობლოდან გადახვეწისა. გალაკტიონს 1917 წელს მართლაც მოუხდა საქართველოს დატოვება და რამდენიმე თვით რუსეთში გამგზავრება. პოეტურ კრებულში ეს რეალური, ცხოვრებისეული ფაქტი რომანტიზებულია – „არტისტული ყვავილების“ ლირიკული გმირი, რომელმაც სამშობლოში „ლურჯად ნახავრდები უდაბნოს“ გარდა ვერაფერი იხილა, ტოვებს მამულს, ნავთსაყუდელის საძიებლად უცხოეთში მიემგზავრება:

უცებ დადგა მაისი ნელი და შემპარავი!
ფორთოხლების რტოებში აზვირთდნენ ნიავები;
რადგან არ მაქვს სამშობლო, რადგან არ მყავს არავინ,
ისევ უცხოეთისკენ მიმავრენენ ნავები!
(„მზადება გასამგზავრებლად“. ტაბიძე 2016ბ: 134)

ლირიკული გმირის უცხოეთში გადახვეწა გამართლებულია იმ მოტივითაც, რომ ქვემარტი ხელოვნება თავისი ბუნებით უნივერსალურია და მას ყველგან მოეპოვება დამფასებლები, თავიანთსმცემლები. ამ აზრით, ნამდვილი პოეტის სამშობლო მთელი მსოფლიოა:

ოჰ! ენკენისთვე ეპარება დარდივით მდელოს!
მზე სად არ არი?
მაინც, ძვირფასო, ჩემს სამშობლოს და სამფლობელოს
არ აქვს საზღვარი!
(„პოეტი ბრბოში“. ტაბიძე 2016ბ: 65)

თუმცა სამშობლოდან გადახვეწილი ლირიკული სუბიექტი საბოლოოდ ვერც უცხოეთში ახერხებს სულიერი სიმშვიდის, სიმყუ-

დროვის მოპოვებას. მას მაინც ეუფლება ნოსტალგიის, სამშობლოს მონატრების ფაქიზი გრძნობა. ვფიქრობთ, სწორედ ამ განცდაზეა მინიშნებული ლექსში „ძველი რვეულიდან“, რომელიც კრებულში წინ უძღვის სამშობლოში დაბრუნების ციკლის ნაწარმოებებს:

მიყვარს შენი სახელის უცხოეთში ხსენება,
მოგონება ღრუბლების – მზე რომ ჩაესვენება.
რაღაც შორეულია შენი კარგი სოფელი,
ალუბლების ღიმილი და მზე დაუნდობელი.
და ანთებულ თეატრში, სადაც მე ვარ პირველი,
ხშირად აშრილდება ტირიფების მწერვალი.
და მეძახის, მეძახის! და არ არის საშველი!
და დაქრიან ფარდებში ოცნებებთ აშლილი.
(ტაბიძე 2016ბ: 149)

ლექსი სიმბოლისტური პოეტიკის პრინციპებითაა შექმნილი და, ამდენად, იდუმალებითაა შემოსილი. აშკარაა მხოლოდ ის, რომ იგი მონატრების თემას ეძღვნება, თუმცა ნაწარმოებში დაკონკრეტებული არ არის, ვინაა ავტორის მიმართვის ობიექტი, ვისი „სახელის ხსენება“ უყვარს უცხოეთში მყოფ ლირიკულ გმირს. ტექსტში მოცემული რეალიების გათვალისწინებით, ვცადოთ იმის დადგენა, ვინ უნდა იგულისხმებოდეს ნაცვალსახელის – „შენ“ – მიღმა.

ლოგიკურად, უცხოეთში მყოფ ლირიკულ სუბიექტს შეიძლება აგონდებოდეს ან ძვირფასი პიროვნება (დედა, სატრფო, მეგობარი და ა.შ.), ანდა – საკუთარი სამშობლო, მშობლიური სივრცე. პოეტის მიმართვის ტონი, უშუალოა, ერთი შეხედვით, გვაფიქრებინებს, რომ ლექსს კონკრეტული ადრესატი უნდა ჰყავდეს, თუმცა როდესაც გავითვალისწინებთ იმას, თუ **რა აგონდება, რა ენატრება** ლირიკულ გმირს („ღრუბლები“, „სოფელი“, „ალუბლების ღიმილი“, „დაუნდობელი მზე“, „ტირიფების შრიალი“), მივალთ დასკვნამდე, რომ ნაწარმოებში სწორედ სამშობლოს მონატრების თაობაზე უნდა იყოს საუბარი.

ლექსის მეორე სტროფში ნოსტალგიის განცდა კიდევ უფრო მეტ სიმძაფრეს იძენს. „ანთებულ თეატრში“ (რაც „არტისტულ ყვავილებში“ სიმბოლოა ხელოვანის ასპარეზისა) დიდების მწვერვალზე მყოფ ლირიკულ სუბიექტს („სადაც მე ვარ პირველი“), წარმატები-

სა და აღიარების მიუხედავად, მაინც ვერ მოუპოვებია სულიერი სიმშვიდე, სულიერი მყუდროება. მას მოსვენებას უკარგავს აშრი-ალეზული ტირიფების ზმანება, – მშობლიური სივრცის ძახილი: „და მეძახის, მეძახის! და არ არის საშველი! და დაქრიან ფარდებში ოცნებებთ აშლილი“.

ამ მხატვრულ სახეს – ხეების შრიალი, როგორც მიტოვებული სამშობლოს ძახილი – გალაკტიონი რამდენიმე წლის შემდეგ კვლავ გამოიყენებს ნოსტალგიის თემაზე დაწერილ თავის უბრწყინვალეს ლექსში „შინდისის ჭადრებს“:

ორო ჭადარო, წყვილო ჭადარო,
შემოხვეულნო შუქთა ბადრებით, –
ო, მე არ ვიცი, რას შეგადაროთ,
ან უცხოეთში რად მენატრებით?..
თქვენთან რბიოდენ ნათელნი დღენი,
ლოცვა ბავშური, ფერი გედური,
ეხლა რად მესმის შრიალი თქვენი,
როგორც ტირილი და საყვედური?
(ტაბიძე 2016გ: 111)

ამ ლირიკული შედეგრის ფინალშიც ხეების შრიალი ისმის, ვითარცა მიტოვებული სამშობლოს საყვედური, ძახილი, რომელიც თავისკენ უხმობს უცხოეთში დაკარგულ ძეს.

გალაკტიონის ზემოთ განხილულ ლექსში („ძველი რვეულიდან“) ნოსტალგიის განცდა მოწოდებულია გაუცნაურების მხატვრული ხერხის მეშვეობით, რაც გულისხმობს საგნისა თუ მოვლენის „ავტომატიზმიდან“, გაქვავებული მდგომარეობიდან გამოყვანას და მის უჩვეულო, ახლებურ აღქმას, როდესაც პოეტი ნაცნობს უცნობად აქცევს და, ამგვარად, იდუმალებით მოსავს მას. ეს პრინციპი იყო კიდევ ჯერ რომანტიკული, შემდეგ კი – სიმბოლისტური ხელოვნების ერთ-ერთი ძირეული პრინციპი.¹ გალაკტიონის ნაწარმოებში ჩვეულებრივი განცდა უჩვეულო ფორმით, მინიშნების პოეტიკითაა მოწოდებული, რაც მეტად ამძაფრებს ლექსის მხატვრული ზემოქმედების ძალას.

1 შდრ.: „როდესაც მე უბრალოს დიად აზრს ვანიჭებ, ჩვეულებრივს იდუმალებით ვმოსავ, ნაცნობს შეუცნობლად გადავაქცევ... მე სამყაროს ვარომანტიკულბ“ (ნოვალისი).

საბოლოოდ, „არტისტული ყვავილების“ ლირიკული გმირი სამშობლოში მიემგზავრება. კრებულის ბოლოს ერთმანეთის მიყოლებითაა წარმოდგენილი დაბრუნების ციკლის სამი ლექსი: „გემი დალანდი“, „დაბრუნება“ და „გზაში“.

ლექსებს „გემი დალანდი“ და „დაბრუნება“ აერთიანებს ახალ ისტორიულ ვითარებასთან შეხვედრის, სამშობლოს „ძველი გზებით ვერ მოგნების“ თემა, განახლებულ საქართველოსთან შეხვედრის მოლოდინი:

გემით „დალანდი“ მოვდიოდი სამშობლოსაკენ
და მთვარისაგან გაღვიძება გულს დარდათ ჰქონდა;
მაგრამ სამშობლოს ძველი გზებით ველარ მოვაგენ
და არ მახსოვდა: მქონდა იგი, თუ მომაგონდა.

(ტაბიძე 2016ბ: 154)

ლექსში „დაბრუნება“ ლირიკული სუბიექტის მღელვარებაკიდევ უფრო გამძაფრებულია, რამდენადაც „ეს არ არის სამშობლოში ჩვეულებრივი დაბრუნება, როგორც არ იყო ჩვეულებრივი ილია ჭავჭავაძის დაბრუნება თერგდალეულად; ეს არის სამშობლოს ხელახალი აღმოჩენა გემით „დალანდი“ (კენჭოშვილი 1974: 44). ნაწარმოები ყურადღებას იპყრობს სახისმეტყველებითი თვალსაზრისით. აქ ერთმანეთს ორგანულად უკავშირდება ისტორიულ-ლიტერატურული რეალები, მყარი, ტრადიციული პოეტური ხატები („მცხეთის ზარები“, „თამარის ტაძრები“, „ირაკლის ძვლები“) და შემოქმედის ორიგინალური თვალთახედვა:

სალამოს ლანდები ვით ბინდი ნიავის
მიდამოს სდებია,
გინახავთ თქვენ ფერი დაბინდულ ქლიავის?
ეს ჩემი სამშობლო მთებია!

(ტაბიძე 2016ბ: 155)

ეს უჩვეულო შედარებაც მიგვითითებს იმაზე, რომ გალაკტიონისათვის სამშობლო, უპირველეს ყოვლისა, მშობლიური ბუნების უშუალო შეგრძნებიდან იწყება. პოეტისათვის საქართველო „უდაბნოდ გადაშლილი ოაზისია“, „სადაც მზე მწველია, ცხელია დარები“. ლექსის ბოლოს აქცენტირებული „იდუმალი მოლოდინი“ კი ირიბად ეხმიანება სამშობლოში მომავალი „მგზავრის წერილების“

ავტორის მღელვარებას: „როგორ შევეყრები მე ჩემს ქვეყანას და როგორ შემეყრება იგი მე?“

მშობლიურ ბუნებასთან სიახლოვე გვევლინება სამშობლოს შეგრძნების მთავარ წყაროდ გალაკტიონის „მამულშიც“. როგორც თ. დოიაშვილი აღნიშნავს, „მამულის კონცეპტი XIX საუკუნის ქართულმა პოეზიამ გონების აქტიური მონანილეობით შეიმუშავა და განსჯით-დიდაქტიკური ფორმით გამოთქვა. ამის საპირისპიროდ, გალაკტიონი, როგორც ახალი პოეზიის ადეპტი, განსჯით მიღებულ დასკვნას კი არ გვანვდის, ესთეტიკური გამოსახვის ობიექტად გრძნობად იმპულსს, შეგრძნებას აქცევს. მამული მისთვის, უპირველესად, ცვრიან ბალახზე ფეხშიშველა გავლის პირველყოფილი, დაუფინყარი შთაბეჭდილებაა, რომელსაც სამუდამოდ ინახავს ჩვენი ქვეცნობიერი. თუ ამ დაკვირვებას განვაზოგადებთ, შეუმჩნეველი ვერ დარჩება პოეტურ სახეში რეალიზებული ახალი თვალსაზრისი, რომ პოეზიამ აზრის სინამდვილე კი არ უნდა გამოთქვას, არამედ გრძნობაში უშუალოდ მოცემული რეალობა – შეგრძნების რეალობა!“ (დოიაშვილი 2013: 148-149).

„არტისტულ ყვავილებში“ პოეტმა პატრიოტიზმის სწორედ გრძნობადი, უშუალო პლანის აქტუალიზაცია მოახდინა. გალაკტიონმა მოახერხა, რომ ქართულ ლიტერატურაში გარკვეულწილად უკვე „გაცვეთილი“, კლიშედ ქცეული მოტივი გაუცნაურების მხატვრული ხერხის მეშვეობით, მინიშნების პოეტით განესახიერებინა და ამგვარად მისთვის ახალი, ცხოველმყოფელი მხატვრული ძალა შეეძინა.

გალაკტიონის 1918-1921 წლების პოეზიაში მოგვეპოვება ისეთი ლექსებიც, რომლებშიც პოეტის პატრიოტული მიზანსწრაფვა პირდაპირ, ყოველგვარი შეფარვისა და მინიშნების გარეშე მჟღავნდება.

ამ თვალსაზრისით, პირველ ყოვლისა, აღსანიშნავია ლექსი „წერილი მეგობრებისადმი“. იგი ავტორის მიერ 1916 წლითაა დათარიღებული, მაგრამ ო. ოკუჯავას წერილის საფუძველზე პოეტის თხზულებათა თორმეტტომეულის შემდგენლებმა ლექსის დაწერის ახალი თარიღი გამოავლინეს – 1918 წელი¹.

1 ეს დათარიღება გაზიარებულია გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა თხუთმეტტომეულის შემდგენელთა მიერაც, თუმცა აქვე პოეტის ერთ ჩანაწერზე დაყრდნობით გამოთქმულია ვარაუდი, რომ „წერილი მეგობრებისადმი“, შესაძლოა, უფრო გვიანაც იყოს დაწერილი (ტაბიძე 2016ბ: 180).

ნაწარმოები თავისუფალია სიმბოლისტური ბუნდოვანები-საგან, გალაკტიონის მოქალაქეობრივი მრწამსი მასში მკაფიოდაა გაცხადებული. მეგობრებისადმი ეპისტოლეს ფორმით დაწერილ ამ ლექსში ეპოქალურ ქარტეხილთა შემსწრე პოეტი იმედს გამოთქვამს, რომ რევოლუცია მის სამშობლოსაც მოუტანს სიკეთეს და აღსრულდება წინაპართა ოცნება მამულის გათავისუფლებისა:

ო, როგორ მინდა, მეგობრებო, თუნდაც ერთი დღით
ჩვენთვისაც იყოს უმაღლესი თავისუფლება...
განა არ არის საშინელი საცოდავობა,
ისეთ ქვეყანას – როგორც ჩვენი საქართველოა –
რევოლუცია არ აძლევდეს სიმშვენიერეს?

(ტაბიძე 2016ბ: 24)

ახლადშექმნილ ქართულ სახელმწიფოს პოეტი პიროვნული ბედითაც უკავშირდება. 1918 წლის დეკემბერში გალაკტიონს იწვევენ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მდივნის პოსტზე, 1920 წელს კი იგი ინიშნება ჟურნალ „სახალხო გვარდიელის“ პასუხისმგებელ მდივნად და, ფაქტობრივად, რედაქტორის მოვალეობასაც ასრულებს. ამასთანავე, პოეტი მონაწილეობას იღებს სახალხო გვარდიის ეგიდით გამართულ არაერთ კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებაში.

გალაკტიონის ამ პერიოდის ლირიკაში სულ უფრო მეტი ადგილი ეთმობა სამშობლოს თემას. 1920 წელს გაზეთ „ერთობაში“ პოეტი აქვეყნებს ლექსს „გვარდია“, რომელიც წარმოადგენს პირველ ვარიანტს ლექსისა „პოეზია უპირველეს ყოვლისა“. საგულისხმოა, რომ პირველნაბეჭდ ტექსტში ნაწარმოებს რეფრენად გასდევს არა მხოლოდ – „პოეზია უპირველეს ყოვლისა!“, არამედ – „საქართველო უპირველეს ყოვლისა!“ ამგვარად ერთიანდება ლექსში უზენესი ღირებულებები – სამშობლო და პოეზია.

და გვარდია მიყვარს, მასთან ნახევარ
გზად დაღლილი არვის არ ვუნახავარ.
ერთი გვანთებს შუქი სვეტიცხოვლისა:
საქართველო უპირველეს ყოვლისა!
საქართველო უპირველეს ყოვლისა!

(ტაბიძე 2016ბ: 186)

პოეტი ეხმიანება უახლესი ისტორიის ტრაგიკულ დღეებსაც – 1921 წლის თებერვლის მოვლენებს. 1921 წელს ჟურნალ „სახალხო გვარდიელის“ მე-6 ნომერში გალაკტიონი აქვეყნებს ლექსს „ტფილისთან“ – პირველ ვარიანტს ლექსისა „სადღეგრძელო იყოს მისი“. ამ ჰეროიკული შინაარსის ნაწარმოებით პოეტი მიზნად ისახავს თბილისის დამცველ მებრძოლთა გამხსნელებას (ვრცლად ამ საკითხის ირგვლივ იხ. (დოიაშვილი 2016).

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ თავისი შემოქმედების ყოველ ეტაპზე, მიუხედავად იმისა, უპირისპირდება თუ გაუზრბის, საყვედურობს თუ გაუცხოებას განცდის, გალაკტიონს მაინც ყოველთვის ახსოვს თავისი მიწიერი სამშობლო და გამუდმებით ცდილობს მისდამი საკუთარი მიმართების გარკვევას. ასე რომ, სრულ ჭეშმარიტებად მოჩანს პოეტის სიტყვები:

არ იქნება, რომ სამშობლო
გალაკტიონს არ ახსოვდეს,
არასოდეს, მეგობრებო,
არასოდეს, არასოდეს!

დამონებიანი:

დოიაშვილი 2004: დოიაშვილი თ.„ გზა „არტიტული ყვავილებისაკენ“ (ლირიკა. 1908-1914)“. *ლიტერატურული ძიებანი*, XXV. თბილისი: 2004.

დოიაშვილი 2013: დოიაშვილი თ. *მოტირალ-მოცინარი*. თბილისი: გამომცემლობა „სიტყვა“, 2013.

დოიაშვილი 2016: დოიაშვილი თ. „ლირიკული ტექსტი და ისტორიის კონტექსტი“. *გალაკტიონ ტაბიძე 125 – საიუბილეო კრებული*, თბილისი: შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, 2016.

კენჭოშვილი 1974: კენჭოშვილი ი. *გალაკტიონ ტაბიძე და ევროპული ლიტერატურა*. თბილისი: „მეცნიერება“, 1974.

კიკნაძე 2005: კიკნაძე გრ. *თხზულებანი*. ტ. I. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2005.

ტაბიძე 2016ა: ტაბიძე გ. *თხზულებანი თხუთმეტ ტომად*, ტ. I. თბილისი: შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, 2016.

ტაბიძე 2016ბ: ტაბიძე გ. *თხზულებანი თხუთმეტ ტომად*, ტ. II. თბილისი: შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, 2016.

ტაბიძე 2016გ: ტაბიძე გ. *თხზულებანი თხუთმეტ ტომად*, ტ. III. თბილისი: შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, 2016.

წერეთელი 2011: წერეთელი ა. *თხზულებანი ოც ტომად*. ტ. II. თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2011.

ჭავჭავაძე 1991: ჭავჭავაძე ი. *თხზულებანი ოც ტომად*. ტ. V. თბილისი: „მეცნიერება“, 1991.

LEVAN BREGADZE

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

The Idea of State Independence in the Post Second World War Georgian Poetry

Despite the fact, that the soviet republics were formally granted the right to quit Soviet Union, which was stipulated by paragraph 72 of the constitution, even a hint about the possibility of state independence was strongly tabooed until the end of 80s of last century, until the “perestroika” forcedly allowed from above due to economic difficulties, entered into its last stage. In those circumstances, a part of Georgian poets still managed to make inklings about the idea of independence and the reader too was skilled in reading the ideas leaked “between the lines”. To express the idea of independence, it was used various forms of mystification (to attribute one’s own thoughts to a person who lived long ago in another historical environment, to declare an original verse as a translation, to make a phony dedication), peculiarities of literary tropes to give a hint about the prohibited content, creation a context needed for the ambiguous interpretation of a phrase, etc.

Key words: state independence, mystification, “between the lines”.

ლევან ბრეგვაძე

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის იდეა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ქართულ პოეზიაში

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა რესპუბლიკებს კონსტიტუციის 72-ე პარაგრაფის თანახმად ფორმალურად გარანტირებული ჰქონდათ სსრ კავშირის შემადგენლობიდან გასვლის უფლება, რესპუბლიკების სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შესაძლებლობაზე მინიშნებაც კი მკაცრად იყო ტაბუირებული გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლომდე, ვიდრე ეკონომიკური სირთულეების გამო ზემოდან იძულებით დაშვებული „პერესტროიკა“ თავის უკანასკნელ ფაზაში შევიდოდა. არადა, ქართველ ხალხში, მეტადრე იოსებ სტალინის გარდაცვალების შემდეგ, სულ უფრო და უფრო იკიდებდა ფეხს მოსკოვზე პოლიტიკური და ეკონომიკური დამოკიდებულებისთვის თავის დაღწევის იდეა. ხალხის ამ განწყობის გამონათქვამი სასტიკად იკრძალებოდა და ისჯებოდა, რის მაგალითად ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას ხვედრის გახსენებაც კმარა.

ამ განწყობილების ამსახველია იმხანად გაჩენილი იუმორით შეფერილი გამოთქმა: „არა, ბიჭო, მოსკოვს შეეკითხება!“, რომელიც „ქართული ჟარგონის ლექსიკონში“ ასე გვაქვს განმარტებული:

„დამოუკიდებლად, თავის ნებისად, თავისი შეხედულების მიხედვით იმოქმედებს, არავის დაეკითხება ჭკუას. გამოთქმა იმდროინდელია, როცა მოსკოვში, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის დედაქალაქში, არსებული საკავშირო მთავრობის დაუკითხავად (საკავშირო მთავრობის ნებართვის გარეშე) ვითომდა სუვერენულ ეროვნულ რესპუბლიკებში ვერავინ ვერავითარ ინიციატივას ვერ გამოიჩინდა“ (ბრეგვაძე 2013: 96).

ეროვნული დამოუკიდებლობის იდეა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ თანდათან გაძლიერდა, რის ერთ-ერთ მიზეზად რევან გაჩეჩილაძეს ის გარემოება მიაჩნია, რომ „...ომის გზით ევროპაში ნამყოფი უამრავი ადამიანი დაბრუნდა შინ. მათ საზღვარგარეთ ნახეს მატერიალური კეთილდღეობის თვალსაზრისით სულ სხვა, ბევრად უკე-

თესი, ცხოვრება. შინ კი საშინელი სიღატაკეა და ამაზე ლაპარაკიც კი აკრძალულია. კრემლი ქვეყანაში იწყებს ომის დროს „მორყეული დისციპლინის“ აღდგენას და იდეოლოგიური ქანჩების ხელახალ მოჭერას“ (გაჩეჩილაძე 2012: 389).

60-იანი წლებიდან „რკინის ფარდა“ ოდნავ აინია და იმატა უცხოელებთან კონტაქტებმა, რის შედეგადაც ქართველებმა შეიძვეს ის ამბავი, რომ საქართველოს არსებობაზე დასავლეთში წარმოდგენა არავის ჰქონია, და მათ სამშობლოს იქ რუსეთად მიიჩნევდნენ, რამაც გულწრფელად შეაწუხა ყველა. „რა გვინდა ჩვენ? განა ბევრი რამ გვინდა – ჩვენ გვინდა ჩვენი საკუთარი ფერი მსოფლიოს რუკაზე!“ – ხშირად გაიგონებდით ამგვარ მსჯელობას.

ზეპირად იყო გავრცელებული გურამ ასათიანის რეპლიკა თბილისში სტუმრად მყოფი რუსი კოლეგების შენიშვნაზე: „ქართველებს რა გაქვთ სასაყვედურო, მშვენივრად ცხოვრობთო!“, რაზედაც გურამ ასათიანს ასეთი პასუხი გაუცია: „ჩვენს საწუხარს მაშინ მიხვდებოდით, მოსკოვში დაცულ დისერტაციას პეკინში რომ გიმტკიცებდნენო“.

არადა, ამ დროს უკვე არსებობდა საკავშირო რესპუბლიკები მკაფიო საზღვრებით, დედაქალაქებით, სახელმწიფო დროშებითა და ჰიმნებით, სახელმწიფო ეროვნული ენებით, რაც ძალიან წინგადადგმული ნაბიჯი იყო იმასთან შედარებით, რა მდგომარეობაც გვექონდა ამ მხრივ ცარიზმის ხანაში, როდესაც საქართველო ორ გუბერნიად შედიოდა რუსეთის იმპერიაში, ხოლო 1882 წელს ოფიციალურად აიკრძალა ქართველთა სამშობლოს სახელის „საქართველოს“ საჯაროდ ხსენება – ცენზორები მას „ჩვენს მხარეს“ ან „ჩვენს კუთხეს“ უნაცვლებდნენ.

მართალია, რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შემავალ ხალხთა სახელმწიფო წარმონაქმნებისთვის რესპუბლიკების სტატუსის მინიჭება „ერთ მშვენიერ დღეს“ სსრ კავშირის დაშლის საფრთხეს შეიცავდა, მაგრამ იგი აუცილებელი იყო 1917 წლის ოქტომბრის სახელმწიფო გადატრიალების ლეგიტიმაციის განსამტკიცებლად. ეს გახლდათ რუსეთის მოდერნიზებული იმპერიის ერთ-ერთი შინაგანი წინააღმდეგობა, რომელიც, ეკონომიკურ ფაქტორებთან ერთად, ადრე თუ გვიან საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის რღვევას გამოიწვევდა.

თავიდან საბჭოთა რესპუბლიკებს ერთიან საკავშირო სახელმწიფოდ იმისი იმედი აერთიანებდათ, რომ რესპუბლიკები ერთობლივად უფრო დიდ ეკონომიკურ წარმატებას მიაღწევდნენ, ვიდრე ცალ-ცალკე (იმედოვნებდნენ, რომ აშშ-საც გაუწრებდნენ ამ მხრივ. ერთი ხანობა ძალიან გავრცელებული იყო ლოზუნგი: „დავეწიოთ და გავუხსნოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ფოლადის (ან ხორცის, კვერცხის, ხორბლის...) წარმოებით!“). მას შემდეგ, რაც 1970-იანი წლებიდან ეკონომიკური წარმატების ყოველგვარი იმედი გადაიწურა, ბუნებრივად გაძლიერდა სახელმწიფო დამოუკიდებლობის იდეა რესპუბლიკებში, ოღონდ ამის საჯაროდ არტიკულირება სასტიკად იკრძალებოდა და ისჯებოდა.

მაგრამ ზეპირსიტყვირებას როგორ აკრძალავ!

60-იანი წლების შუა ხანებში სტუდენტურ წრეებში გავრცელდა მალალვერსიფიკაციულ დონეზე შესრულებული ანონიმი ავტორის ტექსტი, რომელიც ერთ-ერთი „მრავალჟამიერის“ მოტივზე იმღერებოდა, და ყოველ სტროფს მოსდევდა მისამღერი – „ოხო-ხოია, მრავალჟამი-ჟამიეერ, / ოხო-ხოია, მრავალჟამიეერ!“:

საქართველო რუსეთია,
საქართველო ისე ჰქვია.

(მისამღერი)

რა ყოფილან ეს რუსები,
გაგვითავეს რესურსები.

(მისამღერი)

ჩვენ ყანაში ვიბრიდებით,
რუსებს რჩებათ ჰიბრიდები.

(მისამღერი)

ჩვენ აქ მზეში ვიტრუსებით,
რუსებს მიაქვთ ციტრუსები.

(მისამღერი)

შეუძლებელი იყო იმ ლექსების დაბეჭდვაზე ფიქრიც კი, რომლებშიც საქართველოს დამოუკიდებლობის ნატვრა ან დამოუკიდებლობის დაკარგვის გამო ნუხილი იყო გამოთქმული, ვინაიდან ყველამ კარგად იცოდა, რომ ამას რეპრესიები მოჰყვებოდა, რაც დაადასტურა კიდევ კოლაუ ნადირაძის ლექსის „25 თებერვალი, 1921 წ.“ გამოქვეყნების კურიოზულმა ისტორიამ.

1985 წელს „მერანმა“ გამოსცა კრებული – „პოეტის ათასი სტრიქონი“. დაახლოებით ათას-ათასი სტრიქონი არის მასში შესული ცამეტი ქართველი პოეტისა – რომელთაგან მხოლოდ ორი იყო იმ დროს ცოცხალი – კოლაუ ნადირაძე და კარლო კალაძე.

ნიგნის გამოსვლიდან რამდენიმე დღის შემდეგ გავრცელდა ხმა, ანტისაბჭოთა ლექსი გაიპარა ამ კრებულშიო.

ეს წარმოუდგენელი რამ იყო! იმდენი დაცვითი მექანიზმი ჰქონდა სახელმწიფოს, ანტისაბჭოთა რომ არაფერი გაპარულიყო ნიგნში, გაზეთში, ჟურნალში, რომ დაუჯერებელი ჩანდა ეს ამბავი. (გამოსაცემ ნიგნს ჯერ კითხულობდა ნიგნის რედაქტორი, მერე – უმცროსი რედაქტორი, შემდეგ მხატვარი, ვისაც ეს ნიგნი უნდა გაეფორმებინა. ამის შემდეგ დედანი სტამბაში იგზავნებოდა და ასოთამწყობი კითხულობდა. ბრუნდებოდა უკან ანაწყობი და კორექტორები ადარებდნენ მას დედანს, ასწორებდნენ კორექტურულ შეცდომებს და ხელით აკინძული ფურცლები მთავლიტში (ასე ერქვა მაშინდელ ცენტურას) მიჰქონდათ და იქ წითელი ფანქრით შეიარაღებული მთავლიტის თანამშრომელი კითხულობდა მას ფხიზელი თვალით. გარდა ამისა, თუ საჭირო იქნებოდა, გამოსაცემ ნიგნს წაიკითხავდა მთავარი რედაქტორი, მისი მოადგილე ან დირექტორიც კი).

კრებულის მხატვარ-დიზაინერს დაჰბადებია ასეთი იდეა: ნიგნში წარმოდგენილი ყოველი პოეტის ხელნაწერის ნიმუში დართვოდა თავში იმ მონაკვეთს, რომელიც ამ პოეტს ეძღვნებოდა, და ამ მიზნით მიადგნენ ლიტერატურის მუზეუმს, მოიძიეს ხელნაწერები, გადაიღეს ფოტოები და... კი შეეძლოთ, ცოცხალი ავტორისთვის პირადად გამოერთმიათ მისი მანუსკრიპტი, მაგრამ იფიქრეს, რაკი აქა ვართ, მოდი, ვიკითხოთ, იქნებ კოლაუს ავტოგრაფიც ჰქონდეთო, და, მართლაც, გვაქვსო, უთხრეს, გადაიღეს მისი ფოტოც, დამზადდა კლიშეები. აქედან ზოგი ავტოგრაფი ძნელი გასარჩევია, ზოგიერთის წაკითხვა საერთოდ შეუძლებელია. ეს ლექსი, სათაურით „25 თებერვალი, 1921 წ.“, კარგად იკითხება; თან ლექსია ისე-

თი, ვერაფერს მოუხერხებ! მეტაფორულად ან სიმბოლურად კი არა, ყველაფერი პირდაპირ არის ნათქვამი: ტაბახმელაძე იქვეა, კოჯორიც („წითელ არმიასთან“ შეტაკების ადგილები), გვარდიელებიც იქვე არიან, თბილისის დაცვისას დახოცილები. „წითელი დროშით, მოღერილ ყელით, თეთრ ცხენზე მჯდომი, ნაბიჯით ნელით, შემოდოდა სიკვდილი ცელით“. ან ეს რეფრენი თუნდაც: „თოვდა, და თბილისს ებურა თალხი, დუმდა სიონი და დუმდა ხალხი“.

ლექსის ბოლოს თარიღია: 1969 წელი. ხელს აწერს ბატონი კოლაუ ნადირაძე. ეს ლექსი მან, ცხადია, თავისთვის დანერა, ამისი გამოქვეყნების იმედი მას შეუძლებელია ჰქონოდა, მერე კი თავის მეგობარს, ერთ-ერთი გამომცემლობის თანამშრომელს, შალვა დემეტრაძეს, აჩუქა, რომლის გარდაცვალების შემდეგ მისი არქივი მოხვდა ლიტერატურის მუზეუმში...

ეს რომ სტამბურად ანყობილი ტექსტი ყოფილიყო, ვის გაეპარებოდა, მაგრამ ფოტო იყო, კლიშე იყო, წიგნის გაფორმების ელემენტი იყო, და არავინ მიაქცია ყურადღება!

მეხის გავარდნას ჰგავდა ეს ამბავი!

ტირაჟის ნაწილი უკვე გაეტანათ მაღაზიებში და გადაწყდა სასწრაფოდ უკანვე დაებრუნებინათ, ის ფურცელი ამოეხიათ და სხვა ჩაეკრათ. ამრიგად, არსებობს ორი ვარიანტი ერთი გამოცემისა... აქედან ერთი – აკრძალული და ეს აკრძალული – სულ რამდენიმე ცალია შემორჩენილი.

„სამსახურებრივი დაუდევრობისთვის“ „მერანის“ შვიდი და მთავლიტის ერთი თანამშრომელი გაათავისუფლეს დაკავებული თანამდებობებიდან.

არაორდინარული ხერხით გასაჯაროვდა მიხეილ ქურდიანის ეს უსათაურო ლექსი, 1970-იანი წლების მიწურულს დაწერილი:

თუ მოვინდომე – ყველაფერს შევძლებ,
მეტრ იზოლიტ ტენს გავურითმავ მეტროპოლიტენს.
მაგრამ, ღმერთო, გთხოვ მოწყალებას:
შვილებისთვის დაწერილ ლექსში
გამართმინე სამშობლო და თავისუფლება.

პოეტმა და მქარგველმა ბეატა აბშილავამ ეს ლექსი ქსოვილზე ამოქარგა ავტორის ხელრთვის გამეორებით და სხვა ასეთივე

ნაქარგებთან ერთად გაიტანა გამოფენაზე. ბეჭდური სახით კი ის პირველად მე გამოვაქვეყნე – ერთ ჩემს სტატიაში დავიმონმე 2002 წელს, როდესაც მისი პუბლიკაცია აღარავითარ საფრთხეს აღარ წარმოადგენდა.

ასეთ ვითარებაში ქართველი პოეტების ერთი ნაწილი მაინც ახერხებდა სტამბური წესით გამოქვეყნებულ ლექსებში დამოუკიდებლობის იდეაზე ნართაულად მინიშნებას და მკითხველიც განაფული იყო „სტრიქონებს შორის“ გაპარებული აზრების ამოკითხვაში.

სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის იდეის გამოსახატავად სხვადასხვა ფორმა გამოიყენებოდა. ერთ-ერთი იყო **საკუთარი სათქმელის მიწერა დიდი ხნის წინ, სხვა ისტორიულ ვითარებაში მცხოვრები პიროვნებისათვის.**

აქ უპირველეს ყოვლისა უნდა გავიხსენოთ მუხრან მაჭავარიანის გახმაურებული ციკლი „1832“. ამ ციკლის ყოველ ლექსში გამოთქმული აზრი 1832 წლის შეთქმულების რომელიმე მონაწილეს მიეწერება, რაც სათაურებშივეა გაცხადებული. მაგალითად, ლექსი, რომლის სათაურია „სიტყვა თქმული ფილადელფოს კიკნაძის¹ მიერ ძმათა თვისთა თანა, შუამთაში“, დათარიღებულია 1970 წლით და პირველად 1973 წელს დაიბეჭდა „ცისკარში“:

ამას! –
იმას, რომ
თვალი მტერზე უნდა გვეჭიროს,
ჩვენ კი,
მტრისა წილ,
ლრეობაზე გვეჭირავს თვალი, –
ვინ,
ვინ შეგვინდობს,
ანდა რატომ უნდა შეგვინდოს, –
ერთი მითხარი!

ამას! –
იმას, რომ
ხელში ხმალი უნდა გვეჭიროს,

¹ ფილადელფოს კიკნაძე (1794-1833) – ქართველ თავადაზნაურთა შეთქმულების ერთ-ერთი მეთაური.

ჩვენ კი,
ხმლისა წილ,
ჯიხვისანი გვიჭირავს რქანი, –
ვინ,
ვინ შეგვინდობს,
ანდა რატომ უნდა შეგვინდოს, –
ერთი მითხარი!

იბასიანოს! –
დროა!
დროა! –
ქართულმა სუფრამ!
მოდის მერმისი, –
ცოცხით ხელში, –
მკაცრი და სუფთა!
(ცისკარი 1973: 59-60)¹

აქტუალური პოლიტიკური ქვეტექსტი აშკარაა! ის არ გაჩნდებოდა, ამ ლექსის წამკითხველს თითქმის იგივე ეროვნული საწუხარი რომ არ ჰქონოდა, რაც საუკუნუნახვერის წინ მის წინაპრებს უკლავდა გულს. ლექსის გამოქვეყნებას კი შესაძლებელს ხდიდა ის გარემოება, რომ ცარიზმის ეროვნული პოლიტიკის კრიტიკა არამარტო დასაშვები, არამედ სასურველიც კი გახლდათ, რათა, როგორც უკვე ვთქვით, განმტკიცებულიყო 1917 წლის ოქტომბრის სახელმწიფო გადატრიალების ლეგიტიმურობა. ანუ აქ შემოქმედის მხრივ მოვლენის შინაგანი წინააღმდეგობით მოხერხებულად სარგებლობის შემთხვევასთან გვაქვს საქმე.

ახლა მუხრან მაჭავარიანის კიდევ ერთი გახმაურებული ლექსი „დღე მოინვეს კრიალა“ გავიხსენოთ.

ეს პანია ლექსი ბოლო სტრიქონამდე უწყინარი პეიზაჟური ლირიკის ნიმუში გეგონება, დასკვნითი ტაეპი კი მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავს:

¹ რვა ლექსისაგან შემდგარი მთელი ციკლი „1832“ შევიდა წიგნში: მუხრან მაჭავარიანი. ლექსები. პოემა. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, რომელიც 1983 წელს გამოვიდა, სწორედ იმ წელს, როდესაც საბჭოთა საქართველო გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლის თავს ზეიმობდა.

ირიჟრაჟებს... დღე მოიწვეს კრიალა, –
ტოროლა ცას შეასკდება... იალა!
ჩირგვიანა, ჩიტინა, ხიანა,
ფოთლიანა, ლელიანა, ტყიანა, –
დედამინა ხარობს ყველაფრიანა!
ნაკუნ-ნაკუნ, ნაკუნ-ნაკუნ კი არა! –
გაუმარჯოს, გაუმარჯოს მთლიანად! –
მინიანა, კაცინა, ციანა, –
საქართველოს მოთმინების ფიალას!
(მაჭავარიანი 2007: 310)

საგულისხმოა, რომ ფრაზა „გაუმარჯოს [...] საქართველოს მოთმინების ფიალას!“ ერთმნიშვნელოვნად საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ნატვრას ან მოთხოვნას სულაც არ შეიცავს, მაგრამ მაინც ყველამ ასე გაიგო ის. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ საზოგადოებრივი გარემო გაჯერებულია ამ აკრძალული იდეით, თუმცა მის ხმამაღლა გამოთქმას ვერავინ ბედავს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პოეტი გრძნობს: სოციალ-პოლიტიკური ვითარება ისეთია, რომ აუდიტორიის მიერ არაერთმნიშვნელოვანი ფრაზის ერთმნიშვნელოვნად ინტერპრეტაციის შესაძლებლობა გარდუვალია, ანუ: პოეტის მხრივ ოდნავი ბიძგიც, მცირე მინიშნებაც საკმარისია, რომ მკითხველმა თვითონ დაასრულოს ავტორის სათქმელის კონკრეტიზაცია-რეკონსტრუქცია.

ხერხს, რომელსაც მუხრან მაჭავარიანი აქ იყენებს, შეიძლება ვუნოდოთ **არაერთმნიშვნელოვანი ფრაზის სასურველი კონკრეტიზაციისათვის საჭირო კონტექსტის შექმნა**, რაც რეცეფციული, ანუ აღქმის, ესთეტიკის თავისებურებათა გათვალისწინებით ხდება.

1964 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში წაკითხული ამ ლექსისთვის მისი ავტორი საბჭოთა იდეოლოგიის ერთგულმა მსახურებმა, ბუნებრივია, სასტიკად დაგმეს. საქართველოს მოთმინების ფიალაზე დაწერილი ამ ლექსის თავგადასავალს, თვით „დამნაშავე“ ავტორის მიერვე მოთხრობილს, ვეცნობით მუხრან მაჭავარიანის ჩანაწერების წიგნში, რომელიც 2014 წელს გამოიცა.

საბჭოთა ეპოქას ჰქონდა განვითარების ეტაპები. ყოველი ახალი ეტაპი წინაზე ლიბერალური იყო. ახალ ხელისუფალთ თავიან-

თი თავის დასამკვიდრებლად და „ძველი“ პოლიტიკის არსებითად შეცვლის ილუზიის შესაქმნელად წინა ხელისუფლების გაკრიტიკება სჭირდებოდათ. და აი მუხრან მაჭავარიანს 1976 წელს საქართველოს პროფსაბჭოს მე-15 პლენუმის სხდომაზე შესაძლებლობა მისცემია ნაწილობრივი (!) პასუხი გაცეა 12 წლის წინანდელ ბრალდებაზე, რომელიც ამ ლექსის წარმოთქმისთვის წაუყენებია მისთვის საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის იმდროინდელ მთავარ იდეოლოგს:

„მოინვიეს იდეოლოგიური თათბირი.

თათბირზე, რომელსაც მთელი რესპუბლიკის პარტაქტივი ესწრებოდა, მაშინდელმა ცეკას მდივანმა, – იდეოლოგიის დარგში, – მრისხანე სახით, სახალხოდ მიმართა ამ ლექსის ავტორს:

– რაო, ამხანაგო, რას ითმენს საქართველო?! –

გვაქვს ამდენი და ამდენი უმაღლესი სასწავლებელი!

ამდენი და ამდენი დაწყებითი და საშუალო სკოლა!

ამდენი და ამდენი ქარხანა!

ამდენი და ამდენი ამბულატორია!

ამდენი და ამდენი საავადმყოფო!

ამდენი და ამდენი ბიბლიოთეკა!

უფასოა სამედიცინო მომსახურება!

უფასოა სწავლა-განათლება!

და სხვა, და სხვა, და სხვა!..“ (მაჭავარიანი 2014: 46).

აქ მცირე ხნით შევწყვიტოთ ციტირება და ერთ რამეს დავაკვირდეთ: იდეოლოგი ცდილობს პოეტის გამონათქვამის შედარებით ხელსაყრელი (თავისთვის ხელსაყრელი!) კონკრეტიზაცია მოახდინოს: ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოტივის სოციალური მოტივით ჩანაცვლებას აპირებს, ვინაიდან ჰგონია, რომ ამ სფეროში უკეთ აქვს საქმე!

რაც შეეხება პოეტსა და ბრძენკაცს, რომელმაც იცის, რომ იმ ლექსის უმთავრესი სათქმელის საჯაროდ კონკრეტიზაციის დრო ჯერ არ დამდგარა (1976 წელს ეს ჯერ კიდევ ვერ მოხერხდებოდა), იგი ასე მოიქცა: იმჯერად მიიღო ცეკას იდეოლოგიური მდივნის ინტერპრეტაცია და დროების შესაფერისი პასუხიც გასცა კრიტიკოსს:

„ნება მიბოძეთ, პასუხი გავცე, – 12 წლის წინათ უპასუხოვ დატოვებულ, – ამ კითხვაზე! –

სამედიცინო ინსტიტუტში მოწყობა ღირდა ამდენი და ამდენი!

სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, – ამდენი და ამდენი!

ვეტინსტიტუტში, – ამდენი და ამდენი!

პუშკინის ინსტიტუტში, – ამდენი და ამდენი!

ნებისმიერ ტექნიკუმში, – საშუალოდ ამდენი და ამდენი!

ცხვირის ოპერაცია, – ამდენი და ამდენი!

კუჭის ოპერაცია, – ამდენი და ამდენი!

რაიკომის მდივნად დანიშვნა, – ამდენი და ამდენი!

ტაქსის მძღოლად მოწყობა, – ამდენი და ამდენი!

იყიდებოდა საფლავის მიწაც კი;

ვაკის სასაფლაოზე დამარხვა ღირდა ამდენი და ამდენი!

დიღმის სასაფლაოზე, – ამდენი და ამდენი!

საბურთალოზე, – ამდენი!

კუკიაზე, – ამდენი! –

აი, რას ითმენდა საქართველო, ამხანაგო ყოფილო ცეკას მდივანო, – იდეოლოგიის დარგში!“.

ასეთია 1976 წელს გაცემული (როგორც ზემოთ ვთქვით, ნაწილობრივ გაცემული!) პასუხი მრისხანე შეკითხვაზე – „რაო, ამხანაგო, რას ითმენს საქართველო?!“.

გაივლის კიდევ თორმეტი წელი და ის დღეც დადგება, ამ პანიადიდი ლექსის მთელი სათქმელის დაუფარავი კონკრეტიზაციაც გახდეს შესაძლებელი: 1988 წელს საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო ორგანიზაციის 41-ე კონფერენციაზე მუხრან მაჭავარიანი იტყვის:

„საქართველოში, ისევე, როგორც მთლიანად ჩვენს ქვეყანაში, არაერთი საჭირბოროტო პრობლემა იდგა და დგას.

ეს პრობლემებია: ეკონომიკური, **ეროვნული**, სოციალური...

ამ პრობლემებზე ქართულმა მწერლობამ, ჯერ კიდევ, საჯაროობამდე აღიმაღლა ხმა:

ნაკუნ-ნაკუნ-ნაკუნ-ნაკუნ კი არა;

გაუმარჯოს, გაუმარჯოს მთლიანად:

მიწიანა, კაციანა, ციანა, –

საქართველოს მოთმინების ფიალას.

25 წლის წინათ გაისმა ეს სიტყვები.

იცვალნენ დრონი“ (მაჭავარიანი 2014: 53. ხაზგასმა ჩვენია. ლ. ბ.).

დრონი იცვალნენ და შესაძლებელი გახდა ამ უცნაური ლექსის (არსებითად, პოლიტიკური, მეამბოხე შინაარსის ეპიგრამის) მრავლისმეტყველი სათქმელი **ნაკუნ-ნაკუნ კი რა, მთლიანად** გაცხადებულიყო, აშკარად და დაუფარავად.

ასეთი ლექსები აძლიერებდა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის სურვილს ქართველ ხალხში. ამგვარი ლექსებით შემზადებულმა საზოგადოებრივმა განწყობამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საბჭოთა იმპერიისაგან დამოუკიდებელი ეროვნული ქართული სახელმწიფოსათვის ბრძოლის პროცესში.

ერთ-ერთი ამგვარი ლექსი გახლდათ მურმან ლებანიძის უსათაურო „უპირველესად ვალმერთებ ქართველს“, რომელიც პირველად „ცისკარში“ დაიბეჭდა 1970 წელს:

უპირველესად ვალმერთებ ქართველს,
მას მერე – ვისიც რამდენად მმართველს:
ქურთსა და სომეხს, რუსსა და თათარს –
ამის უფლებას მე ვინ წამართმევს!

სად ყოვლიანი გადატრუსულა
და რუხი სჩაგრავს მხიარულ ფერებს,
– გრუზინ? – თათარი მკითხავს რუსულად
და მიმასწავლის საკურდღლე სერებს.

წყვილ ვაზნას მივცემ ჩემს ახალ ყონადს –
„ფეშქეშ!“ – და თვალებს მიშტერებს ნდობით.
დასტოვებს ცხვარს და გადვივლით გორმასს,
ავუხმაურებ სამშობლოს თოფით...

მინდა, ეს ლელი ლერწმად გავთალო,
სალამურსავით ჩავბერო ყელში...
„ხოშ გელდი!“ ძმა ხარ, ჩემო თათარო!
ერთ ბედქვეშა ვართ აზიის ტყეში!
(ცისკარი 1970: 16).

ანუ „აზიის ტყეში“ შენ, თათარი, და მე, ქართველი, „ერთ ბედქვეშა ვართ“, – თათარი და ქართველი აქ მეტონიმიურად ნიშნავს საქართველოს და აზერბაიჯანს, რომელთა ეროვნული ინტერესები თანაბრად იჩაგრებოდა რუსეთის მოდერნიზებულ იმპერიაში.

იმდენად სწყუროდა ხალხს ეროვნული დისკრიმინაციის მამხილებელ ტექსტებთან შეხვედრა, რომ ამ ლექსის მეორე სტროფის მეორე ტაეპს – „და რუხი სჩაგრავს მხიარულ ფერებს“ – ასე კითხულობდნენ: „და რუსი სჩაგრავს მხიარულ ერებს“ (**ს** ადვილი გადასაკეთებელია **ს**-დ – გრაფიკული მსგავსების გამო – **ფერები-სთვის** პირველი ბგერის ჩამოშორებასაც რა დიდი ამბავი უნდა!) და დარწმუნებულნი იყვნენ, რომ სწორედ ეს ჩანაფიქრი ჰქონდა პოეტს, როცა ამ სტრიქონს თხზავდა!

აკრძალული სათქმელის გაპარების კიდევ ერთი ხერხი იყო ორიგინალური ლექსის თარგმანად გასაღება.

1946 წელს „საბლიტგამმა“ გამოსცა ცნობილი მთარგმნელისა და თარგმანის თეორეტიკოსის გივი გაჩეჩილაძის თარგმანთა კრებული „ინგლისური ბალადები, სიმღერები და ლექსები“. წინასიტყვაობის ავტორია კონსტანტინე გამსახურდია. ამ კრებულში, 75-76-ე გვერდებზე შოტლანდიელი პოეტის უილიამ დრაიმონდის (1585-1649) ავტორობით დაბეჭდილია ლექსი „მძინარე ყრმას“. ტექსტიდან ცხადი ხდება, რომ ეს ყრმა პოეტის შვილია, და ლექსის ავტორი მას უსურვებს იმ ბედნიერებას, რომელსაც თვითონ ვერ მოესწრო – თავისუფალ სამშობლოში ცხოვრებას უსურვებს.

წავიკითხოთ ოთხი სტროფი ამ თორმეტსტროფიანი ლექსისა:

ჩემი ოცნება თუ კი არ ახდა,
შენ ხომ გერგება ეს ბედი მაინც!
ბედნიერებას იდგამდე ტახტად
და ახლოს სჭვრეტდე ფერს ნაირ-ნაირს.

.....

რათა **სკოტლანდის** სიყვარულს წმინდას
არ სვამდე ჩემებრ შხამში გარეულს,
მაგრამ ჩემსავით ტყეში თუ მინდვრად,
ნათლად ხედავდე გზას სიზმარეულს.

რომ **ლინდისფერნის**¹ მაღალი ჯვარი
თვალსა სტაცებდეს ოცნებას შენსას,
ჟრუანტელს გგვრიდეს წარსულის ქარი,
ღმერთად მიგაჩნდეს სამშობლოს ზეცა.

.....

ტვიდის ნაპირთა ჭრელი ხალიჩა
ელავდეს ქვეყნის თავისუფლებით,
და ოცნების დროს გქონდეს ბალიშად
სკოტლანდის მთებზე მდგარი ღრუბლები

(ინგლისური... 1946: 75-76. ხაზგასმა ჩვენია. ლ. ბ.).

სინამდვილეში ეს ლექსი მე-16-17 საუკუნეებში მცხოვრებ პოეტს უილიამ დრაიმონდს არ დაუნერია (ის თურმე საერთოდ არ წერდა პატრიოტულ ლექსებს). საქმე გვაქვს მისტიფიკაციასთან: „მძინარე ყრმას“ თვითონ მთარგმნელის – გივი გაჩეჩილაძის – ორიგინალური ლექსია. ამის შესახებ გვაუწყებს მისი ვაჟი რევაზ გაჩეჩილაძე და აქვეყნებს ლექსის ავთენტიკურ ვარიანტს, რომელშიც ჩვენ მიერ ზემოთ ხაზგასმული უცხოური რეალიების ადგილას ქართული გვაქვს: „**სკოტლანდის**“ ნაცვლად წერია „**საქართველო**“, **ლინდისფერნის** მონასტრის მაგივრად – **სვეტიცხოველი**, მდინარე **ტვიდის** ადგილას არის მდინარე **მტკვარი**, ხოლო **სკოტლანდის** მთების ნაცვლად – **კავკასიონი** (გაჩეჩილაძე 2012: 390-391). მაგალითად, თუ ნაბეჭდ ვერსიაში წერია „რათა **სკოტლანდის** სიყვარულს წმინდას“, გამოუქვეყნებელ ვარიანტში არის: „რომ **საქართველოს** სიყვარულს წმინდას“ (გაჩეჩილაძე 2012: 308).

ამ მისტიფიკაციისადმი მიძღვნილ სტატიაში როსტომ ჩხეიძე შენიშნავს: „საბჭოთა ცენზურას ეს რომ სცოდნოდა, უბრალოდ, ინგლისური პოეზიის მცოდნე ჰყოლოდათ თავიანთ რიგებში და მთარგმნელისათვის ლექსის ორიგინალი მოეთხოვათ, ეს თამაში გივი გაჩეჩილაძეს ძვირი დაუჯდებოდა“ (ჩხეიძე 2013: 2).

დიახ, სახიფათო თამაში წამოუწყია მთარგმნელს! შედეგი კი რა უნდა მოჰყოლოდა ამას? მკითხველისთვის, ცხადია, უცნობი დარჩებოდა, და ბოლო დრომდე ასეთად დარჩა კიდევაც, ეს ამბავი. სამაგიეროდ ამ მისტიფიკაციის წყალობით დღეს ჩვენ ვიცით, რომ

¹ ძველი მონასტერი სკოტლანდში.

The meditative poems “Vėl sniegti” [It is snowing again], “Beteisė” [Without rights] are based on the principle of continuous development. One of the greatest Salomėja Nėris works filled with of fighting pathos “Dainuok, širdie, gyvenimą” [Sing to Life, My Heart] (p. 167) there are rondo elements. These poems, full of the fighting spirit, Nėris, a weak woman, used to read to the soldiers and strengthened their spirit; they also were distributed by throwing their copies down out of the airplanes.

Dainuok, širdie, gyvenimą, / Sing to life, my heart,
Padangę saulėtą ir gryną, / The sunny sky and pure,
Ir debesėlių, vėjo genamą, / And the cloud, the wind genome,
Ir smėlio taką per pušyną. / And the sandy path through the pine forest.

<...>
Dainuok, dainuok ir nenutilki, / Sing, sing and do not stop
Pralenki vėją, stepėm gaudžiantį. / Outrun the wind, echoing in steppe
Tegu garsų kolonos pilkos / Let the gray pillars of sound
Prarė Prarėks kulkosvydžius ir gaubicas. / To outvoice machine guns and cannons.

<...>
Ką atmeni ir ko neatmeni, / What do you remember and what do you not,
Dainuok, širdie, dainuoki nesustojus! / Sing, my heart, sing, don't stop!
Jeigu nutilsu – tapsi akmeniu... / If you get silent – you'll become a stone...
Tave sumindys priešojos. / You will be trampled under the enemy's soles.

1943

One of the most popular verses is “Lauk manęs” / “Grišiu” [Wait for me / I will Return] (p. 184). Here the motive of waiting is repeated in each stanza. It is close to the rondo rhythm (rondo means a circle). Rotation in a circle is a ritual, bacchanalian dance, which duplicated elements are the return and at the same time, resembles a couplet form.

Nemune ledai išplauks, / The ice will flow down the Nemunas river,
Obelys pabals. – / Apple trees burst in flowers. –
Parymok, manęs palauk / Take a rest, and wait for me
Prie baltos obels. / At the white apple tree.

<...>

Akmenys paplentėm kauks. / The roadside stones will howl.
Sužaliuos lazda. / The stick will bloom in green.
Lauk manęs, kai nebelauks / Wait for me when nobody else waits,
Niekas niekada... / Nobody and never...

1942

In the poem “Lietuvai” [For Lithuania] (p.162) the constantly repetitive motif “Akim tyliųjų ežerų” [With the eyes of silent lakes] reminds the *cantus firmus*, which is like a hidden undervoiced melody.

This repetition has the influence of the Secret magic and is like a cumulative centre of the meaning, through which, as if from the source of the rushing river, the layers of perception of the whole text pour out. Baltic lakes and rivers names have survived for millennia, even in the current territories of Russia or Ukraine. There are also lakes and the rivers, which are called Šventas, Šventoji [Holy]. The volume of the article does not allow to analyse this poem in details though it would be sensible to present it in full as it is one of the most beautiful pearls of Lithuanian poetry dedicated to the Homeland.

Iš negandingų vakarų / From the troubled west	Negaila juodbėrių bėrų, / There is no pity for grey spotted horses,
Audrų perkūnių prikrauti / With storms and thunder	Jaunų dienų jaunam negaila. / The youth can't regret its young days.
Lingavo debesų laivai. / Ships of clouds waved by.	Man gaila tik tavęs vienos / I feel sorry only for you,
Tada graži, graži buvai, / Then, you were beautiful, so beautiful,	Įsigalvojusios, liūdnos – / Deep in thought and in sadness –
Akim tyliųjų ežerų... / With eyes like silent lakes...	Akim tyliųjų ežerų... / With the eyes of the silent lakes...
Lyg eidama linelių rauti. / As if you went to pull blue flaxseed.	Tavęs man begaliniai gaila / I feel endlessly sorry for you.
Dangus įkaito nuo žarų, / The sky is hot with glowing coal,	Ir tavo ašarų tyrų... / And your purified tears...
Gaisravietės žėravo baisios. / The horrible fires glared red.	Jom dulkių vieškelio nelaistyk. / Should not water the dust on the road.
Ties vieškeliu, ties vėjuotu / At the road, the windy road	Neverk daugiau ir neliūdėk, / Don't cry any more, don't be sad,
Nustebusi stovėjai tu / You stood in surprise	Kovon mane tu palydėk / Accompany me to the fight,
Akim tyliųjų ežerų, / With the eyes like the silent lakes,	Akim tyliųjų ežerų... / With the eyes of the silent lakes...
Upelių kaspinais žydraisiais. / Like the blue ribbons of rivers.	Tau dovanų parnešiu laisvę. / I will bring you the present – your freedom.

Moscow, 1944

The principles of narrativity, i.e. the already discussed repetition, variation, as well as archetypal worldview, could be analysed from **the point of view of transmediality**. This manifests not only in models of the archetypal forms or principles, but also in mythological thinking. The motifs of folkloric transformation into plants (“Diemedžiu žydėsiu” [I will Bloom like the Wormwood], the desire to blossom as the cornflower, the personalised appeal “Sakalai broleliai mano! Ažuolai žalieji mano!” [Hawks, my brothers! My green Oaks!] and others) are characteristic of the Nėris poetry. The longing for a homeland in the war years lyrics is also revealed with transforma-

tions into the willow, the weeping birch, with the branches bent down, falling leaves and the freezing heart – the core of the tree “Prie didelio kelio” [Near the Big Road, p. 145]:

<...> Ir gluosniais mes virtom prie didelio kelio, / And we became the willows at the big road,

Beržais svyrūnėliais prie stepės plačios. / Weeping birches at the steppe wide.

Ir svyra mums šakos, ir krinta lapeliai, / And our branches bend down, and the leaves fall,

Ir veria mus speigas lig šėrdies pačios. / And the deep frost pierces us reaching our heart.

Moscow, December 21, 1942.

A mysterious forest path – the wolf trail is exactly the one where the sister will look for her brothers – partisans and which becomes like her own, close, hiding and at the same time carrying death. It is possible to feel the distant connection with the sense of the sacredness of the forest, which was so typical to Balts.

<...> Sakalai broleliai mano! / Hawks, My Brothers!

Ažuolai žalieji mano! / My green Oaks!

Oi, keliai – šakom šakoti! / Oh, the roads are so twisted!

Sesė brolių eis ieškoti. / Sister will go to search for the brothers.

Vilko takas – kelias mano, / The trail of the wolf is my way

Jį geltoni lapai dengia, – / Covered with the yellow leaves, –

Juo nuskriejo partizanai, / Partisans went down this road,

Ir šalta mirtis juo žengia. / And the cold death also steps in.

„Sakalai broleliai“ [Hawks, My Brothers], Penza, 1941, p. 147)

The image of the forest safety, together with the image of a sacral depth of the woods, is strengthened further in the poem “Savęs aš gailiuos” [I Feel Mercy for Myself, p. 156], where the wounded she-wolf runs home with all the remaining powers (and hope) to rest. The transition from plant motifs or the personification of the high flying hawks to the wounded and returning

wolf is a fundamental turning of the worldview into archetypal mythological layers captured in the depths of the subconscious. Here appears the interesting comparison of the goddess of forests Medeina-Žvėrūna to the bitch, i.e. the feminine predator (Greimas 1990: 395). This fundamentalism would be further elucidated by remembering the matriarchal European structure and its goddess – the mother.

Neilsėjosi, neėdė, negėrė, – / She did not rest, eat, or drink, –
Vilkė bėgo laukais klupdama. / The she-wolf ran stumbling through the fields.
Baimės genamą, sergantį žvėrį / Chased by fear, the wounded predator
Šaukė miško žalia glūduma. / Was called in by the green forest depth.

Sutema samanų aksominė / Smooth velvet of moss
Amžinuojų miegu užliūliuos... / Will lull into eternal sleep...

Kad mane – taip sutiktų tėvynė! / If only my homeland would greet me –
this way!
Kaip sunku, kaip savęs aš gailiuos. / How hard it is, as I feel mercy for myself.

1944

Generalization

1. Salomėja Nėris is one of the most talented and musical Lithuanian poets with a very complicated biography. Her lyrics flourished in new dramatic colours during the war being in exile. Although the poet's verses have been abundantly translated by the best translators and famous poets (especially to the Russian language), the complete collection of the war years poems, uncensored, with the authentic title and compiled personally by the author, appeared only in 2016, therefore, many significant "testamentary" poems were unknown. The most important motifs of the war years lyrics are the singing about love and longing for the homeland, the exaltation and mythologisation of the freedom fighter-the warrior, the partisan, the metaphysical feeling of guilt for betrayal, existential loneliness and despair.

2. The emotional pillars of the betrayal of the homeland, longing for it and the struggle for freedom have tensed the creator's talent to the point of greatest pathos or despair, tragic existential loneliness. Verses of her poetry have become, as it has never before, folklorised, diminutive, using the quotations of the folk songs, moving to the

mythological level of the archetypal subconsciousness. The theme of guilt and repentance is also projected in the Christian paradigm of fate, including the “wrathful and evil god” from the Old Testament and the new deity of mercy and forgiveness (poem “Tolimas sapnas” [The Distant Dream]).

3. The musicality of S. Nėris creativity is most often analysed regarding syntactic intonation, phonics and versification (so-called word music). In this article, Wolf’s concept of intermediality allows to broaden and describe the musicality parameters in more detail, in particular, the aspects of thematisation, evocation, partial reproduction, formal imitation, transmediality.

4. After analysis, it was found that from the point of view of the thematisation in the collection of poems *Prie didelio kelio* [At the Big Road] the musical images are generic, except the names of Čiurlionis and Grieg. The potency of S. Nėris poems to become folk songs or to inspire creators to create professional musical compositions is the expression of evocation. Excepts of the folk song or their quotes, the motifs correspond to the aspect of partial reproduction.

5. The principles of repetition and variation, combined with archetypal musical models, in the mythological subconsciousness, express the category of transmediality, and also the aspect of formal imitation. Although the dramatic tension in the war years lyrics of S. Nėris is ultimate and testing the limits, inherent songness and lyrical talent forms poems like songs: there is no sonata or conflicting contraposition like in the preceding poetry collection *Diemedžiu žydėsiu* [I will Blossom like the Wormwood]. The poems are based on the continuous development of the theme or a variation which creates the two-part or ternary form, there are some elements of rondo or derivatives of *cantus firmus* as well as.

6. The brightest feature of the poetry collection *Prie didelio kelio* [At the Big Road] is the expression of love and longing for a homeland in folkloric forms, abundant diminutives, and in its opposition stands the existential despair, described in the relics of mythological subconsciousness.

REFERENCES:

Brūzgienė 2004: Brūzgienė Rūta. *Literatūra ir muzika: paralelės ir analogai*. Vilnius: Lietuvių literatūros ir tautosakos institutas, 2004.

Brūzgienė 2005: Brūzgienė Rūta. Formos muzikalumas Salomėjos Nėries rinkinyje *Diemedžiu žydėsiu*. In: *Salomėja Nėris: tarp dainos ir regėjimo* (edition R. Brūzgienė). Vilnius: Lietuvių literatūros ir tautosakos institutas, 2005

Brūzgienė 2007: Brūzgienė, Rūta. Musicianship of Form in a Literary Work. *The Grove: Working Papers on English Studies*, Vol. 14, 2007. Available at <https://revistaselectronicas.uaen.es/index.php/grove/article/view/1248/1037> [accessed 10 August 2018].

Daujotytė 2018: Daujotytė Viktorija. Ji išdavė pati save. *15 min.* Available at <https://www.15min.lt/kultura/naujiena/literatura/viktorija-daujotyte-salomeja-neris-isdave-pati-save-286-978042> [accessed 15 Juni 2018].

Friedrich 1998: Friedrich Paul. *Music in Russian Poetry*. New York, Washington: Peter Lang, 1998. **Girdzijauskas 1979:** Girdzijauskas J. *Lietuvių eilėdara. XX amžius*. Vilnius: Mokslas, 1979.

Greimas 1990: Greimas Algirdas Julius. *Tautos atminties beiėskant: Apie dievus ir žmones*. Vilnius: Mokslas –Chicago: Algimanto Mackaus knygu leidimo fondas, 1990.

Grinius 2018: Grinius Jonas. Salomėja Nėris kryžkelėse. *Lietuvos laisvės kovotojų sąjūdis*. Available at www.lks.lt/pdf2/JONAS-GRINIUS-Salome-Neris-kryzkelese.pdf [accessed 12 August 2018].

Jekentaitė 2005: Jekentaitė Leonarda. Salomėjos Nėries demonas. *Salomėja Nėris: tarp dainos ir regėjimo* (ed. by R. Brūzgienė). Vilnius: Lietuvių literatūros ir tautosakos institutas, 2005.

Juozapaitienė 2005: Juozapaitienė Ona. Salomėjos Nėries lyrika lietuvių muzikoje. *Salomėja Nėris: tarp dainos ir regėjimo* (ed. by R. Brūzgienė). Vilnius: Lietuvių literatūros ir tautosakos institutas, 2005.

Kubilius 1995: Kubilius Vytautas. *Lietuvių literatūros istorija. XX amžiaus literatūra*. Vilnius: Alma Littera, 1995.

Kvietkauskas 2016: Kvietkauskas Mindaugas. Žalias siūlas rinkinei surišti. Įvadas. *Salomėja Nėris. Tolimas sapnas*. Vilnius: Lietuvių literatūros ir tautosakos institutas, 2016.

Nastopka 2010: Nastopka Kęstutis. *Literatūros semiotika*. Vilnius: Baltos lankos, 2010.

Nėris 2016: Nėris Salomėja. *Tolimas sapnas*. Vilnius: Lietuvių literatūros ir tautosakos institutas, 2016.

Nėris 1984: Nėris Salomėja. *Raštai, t.1, 3. Poezija. Proza, eilėraščiai, laiškai*. Vilnius: Vaga, 1984.

Vasina-Grossman 1972: Васина-Гроссман Вера. Музыка и поэтическое слово. Ч. 1. Москва: Музыка, 1972.

Wolf 2009: Wolf Werner. Relations between Literature and Music in the Context of a General Typology of Intermediality. *Comparative Literature: Sharing Knowledges for Preserving Cultural Diversity*, Vol. 1. 2009. – P. 133-156. EOLSS Publications. <https://www.eolss.net/Sample-Chapters/C04/E6-87-02-02.pdf> [accessed 10 April 2018].

TAMAR GELASHVILI

Tbilisi/Georgia

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

From Easter Rising to “Oyster Monday”
(Easter Rising in James Joyce’s *Ulysses* and *Finnegans Wake*)

The article aims to study the complicated allusions to Easter Rising in *Ulysses* and *Finnegans Wake*. Trying to show his indifference towards the Easter Rising Joyce, on purpose, even set his novel in 1904, somewhat abstaining himself and his novel from Home Rule Crisis and the First World War, those monumental divisions affecting Ireland and Europe. Nevertheless, both *Ulysses* and *Finnegans Wake* are texts engaged in dialogue with the Easter Rising but to a different extent. While references to the Easter Rising in *Ulysses* are anachronistic, there is nothing about the Easter Rising or almost any other subject that is anachronistic to *Finnegans Wake*. As a result, references to the Rising and its leaders can be and are more explicit and more direct in the *Wake*. While in *Ulysses* the most comprehensive treatment of Irish nationalism can be found in the *Cyclops* with Leopold Bloom entering Barney Kiernan’s pub and encountering the Citizen, *Finnegans Wake* shows a more complex and broad approach to the rebellion stretching it from the very first pages to the last chapter when it transforms and takes the shape of “Oyster Monday”.

Key Words: Easter Rising, James Joyce, *Ulysses*, *Finnegans Wake*

თამარ გელაშვილი

საქართველო, თბილისი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აღდგომის აჯანყებიდან „ხამანკების ორშაბათამდე“ (აღდგომის აჯანყება ჯეიმზ ჯოისის რომანებში „ულისე“ და „ლამისთევა ფინეგანისათვის“)

“We want no more strangers in our house”

Ulysses

„არ გვსურს მეტი უცხოები ჩვენს სახლში“.
ულისე

შესავალი

„ულისეში“, ჯეიმზ ჯოისი ამტკიცებდა: „ჩვენ ვერ შევცვლით ქვეყანას. მოდი შევცვალოთ საკითხი“. ამიტომაც როდესაც 1918 წელს, ფრანგულმა გამომცემლობამ მას ირლანდიის მიმდინარე პოლიტიკურ სიტუაციაზე სტატიის დაწერა სთხოვა, ჯოისმა უპასუხა, რომ ირლანდიის მდგომარეობს იმდენად რთული ეჩვენებოდა, რომ დიდი ხელოვნება იყო საჭიროა მის გადმოსაცემად, რაც მის ძალებს აღემატებოდა. მიუხედავად ასეთი პასუხისა და ჯოისის მუდმივი მტკიცებისა, რომ ირლანდიის სოციალური, კულტურული თუ პოლიტიკური ცხოვრება ნაკლებად აინტერესებდა, მისი ნაწარმოებები სრულიად სხვა სურათს ქმნიან.

სტატიის მიზანია ჯოისის რომანებში „ულისე“ და „ლამისთევა ფინეგანისათვის“ აღდგომის აჯანყებასთან დაკავშირებული კომპლექსური ალუზიების შესწავლა. თუმცა ჯეიმზ ჯოისის რომანებში „აღდგომის აჯანყების“ შესწავლამდე ალბათ მართებული იქნება განიმარტოს თუ რითი იყო მნიშვნელოვანი ეს მოვლენა თანამედროვე ირლანდიის ისტორიაში.

1916 წელს აღდგომის პირველ ორშაბათს ირლანდიელი მოხალისეებისა და ირლანდიური სამოქალაქო არმიის წევრებმა, პატრიკ პირსისა და ჯეიმს კონოლის მეთაურობით, დაამყარეს კონტროლი დუბლინის სამთავრობო შენობაზე და – ირლანდიის დამოუკიდებელი რესპუბლიკა გამოაცხადეს, თუმცა მალე ბრიტანულ არმიასთან შეტაკებისას დამარცხდნენ. აჯანყება სისხლში ჩაახშეს, ხოლო მისი 16 ლიდერი – სიკვდილით დასაჯეს. ეს იყო ირლანდიელთა მხრი-

დან დამოუკიდებლობის მოპოვების კიდევ ერთი წარუმატებელი მცდელობა. საინტერესოა ისიც, თუ რა ვითარებაში აჯანყდნენ ირლანდიელები, სწორედ მაშინ როდესაც ბრიტანეთი გერმანიის იმპერიას ებრძოდა და საფიქრებელია, ირლანდიელები იდეალისტურად ფიქრობდნენ ეს მათ გამარჯვებას მოუტანდა. თუმცა, რა თქმა უნდა, დამარცხდნენ.

აღდგომის აჯანყებისადმი არაერთგვაროვან დამოკიდებულებას ვხედავთ თავად ირლანდიელებს შორის. მაგალითად, უილიამ ბატლერ იეიტსის მას აიდიოლიზირებდა და წერდა, რომ მისი მონაწილეები ეროვნულ გმირებად დარჩებოდნენ ისტორიაში და „აღდგომის აჯანყებას“ ის სასტიკ სილამაზესთან აიგივებდა, როდესაც წერდა:

*“MacDonagh and MacBride
And Connolly and Pearse
Now and in time to be,
Wherever green is worn,
Are changed, changed utterly:
A terrible beauty is born”¹*

იეიტსისი, რომელიც „გაელური აღორძინების“ გულმხურვალე მხარდამჭერი იყო, „აღდგომის აჯანყებას“ არა მხოლოდ პოემა „აღდგომა 1916“ მიუძღვნა, არამედ ერთ-მოქმედებიანი პიესაც „ქეთლინი ნი ჰულიჰანი“. მისგან განსხვავებით, ჯოისის ნაწარმოებებში ირლანდიის ისტორიის ეს მნიშვნელოვანი მოვლენა მხოლოდ შეფარვით, ალუზიებით არის წარმოდგენილი, რომელთა ამოკითხვა გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული. ჰიუ კერნერი პირველი მკვლევარი იყო, რომელმაც თავის წიგნში „ულისე“ აღნიშნა ჯეიმზ ჯოისის რომანში აღდგომის აჯანყების შესახებ არსებული ალუზიების შესახებ: “A dark tavern dominated by a mad fool is Joyce’s synecdoche for the state of Irish patriotism twelve years before the rebellion”² (კენერი 1982: 93).

1 მაკდონაჰი და მაკბრაიდი/და კონოლი და პირსი/ახლა და რა დროც არ უნდა იყოს/ყოველთვის როცა მწვანე იქნება ჩაცმული/ შეიცვლება, საოცრად შეიცვლება:/უსასტიკესი სილამაზე წარმოიშვება (თარგმანი აქაც და ქვევითაც ეკუთვნის სტატიის ავტორს. თ. გელაშვილი).

2 ბნელი ტავერნა, რომელშიც გიჟი სულელი დომინირებს, არის ჯოისის მიერ აღქმული ირლანდიული პატრიოტიზმი ამბოხებამდე თორმეტი წლით ადრე.

ამრიგად, მოუხედავად იმისა, რომ ჯოისი გულმოდგინე მტკიცებისა, რომ მისი შემოქმედება ბანალურ პოლიტიკაზე მაღლა დგას და იგი გულგრილია ირლანდიის პოლიტიკის, „გაელური აღორძინების“ მიმართ, ორივე ნაწარმოები ადასტურებს, რომ მართალია ამ პერიოდისათვის იგი უკვე ირლანდიიდან კარგა ხნის წასულია და პირველი მსოფლიო ომისაგან თავდაცვის მიზნით შვეიცარიაში გარბის საცხოვრებლად იტალიიდან, კარგად იცნობს ირლანდიაში მიმდინარე მოვლენებს.

აღდგომის აჯანყება ჯეიმზ ჯოისის რომანებში „ულისე“ და „ლამისთევა ფინეგანისათვის“

აღდგომის აჯანყებასთან დაკავშირებული ალუზიები, სხვა ალუზიათა მსგავსად საკმაოდ კომპლექსურია, რადგან ჯოისი თითოეული სიტყვასა თუ წინადადებაში მრავალ სხვადასხვა ისტორიულ, პოლიტიკურ, კულტურულ თუ ლიტერატურულ მოვლენას აერთიანებს, რითიც ის ინტერტექსტუალურ ნაწარმოებს ქმნის, რომელიც მრავალმხრივი ინტერპრეტირების საშუალებას იძლევა.

რომანში „ლამისთევა ფინეგანისათვის“ აღდგომის ამბობება, ისევე როგორც სხვა ყველაფერი პაროდირების საგანი ხდება როცა ჯოისი მას „Oyster Monday“-დ ანუ ხამანსკების ორშაბათად მოიხსენიებს.

ნიშანდობლივია, რომ პირველად, აღდგომის აჯანყებას რომანის მეორე თავში¹ ვხვდებით, როდესაც ჯოისი რომანის ერთ-ერთ

1 ამ თავში დუბლინის ყურედან ქალაქში მოვდივართ და ვეცნობთ ქალაქში მცხოვრები გმირის, ჰამფრი ჩიმზდენ ეარვიკერის, მისი ცოლის ანა-ლივიას და მათი შვილების ამბავს. ამავე თავში მკითხველი იგებს, თუ როგორ მიიღო ჰამფრიმ საკუთარი სახელი. თითქმის მაშინვე ვრცელდება ჭორები ჰამფრიზე რომელიც რაღაც სკანდალში გაეხევა ფენიქს პარკში, რომელშიც ასევე ჩართული იყო სამი ჯარისკაცი და ორი გოგო.

სწორედ აქ ჩნდება დეტალური ნიშნები, ე.წ. პირველცოდვაზე/პირველად აქტზე, რომელიც მესამე ნიგნის მეოთხე თავშია მოთხრობილი, და რომელმაც სიმბოლური ფორმა ველინგტონის ეპიზოდში მიიღო. ეს რეალისტური სცენა, სადაც ჰამფრი ნინასწარგანზრახვის გარეშე ეჩვენება შვილებს შიშველი (რომელიც უდავოა ნოეზეც არის ალუზია)და ამ ეპიზოდში გარდაიქმნება გრძელ ამბად, თუ როგორ ეშინია, ჰამფრის დაბერების და დანაშაულის გრძნობის, რომელიც იმიტომ აწუხებს რომ საკუთარი ქალიშვილის – ისის – მიმართ ინცესტურ გრძნობას განიცდის. ჯარისკაცები კი თავს ესხმიან მას პარკში იმიტომ, რომ უთვალთვალებს ორ გოგოს რომელიც ბუჩქებში შარდავს. ფენიქსის პარკის ინციდენტსორი ძმა – ტრიუკა ტომი და ულვაშა შორტი – ავრცელებენ, სხვა დუბლინელებთან ერთადდიდი ხალისით ავრცელებენ. დუბლინელებს ყოველთვის უყვარდათ სხვა ცნობილი ადამიანების სკანდალურ

მთავარ პერსონაჟზე – ჰამფრი ჩიმპდენ ეარვიკერის, მისი დაცემისა და მისი ჩადენილი უცნობი დანაშაულის შესახებ წერს “The Earwicker of that spurring instant, realizing on fundamental liberal principles the supreme importance, nexally and noxally, of physical life (the nearest help relay being pingping K. O. Sempatrick’s Day and the fenian rising) and unwishful as he felt of being hurled into eternity right then, plugged by a softnosed bullet...”¹ ექსპანსიური ვაზნა, რომელიც ამ მონაკვეთშია ნახსენები ფენიანების ამბოხებასთან², წმინდა პატრიკის დღესთან და ფუნდამენტურ ლიბერალურ პრინციპებთან და მარადიულ სიმართლესთან ერთად საინტერესო ტიპის ვაზნას წარმოადგენს. უდავოა, ჩნდება მართებული კითხვა, ამ ტიპის ვაზნებს მხოლოდ ამ აჯანყებისას ხომ არ იყენებდნენ. საინტერესოა, ბუფალოში დაცული „ღამისთევა ფინეგანისათვის“ რვეულები, რომლის ერთ-ერთ ტომში, კერძოდ VI.B.10, ჯოისი სიტყვა “plugged”-ს (დამატება, ავსება) გვერდზე განმარტებას უწერს “to shoot” (სროლა). ირლანდიური ტაიმზის 1922 წლის 9 დეკემბრის გამოქვეყნებულ სტატიაში „ოთხი „საპასუხო“ სიკვდილით დასჯა“ ვკითხულობთ: “The I.R.A. would argue that they had to “plug” a good many more deputies in order

ცხოვრებაში ჩახედვა, ისე როგორც ეს პარნელს გაუკეთეს. ჭორი, რომელიც შავ-თეთრი ილუსტრაციითაა დაბეჭდილი, ბოლოსდაბოლოს მიდის ბალადისშემქმნელი ჰოსთის ყურამდეც. ჰოსთი ბინძური, მაგრამ ძალიან პოპულარულია და სწრაფად მოიზიდავს ხალხს, რომ მისი ბალადა პერსი ო’რაილიზე მოასმენინოს. თავის მხრივ ეს ბალადა საკმაოდ ღრმა ანალიზს მოითხოვს. თუმცა მოკლედ რომ აღინიშნოს ბალადის მელოდია “ვენეციის კარნავალის” მელოდიას ჰგავს, თუმცა ერთი მთავარი და მნიშვნელოვანი განსხვავებით – ის იწყება მაჟორზე, შემდეგ მინორზე გადადის და მთავრდება მოდალზე. რაც ნიშნავს იმას, რომ მელოდია დაბლა ჩადის, განასახიერებს რა კაცის დაცემას და ბალადის გმირი – ჰამფრი ჩიმპდენ ეარვიკერი – ბოლოს გაქცეულ კაენთად ორჯერაა გაიგივებული.

1 ეარვიკერმა უეცრად მთელი სისასვით გაანალიზა ფუნდამენტური ლიბერალური პრინციპების უპირატესი მნიშვნელობა, მომაკვდინებელიცა და დამეუღლიც, ფიზიკური ცხოვრებისა (ყველაზე ახლო დახმარება ჭახ-ჭუხ დამრტყმელი შემპატრიკის დღეს და ფენიანების აჯანყებისას) და თავისი სურვილისდა სანინალმდეგოდ გადასროლილ იქნა მარადისობაში და ნასროლ იქნა ექსპანსიური ვაზნა...)

2 1850-60-იან წლებში ირლანდიელი პატრიოტების ახალმა თაობამ დაარსა მოძრაობა ფენიანი, რომელიც პოპულარული გახდა ირლანდიის მოსახლეობის საშუალო და ქვედა ფენებში. მათი მთავარი მიზანი გახლდათ ირლანდიის ოკუპანტებისგან შეიარაღებული გზით გაენთავისუფლება და ირლანდიის რესპუბლიკის დაარსება. 1867 წელს მათ მოაწყეს აჯანყება, თუმცა ის უშედეგო გამოდგა. ეს აჯანყება ისეთ სისასტიკით იყო ჩახშული, რომ შემდეგი 49 წლის განმავლობაში ირლანდიელებმა ვეღარ გაბედეს მსგავსი აჯანყების მოწყობა.

to prevent the national troops from firing on them”¹. მიუხედავად იმისა, რომ 1922 წლისათვის ჯოისი უკვე პარიზში ცხოვრობდა, და 1912 წლის შემდეგ აღარასდროს აღარ ჩასულა დუბლინში, ის მუდმივად იყო დუბლინში მიმდინარე პროცესების საქმის კურსში, რაც მისი პირადი ბიბლიოთეკიდან, არქივიდან და ჩანაწერებიდან დასტურდება. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვივარაუდოთ რომ ჯოისს ნაკითხული ჰქონდა ირლანდიური ტაიმზის ეს გამოცემა, და შესაბამისად, ამ შემთხვევაში „აღდგომის აჯანყებასთან“ დაკავშირებულ ალუზიასთან გვაქვს საქმე, თუმცა საინტერესოა, რომ არც ბრენდან ო’ჰეჰირისა და ჯონ დილონის „ლამისთევა ფინეგანისათვის“ კლასიკური ლექსიკონი და არც რონალდ მაკჰიუს „ანოტაციები ლამისთევა ფინეგანისათვის“ ამ საკითხზე არანაირ კომენტარს არ აკეთებენ.

ვაზნების გარდა, რომანში არაერთხელ ვხვდებით მაუზერის ტიპის იარაღს, რომელიც ამ აჯანყებისას გამოიყენებოდა, მაგრამ ამ შემთხვევაშიც ჯოისი ალუზიათა სიუხვეს გვთავაზობს. კერძოდ, 354 გვერდზე ჯოისი კვლავ ერთად ახსენებს პირსსა და რაილის (ისევ ერთად და ისევ სახეცვლილად): “...*too foul for hell, under boiling Mauses’ burning brand, he falls by Goll’s gillie, but keenheartened by thecircuminsistence of the Parkes O’Rarelys in a hurdlly gurdly Cicilianconcertone...*”² (ჯოისი 2012: 354)

“*Too foul for hell*” ერთის მხრივ არის სიმღერა, რომელსაც „აღდგომის აჯანყების“ დროს მღეროდნენ:

“You kept your forces round her gates,
and built your barracks well,
And in your Castle’s heart devised
Foul Deeds – Too foul for hell”

ხოლო მეორეს მხრივ თუ ამ სიტყვას ხმამაღლა ნავიკითხავთ მივიღებთ Teufel, რაც გერმანულად ეშმაკს ნიშნავს. „*under boil-*

1 ირლანდიის რესპუბლიკური არმია დაიბადა რომ მათ უნდა მოეკლათ რაც შეიძლება მეტი დეპუტატები, რადგან ამით შეეჩერებინათ ეროვნული არმია მათზე იერიშის მიტანისაგან.

2 „მორალურად და სულიერად დაბინძურებული ჯოჯოხეთისათვის, მაუზთაგვის აალებული ბრენდი ადუღებული, ის ეცემა, გოლის გილა, მაგრამ კეთილმოტივირებულგულა მდგომარეობით პარკსი ო’რაიშვიალი ჰურდი-გურდი სესილიურ კონცერტონში“.

ing Mauses'burning brand” ერთის მხრივ არის ალუზია მაუზერზე, მეორეს მხრივ გერმანულ სიტყვაზე „Mause” ანუ თაგვი. ჯოისი პატარა თავუნიასთან მაუზერის გაეთიანებით ცდილობს იარაღის მნიშვნელობის დაკნინებას და დამცრობას; ამასთანავე, შეუძლებელია *“Mausers'burning”* არ გაგვახსენოს მოსე, რომელსაც გამოსვლის წიგნში მესამე თავში ღმერთი აალებული ბუჩქის სახით გამოეცხადა „ხედავს, ცეცხლი უკიდია მაყვლოვანს, მაგრამ არ იწვის მაყვლის ბუჩქი“ (გამოსვლა 3:2). ამას გარდა, სიმღერაში „*ირლანდიის მიმართვა ბრიტანეთის იმპერიას*“ ვკითხულობთ *“burning, with boiling lead and brand”*. ამასთანავე, *“boiling lead”* (ადუღებული ტყვია) შუასაუკუნეების დროს აქტიურად გამოიყენებოდა მტრისაგან თავდასაცავად, ამას გარდა ის წამების ერთ-ერთ იარაღსაც წარმოადგენდა და ჯოჯოხეთშიც ხომ ადუღებული კუპრის მდინარეებია. ჯონ მილტონიც *დაკარგული სამოთხის* პირველ წიგნში სწორედ იმას მიუთითებს, რომ სატანა „მიჯაჭვულია ადუღებულ ტბაზე“.

როლანდ მაქჰიუ „*ანოტაციებში*“ ასევე მიუთითებს, რომ ამ მონაკვეთში აღდგომის აჯანყებისას გამოყენებულ მაუზერებზეა საუბარი.

მაუზერზე ალუზიებს რომანში კიდევ ორ ადგილას ვხვდებით, *“Dook Weltington, hugon come errindwards, had hircome to the belles bows and been cutatrapped by the mausers. Now is it town again, londmear of Dublin!”* (ჯოისი 2012: 372) და *“Mauser Misma shall cease to stretch her and come abroad for what the blinkins is to be seen”* (ჯოისი 2012: 568). დანარჩენ შემთხვევებშიც ჯოისი მაუზერს ერთის მხრივ გერმანულ თავთან აერთიანებს, ხოლო მეორეს მხრივ მასში კიდევ უფრო მეტ ალუზიას დებს. მაგალითად, პირველი წინადადების შემთხვევაში ამბავი დიკ უიტინგტონისა და მისი კატის შესახებ, ცნობილი ბრიტანული ხალხური ზღაპარია, სადაც მოთხრობილია ღარიბი დიკის შესახებ, რომელიც პატარა ქალაქიდან დიდ ქალაქში გარბის იმისათვის, რომ ცხოვრება აინყოს. ლეგენდის თანახმად მას ჰგონია, რომ ლონდონის ქუჩები ოქროთია მოკირწყლული, თუმცა ლონდონში ჩასული აღმოაჩენს რომ ეს ასე არ არის. მართალია, მას მდიდარი ვაჭარი მისტერ ფიცუარენი შეიფარებს და დაასაქმებს სამზარეულოში მიმხმარედ, მაგრამ ოთახი, რომელშიც დიკს უწევს ყოფნა ვირთხებითაა სავსე. ერთ დღესაც, როდესაც დიკი ზედმეტ ფულს იშოვნის იმით, რომ ფეხსაცმელებს გაუპრიალებს ვილაც

ჯენტლმენებს, მაშინვე წავა და კატას იყიდის, რომელსაც თავგების ჭერის საოცარი ნიჭი აღმოაჩნდება. ერთ დღესაც, როდესაც ფიცუორენი გემით სავაჭრო საქონელს გზავნის, დიკი თავის კატას გაგზავნის. ფიცუორენთან ცხოვრებით დიკი კმაყოფილი იყო, თუმცა მისი მზარეული მას ცუდად ექცეოდა და დიკი გაქცევას გადაწყვეტს, თუმცა გზაში ესმის ზარების რეკვა, რომლებიც თითქოს აუნყებენ “Turn again Whittington, thrice Lord Mayor of London”¹. დიკი ყურს დაუგდებს ზარების ნათქვამს და უკან მიბრუნებული აღმოაჩენს, რომ მისი კატა ბარბაროსთა მეფემ იყიდა აურაცხელ ოქროდ, რადგან მისი სასახლე ვირთხებს მიჰქონდათ. შესაბამისად ცოტა იღბლის წყალობით დიკი ჯერ მდიდარი ვაჭარი ხდება, ხოლო შემდეგ ლონდონის მერის ადგილსაც გამოკრავს ხელს. მეორეს მხრივ კი “Dook Welington”-მა წინადადების დასაწყისში შეუძლებელია არ მოგვაგონოს ართურ უელსლი², უელინგტონის I ჰერცოგი, რომელიც ჯოისისათვის იმით არის საინტერესო, რომ დიდი ბრიტანეთის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული მთავარსარდალი, რომელმაც ნაპოლეონი დაამარცხა ვატერლოსთან, ირლანდიური წარმოშობისა იყო. მასსა და დიკს შორის ამას გარდა პარალელის გავლება შეიძლება, რადგან ორივე ლონდონში გაიქცა წარმატების მისაღწევად და შეძლეს კიდევ. ჯოისი მუდმივად ცდილობდა იმის ხაზგასმას თავის ნაწარმოებებში, რომ დუბლინში დარჩენით ადამიანი საკუთარ თავს, ხელოვნებასაც და ნიჭსაც წირავდა, რადგან დუბლინი ისე მტკიცედ აქცევდა მათ თავის მარწუხებში, რომ არანაირ გასაქანს არ აძლევდა და ამას გარდა, ამ „მკვდარ“ და „პარალიზებულ“ ქალაქში რაიმე ახლის შექმნა სრულიად შეუძლებელი იყო. სწორედ ამით ხსნიდა ჯოისი იმას, თუ რატომ გაიქცა თავად დუბლინიდან და უელინგტონის, დიკის და სხვა მრავალთა მაგალითზე ცდილობს თავისი თავის გამართლებასაც და იმის ჩვენებასაც რომ წარმატების მიღწევა მხოლოდ დუბლინისგან შორს „დედაქალაქში“, „მეგაპოლისში“, „დიდ ქალაქშია“ შესაძლებელი.

ჯოისის შეხედულებებისაგან რადიკალურად განსხვავებული იყო „აღდგომის აჯანყების“ სულის ჩამდგმელებსა და მთავარი

1 მობრუნდი უკან უიტიინგტონ, სამჯერ ლონდონის მერო!

2 ვიკონტი (1809), ერლი (თებერვალი 1812), მარკიზი (ოქტომბერი 1812) და 1814 წლიდან უელინგტონის I ჰერცოგი გაერთიანებული სამეფოს ერთ-ერთი უდიდესი მთავარსარდალი, ბრიტანეთის საგარეო საქმეთა და პრემიერ-მინისტრი. ვატერლოსთან ნაპოლეონ ბონაპარტის დამამარცხებელი.

მონაწილეებს იდეები, რომელთაც მიაჩნდათ, რომ სისხლის ბოლო წვეთამდე უნდა ებრძოლად დუბლინის ბრიტანეთის იმპერიის მარ-ნუხებიდან გასათავისუფლებლად და რომ ირლანდიის დამოუკიდებლობისათვის ყველა საშუალებვა გამართლებული იყო. საუკუნეებს განმავლობაში ირლანდია არა ერთხელ აჯანყებია დიდ ბრიტანეთს და ყველაზე რადიკალური ფორმა მან მეოცე საუკუნეში მიიღო – „აღდგომის აჯანყების“ – სახით. ჯოისი ამ შემთხვევაშიც, კერძოდ „აღდგომის აჯანყების“ მედროშეების მიმართაც არ კარგავს ირონიულ დამოკიდებულებას და ისინიც მისთვის პაროდირების კიდევ ერთი წყაროა. ჯოისი პატრიკ პირსსა¹ და მაიკლ ო'რაილის² – აერთიანებს და ნაწარმოების ერთ-ერთ მთავარ პერსონაჟსა და ჯოისის ალტერ ეგოს – მწერალ შემს „ბალადას პირსი ო'რაილიზე“ აწერინებს “Some apt him Arth, some bapt him Barth, Coll, Noll, Soll, Will, Weel, Wall but I parse him Persse O'Reilly else he's called no name at all. Together.”³ (ჯოისი 2012:44). საინტერესოა, თუ რატომ აკეთებს ჯოისი ამას. მიუხედავად იმისა, რომ პირსიცა და ო'რაილიც დამოუკიდებელი ინდივიდები არიან, მათი გაერთიანებით ჯოისი ერთის მხრივ მიუთითებს იმაზე, რომ ამგვარი აჯანყების დროს ადამიანი ინდივიდუალურ სახეს კარგავს და ერთიანი ბრბოს ნაწილი ხდება. თუმცა თუ უფრო პოზიტიურად შევხედავთ, რომანში წარმოდგენილი ორი, ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებული ძმა – პრაგმატული, განონასწორებული შონი და შემოქმედი, გადარეული შემე – რომლებიც მუდმივად დაპირისპირებულები არიან ერთმანეთთან, მონაკვეთებში ერთიანდებიან და ერთ მთლიანობას ქმნიან. შესაბამისად, პირსისა და ო'რაილის გაერთიანებით ჯოისი გვიჩვენებს, თუ როგორ შეიძლება ორი – ერთი იდეის გარშემო გაერთიანების საფუძველზე – ერთად გარდაიქმნას.

1 ირლანდიელი პოლიტიკური მოღვაწე, რევოლუციონერი, დრამატურგი და პოეტი. 1916 წელს აღდგომის აჯანყების ერთ-ერთი ლიდერი, რომელიც დანარჩენ ლიდერებთან ერთად 1916 წლის 3 მაისს ინგლისელებმა დახვრიტეს.

2 მაიკლ ო'რაილიც ერთ-ერთი ამბოხებული იყო, რომელმაც ფოსტის შენობიდან სხვა აჯანყებულებთან ერთად იყო გამაგრებული. მიუხედავად იმისა, რომ მან წინასწარ იცოდა გარდაუვალი მარცხისა შესახებ, ამის მიუხედავად ერთი წუთითაც არ უყოყმანია. როცა ო'რაილი აჯანყებულებს ფოსტის შენობაში შეუერთდა ასეთი ფრაზა წარმოთქვა: “იტ ის მადნესს, ბუტ იტ ის გლორიოუს მადნესს” (ეს სიგიჟა, მაგრამ ბრწყინვალე სიგიჟე)

3 ზოგიერთი მას უწოდებს არტს, ზოგი ნათლავს მას როგორც ბარტს, კოლს, ნოლს, სოლს, ვილს, ველს, ვოლს, მაგრამ მე მას ვუწოდებ პირსი ო'რაილის, ან საერთოდ არაფერს არ დავუძახებ, ერთად.

არც ის არ არის შემთხვევითი, რომ „ღამისთევა ფინეგანისათვის“ მთავარი გმირი – ჰამფრი ჩიმპდენ ეარვიკერი, რალაც “დანაშაულს” (რომელიც რომანის ბოლომდე გაურკვეველი რჩება და ათასი ჟორისა თუ სპეკულაციის საგნად წარმოვიდგება) სწორედ ფენიქსის პარკში ჩადის, რადგან ამ პარკში მომხდარ ინციდენტს¹ უაღრესად დიდი დატვირთვა ჰქონდა ირლანდიის ისტორიაში. გვიან საღამოს ეარვიკერ ფენიქსის პარკის დაცარიებულ და ტყიურ ადგილებში სეირნობისას ხედავს ორ ახალგაზრდა გოგონას, რომლებიც მოშორებით დგანან ერთ-ერთ წყაროსთან. გოგოები შიშვლები არიან, სხვადასხვა მიზეზით: შეიძლება იმიტომ რომ თავიანთი სხეულის დემონსტრირება უნდათ, ან უბრალოდ მოშარდვა მოუნდათ, მათ ან იციან რომ ეარვიკერი მათ უთვალთვალბთ, შეიძლება იციან კიდევაც და არ იმჩნევენ. ეარვიკერი კი ამ დროს სექსუალურად აღზნებულია, და ის გარყვნილი აზრები, რაც მას ამ გოგოების ხილვისას ეუფლება, მასში ერთდროულად დანაშაულისა და შიშის გრძნობას ინვევენ. მათგან არც თუ ისე მოშორებით სამი კაცია, რომლებიც ამ სცენას შეესწრებიან. არავინ იცის ვინ არიან ისინი: ფორმა აცვიათ და შეიარაღებულები არიან. გასაკვირი არ არის ის, რომ ამ სცენის აღწერისას ამდენი რამ სათუთა და ბუნდოვანი, რადგან ამ ინციდენტის დროს საშინელი ნისლი იყო და შესაბამისად ამბის რეკონსტრუქცია დამახინჯებული და სუბიექტური აღწერებიდან გვინვეს. ჯოისი, რა თქმა უნდა, არანაირ მინიშნებას არ იძლევა, და არ ეუბნება თავის მკითხველს თუ ვინ არიან ეს სამნი. თუმცა როგორც ზემოთ ავლნიშნეთ, ამ თავში არაერთხელ არის გაიგივებული ჰამფრი ნოესთან, შესაბამისად ამ მხრივ თუ შევხედავთ ეს სამნი შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც სემი, ქამი და იაფეტი.

ფენიქსის პარკის მნიშვნელობა ხაზგასმულია რომანში „ულისე“, როდესაც „ციკლოპების“ ეპიზოდში, კერნანის ლუდხანაში ყოფნისას, სიკვდილით დასაჯისა და ჩამოხრჩობაზე საუბრისას ალფის ირლანდიელი ნაციონალისტები ახსენდება: ‘God’s truth, says Alf. I heard that from the head warden that was in Kilmainham when they hanged Joe

¹ 1882 წლის 6 მაისს ფენიქსის პარკში ირლანდიელმა ნაციონალისტებმა, რომლებიც თავის თავს „უძლეველს“ (ინვინციბლეს) უწოდებდნენ ლორდი ფრედერიკ კავენდიში და თომას ჰენრი ბურკე მოკლეს. ერთ-ერთი მკვლეელი ჯო ბრედი იყო. ჩარლზ სტიუარტ პარნელმა ისინი სიკვდილით დასაჯა, რამაც მისი პოპულარობა კიდევ უფრო გაზარდა ბრიტანეთსა და ირლანდიაში.

Brady, the invincible. He told me when they cut him down after the drop it was standing up in their faces like a poker“ (ჯოისი: www.joyceproject.com).¹

სტივენ დედალოსი ულისეს მეორე თავში მისტერ დიზისტან საუბრისას აღნიშნავს, რომ ისტორია, ის ღამეული კომპარია, რომლისგანაც გამოფხიზლებას ცდილობს. სტივენ დედალოსის ეს სიტყვები აშკარა მინიშნებაა იმაზე, რომ ჯოისი, ირლანდიიდან ფიზიკურად შორს – ტრიესტეში, პოლაში, პარიზსა თუ ციურხისში – მაინც ვერ ახერხებდა ირლანდიიდან სულიერად გაქცევას და მისი აზრები თუ ფიქრები მუდმივად დუბლინს დასტრიალებდა, რომელიც ერთდროულად უყვარდა და ეზიზღებოდა კიდეც. მაშინ როცა „ულისეში“ ალუზიები „აღდგომის აჯანყება“-ზე შეფარულია და სტივენისაგან თუ ვიგებთ, რომ ის ცდილობს გაექცეს ისტორიას, რომანში „ღამისთევა ფინეგანისათვის“ ის უკვე სხვა ყველაფრის მსგავსად პაროდირებისა და გაშარყების საგანი ხდება.

დასკვნები

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად იმისა, რომ თითქოს ჯოისის რომანები ერთი შეხედვით ბევრად მალლა დგას პოლიტიკაზე და იმ დროს მიმდინარე მოვლენებზე, მათი დეტალური ანალიზი გვიჩვენებს, რომ ჯოისი საოცრად იყო დაინტერესებული ირლანდიის პოლიტიკური ცხოვრებით, რასაც პირველად „დუბლინელებში“ ვხვდებით მოთხრობაში „სუროს დღე“, შემდეგ „ახალგაზრდა ხელოვანის პორტრეტში“ გრძელდება სადაც დანტეს ორი, სხვადასხვა ფერის კბილის ჯაგრისი აქვს. თუმცა ჯოისის ალუზიები მომდევნო რომანებში ბევრად უფრო შეფარვით და რთულად აქვს მოცემული, ისევე როგორც რთულდება მისი წერის სტილიცა და ტექნიკაც. აშკარაა, რომ ჯეიმზ ჯოისის ორივე რომანში ამ ერთსა და იმავე მოვლენის მიმართ რადიკალურად განსხვავებული მიდგომა შეიმჩნევა; მაშინ როცა რომანში „ულისე“ მისი დამოკიდებულება აღდგომის აჯანყებისა და ირლანდიური ნაციონალიზმის მიმართ შეფარვითაა გადმოცემული, „ღამისთევა ფინეგანისათვის“ ჯოისი უკვე ამას დაუფარავად და პირდაპირ აკეთებს.

¹ ღმერთს გეფიცები, თქვა აღფმა. მთავარი ზედამხედველისაგან მოვისმინე, რომელიც კილმენჰეიმში იყო, როდესაც უძლეველი ჯო ბრედი ჩამოახრჩვეს. მან მითხრა როდესაც ის ჩამოხსნეს მისი სახე აე სულს ჰგავდა.

მაშინ როცა „ულისეში“ ციკლოპების ეპიზოდში (მეთორმეტე ეპიზოდში) ლეოპოლდ ბლუმი ბარნი კირნანის ლუდხანაში შეხვდება „მოქალაქეს“, „ლამისთევა ფინეგანისათვის“ შემთხვევაში აღდგომის აჯანყებაზე აღუზიები რომანის პირველივე გვერდებიდან გვხვდება, და ბოლო თავში სრულიად ტრანსფორმირებული „ხამან-ნკების ორმახათად“ გვევლინება.

დამონეგანი:

კენერი 1982: Kenner, Hugh, *Ulysses*, London: George Allen & Unwin, 1982.

იეტი 1916: Yeats, William Butler, *Rising 1916*, online page: <https://www.poetry-foundation.org/poems/43289/easter-1916>

ჯოისი 2012: Joyce, James. *Finnegans Wake*, Oxford: Oxford University Press, 2012

ჯოისი: Joyce, James, *Ulysses*, www.joyceproject.com

NANA GONJILASHVILI

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Grigol Megrelishvili – Sense of Life and Death, Georgia

Work provides discussion of the art of 21 years old poet, Grigol Megrelishvili, who has fought for independence and integrity of Georgia in three different wars and made a supreme sacrifice, in particular, the poems expressing devotion to the integrity of Georgia and divine love to the woman and native land. Poetry of G. Megrelishvili reflects the painful problems of the epoch and generally, historical fate of the Georgians. The poet cannot conceal his pain caused by “empty” life of the country, internal weakening of the Georgians, their mental devastation and blindness. He calls the Georgians for awakening, decisive fight that should end with the victory or death. The poet convinces the nation with the words full of certainty that the blood shed by its sons would dye red the darkness of slavery and “bring closer the dawn” of liberty, victory.

Key words: hero, homeland, sacrifice.

ნანა გონჯილაშვილი

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

გრიგოლ მეგრელიშვილი – სიკვდილ-სიცოცხლის საზრისი, საქართველო

„მასში გაიღვიძა ძველმა რაინდულმა საქართველომ,
მისმა ცეცხლოვანმა ბრძოლის გენიამ წარსული და
დღევანდელი საქართველო შეაერთა!“ (შ. ბუაჩელი).

გრიგოლ მეგრელიშვილი, „მთის ნიავი“ (1898-1919) – პოეტი, მხედარი და ტარიგი, საქართველოსთვის დამაშვრალი, ლექსად და სისხლად დაღვრილი, სიტყვა და სიცოცხლე ზვარაკად გაღებული; სიტყვა საქმით დაბეჭდილი, საქმე სისხლით დამონმებული, ღირსეული სიცოცხლე ღირსეული სიკვდილით აღსრულებული. მისი ყოფიერების საზრისი და მიზანი – ღვთაებრივ სიყვარულთან ნაზი-არები და ხატად დასახული სამშობლო.

გიორგი ლეონიძის თქმით, „მას არ ეცალა „პოეზიის უძილო ღამეებისთვის“, არც „პოეტური ბოჰემისათვის“... თავისი ხანმოკლე სიცოცხლე, გული, ნიჭი და სისხლი ძღვნად მიუტანა სამშობლოს. ასეთი ადამიანები არა კვდებიან, არც იკარგებიან!“ (ლეონიძე 2009: 8-9).

მართლაც, იშვიათია გ. მეგრელიშვილის მსგავსი მხედრობა და თავგანწირვა საქართველოს ერთიანობისთვის. 18-19 წლის ჭაბუკის ბიოგრაფია ამის ცხადყოფაა: 1918 წელს – ბრძოლა ბათუმის თურქებისგან გასათავისუფლებლად; საჩხერეში გამართული შეტაკება საქართველოს მიწაზე დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის მოსურნე ოსებთან; ომი დენიკინის არმიასთან ტუაფსეს მიდამოებში. და ბოლოს 1919 წელი – ოსმალებთან ომი ახალციხე-ფოცხოვის მიდამოებში, სადაც პოეტი ოთხი ტყვეით განგმირეს.

„სამშობლოს მსხვერპლად უნდა შევეწიროო“ – უთქვამს, ნიკ. ასათიანისათვის (ასათიანი 2009: 173). „იგი ყველა ფრონტზე გმირულად იბრძოდა. მისი გულ-მკერდი დამშვენებული იყო გიორგის ჯვრებით. ამხანაგ ჯარისკაცებში მისი სახელი ლეგენდებში გმირად იყო მონათლული. ოფიცრებს იგი ისე უყვარდათ, როგორც მგოს-

ნებს თავისი ლექსები... იგი აჩქარებული მეტროლი იყო და წყუროდ თავისი სისხლი ყველა ფრონტზე დაექცია“ ((სათიანი 2009: 173-174).

„გმირი მგოსანი“, „მომარი მგოსანი“, „ორბის მხედარი“ – ამგვარად და კიდევ მრავალი მსგავსი სახელდებით მოიხსენებენ მას მეგობრები და თანამოაზრენი – ნიკო კეცხოველი, გიორგი ლეონიძე, დემნა შენგელაია, ალქსანდრე ქუთათელი, სიკო ფაშალიშვილი, გრიგოლ ცეცხლაძე, დავით მებუკე (ცვარნამი), დავით ალლაძე.

გ. მეგრელიშვილის პოეზიაში ლექსების ერთი ნაწილი საკუთარი თავის ძიება-შეცნობას, შინაგანი სამყაროს მოხილვას ეძღვნება და ფილოსოფიური მსჯელობის სიღრმით გამოირჩევა. ამავდროულად, ვხვდებით ყოფიერების, სიკვდილ-სიცოცხლის საზრისის, სამყაროს მშვენიერების, კოსმიური ჰარმონიის, ღვთაებრივი სიყვარულისკენ სწრაფვის, ხატად დასახული სამშობლოსათვის მხედრული შემართებისა და მსხვერპლად შეწირვის ამსახველ ლექსებს. ამჯერად განვიხილავთ საქართველოს ერთიანობისათვის თავდადებისა და სატრფო-მამულის ღვთაებრივი სიყვარულით ტრფობის გამომხატველ ლექსებს, რომელთაც ლირიკული გმირის ამაღლებული „მე“, მისი შინაგანი სამყაროს ბრძოლის ასპარეზზე წრთობაგამოვლილი სული ესაძირკვლება.

გ. მეგრელიშვილი, მსგავსად თავისი წინამორბედი პოეტებისა, სამშობლოს წარმოსახავს სატრფოს სახით, რომელიც სწეულია და ლოგინად ჩავარდნილი. ასეთია მისი ეპოქის დავრდომილი, უიმედობაში, ეჭვსა და სიცრუეში მყოფი, ავისა და კარგის, მტრისა და მოყვრის შეცნობის გზაზე მდგარი თვალდადგრომილი საქართველო. ესაა გ. მეგრელიშვილის ლექსის – „გული გამრთელდა“ – პირველ ნაწილში ლირიკული გმირის საწუხარი, ერთობ მტკივნეული „სევდა წყეული“, რომელიც მას სულს უფორიაქებს, „უშფოთებს“. აქვე იკვეთება მასთან ერთად ფარისევლურად ცრემლისმღვრელი „მოყვრის“ სახე-ხატი, რომლის მიღმა მამულისათვის სამარის მჭრელი „უპირო“ და „მუხთალი“ მტერი იხილვება (სამშობლო – ლირიკული გმირი – მტერი).

ლექსის მეორე ნაწილში კვლავაც სამი მოქმედი პირია, მხოლოდ თანმიმდევრობაა შეცვლილი – ლირიკული სუბიექტი, სამშობლო და მტერი. ამგვარი გადასაცვლება, ვფიქრობთ, მაჩვენებელია იმისა, რომ სამშობლოს კეთილდღეობა, მისი ერთიანობა და სიძლიერე

თვითოეული მამულიშვილის „ზრუნვის საგანია“, რომ მხოლოდ მხედრობა და მკლავის სიძლიერე არაა საკმარისი მამულის ჭეშმარიტ გზაზე „სლვისათვის“. ლირიკული გმირი თავისი ქმედებით გვიჩვენებს, რომ ღვთის ხატადქმნილი სამშობლო თავის შვილთაგან უსიხლო მსხვერპლს, ლოცვას, საჭიროებს და ითხოვს, რამეთუ უფალი და განწმენდილი სული მხსნელი და მკურნალია, ფარი და საჭურველია შეჭირვებაში მყოფი ქვეყნისა (გავიხსენოთ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ წმინდა მამათა მიერ ხელმწიფეთა კურთხევისა და „ლოცვით შეჭურვის“ სიტყვები – „...სულიერად განწყობილნი ლაშქარნი თქვენნი ესე წმინდანი – უდაბნოთა მამანი არიან ხორციელად განწესებულთა ლაშქართა თქვენთა სიმტკიცენი და საჭურველნი...“ – გიორგი მერჩულე 1982: 256). ამიტომაც ლირიკული გმირი ზეცად აღავლენს ლოცვას –

ზეცას შევსთხოვდი, გასჭრა ლოცვამან,
ჩემი ვედრება ისმინა ცამან,
დღეს აღსდგა სატრფო – იცნო მოყვარე
და წყევლა-კრულვით ახსენა მტერი (18).¹

სამშობლოს გამოფხიზლება, მისი აღდგომა-განახლების სურვილი ლირიკული გმირისათვის იმდენად მნიშვნელოვანი და ძლიერია, რომ თვით სიკვდილის შიშსაც თრგუნავს. მამულის ტრფობით აღვსილ მის სულს „ბნელ სამარეზე“ ფიქრი ველარ შესძრავს. პოეტისათვის „ჩვეულებისაებრ მამულისა სღვის“ აღდგენის ხილვა გულის წყლულის განმკურნელია, გულის სიმრთელის საწინდარია –

ან ვერ მაშინებს ბნელი სამარე,
გული გამრთელდა სევდით ნასერი (იქვე).

ლექსის შინაარსიდან ირკვევა, რომ „სნეული სატრფო“-მამულის შესატყვისად, ჭეშმარიტი მამულიშვილის გულიც „სევდით ნასერია“, რომ მამულის ტკივილს იგი „გულითა გრძნობს“, ქვეყნის აღდგინება-აღორძინება კი ერთიანად ცვლის მის ყოფას, სიცოცხლეს უბრუნებს, „გულს უმრთელებს“ სნეულს. და უფრო მეტიც, „სატრფოს“ ამგვარი ფერისცვალება მის შინაგან სამყაროშიც

1 გ. მეგრელიშვილი (მთის ნიავი), ბედის მდინარე, თბ., 2009; შემდგომში ციტატები ამავე წიგნიდან იქნება მოხმობილი.

ინვესს სხვაგვარ ფიქრს – მამულის კეთილდღეობის მომსწრე მხილველისათვის სიკვდილი შიშს აღარ ინვესს და „ბნელი სამარე“ შეუძვრელი სულის ნათლით ივსება (გვახსენდება შუშანიკის შესახებ იაკობ ხუცესის თქმული – „განაბრწყინა და განაშვენა ყოველი იგი ციხე სულიერთა მით ქნართა“ – იაკობ ხუცესი 1982: 18; ასევე დემეტრე-დამიანეს სიტყვები შიო მღვიმელისადმი: „მღვიმე ფართოობს სამყაროდ“ – დიმიტრი მეფე 1987: 277).

ზემოგანხილული ლექსი თავისი თემითა და იდეით გარკვეულნილად ეხმიანება აკაკის ლექსს „აღმართ-ღმართ“, კერძოდ, მტერს დამონებული სატრფო-მამული და სამშობლოს უბედურებით „მწუხარებით დანაგული“ ლირიკული გმირის სულიერი მდგომარების ჩვენება. განსხვავებებიც შეინიშნება, კერძოდ, აკაკისთან ლირიკული გმირის მიმართვის ობიექტი სამშობლოა, გ. მეგრელიშვილის ლექსში კი ლირიკული გმირი საკუთარ თავთან ხმამაღლა მოსაუბრე პირად გვევლინება, რომელიც დიალოგს მკითხველთან მართავს. ამასთანავე, აკაკის ლექსის ფინალი პესიმიზმით შეპყრობილი ლირიკული გმირის სიკვდილისკენ „დაღმართ-დაღმართ“ სვლით სრულდება, გ. მეგრელიშვილის ლექსის ფინალი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ოპტიმიზმითაა გაჯერებული და მასში ლირიკული გმირისაგან სიკვდილის შიში დაძლეულია.

სამშობლოსადმი მიძღვნილ ლექსებს შორის ყურადღებას იპყრობს „თეთრი ღამე“, რომელიც, თავისი მცირე მოცულობისდა მიუხედავად (სულ ექვსი ტაეპია), ერთობ მრავლისმეტყველია და უმნიშვნელოვანეს პრობლემეტიკას ეხება.

„თეთრი ღამის“ შესახებ საუბრისას გ. მეგრელიშვილის მოქალაქეობისა და ნაღვანის თანამედროვეთათვის კვლავაღმომჩენი, პროეტან ნათესაური და სულიერი კავშირით შეკრული ბ-ნი გ. ფარულავა წერს, რომ ლექსი იერთ, გარკვეულნილად, გალაკტიონის „მე და ღამეს“ ემსგავსება, თუმც კი საზრისით მას არსებითად ემიჯნება და ილიას პოეზიას ეხმიანება – „ვფიქრობთ, დავა მიმდინარეობს იმ მსოფლშეგრძნების პოზიციიდან, რაც გაცხადებულია ილია ჭავჭავაძის „ელეგიაში“. ხოლო „თეთრი ღამის“ უკანასკნელი სტრიქონი ილიასავე „გაზაფხულის“ ბოლო ორი ტაეპის... სულისკვეთებას ეხმიანება“ (ფარულავა 2009: 305).

ლექსის პირველი ოთხი ტაეპი სამყაროსეულ მშვენიერებას არეკლავს და ერთიანად მორკალავს „უცხოდ შეთხზული საგალობ-

ლის“ – ქვეყნის, მიწიერი სილამაზის, ბუნების კოსმიური ჰარმონიის, კერძოდ კი – ღამის სიტურფის სურათს, რომლის მიღმა „ხელოვანი“ ღმერთის იგავმიუნვდომელი სიბრძნე, მშვენიერება, სიკეთე და სიყვარული იხილვება –

ნორჩ მთოვარეს ნაზ ტუჩებზე საოცნებო უკრთის ღიმი,
გარს არტყია ოქროს ცრემლი კაეშნის დროს დანანვიმი;
თეთრად მორთულ დედამინას სამარისებრ წყნარად სძინავს,
მთვარის სხივზე ცივი ნამი, როგორც ვერცხლი, ისე ბრწყინავს (27).

„თეთრად მორთული დედამინის სამარისებრ“ დუმილში, „წყნარ ძილში“, იდუმალება ხმინაობს, რომელიც ლირიკული გმირის პიროვნებაში დიდ სათქმელს აღძრავს – მისთვის „საოცნებო ტურფა ღამეს“ სიხარული და სიმშვიდე არ მოაქვს, რამეთუ ამ ღამაზე და უშფოთველ სინყნარეში მძინარე მამული უტყვია და, შესატყვისად, მღვიძარებას ძალამოკლებული.

მხოლოდ მე კი ვერ მახარებს საოცნებო ტურფა ღამე:
ჩემო კარგო საქართველოვ, შე ერთგულ შვილს მითხარ რამე!

– ამბობს ლექსის ლირიკული გმირი და მის ნუხილში ილიას ღაღადისი მოისმის. მკითხველი, უპირველეს ყოვლისა, ილიას „ელეგიასა“ და „გაზაფხულს“ გაიხსენებს; ამავდროულად, „ჩემო კარგო საქართველოს“ კვლობაზე, „ჩემო კარგო ქვეყანას“ ამოიკითხავს და ფიქრით „მგზავრის წერილებსაც“ (განსაკუთრებით, „რას ვეტყვი მე ჩემს სამშობლოს და რას მეტყვის იგი მე“ და სხვ.) შეეხმიანება. შემოქმედთა ამ სიახლოვეს, ამგვარ საერთო ხედვას, „დაუყურავ“ ნუხილსა და გულისტკივილს ქვეყნის უკიდევანო სიყვარული ესაძირკვლება, რომელიც სულიერი მღვიძარების, ჭეშმარიტ მამულიშვილთა მხედრობის, სულის ახოვანებისა და სინედლის უტყუარი მონაბაა. მას ვერანაირი ამქვეყნიური სილამაზე, ბუნების მომხიბვლელი სიტურფე, „მამულის ტკბილი კვამლი“ თვალს ვერ აუბამს და ვერ დაადუმებს. ამავდროულად, მკითხველისათვის სამნუხარო და ტრაგიკული ისიც არის, რომ ილიასა და გრიგოლ მეგრელიშვილის ეპოქებს კვლავაც საერთო ტკივილიანი სათქმელი აქვთ. და უფრო მეტიც, ეს სათქმელი ჩვენს ეპოქასაც სწვდება და ერთიანად მოიცავს.

„თეთრი ლამის“ პრობლემატიკას ეხმიანება ლექსი „ძიება“, რომელშიც სრულადაა გახსნილი ლირიკული გმირის სატიკვარი და სამშობლოს „უსულდგმულო“, ცოცხალ-მკვდრად ყოფნის მძიმე სურათი. ამ ტრაგიკული მდგომარეობის გამძაფრების მიზნით, პოეტი გარემოს ძაძით მოსავს, რათა „უთვალავი ფერითა“ შექმულმა ბუნებამ, სივრცულმა გარემომ არ დაჩრდილოს და დაფაროს „ერის დაძაბუნების“ რეალური სურათი.

ძაძა ჩავაცვი, ძაძა ბუნებას,
შავად შევმოსე მთანი, ტყე, ველი
და ჩემი ერის დაძაბუნებას
მწარედ დავტირი ცრემლის მფრქვეველი (39).

გ. მეგრელიშვილი გულისტკივილს ვერ ფარავს მძინარე ქვეყნის „უსულდგმულო“ ცხოვრებაზე, ქართველთა შინაგან დაძაბუნებაზე, მათს სულიერ სენსა და სიბრმავეზე, რის გამოც ადამიანები საკუთარ მდგომარეობას ვერ ხედავენ, ვერ აფასებენ და, შესაბამისად, რეალობის თავად არ სჯერათ. პოეტისათვის გულისშემძვრელია ყურება ერისა, რომელმაც „თვით უარყო თავის უფლება“, „მშობლიური ცა“, მზე და ვარსკვლავნი. და რაც მთავარია – ერის იდენტობის, ერის მსოფლმხედველობის „ხატი მეტყველი“ – ენა. ყოველივე ეს კი ეროვნული ფიზიონომიის დაკარგვის მაუნყებელია და ამით შეძრული პოეტი გულისტკივილით მიმართავს მოძმეთ – „შთამომავლობით თითქოს ქართველნო, რისთვის ვერ ვხედავ თქვენში ქართველსა?“ (40).

ლექსში რომანტიკული მსოფლხედვა იჭრება და პოეტი იხსენებს წარსულ დროს, ოდეს ქართველთა წიაღში იშვა რუსთაველი და თავისუფლების დასაცავად წინაპართ სისხლით ირწყვებოდა მინა, ოდეს ქართველი „სხვა ერის ბედის მჭედელი“ მეზრძოლი და „ციხეკედელი“ იყო. სატანჯველია პოეტისათვის, როცა ხედავს თავისუფლებადაკარგულ, მონებადქცეულ ხალხს, რომელთაც უწინდელი მხნეობისა და შემართების არა შერჩენიათ და „მხდალი, ლაჩარი“ გამხდარა.

ლექსის დასასრულს ოპტიმისტური განწყობა ხმიანდება და პოეტი ქართველებს გამოლვიძებისკენ, გადამწყვეტი ბრძოლისაკენ მოუწოდებს, რომელიც გამარჯვებით ან სიკვდილით უნდა დასრულდეს.

ლექსს რეფრენად გასდევს ლირიკული გმირის, ავტორის, მიმართვა დიოგენესადმი – „ჰე, დიოგენე, შენ ბრძენთა ბრძენო, სადა ხარ, გინვდი მხურვალედ ხელსა!“, რომელიც ლექსის დასასრულს მცირე ცვლილებითაა წარმოდგენილი – „ჰე, დიოგენე, შენ ბრძენთა ბრძენო, როგორ მხურვალედ გინვდი დღეს ხელსა!“. უპირველეს ყოვლისა, რეფრენის შინაარსს განსაზღვრავს ლექსში წამოჭრილი პრობლემატიკა, ხოლო მის მნიშვნელობას გამოკვეთს რეფრენის შემდგომი ტაეპები – „შთამომავლობით თითქოს ქართველნო, რისთვის ვერ ვხედავ თქვენში ქართველსა!“, რომელიც ორგზის მეორდება, ხოლო ლექსის დასასრულს, რეფრენის შემდგომ იკითხება – „შენ (დიოგენე – ნ. გ.) ელადაში ელინს ეძებდი, მე სამშობლოში ვეძებ ქართველსა!“ ამდენად, აქ დიოგენეს ხსენება, რომელიც, როგორც ცნობილია, დღის სინათლეზე ფარნით დადიოდა ხალხმრავალ ადგილებში და ამბობდა – „ვეძებ ადამიანს“ და მიაჩნდა, რომ ათენელები არ იმსახურებდნენ, რქმეოდათ „ადამიანები“, სავსებით ნათელყოფს ლირიკული გმირის დიდ გულისტკივილსა და წუხილის მიზეზს – ქართველთა დაძაბუნებასა და გადაგვარებას, ეროვნული იდენტობის დაკარგვას. გ. მეგრელიშვილი სწორედ ამ თვალსაზრისით ეხმიანება დიოგენეს და მისკენ „მხურვალედ ხელის განვდომა“ ბერძენ ფილოსოფოსთან თანამოაზრეობას გულისხმობს (აქ გვახსენდება ილიას „მგზავრის წერილები – „...ადამიანი აღარა სჩანს ჩემს გარშემო. ვაი, რა ცარიელია ეს სავსე ქვეყანა უადამიანოდ!“ – ჭავჭავაძე 1984: 209; „კარგია გაღვიძებული ადამიანი!.. მაგრამ უფრო უკეთესია ადამიანი, რომელსაც ძილშიაც არა სძინავს ქვეყნის უბედურობით გულ-ალტკინებულა. ჩემო ლამაზო ქვეყანავ, არიან ამისთანანი შენში? მე მოვნახავ და, თუ ვიპოვე, ვეთაყვანები“ – იქვე: 210).

მსგავსი პრობლემატიკაა წარმოჩენილი ერთ უსათაურო ლექსში, რომელშიც შეპირისპირებულია „განვლილი დროთა ამბავი“ და პოეტის თანადროული ყოფა – ერთი მხრივ, ერის ცხოვრების წიგნში ჩანერილი წინაპართა საკვირველი საქმენი და, მეორე მხრივ, პოეტის ეპოქაში „დაგმობილ-შელახული“ ეროვნული სიამაყე. წარსულისა და თანამედროვე ცხოვრების გახსენების ფონზე პოეტი თავის სულიერ განცდებს აშიშვლებს, ცეცხლზე მეტად მწველი ნაღვლით ივსება და, როგორც თავად ამბობს, დავით წინასწარმეტყველის დარად შავად მოსილი უფალს ევედრება –

დაე, ვიგრძნო ტანჯვა-სნება,
რომ არ მქონდეს სიხალისე,
სიმშვიდე და მოსვენება.
ჩამოვშორდე მიზანს, სწრაფვას
და დავკარგო ყოველივე ... (54).

პოეტი ამგვარი მსხვერპლის წილ შემოქმედისაგან გულის სიმ-
ხურვალეს, გულის „ცეცხლად გაღვივებას“ ითხოვს, რათა „მხილე-
ბის სარკედ იქცეს“ მისი სიტყვა და დაკნინებულ-დაცემული საქარ-
თველო კვლავაც აღდგეს. სხვაგვარად მას „მგოსნური ცხოვრება“
ვერ წარმოუდგენია. მისი აზრით, პოეტი ქვეყნის ცხოვრებით უნ-
და ცხოვრობდეს, მისი ტკივილით იტანჯებოდეს. „ჯადოსნური“
შავი ღამით გარშემორტყმულმა სამშობლომ თუ ვერ შეძლო ახალ
დროსა და ახალ მომავალს შეგებება, ქარიშხალივით გამძვინვა-
რება, ბუმბერაზ მთას დამსგავსება, ძალ-ღონის მოკრება და ძველი
დროის მსგავსად ამაყ და თავმომწონე ქვეყნად გახდომა, მაშინ პო-
ეტის ცხოვრებას ეკარგება საზრისი (გვახსენდება ილიას „პოეტი“
და აკაკის „პოეტი“ და „ჩანგური“).

ეპოქის სატიკივარი და, ზოგადად, ქართველთა ისტორიული
ხვედრი იკითხება ლექსში „სამშობლოსადმი“, რომელშიც გადმო-
ცემულია ქვეყნის ერთიანობისთვის „უცხო მხარეს“ მეზრძოლ და
სიკვდილს შეგებებულ მამულიშვილთა უკანასკნელი სიტყვები –
საქართველოს ლოცვა-კურთხევა. ამგვარი ტკივილიანი განცდით
შეძრული ღირიკული გმირი სამშობლოს მიმართ კითხვის ფორმით
თავის და, ზოგადად, ქართველთა მარადიულ ნატვრას გააცხადებს:

ნეტავ თუ ღმერთი მოგწმენდს ტანჯულ ცრემლს?...
ნეტავ თუ ნგრეულ შენს საკურთხეველს
ფერფლით აღადგენს შენ შვილთა სისხლი! (35).

სამშობლოს „ნგრეული საკურთხეველი“ ორ სიმბოლოს აერ-
თიანებს – „საკურთხეველი“ უნდა გულისხმობდეს ქრისტიანულ
რწმენას, რომელთანაც ეროვნულობაა შედუღაბებული. ამდენად,
კონტექსტიდან გამომდინარე, ქართველთა ცხოვრებაში ერთის
ნგრევა და დაქცევა, მეორის წარწყმედა-მოსპობას მოასწავებს.
ამავდროულად ზემომოხმობილი ფრაზა იმასაც გააცხადებს,
რომ სამშობლო ტაძარია, ღვთის ხატი და სავანეა. სამშობლოს

საკურთხევლის მსხვერპლად კი მამულიშვილთა ქვეყნის ტრფობით დაღვრილი სისხლი გაიაზრება, რომელმაც, ლირიკული გმირის ნატვრა-სურვილში, შესაძლოა, ტაძრის დანგრეული საკურთხეველი „ფერფლით აღადგინოს“.

ლექსის მეორე ნაწილში (პირობითად თუ დავეყოფთ, რასაც თავად ლექსის შემდგომი მონაკვეთი გვკარნახობს), თავად ლირიკული გმირის განცდა-წარმოსახვანი ვლინდება. იგი საკუთარ თავს „უცხო მხარეს“ გადახვენილ მეომრად მოიაზრებს და ამ გადმოსახედიდან გააცხადებს თავის გრძნობა-განცდებს, რომლებიც მის მდგომარეობაში მყოფ თანამოძმეთა საფიქრალ-საწუხარია. და ეს ფიქრი სამშობლოში დარჩენილ ოჯახს დასტრიალებს. წარმოსახვაში, უპირველეს ყოვლისა, ცოცხლდება ხატების წინ მლოცველი დედა, რომელიც უფალს შვილის უვნებლად დაბრუნებას ევედრება. შემდეგ ფიქრი მისწვდება „ყმანვილ ცოლს“, რომელიც ნათესავ-მოყვარეთაგან მებრძოლი მეუღლის გახსენებისას „უცრემლოდ ტირის“. ესაა დუმილთან შეწყვილებული უცრემლო გლოვა, რომელიც უმაღლესი, ჭეშმარიტი სიყვარულის გამოხატულებაა, სიტყვით ვერგამოთქმული და სიტყვაში ვერდატეული (აქ გახსენდება ოთარაანთ ქვრივის უცრემლი ტირილი – „...ოთარაანთ ქვრივმა კაბის სახელო წამოიწია და მთელი მკლავი დაჭიმულ სახელოთი მოისო თვალებზედ. თითონაც არ იცოდა, – რადა ჰქმნა ესა. ეს უნებურად, უცოდნელად მოუვიდა. ხელმა თავისთავად დაასწრო, მინამ გული ცრემლს წამოჰღვრიდა. თითქო ხელი არ დაეკითხა გულს, – არ დამაგვიანოს, არ დამიშალოსო. ოთარაანთ ქვრივს თვალში ცრემლი არ უჩანდა!.. განა აქვს კი ცრემლი ცეცხლმოკიდებულ გულსა?“ – ჭავჭავაძე 1984: 484). იგი მხოლოდ „მშვენიერ სულში მდგომარებს“ და მას მხოლოდ მშვენიერ „სულთა კავშირი“ შობს („თვით უკვდავება მშვენიერსა სულში მდგომარებს, ... მხოლოდ კავშირი ესრეთ სულთა შობს სიყვარულსა...“ – ბარათაშვილი 1976: 54). ერთი მხრივ, მხედრისაგან მამულისათვის დათხეული სისხლი და, მეორე მხრივ, მშვენიერი სულისაგან (მეუღლისაგან) მონურვილი და დუმილში აღსრულებული უსისხლო მსხვერპლი, ცრემლი. მდუმარე, „უცრემლო ტირილი“ გამოხატულებაა იმისა, რომ სამშობლოს კეთილდღეობისათვის მებრძოლი მოყმის მოთქმა-გოდებით გახსენება შეუფერებელი და ღირსებას მოკლებული ქმედებაა. ამიტომაც პირადი გრძნობა-განცდა უკან იხევს და გულში „უხმოდ“

ჩაიკვლება, რამეთუ – ხატი-სამშობლო, „საქართველო უპირველეს ყოვლისა!“.

ლექსის ამ ნაწილის დასასრულს, როგორც ლირიკული გმირის სიტყვებიდან ვიგებთ, ახდება მისი სიზმარი – ბრძოლის ველზე ტყვიით განგმირული სიკვდილს ეგებება და სხვა მოძმეთაგან განსხვავებით (რომლებიც, როგორც ეს ლექსის დასაწყისშია, სიკვდილისას სამშობლოს „ლოცვა-კურთხევით ეგებებიან“), სამშობლოს აჩრდილს შველად უხმობს (ისე, ვით შველად უხმობენ უფალს მომაკვდავნი) –

მაგრამ რა, ეჰა, ახდა სიზმარი,
ტყვიით ვეცემი ბრძოლისა ველად,
სამშობლოვ ჩემო, შენს აჩრდილს ვუხმობ
უკანასკნელ უამს ჩემდა საშველად (35).

საესებით მართებულად შენიშნავს გ. ფარულავა, რომ „ნამდვილი ნათელხილვა“ სტრიქონი – „ტყვიით ვეცემი ბრძოლისა ველად“ (ოდნავ არაზუსტია ხილვა: მეოთხე ტყვიანაკრავიც ფეხზე იდგა“ (301).

აღნიშნულ სტროფში ყურადღებას იპყრობს „სამშობლოს აჩრდილი“. ტექსტის ჯვარსახოვნებისდა კვალობაზე, ჰორიზონტალური ნაკითხვით – „აჩრდილი“ მომაკვდავისთვის სამშობლოს სახის წარმოსახვას გულისხმობს, რომელსაც ხაზის სიმკვეთრე და ფერის სიცხადე აკლია; ვერტიკალური ნაკითხვა კი ილიასეულ აჩრდილის სახე-ხატს გაგვახსენებს – „მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა!.. მე ვარო შენი თანამდევი, უკვდავი სული“ (ჭავჭავაძე 1984: 108)“. ამ მიმართებით, შესაძლოა, ლირიკული გმირი შველად გამოიხმობდეს საქართველოს მარადთანმხლებ უკვდავ სულს, აჩრდილს, ქვეყნის წარსულისა და აწმყო ნათელ ხატს. აღნიშნულს ეთანხმება ისიც, რომ აჩრდილი ზემომოხმობილი სიტყვების შემდეგ სწორედ მამულიშვილთა დაღვრილ სისხლზე ამბობს – „შენთა შვილთ სისხლით გული სრულად გარდამებანა, ამ გულში მე მაქვს შენი აწმყო, შენი წარსული“ (იქვე).

„სამშობლოსადმი“ მთავრდება ლექსის დასაწყისი ოთხი ტაქვით, რომელშიც „უცხო მხარეს“ ობლად მკვდარ მამულიშვილებთან ერთად ახლა უკვე თავად ლირიკული გმირიც იგულისხმება, რაც წინასწარმეტყველურად რეალობაში კიდევ აღსრულდა.

გ. მეგრელიშვილის და, ზოგადად, მამულიშვილთა ამგვარ მხედრულ შემართების საზრისზე შ. კარმელი წერს – „საშიშ ქრილობამ ვერ გაანელა ეთეროვანი ჩირაღდანი მისი სულისა და იგი უკანასკნელ ცოცხალ ძარღვებით რაინდობდა... თეთრ ეტრატზე წითლად აკვეთილი სახელები – სიმბოლოა საქართველოს გაერთიანებისა მარადუცილო ნაწილებთან. ამ თოვლის ეტრატზე დაეყინა დასისხლული სახელი გრიმა მეგრელიშვილისა“ (კარმელი 2009: 155).

საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლას ეძღვნება ლექსი „მშობლიური ჰანგები“, რომელიც სამი ნაწილისაგან შედგება. პირველი-ორი მონაკვეთი სამშობლოსადმი მიმართვას, მესამე ნაწილი კი უშუალოდ ქართველებთან გამართული მონოლოგია. ლექსში გ. მეგრელიშვილი განახლების ჟამის დადგომას, ბედის ვარსკვლავის გამოკრთობას ამცნობს სამშობლოს და მოუწოდებს, „გაიასკეცოს... ნება“ და „გულს დამარხული ფარული ვნება“ გაამძინვაროს, „სასტიკ გრიგალად გადააქციოს“. მისი თქმით, ქვეყნის ერთიანობისათვის შემართული მხედრები

განსაცდელის ჟამს იმით ხარობენ
როს ტბა სისხლისა დალენ-დანგრევს
შენი მონობის რკინის ბორკილებს (41).

გ. მეგრელიშვილი მოუწოდებს ქართველებს, რომ დაიცვან „მეორე მხარე“, აჭარა, ყველაზე მეტად ტანჯული და გავერანებული, რამეთუ იქ მათივე ძმები ცხოვრობენ და მხოლოდ „დრომ შეუცვალა მათ მცნება-რჯული“. გ. მეგრელიშვილი შეახსენებს მოძმეთ, რომ აჭარელი და ლაზი ქართველთა „ნამდვილი ძმები“ და ქართველები არიან, რომ გასაჭირში ჩავარდნილთ მათი იმედი აქვთ:

იმედის სხივით ის რწმენა კვებავს,
რომ არ უარყოფს ქართველი ქართველს,
რომ ძმა მიჰხედავს თვის ნამდვილ ძმებსა,
და გულგრილობით არ შეაშფოთებს
საფლავთ მდებარე წინაპართ ძვლებსა! (41).

როგორც ჩანს, გ. მეგრელიშვილი მწვავედ განიცდის ქვეყნის დაქსაქსულობას, დაშლა-დაკნინებას, საქართველოს სხვადასხვა

კუთხის გაუცხოებას, გულგრილობას, საკუთარი ძმების გასაჭირის ვერშეცნობასა და სხვის ჭირად აღქმას. ზემომოხმობილი ტაეპებით იგი თანამედროვეთ წინაპართა ცხოვრების წესსაც შეახსენებს.

„მშობლიური ჰანგების“ მესამე ნაწილში პოეტი, როგორც აღვნიშნეთ, უშუალოდ ქართველებს მიმართავს, რომ განსხვავებული პოლიტიკური ხედვისდა მიუხედავად, ძნელბედობაში სიყვარულით უნდა გაერთიანდნენ და „უპატრონოდ“ მყოფ თანამოძმეებს დაეხმარონ. ამავედროულად პოეტი ყველას მოუწოდებს, შთამომავლობას ანდერძად დაუტოვონ, რომ სამარადისოდ დაწყველონ და გაკიცხონ ისინი, ვინც მხოლოდ სიტყვა იკმარა და საქმით არ გამოიჩინა თავი,

ვინც თავის ძმების განსაცდელის დროს
პოვა სიმშვიდე და მოსვენება (42).

ლექსის დასასრულს კვლავ მეორდება მონოდება სამშობლოსადმი და პოეტი რწმენით აღსავსე სიტყვებით არწმუნებს ქვეყანას, რომ მის შვილთა დაღვრილი სისხლი მონობის სიბნელეს წითლად შეღებავს და თავისუფლების, გამარჯვების „განთიადიც მოახლოვდება“. ამგვარი რწმენითა და იმედით აღვსილი პოეტი სხვათაგან ამხნეებს, ოპტიმიზმს უნერგავს და თანადგომა-ერთსულოვნებისკენ, „ჩვეულებისაებრ მამულისა სღვის“ არდავინწყებისკენ, ეროვნული თვითშეგნებისა გაღვიძებისა და ღირსების შენარჩუნებისკენ მოუწოდებს თანამემამულეთ, რამეთუ ერთიანი საქართველო მხოლოდ ამ გზით შესძლებს „მონებისგან“ დახსნას და თავისუფლების მოპოვება-დამკვიდრებას.

„სონეტი გამგზავრების წინ“ გ. მეგრელიშვილის ახალციხის ფრონტზე გამგზავრებას ეძღვნება. გ. ფარულავა მთის ნიავის შემოქმედების განხილვისას აღნიშნავს – „ამ ლექსიდან რაიმეს გამორჩევას ვერ ვიკადრებთ“ (ფარულავა 2009: 297). მართლაც, მისი განხილვა და დანაწევრებული აღქმა ვერ შეიტანს მეტ სიცხადეს, რამეთუ ამ მხრივ იკარგება და ფერმკრთალდება ის ერთიანი ძარღვი და ფეთქვა, ერთიანი ამოსუნთქვა და „ამუსიკება“, ჭეშმარიტ პოეზიას რომ ქმნის, პოეტთან ერთად მკითხველს, „ვარგ კაცს“ რომ შეძრავს, გულსა და გონებას „დაუბამს“, ზეაღმაფრენის ძალას შესძენს და ამქვეყნიური საზრუნავისა და ტანჯვა-ტკივილისაგან განათავისუფლებს.

და მაინც... სონეტის მხატვრული სამყარო, მხატვრულ სახეთა სისტემა და სიტყვიერი ქსოვილი, თითოეული სიტყვის გამომსახველობითი ძალა თავის თავს აღემატება, ვერ თავსდება მისთვის განკუთვნილ კონკრეტულ, რეალურ საზღვრებში. თითქოს ერთიანად მიიზიდავს და მოიცავს ყოველგვარ მიწიერს, რათა ყოფნიდან არყოფნისკენ ზეაიტაცოს, მიწიდან ზეცას მიაბჯინოს კიბე და „ჯერარნახულს, ჯერარგაგონილს“ გვაზიაროს. ყოველივე ამას ღვთაებრივი ძალით განცდილი მამულის სიყვარული ესაძირკვლება.

ლირიკული გმირი სამშობლოსათვის ბრძოლასა და ომს „ამჩქეფარებად“, სისხლხორცეულ ძვრად წარმოგვიდგენს, რომლის ზვირთებში სიყვარულით გაჯერებული მჩქეფარე სისხლი ბმაურობს:

ამამჩქეფარებს, როცა ბრძოლად გავემგზავრები,
აღერსი თოფის მოელვარის და ჩახმახ მალის,
დამიმორჩილებს სიაღმასე მე პირ ლალ ხმალის –
ანთრაკის ფერით გაშუქდება თვალთა მავრები (79).

ამგვარი გრძნობით გამოიხატება ერთობ მიწიერ საგნებთან შეხება-„აღერსი“, მათი გაკეთილშობილება და პირუკუ, ნაზი გრძნობებით დაფერილი საჭურველი ლირიკული გმირის შინაგან სამყაროს შეძრავს, გრძნობა-განცდათა ახალ სპექტრს წარმოშობს და სხვაგვარი ფერთა გამით (ვერცხლის, ანთრაკისა და ლალის) „გააშუქებს“ (ამ პასაჟთან რემინისცირდება ოთარაანთ ქვრივის მიერ მეუღლის თოფ-იარაღთან დამოკიდებულების ამსახველი სურათი). სამშობლოსათვის სიკვდილ-სიცოცხლე ამგვარ სულს უდგამს მხედარს და ამ ვაჟკაცურ ახოვანებაში საოცრად სათუთი და უნაზესი ჰანგები მოისმის, რომელიც უხემ ლითონს სინატიფეს სძენს და სხვაგვარ დატვირთვას ანიჭებს. პოეტის ხედვაში სამშობლოს სიყვარული აკეთილშობილებს არამხოლოდ ადამიანს, არამედ გარემომცველ სივრცეს, უსულო ნივთებსაც კი გარდაქმნის და ახალი განსახოვნებით ამეტყველებს.

აქვე წარმოდგება ლირიკული გმირის სულის ახოვანება, რომელიც თვალმუედგამ სიმალემდე აიპართება და ამ თვალსაწიერიდან ფერმკრთალდება ყოველგვარი მიწიერი, თვით სიყვარულიც (აქ გვახსენდება ნ. ბარათაშვილის – „რაა, მოვშორდე ჩემსა მამულსა, მოვაკლდე სწორთა და მეგობარსა! ნულა ვიხილავ ჩემთა

მშობელთა და ჩემსა სატროფოს ტკბილ-მოუბარსა“ – ბარათაშვილი 1976: 52) –

და სულ ერთია – ვის ვუყვარვარ, ვის ვეჯავრები,
სიკვდილის ჩრდილ ქვეშ დავინახავ ყოვლის მძლე ხალისს,
შარავანდელი ვერ შემამკობს ბრწყინვალე ხვალისს,
გამასვენებენ მჭვუნვარებით ომის მთავრები (79).

ლირიკული გმირისაგან დრო-სივრცული გარემოს ძლევა, მი-
ნიერთან ყოველგვარი კავშირის განწყვეტა, მისი „არაფრობად“
მიჩნევა და მისადმი სრული ინდიფერენტიზმი „დაუინტერესებ-
ლი კმაყოფილებით“ (ი. კანტი) აღვსებითაა გამოწვეული. და ეს
„დაუინტერესებელი კმაყოფილება“ იმდენად გარდაქმნის, გა-
მოახურვებს და სხვა სივრცისაკენ, „ზღვრული ინტერესისაკენ“,
ღმერთთან თანაყოფისაკენ წარმართავს გმირს (რომელიც ლექსის
დასასრულს მხედრად წარმოისახება), რომ სიკვდილის შიშსაც ავი-
წყებს. და არა თუ ავიწყებს; მისთვის სიკვდილი სიხარულის დასა-
ბამი ხდება, „მძლე ხალისის“ აღმძვრელი, რომელიც ნეტარებად
განიცდება (აქ გვახსენდება ნაგვემი შუშანიკის სიტყვები – „...და-
საბამ სიხარულისა იქმნა ჩემდა ღამეჲ ესე“ – იაკობ ხუცესი 1982:
14; ასევე – ავთანდილისგან თქმული – „მე იგი ვარ, ვინ სოფელსა
არ ამოვჰკრებ კიტრად ბერად ვის სიკვდილი მოყვრისთვის თამა-
შად და მიჩანს მღერად“ (რუსთაველი 1966: 786, 2-3). ეს ნეტარებად
განცდილი სიხარული მომავლის, „ბრწყინვალე ხვალის“, შარავან-
დედს აფერმკრთალებს; „სიკვდილის ჩრდილს“ კი, რუსთაველის
სიტყვები რომ მოვიხმოთ, ნათლის სვეტად „ლხინი დაადგება“:
„... ზედა ლხინი ადგა სვეტად“ – რუსთაველი 1966: სტ. 402).

ამასთან დაკავშირებით გ. ფარულავა დასძენს – „თეურგია ამ
ლექსის ავტორი, თეურგიის აქტია ჩვენ წინაშე, პოეზიის ენაზე
„თრგმნილი“ თუ გაცხადებული. ნაწარმოების გმირი თვითონაა
ხელოვანი, რომელიც, ნ. ბერდიაევის სიტყვები რომ გავიმეოროთ,
„სხვაგვარ ყოფას ქმნის, სხვაგვარ ცხოვრებას, ქმნის სილამაზეს,
ვითარცა არსებულს“. იგი შემოქმედებით ენერგიას წარმართავს
ახალი სიცოცხლისაკენ“. ხოლო ეს არის სიცოცხლე, შობილი
სიკვდილის მოკვდინების კვალობაზე, მარადისობასთან წილნაყა-
რი სიცოცხლე...“ (ფარულავა 2009: 298).

სონეტში შემდგომ იკვეთება ლირიკული გმირის მიერ ნანატრ-
წარმოსახული ჭაბუკის სახე-ხატი –

ნეტავ იმ ჭაბუკს, ვინც მტრის მკერდში ხმაღს აამგოსნებს,
სატრფოს მაგიერ ვნებით ჰკოცნის ტყვიებს ჯადოსნებს,
ლაჟვარდ ძარღვებში უჩქევს სისხლი ლალ-მენამული... (იქვე).

მოსმობილი ტაეპების მიხედვით, ბრძოლის ველზე გასული ჭა-
ბუკის მხედრული შემართება ესთეტიკის კვალობაზე არაა განსა-
ხილველი; ავტორი ახალ პოეტურ სინამდვილეს, ახალ სამყაროს
ქმნის, რომელიც საკუთრივ მისია, რომელშიც თავად ცხოვრობს და
სუნთქავს. თუ დავაკვირდებით, აქ, გარკვეულწილად, ხმიანდება
სონეტის დასაწყისი ტაეპების შინა-არსი და მხატვრული განსა-
ხოვნების თავისებურებანიც. ორივე შემთხვევაში მამულისათ-
ვის ბრძოლად გასულთა (ერთი მხრივ, თავად პოეტის ლირიკული
„მე“-სი, მეორე მხრივ – ლირიკული გმირის საოცნებო ჭაბუკისა)
შინაგანი სამყაროს პოეტური მოხილვა და ხედვა ერთსულოვანი და
ერთფერია. ორივეგან წარმმართველი მამულისათვის თავგანწირუ-
ლი, ბრძოლის სიხარულის ჟინით შეპყრობილი გმირის ტკბილი სიმღე-
რაა, რომელიც ერთობ ჩვეულებრივ იარაღს „აამგოსნებს“ და ახალ
სულს უდგამს. ორივე პასაჟში ვაჟკაცური შემართება და ომახიანი
ხმის ჟღერადობა უნატიფესი ხავერდოვნებით წონასწორდება,
რაც, თავის მხრივ, პოეტურ ჰარმონიას ქმნის და მკითხველის ცნო-
ბიერებასა და აღქმას არაორდინალური ფიქრისა და ემოციისკენ
წარმართავს. ორივე ნაწილის განსახოვნება და ფერთა-მეტყველება
ერთიან წესს მიჰყვება („ამამჩქეფარებს“ – „უჩქევს“ – „აამგოს-
ნებს“; „თოფი მოელვარე“, „ჩახმახი მალი“, „სიაღმასე... პირ ლალ
ხმაღის“, „ხმაღს აამგოსნებს“, „ტყვიებს ჯადოსნებს“; ალერ-
სი, კოცნა, ვნება და სატრფო; დამორჩილება „ლალ ხმაღისა“ და
„ტყვიებს ჯადოსნებს“ ვნებით კოცნა). იშვიათია ამ ორი პასაჟის და,
ზოგადად, მთელი სონეტის ფერთა გამის სიუხვე და განსახოვნება.
აღმასი, ლალი, ანთრაკი, ლაჟვარდი, ლალ-მენამული, ჩრდილი და
შუქი, შარავანდედი და ბრწყინვალეობა, მჭმუნვარება და ხალისი –
აღამიანის განცდათა და გარემომცველი სამყაროს ფერთა შეხამე-
ბა-შეზავება მეტწილად განსაზღვრავს და გამოკვეთს სათქმელის
მნიშვნელოვნებას.

სონეტის ბოლო სამი ტაეპი სვეტთა წყებას შემორკალავს და გუმბათად ედგმის წინარე სათქმელს; და გასრულდება ტაძარი –

მაშ... ბედაური!.. მსურს ავენთო ამაყი ჟინით,
მტრის რჩეულ რაინდთ თავს ვესხმოდე მშხამავ ყიჟინით,
რომ ვერვინ მკადროს: „საყვარელი მომეც მამული“ (იქვე).

სონეტის წინა ტაეპებში, როგორც უკვე აღინიშნა, ლირიკული გმირი შეჰნატრის მამულისთვის მებრძოლი ჭაბუკის ვნება-სიშმაგეს და აქ დაისმის მრავალწერტილი, რომელიც თავის თავთან მოსაუბრე პოეტის (ლირიკული გმირის) აზრთწყობის მდინარების, ახალი სათქმელის მოსამზადებელი აკორდია. ლირიკული გმირი თითქოს წყვეტს ამაზე ფიქრს, რამეთუ ფიქრის დროსვე ხვდება უმთავრესს – თავის თავში ჭვრეტს სწორედ ასეთ ჭაბუკს. ამიტომაც ითხოვს ბედაურს და სატრფო-მამულისათვის „ამაყი ჟინით“ და „მშხამავ ყიჟინით“ აღვსებულ თავგანწირულ მხედრად იქცევა. ნების თავისუფლების სიმძლავრით, მხედრის სულისკვეთებისა და ბედაურის, სულის, „ქროლვით“ გ. მეგრელიშვილის ეს სონეტი ეხმიანება ნ. ბარათაშვილის „მერანს“ (გ. მეგრელიშვილის ლექსების მსგავსება ნ. ბარათაშვილის პოეზიასთან აღნიშნული აქვთ ალ. ქუთათელს და გ. ფარულავას). გ. მეგრელიშვილისათვის სონეტში (და არა მარტო) გადმოღვრილი შეუდრეკელი ნება, თავგანწირვისკენ „გიჟური ლტოლვით“ სწრაფვა რომ ოდენ პოეზია არ იყო, ამას სატრფო-მამულისათვის დაღვრილი მისი სისხლი ამონმებს.

ს. ფაშალიშვილის თქმით, „გრიშა მეგრელიშვილი მარტო იმით კი არ იყო ძვირფასი, რომ ის ნიჭიერ მწერლად ითვლებოდა; არც იმით, რომ ის ნამდვილი მამულიშვილი იყო ამ სიტყვის წრფელი და ფაქიზი მნიშვნელობით. მას ლამაზი და მოხდენილი სიტყვა ჰქონდა სამშობლოს სიყვარულის გამოსახატავად, მაგრამ მის სიტყვაზე უფრო მძლავრი მისი ბუნება გამოდგა და საქმით დაამტკიცა სამშობლოს სიყვარულის მაღალი გრძნობა. მან მტრის ტყვიას მიუშვირა და გაახვრეტინა ის ლამაზი, ცეცხლით ანთებული გული, სადაც ეგეთის ძლიერებითა სცემდა ნაკადი ქართველი მამულიშვილობისა და რაინდობისა“ (ფაშალიშვილი 2009: 159).

გ. ფარულავა პოეტის სიცოცხლის საზრისთან დაკავშირებით ამბობს – „გრიგოლ მეგრელიშვილის ბედისწერა ახალციხის ფრონ-

ტზე... გმირულად დაცემა კი არ იყო, არამედ სიკვდილის მოლოდინი, იმის შეგნება, რომ არ შეიძლება არ დაილუპო. მთის ნიავი იმიტომ კი არ მოკვდა, რომ საქართველოს მტრების ტყვიები არ ასცდა, იმისთვის დაიბადა, რათა ის ტყვიები არ ასცდენოდა“ (ფარულავა 2009: 301).

მოვლენათა საოცარი ხედვა და უჩვეულო განწყობა მოაქვს „ტრიოლეტებს ბრძოლის ველიდან“ (მეოთხე ბატარეას). აქ სამი ტრიოლეტია გაერთიანებული და თითოეული, როგორც ჩანს, ბრძოლის გარკვეულ მონაკვეთს ეხება და დროის ამ ნაწილებში ლირიკული გმირის სულის რხევა და გრძნობა-განცდები ხმინდება. სამივე ტრიოლეტი სრულდება დასაწყისი ორი ტაეპით. ამავდროულად მეორე ტაეპი ტრიოლეტში მეოთხე ტაეპადაცაა წარმოდგენილი, რაც, ვფიქრობთ, გამოკვეთს ქრონოტოპს და მასში სახისმეტყველებით განსახოვნებული გმირის შინაგან დროსა და სივრცეს (რა დროა და რისი დროა, რა სივრცეა და რისი სივრცეა).

პირველი ტრიოლეტი იწყება „ჯაშუშთა დაზვერვის“ სურათით, რომელიც, მკითხველის გასაკვირად, პოეტის მიერ „ყანის ტალღებად“ გამოვლიანდება. როგორც ითქვა, ეს ტაეპი სამჯერ მეორდება, რაც იმის ფიქრს აღძრავს, რომ პირველ ტრიოლეტში სწორედ „ჯაშუშთა დაზვერვის“ ფონზე გმირის მთავარი სათქმელი, ფიქრი და წადილი, ნატვრა და ოცნება „ინასკვება“ –

და განგაშს ეტრფის ცეცხლიანი მძაფრი ოცნება;
მოცეკვავე ვარ, ვით ბრწყინვალე ჩემი ბაღლობა...
და ფოლადური მტკიცე მკერდის ტყვიით გაღბობა
კვლავ მენატრება და ნატვრაში ფიქრს ემგოსნება“ (80).

საოცარია, რომ აქ განსახოვნებული, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, გმირის ესოდენ მნიშვნელოვანი ფიქრი და ზრახვა პოეზიადაა აღქმული და მონოდებული; მკთხველიც მას ამგვარადვე აცნობიერებს. ლირიკული გმირის „ცეცხლიანი მძაფრი ოცნებით“ „ტრფილი“ ბრძოლისა და ამ ბრძოლის მეჯლისად, ლხინად წარმოსახვა, რომელშიც თავად მოცეკვავეა (ისეთივე ლალი და უდარდელი, როგორც მისი ბავშვობა), ნებელობის სიმძლავრის გამოვლენის წარმოუდგენელ მასშტაბს აღწევს და სულის „უცხო და საკვირველი“ სილალის ატმოსფეროს ქმნის (და ისევე ავთანდილის სიტყვები

გვახსენდება – „მე იგი ვარ, ვინ სოფელსა არ ამოვჰკრებ კიტრად ბერად...“ – რუსთაველი 1966: სტ. 777). ლირიკული გამირის ნატვრადქცეული სიკვდილი მის ფიქრთანაა შეწყვილებული და ამუსიკებული, „ამგოსნებული“. აქ ერთმანეთთანაა „ჩანწულ-ჩაგრეხილი“, შესისხლხორცებული პოეზია და სიცოცხლე. გ. მეგრელიშვილისათვის ეს ერთი მთლიანობაა, ეს სინამდვილეა პოეტური სიტყვით მოწოდებული და არა მხატვრული სინამდვილე. ესაა მისი სიცოცხლის საზრისი. მან სხვაგვარი ყოფა არ იცის; სხვაგვარი ყოფა არც არსებობს, რამეთუ მისთვის მამულისათვის ბრძოლა მეჯლისია, ბრძოლა სიხარულია, ბრძოლა მუსიკაა და ბრძოლა პოეზიაა.

მეორე ტრიოლეტი ბრძოლის შემდგომ მონაკვეთს, თოფის ხმის „აზუზუნებასა“ და ცის მოწმენდილი, „უნისლო თალების“ „კვამლის მურით“ განაცრისფრების სურათს წარმოგვიდგენს, რომელსაც ბრძოლის „ალშერეული“ ხმები და ხმაური მოაქვს. პირველი ტრიოლეტის დარად, აქაც მეორდება სანყის ტაეპთა განლაგება და ამისდა კვალობაზე იცნობება ბრძოლის შემდგომი მონაკვეთი. პირველი ტრიოლეტისაგან განსხვავებით, აქ მხოლოდ ორი ტაეპი წარმოაჩენს ლირიკული სუბიექტის სულის უნატიფეს მოძრაობას, რომელიც ერთდროულად ამაღლებულსა და მშვენიერს ითავსებს:

დავითვერ ცეცხლით და ჩემი „მე“-ს „მე“ ორეული
მცხუნვარე ყვავილთ სურნელით რწყავს სულის ოთახებს (იქვე).

ბრძოლის ველზე დანთებული ცეცხლი არამატერიალურ, შინაგან ცეცხლად გარდაიქმნება და ეს ცეცხლი, რომელიც სამშობლოს ტრფობითაა დანთებულ-დანაგზნები, ლირიკული გამირისათვის თრობა-ნეტარების მომგვრელია. პოეტის პიროვნული ხმა, მისი „მე“, რომელიც ტრფობის ცეცხლით გაბრუებულია, უკან იხევს და ჩნდება მისი შინაგანი ხმა, „ორეული „მე“, რომელიც შინა-სიტყვას, „სულის მოძრაობის სიტყვას“ უთმობს ასპარეზს (გავიხსენოთ სულხან-საბას განმარტება: „სიტყუა. განიყოფების სიტყვიერებაჲ სულისაჲ შინაგან მდებარისა სიტყვისა და კმოვანისა მიმართ და არს შინაგანი მდებარე უკვე სიტყვა მოძრაობა სულისაჲ განმსიტყველობითისა ძალსა შინა ქმნილი თვინიერ რომელი-ესე ვიდრემდე კმა-ყოფისა...“ – ორბელიანი 1966: 97). და იქმნება „სიტყვიერი ხატი“ მეტყველი – პოეტის „მე“ ორეული“ ტრფობის სურნელით აპოხიერებს სულის

ნახნაგებს, მის მთელ შინაგან სამყაროს ამ სურნელში ხვევს (გვახსენდება იოანე საბანისძის მიერ უფლის „სახელებიდან“ ყვავილის განმარტება – „...სულნელებითა მით ღმრთეებუსაჲთა სული იგი მადლისაჲ მოჰფინა ჩუენ ზედა“ – საბანისძე 1963: 53; ასევე – აბოს სიტყვები: „სულნელებასა ნელსაცხებელთა შენთასა ვრბიოდი“, ქრისტე, რომელმან აღმავსე მე განუქარვებელითა მით სულნელებითა სარწმუნოებისა და სიყუარულისა შენისაჲთა“ – საბანისძე 1966: 69). იკვეთება ტრიადა: ღმერთი – სამშობლო – პიროვნება. და ეს ერთსულოვნება-სამობა სიყვარულის ცეცხლითა და სურნელითაა მადლმოსილი („უფალი სუფევს, მშვენიერება შეიმოსა“).

მესამე ტრიოლეტიც, როგორც უკვე აღინიშნა, მეორდება ტაეპთა რიგითობა და განსხვავებით წინა ორი ტრიოლეტისაგან, აქ მხოლოდ ბრძოლის სურათია „ამგოსნებული“ –

წვიმს ხშირი ტყვია მკერდ-განწყვეტილ კრიალოსნებად
და თეთრ ფოლადის ვეშაპები შფოთავს, პირს აღებს,
ცად ჟღურტულობენ ყუმბარები, როგორც ფრთოსნები.
წვიმს ხშირი ტყვია მკერდ-განწყვეტილ კრიალოსნებად,
გველად კლაკნილი მაშხალები შორს იტყორცნება;
ცეცხლის კაბებით მოსილს ვხედავ ტყეს, ჭალებს, ბალებს,
წვიმს ხშირი ტყვია მკერდ-განწყვეტილ კრიალოსნებად
და თეთრ ფოლადის ვეშაპები შფოთავს, პირს აღებს (იქვე).

ხშირი ტყვიის წვიმის დაწყვეტილ კრიალოსნად აღქმა, ყუმბარების მოჟღურტულე ფრთოსნებად წარმოდგენა, გარემომცველი ბუნების „ცეცხლის კაბებით“ წარმოსახვა მკითხველის ყოველგვარ ფანტაზიას სცილდება და საკუთრივ გ. მეგრელიშვილის „მე“-სი და „მე“ ორეულის“ განუმეორებელ ხმადა, „მეტყველ ხატად“ გამოისმის, რომელიც ადამიანის გრძნობის ხუთსავე ორგანოს მოიცავს, რამეთუ აქ ხედავ, აქ გესმის, აქ სუნთქავ; აქ ყველაფერი ხელშესახებია და აქ გრძნობით ნაკვები სიტყვობების გემოსხილვა ხდება. და ბოლოს უმთავრესი – აქ, როგორც ამბობენ, მეექვსე გრძნობა იხილვება, „ჯერართქმული, ჯერარნახული“, რომელიც გამოუთქმელია, ვერსახილველი და ვერმოსასმენი და რომელიც „ხოლო სულითა საცნაურია“.

აქვე დავძენთ, რომ გ. მეგრელიშვილის „ტრიოლეტების“ ჩვე-

ნეული განხილვა ერთი ულიმდამო ცდაა, მისი პალიტრის გამაფერ-
მკრთალელები და მხოლოდ შორეული ანარეკლი.

ყოველივე ზემოგანხილულის საფუძველზე შეიძლება თქმა იმი-
სა, რომ გ. მეგრელიშვილი თავისი სიცოცხლითა და სიკვდილით,
ყოფიერების საზრისადექცეული პოეტური სიტყვითა და პოეზიად-
ქცეული ბრძოლით უფლის ხატად და ტაძრად დასახული საქარ-
თველოს საკურთხეველზე შეწირულ ტარიგად, „საქართველოს
აწრდილის“ აწრდილადექცეულ უმანკო სულად წარმოდგება. მისი
სიცოცხლე და სიკვდილი, სულხან-საბას სიტყვები რომ მოვიხმოთ,
„სიტყვა საქმიანი და საქმე სიტყვიანი“, „უცხო და საკვირველი“
ძლევაა, ტრფობით „ამგოსნებული“ და „გასისხლმდინარებული“,
მშვენიერებით შემოსილი და „გაცისკროვნებული“, „ჭეშმარიტებით
დაგვირგვინებული უკვდავებაა“.

დამონებაანი:

ასათიანი 2009: ასათიანი ნ. „მეომარი მგოსანი გრიშა მეგრელიშვილი“. წიგ-
ნში: მეგრელიშვილი გრ. *ბედის მდინარე*. თბილისი: გამომცემლობა „წიგნის
სახელოსნო“, 2009.

ბარათაშვილი 1976: ბარათაშვილი ნ. პოეტის ლექსთა პირველი კრებულის
ზუსტი ასლი, თბილისი: გამომცემლობა „ნაკადული“, 1984.

ბუაჩელი 2009: ბუაჩიძე შ. „გმირი-მგოსანი გრიშა მეგრელიშვილი“. წიგნში:
მეგრელიშვილი გრ. *ბედის მდინარე*. თბილისი: გამომცემლობა „წიგნის სა-
ხელოსნო“, 2009.

გიორგი მერჩულე 1982: გიორგი მერჩულე „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“,
ქართული პროზა. ტ. I. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“,
1982.

დიმიტრი მეფე 1987: დიმიტრი მეფე. „ლექსები“. *ქართული მწერლობა*, ტ. II.
თბილისი: გამომცემლობა „ნაკადული“, 1987.

იაკობ ხუცესი 1982: იაკობ ხუცესი. „მუშანიკის წამება“. *ქართული პროზა*.
ტ. I. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1982.

კარმელი 2009: კარმელი შ. „ორბის მხედარი (გრიგოლ მეგრელიშვილი)“.
წიგნში: მეგრელიშვილი გრ. *ბედის მდინარე*. თბილისი: გამომცემლობა „წიგნის
სახელოსნო“, 2009.

ლენიძე 2009: ლენიძე გ. „გრიგოლ მეგრელიშვილი – მთის ნიავი“. წიგნში:
მეგრელიშვილი გრ. *ბედის მდინარე*. თბილისი: გამომცემლობა „წიგნის სახე-
ლოსნო“, 2009.

რუსთაველი 1966: რუსთაველი შოთა. *ვეფხისტყაოსანი* (ა. შანიძისა და ა. ბარამიძის რედაქციით). თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1966.

ორბელიანი 1966: ორბელიანი ს.ს. *ლექსიკონი ქართული*. თბ. ტ. IV. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1966.

რუსთაველი 1957: რუსთაველი შოთა. *ვეფხისტყაოსანი* (ა. შანიძისა და ა. ბარამიძის რედაქციით). თბილისი: გამომცემლობა „სახელგამი“, 1957.

საბანისძე 1963: „იოვანე საბაბისძე. „მარტყოლბაჲ ჰაბო ტფილელისაჲ“. *ძეგლები*. ტ. I. თბილისი: საქ.სსრ. მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1963.

ფარულავა 2009: ფარულავა გ. „პოეტი-მხედარი-ზვარაკი“. წიგნში: მეგრელიშვილი გრ. *ბედის მდინარე*. თბილისი: გამომცემლობა „წიგნის სახელოსნო“, 2009.

ფშალიშვილი 2009: ფშალიშვილი ს. გრიშა მეგრელიშვილი“. წიგნში: მეგრელიშვილი გრ. *ბედის მდინარე*, თბილისი: გამომცემლობა „წიგნის სახელოსნო“, 2009.

ჭავჭავაძე 1984: ჭავჭავაძე ი. *თხზულებანი*. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1984.

ANDREW GOODSPEED

Macedonia, Tetovo

South East European University

‘I am not alone’: Pinter, State Torture, and *One for the Road*

Harold Pinter’s work is notable both for the mastery of his dialogue and silences, and for the trenchancy of his political critiques. Two of his most overtly and deliberately political dramas were *Mountain Language* (1988) and *One for the Road* (1984). These plays, which are quite different stylistically and dramaturgically, are nonetheless both focused upon the abuse of individuals by state power. They look particularly at the crucial right that states arrogate to themselves, simply by virtue of their sovereignty, to detain people, harm them, silence their voices, and in extreme instances rape and kill them. This paper proposes a dual reading of the plays, in order to examine the commonalities of their depictions (and critiques) of state power. It suggests that Pinter’s criticism is that it is the very nature of state power itself to oppress individuals, and that it is the obligation of drama (and art more

generally) in free societies to express resistance to the unrestrained use of state power: something that, in Pinter's world, is usually excessive and unrepentant, and is commonly lethal.

Key words: Pinter, Mountain Language, One for the Road, state power, resistance.

On multiple occasions across several decades, Nobel Prize winning playwright Harold Pinter identified his play *One for the Road* as having been initially motivated by anger. The general impetus for its composition was an encounter at a party: Pinter met several beautiful Turkish women, but was horrified and enraged by their indifference to the torture being practiced in their country against enemies conveniently denounced as communist. In 1985, a year after premiering the play, in an interview with Nichols Hern, Pinter recalled this moment: 'Whereupon instead of strangling them, I came back immediately, sat down and, it's true, out of rage started to write *One for the Road*. It was a very immediate thing, yes.' (Pinter 1985: 14) He recalled that moment again almost twenty years later, in conversation with Mark Taylor-Batty, in 2004: 'I have written one play out of anger, as I think you might know—*One for the Road*. That was really written out of anger.' (Taylor-Batty 2005: 82)

One for the Road is one of Pinter's most explicitly political plays, and one that has attracted much critical attention because of both the lucidity of its political protest, and the general artistic merit of the work. That it is intended as an explicitly political drama is widely accepted. This paper, however, seeks to examine the play from the perhaps slightly unusual viewpoint of state power and state sovereignty, particularly as embodied by the state's representative, Nicholas. It pursues this approach because the play seems to examine—in the microcosmic, interpersonal level—the much larger question of states arrogating to themselves the rights to detain individuals, beat them, dictate the terms and conditions of what they may say or may not say and, ultimately, to kill them. Although *One for the Road* is commonly read as a conflict between torturer and tortured, this paper proposes to read the play as

examining the role of individuals with their state, and its representatives. The torture, rape and murder in the play are not random violence; they are specifically targeted state violence.

One for the Road premiered in March of 1984, in Hammersmith. The play is constructed with elegant simplicity: it shows us, in four short vignettes, the various examinations—or interrogations—conducted by a man named Nicholas. The stage setting is his office. He interrogates first a person who may or may not be a dissident, named Victor. After Victor's interrogation, we see the interrogation by Nicholas of Victor's seven year-old son Nicky. Following that interrogation, we see the interrogation by Nicholas of Victor's wife (and Nicky's mother) Gila. The final scene is of an interrogation by Nicholas again of Victor, in which we learn that the child, Nicky, has been killed.

Two of the characters (Victor and Gila) have clearly been beaten; the stage directions for each are notably similar: 'His clothes are torn. He is bruised'; 'Her clothes are torn. She is bruised.' (Pinter 2005: 223, 237) Yet Pinter never shows us the actual torture. It is implied, or suggested, or threatened, but the audience does not see actual state violence. It is an intriguing dramatic decision, but one that is supportable by association with the real political world: just as we do not see the worst actions of people acting on behalf of the state in real life, so too do we not see those worst actions on the stage. In *One for the Road* there is implied torture, rape is mentioned almost casually as something that both has happened and is still to come, and it ends in the offstage murder of a child. Had Pinter merely wanted to shock us with degradations, in the manner of the *Grand Guignol*, he had ample opportunity to do it. Yet, this paper argues, part of what *One for the Road* seeks to explore are the psychological effects on agents of the state of having this power to negate the dignity or humanity of others.

Nicholas is somewhat tenebrous as a character, which is perhaps unexpected, as he is the central figure of the play. All the play's interactions revolve around him. He intrudes into the family depicted (Victor, Gila, and Nicky), becoming their only point of contact with the other family members—Nicholas asks each person being interrogated about the other two. The audience establishes that Nicholas works for the state, but his precise title or level of authority is unclear. He has the power to dispatch soldiers to investigate and arrest citizens, and seems to be a figure of genuine command within his system. He claims to be on a friendly basis with the leader of the country.

(It is chilling to note that he is also the one actor who never leaves the stage; the implication Pinter may be suggesting is that these hidden policemen are always active, and are always at work.) Yet we learn nothing of Nicholas' personal life, private concerns, family or lack thereof, or indeed much of anything save the impression that he is given to drinking too much whiskey. We may also establish that he is aggressively crude. Nicholas makes vulgar jokes to Victor about Gila's sexual habits, then later rebukes her as a 'turd' and 'fuckpig.' (Pinter 2005: 240) It is perhaps worth noting that 'fuckpig' is not a common term in English, and seems to indicate not merely the verbal cruelty and crudity of Nicholas, but also the almost incoherent bellicosity and grossness of Nicholas in that moment. Because we as an audience see this undisguised anger and vulgarity, we begin to perceive how terrible it would be to be under the complete control of an individual such as this. Were we to understand Nicholas as a private individual, this might seem a dramatically unsound decision. Yet this paper proposes that Nicholas is not to be seen as a self-actualized individual, but instead as someone volitionally subordinated to the state, to such a degree that he fails to perceive any distinction between his private life and public functions.

The play depends entirely upon Nicholas; he is the motive force behind the abuse and torture of the three people who are brought before him. The play's basic structure is predicated upon an exploration of a relationship between a figure of state power and a victim. Pinter specified 'I had an image in my mind of a man with a victim, an interrogator with a victim. And I was simply investigating what might take place. Given a certain state of affairs, what would the attitude of the interrogator to his victims be?' (Pinter 1985:14) It is worth noting that both in conception and in the final version of the play, Nicholas is an 'interrogator,' but not a torturer; that work is apparently done by others. Even he does not have to do the dirty work of physical torture. That can be left to the system he serves. It is also notable that what Pinter was interested to explore was not torture itself, but 'the attitude of the interrogator to his victims.' As Pinter's biographer Michael Billington notes, 'What might have been a simple play about police-state brutality becomes a psychologically complex work about the tortured nature of the torturer.' (Billington 2007: 296)

Nicholas does not just possess power, he seems to perceive no difference between himself and his society. His authority derives exclusively from his

embodiment of the state. Pinter specified this: 'He has all power within those walls. He knows this is the case, he believes that it is right, for him, to possess this power, because, as far as he's concerned, he's acting for his country legitimately and properly. When he refers to the country's values, those are his values. And because of those values, he will kill, allow rape, everything he can think of. And torture. In order to protect the realm, anything is justified.' (Pinter 1985: 16-17). Thus, as Pinter notes, Nicholas' ability to justify his conduct stems from an identification with the state. In his own corrupted sense of honor, he may even believe that he acts selflessly. His values are those of his country, and they may expand endlessly to killing, rape, and torture, in order to defend the nation. For this reason, this paper disagrees with Merve Aydogdu's assertion that 'Nicholas regards himself as a figure of authority, an autonomous individual free to do whatever he wants though his condition is mere illusion because he can be free so long as he conforms to ideology or he can feel free only if he obeys the command of ideology.' (Aydogdu 2014:5) This suggests a much more active personal life than the play reveals; there is no indication that he feels that he 'conforms' or 'obeys' and, indeed, it seems more likely that he relishes having no distinction between himself, his actions, and the state he represents. Obedience and disobedience are questions for civilians. To suggest that 'he can feel free only if he obeys the command of ideology' is not inherently wrong, but it misunderstands the logic behind Nicholas. Freedom does derive so much from obedience as it does in completely eliminating any difference between one's own desires and reality and those necessary to the state. Nicholas has power precisely because he cannot conceive of himself being different from his state. He is voluntarily engulfed by the state he serves.

As an individual, he does not evince any personal qualities of note. He shows no uncommon intelligence or craft, and he gives little evidence of personal beliefs or religious conviction—except to proclaim that 'God speaks through me.' (Pinter 2005: 227) This suggests both a touch of megalomania and a lack of serious theological understanding. But in more practical terms, his actions in relation to Victor and Gilaserve both to diminish the humanity of these perceived enemies, as well as to demonstrate his own unrestrained freedom of action when serving the state. This is perhaps most pointedly seen in Nicholas' particular habit of placing his fingers directly before the eyes of those under his power and saying,

What do you think this is? It's my finger. And this is my little finger. This is my big finger and this is my little finger. I wave my big finger in front of your eyes. Like this. And now I do the same with my little finger. I can also use both...at the same time. Like this. I can do absolutely anything I like. (Pinter 2005: 223)

Here we see Pinter's mastery; he shows the sheer power and authority of Nicholas not by touching his victim, but by *not* touching him—yet, as Nicholas affirms (and as we have no reason to doubt), 'I can do absolutely anything I like.' This is not because Nicholas is particularly strong or capable. His almost complete violent autonomy derives from his position within a system of state power. He is somehow a figure who is part of a state mechanism of repression, including soldiers who arrest citizens in their own country; systems of incarceration or detention into which people can apparently disappear without anyone defending them; rape rooms; and eventually the killing of a child, evidently either to coerce his parents, or through sheer gratuitous violence.

At this juncture it is important to note that *One for the Road* depicts a system in which the military or police forces are part of the state apparatus and are abusing their own citizens. They are emphatically not external occupiers. Nicholas clarifies this point exactly, in a conversational exchange with young Nicky:

Nicholas: [...] You like soldiers. Good. But you spat at my soldiers and you kicked them. You attacked them.

Nicky: Were they your soldiers?

Nicholas: They were your country's soldiers.

Nicky: I didn't like those soldiers.

Nicholas: They don't like you either, my darling. (Pinter 2005: 236-237)

These are the forces of the state. The point Pinter insists upon is that these people are being repressed by their own security apparatuses. It is their state doing this to them, not some outside force or otherwise unaccountable power. This is what states, left to themselves and unobserved by a critical populace (within or outside their borders), may choose to do. Human rights are troublesome to observe, and allocating all power to the state and to its agents makes life vastly more convenient for the judges, soldiers, and politicians who have the opportunity to use that power. Nicholas is such a man, and this paper has already examined his essential immersion of self into the state. He exists to

serve, and to embody, state power, without notably having a personality that may be distinguished from the cause he personifies.

There is one confrontation in the play that appears to engage Nicholas on a human level, and it deserves attention precisely because of his exaggeratedly emotional response. His discussion with Gila is unlike his discussions with Victor or Nicky, in that Nicholas seems actually to be conducting a logical interrogation of Gila. Nicky's interrogation is threatening because it involves a child, but is not notably focused on specific details. Similarly, in both of Nicholas' interrogations of Victor, he asks no questions that relate usefully to any investigation he might pursue. But with Gila, he follows a clear line of questioning, one apparently designed to elicit an answer about how she and Victor met (and about which she gives two apparently contradictory answers). He again plays his game with fingers near eyes, and asks her relentlessly how often she has been raped by his soldiers; she does not know, so common has the experience become. Yet when she makes reference to her father, Nicholas explodes in a powerful tirade of abuse far more emotional than his whiskey-sodden banter with Victor. It is a centerpiece section of the play, and is worth quoting in full (stage directions for pauses are omitted):

Your father was a wonderful man. His country is proud of him. He's dead. He was a man of honour. He's dead. Are you prepared to insult the memory of your father? Are you prepared to defame, to debase, the memory of your father? Your father fought for his country. I knew him. I revered him. Everyone did. He believed in God. He didn't think, like you shitbags. He lived. He lived. He was iron and gold. He would die, he would die, he would die, for his country, for his God. And he did die, he died, he died, for his God. You turd. To spawn such a daughter. What a fate. Oh, poor, perturbed spirit, to be haunted forever by such scum and spittle. How do you dare speak of your father to me? I loved him, as if he were my own father. (Pinter 2005: 240-241)

This passage gives us more personal information about Gila and Nicholas than we otherwise receive in the play. Clearly Gila's father was in some way a person of consequence in the state, and seems to have been a patriot in the manner that Nicholas could respect. What is notable, however, is the sheer outrage that Nicholas demonstrates at Gila's 'insult' to her father. This provokes a greater personal outburst from Nicholas than any other objection. Whilst it remains unclear how exactly Nicholas knew Gila's father, it is evident that he is usurping her position as the father's rightful heir ('I loved

him, as if he were my own father'). In a sense, it seems that what enrages and outrages Nicholas is the unfilial rejection he perceives in Gila's dissent in society and her father's willingness to live and die for his country. This reinforces the impression the audience has of Nicholas believing that one must completely immerse oneself in patriotism and service in order to assist the state and the goals of the country. He has done himself what she apparently refuses to do, and to him this is disobedience to both one's own father as well as to the state.

It should be noted, of course, that whatever crime is attributed to Victor and/or Gila is never specified. Nicky apparently spat at soldiers, which may be unwise, but is hardly criminal. Victor is noted as having 'lots of books,' (Pinter 2005: 228) perhaps at a stretch suggesting some manner of dissident pamphleteering. Gila's changing story about how she met Victor is intriguing although not notably culpable. Yet it is apparent that their alleged crime is of no real concern to anybody. The logic of the system is that those who fall foul of the soldiers must therefore have done something to deserve punishment. They need to be punished because they have fallen into the punitive system. As Pinter commented, about the real world, but in terms that apply equally to Gila and Victor, 'there is no such thing as an offence, apart from the fact that *everything* is—their very life is an offence, as far as the authorities go. Their very existence in some way or another poses critical questions or is understood to do so.' (Pinter 1985: 16) Although this bizarre calculus of guilt is dreadfully recognizable as a real phenomenon, it is worthwhile to note also that it is the precise conclusion to which Nicholas' logic tends. In other words, one must associate decency, right, and power with the state, and therefore that which is against the state must be wrong. Nicholas never seriously indicates that he considers it possible that this family is innocent; perhaps more importantly, none of the three victims proclaims, or even attempts to proclaim, his or her innocence. It is simply an irrelevancy, once one has entered into the punitive system.

Mark Taylor-Batty has proposed what might be termed as a feminist reading of the play, focusing particularly on the role of Gila in the drama, particularly as uniting the other two victims. This is a plausible reading, and this paper agrees with the general outlines of Taylor-Batty's hypotheses, yet it must disagree with one of his main contentions. In Taylor-Batty's words, '...*One for the Road* highlights the absurdities of political oppression. Noth-

ing makes sense. [Gila] can never win. No matter what they ask of her, she is always in the wrong.’ (Taylor-Batty 2014: 238) This is not incorrect, but is misapplied: the whole point of the political oppression is that it places the victim in the wrong. It is not absurd, it is rather intentional. The system does not entertain the possibility of innocence, and therefore it becomes impossible to prove. The victim is ‘always in the wrong’ because having fallen foul of the system is proof that one is already in the wrong. By extension, we may suppose that Nicholas does not question his power for the simple reason that, by the logic of oppression, anyone who appears before him deserves to be examined closely—with all that implies—by the duly appointed representative of state power. In Pinter’s conception, the terror of Nicholas’ world is not the absurdity of political oppression, but rather the logic by which it converts the accused into the guilty.

Yet for all of his assertions and boasting, Nicholas reveals what truly excites him about his country. In what he himself terms a ‘confession,’ Nicholas relates the story of hearing the leader of the country make a statement. As Nicholas states, ‘I have never been more moved, in the whole of my life, as when—only the other day, last Friday, I believe—the man who runs this country announced to the country: We are all patriots, we are as one, we all share a common heritage. Except you, apparently. I feel a link, you see, a bond. I share a commonwealth of interest. I am not alone. I am not alone!’ (Pinter 2005: 232) Nicholas represents, in himself, the collectivity of the state. His actions are not his own; they belong to, and are justified by, the state. He represents far more people than he himself may know. But, as the leader of the country has assured him, and all of the other citizens, ‘I share a commonwealth of interest.’ To act against that state is to act against the other constituent members of the commonwealth of interest. Thus one finds one’s purpose as an individual in the collectivity of the state: ‘I am not alone. I am not alone!’

In a strange sense, *One for the Road* continues the earliest preoccupations of Pinter’s stage—a few people in a room, menacing one another. As Pinter note in conversation as early as 7 August 1960, ‘Two people in a room—I am dealing a great deal of the time with this image of two people in a room. The curtain goes up on the stage, and I see it as a very potent question: What is going to happen to these two people in the room?’ (quoted in Esslin 1969: 256) This is a fine description of the ‘vignettes’ of *One for the Road*, fully

twenty years before he wrote the play. Yet where Pinter's earlier plays dealt primarily with personal conflicts, *One for the Road* explores the full power of the state to crush individuals, and examines what manner of person gives himself wholly to the service of that power. What is most striking about *One for the Road* is not the political pessimism and suspicion of state power that they suggest, but its evident faith in the act of observation and watching. By placing the audience in the position of spectators to this abuse of power and denigration of human dignity, we find ourselves in a position similar to that often claimed by citizens today; these people act in our names, secretly, but at the behest of our government, or those governments of our allies. The play is painful to watch, and suggests initially the impotence of the viewer to prevent what is being witnessed on stage. But in a sense, that is the power of the work. What Pinter enacts on the stage we cannot prevent; but, chastened and alerted, we may exert the power of witness in our own societies, and in those of our allies who need our acquiescence to violate the rights of their people or citizens. Thus, in an unusual sense, the act of watching the plays becomes an incitement to engage in critical observation and witnessing of the actions of the governments of the world, so as to prevent the types of abuse of power we behold on the stage. If the actors and actresses are proxy representatives of real people being abused, exploited, or tortured, the audience nevertheless cannot escape the obligation to keep watching these scenes and, by extension, to keep watching the governments whose actions Pinter indicts.

BIBLIOGRAPHY:

Aydogdu, Merve. 'An Althusserian Reading of Harold Pinter's *One for the Road*' in *Journal of History, Culture, and Art Research*. Karabuk University. Vol. 3, No. 1. March 2014.

Billington, Michael. *Harold Pinter*. London: Faber and Faber. 2007.

Esslin, Martin. *The Theatre of the Absurd*. Garden City, NY: Doubleday. 1969.

Pinter, Harold. *Plays Vol.4*. London: Faber and Faber. 2005.

Pinter, Harold. *One for the Road*. New York: Grove Weidenfeld. 1985.

Taylor-Batty, Mark. *About Pinter: The Playwright & The Work*. London: Faber and Faber. 2005.

Taylor-Batty, Mark. *The Theatre of Harold Pinter*. London: Bloomsbury. 2014.

TEIMURAZ DOIASHVILI

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

The Formula of National Sovereignty by Ilia Chavchavadze and Galaktion Tabidze

Ilia Chavchavadze's formula "ourselves should belong to us" was used by Galaktion at the end of the 30s. Those texts, wherein Galaktion uses the formula of sovereignty by Ilia, represents official "mythological" viewpoint, however, the same formula, in my opinion, combines the allusion function as well.

For Galaktion the content of the official soviet sovereignty became the subject for hidden irony and parody (untitled poem *How the Ship Does Not Know*). The unpublished lines, preserved in the poet's archive openly demonstrates the author's mood and emotions: "Ourselves do not belong to us anymore, / We suffocate, cannot breathe.

Key words: Ilia Chavchavadze, Galaktion Tabidze, Georgian Soviet literature.

თეიმურაზ დოიაშვილი

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ეროვნული სუვერენიტეტის ილიასეული ფორმულა და გალაკტიონ ტაბიძე

1931 წელს, ჟურნალ „მნათობში“ გამოქვეყნების შემდეგ, ცალკე წიგნად გამოიცა გალაკტიონ ტაბიძის პოემა „საით მიდის რევოლუციონური საქართველო“. ამ დროისათვის პოეტი უკვე იყო ავტორი ამავე ჟანრის ვრცელი პუბლიცისტურ-ლირიკული კომპოზიციებისა „ეპოქა“ (1928) და „პაციფიზმი“ (1930). ახალი, სოციალისტური ყოფის ამსახველმა ამ პოემებმა, რომელთაც იდეოლოგიურ-პროპაგანდისტული ხასიათი ჰქონდათ, მეტი დამაჯერებლობა შესძინეს საბჭოურ მითს, რომლის თანახმად გალაკტიონ ტაბიძემ თურმე

უყოყმანოდ მიიღო საქართველოს ე.წ. გასაბჭოება ანუ, რეალურად, ბოლშევიკური რუსეთის მიერ სამშობლოს ოკუპაცია და ანექსია.

დრო ზუსტად იყო შერჩეული. „მასსების პოეტი“ მკითხველთა წინაშე ისეთი თავგამოდებით განადიდებდა ძველის დაუნდობელ ნგრევასა და ახლის შენებას – „ნახტომს უდიდესს, უზარმაზარს, განსაცვიფრებელს“, – ეჭვის შეტანაც კი ძნელი იყო, რომ იგი იმთავითვე ბოლშევიკების გვერდით არ იდგა.

საბჭოთა წყობილებისადმი გალაკტიონის განუხრელი ერთგულების ფსევდონარატივი მალე იმითაც განამტკიცეს, რომ იგი ქართული საბჭოთა პოეზიის ფუძემდებლად გამოაცხადეს და სახალხო პოეტის წოდებაც უბოძეს. ამის შემდეგ კრიტიკა ზოგჯერ თუ შეახსენებდა სიმბოლისტურ წარსულს, მერე და მერე კი ის ფაქტები, რომლებიც ჩრდილს მიაყენებდა საბჭოთა პოეზიის ერთ-ერთი ფუძემდებლის ნათელ სახეებას, მიიჩქმალა ან სულაც განიდევნა პოეტის ბიოგრაფიიდან.

არადა, მითს მიღმა დატოვებული რეალობა – იგნორირებული თუ ტაბუირებული სინამდვილე რადიკალურად საპირისპირო იყო. გალაკტიონი, როგორც მოქალაქე და შემოქმედი, დამოუკიდებლობის ბოლო დღეებამდე ერთგულად იდგა ქვეყნის თავისუფლების დამცველთა შორის, ხოლო მის 1921-1922 წლების ლექსებში, – განსაკუთრებით თავდაპირველ რედაქციებში, – მკაფიოდ იგრძნობოდა სამშობლოსთვის თავდადების პათოსიც, დამარცხების ტკივილიც და დამოუკიდებლობის დაკარგვით გამოწვეული სასონარკვეთაც. ამის დასტურია თუნდაც ლექსი „ტფილისთან“ – პირველნაბეჭდი, ვრცელი რედაქცია ცნობილი ლექსისა „სადღეგრძელო იყოს მისი“, რომელიც 1921 წლის 18 თებერვალს გამოქვეყნდა და ქართველ მხედრებს – ბრძოლის ველზე მიმავალ სახალხო გვარდიელებს მამულისათვის თავგანწირვის წმინდა მოვალეობას შეახსენებდა (დოიაშვილი 2016: 157-169).

სანამ არსებობდა თავისუფალი სიტყვის ილუზია, გალაკტიონი მეტ-ნაკლები სიმკვეთრით ახერხებდა ეროვნული პოზიციის გამოხატვას. ლექსში „ღრუბლები ჰგვანან ამღვრეულ ტვინებს“ გალაკტიონის პოეზიაში პირველად გამოჩნდა მოხვევე ლელთ ღუნისა აჩრდილი, რომლის პირითაც გამოთქვა ილიამ „მგზავრის წერილებში“ ეროვნული სუვერენიტეტის ფორმულა – „ჩვენი თავი ჩვენადვე

გვეყუდნეს“. დასალუჰად განწირული ხომალდიდან გაგზავნილ ძუნწ შეტყობინებას ჰგავს ამ პატარა ლექსის ბოლო სტრიქონები:

დაკარგულია გზა მოხვევისი –
ბნელდება. ღამე. მიეშველენით.

გალაკტიონის თვალწინ იკარგებოდა, წარიხოცებოდა მოხვევის „გზა“ – გზა ეროვნული დამოუკიდებლობისა. ქვეყანაში, პოეტის შეფასებით, დიდი, ბნელი ღამე იწყებოდა და არა ახალი, სოციალისტური ცხოვრების განთიადი...

1924 წლის აჯანყების შემდეგ საქართველოში სიმკაცრე სისასტიკემ შეცვალა. შემოქმედთ უაპელაციოდ მოსთხოვეს პასუხი, წარსულისაკენ მზერა უჯობდათ, თუ მზად იყვნენ სოციალისტური ეპოქის აპოლოგიისათვის. არჩევანი, ფაქტობრივად, მორჩილებასა და სიკვდილს შორის უნდა გაკეთებულიყო.

გალაკტიონისათვის ადვილი არ იყო იმის ცქერა, როგორ ითვლებოდა თავისუფლების „კეთილშობილი ვარდები“ გალაღებული, ცინიკურად მოცინარი ფავნის ფერხთა ქვეშ (ლექსი „ავადმყოფს“, 1923), მაგრამ პოეტს სულ უფრო ეუფლებოდა იმის განცდა, რომ დროთა კავშირი საბედისწეროდ განყდა, „ის დრო წავიდა“. მთაზე განმარტოებით დგომა აღარ შეიძლებოდა. შორს, გორაკზე დარჩა ისტორიული საქართველოს ნაშთი – „თეთრი კოშკის ძველი გალავანი“, გალაკტიონმა კი თავს თანამედროვეობაში დაბრუნება უბრძანა:

დავუბრუნდეთ... უნდობარ სულს

თითქო კარი დარაზოდეს,
შენ ნუ მკითხავ მაინც წარსულს,
არც მე გკითხავ არასოდეს.

(ტაბიძე 2016: 141)

ბოლო ორი სტრიქონი დრამატული ფინალია პოეტის შინაგანი დიალოგისა, იმის მანიშნებელი, რომ „უნდობარმა სულმა“ წარსულისაკენ მზერა გადაკეტა, წარსულზე დუმილის აღთქმა დადო თუ დაადებინეს. სულის სიღრმეში დაილექა დარდი თავისუფალ საქართველოზე – თითქოს სამოთხიდან გამოაძევეს:

ის ხეტილობს ისეთნაირ განწირულებით,
როგორც სამოთხის დახურულ კართან,
გულზე აჩნია უკურნავი დროის ნელულები,
გაუნელებელ ცეცხლთა და ქართა.

(ტაბიძე 2016: 85-86)

ეს მძიმე განწყობილება გაჰყვა „პროლეტარული აბოპოქრების“
ნიაღში შესულ გალაკტიონს, შემდეგ კი – შემდეგ ზედიზედ დაწე-
რა „ეპოქა“, „პაციფიზმი“, „საით მიდის რევოლუციონური საქარ-
ველო“ და... დაკვეთილი აღტაცების ზღვაში შეაბიჯა...

ეროვნული სუვერენიტეტის ილიასეული ფორმულა, რომელიც
დიდი მამულიშვილის პოლიტიკურ კრედოს გამოხატავდა, გა-
ლაკტიონთან, – ცხადია, ახლებური ინტერპრეტაციით, – 30-იანი
წლების მიწურულს გახშირდა. მანამდე, თითქმის ორი ათეული
წლის მანძილზე, ილია ჭავჭავაძის ხსენება საბჭოთა საქართველოში
სახიფათოც კი იყო, როგორც რეაქციონერისა და ნაციონალისტისა.

მწერლის ნეგატიური შეფასებებით განსაკუთრებით ფილიპე
მახარაძე გამოირჩეოდა. „ი. ჭავჭავაძე იყო წარჩინებული თავადის
შვილი, მემამულე და გლეხების მეზატონე. – წერდა ქართველ ბოლ-
შევიკთა ეს ლიდერი 1931 წელს, – იგი იყო მუშებისა და გლეხების
ექსპლუატატორი. როგორც მწერალი, ი. ჭავჭავაძე იყო რეაქციო-
ნერი, მემამულეების ინტერესების უერთგულესი დამცველი, ფე-
ოდალური საქართველოს მათაყვანებელი და მონარქისტი“ (ბრძო-
ლა ... 1931: XV).

დიდი მწერლის რეაბილიტაცია ბოლშევიკების მიერ 1937 წლი-
დან მოხდა, როდესაც გაზეთმა „პრავდამ“ ილიას „საქართველოს
ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამორჩენილი მოღ-
ვაწე, თვითმპყრობელობისა და ბატონყმობის წინააღმდეგ მგზნე-
ბარე მეზრძოლი“ უწოდა. ამ დროიდან პარტიის ხაზის გამტარე-
ბელი კრიტიკოსები ისეთი პათოსით ამტკიცებდნენ, „ამაო ყველა
ჯურის ხალხის მტრების ცდა ილიას რეაქციონერად და შოვინის-
ტად მონათვლისაო“, თითქოს თვითონვე არ უთხზავდნენ ერის მა-
მას ნაირგვარ იდეოლოგიურ იარლიყებს.

ამას თან მოადევნეს საბჭოური ფსევდომითიც, რომ თურმე ის
მყოობადი, რომელზეც ოცნებობდა ილია („ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ

მყოფადი“), სოციალისტური საქართველო იყო; თურმე „მგზავრის წერილებში“ დასმულ უმწვავეს კითხვას – „როდემდის დარჩეს ეგ ტკივილი გულში? როდემდის?“ სოციალისტურმა ეპოქამ გასცა იმედიანი პასუხი.

ეროვნული სუვერენიტეტის ილიასეული ფორმულა, გალაკტიონის ვერსიით, პირველად გამოჩნდა პოემაში „ათას ცხრაას ორმოცი წელი“ (1940), კერძოდ, ტექსტში ჩართულ სიმღერაში „ო, მამულო“. რამდენიმე წლის შემდეგ ავტორს, როგორც ჩანს, პოემის ამ მონაკვეთის ცალკე ლექსად გამოყოფა და გამოქვეყნება განუზრახავს. ამ ლექსის ერთ-ერთი ავტოგრაფი ცხადყოფს, რომ გალაკტიონს იგი საგანგებოდ ჩაუფიქრებია, როგორც პასუხი ილიას „გაზაფხულში“ დასმულ კითხვაზე: „მამულო საყვარელო, შენ როსლა აყვავდები?“. გალაკტიონის ლექსს ავტოგრაფში წინ უძღვის ილიას „გაზაფხული“ სათაურით „კითხვა“, საკუთარი ტექსტისთვის კი პოეტს „პასუხი“ დაურქმევია (ტაბიძე 1968: 348).

სწორედ პოემასა და ილიას პასუხად ჩაფიქრებულ ლექსით ვერსიაში გაისმის ლელთ ღუნისა ცნობილი სიტყვების – „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“ – პერიფრაზირებული გამოძახილი. ლექსში ვკითხულობთ:

ო, მამულო, როგორ ბრწყინავს ცვარით მსხმოიარე ზვარი!
ო, მთანმინდა, როგორა ჟღერს შენი მშვენიერი ქნარი!
დღეს თავის თავს მთლად ეყუდვნის საქართველოს მთა და ბარი,
ჩვენ მეოცე საუკუნის შემოვალეთ დიდი კარი.

(ტაბიძე 1968: 37)

ლექსის ვარიანტებში ფიქსირებულია მეტრულად იდენტური ორი ვერსია: „რომ ახალი სუნთქვით სუნთქავს“ და „დღეს თავის თავს მთლად ეყუდვნის“. ლელთ ღუნისა სიტყვების შერჩევა და გატანა საბოლოო ტექსტში, როგორც ჩანს, საგანგებო ფიქრის შედეგი იყო.

რა პასუხი აქვს გალაკტიონს ილიას კითხვებზე: როდის აყვავდება მამული? გვეყუდვნის თუ არა ჩვენი თავი ჩვენვე?

პოემაშიც და ლექსშიც პასუხი ზეალმტაცია: ილიას „ობოლი ვაზი“ ზვრებად ქცეულა, თავისუფალი მამულის მთა-ბარი კი ყვავის. დამაფიქრებელი აქ მარტო პოეტის თვალმისაცემი კონფორმიზმი კი არაა, არამედ განსაკუთრებით ის, რომ სოციალისტური

საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ცრუ იდეა ილიას ნაციონალისტური ფორმულით არის გამოხატული.

აქვე უნდა ითქვას, რომ ოპტიმისტური პასუხი ილიას „გაზაფხულში“ დასმულ კითხვაზე განმეორებად მოტივად იქცა გალაკტიონის პოეზიაში. მაგალითად, ლექსში „ტყის აშრიალდა ფოთოლი“ (ავტოგრაფში მისი სათაურია „ნარწერა ილია ჭავჭავაძის ნიგნზე“) ახალი საქართველოს ასეთი საამური, წარმტაცი სურათია დახატული:

ტყის აშრიალდა ფოთოლი,
ელვარებს ქარვის მტევანი,
საყვარელია ტოლ-ტოლი
ვაზების ჩამორხევანი.
მზისაგან დამწვარ-დაგულო,
ედემო საგულდაგულო,
იდიდე, ჩემო მამულო,
აჰყვავებულო მამულო!
(ტაბიძე 1968: 41)

ასე – მოშრიალ-მოელვარე ტყითა და ზვრით – წარმოგვისახავს გალაკტიონი საქართველოს „საბჭოურ გაზაფხულს“, რომელსაც თურმე დიდი წინაპრის ოცნება სინამდვილედ უქცევია – მამული „აჰყვავებულა“!

ავტოგრაფებში კიდევ უფრო ხელშესახებია გადაძახილები ილიას „დედანთან“, თანაც უფრო მეტადაა ხაზგასმული სოციალისტური ცხოვრების სიკეთე და სიდიადე: „ვაზი, როსმე ობოლი, უდიდეს ლხენით მღერის“; „მამულო საყვარელო, დღეს შენ დიდებით ჰყვავი“ (ტაბიძე 1968: 354).

1948 წელს, ომის დამთავრების შემდეგ არის დაწერილი პოემა „მოხვეის ქალი“. ერთ-ერთ ხელნაწერში მას ასეთი ეპიგრაფი აქვს: „მიგიხვდი ჩემო მოხვეე... ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნისო“ – სთქვი შენ და მე გამაგონე“. ი. ჭავჭავაძე (ტაბიძე 1973: 344).

ციტატა ილიას „მგზავრის წერილებიდან“, მიმართვა მოხვეე ლელთ ღუნისადმი ეპიგრაფში შეკვეცილია და, ამასთან, ზუსტიც არაა: ამოღებულია სიტყვები: „რა ნესტრითა ხარ ნაჩხვლეტი“,

ხოლო სუვერენიტეტის იდეა წარსულიდან („ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“) ანმყოშია გადმოტანილი („ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნის“), როგორც ახდენილი რეალობა. ილია ჭავჭავაძის კლასიკურ ტექსტში შეტანილი ცვლილებანი პოემის შინაარსთან მიმართებით აშკარად ცხადყოფს, რომ ილიას ციტატა გალაკტიონის მიერ მიზანმიმართულად არის ჩასწორებული – იგი „ახალ ცხოვრებაზე“, თანამედროვეობაზეა მორგებული. მართალია, გალაკტიონმა უარი თქვა, გადახაზა ეპიგრაფი, მაგრამ ხელნაწერმა მაინც შემოგვინახა კვალი ილიას ეროვნული ფორმულის იდეოლოგიური მოდერნიზაციისა.

პოემის ფაბულა მარტივია: ავტორი ახალგაზრდა მოხევის ქალთან ერთად მიფრინავს ლელთ ღუნისა მშობლიურ კუთხეში და იქ, კავკასიისათვის ბრძოლის ფონზე, ისინი – პოეტი და პერსონაჟი – ახმოვანებენ პოლიტიკურად აქტუალურ საკითხებს.

ახალგაზრდა მოხევე ქალი იმათი შთამომავალია, ვინც შთააგონებდა ილიასა თუ ყაზბეგს. გალაკტიონთან იგი ახალი ცხოვრების შვილია, ე.წ. ახალი ადამიანის სქემატური სახეა, მოკლებული რაიმე ინდივიდუალურ ნიშნებს. პერსონაჟი კავკასიონთან მიმდინარე ბრძოლას საბჭოთა პატრიოტის თვალთა ალიქვამს, მტრის გარდაუვალ დამარცხებას და საბჭოთა სამშობლოს აღდგენა-ალორძინებას წინასწარმეტყველებს. თავისუფლება მისთვის ოქტომბრის პირემოა („დიდმა ოქტომბრის დღემ დაგზადა, თავისუფლება!“) და მზადაა, მის მონაპოვარს სიცოცხლე შესწიროს:

საბჭოთა მხარევე, სანეტარო
და საოცნებო,
სიცოცხლე ერთხელ მოგვეცა ჩვენ
და მხოლოდ შენთვის.
(ტაბიძე 1973: 43)

აი, ეს ახალი ადამიანი – ახალი ცნობიერების „საბჭოთა მოხევე“ წარმოთქვამს პოემაში იმ ფრაზას, რომელიც ლელთ ღუნისთან და, მაშასადამე, ილიასთან ასოცირდება:

ჩვენვე გვეყუდნის ჩვენივ თავი,
ჩვენ გავიმარჯვებთ!
(ტაბიძე 1973: 41)

ნათელია, რომ მოხევე ქალი აქ საბჭოეთის გამარჯვებაზე საუბრობს და ილიას სხვა სულისკვეთებისა და სემანტიკური ტრადიციის ფრაზაში სულ სხვა, „აქტუალური შინაარსია“ ჩადებული.

ახალგაზრდა ქალის ხმა საბჭოთა ხალხის ხმაა, ამიტომ პოეტის მოვალეობაა, მოისმინოს და ქვეყნიერებას მოჰფინოს იგი. მართლაც, პოეტი, რომელიც პოემის პერსონაჟიცაა, მოხევე ქალის ვრცელი პროპაგანდისტული მონოლოგის შემდეგ თავადაც აქტიურდება და ორგზის წარმოთქვამს ჩვენთვის საინტერესო ფრაზას. აი, როგორ ამხნევენს იგი საბჭოთა ხალხს:

თუ თავი ჩვენი ჩვენ გვეყუდენის,
რისაა შიში?
წყევლა და კრულვა დამპყრობლის გზას...
მტერს ზარდაცემა!
(ტაბიძე 1973: 44)

პოემის ფინალში გალაკტიონი ქებათა ქებას უძღვნის სოციალისტურ აღმშენებლობას, ნათელ მომავალს და ამჯერად ახალგაზრდობას არწმუნებს:

ახალგაზრდებო! ჩვენი თავი
ჩვენვე გვეყუდენის!
(ტაბიძე 1973: 45)

„მოხევის ქალი“ თავიდან ბოლომდე პროპაგანდისტული პოემაა, საბჭოთა პატრიოტიზმის საჯარო დეკლარაცია, შელამაზებული ძმურ ინტერნაციონალურ ოჯახში საქართველოს გამოგონილი თავისუფლებით.

ილიასეული ფორმულის ადაპტირება საბჭოთა რეალობასთან გალაკტიონის ორსავე პოემაში და ლექსში თავისთავად ეროვნული ცნობიერების რღვევის ნიშანია, მაგრამ უცნაურია და დასაფიქრებელი, რატომ მიმართა გალაკტიონმა ოფიციალური პოზიციის გადმოსაცემად ილიას ეროვნულ ფორმულას? ნუთუ კონფორმიზმმა გენიალური პოეტი იმ ზღვრამდე მიიყვანა, რომ წმინდა იდეის რიგითი გამყალბებელი, კომუნისტური ფსევდომითის მორჩილი პროპაგანდისტი გახდა?!

საკითხში გასარკვევად, ვფიქრობ, გასათვალისწინებელია ერთი გარემოება:

გალაკტიონის შემოქმედებაში, ოპტიმისტური საბჭოური ტექსტების პარალელურად, 30-იან წლებშივე იქმნებოდა სრულიად საპირისპირო შინაარსისა და განწყობილების ლექსები, რომლებიც პოეტის არქივში ჩარჩა და გვაცნობს მის რეალურ განცდებსა და ფიქრებს. ასეთია, მაგალითად, უსათაურო „პირველი ფოთლით იმოსება ტყე“ – ამჯერად უკვე მწარე, პესიმისტური პასუხი ილიას „გაზაფხულში“ დასმულ კითხვაზე.

ტყე ფოთოლს ისხამს, ბუნება მშვენიერდება, მაგრამ იცრემლება ვაზი, ტირის ბალახი, ოხრავენ ყვავილები... ამ სევდიან გარემოში არაორაზრონად ჩაგვესმის პოეტის განმარტება:

წარსულზე კი არ აფრქვევს ცრემლს ვაზი
და მოლივლივე სუნთქვა ზეფირის,
არა, აწმყოზე ოცნებობს ველი
და არე-მარეც აწმყოზე ტირის.
(ტაბიძე 2005: 11)

აქ აღარც ილიასეული მეტის ლხენით ტირილია და არც სოციალისტური „უდიდესი ლხენით სიმღერა“. ლექსში გლოვის პირდაპირი საგანი აწმყოა, სწორედ ის საბჭოთა აწმყო, ოფიციალურ ლექსებში რომ განადიდებდა გალაკტიონი.

30-იან წლებში, როგორც ითქვა, მსგავსი შინაარსის ლექსი არაერთია, გავიხსენოთ თუნდაც „ეს არ არის საქართველო“, რომელიც ყოველგვარი დაეჭვების გარეშე გვიდასტურებს გალაკტიონის ანტისაბჭოურ განწყობილებებს, მის ტკივილიან დაფიქრებას მამულისა და ერის ტრაგიკულ აწმყოზე (დოიაშვილი 2013: 206-212).

პოეტის ამგვარ განწყობილებათა გათვალისწინებით, ოფიციალურ და ფარულ დინებათა ორმაგ კონტექსტში, ჩნდება ჰიპოთეტური ვარაუდი, ხომ არა აქვს გალაკტიონთან ახლადრეაბილიტირებული ილია ჭავჭავაძის ეროვნული ფორმულის არაერთგზის გამეორებას რაიმე შეფარული აზრი და მიზანი?!

გალაკტიონ ტაბიძემ დანამდვილებით უწყოდა რადიკალური განსხვავების არსებობა ილია ჭავჭავაძის ეროვნულ პროგრამასა და ნაციონალური საკითხის გადაჭრის სოციალ-დემოკრატიულ

კონცეფციას შორის. მისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენდა, რომ ილია განასახიერებდა ერს, მის უფლებებს, თავისუფლებისა და დემოკრატიულობის იდეას, სოციალ-დემოკრატებს კი, მენშევიკებსაც და ბოლშევიკებსაც, ნაციონალიზმი ბურჟუაზიული იდეოლოგიის გამოვლენად მიაჩნდათ. ისინი გამუდმებით „ამხელდნენ“ ნაციონალიზმის იდეას და საკუთრივ – ილია ჭავჭავაძეს. მენშევიკი ირაკლი წერეთელი, მაგალითად, წერდა: „მამულიშვილობა რეაქციით არის გაჟღენთილი და რეაქცია ასულდგმულებს. აქედან გამომდინარე, ილიას პატრიოტიზმი რეაქციული ხასიათისაა“ (გაფრინდშვილი 1987: 33).

სოციალ-დემოკრატებისთვის მიუღებელი იყო საქართველოს სახელმწიფოებრივი დემოკრატიულობის, – გნებავთ, ავტონომიურობის, – იდეა, რადგან მიაჩნდათ, რომ თვითმპყრობელობის დამარცხებამდე არარუსი ხალხის გამოყოფა იმპერიიდან პროლეტარიატის ძალებს დაქსაქსავდა, რევოლუციის გამარჯვებას საფრთხეს შეუქმნიდა. ნაციონალური საკითხის გადაწყვეტა, მათი აზრით, სამომავლოდ, ე.ი. გამარჯვების შემდეგ ბუნებრივად მოხდებოდა. რამდენად ბუნებრივად მოხდა ეს საბჭოთა სინამდვილეში, საყოველთაოდ ცნობილია: რუსული ბოლშევიკური იმპერია ნებაყოფლობით გაერთიანებულ ერთა ძმურ კავშირად გამოცხადდა, ხოლო დეკლარირებული ერთა თვითგამორკვევის უფლება ე.წ. სუვერენული საბჭოთა რესპუბლიკებისათვის ლამაზ, ცარიელ სიტყვებად დარჩა.

ორ თვალსაზრისს შორის ასეთი რადიკალური განსხვავების პირობებში, მართლაც, გამოცანად ჩანს, რატომ დასჭირდა გალაკტიონს საბჭოური ეროვნული პოლიტიკის „ტრიუმფის“ საილუსტრაციოდ ილიას გამოსხმობა და შეუთავსებელ თვალსაზრისთა „ჰარმონიზაცია“.

თუ პოეტის იძულებით სერვილიზმს სულმდაბლურ მლიქვნელობად არ აღვიქვამთ და ისტორიულ და ფსიქოლოგიურ კონტექსტებსაც გავაქტიურებთ, ჩნდება აზრი, რომ შესაძლოა, გალაკტიონთან ილიას ფორმულას ორმაგი დატვირთვა ჰქონოდა: თუ ღიად და პირდაპირ მასში ოფიციალური იდეოლოგიური შინაარსი იყო ჩადებული, რასაც გარემოებანი აიძულებდა პოეტს, იგივე ფორმულა, დიდი ალბათობით, ალუზიის ფუნქციას ითავსებდა. მინიშნების ხერხით გალაკტიონი „მგზავრის წერილების“ შესა-

ბამისი პასაჟის აქტუალიზაციას ახდენდა – ფორმულის საბჭოური ინტერპრეტაციიდან თავისი მკითხველი პირველწყაროსაკენ, მოთხრობის ტექსტისაკენ გაჰყავდა, რათა მისთვის ილიას ჭეშმარიტი აზრი, მისი ეროვნული ტკივილი გაეხსენებინა:

„ანინა?.. რუსობაჩი ვარნ! ანინა ყველაი გაცუდის, ყველაი გაუქმდის... ერი დავარდნილ, გალახულ არნ, ვრდომილ-კრთომილ. ნარხდა ქართველთა სახელი, ქართველთა ნეს-წყობა“...

ლელთ ლუნისას, „ცხოვრების თვალყურმადევარი“ მოხვეის ამ სიტყვებს შეუძლებელია არ დაეფიქრებინა ქართველი კაცი, არ დაენახა, რომ მოხვეე დაკარგულ დამოუკიდებლობას იგლოვდა, ერის თავისუფლების უფლებას იცავდა, რადგან მხოლოდ თავისუფლება ანიჭებს ერს მხნეობას, სიმამაცეს, ერთიანობის შეგნებას და ზნეობრივი ცხოვრების ძალას, – ყოველივე იმას, რასაც ასე მოკლებული იყო საბჭოთა საქართველო.

ეროვნული სუვერენიტეტის ილიასეული ფორმულა ბექდური სახით კიდევ ერთხელ და უკანასკნელად გვხვდება გალაკტიონის უსათაურო ლექსში „გემი ვით არ იცნობს“, რომელიც 1957 წელს გამოქვეყნდა. ჩვენთვის კარგად ნაცნობი კონფორმისტული დისკურსი აქ დიალოგის ფორმითაა წარმოდგენილი:

გემი ვით არ იცნობს
ზღვას ვრცელს და განიერს,
იგიც ხომ მეზღვაურს
სამშობლოდ ეკუთვნის?

– მოხვევე! გახედე
ჩვენს იმერ-ამიერს:
ეყუდენის თავის თავს?
– ცხადია, ეყუდენის.

(ტაბიძე 1968: 271)

ამ ლექსის შესახებ ი. კენჭოშვილი წერს: „მთლიანად სიმბოლურია ლექსი „გემი ვით არ იცნობს“, რომელიც ილიას „მგზავრის

წერილების“ ცნობილ დიალოგთან ალუზიის წყალობით ქართლის ბედის ფართო სააზროვნო კონტექსტს ეხმიანება“ (კენჭოშვილი 1999: 294).

მართლაც, გარდა პირდაპირი, „ჯანსაღი აზრისა“ გალაკტიონის ამ ერთი შეხედვით მარტივ, სადა ლექსს მეორე, სიმბოლური პლანიც აქვს, რომლის გაშიფრვის გარეშე ტექსტში ზოგი რამ ბუნდოვანი რჩება, ხოლო სიღრმისეული ჩანაფიქრი – მიუკვლეველი. გასარკვევია, რას გულისხმობს მოცემულ კონკრეტულ კონტექსტში გალაკტიონისათვის ტრადიციული სიმბოლოები – „ზღვა“ და „მეზღვაური“; რა მინიშნებებია სიცხადეს მოკლებულ ფრაზებში: „გემი ვით არ იცნობს ზღვას“, ან „იგიც... მეზღვაურს სამშობლოდ ეკუთვნის“; პასუხგასაცემია უფრო ზოგადი კითხვაც: რა კავშირია მეზღვაურის თემასა და მოხევის თემას შორის, ანუ ტექსტის პირველსა და მეორე მონაკვეთებს შორის, რომლებიც, რეალური ვერსიფიკაციული პარამეტრების მიხედვით, ერთი სტროფის შემადგენელი ნაწილებია და არა ორი დამოუკიდებელი სტროფი.

სანამ ლექსის ანალიზს დავიწყებდეთ, აუცილებლობა მოითხოვს გავიხსენოთ ის პოლიტიკურ-იდეოლოგიური ვითარება, რა დროსაც დაინერა „გემი ვით არ იცნობს“.

1951 წლის 2 ივლისს გაზეთ „პრავდაში“ გამოქვეყნდა სარედაქციო სტატია „ლიტერატურაში იდეოლოგიურ დამახინჯებათა წინააღმდეგ“. სტატიაში მკაცრად იყო გაკრიტიკებული ერთ-ერთი უკრაინელი პოეტის პატრიოტული ლექსი „გაცვარდეს უკრაინა“, როგორც ნაციონალისტური სულისკვეთების გამოვლენის ნიმუში. ნაწარმოებში უკრაინა თურმე წარმოდგენილი იყო „განმარტოებულად, საბჭოელი ხალხისაგან მონყვეტილად“.

კომპარტიის ცენტრალურ ორგანოს მალევე გამოეხმაურა ქართული გაზეთი „კომუნისტი“ (1951, 29 სექტემბერი), რომელიც ქართველ შემოქმედთ დირექტივული ტონით შეაგონებდა, რომ სამშობლოს წარმტაცი ბუნებით ტკბობა და მისი გმირული წარსულით სიამაყე „არ არის ჯანსაღი განწყობილება“, რომ „საქართველოს ძალა და სიდიადე, მისი აყვავებისა და გაფურჩქვნის წყარო არის დიდი საბჭოთა კავშირი, რომლის განუყოფელ ნაწილსაც ის შეადგენს; არის ხალხთა სტალინური მეგობრობა, რომელმაც უძლიერესი ძალა მისცა საბჭოთა კავშირის ყველა ერს“.

ასე დაიწყო დაუნდობელი ბრძოლა არარუსი ხალხების ეროვნული ღირსებისა და თვითგამოხატვის წინააღმდეგ, რომლის ერთადერთი მიზანი იყო „ატავისტური“ მამულის სიყვარულის ჩანაცვლება ჯანსაღი საბჭოთა პატრიოტიზმით. საქმე იქამდე მივიდა, რომ მშობლიური ბუნებისა და ისტორიის სიყვარული ბურჟუაზიული ნაციონალიზმის რეციდივად, ნაციონალურ ცრურწმენათა ნაშთად მოინათლა, რომელიც უნდა ნაშლილიყო ადამიანთა ცნობიერებიდან.

ამ სიტუაციაში საბჭოთა ლიტერატურული კრიტიკის უპირველეს ამოცანად იქცა მხილება ამ ე.წ. ნაციონალიზმის ნაშთებისა, რომელიც თურმე ეროვნულ სამოსელში ინიღბება. მხილების კამპანია საქართველოში გალაკტიონით დაიწყო. წერილში „ნაციონალურ ცრურწმენათა ნაშთების შესახებ“, რომლის ავტორი იყო კრიტიკოსი ს. ჭილაია, პოეტს ოციანი წლების შედეგრი – „ეფემერა“ შეახსენეს იმ საბაბით, თითქოს იქ იყო „რალაც მისტიკური ცნება „ქართული სისხლის“ შესახებ“. იგულისხმებოდა სტრიქონი: „წვეთი სისხლი არ არი ჩემში არაქართული“, რომელიც ავტორმა 1944 წელს თავადვე შეცვალა ახალი, ასე ვთქვათ, არამისტიკური რედაქციით: „არაფერი არ არი ჩემში არაქართული“. მიუხედავად ამისა, კრიტიკოსი მაინც შეუბრალებელი იყო: „ჩვენ ვერ შეეურიგდებით საკუთარ ნაჭუჭში ამგვარ გამოკეტვას, როგორსაც გულისხმობს ფორმულა „არაფერი არ არი ჩემში არაქართული“. ეს ფორმულა უშუალოდ მომდინარეობს ბურჟუაზიული ნაციონალიზმიდან, რომლის არსია, – როგორც „პრავდა“ წერდა, – მისწრაფება განკერძოებისაკენ, ეროვნული შეზღუდულობის ნაჭუჭში ჩაკეტვისაკენ“ (ჭილაია 1952).

ფხიზელმა თვალმა „ნაციონალისტურ და დეკადენტურ განწყობილებათა ნაშთები“ გალაკტიონ ტაბიძის 1950 წელს გამოცემულ თხზულებათა მეშვიდე ტომშიც შეამჩნია.

მაინც რას ამბობს გალაკტიონი ასეთ შეუნყნარებელს „ეფემერაში“? მხოლოდ იმას, რომ იგი სულით ხორცამდე ქართველი პოეტია! სწორედ ამას მიიჩნევდნენ იდეოლოგიურ ერესად: ქართველად ყოფნა, თუნდაც სიამაყე ეროვნული კუთვნილებით შეფასებული იყო, როგორც „საკუთარ ნაჭუჭში გამოკეტვა“, როგორც „ბურჟუაზიული ნაციონალიზმის ნაშთი“, „მისწრაფება ეროვნული განკერძოებისაკენ“!

ქართული საბჭოთა პოეზიის ფუძემდებელს – გალაკტიონ ტაბიძეს და სხვა ქართველ მწერლებსაც უნდა შეეგნოთ, რომ „ადგილობრივი პატრიოტიზმი“ – საკუთარი სამშობლოს სიყვარული ხელს უშლიდა საბჭოთა პატრიოტიზმის დიადი გრძნობის დამკვიდრებას, ინტერნაციონალიზმის იდეოლოგიის საბოლოო გამარჯვებას.

არსებობს რამდენიმე ავტოგრაფი ლექსისა „გემი ვით არ იცნობს“, ტექსტის აზრობრივი ფორმირების პროცესს რომ ასახავს. ხელნაწერთა გაცნობა საფუძველს იძლევა ვიფიქროთ, რომ გალაკტიონის ეს ლექსი პოეტის პოლემიკური პასუხია იდეოლოგიურ ძალმომრეობაზე. ეს თავიდანვე გამოკვეთილად ჩანს. ტექსტის თავდაპირველ რედაქციაში, რომელსაც სათაურად ჰქონდა „ქართველ მეზღვაურს“, ვკითხულობთ:

ქართველს, სულით ძლიერს, მთელი საქართველო
ყველგან და ყოველთვის სამშობლოდ ეყუდვნის.

დავაკვირდეთ, როგორი პირდაპირობით არის გამოთქმული ამ სტრიქონებში ეროვნული თვალსაზრისი, დაპირისპირებული ოფიციალურ დირექტივებთან: ისტორიულ დრო-სივრცეში – „ყველგან და ყოველთვის“ სულით ძლიერი ქართველის სამშობლო იყო და არის მხოლოდ საქართველო და, მაშასადამე, არა რომელიმე დამპყრობლის (ვთქვათ, რუსეთის ბოლშევიკური იმპერიის) ტერიტორიათა კონგლომერატი. თითოეული სიტყვა, აკრძალვათა ფონზე, აქ თითქოს საგანგებოდ და გამომწვევად არის შერჩეული: ქართველი, საქართველო, სამშობლო, განსაკუთრებით – ილიასეული „ეყუდვნის“!

ამ სტრიქონების სააშკარაოზე გამოტანა, ცხადია, წარმოუდგენელი იყო. ასე გაჩნდა ავტოგრაფებში ახალი ვარიანტი – ძველის მეტონიმიური აზრობრივი ეკვივალენტი: „ქართველს“ ჩაენაცვლა „აფხაზი“, „საქართველოს“ – „აფხაზეთი“ („აფხაზს, სულით ძლიერს, მთელი აფხაზეთი/ ყველგან და ყოველთვის სამშობლოდ ეკუთვნის“).

სანამ „ქართველის“ მონაცვლე სიტყვად „აფხაზს“ შეარჩევდა, პოეტმა მანამდე „მოხვეის“ გამოყენება სცადა („ვიცნობ მოხვეისაც“), თუმცა, – ალბათ, ილიას პერსონაჟთან სახიფათო ასოციაციის გამო, – მაშინვე უარყო იგი.

ერთ-ერთი ავტოგრაფის მიხედვით, ლექსის მეორე მონაკვეთი ჩაფიქრებული ყოფილა, როგორც შედარების სახეობრივი კომპონენტი. პოეტს ჯერ დაუწერია „ისე როგორც თევზი“, შემდეგ ეს სიტყვები გადაუხაზავს და მიუწერია: „თევზიც მანაც იცის“. ორსავე შემთხვევაში აქ გათამაშებულია ხატოვანი შესიტყვება „თევზი წყალში“ და თუმცა შედარება რეალიზებული აღარაა, სავარაუდოდ აზრობრივი შინაარსის აღდგენა სიძნელეს არ წარმოადგენს: ქართველისთვის საქართველო ისეთივე ბუნებრივი, თავისუფალი, კუთვნილი სასიცოცხლო სივრცე თუ გარემოა, როგორც თევზისთვის წყალი.

ამრიგად, სანყისი ვერსიის სახით ჩვენ წინაშეა ლექსი-შედარება, რომელიც პირდაპირ და შეუნიღბავად გადმოსცემს პოეტის ეროვნულ სულისკვეთებას, სრულიად შეუთავსებელს საბჭოურ იდეოლოგიურ პოზიციასთან.

ტექსტზე შემდგომი მუშაობა გვიჩვენებს, რომ გალაკტიონმა უარი თქვა აზრის პირდაპირ გამოთქმაზე და სიმბოლოთა შემოტანით („გემი“, „მეზღვაური“, „ზღვა“) ჩანაფიქრის ვუალირება დაიწყო. ამის კვალობაზე ლექსის პირველი რედაქცია ასე ჩამოყალიბდა:

ქართველს, სულით ძლიერს, მთელი საქართველო
ყველგან და ყოველთვის სამშობლოდ ეყუდვინს.

გემიც ვით არ იცნობს ზღვას ვრცელს და განიერს,
იგიც ხომ მეზღვაურს სამშობლოდ ეკუთვინს.

საბოლოო ტექსტი, რომელიც პოეტმა გამოაქვეყნა და დასაწყისში დავიმონმეთ, ფაქტობრივად, ლექსის მეორე რედაქციაა, რადგან ავტორმა მნიშვნელოვანი სტრუქტურული და სემანტიკური ცვლილებანი განახორციელა:

ა) შეიცვალა კომპოზიციური ნყობა – პირველმა და მეორე მონაკვეთებმა ადგილები გაცვალეს;

ბ) თავდაპირველი შედარების ფიგურას აზრობრივად ბუნდოვანი, თითქმის შეუმჩნეველი პარალელიზმი ჩაენაცვლა;

გ) მთლიანად გადაკეთდა სემანტიკურად სახიფათო მონაკვეთიც – გაქრა ისეთი „ნაციონალისტური“ სიტყვები, როგორიცაა საქართველო, ქართველი, სამშობლო, მაგრამ გაჩნდა „სულით

ძლიერი ქართველის“, ლელთ ლუნიას, შთამომავალი – თანამედროვე მოხევე.

პოეტმა ყველაფერი თითქოს კონიუნქტურას მოარგო, მაგრამ, ასევე, თითქოს საგანგებოდ, შეიტანა და ჩატოვა ტექსტში დამაფიქრებელი ბუნდოვანებანიც, როგორც მინიშნება რალაც უთქმელზე, სტრიქონებს შორის რომ უნდა ამოკითხულიყო.

ე.ნ. ნაციონალიზმის წინააღმდეგ მიმართულ კამპანიაში ქართველ მწერლებს იმაშიც ადანაშაულებდნენ, რომ **განყენებულად** უმღერდნენ სამშობლოს, „**გარკვეულად** არ ამბობენ, რომელ სამშობლოზე აქვთ ლაპარაკი“. ამ შენიშვნას სახელმძღვანელო განმარტება თუ შეგონება ახლდა, რომ სამშობლო არის არამარტო საქართველო, არამედ მთლიანად დიდი საბჭოთა კავშირი. მეტიც, საბჭოთა ადამიანისათვის სამშობლო ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით და ხალხის შრომითა და ბრძოლით აშენებული ახალი სოციალისტური ქვეყანაა.

ქართველ პოეტს, სახელმწიფო დაკვეთის გათვალისწინებით, გარკვეულად და კონკრეტულად უნდა ემღერა საბჭოთა სამშობლოსათვის, ედიდებინა შავ ზღვიდან ყინულეთამდე გადაჭიმული „ჩვენი თვალუნვდენელი ქვეყანა“. საქართველოს ხსენება თითქმის იკრძალებოდა, თუ მას არ წარმოსახავდნენ დიადი მთელის განუყოფელ, თავისუფალ და ბედნიერ ნაწილად.

ამ კონტექსტში უნდა იქნას წაკითხული და გააზრებული, ჩემი აზრით, გალაკტიონის „გემი ვითარ იცნობს“, როგორც „ორხმოვანი და ორკილო“ (აკაკი) ლექსი.

თუ დავაკვირდებით, საანალიზო ტექსტში საუბარია ორ სამშობლოზე: ესაა „დიდი სამშობლო“, რომელიც „ზღვის“ სიმბოლოთია წარმოდგენილი და „მეზღვაურს სამშობლოდ **ეკუთვნის**“, ხოლო მეორე, „მცირე სამშობლო“ – საქართველოა, არდასახელებული, პერიფრაზს შეფარებული („ჩვენი იმერ-ამერი“). იგი, მოხევის თავგამოდებული მტკიცებით, „ცხადია, თავის თავს ეყუდვნის“. ავტოგრაფში „ცხადია“-ს ნაცვლად იყო „მგონია“, რომელიც გადახაზულია.

ლექსის მიხედვით, ორ სამშობლოს შორის თითქოს ჰარმონიაა: „ჩვენი ამერ-იმერი“ (საქართველო) და „ვრცელი და განიერი ზღვაც“ (საბჭოეთი) მოხევისათვის, როგორც საბჭოეთის მოქალაქისათვის,

ორივე სამშობლოა, ამასთან, „ზღვით“ გარემოცული „ამერ-იმიერი“ თავისუფლებას ინარჩუნებს – „თავის თავს ეყუდვის“.

მაგრამ ყურადღება მივაქციოთ თითქმის შეუმჩნეველ ნიუანსებს: ზღვა მეზღვაურს „სამშობლოდ ეკუთვნის“ – „იგიც ეკუთვნის“, რაც იმას ნიშნავს, რომ მეზღვაურისთვის (მოხვეისთვის), რომელსაც საკუთარი სამშობლო აქვს, „ზღვა“ მხოლოდ მიკუთვნებული, სხვაგვარად, თავსმოხვეული სამშობლოა.

საყურადღებოა სიტყვებიც: „გემი ვითარ იცნობს ზღვას“... რას გულისხმობს გემის/ მეზღვაურის მიერ **ზღვის ცნობა**? პოეტი ფრთხილადმიგვანიშნებს, რომ ის კარგად იცნობს საბჭოთა რეალობას, იცნობს მის იდეოლოგიას, რომელიც სდევნის ბუნებითი სამშობლოს სიყვარულს და ძალადობით ამკვიდრებს ე.წ. საბჭოთა პატრიოტიზმს. აი, ამ ფონზე და ამ კონტექსტში უნდა შეფასდეს ავტორისა და მოხვეის დიალოგი, საუბარი „ჩვენი ამერ-იმერის“ დამოუკიდებლობასა თუ თავისუფლებაზე. კონტრასტირეალურ საბჭოურ სინამდვილესა და მოხვეის პასუხს შორის იმდენად მკვეთრია, რომ მოხვეის პასუხი მხოლოდ და მხოლოდ ირონიად შეიძლება იქნეს აღქმული. რამდენადსარწმუნოა, რომ გალაკტიონის მოხვეე ეროვნულობის ანუ ე.წ. ბურჟუაზიული ნაციონალიზმის ნინააღმდეგ აგორებული კამპანიის პირობებში საქართველოს სუვერენიტეტსა და თავისუფლებაზე ირონიის გარეშე, სერიოზულად საუბრობდეს?!

„გემი ვითარ იცნობს“ დიდოსტატის მიერ შექმნილი, ირონიული პოეტური მინიატურაა, რომელიც მიზანმიმართულად არის გაბუნდოვანებული. გალაკტიონი ამჯერადაც ახერხებს შეუთავსებლის შეთავსებას – ირონიული კონტექსტის შექმნას და კონფორმისტულ დისკურსში შეფარული პროტესტის მუხტის შეტანას.

ობიექტურობისათვის, მოდით, ნურც იმას გამოვრიცხავთ, მოხვეის სიმბოლურ სახესა და პასუხში გალაკტიონი კონფორმისტული დისკურსის მიღმა, შესაძლოა, კვლავაც „სულით ძლიერი ქართველის“ იმ მენტალურ თვისებას გულისხმობდა, რაზეც ლიად და პირდაპირ იყო საუბარი პირველ რედაქციაში („ქართველს, სულით ძლიერს, მთელი საქართველო/ ყველგან და ყოველთვის სამშობლოდ ეკუთვნის“), თუმცა საეჭვოა, რომ მკითხველს ეს ღრმად შეფარული ქვეტექსტური აზრი ამოეცნო.

გალაკტიონის ლექსში, ჩემი აზრით, პოპულარული საბჭოთა სიმღერის – “Широка страна моя родная” პაროდირებაც შეიმჩნევა.

ნლების მანძილზე ამ სიმღერით იწყებოდა საკავშირო რადიოს მა-
უნყებლობა და უზარმაზარ ქვეყანას აღვიძებდა:

Широка страна моя родная,
Много внейл есов, полей и рек!
Я другой такой страны не знаю,
Где так вольно дышит человек.

От Москвы до самых до о краин,
С южных гордо северных морей
Человек проходит как хозяин
Необъятной Родины своей.

ყურადღება მიაქციეთ სიმღერის ტექსტში საბჭოთა სამშობლოს
შემამკობელ ეპითეტებს – „Широка страна“, „Необъятной Родины“
და ნახავთ, როგორ ახდენს მათ **კალკირებას** გალაკტიონი, „ზღვის“
(საბჭოეთის), ასე ვთქვათ, პოეტურ დახასიათებას: „გემი ვით არ
იცნობს / ზღვას **ვრცელს და განიერს**“.

უფრო არსებითი მაინც სატირამდე მისული ირონიაა სიმღერის
გამჭოლი იდეისადმი, საბჭოური რიტორიკისადმი, რომელიც ქა
დაგებს, რომ არსადაა ისეთი სხვა ქვეყანა, სადაც ადამიანი ასე თა-
ვისუფლად სუნთქავდეს, რომ საბჭოეთშია ადამიანი თავისი ქვეყ-
ნის ბატონ-პატრონი. საკმარისია ავტორისა და მოხვევის დიალოგი
ამ ფსევდო ნარატივთან მიმართებით აღვიქვათ, რომ ხელშესახე
ბად ვიგრძნოთ პოეტის ირონიაც და საბჭოური პროპაგანდისტუ-
ლი ტექსტის პაროდირებაც.

სიცოცხლის ბოლო წლებში გალაკტიონი ბევრს ფიქრობდა „ქარ-
თლის ბედზე“, არ ასვენებდა სამშობლოს გაურკვეველი მომავალი:

საქართველო, საქართველო,
საით მიდის საქართველო?
(ტაბიძე 2005: 322)

ლელთ ღუნიას პერიფრაზი სიკვდილის წინ ერთხელაც გახმი-
ანდა გალაკტიონთან, მაგრამ არა კონფორმისტული დისკურსის

სამოსელში, არამედ – როგორც ტრაგიკული, გაშიშვლებული სიმართლე:

ჩვენვე ჩვენი თავი
აღარ გვეყუდვების.
სული გვეხუთების,
სული გვეხუთების.
(ტაბიძე 2005: 257)

უჭაერობის ეს განცდა გაჰყვა მარადისობის გზაზე დიდ პოეტს, ვინც თავისი ნებით და დაუნანებლად დატოვა სოციალისტური სამოთხე, თავისი ერი კი, ილიასა და აკაკის სიმაღლიდან, ასე დალოცა:

ღმერთო, მფარველო, ერთხელ ძლიერი
კვლავ აღადგინე ქართველი ერი...
კვლავ განუახლე ერთობა, ძმობა,
მტრის წინააღმდეგ მიეც თანხმობა,
რომ კვლავ ისმოდეს იმერ-ამიერ:
მრავალჟამიერ, მრავალჟამიერ!
(ტაბიძე 1972: 79-80)

დამონებიანი:

ბრძოლა... 1931: კრებ. „ბრძოლა კლასიკოსებისათვის“, თბ., „სახელგამი“, 1931.

გაფრინდაშვილი 1987: გაფრინდაშვილი მ. *ეროვნული და კლასობრივი ი. ჭავჭავაძის განმანათლებლურ-რევოლუციურ-დემოკრატიულ და უტოპიურ-სოციალისტურ მსოფლმხედველობაში*. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1987.

დოიაშვილი 2013: დოიაშვილი თ. *მოტირალ-მოცინარი*. თბილისი: გამომცემლობა „სიტყვა“, 2013.

დოიაშვილი 2016: დოიაშვილი თ. „ლირიკული ტექსტი და ისტორიის კონტექსტი“. კრებ.: *გალაკტიონი 125*. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 2016.

კენჭოშვილი 1999: კენჭოშვილი ი. *გალაკტიონ ტაბიძის სამყაროში*. თბილისი: 1999.

ტაბიძე 1968: ტაბიძე გ. *თხზულებანი თორმეტ ტომად*. ტ. VI. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1968.

ტაბიძე 1970: ტაბიძე გ. *თხზულებანი თორმეტ ტომად*. ტ. VIII. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1970.

ტაბიძე 1972: ტაბიძე გ. *თხზულებანი თორმეტ ტომად*. ტ. VII. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1973.

ტაბიძე 1973: ტაბიძე გ. *თხზულებანი თორმეტ ტომად*. ტ. IX. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1973.

ტაბიძე 2005: ტაბიძე გ. *საარქივო გამოცემა ოცდახუთ წინადად*. ნ. VIII. თბილისი: გამომცემლობა „ლიტერატურის მატიანე“, 2005.

ტაბიძე 2016: ტაბიძე გ. *თხზულებანი თხუთმეტ ტომად*. ტ. III. თბილისი: 2016.

ტაბიძე 2017: ტაბიძე გ. *თხზულებანი თხუთმეტ ტომად*. ტ. IV. თბილისი: 2017.

ჭავჭავაძე 1988: ჭავჭავაძე ი. *თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად*. ტ. II. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1988.

ჭილაია 1952: ჭილაია ს. „ნაციონალურ ცრურწმენათა ნაშთების შესახებ“. *გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“*, 1952, №50.

KETEVAN ELASHVILI

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Past in the Present

(“Data Tutashkhia” by Chabua Amirejibi)

The Georgian Writing of the XX century, had also faced such dilemma – by its national memory and the spectrum of self-cognition, that created in artistic thinking the tendencies of “reading the present by the past”. The illustration of which is “Data TuTashkhia” by Chabua Amirejibi.

Beyond the suggestions is located the main concept of the Author – the great pain of losing the love of freedom, homeland, nationality and the path of salvation, “the historical necessity of which should be created and afterwards the nation, that takes such mission, should have talent, energy and will to fight till the end”.

Key words: Chabua Amirejibi, “Data TuTashkhia”, nationality, national memory.

ქეთევან ელაშვილი

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ნარსული ანმყოში (ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხია“)

ნებისმიერი ერის ბედისწერას თავისი „ისტორიული მარყუჟი“ აქვს, რომელიც თავადვე გამოჰკვეთს ხოლმე ერის ზნეს, რაც ეპოქათა მიჯნაზე მძაფრდება ეროვნული მოტივაციით – მკვეთრად გამოხატული ემოციური მიჯაჭვულობითა თუ ხმამაღალი პოლიტიკური აქცენტებით.

აღბათ ამიტომაცაა, რომ თითქმის ყველა ერი (იშვიათად გამო-ნაკლისის გარდა...) ერთსა და იმავე ისტორიულ შეცდომებს იმეორებს, რომელთაგან თავის დაღწევის მცდელობა ზოგჯერ მხატვრულ აზროვნებაშია საძიებელი, მით უფრო იმგვარ ერში, როგორც ეს ქართველი ერია – უძველესი მწერლობის წარმომშობი და საკუთარი ანბანის შემქმნელი.

სწორედ ამან განაპირობა, ქართული მწერლობის ისტორიული დისკურსის წიაღში, ნაციონალური თვითგამოხატვის კონცეფციების წარმოჩენა, რაც თავის მხრივ, იძლეოდა საშუალებას ჩამოყალიბებულიყო თვითშეფასებისა თუ თვითაღქმის იმგვარი იდეოლოგია, რომლის მიზანიც ეროვნული სახელმწიფოს შექმნა გახლდათ.

მაგრამ ამ ტენდენციამ ვერ იმძლავრა და სწორედ მაშინ, XIX სა-უკუნეში, როცა „ნაციონალიზმის ტალღამ მნიშვნელოვნად შეცვალა ევროპის რუკა“ (ჰეივუდი 2004: 178) „საბედისწერო სიკეთის“ (ერთმორწმუნე რუსეთის ...) წნეხქვეშ მოქცეულმა საქართველომ ლამის მთლიანად დაკარგა სახელმწიფოებრივი ცნობიერება. ილიას პოლიტიკური თვითშეგნება და ზნეობრივი სიმძაფრე რომ არა, ქართველი ერი ნაციონალური იდენტობის შეცნობის ურთულეს გზას დიდი დაგვიანებით დაადგებოდა.

სამწუხაროდ, ამ დილემის წინაშე XX საუკუნის ქართული მწერლობაც აღმოჩნდა – ნაციონალური მეხსიერებითა თუ თვითგამორკვევის რეალური სპექტრით, რამაც მხატვრულ აზროვნებაში წარმოშვა „ნარსულის ანმყოთი“ ნაკითხვის ტენდენციები. ამ

ფენომენის ილუსტრაციაა ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხიაც“, რომლის პირველი გამოცემის (1973 წელი) სარედაქციო ანოტაცია ამგვარია: „რომანის მოქმედება სწარმოებს XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დამდეგის საქართველოში. სიუჟეტი აგებულია მწვავე სიტუაციებზე და ეხება მრავალ ეთიკურ პრობლემას“. არადა, სწორედ ამ მინიშნებათა მიღმაა მოქცეული ავტორის უმთავრესი კონცეფცია – თავისუფლების, სამშობლოს სახელმწიფოებრიობის დაკარგვის დიდი ტკივილი და ხსნის გზა.

თუმცაღა გამოცემისთანავე – მითოლოგიზირებული აბრაგის, დათა თუთაშხიას ქარიზმატულობამ სრულიად დარჩილა ამ ნაწარმოების შესაძლებლობანი და ლიტერატურული განსჯაც¹ ძირითადად ზნეობრივი დისკურსის ფორმატში წარიმართა. იმ ხანად ეს ნაწარმოები მხოლოდ გარეშეთათვის² იქცა საუკუნის რომანად, რადგან ტოტალიტარულ წნეხქვეშ მოქცეულ ქართულ საზოგადოებას (თუ არ ჩავთვლით იმ მცირე ნაწილს, რომელიც ამაზე ხმამაღლა არ საუბრობდა – ქ. ე.) ჯერ კიდევ უჭრიდა ისტორიულ-პოლიტიკურ აქცენტების ჯეროვანი შეფასება.

1 ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხიას“ I ნიგნი გამოცემა 1973 წელს, ხოლო II ნიგნი კი – 1975 წელს. ამავე წელს აკაკი ბაქრაძე აქვეყნებს თავის ლიტერატურულ წერილს – „ტარიგი ღმრთისაი“, სადაც მკვლევარი „ერის დაცემის, დაკნინების საწყისად ქალთა ზნეობრივი სიმტკიცის შერყვნას მიიჩნევს“ (ბაქრაძე 1990: 362); რევაზ თვარაძე კი თვლის, რომ „დათა თუთაშხია“ იმგვარად ჩაფიქრებული ნაწარმოებია, რომ სათანადო სიღმით წვდომისას მასში თავს იჩენს ორი პლანი – ემპირიული და სულიერი... და ის ძველთაძველი და მარადიული ჭეშმარიტებანი, რომელთა გარეშე კაცთა მოდგმის არსებობა ყოველგვარ აზრს დაკარგავდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ავტორს იმთავითვე უფსკრულზე გადაებულ ბენვის ხიდზე გასასვლელად გაუნირავს თავი“ (თვარაძე 1976: 98); იმავე 1976 წელს თავად ავტორი (კობა იმედაშვილთან შემოქმედებითი საუბრის დროს) საკუთარი რომანის ამგვარ ინტერპრეტაციას გვთავაზობს: „თვით დათა თუთაშხია და რომანის სხვა გმირებიც სამპლანიან სახეებად იყვნენ ჩაფიქრებული: პიროვნება – ერი – კაცობრიობა ამას განზოგადებული მხატვრული სახეები ჰქვია...“ (იმედაშვილი 1990: 22).

2 „ლუიჯი მაგარიტოს, მიუდგომელი უცხოელის მიერ, რომელმაც ქართული იცის და ქართულ მწერლობასაც იცნობს, რომანი „დათა თუთაშხია“ თანამედროვე ქართული ლიტერატურის შედეგად იქნა მიჩნეული (ქავთარაძე 1984: 20); ეს ამონარიდი, ემიგრაციაში მყოფი, მიხეილ ქავთარაძის საკმაოდ ემოციური წერილის ლოგიკური დასასრულია; ამით ავტორი თავის აზრსაც ერთგვარად ცხადყოფს („ივერია“, № 27, 1984 წელი, პარიზი), რომელიც კიდევ უფრო აქცენტირებულია მრავლისმთქმელი სახელდებით – „ქართველური მოდგმის მბორგავი სულის რომანი“, და არანაკლებ ორაზროვანი ეპიგრაფით; „სალამი! შენდა სმენამდე მოვა თუ არა ჩემი ხმა! / აქედგანა და თქვენამდე რამდენი ფიქრი შემიხმა! (შალვა ამირეჯიბი). ცხადია, აქ მხოლოდ მრავალწერტილით უნდა შემოვიფარგლოთ – ქ. ე.

არადა, ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხია“ ვერ ჰგუობს მარტოოდენ ემპირიულ ნაკითხვას. აქ წარსულის გაუნელებელი დიდი ტკივილი¹, ანმყოში აყრილი უუფლებობით, კიდევ უფრო გამძაფრებულია. ამიტომაცაა, ამ ნაწარმოებში გარკვეული „კოდირებული ტექსტები“ თუ ერთგვარი „ლიტერატურული პოსტულატები“, რომელთა ინსპირატორებად კეთილშობილი აბრაგი, განსწავლული არისტოკრატი ქალბატონი თავყელიშვილ-შილერისა თუ ეფემია წინამძღვარი კი არ უნდა მივიჩნიოთ მხოლოდ, არამედ აქ სრულყოფილ ისტორიულ-პოლიტიკურ დისკურსს – სახელმწიფოს უზენაესობის შესახებ წარმართავენ სახელმწიფოს მოხელენი; ერთ-ერთი მათგანი სანდრო კარიძე იყო, რომელიც „მაშინდელ ქართველებში უგანათლებულეს პიროვნებად ითვლებოდა, მაგრამ ეროვნული მოღვაწეობისგან თავი შორს ეჭირა – ცენზურაში მსახურობდა რაღაც მოხელედ“ (ამირეჯიბი 1973: 373); მეორე კი – გრაფი სეგედი იყო, კავკასიის ჟანდარმერიის შეფი, „რუსი მამულიშვილი,² დახვეწილი ინტელიგენტი, ტახტისა და არსებული წყობილების უერთგულესი ქვეშევრდომი, მოაზროვნე, მოფიქრალი კაცი...“ (ამირეჯიბი 1975: 276). ასეთივე მოაზროვნე და ფართო დიპლომატიის პიროვნება იყო კიდევ ერთი ჟანდარმი – მუშნი ზარანდიაც, რომლის „ფილოსოფიაბაც ახალი ტიპის ერთგულქვეშევრდომი³ შექმნა და ამიტომაც „მისმა უდიდებულესობამ ჟანდარმერიის მაკედონელიც კი უწოდა“. თუნდაც ეს სახელდებაც კი ცხადყოფს, რომ სწორედ მათ შეეძლოთ იმპერიის ფარგლებში ერთიანი სახელმწიფო სტრუქტურის გადასარჩენად, არა მარტო თანამდებობრივი სტატუსით ებრძოლათ, არამედ უკვე დაავადებული სისტემის – იმ-

1 საქართველომ (1801 წლიდან) რუსეთის იმპერიის ფრთებქვეშ თავისი უუფლებო არსებობა ინერციით (1921 წლიდან) განაგრძო საბჭოთა კავშირში; ეს იყო სა-მოცდაათწლიანი პყრობილობა.

2 თუმცადა საკუთარ არარუსულ წარმომავლობაზე თავად გრაფი სეგედი ასე მოგვითხრობს: „ჩემი მეშვიდე წინაპარი – გრაფი ლაიოშ სეგედი, რუსეთის სამხედრო სამსახურში შედგა, რუს ქალზე დაქორწინდა და ამის შემდეგ ჩვენს შტოს სხვა ტომის სისხლი აღარ შერევია“ (ამირეჯიბი 1975: 131).

3 მუშნი ზარანდიამ ძირითადი კარიერა ჟანდარმერიის უმცროსი ჩინიდან დაიწყო... მან ჟანდარმერიაში ოცდასამი წელი იმსახურა (გრაფი სეგედი კი სამი ათეული წელი ემსახურა რომანოვთა დინასტიას), ხუთი ორდენი, სამი რიგს გარეშე ჩინი, პეტერბურგში სამსახურის პერიოდში კი ჟანდარმერიის პოლკოვნიკის წოდება მიიღო... იგი ერთ ისეთ კაცად იქცა, რომელთაც პეტერბურგში თითქმის არავინ იცნობდა და სახელმწიფო კი, სახელდობრ, მათს შრომას და ნიჭს ემყარებოდა“ (ამირეჯიბი 1973: 56-57).

პერიის უცილობელი ნიშნებიც გამოეკვეთათ. მაგრამ ამისათვის დროის ერთგვარი შეჩერება იყო საჭირო. ამ მხრივ ფრიად უჩვეულო ნაბიჯი გადადგა სანდრო კარიძემ – „ყოველდღიურ ამაოებას გაეცალა და შიომღვიმის მონასტერში აღიკვეცა...“ (ამირეჯიბი 1975: 266). გრაფი სეგედი უფრო ცივი გონების აღმოჩნდა, აქ უდაოდ მისმა ევროპელობამ იჩინა თავი და უბრალოდ თავისი ნებით გადადგა. მან თავისი ცხოვრების „საუკეთესო, ვარდისფერი მონაკვეთი“ – მთელი ჩვიდმეტი წელი არმაზის აგარაკზე¹ გაატარა... სრულიად განსხვავებული იყო მუშნი ზარანდიას ცხოვრების გზა – ის საკუთარი ნებით ჩაიკარგა დათა თუთაშხიას² მითოლოგიზირებულ ფენომენში. ამ უკანასკნელმა მთელი თავისი გონებრივი შესაძლებლობანი „ჟანდარმერიის ეტიუდების“ თხზვას შეაღია, რომელიც საფუძველშივე მოითხოვდა „სისხლისმიერ მსხვერპლს“. ამიტომაც იყო, რომ მუშნი ზარანდიას „მაკედონური ხედვა“ ქართულ სინამდვილეს გაემიჯნა, მაშინ როცა სანდრო კარიძისა³ და გრაფ სეგედის საკმაოდ უჩვეულო ურთიერთობისა თუ ცხარე დებატების შედეგად სახელმწიფოებრივი ცნობიერების ერთგვარი ტრაქტატიც კი შეიქმნა. კარიძემ ეს ქართველი ერის მსოფლიო კატაკლიზმებთან ისტორიული ინტეგრირების გზით შეძლო; ხოლო გრაფ სეგედიმ კი, სახელმწიფოს მართვის ეპიცენტრში ხანგრძლივი დროით ყოფნისას, ჭეშმარიტების შესაცნობად პიროვნების სალი გონება მიიჩ-

1 ქართულ მიწა-წყალთან და ქართველ ხალხთან გრაფ სეგედის ერთგვარი მიჯაჭვულობა, სრულიად ესიტყვება „ლერმონტოვისეულ ხედვას (ნაკლებად სარწმუნოს ისტორიკოსებისათვის...), რომ სისხლიმღვრელი ომების დროსაც კი – დომინანტური ხელისუფლების წარმომადგენლები შეიძლება აღფრთოვანებულიყვნენ კიდევ დაპყრობილთა ზნე-ჩვეულებებით და შესაბამისად უჩნდებოდათ მიბაძვის სურვილიც“ (ეტკინდი 2014: 183).

2 თავისდა უნებურად, ცხოვრებისეული ბედისწერით, ჟანდარმერიის პოლკოვნიკი – მუშნი ზარანდი და კეთილშობილი აბრაგი – დათა თუთაშხია არათუ ბიძამვილ-მამიდაშვილები იყვნენ, არამედ ისინი „ერთ სახედ“ (პირდაპირი მნიშვნელობით) ცხოვრობდნენ, რაც ერთგვარ დილემად იქცა მათთვის; უფრი მეტიც – „მან ხომ დათა თუთაშხიას სიკვდილით, თავისი სულიერი ცხოვრების მოდელი საკუთარი ხელით მოსპო...“ (ამირეჯიბი 1975: 637).

3 სანდრო კარიძე – „ცენზურის ყოფილი მოხელე, ბატონ დათა თუთაშხიას მეგობარი“ (ამირეჯიბი 1975: 268), რომელთანაც „ურთიერთობის მძაფრი მოთხოვნილება გაუჩნდა გრაფ სეგედის. მან ყოფილი ურთიერთობებისა და შენარჩუნებული გავლენის წყალობით, ორჯერ გამოიყვანა სანდრო კარიძე სატყუალოდან – ცხრაას ექვსი წლის დასაწყისში, რევოლუციასთან დაკავშირებული ამბების გამო აყვანილი, და მერე კიდევ ეგზარქოს ნიკონის მკვლელობის საქმეზე დაპატიმრებული ... და რომ გრაფ სეგედის ძმასავით შეუყვარდა ის საკმაოდ ახირებული, მძიმე ხასიათის ადამიანი...“ (ამირეჯიბი 1975: 281).

ნია (რაც მაშინაც და დღესაც დიდი იშვიათობაა – ქ. ე.). სწორედ მათი ნააზრევის ერთგვრმა შეჯერებამ და სრულიად თავისუფალმა თანწყობამ წარმოშვა ერთი უმთავრესი ასპექტი – „პატარა ერის ბედისწერა იმპერიის ფრთებქვეშ“. ასევე, სახელმწიფოებრივ სტატუსაყრილ ერისათვის გამოიკვეთა ერთგვარად განსხვავებული კონცეპტუალური გზაც – თვითგადარჩენისა თუ თვითგანვითარების სრულიად განსხვავებული ტენდენციებით.

ბუნებრივია, ეს ე.წ. „თავისუფალი საზრისი“, თავდაპირველად, არგუმენტირებულ სადღეგრძელოებში (როგორც ყოველთვის...) აისახა, რომელთაც მძაფრი პოლემიკური ელფერიც დაჰკრავდა. სწორედ ამ გზით შეიქმნა საქართველოს „პოლიტიკური ესკიზი“ – საოცრად თამამი განაცხადითა და წარსულის დიდი ტკივილის ანმყოში გაცხადებით. რალა თქმა უნდა, ამისათვის „ხალხისა“ და „ერის“¹ ცნებათა გამიჯვნა იყო საჭირო, რაც თამამ ანალიტიკურ ხედვას ითხოვდა, რომელიც სრულიად ესადაგებოდა სანდრო კარიძის ინტელექტუალურ პორტრეტს. „ერი“ არის გარკვეული ეთნიკური ორგანიზმი მთელი მისი არსებობის მანძილზე. „ხალხი“ არის „ერი“ დღეს. ერი – ერთობ ხანგრძლივი, მდგრადი ფენომენია. ხალხი – დღესდღეობით, მსწრაფლწარმავალი რამ... ხალხი ხელებია და სტომაქი. ერი – მაღალი ზნეობა და შორსმჭვრეტელობა... ერი ცალკეულ პიროვნებებში თუ მათ ერთობლიობაში განხორციელებული ის მარადისი სულია, რომელიც ნებაყოფლობით კისრულობს მთელი ეთნიკური ორგანიზმის წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე პასუხისმგებლობას. ერი დამაოკებელი, მომწესრიგებელი საწყისია, სულიერ და ნივთიერ საუნჯეთა დამგროვებელი... ერის ცნებასა და ზნეობის ცნებას შორის ტოლობის ნიშანი ზის...“ (ამირეჯიბი 1975: 288). „ზნეობა ის შინაგანი ძალაა, რომლის წყალობითაც პიროვნება საქციელს იწესრიგებს, რომლის წყალობითაც თავის პირად მოთხოვნილებებს ერისა და მისი სახელმწიფოს საჭიროებებს უთანხმებს... (ოღონდ ერთია) მცირე ერი სახელმწიფოს ვერ შექმნის, თუ ამით კაცობრიობის ან მისი ერთი ნაწილის წინაშე რაიმე სამსახური არ აღასრულა. სახელმწიფოს არსებობის საერთაშო-

1 „ერი ერთობლიობა ადამიანებისა, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულნი არიან საზიარო ღირებულებითა და ტრადიციებით, საერთო ენით, რელიგიითა და ისტორიით და, ჩვეულებრივ, ერთსა და იმავე გეოგრაფიულ არეალში სახლობენ“ (ჰეივუდი 2004: 380).

რისო ფუნქცია, ისტორიული მისია¹ სჭირდება“ (ამირეჯიბი 1973: 396-397). „მსოფლიო ისტორიული მისიის აღსრულება ნიშნავდა გამუდმებულ ომებს... პიროვნებამ, მოქალაქემ, ცხადია ერის ფუნქცია, სახელმწიფოს მისია გაიმეორა... მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს აღმოჩნდა, რომ საერთაშორისო ფუნქციები გაუქმდა (ერთმორწმუნე სამყაროსთან არსებული კომუნიკაციები დაირღვა); ... არადა, საყურადღებოა, რომ ქართულ ეროვნულ-პოლიტიკურ აზროვნებას მუდამ და ამომწურავად ესმოდა სახელმწიფოებრივი ინსტიტუციის ისტორიული მისიიდან წარმომავლობის აუცილებლობა... და როცა ქართველთა სახელმწიფო ფაქტიურად გაუქმდა, მისი ავკარგის მიმართ ერის ძირითად მასას ქვეცნობიერი თუ გაუცნობიერებელი პასუხისმგებლობა მოუდუნდა... ისტორიულად კაცობრიულ და ეროვნულ ვალებულებებს დაჩვეული კაცი უამოცანოდ დარჩა, მას აღარაფერი მოეთხოვებოდა, სრულიად აღარაფერი; ერი დაემსგავსა საძოვარზე მიშვებულ ნახირს... საშოვარზე გადაგებული, გათითოკაცებული, ყოფილი ერი“ ... (ამირეჯიბი 1973: 402-406). არსებობდა კიდევ უფრო ჰიპოთეზური თეორიაც – „გადარჩენილ ერებზე (ისევ კარიძისეული აზრთანყობა), რომლებიც მთელი თავისი ისტორიის მანძილზე ფიზიკური არსებობის შესანარჩუნებლად, თავისუფლებისათვის, სულიერი საუნჯის გადასარჩენად იბრძოდნენ და ეს ბრძოლა მათთვის წრთობის პროცესს წარმოადგერნდა, ცხოველმოსილების სტიმიულატორი იყო“ (ამირეჯიბი 1975: 293).

ჩვენდა სამწუხაროდ, ამ რეალობას ვერც დღეს ავცდით, დღესაც ისევე გვიჭირს გავაცნობიეროთ ჩვენი ერის ისტორიული მისია და საშველს ჩვენს „ღვთაებრივ რჩეულობაში“² ვხედავთ. ამიტომაცაა,

გარდა ამისა, საყურადღებოა თვით რუსთაველის სახე, რომელიც გალაკტიონის არაერთ ლექსში ჩანს, ხოლო რუსთაველის მოლოდინი („ჩვენი დრო ისევ რუსთაველს ელის“) კონცეპტუალურია და რუსთაველის ტოლფარდი შემოქმედის გამოჩენასთან ერთად მის ეპოქალურ მნიშვნელობასაც გულისხმობს. „კითხვაზე, თუ რას ნიშნავს გალაკტიონის „ახალი რუსთაველი“, პასუხის გასაცემად 1927 წლის კრებულს უნდა მივმართოთ. (1927 წელს თბილისში გამოვიდა მისი ლექსების ერთტომეული). საქმე ისაა, რომ სწორედ 1927 წლის კრებულში შემოდის ისეთი თემები, როგორიცაა „ჩვენი ეპოქა“, „ჩვენი დრო“ ე. ი. – „ახალი ეპოქა“, „ახალი დრო“ („ახალი დღე“) (შათირიშვილი 2003: 280). „ჩვენი დრო“ საკვებით ნათლად აღნიშნავს ახალ რევოლუციურ ეპოქას ... ახალი რუსთაველი, ჩვენი აზრით, ესაა როგორც თავად ახალი პოეტი, რომელიც რუსთაველს გაუტოლდება, ისე „ახალი აპოკალიპტურ-მესიანისტური ნარატივი“ (შათირიშვილი 2003: 281).

ზაზა შათირიშვილის დაკვირვებით, გალაკტიონისეული „ახალი რუსთაველი“ ახალი მესიანისტური ნარატივის შექმნის ცდაა. „ვეფხისტყაოსანი“ – ესაა ძველი მესიანისტური ნარატივი, ახალი

რევოლუციური დრო კი ელის „ახალ რუსთაველს“, „ახალ მესიას“. „ახალი რუსთაველი“ ახალი აღთქმაა, რომელიც ქვეყნის გადარჩენის კარგ ამბავს გვახარებს და რუსთაველის მეორედ მოსვლას ნინასწარმეტყველებს“.

„ახალი რუსთაველის“ ცნებას გალაკტიონთან არც ისე ფარული კონტექსტი ახლავს. იგი საკუთარ თავს მოიაზრებს ახალ რუსთაველად, მის ტოლფარდ შემოქმედად, რომელიც ახალი, რევოლუციური ეპოქის სიმბოლოდ უნდა იქცეს:

ავიღებ ხელში ისევ შოთას,
მეყო სიმშვიდე.
მე ჩვენთა დროთა ავაგებ ოდას
რიცხვით მეშვიდეს.
(„თენდება, გათენდა“)

ასეთ ოდად პოეტს მთელი თავისი შემოქმედება და განსაკუთრებით პოემა „მშვიდობის ნიგნი“ ესახებოდა, რომლითაც ეპოსის ჟანრში მოსინჯა კალამი. პოემის ქარგა ასეთია: ერი ეძებს ჟამთა სვლის შედეგად დაკარგულ საკუთარ სულს, რომელიც გალაკტიონმა ნესტან-დარეჯანის სახეში მოიაზრა („ის ვით ნესტანი, მყოფი საფრთხესთან, მოელის ვეფხს და მოელის არწივს“). პოემაზე გალაკტიონი თერთმეტი წელი მუშაობდა (1945-56წ.). თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო მისთვის „მშვიდობის ნიგნი“, ამ საკითხს ცალკე თავს უძღვნის როსტომ ჩხეიძე ნიგნიში „კომიკოსი ტრაგედიაში“. „ხომ სჩვეოდა აღმოსავლურ მწერლობას ამგვარი შეჯიბრი შემოქმედთა შორის – ერთი სიუჟეტური ქარგის ირგვლივ რომ გაიმართებოდა, ვინ უკეთესად დაამუშავებდა. და სულაც არ გახლდათ აუცილებელი, მაინცდამაინც ერთი ქვეყნისა და ერთი დროის შვილები ყოფილიყვნენ. საუკუნეებში შეჯიბრს მაინც სულ სხვა ხიბლი და შთამბეჭდაობა ჰქონდა“ (ჩხეიძე 2012: 808).

პოეტური ხელოვნების ვირტუოზს და უდიდეს რეფორმატორს, კარგად ჰქონდა გააზრებული თავისი შემოქმედების ეპოქალური მნიშვნელობა: ამ ნიშნითაც თავს რუსთაველის გვერდით მოიაზრებდა:

„იყო ბრწყინვალე შოთას ეპოქა
და შემდეგ მსგავსად ტიტანთა ღონის,

არა ამაოდ ჩვენს ხანას ჰქვია –
ეპოქა დიდი გალაკტიონის!“
(„ეპოქა გალაკტიონის“)

საინტერესოა, რომ ქართული მწერლობის ისტორიაში ეს არ იყო პირველი მცდელობა რუსთაველის ფენომენის რეპრეზენტაციის, ან გნებავთ, შემოქმედებითი გატოლებისა. ამგვარი ამბიციის თავის დროზე საკმაოდ პოპულარულ პოეტს, მეფე თეიმურაზს, ჰქონდა. მისი პოპულარობის დამადასტურებელია თვით ფაქტი, რომ არჩილ მეფე წერს პოემას „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“. საკითხის ამგვარად დასმის – რომელია მათ შორის უფრო დიდი შემოქმედი – რეალურ საფუძველს იგი პოემაშიც არაერთხელ უსვამს ხაზს („ბევრჯერ მასმია ცილება, ამბობდნენ სჯობსო ეს მასო“. 38) ცხადია, არჩილ მეფემ შესანიშნავად უწყის ვის მხარესაა უპირატესობა, მაგრამ ფიქციური დისკუსია ამ საკითხზე საშუალებას აძლევს, იმსჯელოს რა ფაქტორები ქმნის რუსთაველის ფენომენს და რატომ არის მარცხისთვის განწირული მეფე თეიმურაზის მცდელობა, თავი გაუტოლოს მას.

მეფე არჩილი პოემის შექმნის მოტივაციის შესახებ შენიშნავს: „გაბაასება მეფის პატრონის თეიმურაზისა და მელექსეთ დასაბამის რიტორის რუსთველისა ამ მიზეზით იქმნა, რამეთუ მათ მელექსეთ შედარება მრავალჯერ მასმოდა მე მეფეს არჩილს.... . სხვას ზღაპრულს ამბავს ესევე მართალი ამბავი ვარჩიე გასალექსავად. და არცარა ამაში ტყუილი სწერია ერთის მეფისა და რუსთველის პირდაპირ გაბაასების მეტი... მიზეზად ბატონი და რუსთველი გავაბაასე და ორისავ ვსთქვი, რომელს უფრო მართებდა მელექსობის გამოჩენა და თქვენ გაარჩიეთ უმჯობესი.“

მეფე თეიმურაზი გარკვეულ „ნაკლოვანებებს“ უძებნის რუსთაველს: ეს არის სიუჟეტის დასასრულის პრობლემა („ერთი ამბავი აინყე, ბოლოც სხვათ შეგითავესა“), პოემა დაწერილია შეკვეთით („თამარ მეფემან გიბრძანა, ძალი გიყო თუ ნებითა./მე ჩემის ნებით გამოვსთქვი, სხვის ვისით მეთქვა თნებითა“, 70). „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტი ზღაპრულია და რეალურ ამბავს არ ასახავს: („თქვენნი ღრმად მეტყველებანი უცხო რამ საკვირველია,/თუმცა მართალზედ თქმულიყო, რა ტკბილი საკითხველია,...“ 9.). მეფე თეიმურაზი იმ გარემოებასაც უსვამს ხაზს, რომ მეფობის მძიმე ტვირთმა,

ეროვნულმა და პიროვნულმა ტრაგედიებმა მის პოეტურ ნიჭს გან-
ვითარებისა და სრულყოფის საშუალება არ მისცა:

სად მეცალა ლექსისათვის, ჭირსა შინა გული იოზს,
სხვას ჩემდენი განსაცდელი ვის გარდახდა არ თუ იოზს! (97)

სიყმანვილითგან სიკვდიმდე საქმე მჭირს თავსა საშენი,
ამოსწყდა ჩემი ქვეყანა, ოხერი ვერ ავაშენი. (99)

საყურადღებოა რუსთაველის უპირატესობის არგუმენტები:
ის არის სათავე და საძირკველი სხვათა შემოქმედებისა („მე ვარ
ძირი ლექსის თქმისა, მელექსენი ჩემზე შენობს“); იგი პირველშე-
მქმნელია, თვითმყოფადია, სახე და მაგალითია. მის სიბრძნესა
და პოეტურ ოსტატობას ეყრდნობიან სხვანი, მათ შორის თვითონ
თეიმურაზიც („ხელოსანი იმას ჰქვია, უნახავად შექმნას რამე, ჩემი
თქმული სახედ გქონდა, მით რამ იტკებ, მით რამ ამე“).

პირველ ხელყოფა საქმისა თქმულა შემდგომთა უძნელად,
სად არ ნათობდეს მზის შუქი, ყოველნი იქმნეს მუნ ბნელად.
შოთამ დაგასწარ მელექსეთ, თქვენცა მობრძანდით თუ ნელად,
მე ვთქვი სრული და უკლები, თქვენ მოგეც შესაძინელად. (86)

რუსთაველის უაღრესად ფართო და მრავალმხრივი განათლება
და სიბრძნე ატკბობს სხვა მელექსეთ:

„ათინას თქმულა სიბრძნისა მოპოვნა-მოშობანი,
ჩემი ნათქვამი წინნილად, ტკბილ-გასაგონად ებანი,
მალლა მოგაძახისთ მელექსეთ, ეს კმარა თუცა ებანი... 101.

თვით მეფე თეიმურაზიც დავალებულია მისით:

სხვისგან ჩემს ქებას სწყინულობ, მე ვითლა გაგაგულისო,
თქვენს უკეთ ლექსი ვის უთქვამს, მიჯნურთ ან მარგე სულისო,
შვიდის სარწმუნოს კრებისა, ნიშები სასწაულისო,
მაგრამ ნაყოფი მოგისთვლავს მის, ჩემგან დანერგულისო. (155)

გარდა იმისა, რომ რუსთაველი ყველას აღემატება თავისი გა-
ნათლებით, აზროვნების სიღრმითა და დიაპაზონით, პოეტური ხე-
ლოვნებითა და თვითმყოფადობით, ის თავისი ეპოქის სიმბოლოდ

იქცა – ძლიერი, განვითარებული, მაღალკულტურული ეპოქის სიმბოლოდ, რომლის კვლავ „დაბრუნებასაც“ „ახალი რუსთაველის“ დაბადება უნდა მოჰყვეს.

საყურადღებოა, რომ რუსთაველი მსგავს კონტექსტში პირველად ჩნდება გრიგოლ ორბელიანის ლექსში „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“. მისი გამოჩენა („გაცოცხლება“) აღორძინებული საქართველოს ხატს უკავშირდება. ქვეყნის აღორძინებას კი გარკვეული წანამძღვრები სჭირდება: განათლება, ზნეამაღლება, ძლიერება, სამშობლოს სიყვარული...

შენი ივერი
აღსდგეს ძლიერი,
და დადგეს ერთად სხვა ერთა შორის,
წმიდით საყდართ,
ენით მდიდართ,
სწავლისა შუქით განათებული!
ზნე ამაღლებით,
ძლევის დიდებით,
სამშობლო მინის სიყვარულითა! –
და გაგვიცოცხლდეს,
რომ კვლავც მოგვესმეს
სიტყვა ქართული რუსთაველისა.
(„თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“)

მაშასადამე, გამოკვეთილია ორი ძირითადი ფაქტორი, რომლებიც რუსთაველის ფენომენს ქმნის და „ახალი რუსთაველის“ კრიტიკერიუმებად შეიძლება მივიჩნიოთ: I. იგი უნდა იყოს პოეტური სიტყვის „ძირი“, სათავე, ანუ უდიდესი რეფორმატორი და II. ახალი „ოქროს ხანის“ სიმბოლო.

გალაკტიონმა, ქართული პოეზიის მეფემ, „უმაღლეს მთაზე“ „ხელთუქმნელი ძეგლი“ აიგო, მისი ჩრდილიდან გამოსვლა შემდეგი თაობის პოეტებისთვის ისეთივე რთული აღმოჩნდა, როგორც თავის დროზე რუსთაველის გავლენის დაძლევა იყო, თუმცა „ახალი რუსთაველი“, როგორც ძლიერი, თავისუფალი, განვითარებული ქვეყნის სიმბოლო, კვლავაც მომავლის იმედად რჩება.

დამონეგანი:

არჩილ მეფე 1960: არჩილ მეფე. „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“. ჩვენი საუნჯე, ქართული მწერლობა 20 ტომად. ტ. 4. თბილისი: გამომცემლობა „ნაკადული“, 1960.

გუგუშვილი 1975: გუგუშვილი მ. *რუსთაველი გალაკტიონის პოეზიაში*. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1975.

კაპანელი 2003: კაპანელი კ. „ქართული თანამედროვე ლიტერატურის მაგისტრალი (გალაკტიონ ტაბიძის პოეზია)“. *გალაკტიონოლოგია*. ტ. II. შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის გალაკტიონოლოგიის კვლევის ცენტრი. თბილისი: 2003.

ლორთქიფანიძე 1965: ლორთქიფანიძე ი. „სად არის ნიქოზის ხელნაწერი?“ გაზ. „თბილისი“, 1965, 3 აგვისტო, № 181.

ორბელიანი 1979: ორბელიანი გრ. „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“. *ახალი ქართული ლიტერატურა (XIX), ქრესტომათია*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1979.

რუსთაველი 1957: შოთა რუსთაველი. *ვეფხისტყაოსანი* (აღ. ბარამიძის, კ. კეკელიძისა და ა. შანიძის რედაქციით). თბილისი: 1957.

სორდია 2009: სორდია ლ. *საღვთო სიბრძნისა და საღვთო სიყვარულის ადეპტები ქართულ პოეზიაში*. თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“, 2009.

სულავა 2002: სულავა ნ. „გალაკტიონის ვარდთმეტყველება“. *გალაკტიონოლოგია*, I, მეცნ. აკად. ქართ. ლიტ. ინსტიტუტის გალაკტიონოლოგიის კვლევის ცენტრი, 2002, გვ. 137–143.

ტაბიძე 1966: ტაბიძე გ. *თხზულებანი 12 ტომად*. 1996–1971წწ. ტ. 1. თბილისი: 1966.

ტაბიძე 1966: ტაბიძე გ. *თხზულებანი 12 ტომად*. ტ. 2. თბილისი: 1966.

ტაბიძე 1966: ტაბიძე გ. *თხზულებანი 12 ტომად*. ტ. 4. თბილისი: 1966.

ტაბიძე 1971: ტაბიძე გ. *თხზულებანი 12 ტომად*. ტ. 9. თბილისი: 1971.

შათირიშვილი 2003: ზ. შათირიშვილი „რუსთაველის რეცეპცია ქართულ კულტურაში და გალაკტიონის მესიანისტური ნარატივი“, *რუსთაველოლოგია*, II, 2003, გვ. 266–302.

შათირიშვილი 2005: შათირიშვილი ზ. *ნარატივის აპოლოგია*. თბილისი: ქრისტიანული თეოლოგიისა და კულტურის ცენტრის გამოცემა, 2005.

ხინთიბიძე 2004: ხინთიბიძე ე. „რუსთაველი მახსოვს ბავშვი“. *გალაკტიონოლოგია*. ტ. III. მეცნ. აკად. ქართ. ლიტ. ინსტიტუტის გალაკტიონოლოგიის კვლევის ცენტრი. თბილისი: 2004.

ZEINAB KIKVIDZE

Georgia, Kutaisi

Akaki Tsereteli State University

Caucasian Imbalance in the Contemporary Palimpsest

One of the most significant themes of the Georgian political discourse – statehood, evaluation of the political situation of the country and statement of its position – has been represented in various ways in earlier and present-day literary texts. Continuous struggle for Georgia’s independence for the last two centuries have shaped contradicting positions.

By mixing the travelogue and detective genres, the writer presents the Caucasian imbalance as a palimpsest.

Ironic details, by means of which 19th century writers created Russia’s glowing color, have been functionally elaborated in contemporaneity, thus becoming a means for ridiculing those with slavish obedience to the empire.

Key words: Postmodernism, Caucasian imbalance, palimpsest.

ზეინაბ კიკვიძე

საქართველო, ქუთაისი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

კავკასიური დისბალანსი თანამედროვე პალიმფსესტში

ქართული სალიტერატურო დისკურსის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემა, სახელმწიფოებრივი არსებობა, ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობის შეფასება და პოზიციის ფიქსაცია, სხვადასხვაგვარი რაკურსით ვლინდება ადრეული ეპოქებისა და თანამედროვეობის ლიტერატურულ თხზულებებში. რუსეთის იმპერიის ექსპანსიური პოლიტიკა ყველა აპრობირებულ ხერხს იყენებდა საკმაოდ მიმზიდველი და გეოპოლიტიკურად სტრატეგიული ტერიტორიის ხელში სამუდამოდ ჩასაგდებად. მხოლოდ ძლის ლოგიკით ბატონობა ვერ იქნებოდა დამპყრობლის მიზნების საიმედო გარანტი; ფაქტობრივ და იურიდიულ ძალაუფლებას აუცილებლად ესაჭიროებოდა იდეოლოგიური მანქანა, რომლის უსაზღვრო

შესაძლებლობების წყალობით გაცილებით იოლი იყო ადამიანების დამონება, ვიდრე ხიშტის საშუალებით.

„ბალში ფრანცუზ-კადრილობამ“ და „ნაპლეჩობის“ სწავლამ, საკუთარი ენის დაწუნებამ, საკმაოდ დააჩლუნგა ეროვნული ცნობიერება. თუ ადრინდელ ეპოქებში მოსული დამპყრობელი მაჰმადიანური რელიგიის გამო უპირობოდ აღიქმებოდა მტრად, რომელთან შერიგება უდრიდა გადაგვარებასა და გაჩანაგებას, რუსეთის შემთხვევაში რელიგიური აღმსარებლობა მის წისქვილზე ასხამდა წყალს და უმეტესად წარმოადგენდა როგორც მხსნელს, რომელმაც უეჭველი გადაშენებისაგან დაიცვა ქართველი ერი. საზოგადოებრივ შემეცნებაში ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა კონტრასტული პოზიციით მიმდინარეობდა. ქართველთა ერთი ნაწილის მოღვაწეობას თავისუფლების მისაღწევად ყოველთვის უპირისპირდებოდა მეორე ნაწილის მოღალატური საქმიანობა და ოკუპანტი სახელმწიფოსადმი ლოიალური დამოკიდებულება.

აღნიშნული პრობლემა საკმაოდ მწვავედ იდგა მეცხრამეტე საუკუნეში და მაშინდელი მწერლობის ერთ-ერთ ძირითად თემას წარმოადგენდა. ქართველ ავტორთა თხზულებებში მოქალაქეობრივი პოზიციის, სამშობლოსადმი ერთგულება-ღალატის ფიქსაცია ამ ეპოქის მთავარ ლაიტმოტივად იქცა. რომანტიკული მიმდინარეობის ქართული ხასიათიც სწორედ „სამკვიდროს დაკარგვით“ გამოწვეულმა სევდამ განაპირობა. მით უფრო, რომ თეკლა და თამარ ბატონიშვილებიდან დაწყებული ალექსანდრე ორბელიანი და მთავრებული, ყველა ქართველი რომანტიკოსი ან უშუალოდ გახდა რუსული აგრესიის მსხვერპლი, ან 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობდა და გადასახლების სიმწარეც საკმაოდ იწვნია.

თუმცა ჟანდარმული სულის მმართველობითი სისტემა წინააღმდეგობის დაძლევის მხოლოდ ძალისმიერ მეთოდებს არ მიმართავდა და ფაქტობრივად, მეცხრამეტე საუკუნის 40-იანი წლებიდან ქართველთა სოციო-ფსიქიკაზე კარგად გათვლილმა და მორგებულმა პოლიტიკამ მოქმედება დაიწყო. საზოგადოებაში უნდა დამკვიდრებულიყო რამდენიმე სლოგანი, რომელთა საშუალებით აგრესორი თანდათან იქცეოდა „კეთილისმყოფლად, მხსნელად, მამა-მარჩენლად, უალტერნატივო მოკავშირედ“ და ა.შ.

მთელი მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში ქართული მწერლობა მუდმივად წამოსწევდა რუსეთის როლის საკითხს საქართველოს ისტორიაში. ინერებოდა ორივე პოზიციის გამომხატველი თხზულებები; თუმცა „მამათა“ და „შვილთა“ ბრძოლის დროიდან მკაფიოდ გამოიხატა ეროვნული იდეოლოგიის დამკვიდრების მცდელობა.

ილია ჭავჭავაძემ, მოგზაურული ჟანრის მოთხრობაში „მოგზავრის წერილები“ ძირეული აქცენტების გაკეთება კავკასიიდან დაიწყო და კავკასიური ლანდშაფტის მხატვრულ სახეებად გადაქცევით, პერსონაჟთა აზროვნებისა და ქცევის კონტრასტიზაციით დააფიქსირა საკუთარი პოზიცია. მწერალმა რუსი იამშჩიკის, სალდათისა და ოფიცრის პერსონაჟებით რუსეთის ერთგვარი სტილური პორტრეტი შექმნა, რომელშიც მკაფიოდ იკვეთებოდა ე.წ. „ველიკორუსული“ სულიცა და აზროვნების სამხედრო ხასიათიც.

ალექსანდრე ყაზბეგის მთელი შემოქმედება კი გამსჭვალულია მწერლის შეურიგებელი პოზიციით რუსეთის მმართველობისადმი. საინტერესოა ასევე მისი ბიოგრაფიული ნარატივიც. იგი ყველგან ავლენდა რუსეთის მმართველობისადმი შეურიგებელ პოზიციას. სტუმრად მისულმა ყაზბეგმა იმპერატორ ალექსანდრე მესამის სურათს ლექსი წააწერა:

,დავწვი შენი სამართალი, შენი კანონმდებლობა,
შენი აზრი, მოფიქრება, შენი მირონცხებულება.
(ყაზბეგი 2009)

ხოლო მასპინძლის პროტესტის პასუხად პორტრეტი ჩამოსხნა და ცეცხლში ჩაგდო. მოსკოვში სასწავლებლად წასულ ყაზბეგს შეჰყვარებია გრაფინია ნინა ჩერნიშევა, რომლის ოჯახში სტუმრობისას ერთ-ერთი გენერლის შოვინისტურმა აზრებმა ისე გააღიზიანა მომავალი მწერალი, რომ დუელი მოითხოვა და საცოლეზეც კი უარი თქვა. მართალია, გენერალმა წერილობითაც მოიხადა ბოდიში, მაგრამ ქორწინება მაინც აღარ შედგა (ყაზბეგი 2018:). ისიც ცნობილია, რომ „ელგუჯაში“ ავტორმა გაგი და სვიმონ ჩოფიკაშვილების ხასიათით თავისი წინაპრის ორმაგი სახე აჩვენა.

მეოცე საუკუნის განმავლობაში კი ტოტალიტარული საბჭოთა იდეოლოგიით გაყალბებული ისტორიით თაობებს ურყევად სწამ-

დათ, რომ „დიდი რუსეთი“ იყო ქართველობის მშვიდობის გარანტი. აღნიშნული საკითხი აქტუალურია დღესაც და თავისებურ ანარეკლს თანამედროვე ლიტერატურაში ავლენს.

პოსტმოდერნისტული ესთეტიკის საშუალებით მწერლობაში კვლავ ჩნდებიან მეცხრამეტე საუკუნის ლიტერატურული პერსონაჟები და განაგრძობენ არსებობას, ოღონდ სხვა ტექსტში, სხვა მწერალთან, ძველი თვისებებით, ან ახალ თვისებაშეძენილები და თითქოს აერთიანებენ სხვადასხვა ეპოქას პრობლემატიკისა თუ ძირეული საზრისის მიხედვით. ამ მხრივ პოსტმოდერნიზმმა ინტერტექსტუალობას ფართო გასაქანი მისცა და ერთგვარად ნაშალა ზღვარი ცალკეულ ეპოქებს შორის. პალიმფსესტურმა პრინციპმა კი რამდენადმე გააქრო პლაგიატია და სხვადასხვა დროისა და მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისების მქონე მწერლებიც კი გააერთიანა.

თანამედროვე ლიტერატურაში ამ მხრივ შესაშურად უხვი და ნაყოფიერი გამოდგა აკა მორჩილაძის პოსტმოდერნისტული თამაშები თუ მიგნებანი. მწერალმა პოსტმოდერნიზმის ხერხებიდან უკლებლივ ყველაფერი გამოიყენა, ეს იქნებოდა ნარაცია თუ ალუზია, ორმაგი კოდირება თუ მეტატექსტი, რიზომა თუ ცენტორულობა, ჟანრების შერევა, ირონია და ა.შ. მორჩილაძის შემოქმედებაში ერთმანეთის გზები გადაკვეთეს ქართული და უცხოური მწერლობის მოქმედმა პირებმა. მათი სამოქმედო ფუნქციები კი ქართულ მარადიულ საკითხავს დაუკავშირდა.

აკა მორჩილაძის მოთხრობაში „ჰოლმსის საშქრე“ უხვადაა პოსტმოდერნიზმის ნიშნები, თუმცა ძირითადი არქიტექტონიკული ღერძი პალიმფსესტურ მეთოდს ეყრდნობა. მოთხრობაში გამოყენებულია მეცხრამეტე საუკუნის ქართველი (ი. ჭავჭავაძე, ალ. ყაზბეგი) და ინგლისელი (ა.კონან დოილის) მწერლების თხზულებები. ძირითადი ლაიტმოტივი მეცხრამეტე საუკუნის თაობათა დაპირისპირებაა, რომელიც გაშლილია ილიასა და ყაზბეგის თხზულებათა ნაკუნებზე, ე.წ. ცენტოებზე. ლიოტარის თანახმად, ერთიანი მხატვრული ტექსტის ცნება გამქრალია, მკითხველი იძულებულია აღიქვას შემოქმედებითი პროდუქტის ცალკეული ელემენტები, ფრაგმენტები. ერთიან ფენომენს მოკლებული შემადგენელი ნაწილები (ლიოტარი 1999: 39).

ავტორმა „ჰოლმისის საქრეს“ ექსპოზიცია თითქოს გადაანერა „მგზავრის წერილებს“ დასაწყისს და შემოიყვანა ილიას განუმეორებელი და კოლორიტული პერსონაჟები – რუსი იამშჩიკი და ფრანსიელი, თუმცა „ძველ“ პერსონაჟებსა და მათ თვისობრივ ნიშნებს ემატება ახლი პერსონაჟი დოქტორ უოტსონი, არტურ კონან დოილიდან და ახალი ვარიაციაც სახეზეა. მგზავრის წერილების მგზავრი, იგივე ილია ჭავჭავაძე ავტორ-მთხრობელის პოზიციიდან გადასულია პერსონაჟის პოზიციაზე. აკა მორჩილაძე რამდენჯერმე აქცენტირებს მეეტლის სამხედრო სამოსზე და ამით ქმნის თხზულების შეგრძნებისმიერ დონეს, რომლის მიხედვითაც მკითხველს მუდმივად უნდა ჰქონდეს იმის განცდა, რომ რუსეთი სამხედრო მონყობის, ტოტალიტარული რეჟიმის სახელმწიფოა. რომლის მმართველობის სათავეში მხოლოდ ველიკოდერჟავული იდეებით სავსე ჩინოვნიკ-ოფიცრები დგანან. ამ შეგრძნების გაძლიერებას ემსახურება რუსი ოფიცრის სიბრიყვის ძველი-ილიასეული და ახალი – მორჩილაძისეული დეტალები. მოქმედებაში როგორც პერსონაჟი, ასევე, შემოდის ალექსანდრე ყაზბეგი „ნამწყემსარის მოგონებიდან“ და მწერლის ბიოგრაფიული ნარატივიდან ღებული თვისებებით.

აკა მორჩილაძე ილიასეულ ოფიცერს „მთავარ გამოგონებასაც“ (საშაქრეში ბუზების ჩასმა) კი ართმევს და შერლოკ ჰოლმისის ხუმრობად ასაღებს, რომლითაც ინგლისელმა აბეზარი რუსი უნდა მოიცილოს. რუსი ოფიცრის უზრდელობით განამებული მგზავრი – ილია და დოქტორი უოტსონი, საკუთარი თავაზიანობის წყალობით, თავიდან ვერ იცილებენ გამასპინძლებულ სტუმარს, მაშინ როცა სანდრო ერთი ფრაზით – „რუსის დაპატიჟება ვის გაუგონია, მასპინძლად გაგიხდება“ – ოფიცერს ლაპარაკის ხალისს უკარგავს. აქ ავტორის ქვეტექსტური მინიშნებაა იმ ნონკონფორმისტული პოზიციისა, რომლითაც ხასიათდება ყაზბეგის პერსონაჟების უმეტესობა.

„მგზავრის წერილების“ პალიმფსესტური ნაწილების ძიებით გართული მკითხველი გადადის სხვა ინტერტექსტურ გარემოში, თხრობაში შემოდის ყაზბეგის თხზულებათა ფრაგმენტები. ავტორი უკვე პოსტმოდერნისტული კულტურის ერთ-ერთ მახასიათებელსა და ცენტრალურ მხატვრულ ხერხს-პასტიშს იყენებს, ტექსტი შეგნებულად დეფორმირებულია და თხრობაშიც მძაფრდება

რონიული დეტალები. ალ.ყაზბეგის მამა წარმოდგება როგორც მხოლოდ ჩინ-მედლებზე დახარბებული ჩინოვნიკი, რომელიც მზადაა ერის სულიერი საგანძურიც კი რუსეთის იმპერატორს მიუბოძოს. პოსტმოდერნისტი ავტორი უაღრესად აკნინებს მიხეილ ყაზბეგს. ხევის მმართველი ლომისის ხატის განძის მოსაძებნად ჰოლმსს ატყვევებს.

ლომისის ხატი და ზოგადად საგანძური ხევისა და მთელი აღმოსავლეთ საქართველოს მთის მოსახლეობისათვის უდიდესი საკრალური ძალის მქონე სალოცავია. მასთან დაკავშირებული ლეგენდა გვაუწყებს, როგორ იხსნა ხატის ანგელოზმა სპარსეთში ტყვედ წაყვანილი ქართველობა და უკან დააბრუნა (ზაქარაია 2008: 324). ძნელბედობის ჟამსაც სალოცავი ხალხისათვის გამარჯვებისა და იმედის მომცემად ითვლებოდა.

ლომისის ხატი არ იყო მხოლოდ სალოცავი. ზოგადმითოლოგიური კონცეფციით სადაც ჯვარ-ხატი არსდება, იქ იქმნება ე.წ. კვრივი. „მინა-წყალი, სადაც საყმო სახლობს, წმიდა ადგილია, რადგანაც ის ჯვარის მიერ არის მოპოვებული და ამ მოპოვების ძალით გამოკვეთილია დანარჩენი სამყაროსაგან. ის წმინდაა ერთიანად, მაგრამ საყმო მასში განიცდის და აღიარებს ისეთ ადგილებს, რომლებიც განსაკუთრებული სინმინდით არიან მოსილი. ამ ადგილებს საყმო კვრივს უწოდებს“ (კიკნაძე 1996: 34). კვრივში გაერთიანებულია ღვთაების ძალა და საყმოს (მოსახლეობის) ნება. რადგან საკრალური ძალა მფარველობს ხალხს, იგი უწყლვადია და მტერს არ შეუძლია მისი დამონება. ასეთი წარმოდგენა უძველესი დროიდანვე აერთიანებდა და აძლიერებდა მოსახლეობას; ამიტომ ლომისის სალოცავი წმიდათა წმინდა ადგილად მოიაზრებოდა თითოეული მოხვევისათვის. საკრალური დამოკიდებულება არსებობდა ხატის განძის მიმართაც. ასეთი განწყობის ფონზე მიხეილ ყაზბეგის ნება, ლომისის ხატის საგანძური რუსეთის იმპერატორს მიართვას, სცილდება მხოლოდ ჩინის მოპოვების სურვილს და აღიქმება საკუთარი მინა-წყლის გაყიდვის განზრახვად. პოსტმოდერნისტი ავტორის მიზანიც ესაა, დააფიქსიროს ხევის მმართველის – იმავე მამათა თაობის სურვილი – ფეხქვეშ გაუგოს ხელმწიფეს მთელი ქვეყანა.

„ჰოლმსის საშაქრეში“ ავტორი ქმნის კავკასიურ დისბალანსს. მოქმედებათა არეალი, როგორც მეცხრამეტე საუკუნის თხზულებ-

ბებში, ასე პოსტმოდერნისტულ ტექსტში კავკასიის მთებს არ სცილდება. ილია ჭავჭავაძის მგზავრის საფიქრალი მთელი საქართველოა, ფიზიკური ლოკაცია კი თბილისამდე, ანუ დედაქალაქამდე არ აღწევს. ასევე ხდება მორჩილადის მოთხრობაშიც, – მისი პერსონაჟები ხევში მოქმედებენ. აქვე იშლება ის დაპირისპირებითი დამოკიდებულება, რაც „მამათა“ თაობასა და „შვილებს“ გააჩნიათ რუსეთის იმპერიულ ზრახვებთან დაკავშირებით. მიხეილ ყაზბეგი ლომისის საგანძურში გასაგნებულ ერის ღირსებასა და რწმენას უსირცხვილოდ ღალატობს საკუთრი ეგოს დასაკმაყოფილებლად. მისი ქმედების სიმდაბლეს ამძაფრებს ისიც, რომ ხევის მმართველი კავკასიაში მცხოვრები ხალხისათვის ერთგვარი ავტორიტეტი და დასაყრდენი იყო. ყაზბეგის თხოვნაზე, შამსუდინ-ბეგის (ალ.ყაზბეგის პერსონაჟი) მსახურებს იმ პერიოდისათვის იშვიათი მუსიკალური საკრავი მოაქვთ. მართალია, ვიოლინოს ნაცვლად ძნელად საშოვნო ინსტრუმენტი არფა აღმოჩნდება (და ამ დეტალით მწერალი ირონიულად მიანიშნებს გაუნათლებლობაზე), თუმცა ამ შემთხვევაში მთავარი მანიც ისაა, რომ ხევის მბრძანებლის სურვილის შესრულება მოსაზღვრე მოსახლეობისათვის ერთგვარი ღირსების გამოხატულებაა. ავტორის ქვეტექსტი ცხადია: თუ ძლიერი და გავლენიანი მიხეილ ყაზბეგი რუსეთის იმპერატორის საამებლად საგანძურსაც კი არ იშურებს, მაშინ რაღა დარჩენიათ დანარჩენ კავკასიელ ტომებს, თუ არა ის, რომ მიჰბადონ მას.

მოთხრობაში „შვილების“ ხაზს მგზავრი ილია და სანდრო ყაზბეგი წარმოადგენენ. მათი პოზიცია რადიკალურად განსხვავებულია მამა-ყაზბეგისაგან. ეს ის თაობაა, რომელიც განათლებულ ევროპასთან (უოტსონი, ჰოლმსი) ერთად დასცინის რუსეთს. მათი მოხერხებით („კაცია ადამიანის?1“ მკითხავის შემოყვანით) თავისუფლდება შერლოკ ჰოლმსი ტყვეობიდან. ქართველ და ინგლისელ პერსონაჟებს აერთიანებთ ირონიულ-ნეგატიური დამოკიდებულება რუსეთისადმი. ორივე მხარისათვის ერთნაირად მიუღებელია რუსული მოძალადეობაცა და სიბრიყვეც.

ავტორი არ ივინყებს პოსტმოდერნისტულ ხერხებს და საგულდაგულოდ ნიღბავს თხზულების დამწერის ვინაობას. „ჰოლმსის საშაქრე“ პოსტმოდერნისტული ესთეტიკის მიხედვით დაწერილი მოთხრობაა, რომელშიც ძირითადი აზრი უკიდურესი ეპისტემიოლოგიური დაეჭვებით, ავტორის ნიღბითა და ირონიით ვლინდება.

მოგზაურული და დეტექტივური ჟანრების შერევით მწერალი კავკასიურ დისბალანსს პალიმფსესტურად წარმოადგენს: ორ თაობად (მამებად და შვილებად) გაყოფილი საზოგადოება აბსოლუტურად კონტრასტულია მსოფლმხედველობრივი და პოლიტიკური თვალსაზრისით; რასაც ი.ჭავჭავაძე თერგისა და მყინვარის, ფრანგი მგზავრისა და რუსი მეეტლის სახეთა სიმბოლიკაში დებს, რასაც ალ.ყაზბეგი საკუთარი ბიოგრაფიული თუ მხატვრული პასაჟებით აამკარავებს, მას ა. მორჩილაძე იმეორებს და ამრავალფეროვნებს ინგლისელი პერსონაჟების შემოყვანითა და საქართველოს ისტორიაში არსებული თაობათა დაპირისპირების პერსონიფიცირებით.

მეცხრამეტე და ოცდამეერთე საუკუნეების მწერალთათვის რუსეთ-საქართველოს სასაზღვრო ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის პოზიცია ერთნაირად საყურადღებო და მნიშვნელოვანია, რადგან ქვეყანა საზღვრიდან იწყება, როგორც მინით, ასე მასზე მყოფი ადამიანების პოზიციით. აკა მორჩილაძე საგანგებოდ ამოსწევს ირონიულ დეტალებს, რომლითაც მეცხრამეტე საუკუნის მწერლები რუსეთის კოლორიტს ქმნიან, რათა თანამედროვეობაში ფუნქციურად განავრცოს და იმპერიისადმი მონური მორჩილების მქონეთა დაცინვის საშუალებად აქციოს.

დამონებიანი:

ზაქარაია 2008: ზაქარაია კ. *საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა*. ტ. 2. თბილისი: 2008.

კიკნაძე 1995: კიკნაძე ზ. *ქართული მითოლოგია, ჯვარი და საყმო*. ქუთაისი: 1995.

ლიოტარი 1999: ლიოტარი ჟ.ფ. *პოსტმოდერნიზმი, როგორც „ასეთი“*. თბილისი: 1999.

ყაზბეგი 2009: ყაზბეგი ალ. *ბიოგრაფია*. burusi.wordpress.com/2009/09/20/kazbegi

ყაზბეგი 2018: *ალექსანდრე ყაზბეგი*. www.pencenter.ge/index.php?option=com.10.09.2018.

GALYNA MORIEVA

Ukraine, Mariupol

Mariupol State University

Linguistic Rhetorics of Political Discourse

The article deals with the problem of language specificity of political discourse. The relevance of the study stems from the key role of political discourse in the formation of collective consciousness: it becomes a weapon of mass manipulation.

The main features of political discourse as one of the most widely discussed types of institutional discourse are considered; level stratification of language means of expressiveness in this type of discourse is analyzed; the most frequent linguistic and rhetoric means of expressiveness used in political discourse are revealed. An attempt to trace the pragmatic effect of the rhetoric means under analysis for achieving certain objectives of political communication is made.

Key words: discourse, political discourse, political communication, language of political discourse, manipulative function.

ГАЛИНА МОРЕВА

Украина, Мариуполь

Мариупольский государственный университет

Лингвистическая риторика политического дискурса

Во второй половине XX века началось выдвижение новых направлений научных интересов в лингвистике, что повлекло за собой появление терминов и понятий, многие из которых вышли за пределы одной научной области и были переосмыслены в других областях. Иллюстрацией такого процесса может быть судьба термина «дискурс» (Чантуридзе 2005: 9) и соответствующего направления в науке о языке – дискурсивной лингвистики. Его активное изучение пришло на смену исследованию текста, под которым понималось вербальное воспроизведение акта коммуникации, тогда как при обращении к дискурсу «необходимо учитывать такие экстралингвистические данные как исторические и куль-

турологические условия осуществления коммуникации, социальное положение ее участников и т.п.» (Чантуридзе 2005: 17-18), т.е. язык как знаковая система переводится в живую речь.

Таким образом, понятия «текст» и «дискурс» начинают разграничиваться: под текстом понимают результат коммуникации, под дискурсом – ее процесс.

Ускоренное и плодотворное развитие идей дискурсивной лингвистики в определенной степени «является следствием актуализации в языкознании научных парадигм когнитивной лингвистики, прагмалингвистики, социалингвистики, психолингвистики, т.е. парадигм антропоцентрического содержания или ориентации» (Кусько 2002: 38). При этом сосуществующие парадигмы не исключают друг друга, а взаимобогащаются, и совместными усилиями задают общую линию развития гуманитарного познания. В данном случае традиционный и дискурсивный анализ текста не противопоставлены друг другу, а выступают как взаимно ассимилирующие направления исследований (Кунцевич 2010: 114-115).

Дискурс является объектом изучения многих наук. Его исследованием занимаются лингвисты, психологи, философы, социологи, теологи, педагоги, политологи и т.д. Каждая наука, изучающая этот феномен, предлагает свои определения, поэтому на данный момент четкого и общепризнанного определения дискурса, охватывающего все случаи его употребления, не существует.

Обычно исследователи отмечают двойственность понятия «дискурс», под которым понимается, во-первых, «речь, погруженная в жизнь» (по Н. Д. Арутюновой), во-вторых, движение информационного потока между участниками коммуникации, связанное с познанием, осмыслением и презентацией мира говорящим, и осмыслением, реконструкцией языковой картины мира продуцента реципиентом (Милевская 2002: 56).

Важной составляющей дискурса является категория участников общения, т.к. именно они являются его создателями. В связи с этим выделяются личностный и институциональный разновидности дискурса. Участники личностного дискурса проявляют качества языковой личности посредством художественного дискурса. Политический дискурс является разновидностью институционального дискурса, причем одним из самых обсуждаемых его видов.

В лингвистической литературе политический дискурс представлен как многоаспектное и многоплановое явление, как комплекс элементов, образующих единое целое. Таким образом, политический дискурс – это, во-первых, дискурс политиков, реализуемый в виде правительственных документов, парламентских дебатов, партийных программ, речей политиков. Во-вторых, это «совокупность всех речевых актов, используемых в политических дискуссиях, а также правил публичной политики, освященных традицией и проверенных опытом» (Баранов...1991: 6). Данные определения представляют широкий подход к содержанию понятия «политический дискурс».

Политическая деятельность играет особую роль в жизни общества: от определенной позиции или ситуации зависит место государства на международной арене, его взаимоотношения с другими государствами и международным сообществом. Поэтому важную роль в определении государственного имиджа играет способ его презентации политическими лидерами.

Таким образом, **актуальность** данного исследования определяется ключевой ролью политического дискурса в формировании общественного сознания: он становится оружием манипулирования массами, выражением доминирования или дискриминации. Выявление и характеристика методов такого влияния обретают все большую важность в рамках современной лингвистики.

Целью исследования является характеристика лингвистических средств политического дискурса с риторической точки зрения.

Для достижения поставленной цели предусматривается решение таких **задач**:

- проанализировать уровневую стратификацию языковых средств выразительности, используемых в политическом дискурсе;
- выявить наиболее частотные лингвистические и риторические средства выразительности, используемые в политическом дискурсе;
- проследить прагматический эффект изученных риторических средств для достижения определенных политических целей.

Исследование политического дискурса лежит на пересечении разных дисциплин и связано с анализом формы, задач и содержания дискурса, употребляемого в определенных («политических») ситуациях. Одна из этих дисциплин – политологическая филология – исследует,

например, соотношение свойств дискурса с такими концептами, как «власть», «воздействие» и «авторитет». В отличие от «чистых» политологов, филологи рассматривают эти факторы только в связи с языковыми особенностями поведения говорящих и интерпретации их речи.

Политический дискурс представляет собой сферу повышенной языковой ответственности. Это официальный язык государственной власти, способы воздействия которого отличаются от языковых способов, использующихся в художественной, публицистической и разговорной речи.

Как правило, выделяют следующие основные характеристики политического дискурса: оценочность и агрессивность, эффективность, отстаивание точки зрения (Демьянков 2002). Следовательно, основной функцией этого вида дискурса является функция воздействия на слушателя.

Поскольку политический дискурс относится к сфере коммуникации, тесно связанной с манипуляцией, выявление его характеристик, в первую очередь, относится к исследованию языка как средства воздействия. Действительно, «слово все еще остается одним из самых сильных методов влияния на мысли и поступки людей» (Чантуридзе 2005: 131).

Целям воздействия и связанным с ним коммуникативным эффектом служит разнообразный спектр средств, прежде всего лингвистических (Баронова 2018). Вербальное воздействие осуществляется при непосредственном участии языковых единиц, наделенных потенциальным прагматическим смыслом. Стилистический, лексический, грамматический, интонационный уровни языка, как по отдельности, так и в совокупности, обладают высоким потенциалом воздействия и способны определять и выдвигать на передний план те или иные значения.

Публичное выступление стимулирует ораторское творчество политиков. Политические речи всегда остро публицистичны, поскольку направлены на утверждение какой-либо идеи, взгляда, направления, идеологической позиции. Это особенно важно при большом количестве слушателей, что всегда требует пафоса, который может выражаться разнообразными лингвистическими средствами: определенным набором лексических и фразеологических единиц, удачными перифразами, сравнениями и сопоставлениями, эпитетами и метафорами, антитезами, повторением определенных идеологем, гиперболоми, акцентированием

отдельных слов и выражений, окказиональными новообразованиями и др.

С лексической точки зрения, по мнению исследователей, политический дискурс имеет следующие характеристики:

- использование политической лексики (*парламент, депутат, глава администрации, голосование*);
- обогащение лексики за счет политологической терминологии;
- наличие идеологем, слов, в значение которых входит идеологический компонент (*свобода, буржуазия*);
- просторечная, жаргонная, иноязычная лексики;
- сложносокращенные слова;
- интертекстуальность – присутствие в тексте элементов других текстов, что обеспечивает его восприятие как части общего политического дискурса (Чудинов 2007).

При этом отмечается, что язык политического дискурса не имеет своего собственного лексического аппарата и не строится по особым законам. Кроме того, политический дискурс – это один из немногих видов дискурса, который не стремится нарастить терминологический корпус, наоборот, в нем постоянно наблюдается процесс детерминологизации, деспециализации политического языка (Середина 2016: 2).

Воздействие на сознание адресата представляет собой не что иное, как сознательное (пере)структурирование адресантом политического воздействия дискурсивной реальности. Одним из распространенных приемов в политическом дискурсе является разделение общества на «своих» и «чужих» (Бочарова). Наиболее частотным способом объективации данной оппозиции являются местоимения *мы/we/nous, наш/our (ours)/notre*, способные реализовывать широкий спектр значений: общенациональное *мы*, коллегиальное *мы*, метонимическое *мы*, актуальное *мы*, призванные обозначить интенцию говорящего идентифицировать себя с определенной социальной группой (Баронова 2018; Бочарова 2013). Сюда же следует добавить местоимение *я* в соответствующих языках.

Так, приводя в качестве примера инаугурационную речь Н. Саркози, которую он произнес в Елисейском дворце 16 мая 2007 г., Т. И. Баронова отмечает, что местоимение *je* встретилось 24 раза: *Je pense à la France <...> Je pense à tous les Présidents de la Ve République qui m'ont précédé.*

Je pense au Général De Gaulle qui sauva...<...> Je pense à Georges Pompidou et à Valéry Giscard d'Estaing qui...<...> Je pense à François Mitterand qui...<...> Je pense à Jacques Chirac qui...<...> Je pense au rôle qui a été le sien...

В аналогичной речи Ф. Олланда это же местоимение встретилось 18 раз. Психолингвисты и психоаналитики утверждают, что частотность употребления местоимения я и его производных говорит о степени самовлюбленности носителя дискурса.

Употребление местоимения *nous* обуславливается попыткой объединения в сознании слушателей нации и ее сплочения. Так, в выступлении Ф. Олланда наблюдается тенденция к более частому употреблению этого местоимения. Если в речи Н. Саркози *nous* встречается лишь один раз, то в речи Ф. Олланда девять раз. Цит.: «*Nous sommes un grand pays qui, dans son histoire, a toujours su affronter les épreuves et relever les défis qui se présentaient à lui*» («*Мы огромная страна, которая всегда противостояла трудностям и боролась с препятствиями, которые вставали на пути ее развития*»). Это может объясняться тем, что Ф. Олланд представляет партию социалистов, у которых в качестве цели и идеала выдвигается осуществление принципов социальной справедливости и солидарности, в отличие от Н. Саркози, который представляет интересы правоцентристов и ищет поддержки у богатого населения страны (Баронова 2018).

Одним из наиболее частотных языковых средств является метафора, представляющая собой средство характеристики и категоризации лиц, предметов и явлений, что позволяет управлять процессом восприятия адресатом-избирателем реального мира. С помощью метафоры актуализируется эмотивное восприятие адресатом действительности.

Как свидетельствуют исследования этой проблемы, в политическом дискурсе наиболее активно функционируют пять метафорических моделей: антропоморфная (объединяющая в себе метафоры со сферами-источниками «Человек», «Болезнь», «Смерть»), социоморфная (объединяющая в себе метафоры со сферами-источниками «Мир криминала», «Война», «Игра», «Спорт», «Театр»), зооморфная (объединяющая в себе метафоры со сферами-источниками «Мир животных», «Мир растений», «Неживая природа»), артефактная (объединяющая в себе метафоры со сферами-источниками «Дом/Строение», «Механизм») и модель «Пути/

Дороги». Причем наиболее частотными из перечисленных являются криминальные метафоры, метафоры болезни и метафоры, построенные на военной лексике: *битва за избирателя, информационная война, атака на демократию, дипломатические битвы; шоковая терапия, правительство находится на пути к выздоровлению* и др. (Бочарова 2013).

Умело использованная метафора становится орудием аргументации и мощным средством выражения прагматических установок автора.

Помимо метафоры пристального внимания заслуживают многочисленные примеры синекдохи, т.е. замены названия целого названием какой-либо его части, в названии частного вместо названия общего и наоборот. Так, анализируя выступления американских политических деятелей Мартина Лютера Кинга и Малколма Икса, Ю. М. Чантуридзе обращает внимание на то, что чаще всего изучаемые авторы используют этот прием, когда им необходимо упомянуть всех жителей США или обратиться к ним:

1964 threatens to be the most explosive year America has ever witnessed; ... America has a very serious problem; ... it's wrong for America to draft us... (Чантуридзе 2015).

Кроме того, для политического дискурса характерным стилистическим приемом является антитеза, которая используется политиками для усиления выразительности и экспрессии речи. Прием антитезы состоит в антонимировании сочетаемых слов. Иначе говоря, в ее основе лежит «контрастное сопоставление одного явления с другим, то есть на поверхность выводятся противоположные характеристики сравниваемых явлений/предметов» (Чантуридзе 2005: 145).

Цитируя выступление Франсуа Олланда, Т. И. Баронова приводит такой пример: *«Je mesure aujourd'hui même le poids des contraintes auxquelles notre pays fait face, une dette massive, une croissance faible, un chômage élevé et une compétitivité dégradée et une Europe qui peine à sortir de la crise. Mais je l'affirme ici: il n'y a pas de fatalité dès lors qu'une volonté commune nous anime, qu'une direction claire est fixée et que nous mobilisons pleinement nos forces et les atouts de la France. Ils sont considérables, la productivité de nos travailleurs, l'excellence de nos chercheurs, le dynamisme de nos entrepreneurs, le travail de nos agriculteurs, la qualité de nos services publics, le rayonnement de notre culture et notre*

langue, sans oublier la vitalité de notre démographie et l'impatience de notre jeunesse». В данном примере антитезой подчеркивается, что несмотря на плачевное состояние Европы, французский народ способен справиться с силами и работать на благо страны, тем самым политик пытается поднять духом свой народ и указать ему на положительные изменения состояния страны в будущем (Баронова).

Одним из наиболее частотных риторических средств является параллелизм, который заключается в повторе структуры высказывания или его части в составе другого высказывания/его части.

Интересные примеры параллелизмов встречаем в уже цитированном исследовании Ю. М. Чантуридзе:

1) параллелизмы на уровне слова: *the dark and desolate valley; brothers and sisters, friends and enemies;*

2) параллелизмы на уровне словосочетания: *the riches of freedom and the security of justice; from every village and every hamlet, from every state and every city;*

3) параллелизмы на уровне предложения: *It'll be ballots or it'll be bullets. It'll be liberty or it'll be death* (Чантуридзе 2005: 148-149).

В политических выступлениях частым является использование семантических повторов, стилистический эффект которых заключается в привлечении внимания адресата, придании большей выразительности речи и выделении важности повторяемого слова или выражения. Оратор вынужден повторять свои наиболее важные мысли, чтобы они закрепились в памяти аудитории. Например, в инаугурационной речи Франсуа Олланда слова *la démocratie* «демократия» и *la justice* «справедливость» встретились 4 раза, а слово *la confiance* «доверие» встретилось 5 раз. Тем самым на этих словах фиксируется внимание реципиента, что усиливает их роль в сообщаемой информации (Баронова 2018).

Семантические повторы дают адресанту-манипулятору возможность управлять не только вниманием, но и пониманием адресатом отправляемого ему сообщения и в конце концов изменять лингвоментальную картину политического мира этого последнего, направлять его действия, создавая иллюзию осознаваемого адресатом свободного выбора (Бочарова 2013).

Важной стилистической фигурой политического дискурса является также анафора, употребляемая для придания речи пламенности и вы-

разительности, для повышения ее действенности: *La confiance, elle est dans la démocratie elle-même. <...> La confiance, elle repose sur la justice. <...> Enfin, la confiance c'est à la jeunesse que la République doit l'accorder* (Доверие лежит в основе демократии. <...> Доверие основано на справедливости. <...> И наконец, доверие – это то, что должно быть предоставлено молодежи государством).

Следует отметить также важную особенность синтаксической структуры политического дискурса – наличие риторического вопроса, в котором одновременно реализуются значения вопроса и утверждения.

Риторический вопрос оказывается эффективным средством выразительности благодаря интонационному оформлению. Для риторического вопроса характерна особая просодия: высокий участок диапазона, повышение громкости и паузация (Долецкая 19820).

Значительное место в семантическом пространстве политического дискурса занимает афористика, которая фиксирует в своей семантике обширный пласт знаний. Е. М. Верещагин и В. Г. Костомаров включают в число языковых афоризмов следующие типы единиц: 1) пословицы и поговорки; 2) крылатые слова – «краткие цитаты, образные выражения, изречения исторических лиц»; 3) призывы, девизы, лозунги; 4) общественно-научные формулы и естественнонаучные формулировки (Верещагин, Костомаров 1990: 71).

Так, в СМИ можно услышать высказывания «Знакомые все лица», «... если не можешь противостоять процессу – возглавь его...», «ничего не вижу, ничего не слышу, ничего никому не скажу», «... для них это уже стало «делом чести»» и мн. др.

Политическая афористика – это языковые рефлексy политической коммуникации. Она относится к ориентирующим знакам, по которым политик опознается в дискурсе. Отличительные черты афоризмов – новизна, оригинальность мысли, доминирование субъективности, агитационный «подтекст», лесть, манипулятивность, что дает политическому дискурсу магию воздействия на слушателя благодаря своему «внешнему оформлению и внутреннему содержанию» (Зданевич 2014: 160).

Говоря об интонационных параметрах, отмечают, что они должны отражать нормы стандартного произношения политических речей, быть правильно оформленными, соответствуя правилам орфоэпии конкретного языка (Баронова 2018).

Итак, в основе языка политического дискурса лежит базовый лексический аппарат, реализуемый в пределах общепринятых норм языка, но подчиняющийся цели воздействия и формирования общественного политического мнения. Политический дискурс, как и любой другой, лежит в плоскости сознания и характеризуется лингвокультурой, в которой реализуется. Таким образом, проблема филологическая переходит в проблему культурологическую. По своей значимости такие понятия как «политика», «власть», «социальный класс», «стратегии», «тактики», «отношения между классами и группами» приближаются к константам культуры в понимании Ю.С. Степанова: «Концепты существуют по-разному в разных своих слоях, и в этих слоях они по-разному реальны для людей данной культуры» (Степанов 1997: 40).

Интерпретируя политический дискурс в его целостности, нельзя ограничиваться чисто языковыми моментами. Важную роль играют ситуативная и социальная обусловленность, говорящий должен учитывать социальные, расовые, конфессиональные и др. особенности его аудитории и оперировать категориями, понятными слушающим.

Политический дискурс – это реалья, позволяющая формировать то или иное общественное мнение, агитировать, манипулировать общественным сознанием и, как следствие, происходящими в обществе процессами. Понимание политического дискурса предполагает знание фона, ожиданий автора и аудитории, скрытых мотивов, сюжетных схем и излюбленных логических переходов, бытующих в конкретную эпоху.

Несмотря на то, что вопрос политического дискурса активно изучается в современной лингвистике и лингвополитологии, остается много проблем, нуждающихся в дальнейшей разработке.

Так, интересными и плодотворными могли бы быть исследования семиотического пространства политического дискурса (Добровольский 1998), когда помимо вербальных знаков и паралингвистики, изучаются политическая символика, эмблематика, семиотика зданий или, шире, семиотика пространства (знаковое использование пространства), а также сама фигура политика, которая в политическом дискурсе приобретает знаковый статус, и определенные поведенческие моменты (знаковые действия).

Все еще недостаточно изученным остается культурологический характер политического дискурса: названные выше концепты нечасто становятся объектами соответствующих исследований.

Наконец, перспективным представляется изучение политкорректности как средства манипуляции реципиентом, а также привлечения внимания к нужным для политика вопросам.

ЛИТЕРАТУРА

Баранов ... 1991: Баранов А. Н., Казакевич Е. Г. *Парламентские дебаты: традиции и новации*. Москва: Знание, 1991.

Баронова 2018: Баронова Т. И. *Лингвостилистические особенности французского политического дискурса*. [online] <https://www.eduherald.ru/ru/article/view?id=15993> (дата обращения 16.11.2018).

Бочарова 2013: Бочарова Э. А. *Политический дискурс как средство манипуляции сознанием (на материале президентских предвыборных компаний в России и США 2007-2008 гг.)*: дисс. канд. филол. наук: Белгород: 2013.

Верещагин ... 1990: Верещагин Е. М., Костомаров В. Г. *Язык и культура. Лингвострановедение и преподавание русского языка как иностранного*. 4-е изд. М., 1990.

Демьянков 2002: Демьянков В. З. Политический дискурс как предмет политологической филологии. *Политическая наука. Политический дискурс: История и современные исследования*. Москва: ИНИОН РАН, 2002. № 3.

Добровольский 1998: Добровольский Д. О. Национально-культурная специфика во фразеологии. *Вопросы языкознания*. 1998. №6.

Долецкая 1982: Долецкая Е. С. *Риторика лекторской речи (на материале английского языка)*: дисс. канд. филол. наук. Москва, 1982.

Зданевич 2014: Зданевич К. В. *Лингвостилистические особенности политического дискурса*. С. 157-160.

[online] elib.bsu.by/bitstream/123456789/.../zdanevich_sbornik11_tom2.pdf...

Кунцевич 2010: Кунцевич С. Семантико-синтаксическое моделирование текста-дискурса. *Актуальні проблеми філології: мовознавство, літературознавство, методика викладання філологічних дисциплін*. Т. I. Маріуполь: Бізнес-ціль, 2010.

Кусько 2002: Кусько Е. Я. Дискурс, дискурсная лингвистика, дискурсоведение: тенденции развития. *Форма, значение и функции единиц языка и речи*. В 3-х ч. Ч.1. Минск: МГЛУ, 2002.

Милевская 2002: Милевская Т. В. Дискурс и связность: проблема дефиниции. *Типологія мовних значень у діахронічному та зіставному аспектах*. Вип. 6. Донецьк: ДонНУ, 2002.

Середина 2016: Середина Е. В. *Политическая коммуникация. Особенности языка*

политического дискурса: к истории вопроса //http://portal-u.ru: Журнал «У». Экономика. Управление. Финансы. 2016. [online] http://portal-u.ru/index.php?option=com_k2&view=item&id=1706:politicheskaya-kommunikatsiya&Itemid=1431 (дата обращения 30 апреля 2016).

Степанов 1997: Степанов Ю. С. *Константы. Словарь русской культуры. Опыт исследования*. Москва: Школа «Языки русской культуры», 1997.

Чантуридзе 2015: Чантуридзе Ю. М. *Афроамериканский политический дискурс: когнитивный, лингвокультурологический и риторический аспекты*: дисс. канд. филол. наук. Москва: 2015.

Чудинов 2007: Чудинов А. П. *Политическая лингвистика: учеб. пособие для студентов, аспирантов, преподавателей-филологов*. Москва: 2007.

NATIA SIKHARULIDZE

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Native Ephemera – Elegy about the Lost Independence

Native Ephemera one of the popular poems's of Galaktion Tabidze was published on 7 January, 1923 in *The Journal of Galaktion Tabidze*.

According to the study, concerning *Native Ephemera* some quite significant facts were uncovered. The existence of the above-mentioned facts has been unknown to the scholars.

The facts discovered by us, on the one hand, give us an opportunity to observe the complex creative process regarding *Native Ephemera*, and on the other hand, are extremely important as they bring to light the poet's true national, patriotic spirit towards the tragic fate of free Georgia.

Key words: Galaktion Tabidze, *Native Ephemera*.

ნათია სიხარულიძე

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

„მშობლიური ეფემერა“ – ელეგია დაკარგულ დამოუკიდებლობაზე

1922-1923 წლებში გალაკტიონმა გამოაქვეყნა ეფემერების ციკლი, რომელიც ექვს ლექსს აერთიანებს. მათ შორის ერთ-ერთია „მშობლიური ეფემერა“. იგი თემატურად და სტილისტურად გამოირჩევა ამ ციკლის სხვა ნაწარმოებებისაგან. ამასთანავე, გალაკტიონოლოგიურ ლიტერატურას თუ გადავხედავთ, დავრწმუნდებით, რომ „მშობლიური ეფემერა“ სხვა „ეფემერებთან“ შედარებით უფრო ხშირად იპყრობდა მკვლევართა ყურადღებას.

„მშობლიური ეფემერა“ 1923 წელს, 7 იანვარს, „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალში“ გამოქვეყნდა. დღეისათვის უკვე გარკვეულია, რომ ეს ნაწარმოები გალაკტიონის დამოკიდებულებას გამოხატავს 1921 წლის ცნობილი მოვლენების მიმართ, ლირიკული გმირის სევდა და სასონარკვეთა კი განპირობებულია იმით, რომ ჩვენი ქვეყნის თავისუფლება, დამოუკიდებლობა ეფემერული და მეტისმეტად ხანმოკლე გამოდგა.

თუმცა, არცთუ ისე შორეულ წარსულში „მშობლიური ეფემერას“ სრულიად სხვაგვარი ინტერპრეტაცია არსებობდა: პოეტის განწყობილებას მისი რევოლუციამდელი შემოქმედებისათვის დამახასიათებელი განწირული სულისკვეთებით ხსნიდნენ და მიიჩნევდნენ, რომ რომ ამ ლექსით გალაკტიონი რაზმავდა ადამიანებს უკეთესი მომავლის შექმნისათვის საბრძოლველად.

ამ თვალსაზრისთა გაცნობისას ვხვდებით, რომ ლიტერატურათმცოდნეებს „მშობლიური ეფემერა“ 1917 წლამდე შექმნილი ეგონათ. უნდა ითქვას, რომ ამგვარი ინტერპრეტაცია თვითონ გალაკტიონისაგან მომდინარეობდა: მან პირველი პუბლიკაციის შემდეგ ლექსი 1915 წლით დაათარილა და ეს თარიღი მის ყველა რჩეულსა თუ ტომეულში მეორდებოდა.

დღეისათვის ნაწარმოების ძირითადი სათქმელი სწორად არის გააზრებული და გაანალიზებული: არსებობს აკაკი ხინთიბიძის სპეციალური წერილი – „ეფემერების“ ეროვნული დაკონკრეტება“,

ამირან გომართელის – „მშობლიური ეფემერას“ „საიდუმლო“, მიჯაჭვული ამირანის სახის გენეზისს ეძღვნება როსტომ ჩხეიძის სტატია, ხოლო მათა ჯალიაშვილის ნარკვევში ლექსთან დაკავშირებული ალუზიები თუ ასოციაციებია ნაჩვენები.

მიუხედავად ამისა, აღმოჩნდა რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტი, რომლებიც მკვლევართათვის ცნობილი არ იყო. სწორედ ამ განსაკუთრებულ გარემოებათა გამო დაინერა ჩემი სტატია.

უპირველესად, ვგულისხმობ „მშობლიური ეფემერას“ უცნობ ხელნაწერს, რომელიც გალაკტიონ ტაბიძის ახალ აკადემიურ გამოცემაზე მუშაობისას აღმოვაჩინეთ პოეტის არქივში. იგი მნიშვნელოვან ვარიანტულ სხვაობებს ამჟღავნებს ძირითად ტექსტთან და ჩვენთვის ცნობილ სხვა ავტოგრაფთან მიმართებით. მომავლს ხელნაწერის ტექსტი:

ირხევა ნერგი – გრიალებს თერგი...

[ჩრდილები] ჯერ კი ბინდდება ბინდი

ფერებით ჭვერი – ირევა ბევრი

ლალეების ტვერი – ოქრო და შინდი.

ფერადი ღრუბლით – ყაზბეგის შუბლი

და მზის ალუბლით სავსეა ეხლა

[ნიმფები ციდან ყვავილებს ცლიდენ

დარიალიდან გრგვინავდა ზარა.

[სახე-მზიანი – ორბელიანი,

სახე-მზიანი ვერ გრძნობდა ავდარს

ღრუბელი ლედა – ნარგიზებს ლედა

და ნისლში ვხედავ „დემონის“ ავტორს.

[იდუმალ ავდარს.]

[მე] ო, საქართველოს, განსაცდელის დროს,

გისმენდე ოხვრით მე ნილად მერგო

რაც ჩემს გულს ანთებს

იმ ძვირფას ლანდებს გადაეც თერგო.

[განსაცდელ] სულ ერთი წამით – განსაცდელ ჟამად

შეხვედრა ლამით – მე შენად მერგო.

ძირითადი ტექსტისა და ამ ვარიანტის შედარებისას, გარდა ცალკეული განსხვავებებისა, ყურადღებას იქცევს გადახაზული

სტროფი, რომელიც საბოლოო ტექსტში არ იკითხება. დავაკვირდეთ ამ სტროფს:

სახე-მზიანი – ორბელიანი,
სახე-მზიანი ვერ გრძნობდა ავდარს
ღრუბელი ლედა – ნარგიზებს ლევადა
და ნისლში ვხედავ „დემონის“ ავტორს.
იდუმალ ავდარს.

გრიგოლ ორბელიანისეულ პეიზაჟზე ალუზია ლექსის საბოლოო რედაქციაშიც გვხვდება, ამდენად, ორბელიანის ხსენება მოულოდნელი არ უნდა იყოს. სტრიქონით: „სახე-მზიანი ორბელიანი ვერ გრძნობდა ავდარს“ – გალაკტიონი მიგვანიშნებს ორბელიანის პოლიტიკურ პოზიციაზე ეროვნულ საკითხთან მიმართებით.

„დემონის“ ავტორი – ვრუბელია, რომელიც გალაკტიონის ლირიკაში სხვაგანაც იხსენიება და იგი დაეჭვების სიმბოლოა. ამ სტროფის მეოთხე სტრიქონი ნასწორებია: „დემონის ავტორს“ შეცვლილია სიტყვებით „იდუმალ ავდარს“: „და ნისლში ვხედავ იდუმალ ავდარს“. ამდენად, ერთმანეთს უპირისპირდება ერთი მხრივ გრიგოლ ორბელიანი, რომელიც „ვერ გრძნობდა ავდარს“ და გალაკტიონის ლირიკული გმირი, ვინც ნისლში „იდუმალ ავდარს“ ხედავს.

საინტერესოა ისიც, რომ ავტოგრაფში დაკონკრეტებულია განსაცდელის რაობა და ნაცვლად სიტყვებისა „განსაცდელ ჟამად“ იკითხება „საქართველოს განსაცდელის ჟამს“.

ჩემი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც ამ ავტოგრაფმა შემოგვინახა, არის ნაწარმოების ადრესატის ვინაობა: „შალვა ამირეჯიბს“ – ასეთი იყო „მშობლიური ეფემერას“ ზემოთმოტანილი ფრაგმენტის სათაური.

შალვა ამირეჯიბი (1887-1943) პოეტი, პოლიტიკური მოღვაწე და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის წევრი იყო, ხოლო საქართველოს დამოუკიდებლობის დროს, 1918-1921 წლებში, ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი. შალვა ამირეჯიბი წარმოადგენდა ეროვნულ-დემოკრატიულ ფრაქციას დამოუკიდებელი საქართველოს პარლამენტში. იგი იყო მუდმივი ავტორი ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების პერიოდული გამოცემებისა: „კლდე“, „სამშობლო“ და „საქართველო“.

1922-1923 წლებისთვის, იმ დროისათვის, როცა მშობლიური ეფემერა იწერებოდა შალვა ამირეჯიბი უკვე საქართველოს უერთგულეს რაინდად და სამშობლოს სიყვარულის სიმბოლოდ ითვლებოდა, ამდენად, მისდამი ლექსის მიძღვნა ნაწარმოების სათქმელს სრულიად სხვაგვარად წარმოაჩენს.

გალაკტიონის შალვა ამირეჯიბთან დამოკიდებულების შესახებ საუბრისას გასათვალისწინებელია ერთი დეტალი: პოეტის პირად ბიბლიოთეკაში დღემდე ინახება შალვა ამირეჯიბის 1920 წელს გამოქვეყნებული ლექსების კრებული „მინანქრები“, რომლის დათვალიერების, მინანქრებზე დაკვირვების შემდეგ აშკარა ხდება, თუ როგორი ინტერესით, ყურადღებითა და თანაგრძნობით წაუკითხავს გალაკტიონს უფროსი თანამოაზრის წიგნი.

იმავე ავტოგრაფში, რომელმაც „მშობლიური ეფემერას“ სტრიქონები შემოგვინახა, სხვა რამდენიმე ნაწარმოებიცაა წარმოდგენილი. მათი ერთი ნაწილი სპეციფიკური სალექსო ფორმითაა დაწერილი. ამათგან, ყველაზე ცნობილია „ვილანელი“, რომელიც, როგორც შენიშნულია, მომდინარეობს ვალერი ბრიუსოვის ამავე სახელწოდების ლექსიდან. აქვეა „ტრიოლეტი“ და „რიტორნელი“ – ეს ლექსებიც ბრიუსოვის შთაგონებითაა შექმნილი. გალაკტიონის შთამაგონებელი ყველა ეს ნაწარმოები და კიდევ არაერთი სხვა დაბეჭდილია 1918 წელს გამოქვეყნებულ ვალერი ბრიუსოვის წიგნში – „ცდები“ (**„Опыты по метрике и ритмике, по евфонии и созвучиям, по строфике и формам“**).

ხელნაწერში ამოკითხულ „მშობლიური ეფემერას“ იმ ფრაგმენტს, იმ სამ სტროფს, რომელიც გადახაზული არაა, თავისებური ფორმა აქვს, იგი შიდარიტმების სიუხვით გამოირჩევა. ამის გამო გაჩნდა ვარაუდი, რომ შეიძლება ეს ტექსტიც ვ. ბრიუსოვიდან მომდინარე რომელიმე სალექსო ფორმის მიხედვით ყოფილიყო დაწერილი. რუსი პოეტის „ცდებზე“ დაკვირვებამ ეს ვარაუდი გაამართლა: კრებულში აღმოჩნდა გალაკტიონის ნაწარმოების ერთგვარი პირველწყარო „დაისის სიაღე“. აქ დახატულია მზის ჩასვლის სურათი, ყოვლისმომცველი სინითლე, რომელიც მთას გარს შემოეკვრება. ბრიუსოვს თავის ლექსში, როგორც თვითონვე წერს, მიზნად ჰქონდა წითელი ფერის ყველა ნიუანსი აესახა – ყვავილებისა თუ ძვირფასი ქვების გამოყენებით; ლექსს აქვს სპეციფიკური გართმვის სისტემა.

„მშობლიურ ეფემერაში“ წითელ ფერთან დაკავშირებული ლექსიკა და პეიზაჟი მეორდება, ასევე მცირე ცვლილებით მეორდება ლექსის ფორმა. მაგრამ გალაკტიონი ბრიუსოვის ნეიტრალურ სათქმელს სიმბოლურ შინაარსს სძენს. დარიალიდან ზარი გაისმის, ყაზბეგის შუბლი ღრუბლითაა შემოსილი – ირგვლივ ყველაფერი წითელ ალში ეხვევა. თუ ლექსის შექმნის თარიღს 1922-23 წლებს და მის ადრესატს – შალვა ამირეჯიბს გავითვალისწინებთ, გასაგები ხდება, რომ ეს ფერი – წითელი სიმბოლურია, რომ პოეტი, მეტაფორულად გვიხატავს, როგორც მიხეილ ჯავახიშვილი იტყოდა, ვარდისფერი საქართველოს დამუქებისა და განითვლების სურათს.

ჯერ კიდევ აკაკი ხინთიბიძემ შენიშნა, რომ „მშობლიური ეფემერა“ ორი განსხვავებული მონაკვეთისაგან შედგება. პირველი ნაწილი – ესაა ნაწარმოების ის ოთხი სტროფი, სადაც ამირანის მოტივია, მეორე მონაკვეთი კი სამსტროფიანია, ეს ის ფრაგმენტია, რომლის შესახებაც უკვე ვისაუბრეთ და, როგორც ვნახეთ, მართლაც ცალკე ნაწარმოებს წარმოადგენდა, ჰქონდა სათაური და ჰყავდა ადრესატი. როდის დაინერა დანარჩენი ტექსტი, რომლის შესახებ ჯერ არაფერი გვითქვამს, როგორ დაუკავშირდა ამირანის მოტივი შალვა ამირეჯიბისადმი მიძღვნილ ფრაგმენტს?

ამირანის თემა გალაკტიონთან ადრეულ ლირიკაშივე იჩენს თავს. მაგალითად, ლექსში „ოცნება კლდეზე“ ამირანის სახე ორიგინალურად არის ჩანაცვლებული მიჯაჭვული ოცნების მეტაფორით. „არტისტული ყვავილების“ ერთ-ერთ ნაწარმოებში ლირიკული გმირი, მგოსანი საკუთარ თავს ამირანთან აიგივებს:

ძვირფასო, ძვირფასო! ბედი კლავს ჩემს სხეულს,
თვალეებში ყორნების მქენჯნიან კლანჭები,
ამირანს მიჯაჭვულს და მგოსანს ნაქცეულს
ვიღაც ფრთებს მიკვეცავს... ეჰა, ვიტანჯები!

(ტაბიძე 2016: 141)

„მშობლიურ ეფემერაში“ ამირანის მოტივი მეცხრამეტე საუკუნის პოეზიას, კონკრეტულად, აკაკის შემოქმედებას უკავშირდება, სადაც „კავკასიის მალალ ქედზე მიჯაჭვული ამირანი არის მთელი საქართველო“...

რამ განაპირობა ამ ტრადიციასთან მიბრუნება?

1920-იანი წლების დასაწყისის ლირიკის შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ 1921 წელს გიორგი ქუჩიშვილს გამოუქვეყნებია ამირანის თემაზე დაწერილი ორი ლექსი. „მშობლიურ ეფემერას“ (ნაწარმოების პირველ მონაკვეთს) მათთან გარკვეული მიმართება უნდა ჰქონდეს.

ქუჩიშვილის პირველი ნაწარმოები – „საქართველო“ ორსტროფიანია – ამირანი აქაც საქართველოს თავისუფლებასთანა დაკავშირებული, ოღონდ გალაკტიონის ლექსის საპირისპიროდ აქ ამირანიც ბორკილაყრილი, თავისუფალია და საქართველოც:

საქართველო აღსდგა მკვდრეთით!
გზა მიეცით!
ჩამოდექით!
გმირთა გმირი
ამირანი
მოიმღერის გრგვინვა-ჭექით!

სანეტარო დახსნის ხმები
ეფინება ზურმუხტ მდელოს...
გაუმარჯოს ბორკილაყრილ,
თავისუფალ საქართველოს!
(ქუჩიშვილი 1982: 221)

მეორე, ასევე 1921 წელს შექმნილი ვრცელი ნაწარმოები კვლავ ამირანს ეძღვნება – მისი თავგადასავალია გადმოცემული. აქვეა გალაკტიონის ნაწარმოებში ნახსენები თერგი, დარიალი... გარდა ამისა, ქუჩიშვილის ტექსტი და „მშობლიური ეფემერა“ ერთმანეთს ჰგავს ლექსიკითა და ფრაზის აგებით, კითხვა-პასუხის ფორმით. დავაკვირდეთ რამდენიმე სტრიქონს:

...დაბლა კი, დაბლა, დარიალის ღრმა ხეობაში,
თერგი მრისხანე, უზარმაზარ მომსკდარ ლოდებით
მოღვართქაფებდა გულხეთქებით, ზათქით, გოდებით!

...

ვინ არის იგი? მიპასუხეთ, ვინ არის იგი,
ვინც ძირს დაამხო კაცთა მონობა და ტირანია?
ამირანია! – გოლიათი ამირანია! –
გუგუნებს ხალხი, გუგუნებენ მთიდან მთანია.

– ამირანი აწყვეტილა,
გადუხდია ომი,
წითელ ჩოხით შემოსილა,
მოდის როგორც ლომი!..
(ქუჩიშვილი 1982: 223)

ვფიქრობ, „მშობლიური ეფემერას“ კავშირი დამონმებულ ტექსტებთან აშკარაა. გალაკტიონმა, როგორც ჩანს, წაიკითხა გიორგი ქუჩიშვილის ეს ნაწარმოებები და თავისი რადიკალურად განსხვავებული, პრინციპული დამოკიდებულება „მშობლიურ ეფემერაში“ გამოხატა. შეიძლება ითქვას, რომ „მშობლიური ეფემერა“ გალაკტიონის პოლემიკური პასუხია მეგობრის, გიორგი ქუჩიშვილის ლექსებზე.

ასე შეიქმნა „მშობლიური ეფემერას“ მეორე ნაწილი და დაუკავშირდა უკვე დაწერილ, ამირეჯიბისამი მიძღვნილ მონაკვეთს.

ამგვარია გალაკტიონის ამ ლექსთან დაკავშირებული ის რეალიები, რომლებიც მკვლევართა თვალთახედვის მიღმა იყო დარჩენილი.

მათი გამოვლენისა და გაანალიზების შემდეგ ჩვენ მხოლოდ ერთ ნაწარმოებთან დაკავშირებულ შემოქმედებით პროცესს არ მივადევნეთ თვალი. სათქმელი უფრო ფართო კონტექსტში გააზრებას მოითხოვს: წლების განმავლობაში არსებობდა და დღესაც არსებობს აზრი, რომ გალაკტიონი 1921 წელს მიეგება საბჭოთა ხელისუფლებას და მისი მხარდამჭერი თუ მეზობტე გახდა.

ვფიქრობ, „მშობლიური ეფემერა“ და მასთან დაკავშირებული რეალიები, რომლებზეც ვისაუბრეთ, კიდევ ერთხელ წარმოაჩენს პროეტის პოლიტიკურ პოზიციას, მის რეალურ თვალსაზრისსა და დამოკიდებულებას გასაბჭოებულ საქართველოსთან.

დამონმებანი

ბრიუსოვი 1918: Брюсов В. *Опыты по метрике и ритмике, по евфонии и созвучиям, по строфике и формам*. М.: н-во «Геликон», 1918.

ტაბიძე 2016: ტაბიძე გ. *თხზულებანი თხუთმეტ ტომად*. ტ. II. თბილისი: 2016.

ქუჩიშვილი 1982: ქართული პოეზია თხუთმეტ ტომად. ტ. XI. თბილისი: გამომცემლობა „ნაკადული“, 1982.

MARY KHUKHUNAISHVILI –TSIKLAURI

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Amirani as a Symbol of Indomitable Georgia

Amirani is a leading hero of the Georgian Epos.

In the XIX century in the poems of the Georgian writers the image of invincible Amirani represented a symbol of Georgia.

The literary revival of Amirani is connected to the XX century, when Georgia declared independence, but soon it was lost.

Galaktion Tabidze was one of the very first dedicating a cycle of verses to the chained Hero. In 1937 young Grigol Abashidze wrote the emotional poem “The Birth of Amirani”, where hostility of two brothers symbolized politically divided Georgia and the birth of Amirani was an omen of a happy future of the country.

Key words: Amirani, symbol, indomitable Georgia, independence, folklore.

In the history of the Georgian Literature the XX century was the most thorny and full of ordeals. At a glance the century started with hopes: individual and political freedom sprang the wings, Georgia declared longed independence and tried to occupy its place in the European family. “Entering the agitated world Georgia is losing nothing but the shackles”-wrote young Galaktion Tabidze (Tabidze 2017: 130), implying entering the European world. Into the literary space stepped a new generation breaking with the old traditional way of writing . They started experimenting with literary forms and expressions, overturned old modes of representation. But all this turned out to be short lived. In 1921 the country returned under the Northern orbit, this time under Bolshevik Regime. Nobody could ever dream of independence, Red Terror covered the country, followed by the Great Purge. Talented writers were either executed or committed suicide, some of them managed to emigrate. Those who were saved started thinking of self-preservation search-

ing for creative shelter in folklore and historical themes using them as a cover to express the personal experience and ordeal, patriotic feelings. Part of the writers started translation of the progressive Western authors to supply the readers with the intellectual oxygen while the communist system started the formation of a Homo Sovieticus. In spite of the strict censorship writers revived the image of the Georgian folk hero Amirani as a symbol of disobedience and the struggle for independence.

The myths and legends about theomachist Amirani chained to the crag, the traditions, prose stories alternating with verses and the separate verses sung during the round dance in Racha and Svanetia are distributed through all of Georgia. The scientists link the origin and the development of the epos about Amirani with the epoch of disintegration of matriarchy, the epoch of ploughing agriculture. The epos in many ways reflected the characteristics of the hunting structure and was closely connected to the ancient cycles of Georgian hunting songs (Virsaladze 2017: 83-84).

The Story of Amirani chained to the crags of the Caucasus can be divided in the three cycles: the birth of Amirani by hunting deity Dali, his exploits and his punishment. The versions of the epos consist of the mythological fragments of the various stages of the pagan time which were later framed by Christian religious trying to eliminate pagan ideas and Amirani's connection to the deity of the hunt Dali, his strength was ascribed to the Christian God, his godfather. Newly discovered version confirms his godfather's pagan origin, where Amirani's protector is the astral deity the Sun endowing the hero with the marvelous strength and a short sword, symbol and attribute of the Sun (Folklore Archive 1875: FAUF 0680; Kerlot 1994: 320-321).

The first literary treatment of Amirani's theme was carried out in the medieval Georgia when the native secular literature started its existence. It is a cycle of medieval Georgian tales authorship of which is ascribed to Shota Rustaveli's precursor Mose Khoneli dating probably from the early or middle decades of XII century. Mose Khoneli worked up second part of Amirani's biography – his exploits for the prose romance “Amiran –Darejaniani – Amiran son of Darejan”. “The fabulous strain in the story-line, and aspects of Amiran Darejanisdze's characterization, certainly derive from folklore, which is itself influenced by literary.... It stands on the boundary between myth, where a demigod battles with fantastic chimeras and asserts superior human force, and epic, where hero pursues an ideal or a prize and reveals his

inner qualities. Amiran Darejanisdze's quests lack psychological insights and his tasks are void of symbolic meaning: this is typical of unquestioning nature of mythological creature and of the purely storytelling purpose of epic.... Amiran Darejaniani is not yet a tale of courtly love. It shares with early western romance— for instance, *La Shanson de Roland* and also with the Georgian folk epos, absence of idealism and of female interest (Rayfield 2000: 70).

In the XIX century, at the dawn of the National-Liberation movement, when the leaders of the movement woke up the public spirit, national dignity and widespread social-political ideas against the colonial governance of Russia, epic hero Amirani gave second inspiration to the Georgian literature. The authors of that time and afterwards used the third part of his biography – his shackling to the rock for disobedience by God. Akaki Tsereteli and Vazha Pshavela in their poems in the image of Amirani chained to the crag of the Caucasus implied Georgia being under the colonial regime of Russia, the ravens picking his heart to pieces were the enemies. One day he would tear the chain and would gain the victory (Akaki Tsereteli, poems: "Amirani" 1883, "Tornike Eristavi" 1884, "Media" 1893-1897; Vazha Pshavela, poems: "Amirani" 1884, "Amirani's Dream" 1884).

At the beginning of the past century young Galaktion Tabidze (1891-1959), reformer of the modern Georgian verse, dedicated cycle of poems to Amirani. In the poem "Dream on the rock" (1910) it seemed to him that his dream for independence that was chained to the rock sprouted the wings. In the poem "I will Come" (1916-1917) he compared himself to Amirani, he was knocked down, the claws of the ravens were tormenting his eyes. Soon in 1918 the independence of the country was attained, but was lost very soon. In "Parental Ephemera" (1922) he heard again Amirani's groaning. In the period of Great Purge he wrote the poem "Amirani, Chained (1937-1938) with optimistic ending:

When I watch the silent night,
My senses shape these images.
My heart hears the mountains beat,
Trembling my strange fears.
They say Amirani was given pain
And night made to set on his dawn
Because he dared to master
Darkness, to become a hero.

Exile by those he loved,
He could not meet the
Trembling of the sun.
His rock was cold with dew.
Snow flurries, rain, and wind,
Surrounded him with wild roars.
The armies of centuries
Pushed forward in pain.
The ravens picked his heart to pieces.
Day replaced evening, evening day.
The hero knew what his chains were for
And arranged its wings on the stake.
When the hero pulled the heavy hammer,
The bird flew away.
The hammer beat the stake.
Amirani stood free,
Enslaved no more.
When I watch the silent night,
My senses shape these images.
My heart hears the mountains beat,
Trembling my strange fears .

(Tabidze 1966:153-154,

Translated by Rebecca Gould)

The cycle of verses was ended with the poem “Amirani” (1944). He thought for a long time for the plot of the poem. It must be noted that from the many versions of the epos the poet chose the story “Beso” by the Georgian writer Anastasia Eristavi-Khoshtaria (1868-1951) published in 1885 in the magazine “Nobati” (Nobati1885, 1-5: 120-131). G. Tabidze modified a new prose version of the story and called it “Rati” that underlay the poem “Amirani”. The little shepherd Rati has a beloved book about folk hero Amirani. One day in his dream while herding he meets Amirani. The rock splits and inside of it he sees chained hero. He describes the scene of his terrible torment. The boy tries to help him. Amirani asks the shepherd to bring him a long chain made of very old steel for lengthening his short one for uprooting the rock together with the chain. The youth goes to forge the chain for setting Amirani free. The youth starts forging the chain and is near to the goal (Tabidze 1971: 209-259; Tabidze 1975: 617-640).

It must be noted that Amirani's theme appeared in the early works of Grigol Abashidze (1914-1994), poet, prose writer, playwright, essayist and translator until his adaptation to the Soviet System. Unlike of rebel Galaktion Tabidze he revolved in the middle of the literary and public life. Owner of many Soviet rewards, titles and official posts at a glance he looked care-free and lighthearted if not the book of the writer and researcher Rostom Chkheidze "Secret Grief" (Chkheidze 2013). The book is written in the form of dialogue between him and Grigol Abashidze at the end of the writer's life. The poem "Amirani's Birth" is written in the period of Great Purge when his father was arrested, the elder brother executed, sister-in-law and brother-in-law were sent into exile, the uncle died on the way to exile. The poem was published twice, in 1937 and in 1940 corrected one in the collection of poems. Later his early works were the subject of a critique for the level of unacceptable ideological, artistic and conceptual side, for the influence of decadent poetry, for being very abstract and not realistic (Radiani 1953:253-288). The writer after publishing the second collection started thinking of self-preservation, of obeying the political and ideological demands signs of which are seen in his confession to Rostom Chkheidze in the "Secret Grief". British expert of the Georgian literature, professor Donald Rayfield marks strictly for this the poet and calls him a sycophant bringing as an example the poem dedicated to Beria (Rayfield 2000:267).

The poem "Amirani's Birth" relates about the rivalry of two brothers, a hunter and a miller fallen in love with goddess Dali. The hunter wishes the death of his brother and so it happens-the miller dies on the way to Dali's dwelling. The hunter sees a dream: the Queen of Love sitting on the throne commands to rebuild the house destroyed by the bitter rivalry and envy. The Queen revives the miller and is leading him to the palace of the Sun. The hunter wakes up and climbs up the rock, Dali's habitation. He attains the goal, Dali is his, but the goddess dies because of the connection with mortal man giving birth to her son Amirani. At his birth the bells are ringing, Amirani's birth is compared with rise of the amazing Sun- the future of radiant Georgia. Young Grigol Abashidze under the story of two brothers allegorically showed the Georgian society split in two, the house destroyed by envy was Georgia in the period of Great Purge. It must be noted that the collection of verses where the poem was published first (1937)for self-defense the writer started with the verse dedicated to Stalin and ended with the poem on Amirani. In the second

edition of the poem he eased the scenes of the brother's rivalry (1940). The poem was never published after that.

The theme of Amirani is found in the poetry of Simon Chikovani (1902-1966). At the beginning of his creative life like Grigol Abashidze he started searching of new forms in poetry. He joined a group of young Georgian Symbolists. After abandoned it and became a leader of the Georgian Futurists (1924-1928) editing journals , too (Avaliani 2016:327-338). Soon Chikovani distanced from Futurist movement and dedicated his poetry to the ideologically sanctioned themes : love poetry, patriotic lyrics. He served as a secretary, president of the Georgian Union of Writers, was a deputy of the Supreme Soviet, editor-in-chief of the publishing house "Soviet Writer". In 1947 he was awarded with Stalin Prize for the cycle of poems. In 1937, in the period of the Great Purge that touched his wife's family, he published the collection of poems, among them is "Autumn Evenings in Kolkheti:" Shell ashtray found in the sea is lying on the table, resembling to the swan without the neck in which Amirani's soul is singing. It is the will of the sea Amirani to be in permanent turmoil, he was people's commander, his fire was put out. He was chained to the rock and his true feelings were scattered (Chikovani 1975: 145-146).

As we see in the early works of the Georgian writers of the XX century the image of the folk hero Amirani as of a symbol of the striving soul for independence was very topical. Later only rebel G. Tabidze continued this theme as his colleges named above chose a different way of existence. Though Grigol Abashidze 's confession narrated in Rostom Chkheidze's book "Secret Grief" reveals spiritual state of the writers adapted to the Soviet System.

BIBLIOGRAPHY:

- Abashidze 1937:** Abashidze, G. *Poems* (in Georgian). Tbilisi: "Federatsia", 1937.
- Abashidze 1940:** Abashidze, G. *Hundredleaves* (in Georgian). Tbilisi: "Sakhelgami", 1940.
- Avaliani 2016:** Avaliani, L. *Georgian Futurism, Typology of the Georgian Modernism, collected works* (in Georgian). Shota Rustaveli Institute of Georgian Literature. Tbilisi: "Meridiani", 2016.
- Chikovani 1975:** Chikovani, S. *Poems* (in Georgian). Volume I. Tbilisi: "Merani", 1975.
- Chkheidze 2013:** Chkheidze, R. *Secret Grief* (in Georgian). Chveni Mts'erloba. Tbilisi: 1975.

Eristavi-Khoshtaria 1885: Eristavi-Khoshtaria, A. *Beso. Magazine "Nobati"* (in Georgian). Tbilisi: 1885.

Gould 2009: Gould, R. *Georgian Literary Modernism: Poems by Titsian Tabidze, Paolo Iashvili and Galaktion Tabidze*. University of Birmingham, UK, 2009.

Kerlot 1994: Kerlot Khuan–Eduardo. *Dictionary of the Symbols* (in Russian). Moscow: REFL-book, 1994.

Khoneli 1958: khoneli, M. *Amiran-Darejaniani. The Tale of Amiran Son of Darejan. A Cycle of Medieval Georgian Tales*. Translated by R.H. Stevenson. Oxford: UK, 1958.

Radiani 1953: Radiani, Sh. *Literary Portraits* (in Georgian). Tbilisi: Sabchota Mtserali, 1953.

Rayfield 2000: Rayfield, D. *The Literature of Georgia. A History*. Curson Caucasus World. UK, 2000.

Tabidze 1966: Tabidze, G. *Poems* (in Georgian). Volume IV. Tbilisi: Sabchota Sakartvelo, 1966.

Tabidze 1971: Tabidze, G. *Poems* (in Georgian), Volume IX. Tbilisi: Sabchota Sakartvelo, 1971.

Tabidze 1975: Tabidze, G. *Poems* (in Georgian). Volume XII. Tbilisi: Sabchota Sakartvelo, 1975.

Tabidze 2016 –2017: Tabidze, G. *Poems* (in Georgian). Volumes I-V. Tbilisi: Shota Rustaveli Institute of Georgian Literature, 2016-2017.

Virsaladze 2017: Virsaladze, E. *Georgian Hunting Myths and Poetry*. Translated by D.G.Hunt. Georgian National Academy of Sciences. Tbilisi: 2017.

MAIA JALIASHVILI

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Symbolic-mythical Paradigms of State Freedom (Grigol Robakidze ‘s „Guards of Grail“)

Grigol Robakidze presented the symbolic-mythical paradigms of state freedom and soul of national identity in his novel „Guards of Grail“. He thought that Soviet totalitarian regime with demonic forces persecuted the divine from all over the world, banned freedom of creativity, destroyed and crushed any vital energy. He symbolically restored the Georgia state freedom

and created his mythical and poetic model. Thus, he retained a national identity and expressed faith in freedom and survival of Georgia by the way of using symbolic and mythical paradigms. The Cup of Grail, transformed face of the classic religious symbol, expresses the soul of national identity.

Key words: Grigol Robakidze, Grail, Mythical, Georgian Literature.

მანია ჯალიაშვილი

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

სახელმწიფოებრივი თავისუფლების სიმბოლურ-მითოსური პარადიგმები (გრეგოლ რობაქიძის „მცველნი გრალისა“)

გრეგოლ რობაქიძემ რომანში „მცველნი გრალისა“ წარმოაჩინა სახელმწიფოებრივი თავისუფლების სიმბოლურ-მითოსური პარადიგმები. სამშობლოდან იძულებით გადახვენილი მწერლისთვის საბჭოური საქართველო იქცა დარღვეულ დრო-სივრცედ, რომელშიც სასიცოცხლო შემოქმედებითი ენერგია მთლიანად ჩაკლა და ჩაანაცვლა ბოლშევიკურმა დამანგრეველმა, დემონურმა რეჟიმმა. ლიტერატურა და გერმანული კულტურული სამყარო მისთვის იქცა თავშესაფრად, სადაც იგი სამშობლოს სულიერ გადაარჩენას მხატვრულ სამყაროში შეეცადა. ემიგრაციაში გერმანულ ენაზე დაწერილ რომანში „მცველნი გრალისა“ მან შექმნა ადდგენილი საქართველოს მითოპოეტური მოდელი. ამგვარად, მან შეინარჩუნა ეროვნული იდენტობა და სიმბოლურ-მითოსური პარადიგმების გზით საქართველოს თავდახსნისა და გადარჩენის რწმენა გამოხატა.

რომანში აღწერილი „მითიური რეალობა“ წარმოაჩენს, ერთი მხრივ, ბოლშევიკური ხელისუფლების ძალადობას ქართველ ხალხზე, სინამდვიეთა შელახვასა და ტრადიციათა შეურაცხყოფას, პიროვნების ხრწნას, ფსევდოკულტურის დამკვიდრებას, მეორე მხრივ, გრალის თასის, მწერლის მიერ კლასიკური რელიგიური სიმბოლოს ტრანსფორმირებული ხატის, მცველთა თავგანწირულობას მაღლისა და ეროვნული მეობის გადასარჩენად.

საგულისხმოა, რომ ამ მისტიკურ თასს, რომელიც საქართველოს, როგორც ერის, არსს ინახავს, მწერალი სახელს არ უცვლის. მას სურს, მკითხველმა ეს ორი თასი ერთიანობაში, განუყოფლად წარმოიდგინოს. გრალის თასი, რომელშიც ქრისტეს სისხლია, კაცობრიობის სულიერი გადამრჩენია, ამიტომაც არის გასაიდუმლოებულ-მიუწვდომელი. გრალის თასი შუა საუკუნეების მწერლობის ძლიერ შთამაგონებელ იმპულსად იქცა. ის წარმოჩნდა ერთგვარ სიმბოლოდ, რომლის საინტერესო და მნიშვნელოვანი ინტერპრეტაციები შეიქმნა ფრანგი კრეტიენ დე ტრუასა (XI ს.) გერმანელი ვოლფრამ ფონ ეშენბახის (XII-XIII სს.) შემოქმედებაში. წმინდა გრალის მცველნი, მათ შორის, მეფე არტურის მრგვალი მაგიდის რაინდები, პარციფალი, ლანსელოტი, ლოენგრინი და სხვანი ლეგენდებად იქცნენ. უამრავი თქმულება და საიდუმლო დაკავშირებული ტამპლიერთა ორდენტანაც, რომელსაც გრალის თასის მცველობაც მიენერება. გრალის თასი გონებისთვის ბოლომდე შეუმეცნებელი მატერიალურ-სულიერ სუბსტანციაა, მხოლოდ უმაღლეს ყველაზე მაღალ-სულიერ სუბსტანციას, განდობილთათვის აღსაქმელი, ღმერთივით უხილავად ყველგანმყოფი. რობაქიძისთვის, როგორც მწერლისთვის, მნიშვნელოვანია, რომ მკითხველმა შეიგრძნოს, გადარჩენისთვის აუცილებელია ღვთისა და ერის ერთგულება. ამგვარად: საქართველო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, გადარჩება და აღდგება, რადგან არიან ადამიანები, ერის „უკვდავი სულის“, როგორც ილია იტყოდა, მატარებელნი. თვითონ ილიას რობაქიძე ამიტომაც მიიჩნევდა კარდუს „მოურავად“. „ვისაც სიმბოლო და მითოსი არ ესმის, ჩემს შემოქმედებას ვერ გაიგებსო“. – ამგვარ დაბრკოლებას უქმნიდა რობაქიძე მკითხველს და უბიძგებდა მხატვრული სამყაროს ქვეტექსტების, პალიმფსესტური შრეების შესამეცნებლად.

რომანში სიმბოლურ-მითოსური პარადიგმებად აღიქმება:

1. თასი გრალისა;
2. კარდუ;
3. მუხა;
4. ლევან ორბელის, როგორც „წმინდა მსხვერპლის“, ტარიგის სახე და სხვ.

რომანში შექმნილ მითოპოეტურ სივრცეში ქართველი ერის წიაღიდან, ცოცხალი ფესვებიდან წამოსული ენერჯია წინააღმ-

დეგობას უწევს ბნელ ძალებს, სინათლის უფსკრულში ჩანთქმას რომ ესწრაფვიან. „თვით ხალხის სულიერ ფესვებს ემუქრებოდა განადგურება. ისტორიის განმავლობაში მათი ნაწილი მუდამ რჩებოდა ხელუხლებელი, მაგრამ თუკი ყველა ფესვი მოინამლა, საშველი აღარსადაა: მაშინ ყოფიერება იქცევა იარაღად დემონურ ძალთა ხელში“ (რობაქიძე 2012ა: 178). ნათლის მხედრები, სიტყვის (უფლის) ერთგულნი, სიბნელეს არ ემორჩილებიან. „ვიდრე ადამიანი იტანჯება, მას კიდევ რჩება ძალა აღორძინებისათვის“ (რობაქიძე 2012ა: 182). გრალის თასის მცველობის სიმბოლური მრავალმნიშვნელოვნება, უპირველესად, თავისუფლების, ადამიანში ღვთის ხატებისა და მსგავსების გადარჩენას გულისხმობს.

რომანში მცველნი გრალის თასისა, რომელიც საქართველოს მფეთქავი, ცოცხალი გულია, ერთი მხრივ, არიან წინაპრები, მეორე მხრივ, თანამედროვენი: თავადი გიორგი (ძველი, დიდებული, დამოუკიდებელი ქვეყნის სიმბოლო), რომელმაც წინაპრებისაგან გადმოცემული თასი შეინახა და მომავალ თაობას გადასცა, ლევან ორბელი (მისტიკურ-მაგიურად მჭვრეტელი ერის სულისა) და ხელოვანნი (მწერლები, პოეტები, მუსიკოსები, მხატვრები, რეჟისორები). ავალას, ოდილიანის, მარჯანის დაშიფრულ სახეთა მიღმა მწერალმა ქართული სიტყვის ერთგულ მსახურთა: ტიცვიან ტაბიძის, პაოლო იაშვილის, კოტე მარჯანიშვილის სახეები წარმოაჩინა. რომანში ვკითხულობთ: „ჭეშმარიტად მზის ნიშნულია საქართველო! ეს ჩვენს ენაშივე ძევს, რომლის სიტყვებიც ქმედითი სტიქიებია, რომლებშიც შესაქმისეული სიბრძნე ხმიანობს. ენა არასოდეს ტყუის. ქართული ენა უეჭველად მითოსური ჭვრეტიდან იშვა, იმ წიალიდან, სადაც საგნები ურთიერთს სარკისებრ იმეორებენ და ერთი ფესვიდან იზრდებიან“ (რობაქიძე 2012ა: 60).

გრიგოლ რობაქიძის აზრით, ქართული კულტურა ინახავს ერის სულიერებას, სწორედ ამიტომაც ქმნის ამ რომანში წარმოსახვით აღდგენილ მითოპოეტურ დრო-სივრცეს, რომელშიც წარსული, აწმყო და მომავალი განუყოფელია. ამ სივრცეში ქართველები დედამიწას ეპყრობიან, როგორც „დიდ დედას“ და მისტიკური კავშირი აქვთ კოსმოსთან. ამ დრო-სივრცეში უკვდავყოფილნი არიან გრალის მცველნი, რომელთაც შეძლეს იდეალების ერთგულება და ფასეულობათა გადარჩენა.

„ერთ ნამში მოხელთებული უსასრულობა სივრცის“, – ამბობს ლევან ორბელი (რობაქიძე 2012ა: 229). რომანის მთავარი გმირი ამგვარად სწვდება დრო-სივრცის მეტაფიზიკურ ერთიანობას. ის პოეტია და ხშირად ეუფლება ექსტაზი, როდესაც უსაზღვრო, ზეპიროვნული სიყვარულით იმსჭვალება, წარსულს, ანმყოსა და მომავალს მთლიანობაში განიცდის და გრძნობს კავშირს ყოველ ცოცხალ თუ გარდაცვლილ არსებასთან, მისთვის ესაა „მარადისობის ზღვარი, ვინც კი მას ერთხელ მიუახლოვდება, შეძლებს შეაბიჯოს ნეტართა სამყოფელში“ (რობაქიძე 2012ა: 4). ლევან ორბელი, მწერლის აზრით, პრომეთეული არსებაა, შინაგანი ცეცხლით სავსე, ამიტომაც სწორედ იგია სიმბოლო საქართველოს მისტიკურად გამამთლიანებელი სივრცისა, რომელიც ქართველობის არსს ინახავს და ავითარებს.

რომანში ორ ურთიერთდაპირისპირებულ პოეტურ განზომილებას ქმნის მწერალი: რეალურ-ისტორიულსა და წარმოსახულს, რომლებიც თავისთავში გულისხმობენ სხვა მხატვრულ სივრცეებსაც. რეალურ-ისტორიული სივრცე წარმოდგენილია მეოცე საუკუნის საქართველოს 20-იანი წლებით, როდესაც ორი სივრცეა შეჭიდებული – ბოლშევიკური ხელისუფლებით მართული, მის მიერ შექმნილი და დამოუკიდებლობის დაკარგვას ვერშეგუებულ ხალხის სივრცე, რომელიც, უპირველესად, წარმოჩნდება საირმეში. საირმე, ამ შემთხვევაში, არის ერთგვარი ცენტრი, გული, რომელიც თავის გარშემო იკრებს და მართავს ამ სივრცეს. საირმე რობაქიძისთვის ერთგვარი სიმბოლური განზომილებაა, მას ვხვდებით „გველის პერანგშიც“.

თავისუფლების სულისკვეთებით გაჟღენთილი სამყარო მოიცავს მითოლოგიურ სივრცესაც, რომელსაც ქმნის რომანის მთავარი ძარღვი – ამბავი გრალის თასისა. იგი ქმნის საკრალურ ქრონოტოპს, თავისუფალი საქართველოს ერთგვარ წინარე ხატს, რომელიც ყოველ დროში არსებობს და განაპირობებს ქართველი ერის გარკვეულ დრო-სივრცეში არსებობას.

როგორ იხატება რობაქიძის მიერ შექმნილი სიმბოლო – თასი გრალისა? ეს არის გრალის თასის ერთგვარი ვარიაცია, ქართულ სულიერ სივრცეში გამოვლენილი. მასში უძველეს დროში დასაღუპავად განწირული ქართველი რაინდები სასწაულებრივად აყვავებულ წმ. ნინოს მიერ გამოჭრილ ვაზის ჯვარზე გამოსხმულ მტევნებს ჩანურავენ და გადარჩებიან.

გრალის თასი არის კარდუს, ქართველთა მითიური მამამთავრის, ერთგვარი ჰიპოსტასი, რომლის გადარჩენა ერის ხსნას ეთანაბრება, ამიტომაც არის, რომ რომანში მისი უპირველესი მცველნი, თავადი გიორგი და ლევან ორბელი ფიზიკურად ილუპებიან, მაგრამ ისინი მისტიკურად ერწყმიან ამ თასს. „მას თავად უნდოდა გრაალის რაინდი ყოფილიყო. ამას ისიც ადასტურებს, რომ „გრაალის მცველნი“ მთავარი პერსონაჟის ლევან ორბელის პროტოტიპი თავად ავტორია – გრიგოლ რობაქიძე. ზოგიერთ პირად ბარათს ხელს ასეც აწერდა – ავალონ-გრიგოლ რობაქიძე ანდა ავალონ ორბელი“ (ბაქრაძე 1999: 5).

თასის გადარჩენისთვის ბრძოლა რომანის მთავარი მოტივია. რომანში გვხვდება ერთგვარი სივრცული გზაჯვარედინები, რომლებიც მეტაფიზიკურ რეალობას ქმნიან. აქ პერსონაჟებს ეუფლებათ ერთგვარი ექსტაზი, რომელიც ინვესს სულიერ ტრანსფორმაციას და გმირს მარადისობასთან ზიარებაში ეხმარება. წარსულის, ანმეოსა და მომავლის ერთიანობა მწერლისთვის მნიშვნელოვანია იმ რწმენის ასალორძინებლად, რომელიც დამოუკიდებელი და თავისუფალი ქართული სახელმწიფოს მატერიალურ სივრცეში არსებობას გულისხმობს. მითოსის, ზღაპრის, ლეგენდის, პოეზიის წარმოსახულ სივრცეებში პერსონაჟები მოგზაურობენ დაკარგული სულიერი ძალების მოსაპოვებლად, რათა ეს ენერგია შემდეგ ხალხის ღირსებისა და თვითშეგნების გამოღვიძებისთვის გამოიყენონ. „ხალხს, არა უბრალოდ, ადამიანთა თავყრილობას, არამედ არსობრივ ერთობას, მხოლოდ წინაპართა ნაჩუქარი ძალით უდგას სული“ – ვკითხულობთ რომანში (რობაქიძე 2012ა: 224). მირჩა ელიადეს მიხედვით, მითის ერთი უმთავრესი ნიშანია ისიც, რომ წინარე მოვლენებში, რომლებიც განიხილება, როგორც წმინდა (საღმრთო), ხედავენ არა უბრალოდ წარსულს (რომელიც შეიძლება გავიგოთ ან რომელსაც შეიძლება მივბაძოთ), არამედ მუდმივად ახლანდელს, ან, უკიდურეს შემთხვევაში, მუდმივად და იდენტურად განმეორებადს. მითიური არქეტიპები აღდგება კულტში, სიმღერასა და ცეკვაში და ასე განაგრძობს არსებობას“ (ელიადე 2017: 81). ქართველთა მითიურ არქეტიპებს ამგვარად იგზნებს ლევან ორბელიც ქართველთა სიმღერა-ცეკვასა თუ სხვა რელიგიურ-საერო რიტუალებში.

მწერალი ქმნის კლასიკურ ტრადიციაზე დაყრდნობილ ახალ პოეტურ მითს გრალის თასისას, რომელშიც მფეთქავი გული ას-

ენია საქართველოსი. ის მატერიალიზებული სახეა ერის უკვდავი სულისა. მისი სამყოფი სივრცე, ერთი მხრივ, ლეგენდის, წინაპრების საკრალური სივრცეა, მეორე მხრივ სიზმრისა, ჭვრეტისა თუ ხილვისა. მისი შენახვა, გადარჩენა ქართველ ხელოვანთა მთავარი მისიაა, რომელიც რომანში ხორციელდება მეოცე საუკუნის 20-იან წლებში საბჭოთა დემონურ ხელისუფლებასთან ბრძოლის პირობებში. გრალის მცველის, ლევან ორბელის, მსხვერპლშენიშვნა საღვთო რიტუალია, რომელიც გულისხმობს ერის მზადყოფნას გაიმეოროს ჯვარცმის მისტერია – მამა შვილს სწირავს ცოდვილთა გამო-სახსნელად. გრალის თასის უსაფრთხო სივრცეში, მუხის გულში, გადამალვა მიანიშნებს, ბუნების, როგორც ერის ნაწილის, თანაზი-არობაზე ხალხის მისწრაფებებთან.

გრიგოლ რობაქიძე მკითხველს უნერგავს რწმენას, რომ საქართველოს რეალურ-მატერიალური სივრცე არსებობს იმდენად, რამდენადაც ქართველ ხალხს აქვს განცდა ერთიანი, მარადიული დროისა, რომლის ნაწილნიც თვითონვე არიან. ამგვარი მეტაფი-ზიკური აღქმა სივრცისა საფუძველია ერის გადარჩენისა. ლევანის სახით გრიგოლ რობაქიძე ქმნის იმგვარ პერსონაჟს, რომელიც თავისუფლების იდეად გარდაიქმნება. იგი მზის ნიშნით არის აღ-ბეჭდილი, რაც იმგვარ არსებობას ნიშნავს, როცა ყოველ წუთს მზად ხარ თავი გასწირო და გააჩუქო მზესავით. საგულისხმოა, რომ რომანში კოტე მარჯანიშვილი დგამს პიესას, რომლის კულმინაციაა ეპიზოდი, როდესაც მებრძოლებს დაღუპული მეომრის ცოცხალი გული შემოაქვთ (ამ ეპიზოდს თამაშობენ უშანგი ჩხეიძე და აკაკი ვასაძე. ლევანი წერს სწორედ ამ დროს მეომრის წარმოსატემელ სიტყვებს, რომლებმაც უნდა შეძრან ქართველი მაყურებლის გული და თავგანწირვისთვის აღძრან). ლევანი ცდილობს ჩასწვდეს სინათლისა და სიბნელის ბრძოლის არსს. მისთვის 1921 წლის 25 თებერვლის ის „წყეული ღამე“, როცა ბოლშევიკები თბილისში შემოიჭრნენ, იქცა შინაგანი რღვევის დასაწყისად: „ის შინაგანი ღერ-ძი და დერიტა, ზეციური თვალი პატიოსანი, რაც გამჩენმა ჩაუდო სულში, ახლა დამსხვრეულიყო“ (რობაქიძე 2012ა: 87). ამიტომაც თითქოს გზააბნეულ მხეცს დაემსგავსა, მაგრამ ერთგვარ შემწედ ნიციშეს სიტყვები მოევლინა: „დაე იმან, რაც ვერ მანადგურებს, გამაძლიეროს“ (რობაქიძე 2012ა: 87). ამ სიტყვების ჭეშმარიტე-ბამ ელვასავით გაჰკრა და შეძრა, ამიტომაც შეეცადა მორწმუნის

სასოების სიძლიერით შეექმნა „ახალი სინამდვილე“, რომელიც გადაარჩინდა (რობაქიძე 2012ა: 115). სწორედ ლევანს აღმოაჩნდა სულის „მისტიკური ნაპერწკალი“, რომელმაც თასი გრალისა მუზეუმის ექსპონატობისაგან იხსნა.

პერსონაჟი, როგორც თავისუფლების იდეა – გვახსენებს ვაჟა-ფშაველას მიერ შექმნილ ლუხუმის სახეს „ბახტრიონში“. პოემის ბოლოს დაჭრილ ლუხუმთან მიახლოებული საზარელი გველი იძლევა სიკეთის მიერ. მისი არსების ბნელი ენერგია გადაილახება და გადაიფარება იმ სინათლით, რომელიც ლუხუმის არსებიდან მოედინება. ეს ეპიზოდი ვარიაციას „ვეფხისტყაოსნის“ ქაჯეთის ციხის აღებისა და იმ სიბრძნის დასტურია, რომელიც გამჟღავნებულია პოემის აფორიზმებში: „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“, „ბოროტიმცა რად შეექმნა კეთილისა შემოქმედსა“, „ღმერთი კეთილს მოავლინებს და ბოროტსა არ დაბადებს...“. ფსევდოდონისე არეოპაგისეული მოძღვრება ბოროტების უარსობის შესახებ მსჭვალავს ქართულ ლიტერატურას და ეს ტრადიცია ირეკლება ამ რომანშიც.

საგულისხმოა, რომ მას შემდეგ, რაც ლევან ორბელი გრალის მცველი ხდება, ის იცვლება არა მხოლოდ შინაგანად, არამედ ფიზიკურადაც. იგი თითქოს ადამიანი კი არა, ცეცხლი იყო – სიყვარულით ანთებული. მას საოცარი ნათელი გადაეფინება, მისი სხეული განიმსჭვალება ღვთაებრივი სიკეთის ძალებით, რათა მან არა მხოლოდ მიწიერი, არამედ კოსმიური ბოროტი ძალები დაამარცხოს. მას სჯერა გრალის თასის გადარჩენისა, ამიტომ იოლად აჯერებს ხალხსაც, რომელსაც წარსულს თხრობისას მითოსად გარდაუქნის. მისი აზრით, როდესაც ერი ქედს უხრის დამპყრობელს, მისი სულიერი სიმრთელე სასიკვდილოდ ზიანდება, ხოლო თუ ვინმე ერთი მაინც არ დანებდება, ამით ერის სასიცოცხლო დვრიტა გადარჩება. მას არც სიკვდილის ეშინია; „მხოლოდ ამ უმაღლესი ნუთისთვის ღირდა ცხოვრება! მე აქ დავრჩები გრალთან ერთად. სიკვდილის წინ ჩვენს თასს წმინდა ცეცხლს გადავცემ, რათა უწმინდური ხელი არ შეეხოს. ის საქართველოს უკვდავ გულში განაგრძობს სიცოცხლეს. ამიერიდან მისი მცველი სხივოსანი ლაშარი იქნება“ (რობაქიძე 2012: 224).

რომანში ბოროტებას, რომელიც კონკრეტულ დრო-სივრცეში ბოლშევიზმს ემსახურება, უპირველესად, განასახიერებს ველსკი,

ყვეთელსახიანი წითური, მოლურჯო-მოიისფრო, ირიბად გაჭრილი, ჩამუქებულ უპეებში ჩამდარი ერთურთს არაბუნებრივად დაშორებული თვალებით, „სამურაი უნდა ყოფილიყავი, მისი მზერისთვის რომ გაგეძლო“ (რობაქიძე 2012:7). ტიბეტელი ჯადოქარით ყრუ და მომნუსხველი ხმით. სწორედ მასთან დაპირისპირება სიმბოლურად წარმოაჩენს დემონური და ღვთაებრივი ძალების ჭიდილს. მათ რეალურ დაპირისპირებას წინ უსწრებს ლევანის სიზმარი, რომელშიც ეს ურჩხული მას ყელის გამოჭრას უპირებდა. სხვა კომმარულ სიზმარში კი ველსკი გრალის თასში შემძვრალ საზარელ შხამიან ობობად წარმოუდგება. ველსკი თვითონვე აღიარებს, რომ ის გრალის შემმუსვრელია და ემსახურება უსახელოს, იგივე სატანას. იგი გვაგონებს რომან „ჩაკლული სულის“, ასევე, დემონურ პერსონაჟს, ბერზინს და თავისი სწრაფით, შეურაცხყო საკრალური, ეხმიანება დოსტოევსკის პერსონაჟს, ვერხოვენსკის, რომანიდან „ემმაკნი“.

როდესაც თავადი გიორგის სასახლეში შეჭრილი ველსკი ცდილობს, რომ ხელში აიღოს გრალი – აქ თითქოს ზეციურ ძალთა ორთაბრძოლა იხატება. ველსკი მეფისტოფელური სახეა. ბოლშევიკური ხელისუფლება უარყოფდა ყოველგვარ მისტიკურს, საკრალურს (ეს კარგად ჩანს ლეგასა და ველსკის საუბრებში – ისინი გრალის თასს სისულელედ, ჯამბაზობად აცხადებენ), მაგრამ ველსკი გველივით გონიერია, ის სწვდება სამყაროსეულ კანონზომიერებას, მან იცის, რისთვის არის ამქვეყნად მოვლენილი და, მიუხედავად ზედაპირული ღვთისუარმყოფელობისა, შინაგად სწამს მისი არსებობა და თავისი წინააღმდეგობის მნიშვნელობაც.

ლევან ორბელიცა და თავადი გიორგიც, გველემპათან მებრძოლი წმინდა გიორგის ხატებანი, თვითონ გრიგოლ რობაქიძის ალტერ ეგონი არიან. ორივე გამოხატავს მის წარმოდგენებს ქართველობასა თუ სამყაროსეულ ჭეშმარიტებებზე. სწორედ ეს ორი პერსონაჟია მთავარი ძალა, რომელიც ერთიანი, დამოუკიდებელი საქართველოს იდეის გადარჩენას ეწირება.

რობაქიძე ტრილოგიად მიიჩნევდა თავის სამ რომანს: „გველის პერანგს“, „ჩაკლულ სულსა“ და „მცველნი გრალისას“. „გველის პერანგში“ იხატება თავისუფალი სივრცე, რომელსაც „ჩაკლულ სულში“ ბლალავს, შლის და ანგრევს ბოლშევიზმი, ხოლო რომანში

„მცველნი გრალისა“ წარმოდგენილია ბრძოლა ბნელ ძალებთან ამ სივრცის გადასარჩენად.

საგულისხმოა, რომ გრიგოლ რობაქიძე რეალურადაც და ამ რომანის მიხედვითაც, ვერ ხედავს გამოსავალს შეაიარაღებული გზით ხელისუფლებასთან დაპირისპირებაში. ეს კარგად ჩანს ცალკეულ ეპიზოდში. ლევან ორბელი 1924 წლის აჯანყებაში არ მონაწილეობს და წინააღმდეგეცაა ამგვარი ბრძოლისა. ბასილასთან საუბარში მას ეს აჯანყება ხალხის თვითგამანადგურებელად და სრულ სიგიჟედ, ხარაკირად მიაჩნია. მას არ მოსწონს, რომ აჯანყებას თანასწორობის კომიტეტი ხელმძღვანელობს და არა ქარიზმატული წინამძღოლი: „რა ფასი ექნება იმ ჯარს, რომელიც ჰანიბალის, ალექსანდრესა თუ ნაპოლეონის მაგიერ რომელიღაც კომიტეტს შეჰყურებს?! ესაა ბრბო, ნაცვლად მუჭად შეკრული ძალისა. ლიდერის მაგიერ – კომიტეტი? ეს ხომ ანონიმური იმპოტენციაა!“ (რობაქიძე 2012ა:163). მას ასევე დაუშვებლად მიაჩნია ის, რომ აჯანყებულნი ქაქუცა ჩოლოყაშვილთან აქტიურად არ თანამშრომლობენ. ირუბაქიძეთა ძველისძველი სახელოვანი გვარის შთამომავალი, რომელიც გასაბჭოების პირველი დღეებიდანვე თავის შეფიცულებთან ერთად ბოლშევიკების წინააღმდეგ შეუპოვრად იბრძოდა, ერთადერთ ლიდერად წარმოუდგება. ამ აჯანყების კრახი რომანში დიდი გულისტკივილითაა წარმოჩენილი.

ლევან ორბელიცა და თავადი გიორგიც იბრძვიან საქართველოს პირველხატის, სულის გადასარჩენად. ამიტომაც მათთვის მნიშვნელოვანია გრალის თასის გაფრთხილება, ამ მფეთქავი გულის გარეშე, ერის სულიერი სიცოცხლის გარეშე მისი ფიზიკური არსებობა წარმოუდგენელია. რობაქიძის აზრით, ეს არის უმნიშვნელოვანესი, თუ პირველხატი გადარჩა, მაშინ ის აუცილებლად გამოვლინდება გარკვეულ მატერიალურ სივრცეში, თუნდაც ცალკეული ადამიანის გულში. სწორედ ამას გულისხმობს ლევანი, როდესაც პატარა, ნახევრად დანგრეულ ციხესიმაგრეში გამაგრებული, ზაქარას ახალი ორდენის შექმნაზე ესაუბრება: „ხალხი შინაგანად დამსხვრეულია, მაგრამ არა განადგურებული. ჩვენი ვალია, მისი ძალების აღორძინებას შევუწყოთ ხელი. უნდა შეიქმნას რჩეული კაცების მცირე გაერთიანება, რომელიც საკუთარ თავში ქართულ სულსა და არსს წმინდად და საიდუმლოდ შეინარჩუნებს“ (რობაქიძე 2012ა: 193).

ლევან ორბელის თავგანწირვას საოცარი გამოხმაურება მოჰყვა, ხალხმა თითქოს გამოიღვიძა: „გრალისთვის ბრძოლა ცეცხლივით მოედო იქაურ მხარეს. კვლავაც იტანჯებოდა საქართველოს გული: თბილისი. ხალხი დამარცხდა, მაგრამ ახლა საქმე მის ყველაზე სანუკვარ სინმინდეს, გრალს ეხებოდა. ათასობით ადამიანმა ახლალა შეიტყო, რომ საქართველოში მართლაც არის წმინდა გრალი. ბევრი გაოცებამ მოიცვა. ის, რასაც უნინ ზღაპრად ისმენდნენ, სისხლსავსე სინამდვილედ ქცეულიყო. ერთბაშად ყველამ უმძაფრესად შეიგრძნო საკუთარ თავში სიცოცხლის წმინდა წყაროს დინება, მაგრამ მით უფრო მძაფრად აღიძრა შიში ამ წყაროს დაშრობისა. ლევანი, ამ ხდომილების ცოცხალი ნაწილი, ყველასგან განშორებული და ყველასთვის ახლობელი, ახლა ყოველმა ქართველმა ხალხის წიაღიდან მოსულ იდუმალ ძმად დაიგულა. ლევან ორბელის სახელი ყველასთვის მეტყველ სიმბოლოდ იქცა“ (რობაქიძე 2012ა: 213).

რა აძლევს რობაქიძეს ამ პირველხატის გადარჩენის რწმენას? „ყოველ სანყისში თაურსანყისი თვლემს და მარადიული ცალკეულშია წარმოდგენილი. და თუ ცალკეული თავის თავზე მარადიულის გამანაყოფიერებელ ზემოქმედებას შეიგრძნობს, ამგვარად ის მარადიულთან წილნაყარია. მაშინ მისთვის ყოველი სასიკვდილო ზღვარი მეტად აღარ არის საბედისწერო საფრთხე და, მეტაფიზიკურ მიჯნას შეჯახებული მისი „მე“ შეიძლება გადარჩეს. ამგვარად, თაურშიშის დაძლევის ერთადერთ გზად მითიური რეალობის ცოცხალი წვდომა გვესახება“ (რობაქიძე 2012 ბ: 38).

ქართველი ერის ისტორია, მისი კულტურა, ტრადიციები. ეს ყოველივე ძნელად იძლევა ბოლშევიზმის მიერ: გავიხსენოთ, რომ ლევანთან ერთად მონათლული ბესია ხელმძღვანელობს იმ ჯარს, რომელსაც ციხესიმაგრის დანგრევა და მემამბოხეთა შეპყრობა ევალება. როგორ იქცევა ბესია? ის თვალს ხუჭავს. ან კიდევ, როდესაც თავადი გიორგის დაკითხვას ავალებენ მის ნათლულს, გპუ-ს მაღალჩინოსან შავდიას, ის უარს ამბობს, ხოლო როცა გიორგი გპუ-ს ტალანში არხეინად მოსეირნე ბაგრატიონს, საქართველოს ტახტის ერთადერთ მემკვიდრეს თვალს მოჰკრავს, ის შერცხვენილი მიიმალება. ამ ადამიანებს ჯერ კიდევ გააჩნიათ სინდისი, რომლის ჩაკვლასაც ბოლშევიკური რეჟიმი ცდილობდა. საგულისხმოა, რომ თავადი გიორგი ველსკის დაკითხვაზე რუსულად საუბარზე

უარს ეტყვის, ცარისტულმა რუსეთმა ქართველებს გვიღალატა და ამ ენასთან დაკავშირებით ფსიქოლოგიური ბარიერი მექმნებაო. ველსკი იძულებულია ფრანგულ ენაზე დაჰკითხოს.

სიყვარული არის მთავარი ძალა, რომელიც გმირებს სულიერად ამტკიცებს. ნორინა, მარადქალურობის სიმბოლო, ლევანის შთამაგონებელი და ძალის მიმცემია გრალის თასის გადასარჩენად გამართულ უშეღავათი ბრძოლაში. რომანის ბოლო ეპიზოდში ნორინა ფანჯრიდან იისფერ საღამოს გასცქერის. „უეცრად ლევანის სახე იხილა, სინათლით იყო გამსჭვალული და ნათელს ასხივებდა“ (რობაქიძე 2012: 241). ეს ნათელი მკითხველსაც გადაეფინება და რწმენითა და სიყვარულით აღავსებს. შეიძლება ითქვას, ამ რომანით, გრალის თასის მხატვრული სახის შექმნით, მწერალმა საქართველო გაამთლიანა და გადაარჩინა, მას შეუნარჩუნა საკრალურობა, რომლის შებღალვასაც ცდილობდა ბოლშევიკური ხელისუფლება. მითოსურ-სიმბოლური პარადიგმების ორიგინალური მხატვრული ტრანსფორმაციის გზით მწერალმა კიდევ ერთხელ დაანახვა მკითხველს პროვნული და სახელმწიფოებრივი თავისუფლების იდეები.

დამონებიანი

ბაქრაძე 1999: ბაქრაძე ა. *კარდუ ანუ გრიგოლ რობაქიძის ცხოვრება და ღვან-ლი*. თბილისი: გამომცემლობა „ლომისი“, 1999.

ელიაძე 2017: ელიაძე მ. *მარადიული დაბრუნების მითი*. თბილისი: გამომცემლობა „ალეფი“, 2017.

რობაქიძე 2012ა: რობაქიძე გრ. *მცველნი გრალისა*. თბილისი: გამომცემლობა „არტანუჯი“, 2012.

რობაქიძე 2012ბ: რობაქიძე გრ. *დემონი და მითოსი*. თბილისი: გამომცემლობა „არტანუჯი“, 2012.

სახელმწიფოებრივი სუვერენობის იდეა
მოდერნისტულ მწერლობაში
**The Idea of State Sovereignty in the
Modernist Literature**

IVANE AMIRKHANASHVILI

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

**Problem of Free Space in Givi Maghularia's
Novel "The Return"**

At the end of the 1980s, there was a lot of banned and dissident literature published in the Soviet Union. The books, which were brought out in Moscow, had an especially high impact. Therefore, a stereotype was formed that there were no dissident works in Georgian literature. However, in those years, banned works of more than ten Georgian writers were in fact published in Tbilisi. Givi Maghularia was amongst them. His novel *The Return* depicts the life in the Soviet concentration camp. The writer, who spent eight years imprisoned, claims that there was no free space in the Bolshevik period as the entire country lived under the prison regime. The protagonist of *The Return* escapes from the prison camp, but soon returns realizing that it does not matter whether he is inside or outside of the camp. The country is no less a prison than the concentration camp.

Key words: prison, freedom, human being, person.

ივანე ამირხანაშვილი

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

თავისუფალი სივრცის პრობლემა გივი მალულარიას რომანში „უკუქცევა“

ლიტერატურის ისტორიას სტერეოტიპების მიხედვით კითხულობენ. ეს აღქმის კანონია, ნაკითხვის წესია. რაც უფრო უარყოფ, მით უფრო არსებობს. სადაც ერთ სტერეოტიპს დაძლევე, იქ მეორე ჩნდება. დიალექტიკური მოვლენაა: უარყოფილი უარყოფით არსებობს.

1980 –იანი წლების ბოლოს, საბჭოთა სოციალისტური სისტემის რღვევის დროს, რუსულ ლიტერატურულ პრესაში ზედიზედ ქვეყნდებოდა აკრძალული და დისიდენტური ლიტერატურის ნიმუშები, რომლებიც ტოტალიტარიზმის ზეობის ხანაში იყო შექმნილი. აკრძალული და დისიდენტური ლიტერატურა ჩვენთანაც ქვეყნდებოდა, მაგრამ მეტროპოლიაში ატეხილ ხმაურს გაცილებით დიდი რეზონანსი ჰქონდა. გაჩნდა სტერეოტიპი, რომ რუსებს ჰქონდათ დისიდენტური მწერლობა, ქართველებს კი არა. ამ თვითკრიტიკულ მარგინალიზმს შესაძლოა ჰქონდა რაოდენობრივი საფუძველი, მაგრამ არსობრივად არასწორი იყო, რადგან ჩვენთანაც ქვეყნდებოდა ეგრეთ წოდებული „უჯრის პატიმრები“, ჩვენც ვიხსენებდით და ვინწყებულ სახელებს. გრიგოლ რობაქიძეზე რომ არაფერი ითქვას, გამოჩნდა კოტე ხიმშიაშვილის, ერეკლე ტატიშვილის, ბასილ მელიქიშვილის, ადამ ბობლიაშვილის, არჩილ კიტოშვილის, გიორგი ძიგვაშვილის, გაბრიელ ჯაბუშანურისა და ლადო ბალიაურის დისიდენტური ნაწარმოებები. დაიბეჭდა ოთარ ჩხეიძის რომანი „გამოცხადება“, რომელშიც 1956 წლის 9 მარტის ამბებია ასახული. ოთარ ჩხეიძემ გამოაქვეყნა აგრეთვე ცენზურის მიერ აკრძალული რომანი „ცთომილი“ და „ბორიაყის“ სრული ვარიანტი. აქვე შეგვიძლია ვახსენოთ მოგვიანებით გამოქვეყნებული ტექსტი, ავთანდილ კვასხვაძის რომანი „სიკვდილ – სიცოცხლის როკვა“, რომელიც ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის ბანაკების რეალობას აღწერს („ცისკარი“, 2011, № 7-8; 2012, № 1-7).

სწორედ ამ პერიოდში გამოვიდა იატაკქვეშეთიდან გივი მაღულარიას რომანი „უკუქცევა“. ჟურნალმა „ცისკარმა“ დაბეჭდა 1989 წელს, 1996-ში წიგნადაც გამოვიდა, მაგრამ ფართო გამოხმაურება არ ჰქონია. შეიძლება ამის მიზეზი ნაწილობრივ ისიც ყოფილიყო, რომ „უკუქცევას“ თითქმის ოცდაათი წლის განმავლობაში, დანერიდან გამოქვეყნებამდე, ხელნაწერში კითხულობდნენ არალეგალურად.

შეიძლება ითქვას, რომ ეს არის კლასიკური ლაგერული რომანი, რომელიც პატიმრის პირით მოგვითხრობს სტალინური საკონცენტრაციო ბანაკის ცხოვრებაზე.

გივი მაღულარია დაიბადა 1926 წელს თბილისში. 1948 წელს ჩეკამ დააკავა. მაშინ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე სწავლობდა, მასთან ერთად თენგიზ ზაღდასტანიშვილი და ოტია პაჭკორია დაიჭირეს. ანტისაბჭოთა შეთქმულებაში მონაწილეობა დააბრალეს. თითქოს სტუდენტებს, სამი ათას შეიარაღებულ ახალგაზრდასთან ერთად, განზრახული ჰქონდათ კრემლის აღება. დახვრეტა 25 წლის პატიმრობით შეუცვალეს. გივი მაღულარიამ ყაზახეთის ქალაქ ჯეზკაზგანის პატიმართა ბანაკში 8 წელი გაატარა. რეაბილიტაცია 1956 წელს მიიღო. მუშაობდა სამეცნიერო – ტექნიკური ინფორმაციისა და პროპაგანდის ინსტიტუტში მთარგმნელად. თსუ ჟურნალისტიკის კათედრაზე უფროს ლაბორანტად, პრორექტორის თანაშემწედ სამეცნიერო დარგში. ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში“ თატრის განყოფილების გამგედ. პირველი მოთხრობა „დაღამება ამა სოფლისა“ გამოაქვეყნა 1968 წელს ჟურნალ „მნათობში“, პირველი წიგნი „მეამბოხენი“ – 1973 წელს.

ფართო დიაპაზონის ლიტერატორი და ღრმა ანალიტიკოსი იყო. წერდა რომანებს, მოთხრობებს, კრიტიკულ წერილებს. აქვეყნებდა სტატიებს რუსთაველზე, ილია ჭავჭავაძეზე, მარკუს ავრელიუსზე, ომარ ხაიამზე, ჰენრიკ იბსენზე, მარსელ პრუსტზე, ფრანზ კაფკაზე, ჰაინრიხ ბიოლზე, ეგვიპტურ მითებზე... 1995 წელს გარდაიცვალა.

მისი სახე ეფემერულად შემორჩა ჩემს მეხსიერებას. მწერალთა კავშირის სასახლეში ან „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციაში ვხვდებოდი. ჩუმი სალამი იცოდა. კუმტ გამოხედვას ოდნავ არბილებდა გვერდზე გადავარცხნილი თეთრი თმა. მკვეთრად გამოკვეთილი ინტროვერტი იყო. თითქმის არ ლაპარაკობდა. ეტყობოდა, რომ ქარიშხლიანი შინაგანი ცხოვრებით ცხოვრობდა.

„ცხოვრებაში დახვეწილი ინტელიგენტი იყო და არაჩვეულებრივად მიმზიდველი პიროვნება. – წერს გურამ გეგეშიძე, – არ გამოირჩეოდა რაღაც ისეთი რადიკალური ყესტებით. მშვიდი კაცი იყო, მაგრამ ისეთი სიმტკიცე ჰქონდა, რომ რკინის კაცად აღვიქვამდი“ (გეგეშიძე 2005:5).

„რკინის კაცის“ ანარეკლი რომანშიც კარგად ჩანს. აშკარაა შინაგანი კავშირი ავტორსა და მთავარ გმირს შორის. თუმცა ეს არ არის წამყვანი კომპოზიციური მოტივი. რომანში მთავარია იდეა, როგორც ავტორის ცხოვრებისეული გამოცდილების მხატვრული დასაბუთება.

„უკუქცევა“ 1961 წელს არის დასრულებული. თარიღი ხრუმჩოვის „ოტტეპელს“ ემთხვევა, მაგრამ მხოლოდ ემთხვევა, რადგან აშკარაა, რომ მწერალმა რომანის წერა რებილიტაციის შემდეგ დაიწყო და წერტილი ამ წელს დასვა. შეუძლებელია „ოტტეპელის“ იდეებს ეკარნახა რომანის თემა. მწერალი დაბრუნდა საკონცენტრაციო ბანაკიდან და დაიწყო იმის მხატვრული ასახვა, რაც განიცადა პატიმრობის რვა წლის განმავლობაში.

რომანს მარტივი სიუჟეტი აქვს. მთავარი ხაზი მიჰყავს ჯუანშერ სამთავნელს, პატიმართა ბრიგადირს, რომელიც ბანაკის ხელმძღვანელობას კრიჭაში უდგას, ცდილობს წინ აღუდგეს მათ რეპრესიულ, არაადამიანურ მეთოდებს. გამუდმებული ფიზიკური და ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ იმყოფება, მრავალ კონფლიქტსა და მუქარას გადაიტანს, მაგრამ არ ნებდება, არ ტყდება, სულის სიმხნევებს ბოლომდე ინარჩუნებს. დროდადრო მის გვერდით ჩნდება მაია, რომელიც დაარწმუნებს, რომ მათი ბედნიერებისათვის საჭიროა გაიპაროს და ჯუანშერიც იპარება ბანაკიდან, მაგრამ უკანვე ბრუნდება...

პერსონაჟთა მრავალფეროვან გალერეაში იშიფრება კოდი: ბანაკი – საბჭოეთის მიკრომოდელი. პოლარიზებულ სივრცეში ერთ მხარეს არიან ჯუანშერი და მაია, მეორე მხარეს – დანარჩენები: კაპიტანი შუვალოვი და ლეიტენანტი ზორინი – ბანაკის უფროსები, გადიროვი – სამთავნელის მოადგილე, რუსი ემიგრანტი ტრაიანოვი, აიუბოვი – ფურნის გამგე, ებრაელი ყურნალისტი, გარუსებული ბერძენი, ჩუვაში, უზბეკი, ყაზახი, თათარი პატიმრები, პოლონელი ქსენდი, იპსონელი ყოფილი ოფიცერი კიმიხარა და ჩინელი რევოლუციონერი ვან იუნ ლი. ეს უკანასკნელი საერთო მასიდან იმით

გამოირჩევა, რომ ჯუანშერის მესაიდუმლეა, კონსპირაციული მიწურის გამოთხრაში დაეხმარება. ვან იუნ ლი ლიტერატურული ხასიათით, ერთგვარი შტამპური კოლორიტით, მოგვაგონებს სანდრო შანშიაშვილის „ანზორის“ პერსონაჟს – ჩინელ რევოლუციონერს. ნიშანდობლივია მათი აქცენტირებული ფრაზა – შანშიაშვილთან: „კაპიტანა! კაპიტანა!“ მალულარიასთან: „ბრიგადირო! ბრიგადირო!“

ბანაკი დილის ხუთ საათზე იღვიძებს და იწყება ბრძოლა – არსებობისათვის, გადარჩენისათვის, ლუკმა-პურისათვის, თავდაცვისათვის, თავდასხმისათვის, ვერაგობისათვის, ძარცვა-გლეჯისათვის. ცალ-ცალკე ყველას თავისი ინტერესი აქვს, მაგრამ ბრძოლის საერთო საგანია დრო: „დილის საათები ყველაზე მძიმე გამომფიტავი იყო მუდამ, ყველა თავისებურად ებრძოდა დროს: ზოგი ლოცვით, ზოგი ძილ – ღვიძილით, ზოგი მოგონებებით, ზოგიც ლაყბობით, მაგრამ გამარჯვებული ამ ბრძოლიდან ვერავინ გამოდიოდა“ (მალულარია 1996:12).

ბანაკი სცენაა, სადაც ყველას თავისი როლი აქვს. ვინც ვერ თამაშობს, სამუდამოდ ქრება სცენიდან.

ვნებები გაშიშვლებულია. თვალთვალი, დაბეზლება, ქურდობა, ნაქურდალის განაწილება, მექრთამეობა, კორუფცია – ისე, როგორც გარეთ. არსებობისათვის ბრძოლაში ყველანაირი ხერხი, ყველა გზა, ყველა საშუალება დასაშვებია. ადამიანური ღირებულებები განზეა გადადებული. ირგვლივ სისასტიკე და ნიველირების სული ბატონობს. ავტორის თქმით, ესენი არიან ადამიანები, რომლებსაც ღმერთთან სათხოვარი არაფერი აქვთ.

ეს ის გარემოა, სადაც გმირი უნდა გამოჩნდეს, ზნეობრივი გმირი, და ჯუანშერის სახით თითქოს ვხედავთ კიდეც მას, მაგრამ ეს მხოლოდ ილუზიაა. ჯუანშერიც ისეთივე მსხვერპლია, როგორც ყველა დანარჩენი.

ჯუანშერი ხვდება, რომ მისთვის სულ ერთია, სად იქნება, ბანაკის შიგნით თუ ბანაკის გარეთ. თავისუფლება არც ბანაკშია და არც ქვეყანაში. იძულებისა და დათრგუნვის ძალა ორივე მხარეს მოქმედებს. ამიტომ აზრი აღარ აქვს არც გაქცევას და არც, სხვათა შორის, ციხეებისა და სპეცბანაკების შექმნას, რადგან ქვეყანა – ერთიანი და თვალუნვდენელი საპატიმრო – რეჟიმის ხელშია.

„მარტო ჩემთვის აღარც თავისუფლება მინდა“ (მალულარია 1996: 190), – ამბობს ჯუანშერ სამთავნელი და ალბათ ავტორის ეთიკური კრედოც ეს არის. მაგრამ ის ვერც თავისთვის პოვნებს თავისუფლებას. გაქცევისას დგება ნათელხილვის მომენტი – სამთავნელი ხვდება, რომ შეუძლებელია პატიმრობას გაექცე. ამის შემდეგ მაიაც უჩინარდება რომანის სიუჟეტიდან, უკვალოდ ქრება, რაც სრულიად ბუნებრივია, რადგან ჯუანშერისთვის მაიასთან ურთიერთობა არც სიყვარული იყო, არც სულიერი თავისუფლება და არც ფიზიკური გადარჩენა. ეს იყო, უბრალოდ, თავისუფლების ილუზია, თავისუფლებისა, რომელიც არ არსებობდა.

ამ მომენტს კარგად გამოკვეთს როსტომ ჩხეიძე, რომელიც რომანის გამოცემისათვის დართულ ბოლოსიტყვაობაში წერს: „ნათელი სხივი, რასაც უნდა გაჰყვეს ადამიანი, არის არა თავისუფლების გარეგნული განცდა, რეალური მავთულხლართების მიღმა გაღწევა, არამედ ის ჭეშმარიტი სულიერი თავისუფლება, ის ზნეობრივი მადლი, რამაც უნდა იხსნას პიროვნება გადაგვარებისგან, არ აითქვიფოს მასაში და დიქტატორული სახელმწიფოს უბრალო ჭანჭიკად არ გადააქციოს“ (როსტომ ჩხეიძე 1996: 252).

გივი მალულარიას „უკუქცევა“ ანტიუტოპიური რომანია, ჟანრის ძირითადი მახასიათებლების თვალსაზრისით, – არათავისუფალი გარემო, ადამიანურობის კრიზისი, უპერსპექტივობა, გრძნობათა განადგურება, სოციალური კრაზი და სრული ნეგატივი. შესაბამისად, თხრობის სტილი მძიმეა, ჭარბობს ცნობიერების სიღრმეებიდან ამოზიდული განცდები და შთაბეჭდილებები. დიალოგები მინიმუმამდეა დაყვანილი. აქტიურად მუშაობს სივრცითი წარმოსახვა. სურათები ფერწერული კომპოზიციის პრინციპებზეა შეკრული, თუმცა მკვეთრი ფერები არ ჩანს, შავ-თეთრი და ნაცრისფერი დომინირებს. რომანში არც ქვეტექსტები გვხვდება, თუმცა მათი აღმოჩენა შეიძლება, თუ წინასწარ მომარჯვებული იდეით შევხედავთ. მაგალითად, ასეთ ფიგურად მოჩანს ბანაკის აღმოსავლეთით მდებარე მთა, უნაყოფო და დანყველილი. იკვეთება სხვა დეტალებიც, რომლებიც იძლევა განზოგადების საშუალებას, მაგრამ ამის საჭიროება არ არის, თხრობა მკვეთრად რეალისტურია.

გივი მალულარიას თხრობის თავისებურებას აუჩქარებელი, თანაბრად შენელებული ტემპიც განსაზღვრავს. ამ სტილს ოტია პაჭკორიამ „ანდანტი“ უწოდა (პაჭკორია 2008: 432). ეფექტზე რომ არაფერი ვთქვათ, ეს არის უაღრესად ზუსტი და სიღრმისეული ახ-

სნა. გარდა ამისა, ოტია პაჭკორია წერდა: „ეს არ გახლავთ საამოდ საკითხავი პროზა, გაზავებული მახვილგონიერი დიალოგებითა და იუმორით. მისი მელოდია დუნეა და მძიმე. მას აკლია გარეგნული სილალე, ყოველი მოთხრობა მკაცრი ანალიზის, დაძაბული ნერვების ნაყოფია და, იმავე დროს, სიტყვის ჯებირი თითქოს ცოტათი მორღვეულიცაა – რიტორიზმის, ექსტენსიურობის დალი ახლავს... არავითარი სიუჟეტური სიახლე, გამომგონებლობა, ამბის თხზვა, არავითარი ეფექტური ხრიკები“ (პაჭკორია 2008:436).

ამ მკაცრ, თითქმის ნეგატიურ დახასიათებაში, რაოდენ პარადოქსულიც უნდა იყოს, კარგად ჩანს გივი მალულარიას სტილის ღირსებები და, უპირველეს ყოვლისა, ეს არის სიმართლე, გულწრფელობა, უშუალობა. მას არ სჭირდება ეფექტური ხრიკები, სიუჟეტური ხვეულები და ამბის გამოგონება, გადმოგვცემს იმას, რაც სათქმელი აქვს, რაც სულის სიღრმემდე უგრძნია. თუმცა, ვერ ვიტყვით, რომ სტილური თავისთავადობა არ გააჩნია, არის ისეთი, როგორც არის – რთული, მდორე, ნერვული, გრძნობიერი და პირდაპირი.

„უკუქცევა“ მრავალმხრივ საგულისხმო რომანია. უწინარეს ყოვლისა იმით, რომ მასში გამოხატულია თაობის სათქმელი, როგორც პროტესტი საბჭოთა ტოტალიტარიზმის წინააღმდეგ. გივი მალულარია იმ თაობას ეკუთვნის, რომელმაც ყველაზე მძაფრად იგრძნო ბოლშევიზმის მარნუხები და რომელიც თავისუფალი სივრცის ძიებაში გამუდმებით „უკუიქცეოდა“. უკუქცევა – ეს მათი ცხოვრებაა, მათი სტილია. ნიშანდობლივია, რომ ოტია პაჭკორიასაც აქვს ტექსტი ამავე სათაურით – „უკუქცევა“. ეს არის მოთხრობა ეგზისტენციურ თემაზე, რომელშიც ნაჩვენებია ცხოვრებას შექიდებული ადამიანის ფსიქოლოგიური კრახი.

ღამონიშანი:

გეგეშიძე 2005: გურამ გეგეშიძე. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, №112-113, 14 მაისი, 2005.

მალულარია 1996: მალულარია გ. უკუქცევა. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 1996.

პაჭკორია 2008: პაჭკორია ო. დრო და სახელები. თბილისი: გამომცემლობა „ლიტერატურის მატიანე“, 2008.

ჩხეიძე 1996: ჩხეიძე რ. „ხვედრი“. ბოლოსიტყვაობა. მალულარია გ. უკუქცევა. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 1996.

GIA ARGANASHVILI

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Motif of Maintaining of the National Consciousness in the Works of Basil Melikishvili

GBasil Melikishvili suffered loss of the country's independence, disappointment caused by unsuccessful uprising with the intensity of a romanticist and joined the literary movement aiming to save the spiritual values and maintain the national consciousness.

In this respect, Basil Melikishvili's story "A Swallow with the Smoked Chest". The keynote of the story is maintenance of the national consciousness – national originality, consciousness, language.

Basil Melikishvili's long story "Turmani" should be regarded as one of the best samples of Georgian modernist literature. Here there clearly seen Nietzsche's idea of eternal returning and the poetic version of Georgia's conversion to Christianity, that remains as an outstanding example of human self-cognition and spiritual continuity in the reader's memory.

Key words: national originality, consciousness, language.

გია არგანაშვილი

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

„სახის შერჩენის“ მოტივი ბასილ მელიქიშვილის შემოქმედებაში

გასული საუკუნის პოლიტიკურად რთული და დრამატული 20-იანი წლები ჩვენს ლიტერატურაში დასავლური კულტურულ-ესთეტიკური გამოცდილების გაზიარებისა და ნაციონალური იდენტობის ხელახალი გააზრების პერიოდს დაემთხვა. მოდერნიზმი, როგორც ლიტერატურული მიმდინარეობა, განსხვავებული ფორმებით და თავისუფლებისადმი სწრაფვით ზუსტად მოერგო საზოგადოების იმ ემოციურ განწყობას, რომელიც ქართული სა-

ხელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადებით და შემდეგ მისი დაკარგვით იყო გამოწვეული.

ამ მიმართულებით მკითხველი კარგად იცნობს ვასილ ბარნოვის, მიხეილ ჯავახიშვილის, გერონტი ქიქოძის, კონსტანტინე გამსახურდიას, გრიგოლ რობაქიძის, ნიკო ლორთქიფანიძის, ლეო ქიაჩელის შემოქმედებას. თუმცა შეუძლებელია ჩვენში მოდერნისტული პროცესების სრულყოფილად გააზრება, თუ ადრე გარდაცვლილი მწერლის, ბასილ მელიქიშვილის (1904-1930) მხატვრულ ტექსტებსაც არ დავუთმობთ სათანადო ყურადღებას.

ამ მწერალმა მხოლოდ ოცდაექვსი წელი იცოცხლა და ამ ხნის განმავლობაში მაინც მოასწრო თავისი კვალი დაეტოვებინა ქართული ლიტერატურის ისტორიაში. ის ყურადღებას იქცევს უპირველესად ორიგინალური აზროვნებით, სტილური თავისებურებით და თავისი რთული ეპოქის მხატვრული გააზრებით, რაც დღეს ხელახალი ძიების და დაკვირვების საგანი ხდება.

ვვარაუდობთ, რომ მწერალი უშუალო მონმე და (სავარაუდოდ) მონანილევ იყო 1924 წლის აჯანყებისა. ბასილ მელიქიშვილის შემოქმედების მკვლევარმა მარინე რევიშვილმა დაწვრილებით გამოიკვლია ამ პერიოდის ისტორიული მოვლენები და მწერლის ბიოგრაფიულ ფაქტებთან შეჯერებული საგულისხმო და სანდო დასკვნის სახით მიანოდა მკითხველს:

„სამწუხაროდ, რაიმე დოკუმენტი ან ნიშანდობლივი დეტალები ბასილ მელიქიშვილის მონანილეობისა ამ აჯანყებაში არ შემორჩენილა. ცნობილია მხოლოდ, რომ შვილის „დანაშაულის“ გამო მამა მწერლისა გამომწყვდეული იყო მეტეხის ციხეში და მოგვიანებით იგი დახვრიტეს. თვითონ ბასილი გადაურჩა დახვრეტას. მეტეხის ციხეში პატიმრობისას იგი დაავადდა ქლეკით და ამ მძიმე სენმა რამდენიმე წელიწადში ბოლო მოუღო. მძიმე სენის მომძლავრებას, ბუნებრივია, ხელი შეუწყო იმ მწარე განცდამ, სინდისის ქენჯნამ, რომ მამა მის ფარულ საქმიანობას შეენირა“ (რევიშვილი 1998:18).

თუმცა, როგორც არ უნდა იყოს ისტორიული სინამდვილე, ერთი რამ ცხადია, მწერალმა რომანტიკოსის სიმძაფრით განიცადა ქვეყნის დამოუკიდებლობის დაკარგვა, წარუმატებელი აჯანყებით გამოწვეული იმედგაცრუება და აქტიურად ჩაერთო იმ ლიტერატურულ მოძრაობაში, რომელიც სულიერი ღირებულებების გადარჩენასა და ეროვნული ცნობიერების შენარჩუნებას ისახავდა მიზნად.

ბასილ მელიქიშვილის შემოქმედებითი პროგრეტი კი მოკლედ ასე შეგვიძლია ჩამოვაცალიბოთ:

გასული საუკუნის ოციანი წლებში, პოლიტიკურ-იდეოლოგიური რეჟიმის პირობებში, ბასილ მელიქიშვილის სახით იკვეთება პატრიოტულ-რომანტიკული, თუმცა გალიზიანებული და მშფოთვარე სული ახალგაზრდა მწერლისა, რომლის მხატვრულ-ესთეტიკური სივრცე, ერთი მხრივ, ეროვნულ-ლიტერატურულმა რეფორმამ (ვაჟა-ფშაველა, ვასილ ბარნოვი), მეორე მხრივ – ახალი ფილოსოფიურმა სამყაროს მისტიკურმა ჭვრეტამ განსაზღვრა.

ამასთანავე, ბასილ მელიქიშვილის მსოფლმხედველობასა და სტილურ თავისებურებებზე განსაკუთრებული გავლენა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ, ერეკლე ტატიშვილმა მოახდინა. ეროვნული ღირებულებების დასავლურ ტენდენციებთან სინთეზმა კი მწერალს შეაძლებინა, თავისი განცდებისთვის გარკვეული ესთეტიკური მიმართულება და მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალური სახე მიეცა.

მკითხველს აქვე მივანვდით ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ინდუისტური მოძღვრება, რომელსაც ერეკლე ტატიშვილის მსოფლმხედველობა ეყრდნობა, დიალექტიკის ელემენტებსაც შეიცავს, სამყაროს მუდმივი ცვალებადობის და მოვლენათა მიზეზობრივი კავშირის აღიარებით ის გარკვეულად მატერიალიზმის თეორიულ წინაპირობასც ქმნის, ხოლო მისგან თავდასაღწევად ინტუიციური წვდომის, მისტიციზმის გზას ირჩევს.

ეს შინაგანი წინააღმდეგობა, მრავალი სხვა ფილოსოფიური მოძღვრების მსგავსად, არღვევს ადამიანის სულიერ სიმტკიცეს, ინვევს მოუსვენრობას და „განწირულ სულისკვეთებას“, რომელიც მხატვრულ შემოქმედებაში მარტოსულობის, მიუსაფრობისა და განდგომილობის გაუხსნელ კვანძებად გადადის. საინტერესოა, რომ სწორედ ამ თვისებების მქონეა ბასილ მელიქიშვილის ერთ-ერთი მოთხრობის მთავარი გმირი (თურმანი), რომლის პროტოტიპი, ავტორისავე ცნობით, სწორედ ერეკლე ტატიშვილია.

ჩვენ უკვე ვთქვით, რომ ბასილ მელიქიშვილის შემოქმედება დატვირთულია მითოლოგიური ელემენტებით, ფოლკლორული ხასიათებითა და ისტორიული წარსულით. თუმცა თითოეული მისი მოთხრობა თუ მინიატურა ერთგვარი გამოხატულება და პასუხია იმდროინდელ საქართველოში დატრიალებული პოლიტიკური

კრიზისისა და სახელმწიფოებრიობის დაკარგვით გამოწვეული საზოგადოების მიძიმე დეპრესიული მდგომარეობისა.

ამ მხრივ ძალზე მნიშვნელოვანია ბასილ მელიქიშვილის რამდენიმე ნაწარმოები და მათ შორის უმნიშვნელოვანესია „ქვირინაი“. ამ მინიატურაში თავისუფლების იდეაა გამოხატული. „ფაფარაფორიაქებული“ გაუხედნავი კვიცის შეპყრობა, ქამანდებში გახლართვა სიმბოლურად სწორედ ერის ტრაგიკულ ბედს უკავშირდება:

„...ადამიანებმა კვლავ ქამანდები შემოგახვიეს, ფაშატები დაფრთხენ... და მთვარე როს ჩაესვენა, ადამიანებს დაჩლეჩილი გვამი-ლა შერჩათ ქვირინაისი. მაშინ კი მოგხსნეს ქამანდები, თვალდამდგარო, გაციებულო კვიცო ქვირინაი“ (მელიქიშვილი 1987:180).

თუმცა თავისუფლების დაკარგვა მხოლოდ დასაწყისია ერის გადაგვარების, ეროვნული ცნობიერებისა და თვითმყოფადობის დაკარგვის გზაზე, რომლის საშიშროებას წინასწარ გრძნობდნენ გასული საუკუნის 20-იანი წლების ქართული საზოგადოების ცნობილი მოღვაწენი.

ამ მხრივ ძალზე მნიშვნელოვანია ბასილ მელიქიშვილის შემოქმედება. მის ერთ-ერთ მოთხრობას „მკერდმეპოლილი მერცხალი“ ლაიტმოტივად გასდევს სწორედ „სახის შერჩენის“ – ეროვნული თვითმყოფადობის, ცნობიერების, ენის შენარჩუნების იდეა. ამ ნაწარმოებში დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის სიმბოლოდ პირველად ჩნდება რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ დაუღლელი მებრძოლის ალექსანდრე ბატონიშვილის მხატვრული სახე.

გიორგი შატბერაშვილი მწერლის შემოქმედებისადმი მიძღვნილ სტატიაში, საგანგებოდ ჩაუღრმავდა ამ თემას:

„ეს მოთხრობა საქართველოს ისტორიულ ბედს უტრიალებს ირგვლივ. ამ პოეტურ მოთხრობაში, რომელსაც თამამად შეიძლება პოემა ვუნოდოთ, დახატულია ქართველთა ბრძოლა ეროვნული გადაგვარების, თავისთავადობის დაკარგვის წინააღმდეგ. ამბავი კონკრეტულ ისტორიულ გარემოში ვითარდება. ავტორს მოთხრობის ერთ-ერთ ეპიზოდურ გმირად გამოჰყავს ალექსანდრე ბაგრატიონი, ძე ერეკლე მეორისა. ამ დაუდეგარი ბატონიშვილის შემწეობით ლეკთა ტყვეობაში სამუდამო დარჩენას და გადაგვარებას გადააჩება ამბის მთავარი გმირი თორელი. იგი სამშობლოს უბრუნდება, თან გამოიტაცებს პატარა ბიჭს, რომელიც ლეკის ქალ დეისთან შეეძინა. თორელი და მისი ვაჟიშვილი მშობლიურ მთებს

მოაღწევენ და არ იზიარებენ ბედს საბრალო მკერდშებოლილი მერცხლისას, რომელმაც გადაგვარების შიშით საკუთარი კლანჭებით ყელი გამოიღადრა და თავი მოიკლა“ (მატბერაშვილი 1975:99).

„მკერდშებოლილ მერცხალში“ არაერთხელ და პირდაპირ გაისმის ლექსითი გატაცებული ჩადისციხელი თორელის სასონარკვეთილი კივილი, რომელიც სახის დაკარგვის შიშით არის გამონვეული:

„მაშინ კი გაბედე, თორელო, მისვლა ალექსანდრესთან!

– ნამიყვანე ჩადის ციხეს, დამიხსენი გადაგვარებისგან. შემარჩინე სახე, – შეჰლაღადე“ (მელიქიშვილი 1987:18).

თორელს გადაგვარების ხიფათი საკუთარი ქვეყნიდან შორს ყოფნის გამო ემუქრება, მას ეშინია, რომ სულ მალე წელში ლეკივით მოიხრება. რომ მალე უცხო ენაზე დაიწყებს ჟღერუტულს, გადაგვარდება და მკერდშებოლილი მერცხლის ბედს გაიზიარებს.

თუმცა ეს საშიშროება შედარებით ადვილად დასაძლევია, რადგან სამშობლოში დაბრუნება, რაც არ უნდა რთული ჩანდეს, შეუძლებელი მართლაც არ არის (მართლაც, თორელი თავის შვილთან ერთად ჩადისციხეს უბრუნდება). გაცილებით უფრო ძნელია, როდესაც „სახის დაკარგვის“ მიზეზი თვითონ ადამიანში, საზოგადოების შიგნით, ზნეობრივ დაცემასა და სულიერ კრიზისშია საძებნი.

ამ მხრივ ძალზე საინტერესოა ბასილ მელიქიშვილის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწარმოები „თურმანი“, რომელიც ქართული მოდერნისტული მწერლობის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს. ამ ნაწარმოებში ერთდროულად ჩანს ნიციშეს მარადიული დაბრუნების იდეა, ხელახლა ბავშვად დაბადების სახარებისეული იგავი, ქართლის გაქრისტიანების პოეტური ვერსია და ნაწარმოების ის მისტიკურ-სიმბოლური პლასტი, რომელიც ადამიანის თვითშემეცნებისა და სულიერი უწყვეტობის შესანიშნავ მაგალითად რჩება მკითხველის მეხსიერებაში.

„თურმანში“ მოქმედება ძველ დროში, ქართლის სოფლებში ვითარდება. აქ ღვარძლი მორევია პურის ყანებს, წმინდა ხორბალი გამქრალია, თესლი– გადაგვარებული. ხორბლის ნაცვლად ხალხი ღვარძლს სჭამს. ეს კი მომავალ თაობას დალუპვას უქადის:

„ხალხი კი ღვარძლს ებრძოდა. არსად იყო ხსნა, არ იყო საშველი. ღვარძლმა თავისი გაიტანა. დალიჯა გაჯდა ძველსა და რბილში. ღვარძლმა ბუდე შუქართს დაიდო და სოფელი დაიმონა (მელიქიშვილი 1987:44).

ხალხის გადარჩენა შეუძლია მხოლოდ ხორბლის წმინდა თესლს, რომლის საძებნელად ახალგაზრდა თურმანი სხვა სოფლებში მიდის. ლასტისციხეში ის მიაგნებს წმინდა თესლს, ამასთანავე შეიტყობს, რომ ხორბალი უცოდველმა ბავშვმა უნდა დათესოს და ის უნდა შეენიროს ამ საქმეს. თურმანი ცდილობს ბავშვის გადარჩენას და სოფელში ჩამოტანილ ხორბლის თესლს წვავს. თუმცა ის მაინც ვერ ახერხებს მოგვების წინასწარმეტყველების შეცვლას და თვითონაც ეწირება ხალხის მომავალს...

ბასილ მელიქიშვილმა ამ მოთხრობაში მოვლენათა იგივეობის ნიშნით მიმართა წარსულს (ამ მხრივ “თურმანში” მართლაც აღარ რჩება ადგილი ნიციშესული მოძღვრების მარადიული დაბრუნების იდეისთვის, რასაც ვერ ვიტყვით ბასილ მელიქიშვილის სხვა მოთხრობებზე). აქ მწერალმა განაზოგადა თავისი დროის ეპოქალური ტრაგედია და თვისობრივად ქართლის გაქრისტიანების წინა პერიოდს შეადარა, როდესაც კაცობრიობის მძიმე სულიერი კრიზისის პირობებში იშვა კერპთემუსვრის იდეა (რადგან წარმართულმა სამყარომ თვით ჭეშმარიტი ღმერთიც კი გააკერპა), როდესაც იშვა იდეა მსხვერპლშენივარზე უარის თქმისა („მსხვერპლი, ღმრთისა არს სული შემუსვრილი, გული შემუსვრილი და დამდაბლებული...“ ფსალ. 50) და როდესაც „ურწმუნოების მთანი დაირღვეს ქართლსა შინა“ (ლეონტი მროველი).

მართალია, ამ ნაწარმოებში მწერალი ანტიკურ დროს ასახავს და პერსონაჟებიც წარმართი ქართველები არიან, მაგრამ შესაძლებელია, რომ მასში მოთხრობილი ისტორია ბევრად უფრო რეალურია და გასული საუკუნის ოციან წლებში მომხდარი ნამდვილი ამბავი უდევს საფუძვლად.

უბედურება, რომელიც მოთხრობის სიუჟეტის მიხედვით შუქართს დაატყდა თავს (თესლის გადაგვარება, ღვარძლი, დალიჯა, სნეული ხალხი და ფიზიკური განადგურების საშიშროება), სწორედ გასული საუკუნის ოციან წლებში ქართლის მრავალ სოფელს მოედო და მათ შორის იმ კუთხესაც (მთიულეთი, სოფელი ხანდო) დაატყო თავისი მძიმე კვალი, მწერალი თავის მამა-პაპურ ფუძედ რომ მიიჩნევდა.

ავტორი რომ თვითონ იყო მნახველი იმ ტრაგიკული მოვლენებისა (ან უშუალოდ თვითმხილველის მონათხრობს ეყრდნობოდა), იქიდანაც ჩანს, თუ რა საკვირველი სიზუსტით აღწერს ღვარძლის

შედეგს, სწეულების სხვადასხვა ნიშანს (სიმთვრალე, თავბრუ, ფსიქიკური აშლილობა, ქეცი, მუნი და სხვა მრავალი):

„გაირა ყრმამ – თეძოდაგრეხილმა და ყვითელმა.

გაირა ქალმა – მკერდჩაფარდნილმა და ქაჩალმა.

გაირა ჭაბუკმა – ქოსამ და მუნიანმა, ქეცამტყდარმა და უგვანმა თურმე ბევრი შესძლება დალიჯასა, ბევრი და აუტანელი“ (მელიქიშვილი 1987: 46).

რეალური და მისტიკური აღქმის სამყარო აქ შეუმჩნევლად გადადის ერთმანეთში. თითქოს 1921-24 წლების საქვეყნო ტრაგედიაშიც დაკარგა დროის საზღვრები და ნაწარმოების რეალისტურმა ხაზმა მეტაფორულ–სიმბოლური მნიშვნელობა შეიძინა. ბუნებრივად დაიბადა მითოლოგიურ-ფოლკლორული ანალოგიები, რაც ძალდაუტანებლად გამოიკვეთა პერსონაჟთა პორტრეტებში, როგორც მათი ქცევისა და მოქმედების აუცილებელი მოტივი.

თუმცა ჩვენთვის ბევრად უფრო საინტერესოა ის სიმბოლური ხაზები, რომლებიც თავისუფლად არღვევენ დროის საზღვრებს.

ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ სახის დაკარგვის იდეა „თურმანშიც“ არანაკლები სიმძაფრით იჩენს თავს. მთელი სოფელი აქ პანიკურ შიშს შეუპყრია. დიდი თუ პატარა წყალში იხედება და ამონმებს, დალიჯამ სახე ხომ არ გადაუგვარა:

„– დიახ, ნინიავ! ღვარძლი მძვინვარებს ამა სოფლად. დიახ, ქეცი გაფიქრებს და განუხებს. იქნება შენს სახესც შეეპაროს ქეცი. გარბიხარ წყაროსკენ, ჩაჰყურებ დანმენდილ გუბეს. შინ შენი სახე სჩანს, მუნმა დაგახვია ქერტლი. ხელებს კანკალი აუტყდათ და ლომკაცს შიში შეეპარა. ღვარძლმა შენც ხომ არ მოგძებნა?!“ (მელიქიშვილი 1987:46).

„მკერდშებოლილ მერცალაზე“ საუბრის დროს ჩვენ უკვე უკვე ვთქვით იმის შესახებ, რომ გადაგვარებას, სახის დაკარგვას უცხო მინაზე, უცხო ხალხში ყოფნა იწვევს. „თურმანში“ კი ამის მიზეზი უფრო ღრმაა. მართალია, მუნს, ქეცს, ფსიქიკურ აშლილობას ღვარძლიანი პური და დალიჯა იწვევს, მაგრამ თვითონ ღვარძლის გაჩენა საზოგადოების ცოდვით დაცემაზე მიანიშნებს (მხატვრულ ტექსტში ეს ლოგიკური შედეგია, თუმცა ავტორი ამის შესახებ პირდაპირ არაფერს ამბობს). ამიტომაცაა, რომ ხალხის გადასარჩენად უცოდველი მსხვერპლის პოვნა (ქრისტეს ალუზია) საჭირო, ამიტომ წვავს თურმანი სათესლე ხორბალს, რადგან ფიქრობს, რომ

ხალხი არ არის ღირსი, რათა მათ საიმედო მომავალს უცოდველი ყრმის სიცოცხლე შეენიროს.

ნანარმოებში აღწერილი მლაშე ტბა და ნაზღვაური უდაბნო, რა თქმა უნდა, მეტაფორაა, სულიერი მნიშვნელობით დატვირთული მხატვრული სახე (ისე როგორც ღვარძლი), თუმცა შესაძლოა, რომ თავად ავტორსაც ჩაუხედავს გარეჯის უდაბნოს მლაშე ტბაში და დაუნახავს თავის სახე: ვინრო, გამხდარი და მკაცრი; დაუნახავს თავისი თვალები, ქვეყანას დაცინვით რომ უმზერდნენ, უგრძვნია უდაბნოს ქარიშხალი და მხურვალეობა, რომელიც განსაკუთრებული მღელვარებით აღავსებს მნახველს...

„იქნებ ზედმეტად გამიტაცა მოთხრობის რეალისტური ხაზის კვლევამ? მწერალმა ხომ შეგნებულად გადაიტანა მოქმედება ანტიკურ ხანაში, შეგნებულად წაშალა კონკრეტული დროის (ოცინი წლები) საცნობი ნიშნები, მოვლენათა მხატვრული განზოგადების ხერხს მიმართა, რათა უფრო ცხადად დაგვენახა ტრაგედიის (ანექსის) პირველმიზეზი (სულიერი კრიზისი), როგორც აუცილებელი (რისი აცილებაც შეუძლებელია) შედეგი, მასზე უწინარეს მიზეზთა (ქვეშარტებისგან განდგომა)“ (არგანაშვილი 2006:99).

ამ პარალელებს თუ გავიაზრებთ, მივხვდებით, რომ ამ ნანარმოებში ბასილ მელიქიშვილი უფრო ღრმად ეძებს სახელმწიფოებრიობის დაკარგვის მიზეზს, ასევე არაორდინალურია მისი შეხედულება 1924 წლის აჯანყებაზე, რომელმაც მრავალი უდანაშაულო მსხვერპლი და სისხლი მოიტანა.

რა თქმა უნდა, ამ ციტატის პირდაპირი გაგება არაა აქ ნაგულისხმევი, მაგრამ „თურმანში“ კვლავაც გაფრთხილებლად ისმის მოგვი ნინიას ხმა:

„...დასწვი ხორბალი, თურმანო, გაანადგურე, ეგებ არც კი არის შუქართი ხორბლის ღირსი..“

თურმანი ხვდება, რომ ხალხის გადარჩენა, ღვარძლისგან თავის დახსნა დროებითია, რადგან შეუძლებელია უმანკო მსხერპლმა (ხალხმა ანამა და გათელა უმანკო ოქროსთმიანი ბალღი თანდელი) ადამიანები სამუდამოდ იხსნას ამ უბედურებისგან. არც ბოროტების ნაყოფის – მახინჯი ჯათის სიკვდილია გამოსავალი, რადგან ბოროტება თვითონ ადამიანებშია ჩაბუდებული და მათი გადარჩენის გზა მხოლოდ სინანულია.

„შუქართს სინანულმაც გადაიარა. ზოგიერთს სვინდისმა გულში ჩახედა და სინანულად გაშალა...

ნუთუ თესლი უნდა დაინმინდოს? ნუთუ ჩვენ უნდა ვიბოგინოთ? რამ გაუძლოს ამდენ ცოდვას?

ბალღი გავგლიჯეთ და ნაფლეთები ერთმანერთს ველარ დავაშორეთ“ (მელიქიშვილი 1987: 65).

მაგრამ ეს სინანულიც დროებითია, რადგან ხალხი სახედაკ-არგული ბრბოა, ხალხი უფსკრულს დაქანებული ხეა, ისინი ვერ გრძნობენ, რომ მათ წინაშე ვინრო გზა არის, გზა გადასაჩეხი და სახიფათო. ვერ გრძნობენ და არ ესმის თურმანის კვილი:

– მოძებნეთ მიჯნა და შესდექით!

ხოლო თურმანი?! თურმანი „ორგზის მოსულივით იცქირებოდა“, თურმანს სახიდან ბავშვობაში მიღებული ჭრილობაც (კაცობრიობის პირველცოდვის ნიშანი) კი გაუქრა. ეს კი ახალი ადამიანის დაბადებას ნიშნავს („უკეთუ ვინმე არ იშვას მეორედ, ვერ ხელენიფების ხილვად სასუფეველი ცათაი“ იოანე 3.3). ავტორს რომ გააზრებული აქვს პერსონაჟი და მისი მეტაფორული სახეცვლილება, იქიდანაც ჩანს, რომ თურმანი „ცამ თუ ჩაიძირა“?. ესაა ინიციაციის უმაღლესი საფეხური და მარადიული დაბრუნების იდეისგან განსხვავებით, რომელიც გონით დაბადებას აღიარებს, უნივერსუმთან კავშირის მყარ საფუძველს გულისხმობს.

ნაწარმოების დასასრულს თურმანი ერთხელ კიდევ ბრუნდება „მარტოობის იქიდან“, რათა „უკანასკნელი მსხვერპლი“ შესწიროს ბოროტების საკერპოს და ამით დაასრულოს ეს სისხლიანი და მარადჟამს განახლებადი ტრაგედია:

„და ამა მატიანის დამწერი, მონაი არმაზისაი განვიდა არმაზს თაყვანისცემად. ცა იცრიცებოდა, და მზე აღმოხდომოდა ამა სოფელსა“.

„და მიუახლოვდა მემატიანე დიად კერპსა, გარნა მონამან არმაზისამან კერპი იხილა მოშთობილი და დახსნილი“.

„საკერპესა ზედა ეგდო შიშველი ადამიანი და ადამიანი იგი თურმანი იყო“ (მელიქიშვილი 1987: 77).

როგორც ვნახეთ, ნაწარმოების ფინალში კვლავ თავს იყრის დროით საკმაოდ დაშორებული მასშტაბური ქართლის გაქრისტიანება, კერპების მსხვერვეა და ჩვენს დროში სახემწიფოებრიობის დაკარგვით გამოწვეული ტრაგიკული მოვლენები, რადგან ნების-

მიერი ლიტერატურული ტექსტი გარკვეული პასუხია იმ ეპოქალურ მოვლენებზე, რომლებიც იმ გარემოში ხდება, სადაც ეს ტექსტი იქმნება. თურმანის მიერ არმაზის კერპის მსხვრევა გარკვეული პასუხია (ავტორის მხრიდან) ქვეყანაში დატრიალებულ ტრაგედიასა და საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენებზე.

როგორც ჩანს, ავტორი ყოველთვის ეჭვით უყურებდა ნებისმიერი საქვეყნო მარცხის ჩვენში დამკვიდრებულ ტრადიციულ ახსნას, რომელიც ხშირად (თითქმის ყოველთვის) თავისმართლების რეჟიმში ხდებოდა და ობიექტური მიზეზებით (თვით მტრის აგრესიული ბუნების ჩათვლით) ამართლებდა იმ უამრავ შეცდომას თუ დანაშაულს, რომლებიც ჩვენ, ამ ქვეყანაში მცხოვრებთ, მიგვიძღვის ჩვენს თავზე დატრიალებულ ტრაგედიაში.

ყველაფერი ამის გააზრება და მხატვრულ სახედ გარდაქმნა მწერლის მხრიდან საკმაოდ ღრმა ანალიზს და განსაკუთრებულ შემოქმედებით უნარს მოითხოვს. ბასილ მელიქიშვილი თავის მოთხრობებში ახერხებს, რომ ზუსტად აღწეროს ჩვენი მუდმივ გადაცდომის მიზეზი და გადარჩენის ერთგვარ პირობად „სისტემური გაქრისტიანების“ მრავალჯერად აქტს და ყოველგვარი მავნე ჩვევების, გაკერპებული ნეგატივის მუდმივი მსხვრევას შთაგვაგონებს..

დამოწმებანი:

არგანაშვილი 2006: არგანაშვილი გ. *ამაოდ არც მთანმინდაზე უსეირნიათ.* თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 2006.

მელიქიშვილი 1987: მელიქიშვილი ბ. *მკერდშებოლილი მერცხალი.* თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 1987.

რევიშვილი 1998: რევიშვილი მ. *ქვირინაი (ბასილ მელიქიშვილის შემოქმედებითი პორტრეტი).* თბილისი: გამომცემლობა „ლომისი“, 1998.

შატბერაშვილი 1975: შატბერაშვილი გ. *წერილები, თვალაღური ქართული ჭაშნიკი.* თბილისი: 1975.

DALILA BEDIANIDZE

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

The Idea of National Self-determination in Poetry of Murman Lebanidze and Mukhran Machavariani

In Georgian literature the idea of national self-determination has always been very strong. This was the case in the Soviet period as well. Art of Murman Lebanidze and Mukhran Machavariani is excellent example of this.

In the art of both, Murman Lebanidze and Mukhran Machavariani, four key issues are the most prominent ones: 1. Issue of separation of Georgian from the Soviet Union; 2. Issue of territorial integrity of Georgia; 3. Seeking for the new hero; 4. Issue of Georgian language.

Mukhran Machavariani's and Murman Lebanidze's poetry describes the idea of national self-determination using rich colors. Both poets use allegory in number of verses and at the same time, in number of verses they openly state their positions.

Key words: national, self-determination, poetry.

დალილა ბედიანიძე

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ნაციონალური თვითგამორკვევის იდეა მურმან ლებანიძისა და მუხრან მაჭავარიანის პოეზიაში

ქართველ ხალხს თავისი ხანგრძლივი არსებობის მანძილზე ხშირად უხდებოდა ცხოვრება დამპყრობლის უღელქვეშ. ასეთ პირობებში ორი ძალა იცავდა ქართველი ხალხის ეროვნულ ღირსებას – ქრისტიანული რელიგია და მწერლობა, როცა საბჭოთა ხელისუფლებამ ეკლესია თითქმის გააუქმა, მხოლოდ მწერლობა დარჩა ბრძოლის ველზე. განსაკუთრებით მძაფრი და ხანგრძლივი იყო ბრძოლა ნაციონალური თვითგამორკვევისათვის ტოტალიტარული რეჟიმის დროს, როცა საბჭოთა კავშირის მიზანი იყო ერთიანი საბ-

ჭოთა ხალხის ჩამოყალიბება, რომლის სახელმწიფო ენაც რუსული უნდა ყოფილიყო. ქართველი ხალხის წინაშე დადგა ალტერნატივა – ან გარუსებულები, ან დამოუკიდებლობისა და ეროვნული თავისუფლებისთვის ებრძოლა. რუსეთი მიისწრაფოდა გამხდარიყო მსოფლიოს იდეოლოგიური, პოლიტიკური და სამხედრო მეთაური, საქართველო კი ეროვნულ გადარჩენასა და არსებობის შენარჩუნებაზე ოცნებობდა. ეს ყოველივე აისახა ქართულ მწერლობაში, რომელშიც ადრე „ნუ გათათრდების“ ვედრება ისმოდა, ახლა კი „ნუ გარუსდების“ მუდარა გაისმა. ქართულ მწერლობაში ნაციონალური თვითგამორკვევის იდეა მუდამ მძაფრად ჟღერდა (გავისხენით თუნდაც დიდი ილიას სიტყვები „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო“). იგი იყო ქართული პოეზიის წამყვანი საკითხი ყოველთვის და ასე იყო ეს საბჭოთა პერიოდშიც. მიუხედავად საბჭოური კრიტიკის სიმძაფრისა, საბჭოთა პერიოდში ქართველი პოეტები ახერხებდნენ ეთქვათ თავიანთი სათქმელი და ერის ცნობიერება გამოეღვიძებინათ. ამის თვალსაჩინო მაგალითია მურმან ლებანიძის და მუხრან მაჭავარიანის შემოქმედება. თავის უსათაურო ლექსში „მივიღე წერილი გამომცემლობიდან“ (1967), რომელიც პოეტის რამდენიმე კრებულშია შეტანილი, მურმან ლებანიძე ამბობს:

„ხვალ-ზეგ ჩაიშვება კრებული სტამბაში –
რალაც-რალაცები მინდა გავაპარო!“
(ლებანიძე 1986: 461)

ასევე 1981 წელს დაწერილ უსათაურო ლექსში „წინ მიიწვევს ნება-ნება“ მ. ლებანიძე წერს: „ევალება, პოეზიას ევალება არსებულთ უკმაყოფილება!“, 1980 წელს დაწერილ მის ლექსში კი „ვით შეიძლება ხომალდმა ჩვენმა“ ნათქვამია: „პოეტმა წრფელმა, პოეტმა ქველმა გასაბედავი თვისი გაბედოს“ (ლებანიძე 1984: 77). მუხრან მაჭავარიანის ლექსშიც „ანდუყაფარი, ლიპარიტი“ (1959), რომელიც შეტანილია პოეტის რამდენიმე კრებულში, (მაგ. მაჭავარიანი 1989: 261), ნათქვამია „ვერ შეაჩერებს ვერაფერი სიტყვას გაბედულს“.

კომუნისტურ კრიტიკას და მთავლიტს ვერც ერთი ქართველი პოეტი ვერაფერს გაუბედავდა და გამოაპარებდა, მაგრამ საქმე იმაში იყო, რომ მე-20 საუკუნის 60-იან წლებში სსრკ-ში დაიწყო ე.წ. „დათობა“, რასაც მოჰყვა „გარდაქმნისათვის“ მზადება და თვი-

თონ „გარდაქმნა“. 70-იან წლებში და უფრო ადრეც, როცა მუხრან მაჭავარიანის და მურმან ლებანიძის პატრიოტული სულისკვეთებით განმსჭვალული ლექსები გამოიცემოდა და ქართულ პრესაში იბეჭდებოდა, საბჭოთა საქართველოს ხელისუფლებაში მოვიდნენ ახალი ძალები, რომელთაც შემოქმედებით ინტელიგენციას ხელფები გაუხსნეს და საქართველოს ბედზე ხმამაღლა ლაპარაკის უფლება მისცეს. 1978 წელს დაისვა ქართული ენის საკითხიც და ქართველი ხალხის ძალისხმევამ დიდ საბჭოთა რუსეთს უკან დაახევინა. დაიწყო ეროვნული გმირის ძიება, რომელსაც მურმან ლებანიძემ საქართველოს „მესამე სვეტი“ უწოდა დავით აღმაშენებლის და ილია ჭავჭავაძის შემდეგ („მკითხე და გეტყვი“, 1972) და 1971 წელს დაწერილ თავის შედეგში „უფლისციხესთან სისხლისფერი ყაყაჩოს წვეთი“ არა საბჭოთა კავშირი, არამედ საქართველო დაასახელა თავის სამშობლოდ (ლებანიძე 1984: 7).

ამავე ლექსში მურმან ლებანიძე ამბობს: „უფლისციხესთან სისხლისფერი ყაყაჩოს წვეთი არა დაღვრილის, დასაღვრელის ალბათ მაცნეაო“ და სამშობლოსთვის დაღვრილ სისხლზეა ლაპარაკი მუხრან მაჭავარიანის რიგ ლექსებშიც (მაჭავარიანი 1982: 142-143; მაჭავარიანი 1989: 316; მაჭავარიანი 1971: 13).

თავის უსათაურო ლექსში „როგორც პოეტი და როგორც კაცი“ მურმან ლებანიძე ამბობს, რომ მისი მიზანი არის თავისუფლება, რომლისთვისაც ბევრი სისხლი დაღვრილი და დაიღვრება არანაკლები და სისხლი მართლაც დაიღვარა 1989 წლის 9 აპრილს და 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს, ასევე აფხაზეთის ომის დროს. ორივე პოეტის წინასწარმეტყველება ახდა, მათი შემოქმედება ერთიანი, თავისუფალი საქართველოს ნატვრით არის შთაგონებული:

„ნაკუნ-ნაკუნ-ნაკუნ-ნაკუნ კი არა! –
გაუმარჯოს, გაუმარჯოს მთლიანად! –
მინიანა, კაციანა, ციანა,
საქართველოს მოთმინების ფიალას!“
(მაჭავარიანი 1989: 269)

ასევე საქართველოს ერთიანობის იდეით არის შთაგონებული მურმან ლებანიძის ლექსი „აფხაზეთზე ამ კაცს თვალი უჭირავს“ (1975) (ლებანიძე 1984: 322).

ჯერ კიდევ 1953 წელს წერდა მუხრან მაჭავარიანი ქართული ენის შესახებ:

ენა ქართული – დედა ჩემი...
(მაჭავარიანი 1955: 122)

ასევე ენის საკითხს შეეხება მისივე ლექსები: „ენა ქართული“ (მაჭავარიანი 1989: 217), „ვინც იყო, იგი რომ არა...“ (მაჭავარიანი 1989: 754-757), „მე ისეთ ქართველს რა ვუთხრა“ (1965, 7) და სხვა.

ალეგორიის გამოყენებით წერს მუხრან მაჭავარიანი 1989 წელს გამოცემულ კრებულში „მრავალჭირვარამგადანახადი“ ლექსს „გოდება ცოტნესი (უკვე ღრმად მოხუცსა) ციკლიდან „მონღოლის უღელი“ (გვ. 18-19), რომელშიც გარდა ენის საკითხისა, დასმულია საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხიც:

„ეს რაი გვიყავ?! – ეს ვის ხელში ჩაგვყარე, ზენავ...
გვრიტ არს ამათთან შედარებით თვით ყრუ მურვანი!“

გასაგებია, მურვან ყრუს ვის ადარებს პოეტი და ამავე დროს, ამ ლექსში ახალი გმირის პრობლემაც არის დასმული. გმირის ძიებას მივყავართ ცოტნე დადიანის გმირობამდე, რომელსაც შეუძლია იხსნას საქართველო „ორწყალშუა“ ყოფნისგან და რომელიც იქნება მურმან ლებანიძისეული „მესამე სვეტი“.

ენის საკითხია დასმული მურმან ლებანიძის მიერ 1979 წელს დაწერილ უსათაურო ლექსში „ის, ვინც მეცხრამეტის ყურს მიუგდებს ქარებს“ (ლებანიძე 1984: 170). ასევე, იხ. მისივე უსათაურო „წავედი თორმეტს“ (1981) (ლებანიძე 1984: 34).

გმირის ძიების საკითხია დასმული ასევე მურმან ლებანიძის ლექსებში „მკითხე და გეტყვი“ და უსათაურო „გმირი და არა მკვებარა“ (ლებანიძე 1989: 7).

აქ გმირში, რასაკვირველია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გმირი იგულისხმება. რაც უფრო ძლიერ არის დაპყრობილი საქართველო, მით უფრო ძლიერი გმირი სჭირდება მის გათავისუფლებას და ქვეყანა უბედურია, რადგან დაპყრობილია – აქაც ალეგორიასთან უნდა გვქონდეს საქმე და აქაც დასმულია საქართველოს საბჭოთა რუსეთისგან გათავისუფლების საკითხი. ამასთან დაკავშირებით იხ. მუხრან მაჭავარიანის ლექსი „არ უნდა პაექრობანი“ (მაჭავარიანი 1981: 27).

ქართული პოეზიისთვის კარგად ნაცნობი ყორანი-მტრული ძალა და ურჯულო მძლეველი უთუოდ ტოტალიტარულ რეჟიმს უნდა უკავშირდებოდეს. მ. ლებანიძის ლექსში „სისხლის მდინარის ბორანი“ ასევე, უსათაურო ლექსში „სასახლეებში, ბაღში, სკვერებში“ (ლებანიძე 1989: 9). პოეტი ამბობს, იმას მიშლიან დროშები, ესკორტები და ესტაკადებიო, რომ ზენიტზე მყოფი საბჭოური მზე ვინ უწყის, როდის ჩაესვენება და „სანამ ეს დღეა, სანამ ეს მზეა შენს საქართველოს არ ეშველება!“ (1970). (ლებანიძე 1989: 155)

თუმცა არც მთლად უიმედოა პოეტი, 1965-1970 წელს დაწერილ ლექსში „ესკიზები“ ამავე კრებულიდან ნათქვამია:

ვიშ, მზე ამოდის! ვერ დაგამწვდევენ,
ვერა და ვერა მზეო, სხვა დროა...
კოლონიები ბორკილს ამსხვრევენ.
(ლებანიძე 1989: 156)

აქ ნაწინასწარმეტყველება სსრკ-ს დაშლა და საქართველოს გათავისუფლება, საქართველოს ბედი მსოფლიოს დონეზეა გააზრებული. 1986 წელს მურმან ლებანიძე წერს: მსოფლიოში დაპყრობილ ხალხებსო:

მეუბნებიან, გიმტკიცებენ, – არ ხარ ჩაგრული!
ოჰ, იცის ბალღმაც:
არავითარი გასაძრავი ხარ გაძაგრული,
ძალა ხნავს აღმართს!
(ლებანიძე 1989: 122)

თავის რიგ ლექსებში მუხრან მაჭავარიანი მიმართავს ალეგორიას – იხ. მაგალითად, აკაკი წერეთლისადმი მიძღვნილი ლექსი (მაჭავარიანი, 1989, 23). აქ ამკარაა, რომ სატრფოში ტრადიციულად სამშობლო – საქართველო იგულისხმება, ქაჯებში – ტოტალიტარული რეჟიმის წარმომადგენლები, ხოლო ცხრაკლიტულში – საბჭოთა კავშირი.

ლექსში „საქართველომ დღემდე“ მუხრან მაჭავარიანი უკვე ალეგორიის გარეშე სვამს საქართველოს გათავისუფლების საკითხს (მაჭავარიანი 1958, 48). იგივე საკითხია დასმული მ. მაჭავარიანის რიგ ლექსებში (მაჭავარიანი 1989: 26-27; მაჭავარიანი 1995: 41; მაჭავარიანი 1995: 179).

როგორც მუხრან მაჭავარიანი, ასევე მურმან ლებანიძე აიდე-ალებენ საქართველოს წარსულს და საქართველოს ოქროს ხანას იხსენიებენ რიგ ლექსებში (მაგ. მურმან ლებანიძის „ჩემო თვალნათელო, ჩემო ფრთანათელო“; მუხრან მაჭავარიანის 1832 წლის ციკლის ლექსები, „სვეტიცხოველში“, „ვინც იყო, იგი რომ არა“ და სხვა).

მურმან ლებანიძე თავის 1964 წელს დაწერილ ლექსში „ხალდე“ ზღაპრისეულ შედარებას იყენებს, რათა დახატოს ხალდეს დანგრევის სურათი:

შენ რქამოტეხილს ჰგავხარ ნიქარას,
შენ ვინ დაგტოვა უკოშკოდ, ხალდევი?
(ლებანიძე 1989: 147)

ეს ლექსი შთაგონებულია ხალდეს ტრაგიკული ბედიტ, „ხალდეუშობით“ (1875-1876), როცა გრინევესკის ატრიადმა დაარბია სვანეთის სოფელი ხალდე – „გადაჯეგილი დაღურსმულ ჩექმით“.

ერეკლე მეორისადმი მიძღვნილ უსათაურო ლექსში ისევ საქართველოს ძნელბედობაზე ლაპარაკობს მურმან ლებანიძე (ლებანიძე 1986: 87).

როგორც მუხრან მაჭავარიანი, ასევე მურმან ლებანიძე განასხვავებს რუს ხალხს და ცარისტულ თუ საბჭოთა ხელისუფლებას. აგრესორი და დამპყრობელი მათთან ცარისტული და საბჭოთა რუსეთია, ხოლო რუსი ხალხი ერთმორწმუნე და საიმედო მეგობარია საქართველოსი, ამავე დროს, მათ არ ავინყდებათ მონღოლთა, თურქთა, სპარსელთა და სხვათა დამპყრობლური შემოსევები და შეძახილს „ნუ გათათრდები“ ემატება „ნუ გარუსდები“ (ლებანიძე 1989: 114-117; ლებანიძე 1989: 37).

თავის ლექსში „ესპანური კანტატა“ თავისუფლებისთვის მებრძოლ ესპანეთს უცხადებს სოლოიდარობას მურმან ლებანიძე 1958 წელს დაწერილ უსათაურო ლექსში და ესპანეთის ტკივილში საქართველოს ტკივილსაც გულისხმობს (ლებანიძე 1967: 134).

საქართველოს გათავისუფლებაზეა ლაპარაკი მურმან ლებანიძის უსათაურო ლექსში „ხალხს, სახელმწიფოს“ (1982) (ლებანიძე 1984: 12).

იმედიანია პოეტის შეძახილი „გადის მეოცე საუკუნე უკეთესი მერმისის ცდაში“ (იხ. 1981 წელს დაწერილი უსათაურო ლექსი „გახშირებული შეხვედრები უმაღლეს დონეზე“).

საქართველოს ერთიანობის იდეაა გამოხატული მ. ლებანიძის ლექსში „ჩემს წიგნს ჩახვდება ბავშვიც პატარა“ (1975) (ლებანიძე 1984: 329).

ლექსში „პრესა“ (1974), მ. ლებანიძე ამბობს, ჩემი ხალხის ბედი მსოფლიოს ბედზე ჰკიდიაო და საქართველოს მომავალს მსოფლიოს საერთო მდგომარეობის გათვალისწინებით მოიაზრებს, ისევე, როგორც ლექსში „ვწერდი შაირით, ვწერდი ოქტავით“ (1976), ასევე, იხილე ლექსი „ვარ გაკოჭილი მე ევროპელი“ (1966) – აფრიკის გათავისუფლებასთან საქართველოს გათავისუფლების პარალელია აქ გავლებული. 1974 წელს დაწერილ უსათაუროს „ქარი რომ ბუმბულს აუნწნავს ლაბუა ჩიტს“ (ლებანიძე 1984), 350-351) რეფრენად გასდევს სტრიქონი: „ასე ცხოვრობენ მსოფლიოში, ასე შიშქვეშ პატარა ხალხები“ და მართლაც პატარა საქართველო მუდამ შიშქვეშ ცხოვრობდა. იგივე იდეაა გატარებული 1969 წ. დაწერილ უსათაურო ლექსში „ოთხი ათასი“ (ლებანიძე 1986: 430).

ლექსი „იყო პანია ბიჭი“ (1973) (ლებანიძე 1976: 354) უნგრელ პოეტს შანდორ პეტეფის ეძღვნება. პეტეფი უნგრეთის თავისუფლებისთვის ბრძოლაში დაეცა და მურმან ლებანიძე პარალელს ავლებს უნგრეთის ბედსა და საქართველოს ბედს შორის, რადგან მისთვის პოეზია კრწანისის ველია („საბა“, 1974, ლებანიძე 1986: 360). უსათაურო ლექსში „მისის კიფერი ასე ჰყვება“ (1973) მურმან ლებანიძე ამბობს: „ვარ გატეხილი სპარსისა და ოსმალის ალყით! ვარ გალუმპული ბერძნისა და არაბის ზვირთით“ (ლებანიძე 1986: 365) და ეს არის არასრული სურათი საქართველოს ძნელბედობისა, როცა საქართველოს ეუფლებოდნენ სხვადასხვა დიდი ქვეყნები. ლექსში „ეპიტაფია“ (1973) გათენება საქართველოს გათავისუფლებას უკავშირდება, ხოლო რიგ ლექსებში ცუდი ამინდი აღნიშნავს საქართველოს ძნელბედობას, როცა საქართველო „იმპერიებს იგერიებს სისხლის ნამოხველებით“ (192). იმპერიებთან ბრძოლა ყოველთვის საქართველოს გამარჯვებით არ მთავრდება და საქართველოს დამოუკიდებლობას მუდამ საფრთხე ემუქრებაო, ამბობს მ. ლებანიძე ლექსში „მეშინია“ (1974) (ლებანიძე 1986, 396).

რიგ ლექსებში ლექსის ლირიკულ გმირს ზღაპრის პერსონაჟებთან აიგივებს მურმან ლებანიძე და ამით სამშობლოსადმი ერთგულებას გამოხატავს. მაგალითად, იხ. ლექსი „სალამო“ (1970): (ლებანიძე 1989: 104).

უსათაურო ლექსში „გადააბოტებ პანია ლელეს“ (1963) მოხდენილი შედარებით არის დახატული საქართველოს გათავისუფლების სურათი: ამ ლექსს ეხმაურება მისივე ლექსი „ეტლი-აკაკის“ (1958), რომელშიც აკაკი წერეთელს მიმართავს მურმან ლებანიძე: „მესმის ამაყი შენი ძახილი: – სირცხვილი მონას და ისიც მგოსანს“ და ეს ლექსი იმედიანი შეძახილით ბოლოვდება: „სხვა საუკუნე მოდის და მოვა და ნავა შავი წარსულის ჯანლი! (ლებანიძე 1996: 542).

მუხრან მაჭავარიანიც საქართველოს ხსნასა და გათავისუფლებაზე წერს რიგ ლექსებში კრებულიდან „მრავალ ჭირვარამ გადანახადი“ (მაჭავარიანი 1989). ამ კრებულში პოეტის მიერ XX საუკუნის 60-იანი წლებიდან შექმნილი ლექსებია შეტანილი. ლექსში „მინავ ჩემო“ (გვ. 26-27) ნათქვამია:

დიდგორისა ველო, – ახლა ცრემლის მგვრელო,
კრწანისისა ველო, – დღესაც გულისმკვლელო...
რაღა გავაგრძელო, მთელო საქართველო, –
სასოებავ ჩვენო, – რა ვქნა, რა გიშველო!..

და მართლაც საშველად ჰქონდა საქმე საქართველოს ამ პერიოდში. ასევე, უსათაურო ლექსში „დღეები თეთრი“ სამშობლოს ბედზე დარდობს პოეტი და ამბობს: „მამულზე ჯავრი, ქართული ჯავრი, – მას არ გაუვა არასდროს ყავლი!“ (გვ. 31).

ისევ საქართველოს მძიმე მდგომარეობას ეხება სტრიქონები: „მესამოცე ზამთარია უკვე, გული ანმყოს ნაგაზივით უღრენს“ (გვ. 94).

საქართველოს „გოლგოთაზე უფრო ციცაბოს“ უწოდებს მუხრან მაჭავარიანი ლექსში „ლაღადისი ილიასი (ხმა სამარიდან)“ (გვ. 187), ხოლო ლექსში „არ მომხდარა, არც მოხდება“ (გვ. 202) ამბობს:

უცხო წყალი ცხენისწყლობდეს?!
უცხო წყალი ალაზნობდეს?!
არ მომხდარა არასოდეს!
არც მოხდება არასოდეს.

მუხრან მაჭავარიანი მურმან ლებანიძესავით იმედიანი არ არის და ამბობს: „– გვეშველება რაიმე?! – ეჰ, შენი მტერი არაა!“ (უსათაურო ლექსი „დადგა შემოდგომა“, გვ. 179). იხ. ამავე განწყობილე-

ბით დაწერილი ლექსი “ისევ და ისევ“ (გვ. 205). თუმცა, მ. მაჭავარიანის რიგ ლექსებში იმედიც გამოსჭვივის – მაგ. იხ. ლექსი „ახლა კი დროა“.

...ახლა კი დროა! – ახლა კი დროა!

სოლომონ რომა, კვლავ დაიქუხოს საქართველომა (გვ. 268).

იხ. ასევე ლექსი „ვიპოვით?!“ (ჯურხა ნადირაძეს), გვ. 292-293.

ლექსების ციკლში „1832“ ქართველობის გამოღვიძებაზე და ქართული სულის უკვდავებაზე, საქართველოს გათავისუფლებაზე მსჯელობს პოეტი და ამბობს, რომ „ისევ დგას დღის წესრიგში ბედი ქართლისა და ქართლის ჭირი“ (გვ. 765).

დაბოლოს ლექსში ციკლიდან „1832“ „სიტყვა თქმული ვახტანგ ორბელიანის მიერ ორთაჭალაში ტივზე“ გუგულში და გუგულის კვერცხში ალეგორიულად ტოტალიტარული რეჟიმის წარმომადგენლები და მათი შთამომავლები იგულისხმებან რომელთაც მშვიდობიანი გზით სურდათ საქართველოს დაპყრობა, მაგალითად – შერეული ქორწინებებით.

როგორც ამბობენ, კომენტარები ზედმეტია.

ამგვარად, როგორც ვხედავთ, ნაციონალური თვითგამორკვევის იდეა მკაფიოდ არის გამოხატული მუხრან მაჭავარიანის და მურმან ლებანიძის პოეზიაში, როგორც ალეგორიულად, ასევე ალეგორიის გარეშე. აქ თავი იჩინა ოთხმა ძირითადმა თემამ: 1. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხი; 2. ახალი გმირის ძიება; 3. საქართველოს ტოტალიტარული რეჟიმისა და საბჭოთა რუსეთისგან გათავისუფლების საკითხი; 4. ქართული ენის საკითხი. ორივე პოეტის ლექსების უმეტესობა დაწერილია საბჭოთა პერიოდში. ისინი არ შეუშინდნენ საბჭოთა ცენზურას და გაბედულად გამოვიდნენ საქართველოს თავისუფლებაზე მიწოდებით.

დამონელებანი:

ლებანიძე 1989: ლებანიძე მ. *კრებული*. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 1989.

ლებანიძე 1986: ლებანიძე მ. *კრებული*. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 1986.

ლებანიძე 1967: ლებანიძე მ. *საქართველო*. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1967.

ლებანიძე 1984: ლებანიძე მ. *რჩეული ლირიკა*. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1984.

ლებანიძე 1989: ლებანიძე მ. *რჩეული*. ტ. II., თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1989.

მაჭავარიანი 1989: მაჭავარიანი მ. *მრავალ-ჭირვარამ-გადანახადი*. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 1989.

მაჭავარიანი 1958: მაჭავარიანი მ. *ნითელი მზე და მწვანე ბალახი*. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“, 1958.

მაჭავარიანი 1955: მაჭავარიანი მ. *ლექსები*. თბილისი: გამომცემლობა „სახელგამი“, 1955.

მაჭავარიანი 1965: მაჭავარიანი მ. *გ ზადაგ ზა*. თბილისი: გამომცემლობა „ნაკადული“, 1965.

მაჭავარიანი 1971: მაჭავარიანი მ. *თქვი*. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 1971.

მაჭავარიანი 1982: მაჭავარიანი მ. *ლექსები*. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1982.

მაჭავარიანი 1995: მაჭავარიანი მ. *გიკვირს?! – ნუ გიკვირს!*. თბილისი: 1995.

KONSTANTINE BREGADZE

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

The Issue of Political Orientation and Anti-colonial (anti-Russian, anti-Bolshevik) Discourse in *Dionysus Smile* by Konstantine Gamsakhurdia

In Georgian modernist works the expressionist novel *Dionysus Smile* by Konstantine Gamsakhurdia (1893-1975) is distinguishable by its anti-colonial (anti-Russian, anti-Bolshevik) discourse and pathos. Gamsakhurdia began writing the novel during the First World War, in Germany, in 1915, then continued working on it during the years of Georgia independence (1918-1921), namely the first republic and finally completed and published it (1925) after the Russian Bolshevism invasion in Georgia. Aside from the anti-colonial position, the novelty of the novel is the depiction of the political

orientation of the author, which can be characterized as ‘*Occidentosis*’: hence, the political, economic, technological and cultural point of view is drawn towards the West, Europe.

Key words: Georgian Modernism, Europe, Russian Bolshevism.

კონსტანტინე ბრეგვაძე

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი და ანტიკოლონიური (ანტირუსულ-ანტიბოლშევიკური) დისკურსი კონსტანტინე გამსახურდიას რომანში „დიონისოს ღიმილი“

შესავალი

ქართულ მოდერნისტულ მწერლობაში თავისი ანტიკოლონიური (ანტირუსული-ანტიბოლშევიკური) დისკურსითა და პათოსით მკვეთრად გამოირჩევა კ. გამსახურდიას (1893-1975) ექსპრესიონისტული რომანი „დიონისოს ღიმილი“, რომლის წერაც ავტორმა ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის დროს 1915 წელს გერმანიაში დაიწყო, შემდეგ საქართველოს დამოუკიდებლობის წლებში (1918-1921) პირველი რესპუბლიკის დროს გააგრძელა და ბოლოს რუსული ბოლშევიზმის საქართველოში შემოჭრის შემდგომ დაასრულა და გამოსცა (1925).

ამგვარად, რომანი ინერგებოდა გლობალური და ლოკალური პოლიტიკური კატასტროფების ფონზე – პირველი მსოფლიო ომი (1914-1918), რუსეთის თებერვლისა და ოქტომბრის რევოლუციები (1917), გერმანიის ნოემბრის რევოლუცია (1918), ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში მონარქისტული იმპერიების დამხობა (გერმანიის, ავსტრიის, რუსეთის, ოსმალეთის იმპერიები) და ახალი მოდერნიზებული სახით კვლავწარმოქმნა (1922 წლის დეკემბერში *საბჭოთა ბოლშევიკურ-კომუნისტური იმპერიის*, სსრკ-ს დაარსება), საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა (1918) და მისი დაკარგვა (1921), ანტიბოლშევიკური აჯანყება საქართველოში (1924).

ამიტომაც, შემთხვევითი არაა, რომ რომანში, – თავად თხზულების *რომანიულობის*, ანუ მისი ჟანრობრივი სპეციფიკის გამო, რაც, პირველ რიგში, გულისხმობს გლობალური სამყაროული პოლიტიკურ-ისტორიული რეალიების პანორამულ ასახვასა და მასზე რეფლექსიებს, – კერძოდ, პერსონაჟთა საუბრებსა და კრიტიკულ მოსაზრებებში, მთავარი პერსონაჟის (კონსტანტინე სავარსამიძის) სიზმარეულ და წარმოსახვით ვიზიონებში თუ მის თავგადასავლებში (მაგ., მისი ბერლინში ცხოვრება *ნოემბრის რევოლუციის* დროს) ექსპლიციტურად თუ იმპლიციტურად იმთავითვე პანორამულად აისახა, უფრო ზუსტად, *აირეკლა*, აღნიშნული პოლიტიკური მოვლენები (შდრ. თუნდაც სავარსამიძისა და ინდოელი პატრიოტის, ბრიტანეთის იმპერიის წინააღმდეგ მოწყობილ ინდოელთა ამბოხების მონაწილის, დოქტორ ფატენპურის დიალოგი, იხ. რომანის თავი „დოქტორ ფატენპურის შეგონება“).

ფაქტიურად, სავარსამიძე რომანში, ერთგვარად, ახმოვანებს, ერთი მხრივ, თავად ავტორის ანტიკოლონიურ (ანტირუსულ, ანტიბოლშევიკურ) პოზიციას, მეორე მხრივ – გერმანოფილურ და მედასავლეთე პოლიტიკურ-კულტურულ ორიენტაციას, რომელთაც კ. გამსახურდია 20-იანი წლების ესეებსა და პუბლიცისტურ ნერილებში ღიად გადმოსცემდა (შდრ., „ღია წერილი ულიანოვლენინისადმი“, „აპოლიტიკოსის წერილები“, „მეტაფიზიკოსის დღიური“, „ANNO 1923“ და სხვ.). ეს ანტიკოლონიური პოზიცია და სულისკვეთება, გერმანოფილური და მედასავლეთე კულტურულ-პოლიტიკური ორიენტაცია კ. გამსახურდიამ ჯერ კიდევ 1916 წელს გერმანიაში გამოქვეყნებულ ბროშურაში „კავკასია მსოფლიო ომში“ (**“Der Kaukasus im Weltkrieg”**) გააცხადა (კავკასიელი 1998; Kavkasieli 1916), რომელიც მან ქალაქ ვაიმარში გამოსცა „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის“ ეგიდით. კომიტეტი ქალაქ ჟენევაში იყო დაფუძნებული და განთავსებული, რომლის აქტიური წევრიც თავად კ. გამსახურდია იყო (სიგუა 2003: 62-69).

ამგვარად, ავტორის ანტიკოლონიური პოზიცია რომანში გამოირჩევა იმით, რომ აქ გაცხადებულია ავტორისეული პოლიტიკური ორიენტაცია, რაც მკვეთრად *ოქციდენტოცენტრისტულია*: ორიენტაცია პოლიტიკური, ეკონომიკური, ტექნოლოგიური და კულტურული თვალსაზრისით აღებულია დასავლეთზე, ევროპაზე, რაც ექსპლიციტურად (თუ მინიშნებით) გამოვლენილია თავში „ვენახი“.

რომანის ამ თავში სავარსამიძის პერსონაჟი სიზმარში ხედავს პოლიტიკურად და მილიტარისტულად ძლიერ, სციენტისტურად განვითარებულ და ტექნოლოგიურად დაწინაურებულ საქართველოს, რასაც ტექსტსმიღმა არსებულ პოლიტიკურ ვითარებაში, კერძოდ, რუსული ბოლშევიკური ოკუპაციისა და ანექსიის ვითარებაში აღსრულება არ უნერია. თავად ტექსტში კი *ბოლშევიზმი* ვლინდება, როგორც ახალი მონგოლოიდურ-აზიატურ-აღმოსავლური ტექნოლოგიური ჩამორჩენილობისა და ანტიკულტურულ-ანტიცივილიზატორული ბარბაროსობის ტოპოსი (შდრ. თავი „ჩინგის ხანის შემოსევა“), ხოლო სიზმრად ვიზიონირებული ტექნოლოგიურად გამართული და ძლიერი საქართველოს სახელმწიფოებრივი *დამოუკიდებლობა* – როგორც დასავლური განვითარების შესაძლებლობის ერთადერთი წინაპირობა (და, ამავედროულად, დასავლეთზე ორიენტირების პირდაპირი შედეგიც).

ზემოაღნიშნული პრობლემატიკის გააზრებითა და თემატიკებით გამოირჩევა რომანის შემდეგი თავები, რომელთაც ქვემოთ დეტალურად განვიხილავთ. ეს თავებია: „ვენახი“, „დიონისოს მეორედ მოსვლა“, „ჩინგის ხანის შემოსევა“, „დოქტორ ფატენპურის შეგონება“, „ჯოჯოხეთად ჩასვლა კონსტანტინე სავარსამიძისა“.

1. ოცნება ზეტექნოლოგიურად გამართულ მოდერნულ ქართულ სახელმწიფოზე

კონსტანტინე სავარსამიძის ოცნება პოლიტიკურად, მილიტარისტულად, ეკონომიკურად, კულტურულად და ტექნოლოგიურად ზეგანვითარებულ და დაწინაურებულ საქართველოზე, რომელიც კ. გამსახურდიამ გადმოსცა თავში **„ვენახი“**, ექსპლიციტურად ავლენს ავტორის ცალსახად *ოქციდენტოცენტრულ*, ანუ *მედასავლეთე* პოზიციასა და ორიენტაციას, ვინაიდან ამ ნაოცნებარი და სიზმრადნახი საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობა და მონყობა ყოველ დეტალში ავლენს დასავლური ყაიდის სახელმწიფოებრივ გამართულობას როგორც პოლიტიკურ-მილიტარისტული, ისე ეკონომიკური და კულტურული თვალსაზრისით: შდრ. – „*ნისლისფერი კრეისერები ჰორიზონტებზე დგანან – საქართველოს თავის ჰამბურგი გაუჩენია*“ (გამსახურდია 1992: 133). ამგვარად კი

მინიშნებულია, რომ პერსპექტივაში საქართველოს ეს დანიშნულება სწორედ მედასავლეთე ორიენტაციის პირდაპირპროპორციულია, რაც გერმანიის საპორტო ქალაქ ჰამბურგის ხსენებითაა აღუზირებული. შესაბამისად, სავარსამიძის სიზმარში პროეცირებული და ვიზიონირებული მომავლი ქართული სახელმწიფოებრიობის ექსპლიციტური მოდერნული მონაცემები იმპლიციტურად გულისხმობენ დასავლეთზე ორიენტაციას. თანაც აქვე აუცილებლად აღსანიშნავია, რომ ეს მომავალი ქართული სახელმწიფო საკუთრივ ქართული ნაციონალური სახელმწიფოა და იგი არ შეიცავს არანაირ, ვთქვათ, ფუტურისტულ-კომუნისტური ტიპის სახელმწიფოს ნიშნებს, რისი მოლოდინიც ავტორის თანამედროვე მკითხველებსა და ბოლშევიკ ცენზორებს უნდა ჰქონოდათ, თუკი გავითვალისწინებთ თავად რომანის გამოცემის წელს, კერძოდ, 1925 წელს, ბოლშევიკური ოკუპაციისა და ანექსიის წელს:

„როგორც იქნა, მოვალწიე. საქართველო ვერ ვიცანი. საქართველომ მე ვერ მიცნო. გაცემული შევჰყურებ შავ ზღვაში ქართული ფლოტის აღლუმს. ნისლისფერი კრეისერები ჰორიზონტებზე დგანან – საქართველოს თავის ჰამბურგი გაუჩენია. რიონი გაუჭრიათ. პალიასტომთან ახალი პორტია: თამარაშენი. აუარებელი დოკები. ელევატორები, უშველებელი რკინის ხიდები. მთებსა და გორაკებზე ქარხნების საკომურების ტყეებია. მთებსა და მთებს შორის კანატების რკინის გზებზე გამურული ვაგონეტები დაჰქროლავენ. სადღაა საქართველოს ფირუზი ცა, ან მწვანე ველები, თვალეზჩაშავებული ტყეები, ძველ ტაძრებს და ძველ ციხეებს ფაბრიკები და ელექტრონის სადგურები დასცინიან. [...] ლაზისტანი თავის ნებით შემოერთებია თურმე საქართველოს. რუკაზე საქართველო ცალტოტმოხეულ ჩაბალახს აღარა ჰგავს, არამედ ხახადალებულ ვე-შაპს, რომელმაც შავი ზღვა უნდა შესვას. მეგრელები, აფხაზები და სვანები ჩრდილოეთისაკენ (ანუ, რუსეთისაკენ – კ. ბ.) მიისწრაფიან, იმერლები, გურულები, რაჭველები და ქართლები სამხრეთს აწვებიან (ანუ, ოსმალეთს – კ. ბ.). **საქართველოს მთავრობას** (sic! – კ. ბ.) სამცხე-საათაბაგოში ხალხი გადმოუსახლება დასავლეთ საქართველოდან (საინტერესოა, რომ ამას სინამდვილეში დაახლოებით ოცი წლის მერე გააკეთებს საქართველოს მაშინდელი კომუნისტური ხელისუფლება მეორე მსოფლიო ომის შემდეგ – კ. ბ.). ტფილისში ორასი ყოველდღიური გაზეთი გამოდის, 365

სხვადასხვა საგამომცემლო ამხანაგობაა. მთელ საქართველოში 3500 ქარხანაა, 12 უნივერსიტეტი. წელს დამთავრდა ქართული აკადემიის თეორი შენობა იქ, სადაც სამხედრო ტაძარი იყო (იგულისხმება, გოლოვინის პროსპექტზე რუსული ცარისტული იმპერიის საქართველოში მპყრობელობის დროს აგებული ე. წ. „სამხედრო დიდების ტაძარი“ – კ. ბ.). მეტეხი საისტორიო მუზეუმად გადაკეთდა. ტფილისის თავის მოხუცებულ დედას, მცხეთას შეუერთდა. მტკვარზე ასზე მეტი ხიდია. ქართული ავიაცია საჰაერო რეკორდებს ამყარებს. გვაქვს ახალი რეისები: ტფილისი-პარიზი, ტფილისი-ლონდონი, ტფილისი-ტოკიო, ტფილისი-ბომბეი, ტფილისი-პეკინი (სიმპტომატურია, რომ საჰაერო რეისების ჩამონათვალში „ტფილისი-მოსკოვის“ რეისი ნახსენები არ არის – კ. ბ.). ტფილისში ვისმენტ პარიზის, ბერლინის, მილანოს კონცერტებს (აქაც არაა ნახსენები მოსკოვი – კ. ბ.)“ (გამსახურდია 1992: 133-135).

ეს ყველაფერი კი ნიშნავს იმას, რომ სავარსამიდის (შესაბამისად, ავტორის) თანამედროვე, ბოლშევიკური რუსეთის მიერ ოკუპირებულ და ანექსირებულ საქართველოში, ანუ ტექსტსმილმა მოცემული რეალური ისტორიის სიცხადეში, ისტორულ ცხადში ამის სრულიად საპირისპირო ვითარებაა – საქართველოს სრული პოლიტიკური დაცემულობის ვითარებაა, ის სრულიად იზოლირებულია მსოფლიო პოლიტიკური პროცესისაგან, არ/ვერ მონაწილეობს მასში როგორც დამოუკიდებელი და სრულფასოვანი სუბიექტი, მონყვეტილია მსოფლიო კულტურული ცენტრებისაგან და მსოფლიო რუკაზეც აღარაა აღნიშნული არც როგორც „ცალტოტ-მოხეული“ და არც როგორც „ცალტოტმოუხეველი“ „ჩაბალახი“.

2. დასავლეთის ფაუსტური ცივილიზაცია და აღმოსავლური რუსული ბოლშევიზმი, როგორც ახალი მონგოლოიდური საკაცობრიო საფრთხე

დასავლეთისადმი აგრესიულად განწყობილი მონგოლოიდური ველური (რომანში ხშირადაა გამოყენებული სონრედ ეს კონცეპტი) აღმოსავლეთი (აქ: ბოლშევიკური რუსეთი) არის კულტურული დასავლური ცივილიზაციისაგან და დასავლური ტექნოლოგიური პროგრესისაგან საქართველოს სამუდამოდ მონყვეტის მუდმივი საფრთხე. ამ საფრთხეს მთელი რომანის მანძილზე გრძნობს და

განიცდის სავარსამიძე. მონგოლოიდური ჰაბიტუსის თეთრგვარდიელი რუსი ოფიცრის, *სლანსკის* სახე მთელი რომანის მანძილზე არ ასვენებს სავარსამიძეს როგორც ცნობიერ, ისე ქვეცნობიერ ვითარებაში, იგი მის არაცნობიერში განდევნილი ტრავმული მეხსიერებაა, რომელიც ჟამიდან ჟამზე წამისყოფით სცდება ხოლმე სავარსამიძის ცნობიერი კონტროლის სფეროს, ჩნდება სიზმრებში და იგი სავარსამიძის აღქმაში განასახიერებს როგორც გლობალურ სამყაროულ სიველურესა და ჩამორჩენილობას, ისე საქართველოს მუდმივ პოლიტიკურ და კულტურულ საფრთხეს. სუბიექტურ სიბრტყეზე კი *სლანსკი* სავარსამიძეში მუდმივად იწვევს ეგზისტენციალური გამოუვალობის აუტანელ განცდას. ხალილ ბეის სურათი „ჩინგის ხანის შემოსევა“ სწორედ ამ გარდაუვალ საფრთხეზე მიანიშნებს, რომელიც წალეკვით ემუქრება არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მთელ დასავლურ ცივილიზაციასა და მის ფაუსტურ კულტურას:

„აჰა, ეს უნდა იყოს „ჩინგის ხანის შემოსევა“, მეუბნება ჯენეტი. ყვითელი ლელით, წითელი ყაყაჩოებით შემოსილი **სტეპი**. მონღოლების შუბოსანი კავალერია გრიგალივით მიჰქრის აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. უბელო, დაუჭედავ ცხენებზე **შუბლ-ბრტყელი, დიდთავა, ღანჯმალაღი, ცხვირჩაჭყლეტილი ყვითელი რასსა**. გადაჯეგელი ბალახი და ლელი. დაჭრილები ცხენების გამოფატრულ გვამებში მიძვრებიან, გზადაგზა უპატრონო ზარბაზნების, ტყვიის მფრქვეველების, ტანკების ნამსხვრევებია. დასავლეთით უშველებელი ქარხნების, რკინის ხიდების, ეკლესიების, შუბისებური გუმბათების სილუეტები. და ამ აპოკალიფსურ მხედრებს წინ მიუძღვება მწვანე ცხენზე მჯდარი **წითელ ჩაბალახიანი, ახოვანი, თმანითური მონღოლი**. ეს უშველებელი გაჭენებული მასსა ღრუბელივით შეკუმშული, ციკლონივით მიჰქროლავს დასავლეთისაკენ. შუბებისა და დროშების ტარები გრიგალისგან გადაზნეჩილ ნაძვნარსა ჰგავს. **შავ** (არარა – კ. ბ.), **წითელ** (ბოლშევიზმი – კ. ბ.), **ყვითელ** (მონგოლოიდური ველური რასსა – კ. ბ.) დროშებზე აწერია: „მანგუ: თენგრი: ქუჩუნდურ“ (თარგმ.: „უკვდავისა ღმერთის ძალით“ – კ. ბ.)“ (გამსახურდია 1992: 77-78).

ამიტომ, რომანს ლაიტმოტივად გასდევს ანტიბოლშევიკური და ანტირუსულ-ანტიმონგოლოიდური პოლიტიკური დისტანციის პათოსი, რაც რომანის ბოლოს კულმინირდება სიზმრად სავარ-

სამიძისა და სლანსკის ხმალდახმალ შერკინების ეპიზოდში (შდრ. თავი „ჯოჯოხეთად ჩასვლა კონსტანტინე სავარსამიძისა“), სადაც სლანსკის სახეში ერთად იყრის თავს როგორც ცარისტული იმპერი-ალიზმი, ისე რუსული ბოლშევიზმი:

„მარმარილოს ტახტზე ღანვმალაღი, ყვითელ ეპოლეტებიანი მონღოლი იჯდა. ფართე, განზე გამდგარი ყვითელი ყურები ქონდა. ყურებიდან თელგამი მოსდიოდა. თავჩაქინდრული ყვინთავდა. ვხე-დავ: თავზე ჩრდილოეთის მეფის გვირგვინი აქვს, მუხლზე ორთა-ვიანი არწივი უზის. ერთ თავზე ბავრათიონის გვირგვინია! გვირ-გვინში – თამარის ალმასი!

„სლანსკი!“

დავუყვირე მე, და ჩემსავე ხმაში ფოლადისებური წკრიალი გავიგონე. ტახტზე მჯდომარემ სისხლიანი თვალები ამართა და მი-უყრებს თავისი ზანტი, ხონჭკოლასფერი თავლებით. სახე დასივე-ბია, წითელი ძარღვები ზედ ასკდება.

ახლოს მივედი. თამარის ალმასს თვალს არ ვაშორებ: „სლანსკი, დამიბრუნე დედაჩემის ალმასის თვალი“.

სლანსკიმ ისევ დახუჭა თვალი, თითქოს არც კი გაუგონიაო. და განაგრძო თვლენა.

„სლანსკი!“

შენ – ყინულეთი, მე – მზისგული, შენ – თოვლი, მე – ცეცხლი, შენ – მურტალი, ღორის ტყავის ფარივით ფართო და რგვალი, მე – ქართული სატევარივით ბასრი და წვეტიანი. სლანსკი, მე და შენ ერთ სახლში ვერ დავეტევიო!“.

სლანსკი ისევ თვლემს. „სლანსკიიიი!“.. ვუყვივლე მთვლემარეს, ადექ და ხრმალმა გაგვასწოროს“.

სლანსკი წამოდგა. მოიძრო თეთრი ყარყუმის მოსასხამი და იძრო ხრმალი სწორპირიანი. ხელი მივჭყევი და მოვიმარჯვე არგვეთის მთავრის ხორასნული, შემოვუქნიე, შემოვკარი ჯაჭვის ჩაბალახზე.

სლანსკიმ გვირგვინი განზე გადასდო, ტახტიდან ჩამოსვლა იკადრა, ალმასის ქურდივით განითლდა. შემომიტირა.

„სლანსკი, ასჩვიდმეტი“ შევძახე მე, სავარსამიძემ.

„კიდევ ამდენი“, ამბობს და მოდის დათვი პირსისხლიანი.

„უკუდექ ჩემი სისხლით გალეშილო, დედაჩემის ალმასის ქურ-დო“. შევრისხე მტერი და გავეკიდე.

სამი დღე და სამი ღამე ვიბრძოდით. ორივეს შემოგვეძარცვა ჯაჭვ-საჭურველი.

მაშინ შევხედე სლანსკის თვალეებში მე მამაჩემის ქორული თვალებით. და შევულოცე, ისევე, როგორც გველს ულოცავდა ტაია შელია. სლანსკის დაეძინა. ავდექი. არგვეთის მთავრის ხრმალი ავიღე ისევ. ისევ გაიღვიძა. ხრმალი რომ დაინახა, შემევედრა: „ნუ მომკლავ და შენს მიჯნურს გასწავლიო“.

შევპირდი.

„ირობინე აქედან მზის დასავლისაკენ, იქ ვენახია ყვავილოვანი, ლაპის ლაზური და სმარაგდი ასხია ლერნებს და იქ დაგხვდება ღმერთების მიჯნური.“

მეც ისევე ავუსრულე პირობა, როგორც მან ამისრულა ერთხელ ყელი გამოგჭერი და სისხლი დავლიე“ (გამსახურდია 1992: 366-369).¹

რომანის ტრაგიკული და „დეკადენტური“ ფინალისა და რომანის გამოცემის წელის გათვალისწინებით (როგორც აღვნიშნეთ, რომანი გამოიცა ბოლშევიკური ოკუპაციისა და ანექსიის პირობებში, 1925 წელს) ერთგვარად აღიარებულია ამ აღმოსავლური საფრთხის გარდაუვალობა და ამ ახალი ბოლშევიკური რუსულ-მონგოლოიდური ტყვევნის ქვეშ საქართველოს საბოლოო თუ არა, დიდი ხნით განირულობა. სლანსკის შეძახილი „კიდევ ამდენი“ სწორედ ამ დაცემულ მომავალზე მინიშნებაა. ამასთან, საქართველოს პოლიტიკური უპერსპექტივობა რომანში გაძლიერებულია იმითაც, რომ პირველმსოფლიოომგამოვლილ ევროპისადმი, რომელიც თავად სულიერ და პოლიტიკურ კრიზისშია (შპენგლერის დისკურსი), ავტორი სკეპტიკურადაა განწყობილი, ვინაიდან მასში ის ვერ ხედავს ამ ახალი რუსულ-მონგოლოიდური ველური, დამანგრეველი ძალის შეკავების რეალურ საპირნონე პოლიტიკურ ძალას. ევროპის ფარგლებში ის ერთადერთი ძალა, რომელიც რუსულ ბოლშევიზმს შეაკავებდა და საქართველოს (და მთელს მსოფლიოს) გადაარჩენდა ამ საფრთხისგან, იყო კაიზერული გერმანია, რომელიც დაამხო 1918 წლის ნოემბრის რევოლუციამ. ეს პოლიტიკური დისპოზიცია მინიშნებულია სავარსამიძისა და დოქტორ ფატენპურის საუბარში:

„თქვენ ძლიერ დაღონებული მეჩვენებით, დოქტორ ფატენპურ“.

„გასახარელი რა გვაქვს?“.

„რატომ?“.

„თერთმეტმა ნოემბერმა ჩვენი ილლუზიები დაანგრია“.

¹ სავარსამიძის სიზმრის ეს ეპიზოდი დეტალურად აქვს განხილული ს. სიგუას ნერილში „სლანსკი, ასჩვიდმეტი!“ (სიგუა 2003: 209-213).

„მაშ თქვენა გგონიათ, რომ **11 ნოემბერს** ჩვენც დავმარცხდით, დოქტორო ფატენპურ?“

„უეჭველად, თუ ინგლისს ასეთივე მეტოქე (იგულისხმება გერმანია – კ. ბ.) არ გაუჩნდა აღმოსავლეთში, ყველაფერი ამაოა. დღეს პატარა, უორგანიზაციო, უცივილიზაციო ერებს არ შეუძლიათ **ჩრდილოეთის დიდ სახელმწიფოებთან** ბრძოლა. დიდი სახელმწიფოს დამარცხება მხოლოდ დიდი სახელმწიფოს საშუალებით თუ მოხერხდება“ (გამსახურდია 1992: 291-292).

დასკვნის მაგიერ. მიმაჩნია, რომ დღევანდელ გლობალურ პოლიტიკაში საქართველოს მართებული პოლიტიკური ორიენტაციის აღებისა და სწორი საგარეო სტრატეგიული პოლიტიკის გატარების თვალსაზრისით, ქართველთა ცნობიერების ოქციდენტოცენტრული მისწრაფებებით გაჯერების თვალსაზრისით კ. გამსახურდიას ეს პირველი რომანი დღემდე უაღრესად აქტუალურია და, ალბათ, მომავალშიც ყოველთვის აქტუალური იქნება, ვინაიდან საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობის გათვალისწინებით მის ისტორიაში მუდამ მარადიულად ბრუნდება ეს რუსულ-მონგოლიდური აზიატური საფრთხე, დღეს უკვე ე. წ. *ევრაზიული სივრცისა* თუ *ევრაზიული კავშირის* სახით.

დამონეგაანი:

გამსახურდია 1992: გამსახურდია კ. *თხზულებანი ოც ტომად: დიონისოს ლიმილი*, ტ. 2. თბილისი: გამომცემლობა „დიდოსტატი“, 1992.

კავკასიელი 1916: Kavkasieli (aka. Konstantine Gamsakhurdia). *Der Kaukasus im Weltkrieg*. Weimar: Verlag Gustav Riepenheuer, 1916.

კავკასიელი 1998: კავკასიელი (კონსტანტინე გამსახურდია). *კავკასია მსოფლიო ომში* (გერმანულიდან თარგმნა კონსტანტინე ბრეგაძემ). „სალიტერატურო გაზეთი“, № 13, 14, 1998.

სიგუა 2003: სიგუა ს. *მარტვილი და ალამდარი*, ტ. III: *კონსტანტინე გამსახურდიას თეორიული სისტემა (1916-1926 წლები)*. თბილისი: გამომცემლობა „დიდოსტატი“, 2003.

SHARLOTA KVANTALIANI

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Absurd as a Soviet Lifestyle in Rezo Cheishvili's Stories

Rezo Cheishvili expresses absurdity of Soviet life with grotesque and satire (“Smoke”, Choreographer Meskhoridze”).

The world described by RezoCheishvili is real and also unrealistic.

His characters are waiting for the non-existent savior and they lose feeling of reality.

Key words: Rezo Cheishvili, absurdity, described.

შარლოტა კვანტალიანი

საქართველო, თბილისი

მოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

აბსურდი, როგორც საბჭოთა ცხოვრების წესი, რეზო ჭეიშვილის მოთხრობებში

რეზო ჭეიშვილი საბჭოთა ცხოვრების წესის აბსურდულობას გროტესკისა და სატირის გამოყენებით გამოხატავს („კვამლი“, „ქორეოგრაფი მესხორიძე“, „მუსიკა ქარში“, „ვაიმე, ჩემო ვენახო“, „ცისფერი მთები“ და სხვ.).

„საბჭოეთში სრულიად განსაკუთრებული ფსიქოლოგიის სახელმწიფო ჩამოყალიბდა; ადამიანი ორად იყო გახლეჩილი... ერთს ფიქრობდა, მეორეს ლაპარაკობდა, აქ ამას ამბობდა, იქ – იმას. ადამიანი საგარეო და საშინაო ტანსაცმელივით იცვლიდა სიტყვებს; ლექსიკას, სინტაქსს, სტილს ... და ვითომ ფსიქოლოგიასაც“ – აღნიშნავს როსტომ ჩხეიძე.

საბჭოური ცხოვრების უმთავრესი წესი უღმერთობა იყო. უღმერთობა, ურწმუნობა ანუ სინდისის უქონლობა, თავისუფლების და, ამავე დროს, უმწეობის განცდას ბადებს. აბსურდიც იმაში მდგომარეობს, რომ შენ, ერთადერთი, ყოვლისმფლობელი, ყოვლის შემძლე ხარ და თანაც „უპატრონო“, უმფარველო და ამიტომ ოდნავი ნაფორხილებაც კი სასონარკვეთილებაში გაგდებს.

„ღმერთსმოკლებული სინამდვილე რეზო ჭეიშვილის მხატვრულ სამყაროში მთელი სისავსით გადმოსულა და ურთიერთ მონაცვლე ნატურალიზმსა და სიმბოლიზმს განუსაზღვრავს თხრობის ის სტილური დინება, ყველაზე უკეთ რაც დაშვენდა მისი მწერლური სახელმწიფოს აშენებას. სახელმწიფოსი, სადაც არაფერია შეფერადებული და ხელოვნურად მანუგეშებელი, და თუ ვერსად გიპოვნია სულის მოსათქმელი უაღრესად დაძაბულ თხრობაში ჩათრეულს, უნდა გახსოვდეს, რომ რეზო ჭეიშვილს დანდობა არ სჩვევია – დაე ილუზიებს ნუ გამოედევნება მისი მკითხველი და ყოფითი რეალობა აღიქვას ისეთი, როგორც ეს სინამდვილეშია... როგორც მისი მხატვრული სამყაროს ფურცლებზე“ – წერს ელგუჯა თავბერიძე. ამის საილუსტრაციოდ გამოდგება „რასემონი“, „მინების განაწილება“, „გია“, „ჭა“, „ქორეოგრაფი მესხორიძე“, „მეოთხე სიმფონია“, ვაიმე, ჩემო ვენახო“, „ცისფერი მთები“ და სხვ. აბსურდი მოვლენათა, აზროვნების, მეტყველების, სიტუაციის უაზრობაში, სისულელეში მჟღავნდება. სარტრის ეგზისტენციალიზმიც აბსურდს ხედავს მტრულ დამოკიდებულებაში სამყაროსთან. ადამიანი გაუცხოებულია სამყაროს მიმართ და საკუთარი თავის მიმართაც. მოთხრობა „გია“ სწორედ ამგვარ სიტუაციას გვიხატავს. იმისათვის რომ ბეჟან შელიძეს მოთხრობები დაუბეჭდონ, ის თავს „იმკვდარუნებს“, სინამდვილეში კი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში იმყოფება შეცვლილი გვარ-სახელით... რეზო ჭეიშვილი ხატავს ფსიქიატრიულ საავადმყოფოდ ქცეულ ქვეყანას, სადაც თავის დასაცავად ან ნიღაბი უნდა მოირგო, ან ნებაყოფლობით შეუერთდე ამ ჯოჯოხეთურ რეალობას, რასაც. საბოლოოდ. სასონარკვეთილებამდე და რეალურ შემოიღობამდე მიჰყავს ადამიანები.

„ბიჭიკოს ავადმყოფობის ისტორია“ საბჭოთა რეპრესიული მანქანის მოქმედების დროის მძაფრი ანარეკლია. ბიჭიკოს ტრაგედიას განაპირობებს იმის განცდა, რომ ვერაფერს შეცვლის და ვერავინ უშველის, სასონარკვეთილებაა მისი ავადმყოფობის დიაგნოზი.

რეზო ჭეიშვილის მოთხრობებში საბჭოთა სინამდვილე, ყოფითი დეტალები გროტესკის სახეს იღებს, მოჩვენებითი „წესრიგი“ და აბსურდული „კანონები“ თრგუნავს ადამიანის ცხოვრებას, ფიტავს მის შემოქმედებით ენერგიას, რადგან სასურველის ნაცვლად ვითომ საჭირო საქმეს აკეთებს. „ცისფერი მთები“ პერსონაჟები თითქოს კვამლში დაბორილობენ, მართალია ყველა „თავის

საქმეს“ ვითომ ზედმინწევნით ზუსტად ასრულებს, მაგრამ არავინ აკეთებს იმას, რაც ევალება. კერძოდ, არავინ კითხულობს სოსოს რომანს, რომლის განხილვასაც ელოდება ახალგაზრდა მწერალი და ამაზეა დამოკიდებული მისი შემდგომი ცხოვრება. დაწესებულება, სადაც დაუსრულებლად რემონტს აკეთებენ, შაბიამნის პარტიას ყიდულობენ, შეხვედრებს აწყობენ მსახიობებთან, კრეფენ ყურძენს, სწავლობენ ფრანგულ ენას, თამაშობენ ჭადრაკს, ვარჯიშობენ, გამუდმებით გარბიან სხდომებზე, ვერ ამჩნევენ დაბზარულ კედელს, რომელიც ჩამოსანგრევად არის მზად. აბსურდი მწვერვალს აღწევს სოსოს რომანის „ცისფერი მთების“ განხილვისას, როცა იხილავენ იმას, რაც არავის წაუკითხავს: ასეთი ქვეყანა დასანგრე-ვია და ინგრევა კიდეც, ადამიანები ძლივს გამოასწრებენ ნანგრე-ვებიდან, მაგრამ შენდება ახალი შენობა და იქედან უცვლელად ის-მის ის დიალოგები და შეძახილები, რაც მანამდე იყო... საშველი არ ჩანს, მხოლოდ ფასადი შეიცვალა, ფსიქიკა, ნყოფა, წესრიგი, იგივე დარჩა... როდესაც გენიალური მოთხრობა, გენიალურ ფილმად იქცა ელდარ შენგელაიას დამსახურებით, კიდეც უფრო მკვეთრად გამოჩნდა რეზო ჭიჭიშვილის ჩანაფიქრი.

დაახლოებით იმავე პერიოდში, 70-იანების ბოლოს გამოჩნდა ეკრანზე ფედერიკო ფელინის ასევე გენიალური ფილმი „ორკეს-ტრის რეპეტიცია“, რომელიც გვაძლებს საშუალებას შევადაროთ „ცისფერ მთებს“ და გარკვეული დასკვნები გავაკეთოთ, ფილმში დიდი ინსტრუმენტული ორკესტრი რეპეტიციებს ატარებს ერთ-ერთი ისტორიული ტაძრის დარბაზში. უხეში, ემოციებისგან დაც-ლილი დირიჟორი ორკესტრის წევრების უკმაყოფილებას იწვევს, ორკესტრი არ არის ერთიანი და ბზარი, რომელიც მათ კოლექ-ტივს შეეპარა და ბზარი, რომელიც ტაძრის კედელზეც გაჩნდა, სიმბოლურად, დაშლა – განადგურებაზე მიანიშნებს. მართლაც, მოთმინებადაკარგული წევრები აუჯანყდებიან დირიჟორს და მის გადაგდებას მოინდომებენ, შემდეგ კი ერთმანეთს დაუპირისპირ-დებიან და უცაბედად, პარალელურად ინგრევა ტაძრის კედლე-ბიც. ნანგრევებში მოქცეული მუსიკოსები და დირიჟორი თითქოს ხელახლა დაიბადნენ: დირიჟორმა თითქოს იგრძნო თავისი დანა-შაული, აღიარა რომ ხელოვნება, მუსიკა გადაარჩენს მათ და კმაყო-ფილი მუსიკოსები ნანგრევებში უკრავენ გატაცებით, სიყვარულით. დირიჟორიც ბედნიერი სახით, შთაგონებით დირიჟორობს და უცებ,

თითქოს მანამდე არაფერი მომხდარა, ორკესტრის ხელმძღვანელი ძველებურად ყვირის, უხეშობს, ლანძლავს მუსიკოსებს...

არც აქ იცვლება არაფერი. წუთიერი გამოფხიზლება არ ცვლის არსს. ფელინის სათქმელი და ჭეიშვილი-შენგელაიას სათქმელი მსგავსია, მათი დახატული სამყარო რეალურიცაა და არარეალურიც. ბოლომდეა გაშიშვლებული ეპოქის ტრაგიზმი. მიუხედავად განსხვავებული საზოგადოებრივი წყობისა, ადამიანური პრობლემები ერთგვარია. ბედს დამორჩილებული „ბედნიერი“ ადამიანები ან მთელი ცხოვრება ამაო ჭაპანწყვეტაში, უნდობლობაში, სიცრუეში ცხოვრობენ, როგორც სიზიფე ან ჩუმად, უთქმელად იფერფლებიან.

რეზო ჭეიშვილის პირველი მოთხრობების სილალეს, ბოლო წლებში ღრმა ფსიქოლოგიური განსჯა და გროტესკი ენაცვლება, სადაც რეალობა შემადრწუნებელია და მისი შეცვლა, მისგან გაქცევა შეუძლებელია.

უსივრცობა და უჟამობა, სიკეთისა და ბოროტების დაუსრულებელი ბრძოლა საკუთარი სულის სიღრმეში ჩაძირული მწერლის სამოქმედო გარემოა. კომუნისტური იდეოლოგიური წნეხით დათრგუნული, რეპრესიებით დაშინებული ადამიანი არარაობადაა ქცეული და არარსებული მხსნელის დაუსრულებელ მოლოდინშია, როგორც ბეკეტის გმირი „გოდოს მოლოდინში“, ადამიანები კარგავენ რეალობის შეგრძნებას, იქცევიან არაადეკვატურად და ხშირად, „ფარვანას ეფექტით“ საკუთარი ნებით იწვებიან. ნიშანდობლივია რეზო ჭეიშვილის შემოქმედებაში ეპოქის ტრაგიზმის, აბსურდის, სიმბოლო-მინიშნებები, დედის სამარიდან დანახული თავდაყირა დარგული ხეები, კვამლში გახვეული სამყარი, ყრუ-მუნჯთა ქორეოგრაფიული ანსამბლი, საფლავის მიწების განაწილება და სხვ.

„ქორეოგრაფი მესხორიძე“ მრავალპლანიანი მოთხრობაა. აღსანიშნავია, რომ ავტორს ხმამაღლა უყვარდა მისი ნაკითხვა და ნებისმიერ მსახიობზე უკეთ კითხულობდა, რადგან მასზე უკეთ არავინ იცოდა ის ნიუანსები, რასაც სტრიქონებს შორის გულისხმობდა. ჩუმი ჩაცინება, მრავალმნიშვნელოვანი პაუზები, ხმის საინტერესო ვიბრაცია – ტონალობის აწვევ-დაწვევა დაუვიწყარს ხდიდა ამ დეკლამაციას, რომელიც იმდენად ეფექტური იყო, რომ 90 წუთი სულგანაბული იჯდა მსმენელი და ოვაციებით ხვდებოდა მოთხრობის სვედიან დასასრულს.

მოთხრობის გმირი, ქორეოგრაფი მესხორიძე (ზოგჯერ მესხორაძე) ძერჟინსკის სახელობის ყრუ-მუნჯთა ქორეოგრაფიული ანსამბლის ხელმძღვანელია. მათ რეპეტიციებს, ასევე ძერჟინსკის სახელობის საბავშვო ბალის აღსაზრდელი, 5 წლის ბავშვი, ადევნებს თვალს „ფანჯრის მინაზე ცხვირმიჭყლეტილი“. „ყრუ-მუნჯები გამოუძინებელი ქაჯებივით ცეკვავდნენ სცენაზე“, ხოლო აზარტში შესული მოცეკვავე მესხორიძე „კირუხ ტყვიებს აჭედებდა ჭერში“. კირუხი ტყვიები – ყალბი ტყვიებია, მხოლოდ ხმას გამოსცემს, მაგრამ სწორედ ეს „სითამამე“ დაუჯდა ძვირად ქორეოგრაფს. ბერიაშვილი. რომელიც ამ ანსამბლის კონცერტს ესწრებოდა, პირდაპირ ციმბირში გადაასახლა მესხორიძე, მიუხედავად იმისა, რომ დათიკო მისი ყრუ-მუნჯი დის მაზლი იყო. 37 წლის რეპრესიები, თავისი მრავალგვარი გამოვლინებით, ამ მოთხრობის მთავარი თემაა და ის სრულყოფილად ასახავს საბჭოთა სინამდვილის აბსურდულობას, იმ გადაულახავი კედლის ძლევამოსილებას, რომელსაც ვერც ერთი „საბჭოთა ადამიანი“ ვერ გადალახავდა. კედლის გადალახვის სურვილი, ადამიანთა ყველაზე სანუკვარი ოცნება იყო, რადგან „კედლის იქით“, „რკინის ფარდის“ იქით იყო მთელი სამყარო, საბჭოელისთვის აკრძალული და სანუკვარი. რეზო ჭეიშვილი თავის „გადანახულ ჩანაწერებში“ წერს: „ერთხელ მეც ვიყავი საზღვარგარეთ – მოკლე საბელით“. „საბელის“ გარეშე იქ ვინ გაგიშვებდა, „კგბ-ეს“ ფხიზელი თვალი თან მოგყვებოდა, რომ იქ არავის დალაპარაკებოდი, ნიგნი და ჟურნალი არ გეყიდა და ზედმეტი არაფერი დაგენახა. კედლის გადაღმა გადახედვის, „სხვა სოფლის“ ნახვის სურვილია გამჟღავნებული ნოველაში „ლურჯი ფრინველი“. პატარა ბიჭუნა კლდეზე ადის, რომ გადალახოს მთა და „მეზობელ სოფელში“ გადავიდეს. შუა გზამდე გაჭირვებით ადის და კლდის საცალფეხო ბილიკზე გაიჭედება, ველარც წინ მიდის და ველარც უკან ბრუნდება. მშველელიც არსაც ჩანს. ბიჭუნა ან კლდეზე გადავარდება ან შიშით მოკვდება, მაგრამ ამ დროს ცაზე ლურჯი ფრინველი გამოჩნდება, თავისუფლების სიმბოლო, რომელიც არასოდეს „გაიჭედება“ კლდეზე და როცა უნდა და სადაც უნდა იქ გაფრინდება. ფრინველი ცაში ნებივრობს, ირაოს აკეთებს და აღტაცებული, ჩიტად ქცეული ბიჭუნა ვერც იგებს ისე აღწევს თავს კლდის „კლანჭებს“. ეს ყველა

საბჭოელის ოცნება იყო – ჰქონოდა ფრთები და გაფრენილიყო იქ, სადაც სურდა.

რეზო ჭეიშვილის მოთხრობათა და რომანთა გმირების ტრაგედია სწორეს ის იყო, რომ ადამიანები „არაფერში“ ცხოვრობდნენ და „არაფერს“ აკეთებდნენ. ელგუჯა თავბერიძე აღნიშნავს: „არაფერი“, „მეთხე სიმფონიის“, ისე, როგორც რეზო ჭეიშვილის ბევრი თხზულების, მთავარი თემაა. პერსონაჟები ამხელენ ვითომ რაღაცას, რაც სინამდვილეში, არაფერია. ყველა გმირი არაფერია, არაფრიდან მოდიან და არაფერში მიდიან, არაფერს ტოვებენ“. ქარი, რომელიც უძლეველი სტიქიაა, რეზო ჭეიშვილის შემოქმედების უხილავი მამოძრავებელი ძალაა. „იგი არავის შეუქმნია, მუდმივად არსებობდა, – აღნიშნულია „სიმბოლოთა ლექსიკონში“. მრავალი საუკუნის წინ ომარ ხაიამი ამგვარად გამოხატავდა ადამიანთა არსებობის აბსურდულობას; „ქვეყნად რაიმე ქარის გარდა, არ არსებულა, \ რაც არსებულა, დაქცეულა, არ ავსებულა, \ არარსებული არსებულად ჩათვალე ძმაო, / არსებული კი მიიჩნიე არარსებულად“. რეზო ჭეიშვილის გმირები არსებულისა და არარსებულის საზღვარზე ცხოვრობდნენ და „ისე გაყავდათ დრო უაზროდ და უმიზნოდ ნუთისოფლის ბოლოში, როგორც მკილი ხრავს ფიცარს“.

დამონებიანი:

თავბერიძე 2018: თავბერიძე ე. ჭეიშვილი რეზო. „გადანახული ჩანანერები“. ტ. I-II. ქუთაისი: 2018.

ლექსიკონი 2003: *Словарь символов*. Москва, 2003.

პოსტმოდერნიზმი ... 2003: Постмодернизм – постмодернизм – энциклопедия. Минск: 2001.

ჭეიშვილი 2010-12: ჭეიშვილი რ. *თხზულებანი შვიდ ტომად*. ქუთაისი: 2010-12.

ჩხეიძე 2013: ჩხეიძე რ. *ჭეიშვილი რეზო. რჩეული „კვამლი და სხვა“*. ქუთაისი: 2013.

MANANA KVATAIA

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

A Concept of the State in the Context of Literary Discourse

An attempt to define the forms and functions of the state has been going on for many centuries. Thinkers from different periods of time created different state models. The process of searching for a new model of the state system began actively in Georgia of the beginning of the last century. Conceptual is Mikhako Tsereteli's book "The Nation and Humanity" (1910), the first sociological monograph studying the paradigms of the nation and state in the global context. According to Archil Jorjadze, Georgian nationality and Georgian statehood are closely linked with each other. For Vakhtang Koteishvili, the state is a well-organized organization, one of the main means that strengthens national awareness. Geronti Kikodze calls the beginning of the XX century the epoch of the national idea. Grigol Robakidze perceives the nationality as an ontological reality that is realized in a complicated individuality. The issue of the Georgian statehood was also highlighted in the works of: M. Javakhishvili, K. Gamsakhurdia, V. Nozadze, Sh. Amirejibi, the Blue Horns and others.

Key words: Concept of the State, state models and Literary Discourse, issue of the Georgian statehood.

მანანა კვათაია

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

სახელმწიფოს კონცეფცია ლიტერატურული დისკურსის კონტექსტით

სახელმწიფოს ფორმათა და ფუნქციების შემეცნების მცდელობა საუკუნეებს ითვლის. სხვადასხვა დროის მოაზროვნეები მის განსხვავებულ მოდელებს ქმნიდნენ. პლატონის იდეალური სახელმწიფოს თეორია მისივე ფილოსოფიის ანარეკლია. არისტო-

ტელე ვარაუდობს, რომ სახელმწიფოებრივი ცხოვრება ადამიანისათვის ბუნებრივი არსია. მისი ცნობილი დებულებით, ადამიანი პოლიტიკური ცხოველია. „ბუნების ფილოსოფიაში“ (1821) ჰეგელი სახელმწიფოს აღწერს, როგორც ეთიკურ იდეალს და ადამიანის თავისუფლების უმაღლეს გამოხატულებას. ანგლო-ამერიკული თეორიის ფუძემდებლების თომას ჰობსისა და ჯონ ლოკის შეხედულებით, უმთავრესი გახლავთ პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხი: სახელმწიფო არის ნებაყოფილობითი შეთანხმების, ანუ სოციალური კონტრაქტის შედეგი, წესრიგისა და ცივილიზებული თანაარსებობის გარანტი და თავისუფლების დამცველი. სადაც კანონი არ არსებობს, იქ აღარც თავისუფლებაა, – წერს ჯონ ლოკი. მაქს ვებერის დეფინიციით, სახელმწიფო არის ორგანიზაცია, რომელსაც გარკვეულ ტერიტორიაზე ძალის გამოყენების ლეგიტიმური უფლება გააჩნია. ტომ პეინი სახელმწიფოს აუცილებელ ბოროტებას უწოდებს და ა.შ.

საერთაშორისო სამართლის ექსპერტები სუვერენული სახელმწიფოს ოთხ მთავარ ნიშანს გამოყოფენ: 1. ხალხი, 2. ტერიტორია, რომელზეც სახელმწიფოს სუვერენიტეტი ვრცელდება, 3. ხელისუფლება (მყარი და ეფექტური), 4. დამოუკიდებლობა. სუვერენიტეტს ორი მხარე აქვს: შინაგანი (ხელისუფლების უზენაესობა) და გარეგანი (დამოუკიდებლობა). არსებობს ასევე ნაციონალური სუვერენიტეტი (ერის თვითგამორკვევის უფლება) და სახალხო სუვერენიტეტი (ხალხისა და სახელმწიფოს უზენაესობა).

სახელმწიფოს მოდელების ჩამოყალიბება-შეცვლის პროცესი კაცობრიობის ისტორიას ლაიტმოტივად გასდევს. ფორმაციათა მონაცვლეობას საზოგადოებრივ ურთიერთობათა ძირეული განახლება და, შესაბამისად, განვითარების ახალ, განსხვავებულ ეტაპზე გადასვლა მოჰყვება ხოლმე. ბუნებრივია, სახელმწიფოს ახლებურად მოწყობის გზების ძიება ისტორიის ამა თუ იმ ეტაპზე საქართველოშიც აქტუალური ხდებოდა. ამ მხრივ გამორჩეული გახლდათ გასული საუკუნის დასაწყისი, როდესაც ქართველი მოაზროვნეები თუ ცალკეულ პარტიათა წარმომადგენლები სუვერენული ქვეყნის მოწყობის მოდელის საკუთარ ვერსიებს ქმნიდნენ. სახელმწიფოს რეფორმირების ფართო სპექტრია მოცემული 1905 წელს ილია ჭავჭავაძის მონაწილეობით შექმნილ „ქართველ პროგრესისტთა კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის პრო-

გრამაში“, რომელიც 1906 წლის 18-19 იანვარს გაზეთ „ცნობის ფურცელში“ დაბეჭდილია. გურამ მამულიას მითითებით, ის ძირითადად დაკავშირებულია რუსეთის კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის პროგრამასთან, იმ მცირეოდენი სხვაობით, რაც ქართველი ერის ინტერესების გათვალისწინებიდან მომდინარეობდა.

ამ მხრივ კონცეპტუალურია პროგრამის X თავი, რომლის სათაურია „ავტონომია რუსეთის სხვადასხვა ეროვნებისათვის“: „რუსეთში ახალი სახელმწიფო წყობილების დამყარებისთანავე ყველა ეროვნებას და, კერძოდ, საქართველოს, უფლება უნდა მიეცეს დაამყაროს ავტონომიური მმართველობა. ავტონომიურ საქართველოში უნდა დამყარდეს სამოქალაქო თავისუფლება და ხელშეუხებელ იქნეს ეროვნული უფლება უმცირესობათა“ და ა. შ. (შარაძე 1990, 2: 271).

სახელმწიფოს დემოკრატიული მოწყობის კონცეფცია ჩამოუყალიბებიათ 1905 წლის 1 აპრილით დათარიღებულ, ხელმწიფე-იმპერატორ ნიკოლოზ მეორისადმი გასაგზავნ ტფილისის გუბერნიის ქართველი თავადაზნაურობის ადრესში, რომელმაც ადრესატამდე ვერ მიაღწია: “მშვიდობიანი და კულტურული განვითარება ქართველ ხალხისა შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ საქართველოს. მიენიჭება უფლება საკუთარ კანონებით მართვა-გამგეობისა. ეს კანონები უნდა დადგენილ იქნას ადგილობრივ წარმომადგენლობით კრების მიერ, არჩეულის მთელის საქართველოს მცხოვრებთა საყოველთაო, პირდაპირ, საიდუმლო და თანასწორ ხმის უფლებით” (ჭავჭავაძე 2012: 357). ამავე დროს, საქართველოს პრესაში ახალი დროის მოაზროვნეთა ახლებური მიდგომების ამსახველი თეორიული ნაშრომებიც ქვეყნდებოდა.

მე-20 საუკუნის დასაწყისის ქართველ მოღვაწეთა ოპუსებში სახელმწიფოსა და ეროვნების ცნებები ფართო ასპექტით განიხილება. არჩილ ჯორჯაძის შეხედულებით, ქართული ეროვნებისა და ქართული სახელმწიფოებრიობის შემეცნება ერთიმეორესთან შესისხლხორცებულნი არიან. ნერილში „ადათი და კანონი, საკუთრება და სახელმწიფო“ („ისარი“, 1908, №34-36, 38) ცნობილი მოღვაწე მიუთითებს: იმ ხანაში, როდესაც მკვიდრდება სახელმწიფო... უფრო ნათელი ხდება პროცესი ეროვნების წარმოშობისა. ჯორჯაძის თქმით, ქართულმა სახელმწიფომ შექმნა ქართული ეროვნება და ეროვნული შემეცნება. ეს შემეცნება ძლიერი იყო ქარ-

თული სახელმწიფოებრიობის ძლიერების ხანაში, ხოლო სუსტი გახლდათ ამ სახელმწიფოებრიობის დასუსტების ჟამს. მეტიც, ა. ჯორჯაძის შენიშვნით, ჩვენი ერის თვითშემეცნება ძალადობით შეიქმნა, სწორედ ისე, როგორც ჩვენი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია. ქართველი მეფე რბევითა და დაპყრობით ქმნიდა სახელმწიფოს და, მასთან ერთად, ეროვნებას. ბატონყმობის და პატრონყმობის ნიადაგზე განმტკიცებულმა სახელმწიფოებრივმა ორგანიზაციამ ჩვენში ეროვნული თვითშემეცნება წარმოშვა. მისი შინაარსი მართოდენ პოლიტიკურ მთლიანობას კი არა, ღმერთისა და ბატონის წინაშე მორჩილების გრძნობასაც მოიცავს. ა. ჯორჯაძის აზრით, მეფეების თაყვანისცემა და გაღმერთება ეროვნული თვითშემეცნების არსებობის პროცესში ერთი მთავარი ელემენტია.

ერისა და სახელმწიფოს პარადიგმებს გლობალური კონტექსტით წარმოადგენს მიხაკო წერეთლის წიგნი „ერი და კაცობრიობა“ (1910), რომელიც ჩვენში პირველ სოციოლოგიურ მონოგრაფიად მიიჩნევა. ამ მასშტაბურ, კონცეპტუალურ გამოკვლევებაში აღნიშნულია, რომ სახელმწიფო საზოგადოებრიობის მხოლოდ ერთი ფორმაა, თუმცა ის მთლიანად საზოგადოებრიობას არ შეადგენს და სრულად არ ეთანხმება ეროვნულ საზოგადოებრიობას. მ. წერეთლის აზრით, სახელმწიფო, თავისი ძალდატანებითი ფუნქციების წყალობით, უფრო მექანიკური კავშირია, ვიდრე ერი, რომელიც, თავის მხრივ, ადამიანთა შორის ორგანული კავშირია. ერს მ. წერეთელი “უმაღლეს, უდიდეს და უზუნებრივეს და დღეს თითქმის ერთადერთ დიდ ორგანიზმს” უწოდებს, რომლის შექმნაში სახელმწიფო ორგანიზაცია ორი გზით მონაწილეობს: 1. განცალკევებულ, მაგრამ ერთგვარ საზოგადოებათა შეერთება, ერთ ერად კონსოლიდირება (იტალია, საქართველო, გერმანია). მეორე მხრით, ერის ასეთი გაერთიანება ხშირად ძალდატანებით ხდება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ამ ერის წიაღში ერთ-ერთის მსგავსი გაბნეული ნაწილები განვითარებული ცენტრალური ძალის მიერ არის დაპყრობილი. 2. გზა ეროვნების შედგენისა არის დიდი ერის მიერ დაპყრობილ პატარა ერთა ან რასათა ნაწილების ასიმილაცია სახელმწიფოს მიერ (წერეთელი 1990: 88).

მიხაკო წერეთლის დეფინიციით, ერი, როგორც სოციალური არსი, გაცილებით უმაღლესი და უკეთილშობილესია, ვიდრე ყველა სხვა სოციალური არსი. ერი მაშინაც ერად რჩება, თუ მას მეორე ერი

შთანთქავს, იმის მიუხედავად, აქვს თუ არა მას სახელმწიფო. ერი ერთი თვითშემგნები არსია, ერთი სოციალური შინაარსის მქონე სუპერორგანიზმი. მის წარმოშობაში სახელმწიფო დიდ როლს ასრულებს, მაგრამ მას, როგორც განსაზღვრულ საზოგადოებას, შეუძლია, საზოგადოებრიობის ეს სახელმწიფოებრივი ფორმები მოიშოროს და ახალი ფორმები შექმნას.

„ერსა და კაცობრიობაში“ ავტორი განსაზღვრავს საზოგადოების ცნებას, რომელიც, მისი აზრით, თავის მხრივ, ადამიანთა საერთო მოწესრიგებული ცხოვრების გამომხატველია. ის გახლავთ საზოგადოებრივი სუპერორგანიზმი, კონკრეტული სოციალური ორგანიზმი. სახელმწიფო კი განსაკუთრებული ფორმის საზოგადოებრივი ორგანიზმია, რომლის მაცოცხლებელი შეიძლება ან ეყოს, ან ერები (წერეთელი 1990: 89).

ნიგნში განმარტებულია, რომ ერი არის კონკრეტული საზოგადოება, რომელსაც შეუძლია, შექმნას სახელმწიფო. სახელმწიფო კი არის ერთი ფორმა საზოგადოებისა, რომელიც ერს შეუძლია, დროთა ვითარებაში შემოიღოს, როგორც წარმავალი წესი სოციალური ცხოვრებისა.

განსხვავებული მიდგომით განიხილავს სახელმწიფოსა და ეროვნების პარადიგმას გერონტი ქიქოძე, რომელიც XX საუკუნის დასაწყისს ეროვნული იდეის ეპოქას უწოდებს. მისი თქმით, ეროვნება – ცოცხალი ორგანიზმი – მწვავე ტკივილებს განიცდის, სანამ შესაფერ პოლიტიკურ ფორმას იპოვიდეს. წერილში „ეროვნება და ტერიტორია“, რომელიც 1914 წელს „სახალხო გაზეთში“ დაიბეჭდა, წერილის ავტორი მიუთითებს, რომ ეროვნული საკითხი ჩვენს ლიტერატურაში თანდათან ცენტრალურ ადგილს იკავებს და მისი გადაჭრისას ორი, დიამეტრალურად განსხვავებული აზრი უკავშირდება ერთმანეთს: ნაციონალური და კოსმოპოლიტური. პირველი მათგანი „შეგნებულად კონკრეტულ სინამდვილეს ეყრდნობა, ანგარიშს უწევს დღევანდელ საერთაშორისო ურთიერთობებს. მეორე, არსებითად, კაცობრიობის აბსტრაქტული იდეით ხელმძღვანელობს“ (ქიქოძე 2003: 100).

ეროვნული სახელმწიფოს პრინციპის, და არა თვით ეროვნების, შექმნას გერონტი ქიქოძე ახალ დროს უკავშირებს. თვით ეროვნება კაცობრიობის ისტორიასავით ძველიაო, – შენიშნავს იგი. ანალიტიკოსის აზრით, ურთიერთობა ეროვნებასა და ტერიტორიას შო-

რის ორგანულია: „ეროვნება წარმოადგენს არა მექანიკურ კონგლომერატს, არამედ ორგანულ არსებას და ტერიტორია მისი ბუნებრივი საფუძველია“ (ქიქოძე 2003: 107). პირველი მსოფლიო ომის მაგალითზე გ. ქიქოძე აღნიშნავს, რომ „ისტორიის მთავარი ფაქტორი ეროვნებათა ბრძოლაა და არა კლასთა ბრძოლა“. წერილში „ეროვნული იდეა“ (1917) მკვლევარი მიუთითებს, რომ კაცობრიობა ეროვნული იდეის ეპოქაში ცხოვრობს და ეროვნული თავისუფლების იდეა „უფრო ძლიერია, ვიდრე მსოფლიო დამპყრობლის სურვილები“ (ქიქოძე 2003: 266). გერონტი ქიქოძე წინასწარმეტყველებს, რომ „თანამედროვე ომის შედეგად, ალბათ გამიჯვნა მოჰყვება და არა მსოფლიო იმპერიის დაარსება“.

ერისა და სახელმწიფოს რაობა საკუთარი პოზიციებიდან აქვს გაანალიზებული ვახტანგ კოტეტიშვილს. 1917 წლის 20 სექტემბერს სოციალისტურ-ფედერალისტური პარტიის კლუბში მას ნაუკითხავს მოხსენება „ერის უფლება და საქართველოს საკითხი“, რომელიც გაზეთმა „სახალხო საქმემ“ გამოქვეყნა (1917, 72-84). დასაწყისში მომხსენებელს აღუნიშნავს: „დღეს ძლიერ ნაკლებ მოიძებნება იდეა უფრო ცხოველი და უფრო ამაღელვებელი, ვიდრე არის იდეა ერის უფლებისა“. ვ. კოტეტიშვილი ერის რაობის ასე განმარტავს: „ერი არის კონკრეტული საზოგადოება, ცოცხალი რამ სოციალური ინდივიდუალობა, აღმოცენებული განსაზღვრულ ადგილზე და შედუღებული ბუნებრივ და კულტურულ ერთობით“ (კოტეტიშვილი 2017: 432). აქვე გამოყოფილია ერის შემქმნელი ელემენტები: საერთო მინა-წყალი, ანუ ტერიტორია, ენა, რელიგია, ზნე-ჩვეულებები, საერთო თვითშეგნება და არსებობის სურვილი, საერთო პოლიტიკა, სამართალი და რელიგია. ნაშრომში ერი არსებულ საზოგადოებრივ ფორმათაგან საუკეთესოდ მიიჩნევა.

პარადიგმათა არევ-დარევის თავიდან აცილებისა და ისეთი მონათესავე ცნებების გამიჯნვისათვის, როგორებიცაა ერი და სახელმწიფო, ვ. კოტეტიშვილი თითოეულ მათგანს განმარტავს: „ერი საზოგადოებაა, ანუ პიროვნებათა ჯგუფი, თავისი საკუთარი სოციალური შინაარსით“ (კოტეტიშვილი 2016: 434). მკვლევარი არ იზიარებს მოსაზრებას: სახელმწიფომ შექმნა ერიო. მისი მითითებით, აფრიკაში არსებობს ერი სახელმწიფოს გარეშე. „სახელმწიფო ერთი მთავარ საშუალებათაგანია, რომელიც ამტკიცებს ეროვნულ შეგნებას“ (კოტეტიშვილი 2016: 435). სახელმწიფო – ეს ისტო-

რიული ჩარჩოა ერისა, – აღნიშნავს მკვლევარი. მისი დაკვირვებით, „სახელმწიფონი თავიანთ წარმოშობით და გულით უსათუოდ ეროვნულნი არიან“.

წერილში „ქართლის ცხოვრება“ (გაზ. „სახალხო საქმე“, 1918, №243) ვახტანგ კოტეტიშვილი ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენაზე მსჯელობს. მისი აზრით, მეოცე საუკუნეში საქართველოს ისტორიის ახალი ხანა იწყება: „ამიერიდან ჩვენი ქართული სული სტიქიურად უნდა გამჟღავნდეს ეროვნული შემოქმედების მრავალსახეობით, და უნდა იპოვოს თავისი ლოგოსი. ამას მოითხოვს ჩვენი ერის ისტორიული პროცესი“ (კოტეტიშვილი 2016: 436). მკვლევარს სწამს, რომ „დიდი ხნის მახსოვრობის შემდეგ ქართველობამ კვლავ მოსძებნა თავისი არსებობის ისტორიული ტან-საბური, აუცილებელი საარსებო ნაჭუჭი-სახელმწიფო“ (კოტეტიშვილი 2016: 439).

ვახტანგ კოტეტიშვილი ფიქრობს, რომ სწორი პოლიტიკური სისტემა ის არის, რომელიც საზოგადოებრივ დამოკიდებულებათა იდეას დაიცავს (იხ. მისი წერილი „ამიერკავკასია და საქართველო“), პოლიტიკაში კი ის იდეაა ყველაზე მართალი, რომელიც ადამიანთა მოთხოვნებს უფრო მოხერხებულად დააკმაყოფილებს. მკვლევარი სახელმწიფოს ფორმათა რაობას ამ კრიტერიუმით განიხილავს. მისი დაკვირვებით, სახელმწიფოს ფორმალური მარკერია მეუფება, სუვერენიტეტი. „თუ სახელმწიფოს ეს ძალა არ გააჩნია, მაშინ სახელმწიფოც ისპობა. არა სუვერენული, ანუ მეუფებას მოკლებული სახელმწიფონი არ არსებობენ. სახელმწიფო და მეუფება – სინონი-მია, იგივეობაა. იურიდიული სახელმწიფო სრულიად დამოუკიდებელი რამ ორგანიზაციაა, და ამით განირჩევა იგი ავტონომიურ პროვინციისაგან ან და კოლონიისაგან“ (კოტეტიშვილი 2016: 442).

წერილში „ამიერკავკასია და საქართველო“ დასახელებულია სამი სახის პოლიტიკური ორგანიზაცია: 1. უნიტარული, ცენტრალური სახელმწიფო, სადაც უზენაესობა და სუვერენობა ცენტრის მეუფებას ეკუთვნის. 2. ფედერატიული, როდესაც პოლიტიკური ერთეულები ერთმანეთს უკავშირდებიან, რითაც სუვერენობას კარგავენ. 3. კონფედერატიული, როცა რომელიმე პოლიტიკური ორგანიზაცია უკავშირდება სხვა, თავისგვარ ერთეულებს და ამ შეკავშირებით არც სუვერენიტეტს კარგავს, არც სხვა რომელიმე ძალას ემორჩილება. საკითხზე მსჯელობისას ვახტანგ კოტეტიშვილი აშკარა სიმპათიას ფედერალიზმის პოლიტიკური ფორმის

მიმართ ამჟღავნებს. „ფედერალიზმის მთავარი ღირსება იმაში გამოიხატება, რომ იგი მშვიდობიანობის მახარობელია, იგი უფლებრივად მომწესრიგებელი სისტემაა. ფედერალიზმი ამცირებს განცალკევებულ სახელმწიფოთა რიცხვს“ (კოტეტიშვილი 2016: 445). აქვე მკვლევარი სვამს კითხვას: არის თუ არა სასურველი ამიერკავკასიის ერთა ფედერატიული ცხოვრება? პასუხი ავტორისეულია: „ამ პოლიტიკურ სისტემის შესაქმნელად საჭიროა აგრეთვე, რომ შემაკავშირებელი ერები სიმპათიით ეკიდებოდნენ ერთიმეორეს“. ამგვარი დამოკიდებულება ამიერკავკასიის ერებს შორის კოტეტიშვილისათვის საეჭვოა. ამავე დროს, მისი თქმით, ქართული სახელმწიფო უდიდეს ეროვნულ ღირებულებად იქცა („ნითელი პარადი“).

გრიგოლ რობაქიძე ეროვნებას უწოდებს „ონტოლოგიურ რეალობას, რომელიც რთულს ინდივიდუალობაში სახიერდება“ („იდეა ნაციისა“) (რობაქიძე 2012, 2: 406). თავის მხრივ, მწერალი ფიქრობს, რომ ეს რეალობა მრავლისშემცვლელ ინდივიდუალობად ისახება. რობაქიძე სვამს რიტორიკულ შეკითხვას: დადგება ისეთი ისტორიული ხანა, როცა ადამიანს შეეძლება სახელმწიფოს გარეშე ცხოვრება? მისი თქმით, სახელმწიფოსათვის აუცილებელია ხელმწიფებითი უფლება („ვლასტ“), რომელსაც შეუძლია, საჭირო ნორმების გასაყვანად ძალდატანებასაც მიმართოს (რობაქიძე 2012, 2: 410). ამიერკავკასიის სეიმის გარშემო ატეხილი დავას გრიგოლ რობაქიძეც აკვირდება და დაასკვნის, რომ ჩვენში ძლიერი ხელმწიფებითი უფლება ჯერ არ დამყარებულა. ამ მოვლენის უმთავრეს მიზეზად მწერალი სოციალიზმის ფსიქოლოგიას მიიჩნევს: „სოციალისტებს ფსიხოლოგიურად არ შეუძლიათ შექმნან ძალამოსილი ხელმწიფებითი უფლება. უფლების ბუნება ისეთია, რომ მას ვერ ითვისებს სოციალისტი“, – წერს იგი.

ნაშრომში გამოვიყენეთ მე-20 საუკუნის დასაწყისის ქართველ მოაზროვნეთა ის კონცეპტუალური ოპუსები, რომელთა ძირითადი პარადიგმა სახელმწიფოს და ეროვნების კონცეპტების დეფინიციასა და მათთან დაკავშირებულ პრობლემატიკას უკავშირდება. აღსანიშნავია, რომ ხსენებულ ავტორთა გარდა ქართული სახელმწიფოებრიობის თემატიკაზე ასევე წერდნენ: მ. ჯავახიშვილი, კ. გამსახურდია, ვ. ნოზაძე, შ. ამირეჯიბი, ცისფერყანწელები და სხვა შემოქმედნი.

დამონებიანი:

კოტეტიშვილი 2016: კოტეტიშვილი ვ. *წერილები* (შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და კომენტარები დაურთო ნონა კუპრეიშვილმა). თბილისი: გამომცემლობა „არტანუჯი“, 2016.

რობაქიძე 2012: რობაქიძე გრ. *ნაწერები*, წ. 2 (შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა და კომენტარები დაურთო ლალი ცომაია). თბილისი: 2012.

ქიქოძე 2003: ქიქოძე გ. *პატარა ერის ხვედრი*. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2003.

შარაძე 1990: შარაძე გ. *ილია ჭავჭავაძე*. წ. 2. თბილისი: გამომცემლობა „ხელოვნება“, 1990.

ჭავჭავაძე 2012: ჭავჭავაძე ი. *თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად*. ტ. XVII (ეპისტოლური მემკვიდრეობა) (ტომი გამოსაცემად მოამზადეს, კომენტარები, შენიშვნები და საძიებლები დაურთეს ნორა კოტინოვმა, მანანა კვატაია და ჯულიეტა გაბომე). თბილისი: გამომცემლობა „ილიას ფონდი“, 2012.

წერეთელი 1990: წერეთელი მ. *ერი და კაცობრიობა*. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1990.

NONA KUPREISHVILI

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Georgian Modernistic Press in 1918-1921s

The most important event of the last century was the announcement of Georgia's independence. In our literature this fact is discussed in the framework of the Unified Modernist Project, which refers to the renewal of all fields of Georgian culture. Of course, the philosophical-aesthetic and literary nature, which began in the 900-10s of the century, created a new tradition of literary press that not only popularized young writers, but also the readers who could adequately receive the news. It is noteworthy that the first periodical published in 1918-21s was the magazine "Prometheus". The famous mythological character who was a symbol of freedom became the first sign of the time.

Key words: renewal, cultural orientation, europeanization.

ნონა კუპრეიშვილი

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ქართული მოდერნისტული პრესა 1918-1921 წლებში

გასული საუკუნის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება იყო. ჩვენს ლიტმცოდნეობაში ეს ფაქტი განხილულია ერთიანი მოდერნისტული პროექტის ფარგლებში, რომელიც ქართული კულტურის ყველა სფეროს განახლებას გულისხმობდა. ცხადია, ის ფილოსოფიურ-ესთეტიკური და ლიტერატურული ხასიათის ძიებები, რომლებიც ჯერ კიდევ საუკუნის 900-10-იან წლებში დაიწყო, ქმნიდა ლიტერატურული პრესის ახალ ტრადიციას, რომელსაც არა მარტო პოპულარიაზაცია უნდა გაენია ახალგაზრდა მწერლებისა და მათ მიერ გაკეთებული კულტურული არჩევნისთვის, არამედ შეექმნა მკითხველთა ის აუდიტორიაც, რომელიც ამ სიახლეთა ადეკვატურად მიღებას შეძლებდა. ნიშანდობლივია, რომ 1918-21 წლებში გამოცემული რიგით პირველი პერიოდული ორგანო ჟურნალი „პრომეთე“ იყო. თავისუფლების სიმბოლოდ ქცეული ცნობილი მითოლოგიური პერსონაჟი, მართლაც, დროის უპირველეს ნიშნად იქცა. ჟურნალის სარედაქციო წერილი ერთ მეტად საგულისხმო, ვიტყვით, პრინციპული მნიშვნელობის საკითხსაც შეეხო, რომელსაც კულტურის რაობის თანადროული გააზრება შეიძლება ვუწოდოთ: „არასდროს (ისე) არ ყოფილა საჭირო ჩვენთვის დიდი და დინჯი ჟურნალი, როგორც დღეს. დღეს ეყრება საფუძველი ჩვენს ახალს პოლიტიკურ შენობას, დღეს კვლავ იწყებს ბრუნვას ჩვენი მთელი საუკუნის განმავლობაში შეჩერებული სახელმწიფო ცხოვრების ჩარხი, დღეს უნდა დაადგეს განახლებისა და აღორძინების გზას ჩვენიკულტურა... დღეს უნდა გამრთელდეს გამწყდარი ჯაჭვი... მართალია, პოლიტიკურისა და სოციალური მოძრაობის ღელვა ჯერ არ დამცხრალა და ჩვენი მოქალაქეობრივი ცხოვრება ჯერ არ დამდგარა ისეთ დონეზე, რომ კულტურული მუშაობისთვის საჭირო მყუდროება უზრუნველყოფილი გვეგულვებოდეს, მაგრამ ჩვენთვის კულტურული მუშაობა რომელიმე განსაკუთრებული დროის ან ხელსაყრელ პი-

რობათა საკითხი როდია. კულტურული მუშაობა ერის ისტორიულ ცხოვრებას განუყრელად უნდა სდევდეს თან. კაცობრიობის კულტურული ჭირნახულის კალოს ის ერი შეჰმატებს ყველაზე მეტს, რომელიც თვით პოლიტიკური ქარიშხლის დროსაც ხელს არ უშვებს კულტურული საქმიანობას“ (პრომეთე 1918: 235).

იმთავითვე უნდა ითქვას, რომ აღნიშნულ პერიოდში, ასე ვთქვათ, წამყვან ლიტერატურულ მიმართულებად სწორედ მოდერნიზმი უნდა მივიჩნიოთ, თანაც მოდერნიზმის ის სახეობა, რომელსაც სიმბოლიზმს უწოდებენ. და ეს მიუხედავად იმისა, რომ „პოზიტივისტი დავით კლდიაშვილის“ (ლ. ავალიანი)მცირე ზომისა და ნაკლებად მნიშვნელოვანი ტექსტების ფონზე წერის რეალისტური მანერის სხვა მიმდევრებიც ჩანან. ასე რომ 1924 წელს, როცა სურათი საბოლოოდ გამოიკვეთა, ტიცვიან ტაბიძეს ყველა საფუძველი გააჩნდა ეთქვა: „...დარჩება ხსენება იმ ორდენისა, რომელშიც ცამეტი კაცია და ისტორიული ანალოგიით, როგორც ცამეტმა ასირიელმა მამამ საქართველოში დათესა ორთოდოქსი ქრისტიანობა, ისე ცისფერყანწლებმა – ნამდვილი პოეზია...“ (გაზ. „ბარრიკადი“, 1924, №1)

აღნიშნული პერიოდის ანალიზის დროს არ უნდა დაგვავიწყდეს თვითონ თბილისის, როგორც კულტურული ცენტრის, ფაქტორი. ამ ქალაქში რუსული რევოლუციის შემდეგ 1917-20 წლებში თავი მოიყარა სწორედ რევოლუციას განრიდებული რუსული შემოქმედებითი ინტელიგენციის ერთმა ნაწილმა, რომელმაც ადგილობრივ არტისტულ-ლიტერატურულ ცხოვრებას განუმეორებელი ხიბლი შესძინა. ამ პერიოდში გამომავალი რუსულენოვანი პერიოდული ორგანოები, ისეთი როგორიც იყო, ვთქვათ, “Фигаро” (რედ. ნ. მინიშვილი), ან “ARC” და „41⁰“ ამ კონტექსტითაც იყო პროვოცირებული.

ასე რომ, საბჭოთა ლიტმცოდნეობის მიერ შექმნილი კლიშე დამოუკიდებლობის წლების კულტურული იგნორაციის, ქართული კულტურის სრული უძრაობის შესახებ, სულ ცოტა, სიზუსტესაა მოკლებული. მით უფრო, როცა საქმე ქართული მოდერნიზმის შემდგომ განვითარებას ეხება. გასული საუკუნის ათიან წლებშივე (1916) ჟურნალ „ცისფერი ყანწებით“ (თუმცა მას წინ უსწრებდა ჟურნალები „ფასკუნჯი“ და „ოქროს ვერძი“) გულმხურვალედ დეკლარირებული, თუმცა იმავდროულად საკმაოდ ეკლექტური, ფართო საზოგადოებისთვის კი სრულიად გაუგებარი, თავიდან სიმბოლიზმ-ფუტურიზმად, მოგვიანებით კი ქართულ მოდერნიზ-

მად წოდებული სალიტერატურო-სახელოვნებო სიახლეები, ე.წ. რესპუბლიკის წლებში არა თუ მინელდნენ ან დავინწყებას მიეცნენ, არამედ ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარების იმანენტურობის პრინციპის სრული დაცვით, მსგავსი ნოვაციებისთვის სრულიად შეუფერებელ საბჭოთა პერიოდის პირველ ათწლეულშიც გააგრძელეს თავიანთი აქტივობები. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ახალმა რეჟიმმა გამოამჟღავნა თავისი ლიტერატურული პოლიტიკის ძირითადი მიმართულება, ეს ძალისხმევა თანდათან შესუსტდა და მალე სრულიად აიკრძალა კიდეც. თუმცა ლიტერატურის ისტორიას, როგორც უტყუარი ფაქტი, დარჩა ქართველ მოდერნისტთა, კერძოდ კი, ცისფერყანწელთა და ევროპის მაშინდელ კულტურას ზიარებულ სხვა ქართველ შემოქმედთა გადწყვეტილება ქართული ფილოსოფიური და მხატვრულ-ესთეტიკური აზრის „ევროპის რადიუსით გამართვის“ შესახებ.

ორიოდე სიტყვა იმ ძირითად ტენდენციებზე, რასაც აღნიშნული პერიოდის ლიტერატურული პრესა ავლენს: ა) როგორც უკვე აღვნიშნეთ, წარმატებით გრძელდება 10-იან წლებში ტიპოლოგიურად ახალი ჟურნალებით „ოქროს ვერძი“ და „ცისფერი ყანწები“ დაწყებული და ქართული სიმბოლიზმის სახელით ცნობილი ლიტერატურული აზროვნების განახლების, მოდერნიზების პროცესი (ჟ. „მეოცნებე ნიამორები“ – რედ. ვ. გაფრინდაშვილი, ს. ცირეკიძე; ჟ. „შვილდოსანი“ – რედ. ს. ცირეკიძე, გაზ. „ბარრიკადი“ – რედ. ტ. ტაბიძე, გაზ. ბახტრიონი – რედ. გ. ლეონიძე). ამასთან ეს ჟურნალ-გაზეთები თავიანთი ხასიათით პოლიტიკურ აქცენტებს შეიცავენ და უფრო მეტად საზოგადოების ელიტარული ნაწილისთვის არიან განკუთვნილი; ბ) წარმოდგენილია სხვა, სიმბოლიზმს მიღმა მდგარი, სამწერლო ძალები, რომელთა დიდი ნაწილი (კ. გამსახურდია, ნ. ლორთქიფანიძე, ლ. ქიაჩელი, ტ. გრანელი, კ. ჭიჭინაძე, გრ. ცეცხლაძე, დ. შენგელაია, ი. გრიშაშვილიც) მიზნად ისახავს მოდერნიზმის სხვა მიმართულებათა (მაგ. იმპრესიონიზმი, ექსპრესიონიზმი, ფუტურიზმი, მოგვიანებით დადაიზმიც) გამოყენებით ასევე ახალი პოეტიკის, სტილისტიკისა და მხატვრული ფორმის დამკვიდრებას; გ) სულ უფრო მეტ აქტუალობას იძენს კულტურული ორიენტაციის საკითხი, რომელიც დამოუკიდებლობის პირობებში უცხო კულტურათა იმიტაციისა და ამით საკუთარი იდენტობის დაკარგვის შიშითაა ნაკარნახევი (ჟ. ლეილა, ვ. კოტეტიშვილი

„აზიისაკენ“ – 1920, №2, იქვე ი. გრიშაშვილი „მეჯუნის თვალე-
ბით“, ა. პაპავა – „ტფილისით გამართლება“ – 1924, №3). დ) ევრო-
პული ტიპის ე.წ. სქელტანიანი ჟურნალები (მაგ. „შვიდი მნათობი“,
რედ. პ. კაკაბაძე) წარმატებით ამკვიდებენ აკადემიზმს (იგი მთე-
ლი სისრულით გამოვლინდა 1924 წელს პ. ინგოროყვას რედაქტო-
რობით გამოსული ჟურნალ „კავკასიონის“ მაგალითზე), რაც მრავალფეროვან საკითხთა, სამეცნიერო პრობლემათა სიღრმისეული კვლევით მჭლავნდება და კიდევ ერთხელ ადასტურებს სწრაფვას ქართული კულტურის აღორძინებისკენ; ე) სულ უფრო ნათლად იკვეთება კრიტიკულ-ანალიტიკური აზრი და მასთან ერთად კრიტიკოსთა და მკვლევართა კორპუსის საქმიანობა – ერთი მხრივ: პ. ინგოროყვა, ივ. ჯავახიშვილი, ა. შანიძე, ს. გორგაძე, ს. კაკაბაძე, შ. გოგებაშვილი, მეორე მხრივ: ი. გომართელი, კ. კაპანელი; ა. პაპავა, მარუთა შუამდინარელი (იგივე ი. გრიშაშვილი), ვარამ გაგელი (ტ. ტაბიძე), ტრისტან მაჩაბელი (ვ. გაფრინდაშვილი), შალვა აფხაიძე.

1918 წელს ჟურნალ „თეატრისა და ცხოვრების“ ფურცლებზე გამოჩნდა ლადო გუდიაშვილის ნახატი წარწერით: „გ ა უ მ ა რ -
ჯ ო ს თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა ს თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ
ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი !“. ეს განწყობა, შეიძლება ითქვას, სა-
ყოველთაო იყო. ახალგაზრდა მხატვრის მონოდება ვრცელდებო-
და მთელ ქართულ კულტურაზეც, განუზრგვლად მიმართულე-
ბისა, თუმცა განსაკუთრებით ის მაინც ქართული მოდერნიზმის
მესვეურებს ეხებოდა.

ჟურნალი „მეოცნებე ნიამორები“, რომელიც რესპუბლიკის
წლების ლიტერატურულ ცხოვრებაში განსაკუთრებულ ადგილს
იკავებს, ქართული სიმბოლიზმის ესთეტიკური აზრის სიმწიფის
ხანას ასახავს. ცისფერყანელთა პირველი მანიფესტისა და საპრო-
გრამო წერილის ავტორებს, პაოლო იაშვილსა და ტიცინ ტაბიძეს,
მალე, ასე ვთქვათ, პოზიციას უძლიერებს ნამდვილი ერუდიტი და
ბრწყინვალე ესეისტი ვალერიან გაფრინდაშვილი, რომელმაც, სხვა-
თა შორის, თავისი პოეტური გზა იმხანად ქართულ სინამდვილეში
კარგად აპრობირებული ხერხით, რუსულ ენაზე ლექსების წერით
დაიწყო (1909-14 წლებში სწავლობდა მოსკოვის უნივერსიტეტის
იურიდიულ ფაკულტეტზე). ვალერიან გაფრინდაშვილს კულტურ-
ტრეგერსაც უწოდებენ, რადგან მისი წერილები ფრანგულ-რუსუ-

ლი სიმბოლიზმის ისტორიის თავისებური ენციკლოპედია იყო. „მეოცნებე ნიამორებში“, რომელსაც იგი სანდრო ცირეკიძესთან ერთად უძღვებოდა, სრულად გამოვლინდა მისი ეს შესაძლებლობები. თანამედროვე ლირიკის თავისებურებათა ახსნა-განმარტებას, სიმახინჯის ესთეტიკის კულტს, მოდერნისტული ხელოვნების მიმდევართა მიერ ახალი მითოლოგიის შექმნის აუცილებლობას, ბოჰემის ესთეტიზაციასა და მისი კულტურული ღირებულების წარმოჩენას ისახავს მიზნად ვ. გაფრინდაშვილის გამორჩეული სტატიები: „შენიშვნები ლირიკაზე“, „დავით გურამიშვილი“, „სტეფან მალარმე“, „Teror antiquus“, „ლირიკის ელიზიუმი, „ბოგემა““ „წარსულში ლირიკას არ ქონდა დიდი პრეტენზიები და მისი წრე განსაზღვრული იყო პრიმიტიული გრძნობებით და იდეებით. დღევანდელი ლირიკა მთელს მსოფლიოს უპირდაპირებს თავის თავს... ლირიკა თითქოს დროს და სივრცის გარეშეა. (მან) დასწვა ყველა ხიდეები და წინ მიდის... ქართული პოეზია ჯერ ეპოსით ამაყობს, მაგრამ დგება საბედისწერო წამი, როდესაც ლირიკის გოლგოთაზე უნდა ავიდეს ქართველი პოეტი, როდესაც ქართული პოეზია, როგორც სალომეია მოითხოვს იოქანანანის მოკვეთილ თავს“ (გაფრინდაშვილი 1919: 51). საგულისხმოა, რომ ამ სტრიქონების წერის პროცესში უკვე მზადაა და საცაა დღის სინათლეზე გამოვა ქართული პოეზიის უმთავრესი წიგნი გალაკტიონ ტაბიძის „არტისტული ყვავილები“, რომელიც გადაულახავ მიჯნას დადებს ყველა დანარჩენი პოეტისთვის, მათ შორის იმათთვის, ვინც კარგად იცის ახალი ესთეტიკისა და პოეტიკის საიდუმლოება, თუმცა მათი შესაძლებლობები ამ თემებზე უაღრესად საგულისხმო თეორიულ განსჯას არ სცილდება.

როგორც ვიცით, ტ. ტაბიძე „ცისფერი ყანების“ 1-2 ნომრებში გამოქვეყნებულ თავის საპროგრამო წერილებში „ცისფერი ყანებით“ (ტაბიძე 1916: 121;144) მიზანმიმართულად ეძებდა და პოულობდა კიდევ ქართული სიმბოლიზმის ეროვნულ ნიადაგს. ვ.გაფრინდაშვილი ავითარებს ამ ხაზს და რუსთაველისა და ბესიკის გვერდით დავით გურამიშვილსაც აყენებს. გურამიშვილისადმი მიძღვნილი მისი წერილი დღეს თავისუფალი, ნოვატორული ინტერპრეტაციის შესანიშნავ ნიმუშად აღიქმება, რადგან დიდი პოეტების შემოქმედების ანალიზი მათ გაგებასა და სწორ აღქმასთან ერთად მათი თანაგანცდასაც უნდა ეფუძნებოდეს. „თანდათან უნ-

და დავიბრუნოთ წარსული, როგორც პომპეია და გერკულანუმი... ქართულ პოეზიაში არავინ არ ატირებულა ისე, როგორც გურამიმ-ვილი... ჩვენ პოეზიას ყავს საკუთარი ვერლენი სევდის და რელიგიის ორგინალის სიკვდილის ესთეტიკით... ქრისტეს და მადონას მოტრფიალე, სათუთი და კეთილი... უსახლკარო და უსამშობლო... პრინცი და მათხოვარი... დღევანდელი პოეზია, როგორც ჯვარზე გაკრული ქრისტე, პირდება წამებულ გურამიმვილს ადგილს სასუფეველში – აღდგომის შემდეგ“ (გაფრინდაშვილი 1919: 64). ნერილში „დეკლარაცია“ ახალი მითოლოგია და მისი ასევე ახალი პერსონაჟებია წარმოდგენილი. აქაც ორიენტირი ფრანგული პოეზიის სავანეა, რომელიც არჩევნის წარმოუდგენელ სითამამეს ანიჭებს ავტორს.

სანდრო ცირეკიძე, ქართული სიმბოლიზმის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, „მეოცნებე ნიამორებსა“ და შემდგომ (ეს უკვე 1920 წელია) მისი რედაქტორობით ქუთაისში გამომავალ ჟურნალ „მშვიდოსანში“ ასევე ფილიგრანულად ამუშავებს არა მარტო თვით პოეზიის, არამედ პოეზიისა და პროზის სინთეზირების პრობლემატურ საკითხებს („ორსახიანი იანუსი“), რაც, მისი აზრით, პრაქტიკულად მალარმეს, გიუსმანსისა და ანდრე ბელის მიერ იქნა განხორციელებული. ავტორს სურს, რომ ტრადიციული და ყოვლად გაუმართლებელი ლტოლვა კონვენციული ლექსისკენ, რომელიც საუკუნეების მანძილზე „კომპარით აწვებოდა საქართველოს“, ქმნიდა დისბალანსს პროზასა და პოეზიას შორის. ეს კი ამ უკანასკნელის საზიანოდ, მათი მორიგებით, ანუ დროის მოთხოვნებთან მორგებული განახლებით უნდა დასრულდეს.

რესპუბლიკის წლებში საინტერესო ფიგურად იკვეთება ახალგაზრდა კონსტანტინე გამსახურდია. სიმბოლისტური სკოლის მიღმა მდგარი, იგი მსოფლმხედველობრივად, ცხადია, იზიარებდა ქართული მწერლობის ევროპეიზაციის კურსს და თავისი მწერლური ტემპერამენტის შესატყვის ფორმებს არა ფრანგულ, არამედ სწორედ გერმანულ კულტურ-ფილოსოფიურ აზროვნებასა და ექსპრესიონიზმში პოულობდა (გავიხსენოთ თუნდაც მისი ავტორობით შექმნილი ექსპრესიონიზმის მანიფესტი “Deklaratia promea”), ამ პერიოდისთვის სამშობლოში ბრუნდება და აქტიურად ერთვება იმ მოძრაობაში, რომელსაც სულ მალე, ბოლშევიკური რეჟიმის დამყარებისთანავე, „კულტურის დიქტატურისთვის“ ბრძო-

ლას უწოდებს. კ. გამსახურდიას ადრეული შემოქმედებაც უკვე შეიძლება აღვიკვათ, როგორც მოდერნისტი მწერლის რეფლექსია და ამ რეფლექსიის მხატვრული რეპრეზენტაცია საკუთრივ მოდერნიზმზე, ანუ ტექნოკრატიულ ეპოქაზე. გარდა იმისა, რომ ნიცშეანური იდეებით შეპყრობილი გამსახურდია, რომელიც 1919-21 წლებში ლექსებს უძღვნის მისთვის ევროპული კულტურის ცენტრად შერაცხულ ბერლინს და თავად ნიცშეს (ჟ. ილიონი ...), წერს უაღრესად საგულისხმო წერილს „იმპრესიონიზმი თუ ექსპრესიონიზმი“, რომელშიც თავის „L, Art Poeticue“-ს ავლენს. მოგვიანებით დანერილი „გოეთე თუ მისტიკოსი“ (ეს უკვე 1922 წელია ჟ. ილიონი, № 1), რომელშიც „ფაუსტის“ მეორე ნაწილის მიხედვით ამ დიდი გერმანელი მწერლის წინასწარმეტყველებაზე მსჯელობას ვაწყდებით. სწორედ აქაა დეკლარირებული უაღრესად საგულისხმო და ზუსტი მიგნება განსხვავებულ კულტურულ ეპოქათა გადაძახილის შესახებ, რომელიც, როგორც წესი, გენიოსთა მიერ ხორციელდება. წერილის ავტორი პირდაპირ კავშირს ხედავს გოეთეს მიერ „ფაუსტში“ გამჟღავნებულ პოზიციასა და ინდუსტრიული ქალაქის მეხოტბე ემილ ვერჰარნს შორის. გამსახურდიას რწმენით, გოეთესეული ინდუსტრიული ქაოსის წინათგრძნობა მხატვრულ ასახვას ვერჰარნის ქარხნების საყვირებისადმი აღვლენილ ქებაში პოულობს. კ. გამსახურდია იმთავითვე ყალიბდება შეურიგებელ პოლემისტად, რომელიც ვერავის ვერ პატიობს საკუთარი სამშობლოს ინტერესების იგნორირებას. ამიტომაც ეს დახვეწილი ესთეტი, რომელსაც გაგულისებული ტ. ტაბიძე მალე „კულტურულ ბარბაროსად“ მოიხსენიებს, დიდი ენთუზიაზმით ერთვება მუდმივად მოუწყობელი, ან უკეთ, როგორც აკა მორჩილაძე ერთგან წერს, „მუდმივად გადასარჩენი“ ქვეყნისთვის წამოწყებულ ბრძოლაში. ამგვარი ქომაგობის სურვილი ვლინდება ჟურნალ-გაზეთების გამოცემის საქმეშიც, რადგან პრესა უნივერსალური საშუალებაა საკუთარი პოზიციის ფიქსაციისთვის. კ. გამსახურდია ხდება ჟურნალ „პრომეთეს“ სარედაქციო კოლეგიის წევრი აკაკი შანიძესთან, აკაკი პაპავასთან და იოსებ ყიფშიძესთან ერთად, რედაქტორია ჟურნალ „ლომისისა“ გალაკტიონ ტაბიძესა და ლეო ქიაჩელთან ერთად, გასაბჭოების პირველივე წლებში კი გამოსცემს გაზეთ „საქართველოს სამრეკლოს“ და ჟურნალ „ილიონს“ და ყველგან, ისევე როგორც მოდერნისტული პრესის სხვა ნიმუშებში, იგრძნობა ურყევი რწმე-

ნა ქართული კულტურის ავტონომიურობისადმი, მისი გონივრული ევროპეიზაციისა და ქართული სახელმწიფოს სიცოცხლისუნარიანობისადმი.

1920 წელს თბილისში ჩამოდის ოსიპ მანდელშტამი, რომელსაც ცენტრალური სამთავრობო ორგანოს მიერ გაცემული საკმაოდ გაურკვეველი მივლინება აქვს გაფორმებული. მიღებულ შთაბეჭდილებათა შედეგად იგი წერს სტატიას „ცოტა რამ ქართულ ხელოვნებაზე“, რომელიც უკანასკნელ პერიოდამდე ქართულ-რუსული მეგობრობის ერთ-ერთ ურყევ საბუთად იყო მიჩნეული. სინამდვილეში, ისეთი ფართო განათლებისა და დახვეწილი პოეტური ნიჭით გამორჩეული ავტორი, როგორც მანდელშტამი იყო, უწუნებს ქართველ პოეტებს პარიზით ზედმეტ გატაცებას და საყვედურობს საკუთარი წიაღისადმი უპატივცემლობას. თუმცა სტატიის ქვეტექსტი მიგვანიშნებს იმაზე, რომ რუსი მწერალი გაულიზიანებია ქართველ შემოქმედთა თამამ გადაწყვეტილებას არა რუსული, არამედ უშუალოდ ევროპული გზით გაეცნოთ და შეეთვისებინათ ის სახელოვნებო სიახლეები, რომელიც ჩვენს კულტურას, პირველ ყოვლისა, რუსული გავლენისგან გათავისუფლებაში სჭირდებოდა. ამ თემაზე საგანგებოდ იმუშავა პროფ. გრ. ჯონხაძემ. აი, რას წერს იგი: „ევროპული კულტურით გატაცებულ და მისი შემოქმედებითი ათვისების მოსურნე ქართველ პოეტებს მანდელშტამი უნიჭო ეპიგონებად მიიჩნევს...“ და რაც მთავარია, მისივე აზრით, „ქართველთა ევროპა რუსეთი და რუსული კულტურა უნდა იყოს და არა, ვთქვათ, სიმბოლისტური საფრანგეთი...“ (ჯონხაძე 2018: 52). მანდელშტამის ეს ვიზიტიც და მის მიერ გაკეთებული დასკვნებიც სიმბოლური აღმოჩნდა. საქართველომ სულ მალე დაკარგა დამოუკიდებლობა და უკვე საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდით რუსულ კულტურულ ორბიტას დაუბრუნდა.

დაბოლოს, საგანგებოდ უნდა ითქვას უკანასკნელ პერიოდში ქართულ ლიტმცოდნეობაში გამოკვეთილ ერთ მეტად მნიშვნელოვან ტენდენციასზე, რომელიც სამეცნიერო კვლევის დიაპაზონის გაფართოებას ეხება. ამ გაფართოებას მხოლოდ ერთი მიზანი ჰქონდა (ვგულისხმობ **XX** საუკუნის დასაწყისს, როცა ასეთ მიდგომას იმდროინდელი ცნობილი ავტორები იზიარებდნენ) და აქვს: ეროვნულ კულტურაში გამოკვეთილი ამა თუ იმ მოვლენისთვის უნივერსალური მნიშვნელობის ძიება და მინიჭება. სწორედ ამან მისცა საშუ-

ალეხა ქართული მოდერნიზმის არაერთ თანამედრივე მკვლევარს ქართულ ლიტმცოდნეობით დისკურსში ნათლად წარმოეჩინა ქართული მოდერნიზმი არა როგორც დასავლურის ტლანქი იმიტაცია, მისი , როგორც კ. ბრეგაძე აღნიშნავს, „ეპიგონალური დანამატი ან პერიფერიული სფერო“, არამედ როგორც „უნიკალური მოვლენა ევროპულ ლიტერატურაში“ (ბრეგაძე 2013: 11) ნასაზრდოები და გამდიდრებული ევრო– აზიურ კულტურულ ნაკადთა უნიკალური შეერთებით.

დამონეგაანი:

ავალიანი 2018 : ავალიანი ლ. *პაოლო იაშვილი*. თბილისი: 2018.

ბრეგაძე 2013: ბრეგაძე კ. *ქართული მოდერნიზმი*. თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“, 2013.

გამსახურდია 1922: გამსახურდია კ. *გოეთე თუ მისტიკოსი*. ჟურნ. ილიონი, №1. 1922.

გაფრინდაშვილი 1919: გაფრინდაშვილი ვ. *შენიშვნები ლირიკაზე*. ჟურნ. მეოცნებე ნიამორები, № 3. 1919.

ლიტ. ჟურნალები 2011: ლიტ. ჟურნალები, 10-20-იანი წლები. ლიტ. მუზეუმი (პირველი და მეორე ნიგნი). თბილისი: 2011.

რედაქციის მიერ 1918: *რედაქციის მიერ*. ჟურნ. პრომეთე, № 1. 1918.

მანდელშტამი 1993: Манделштам О. Кое что о грузинском искусстве., собр. соч. в 4-х томах (сост. П. Нерлер, А. Никитаев), т. 2. Москва: 1993.

სიგუა 2003: სიგუა ს. *მარტვილი და ალამდარი*, ნიგნ 1, კ.გამსახურდიას ცხოვრების გზა, თბილისი: თსუ გამომცემლობა, 2003.

ტაბიძე 1924: ტაბიძე ტ. „ცისფერი ყანწები მერვე წელს“. გაზ. „ბარრიკადი“, №1, 1924.

ჯოხაძე 2017: ჯოხაძე გრ. ნიგნებსა და ადამიანებზე (ლიტ. ესეები) თბ. 2017.

GOCHA KUCHUKHIDZE

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Anti-Soviet Spirit in Lado Asatiani's Works

The Poem of Georgian poet Lado Asatiani (1917 – 1943) “Trouts at the Agricultural Exhibition” depicts a Soviet exhibition that used to be held in Moscow. Trouts confined to an aquarium are swimming around restlessly remembering rough mountain river Enguri. They are colliding with the aquarium wall and they are being likened with warriors... At the end of the poem an ironic tone can be felt: the poet describes “the working class people” gaping at the trouts, and how surprised “a Stakhanov worker from Moscow” is. First showing Georgian warrior spirit and then mentioning common Soviet terms (“working class people,” “Stakhanov worker”) the poet creates a contrasting environment thus indicating that Georgia will not give up fighting to regain independence.

In the paper several poems are discussed from this point of view.

Key Words: Lado Asatiani, Anti-Soviet feeling

გოჩა კუჭუხიძე

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ანტისაბჭოთა სულისკვეთება ლადო ასათიანის პოეზიაში

ლადო ასათიანის პოეზიაში გვხვდება რამდენიმე ლექსი, რომელშიც, ჩვენი აზრით, ანტისაბჭოთა განწყობილება არის გამოხატული. პოეტი ზოგიერთ შემთხვევაში ირონიულ დამოკიდებულებას ამჟღავნებს კომუნისტური წყობილების მიმართ, რაც, ცხადია, შეფარულად ხდება.

ჩვენი ყურადღება მიიქცია რამდენიმე ლექსმა, რომელიც ამ ასპექტიდან ჯერ არ ყოფილა გაანალიზებული. ერთ-ერთი ასეთ-

თავანი ეს არის ლექსი „სალალობო“ (1940 წ). ქართული პოეზიის მოყვარულთათვის კარგად არის ცნობილი პოეტის სიტყვები:

*ხომ ლამაზია ეს ჩემი ცოლი, მაგრამ მე უფრო ლამაზი მინდა,
ატმის ხესავით აფეთქებული და მოქნეული გავაზივითა,
ხომ ლამაზია ეს საქართველო, მაგრამ მე უფრო ლამაზი მინდა,
ფართოდ გაშლილი და მოხატული თამარ დედოფლის დარბაზივითა.*

ეს გახლავთ ლექსი, რომელსაც სახუმარო სახე აქვს მიცემული, მაგრამ ხუმრობის მიღმა ისმის სათქმელი, რომელშიც იმდროისათვის დიდი გაბედულებაა გამოხატული და რომლითაც საფრთხეში იგდებს პოეტი თავს: იგი ამბობს, რომ ლამაზია მისი თანამედროვე საქართველო, მაგრამ არა – ისეთი, რომელიც ეოცნებება, – ლადო ასათიანის საოცნებო საქართველო გაცილებით ლამაზია და იგი თამარ მეფის სახელმწიფოსთან ასოცირდება. როცა პოეტი საბჭოთა საქართველოს მეხოტბეთა და კომუნისტურ მომავალზე მეოცნებეთა შემოქმედების ფონზე ამბობს, რომ მის თანამედროვე საქართველოზე უფრო ლამაზი ის ქვეყანაა, რომელიც წარსულში, შუა საუკუნეებში, ჰქონდათ ქართველებს, ეს, ცხადია, აღფრთოვანებაში არ მოიყვანდა საბჭოთა ცენზურას. პოეტს მკითხველთა ყურადღება იუმორზე გადააქვს, ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, რომ მხოლოდ ხუმრობაა ამ ლექსში მისი მიზანი („კაცის გული ისეთია, ვით მორევი შავი ზღვისა, / რა გინდ კარგი ცოლი ჰყავდეს, მაინც ენატრება სხვისა“ და სხვა), რომ სერიოზული პოლიტიკური თემა არ აინტერესებს, მაგრამ სიტყვების დაუფიქრებელი ხმარება ლადო ასათიანისათვის არ იყო დამახასიათებელი და საეჭვოა, რომ დაუფიქრებლობით დაენერა და ვერ შეემჩნია პოლიტიკური მნიშვნელობა ისეთი ფრაზებისა, რომლებიდანაც ჩანს, რომ მისთვის საბჭოთა საქართველოზე უფრო ლამაზი ისეთი ქვეყანაა, რომელიც თამარ მეფის დარბაზს შეგიძლია შეადარო, სიტყვების დაუფიქრებლად წერა მით უმეტეს წარმოუდგენელია მისი ბიოგრაფიის მქონე კაცისგან (როგორც ვიცით, 1938 წელს, როგორც „ხალხის მტერი“, დაუპატიმრეს დედა... მანამდე, 1930 წელს, ლადოს ბაბუა, სოფელ ბარდნალას მკვიდრი, გუჯუ ასათიანი, გააკულაკეს, რის შემდეგაც იმავე ღამით გარდაიცვალა იგი; 1937 წელს თავად ლადო ასათიანს, როგორც პოეტს, დაესხნენ თავს გაზეთ „სტალინელის“ ფურცლე-

ბიდან და „უიდეო ლექსები“ დაუწუნეს, რის შემდეგაც მისი გადარჩენის ფაქტი ლამის სასწაულს უნდა მივანეროთ; ლადო ასათიანი კონტრრევოლუციური ლაპარაკის ბრალდებით სასწავლებლიდანაც იყო გარიცხული; 1941 წელს პოეტის კრებული – „წინაპრები“, რომელიც უკვე დაბეჭდილი იყო, იმ მიზეზით, რომ ომის პერიოდში წინაპრებზე წერა მიზანშეწონილად არ ცნეს, სტამბაში განადგურდა; – ამ საკითხების შესახებ იხ. კვერენჩილაძე 1997: 181; ჩხეიძე). ვფიქრობთ, ხსენებული ლექსით საკმაო გამბედაობა გამოიჩინა პოეტმა და შინაგანი პატიოსნების მაგალითი მისცა იმ მკითხველს, ვისაც მისი ნათქვამის გაგება შეეძლო. მართალია, 30-იანი წლების ბოლოს საბჭოთა იდეოლოგიამ დაუშვა, რომ არა მხოლოდ საბჭოთა პატრიოტულ თემატიკაზე, არამედ, ცალკეული ერების ჰეროიკულ წარსულზეც შექმნილიყო ნაწარმოებები, დაუშვეს ეროვნული თემატიკა, 1937 წელს მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით აღინიშნა რუსთველის იუბილე, მაგრამ ეროვნული თემატიკის მიმართ ასეთი ლოიალობის გამოჩენა, ცხადია, იმას არ გულისხმობდა, რომ მწერლებს შუა საუკუნეების საქართველო საბჭოთაზე უკეთესად წარმოეჩინათ, ამასთან, მიუხედავად ოფიციალური ლოიალობისა, ეროვნული თემატიკისადმი მაინც არ იყო საბჭოთა ხელისუფლება სიმპატიით განწყობილი, – 30-იან წწ-ის პრესაში, მათ მიწურულსაც, პერიოდიკაში ვხვდებით წერილებს, რომლებშიც განქიქებული არიან ისეთი მწერლები, რომლებიც წარსულს მისტირიან და რომელთათვისაც ნაციონალური თემატიკა წამყვანია. ლექსს „სალალობო“ სახუმარო კილო მისცა პოეტმა და ამით შემალა ის პოლიტიკური შინაარსი, რომლის გამოც, შესაძლო იყო, დაღუპულიყო კიდეც. ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ ლექსი დაეწყო ამ სტრიქონებით: – „ხომ ლამაზია ეს საქართველო, მაგრამ მე უფრო ლამაზი მინდა“ და შემდეგ ეთქვა, რომ თამარის საქართველო ენატრება, – ასეთ შემთხვევაში, თუ არ დახვრეტდნენ, დიდი საშიშროების წინაშე აუცილებლად დადგებოდა, რადგან აღარ დაიმალებოდა ლექსის მთავარი სათქმელი; დასაწყისი სტრიქონები, ლექსის სათაური, ნიღბავენ ძირითად სათქმელს, გამძლე ფარივით იცავენ მას; პირველი სტროფის დასაწყისი სიტყვებს, რომლებითაც თითქოს მეუღლეს ეხუმრება, სხვა მიმართულებით გადაჰყავს მკითხველთა ფიქრი, ცოლის სილამაზეზე იუმორით ნათქვამი ფრაზების შემდეგ თამარის სახეც განსხვავებულ ელფერს იძენს, მეორე პლანზე გადა-

დის მისი, როგორც მონარქის, სახე, მით უმეტეს, რომ დედოფალს უწოდებს პოეტი მას და არ იხსენიებს ტრადიციული სახელით – „თამარ მეფე“, სახუმარო ინტონაციას ლებულობს ლექსი პირველი სტრიქონებით და შემდეგ კი პოეტს იმისი საშუალება ეძლევა, რომ ხან იმ ხალხური ლექსის ჩართვით, რომლიდანაც ქართული მებრძოლი სული მოჩანს, ხანაც საკუთარი სიტყვებით, შემოუძახოს თანამემამულეებს და გამოლვიძებისაკენ მოუწოდოს მათ, ოდნავ მაინც გამოაფხიზლოს მიმქრალი ქართული სული; ასეთი დასაწყისი საშუალებას აძლევს, რომ თავისუფლად თქვას სათქმელი და იმ ყოველივეს ფონზე, რასაც შემდგომ წერს, დაკვირვებული მკითხველი იგრძნობს, რომ გახუმრება და ლალობა კი არა, სულ სხვა რამ არის პოეტის მთავარი მიზანი, კი არ ხუმრობს და ერთობა, მეუღლეს კი არ ეთამაშება, – ქართული სულის გასაღვიძებელ ყიჟინას სცემს (*„დაუკარით, რომ ძველ ხანჯალს ელდა ეცეს... დაუკარით, ჯერ ხომ სისხლი გვიდუღს ძარღვში... დაუკარით, რომ ჭაბუკნი ვიყოთ მარად... დაუკარით და იმღერეთ შადიანი, ფიცხელ ომში რომ მღეროდა მაჩაბელი... დაუკარით არწივების ასაფრენი“*...), ეზინია, რომ ახალგაზრდულ ენერგიას დაკარგავს და ღრმად მიიძინებს ეს ქვეყანა, რომ ჩაკვდება ის ეროვნული სული, რომელსაც შეუძლია, რომ თავისი წილი სიკეთე მოუტანოს ქვეყნიერებას; ამ ტაეპიდან რომ დაწყებულიყო ლექსი: „ხომ ლამაზია ეს საქართველო“, ჩვენებითი ნაცვალსახელი – „ეს“ იმგვარად იქნებოდა აღქმული ცენზორის მიერ, რომ აშკარად თანამედროვე საბჭოთა საქართველოს გულისხმობს პოეტი, სიტყვები „ეს საქართველო“ საბჭოთა საქართველოდ იქნებოდა აღქმული და ეს კი უკვე პოლიტიკურ ელფერს შესძენდა ლექსს და სურვილის შემთხვევაში შეძლებდა ცენზორი, განეცხადებინა, რომ მართალია, ამბობს პოეტი, რომ მოსწონს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა (ანუ – „ეს საქართველო“), მაგრამ XII-XIII საუკუნეებისა უფრო ლამაზად ეჩვენება, პირველი სტროფის დასაწყისმა, ამ დამცავმა სტრიქონებმა და სათაურმა კი სახუმარო გამწყობილება შემოიტანა ლექსში და ნაციონალურ მონოდებებს პოლიტიკური ელფერი შეუმაღა, დასაწყისში ნახსენები „ეს ჩემი ცოლის“ შემდეგ „ეს საქართველო“ უკვე განსხვავებული ინტონაციით იქნა აღქმული, ნაცვალსახელი „ეს“ რეფრენად იქცა და კონკრეტულ, – საბჭოთა საქართველოზე პირდაპირი მითითება ცხადად აღარ გამოჩნდა მასში.

მაგრამ, მიუხედავად შენიღბვისა, ცენზორს მაინც შეეძლო, ამოეცნო ლადო ასათიანის სათქმელი და, თუ გაიმეტებდა და განი-
რადა მას, მერე თავის მართლებას, შესაძლოა, ველარ ეშველა პო-
ეტისთვის, ამიტომ, სრულიად ცხადად ჩანს, რომ მართლა თავგან-
წირული იყო ეს ახალგაზრდა კაცი და მართლა უსაზღვროდ უყვარდა
და სტიკოდა სამშობლო, არაადამიანური რეპრესიების წლებში
გაბედულად იარებოდა დასახვრეტთა დასაყენებელი კედლისა და
იქვე მყოფი, მსხვერპლთა ამოსაცნობად თვალგაფაციცებული,
ჯალათების ახლოს. მართალია, ამ დროს 1937 წელი აღარ იდგა, მაგ-
რამ საშიშროებას ჯერ მთლიანად არ გაეგლო და შიშისაგან ჯერაც
დაზაფრული იყო ხალხი; არ ვამბობთ გადაჭარბებულად, – ადა-
მიანებს თავისუფლებაზე ფიქრისაც კი ეშინოდათ მაშინ, რადგან
შესაძლო იყო, სახეზე გამოხატვოდათ ნაფიქრი, ბელადის სახელის
გაგონებისას, თუ რადიოში მისი გამოსვლის მოსმენისას, გულწრ-
ფელობა უნდა ეთამაშათ და აღფრთოვანება გამოეხატათ სახეზე,
რათა ვინმეს სიყალბეში არ დაედანაშაულებინა და ამის გამო არ
დაეხვრიტათ. შიშისა და ალბათ ზოგჯერ იმის გამო, რომ სინდისის
ხმა დაემშვიდებინათ და მართალნი გამოჩენილიყვნენ სინდისის
წინაშე, საკუთარ თავსაც აჯერებდნენ, რომ გულწრფელად იყვნენ
აღფრთოვანებულნი ყოველივეთი, რაც მათ გარშემო ხდებოდა.

ამრიგად, ვფიქრობთ, რომ ლექსი „სალალობო“ პოლიტიკური
ჟღერადობისაა, პირველი სტროფის დასაწყისი ორი ტაეპი (*„ხომ
ლამაზია ეს ჩემი ცოლი, მაგრამ მე უფრო ლამაზი მინდა, / ატმის ხე-
სავით აფეთქებული და მოქნეული გავაზივითა“*) და ხალხური ლექ-
სიდან ჩართული სტროფი (*„კაცის გული ისეთია, ვით მორვევი შავი
ზღვისა: / რა გინდ კარგი ცოლი ჰყავდეს, / მაინც ენატრება სხვისა“*)
რომ მოვაცილოთ მას, სრულიად ჩვეულებრივი პოლიტიკური ში-
ნაარსის მქონე ლექსს მივიღებთ, პოლიტიკური სათქმელი მკაფიოდ
გამოჩნდება მასში; ლადო ასათიანის ნიჭმა ისიც მოახერხა, რომ შე-
ნიღბვის შემდეგაც ულამაზესი სახით წარმოჩნდა ეს ლექსი ჩვენ წი-
ნაშე, – სახუმარო, მართლა სალალობო ხასიათი შეიძინა ლექსმა და
სათაური სრულიად ბუნებრივად მოერგო მას, საინტერესოა, რომ
სათაური ლექსის დაფარულ სათქმელსაც ესადაგება, – ქართველი
ადამიანის ხასიათის ერთ-ერთი თვისება სილაღეა, პოეტის წარ-
მოდგენით, არა მხოლოდ საერთოდ, – ომშიაც ლაღია ქართველი
ადამიანი და სწორედ ამ სილაღის გამოღვიძებას ცდილობს პოეტი;

აქვე უნდა ითქვას, რომ მართლა ომისა და სისხლის ღვრისაკენ არა, მაგრამ იმ ბრძოლისაკენ კი მოუწოდებს ქართველთ, რასაც შემოქმედება, სულიერ თვლემასთან და მიძინებასთან გამკლავება გულისხმობს, ქართველთა სულიერი დაძაბუნებისა ემინია ლადო ასათიანს.

გვახსენდება პოეტის სხვა ლექსი – „კალმახები სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე“ (1939 წ), რომელშიც, ერთი მხრივ, ეროვნული თემატიკაა წინ წამოწეული, მეორე მხრივ კი, ჩვენი აზრით, საბჭოთა წყობილების მიმართ ირონიული განწყობილებაა შეფარულად გამოხატული და რომელშიც ერთმანეთთან არის დაპირისპირებული ქართული ეროვნული და საბჭოთა პატრიოტიზმი.

ლექსში აღწერილია სასოფლო სამეურნეო გამოფენა, რომელიც მოსკოვში იმართებოდა ხოლმე, ჩვენ წინაშე ძალზე საინტერესო სურათს წარმოადგენს პოეტი:

ვხედავთ, რომ საქართველოს პავილიონის შესასვლელთან აუზში კალმახი „დგაფუნობს“... მალე სიმღერა „ლილე“ გაისმება და თითქოს ცოცხლდება და ხმაურს იწყებს ირგვლივ ყოველი, თევზები აუზში ველარ ისვენებენ, თითქოს, გასაფრენადაც კი მზად არიანო:

*და ადგაფუნდა წყალში კალმახი,
მკვირცხლი და მარად მოუსვენარი.
ერთი მეორეს შეეხო ფრთებით
და კალმახები შეყარა ალყად,
თუ გაახსენდათ სვანეთის მთები
და შფოთიანი ენგურის ტალღა?!
გაგიგონიათ კალმახი შედგეს?
ვერ მოისვენებს თუ არ გაცურა...
და დაეჯახა აუზის კედლებს
ფარა ფერადი მამაკაცურად.
ვინ იტყვის აბა, რა ხმას მოჰგავდა
მათი ფარების ცემა გმირული, –
ენგური იყო, იგი ბორგავდა,
მუდამ შლეგი და თავგანწირული.
ძალა ჰქონია ვაჟკაცურ „ლილეს“,
წუთით თევზებმაც აიდგეს ენა.*

თევზებზე იწყებს წერას და ქართველ მეომრებზე კი გადააქვს სიტყვა, მერე თითქოს ბრძოლის ყიჟინა გაისმის, აუზის ტყვეო-

ბისაგან თავდასახსნელად იბრძვიან თითქოს ეს თევზები და ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ქართული სული იბრძვის თავდასახსნელად, ამ განწყობილებას ბადებს არაერთ მკითხველში პოეტის ლექსი. გვიხატავს ლადო ასათიანი „გახელებულ თევზებს“, უეცრად – „ხმამოდგმულებს“, რომლებიც ცაში აჭრილ ქართველ ვაჟკაცებს დამგვანებულან და სატევრებივით ლაპლაპებენ და უცბად ირონიული ინტონაცია ჩნდება მის ლექსში:

*წვრილ-წვრილ ვარსკვლავებს ისროდნენ ცისკენ
და ლაპლაპებდნენ, ვით სატევრები.
გაიოცებდა ხალხი მშრომელი
მათს გახელებას და ამღერებას,
და მოსკოველი სტახანოველი
იდგა, უმზერდა საკვირველებას!*

ამ ლექსში თითქოს ხარკს იღებს ლადო ასათიანი, – საბჭოთა ხალხების გამოფენას უძღვნის ლექსს, მაგრამ ისე ახერხებს წერას, რომ სიყალბისაგან თავი დაიცვას და დაანახოს თავის მკითხველს, ალეგორიული ფორმით აშკარად თავისუფლებისათვის ბრძოლისაკენ რომ მოუწოდებს ერს. ირონიული პათოსი კარგად იგრძნობა ლექსიკაში: – „ხალხი მშრომელი“ და „სტახანოველი“, საბჭოური ლოზუნგებისა და საბჭოთა ოფიციალური ენისათვის დამახასიათებელ ამ სიტყვებს, რომლებიც ხალხში ძირითადად ყოველთვის ირონიულად აღიქმებოდა, აშკარად ოპოზიციური ტონი შემოაქვს ლექსში და იხატება ისეთი სურათი, რომელშიც ერთმანეთს უპირისპირდება ქართული ეროვნული სულისკვეთება და საბჭოთა იდეოლოგია, სატევრებივით ალაპლაპებული და აბობოქრებული თევზების ფონზე აშკარად დისონანსი შემოაქვთ ლექსში უეცრად გამოჩენილ მშვიდ საბჭოთა „მშრომელებსა“ და „სტახანოველებს“, მშვიდობიანი ჰარმონიისა კი არა – დაპირისპირების სურათი იხატება ჩვენ წინაშე. საჭიროების შემთხვევაში საბჭოთა ცენზურის წინაშე ოფიციალურად გაიმართლებდა ლადო ასათიანი თავს, – იტყოდა, რომ ეროვნული ენერგიით სავსე ქართული სული და საბჭოთა მშრომელი ადამიანები დახატა ამ ლექსში, მაგრამ ირონია და ქართულ ეროვნულობასა და საბჭოურ სულს შორის დაპირისპირება მაინც კარგად იგრძნობა ლექსში, რაც არაოფიციალურ დონეზე საშიშროებას უდავოდ შეუქმნიდა პოეტს.

აქ მთავარ სათქმელს ოდნავ დავცილდებით და ვიტყვით, რომ გვახსენდება დავით კაკაბაძის სურათი – „მიტინგი იმერეთში“, რომელშიც, საბჭოთა ცენზურის მოთხოვნებს თუ გავითვალისწინებთ, არასაბჭოური და საეჭვო არაფერია, მაგრამ გამგები ხედავს, თუ როგორ დისონანსს ქმნის მხატვრის მშვიდი და წყნარი ფერების ფონზე, რომლითაც იმერეთს ხატავდა ხოლმე, კომუნისტური დროშები და ლენინის სურათი, როგორ მეტყველებს აქ მხატვარი, ამ შემთხვევაში, – კონსტრასტული ფერების საშუალებით, როგორ გვეუბნება მინიშნებით, რომ კომუნისტური იდეოლოგია საქართველოსთვის უცხოა. თითქოს „ყველაფერი რიგზეა“ ამ სურათში, მაგრამ ფერების „საიდუმლო ენით“ გვესაუბრება მხატვარი და ამ მხრივ იგი ლადო ასათიანის „თანამზრახველია“. ალბათ კომპოზიტორთა შორისაც იქნებოდნენ ის ადამიანები, რომლებიც ბგერების ენით გვესაუბრებოდნენ და საჭიროა ამ კუთხით მათი შემოქმედების შესწავლა, – შესაძლოა, რომელიმე მათგანმაც გვითხრა თავისი სათქმელი და უნდა გავიგონოთ იგი.

ლადო ასათიანის ირონიაზე საუბრისას გვახსენდება მისი წერილი, რომელიც 1941 წლის 6 ივლისს კოტე ხიმშიაშვილისათვის გაუგზავნია, – ცხადია, იმ პერიოდში პირადი წერილების წერის დროსაც ისეთივე სიფრთხილის გამოჩენა იყო საჭირო, როგორც სახალხოდ საუბრისას თუ წერისას, ამიტომ ლადო წერილშიც სიფრთხილეს იცავს და ზედმეტს არ ამბობს, მაგრამ, როცა ვკითხულობთ მის წერილს, ამკარად ვგრძნობთ საბჭოთა ქვეყნის მიმართ გამოხატულ ირონიას:

„კოტეს სიცოცხლე! მოგეხსენება, აბასთუმანში ვმარტვილობ, ზამთარი აღარაა. გაზაფხულია. საერთოდ „გაზაფხულია ჩვენს ქვეყანაში“.

იქნებ, ამ წერილში მართლა წელიწადის ამ მშვენიერ დროზე წერდა მხოლოდ, მაგრამ მაინც ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ პოლიტიკური ირონია გადაკრავს ბრჭყალებში ჩასმულ ამ სიტყვებს, – „საერთოდ გაზაფხულია ჩვენს ქვეყანაში“.

ერთი წლით ადრე, – 7 ივლისს კოტე ხიმშიაშვილისთვის მიუწერია: *„ჩვენ უთუოდ ბევრი საერთო გვაქვს როგორც ცხოვრებაში, ისე ლიტერატურაში. ძალიან შორს ვიყავით ერთმანეთისგან. შენი არ ვიცი და მე ამაზე გულიც მომდიოდა, ხომ იცი ჩვენს პატარა წრეში ბევრი არაა ისეთი, რომ „რამეზე“ ფიქრობდეს. „რამე“ აწუხებდეს.*

უფრო სწორად, მე მიყვარს პატიოსანი მწერლები, გამიგებ, რა პატიოსნებაზეც ვლაპარაკობ... ეს ის პატიოსნებაა, გრიბოედოვს „ვაი ჭკუისაგან“ რომ დაანერინა და სხვებს კიდევ მრავალი“.

კოტე ხიმშიაშვილმა (საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობის ბრალდებით 1942 წელს გასამართლებული ჯგუფის წევრმა) დაკითხვაზე განაცხადა, რომ ლადო ასათიანმა საიდუმლო შეთქმულების შესახებ არაფერი იცოდა, – „ვაპირებდი მეთქვა და ვერ მოვახერხე“, – უთქვამს. როსტომ ჩხეიძე წერს, – „შესაძლოა, ლადოს გადარჩენას ლამობდეს და „ვერ მოვახერხე“ ამისთვის იყო გამიზნული; ყოველ შემთხვევაში, ლადო, როგორც მძიმე სნეულებით გატანჯული, აქტიურ მონაწილეობას ვერ მიიღებდა შეთქმულებაში“ (ჩხეიძე). მართლაც ლადოს გადასარჩენად ჩანს ეს სიტყვები ნათქვამი და მონაწილეობა მართლაც არ ექნებოდა შეთქმულებაში მიღებული. იქნებ, იცოდა ამ შეთქმულების შესახებ, იქნებ მინიმუმით იმასაც საყვედურობდა კოტე ხიმშიაშვილს, რომ არაფერი გააგებინეს შეთქმულებაზე, რომ არ ჩარიეს ამ საქმეში. ყოველივე ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ ენდობოდნენ ლადოს, იქნებ აპირებდნენ კიდევ თქმას, მაგრამ ვერა და ვერ გადანწყვიტეს, რომ ავადმყოფი და ხელისუფლების მიერ პოლიტიკურად არასანდოდ მიჩნეული მეგობარი ამ სარისკო საქმეში გაერთიანდეს. ის გულწრფელი და პატიოსანი ადამიანები, რომლებიც „რამეზე“ ფიქრობდნენ, უფრო ხილდებოდნენ მას. ამ ახალგაზრდების უმეტესობა (17 კაცი) 1942 წელს დახვრიტეს, სხვები კი (13) გადაასახლეს; გერმანელთა დახმარებით საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებას ესწრაფოდნენ ისინი, ამადროულად, როგორც თვითონ აცხადებდნენ, იმედოვნებდნენ, რომ გერმანელებთან თანამშრომლობით ნაკლებად დაზარალებოდა საქართველო იმ შემთხვევაში, თუკი ომში გერმანია გაიმარჯვებდა. ძნელი წარმოსადგენი არ არის, თუ როგორი სულიერი ტრამვა იქნებოდა ლადოსათვის მეგობრების უბედურება. როცა გვახსენდება მისი ლექსი, რომლის სათაურია „თქვენ გეუბნებით ძმებო, მგოსნებო“ და რომელიც ასე იწყება: „რა ქართველი ხარ, და რა ჭაბუკი, თუ მამულს თავი არ ანაცვალე, / – ეს ანვალედა ცოტნე დადიანს, / მეც ქართველი ვარ, მეც ეს მანვალეხს!“, ვფიქრობთ, რომ ალბათ წინასწარმეტყველური ნიჭიც ჰქონდა მის ავტორს, რაც, საერთოდ, კარგი მწერლის შემთხვევაში ხშირად ვლინდება ხოლმე, 1940-ის ნაცვლად, 1942 წლით რომ იყოს

ეს ლექსი დათარიღებული, ვიფიქრებდით, რომ სწორედ კოტე ხიმ-
შიაშვილსა და შეთქმულებაში მონაწილე სხვა ახალგაზრდებს მიუძ-
ღვნა იგი ლადომ...

ამკარა ირონიით ჩანს დაწერილი ლექსი „დასვენების დღე“. და-
საწყისში ერთი ულამაზესი დღის გათენებაა აღწერილი:

*ვდგავარ და ვხედავ როგორ თენდება
ეს დღე მთისა და ბარის ზემით...
ყოველთვის ტკბილად გამახსენდება
მისი უბადლო თვალის იერი.
ერთხელ მოსული დიდი სიჩქარით
ქრება ისევე, როგორც ცისკარი,
კვლავ იბადება და მეორდება,
ეს დღე მალდება, როგორც სიცოცხლე,
როგორც სინდისი და ერთგულება,
დაივლის სახლებს, ჯდება მინდორზე
და გააჩადებს მხიარულებას.
ისვენებს ხალხი, პოეტი მარტო
ფიქრობს და იწვის ლექსის მშვენებით.*

შემდეგ ნათქვამია, რომ პოეტს დასვენების დღე არა აქვს, იგუ-
ლისხმება, რომ სულ შრომობს იგი, ბოლოს კი ცხადი ირონია ერევა
ლექსს:

*და ვამბობ: ქვეყნად პოეტის გარდა,
ყველას ჰქონია დღე დასვენების,
პოეტი ლექსის სტრიქონებს ებრძვის
უხილავს, ფარულს, ჯერ დაუსტამბავს,
მერე წავა და შრომადღეს ეტყვის
დასვენების და გართობის ამბავს.*

ლამაზი დილის დახატვის შემდეგ კომუნისტურ პრაქტიკაში
მიღებული საკოლმეურნეო ტერმინ „შრომადღის“ მოულოდნელი
ხსენებით ღებულობს ეს ლექსი ირონიულ ინტონაციას.

გარდა იმისა, რომ დედა დაუპატიმრეს, პირადად ლადო ასა-
თიანს, როგორც ზემოთაც ითქვა, დაესხნენ თავს, – 1937 წელის 16
ივლისს გაზეთ „სტალინელში“ გამოქვეყნდა წერილი, რომელშიც
ლადო ასათიანს და სხვა პოეტებს ურჩევდნენ, რომ „მავნე ლაყო-
ბისათვის“ თავი დაენებებინათ (იმავე წელს ქუთაისში გამართუ-

ლი მწერალთა და ჟურნალისტთა იმ კრების შესახებ, რომელზეც გააკრიტიკეს ლადო ასათიანი, აგრეთვე სხვა საკითხების შესახებ, იხ. ნიკოლეიშვილი 2016), ასეთ შემთხვევაში თავის მართლებას, შესაძლოა, სულ დაედუპა, ამიტომ ლადო ასათიანმა იმ წერილის გამოქვეყნების შემდეგ „მოინანია დანაშაული“. როგორც როსტომ ჩხეიძე წერს: „და, აი, იძულებულია საჯაროდ მოინანიოს და კიდევ ინანიებს ზოგიერთი ლექსის იდეურ სიღარიბეს, იდეურ ჩამორჩენილობას, სასიყვარულო განცდების, წმინდა ადამიანური განწყობილებების გამოდევნებას, პირად განცდებს და ნამდვილი სოციალური მოტივის უგულებელყოფას. რაოდენ მწარეც არ უნდა ყოფილიყო, სხვა გზა არ გააჩნდა, რათა არალიტერატურული თავდასხმები შეეკავებინა და თავის მრწამსს მიჰყოლოდა“ (ჩხეიძე).

ლადო ასათიანისათვის, მისი პიროვნებიდან გამომდინარე, განსაკუთრებით ძნელი იყო არაგულწრფელი ლექსების წერა. სწორედ ეს გულიდან ამოძახებული ახალგაზრდული ხმა ხიბლავს მის პოეზიაში მკითხველს. თითქოს გამოსავალს დაუნყო ძებნა, რომ გულწრფელობა და ხალისი ისეთ სტრიქონებშიც არ დაეკარგა, რომელიც, თითქოს, საბჭოთა თემატიკას ეხმიანება... ან ირონია ერევა ხოლმე ამ დროს მის პათოსს, ან იმაზე ცდილობს ყურადღების გადატანას, რაც მართლა მოსწონს და ეროვნული სული შემოაქვს ლექსში. „საბჭოურ“ ლექსს როცა დაუფკვირდებით, შესაძლოა, იქაც საგრძნობი იყოს, თუ როგორი „სიყვარულით“ აღსავსე წერს ამ დროს პოეტი, – ლავრენტი ბერიასადმი მიძღვნილ ამ ლექსში – *„ნეტა, რა ხელმა გაზარდა, რა დედამ უთხრა ნანაო! / მშრომელთა მოჭირნახულედ რა ძალამ მოიყვანაო, / ათიათასი გვეყოლოდეს ვაჟკაცი მაგისტანაო“*, განსაკუთრებით კი სიტყვებში – *„ნეტა, რა დედამ გაზარდა“* პირადად ჩვენ მრისხანებას და სიძულვილს ვხედავთ და არა – აღფრთოვანებას, „ვინ გაგზარდა, ასეთი სად გაიზარდო“ – ქართველი კაცი სიყვარულითაც იტყვის და სიძულვილითაც; გვეჩვენება, რომ, საერთოდ, სარკაზმით ლაპარაკობს ლავრენტი ბერიაზე ლადო ასათიანი; დედის გადამსახლებელი ხელისუფლების მიმართ სიყვარულით რომ არ ყოფილიყო სავსე და „სახოტბო“ ლექსის წერისას სარკაზმი გამოერია, ლადო ასათიანისაგან ეს არ არის გასაკვირი. იქნებ იმედი ჰქონდა ხელისუფლების მონყალებისა და ესეც იყო მიზეზი, რომ „ხოტბასაც“ იმეტებდა მისი მისამართით.

როცა „ქართველი ოქროსმადიებლების სიმღერა“ (1942 წ) დაწერა, მაშინაც ალბათ გამბედაობა გამოიჩინა და თან თავი დაიზღვია, – ჩანს, იმედი ჰქონდა, რომ მის საწინააღმდეგოდ ამ შემთხვევაშიც ბევრს ვერაფერს იტყოდა ცენზორი, – იგულისხმებდა, რომ, ლექსის თანახმად, თავისუფლების სიყვარული ოდითგან მოსდევთ ქართველთ და რომ თანამედროვე საბჭოთა ქართველები მათი ღირსეული შთამომავლები იქნებიან მტერთან ბრძოლაში, თუმცა, ალბათ შეაეჭვებდა ცენზორს ლექსის ის ადგილები, რომლებშიც ოქროს დამალვასა და ძაძების ტარებაზე აწმყო დროსა და პირველ პირში წერს პოეტი, – დაფიქრდებოდა, – მართლა თურქების მოტყუებაზეა წერია აქ, თუ სულ სხვა ძალაზე მიაწინებებს პოეტი ამ სიტყვებით:

*ჩვენ ვმალავთ ოქროს, ვატარებთ ძაძებს
და ამწაირად ვატყუებთ თურქებს.
ასე რომ არა, ეს არემარე
მონობის თაღხით დაისუდრება.
ჩვენ ოქრო გვიყვარს, მაგრამ მეტადრე
გვიყვარს ზვიადი თავისუფლება.*

ლადო ასათიანის ლექსები, ცხადია, იმ გარემოსა და დროის გათვალისწინებით უნდა ვიკითხოთ, რომელშიც შეიქმნა ისინი, ყოველივე ამის გათვალისწინების შემდეგ მკითხველზე ლექსის ზემოქმედებაც თავისებური ხდება, – რეპრესიებისდროინდელი საბჭოთა ცხოვრების ფონის გათვალისწინებისას განსაკუთრებული ზემოქმედების მოხდენას იწყებს მკითხველზე ლადო ასათიანის არაერთი ლექსი, – ჩვენ წინაშე ჩნდება ადამიანი, პოეტი, რომელსაც სიცოცხლეს უზომოდ უყვარს და რომელიც რეალურად დგას დაღუპვის საფრთხის წინაშე, მაგრამ, მიუხედავად ამისა, შინაგანი პატიოსნება არ აძლევს უფლებას, არ თქვას ის, რისი თქმაც მთელი გულით ენატრება, – საბჭოთა კავშირი თავისი სამშობლოს დამპყრობელად ესახება, საქართველოს ძველი დიდება ენატრება, უყვარს თავისუფალი საქართველო, რომელიც შორეულ წარსულშია ჩარჩენილი და არ იმალება, – ხან ალევორიაში, ხან ირონიაში, უფრო ხშირად კი, ლაღად გამოხატულ პატრიოტიზმში გვახსენებს ხოლმე თავს ეს სიყვარული.

უდავო გვგონია, რომ ლადო ასათიანს გაუბედავს და ანტისაბ-ჭოური სულისკვეთება გამოუხატავს თავის არაერთ ლექსში, ეს კი იმ დროს ფაქტიურად გმირობის ტოლფასი საქციელი იყო.

დამოწმებანი:

ასათიანი 1971: ასათიანი ლ. *რჩეული, ლექსები და პოემები, ბოლოსიტყვა* გ. ასათიანისა. თბილისი: 1971.

ასათიანი 1988: ასათიანი ლ. *რჩეული (ლექსები, წერილები, ჩანაწერები* (შეადგინა მანანა ასათიანმა; მურმან ლებანიძის რედ. და წინასიტყვაობით). თბილისი: 1988.

აგიაშვილი 1961: აგიაშვილი ნ. *ჭაბუკები დარჩნენ მარად*. თბილისი: 1961.

კვერენჩხილაძე 1997: კვერენჩხილაძე რ. *საქართველოს მწერალთა კავშირი – 1917-1990*. უფრნ. მნათობი, № 11-12, 1997.

კუჭუხიძე 2016: კუჭუხიძე გ. „ლადო ასათიანი“. *ქართველი მწერლები, ბიოგრაფიები, ხელნაწერები, ფოტოები*. ლიტერატურის მუზეუმი, თბილისი: გამომცემლობა „ნოტა ბენე“, 2016.

ნიკოლეიშვილი 2017: ნიკოლეიშვილი ა. *ლადო ასათიანი როგორც რეპრესირებული პოეტი*. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამბე, № 1 (9), 2017.

ჩხეიძე: ჩხეიძე რ. *დედის აჩრდილი*. <https://burusi.wordpress.com/tag/%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%9B-%E1%83%A9%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%98%E1%83%AB%E1%83%94/>

ცხადაია 2006: ცხადაია ზ. „ლადო ასათიანი“. *ლიტერატურული ძიებანი*, XXVII. თბილისი: 2006.